შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში

თბილისი
2015

UDC (უაკ) 821.353.1.09

ლ –572

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საგამომცემლო პროგრამა „ქართული მწერლობა - პერიოდები და მიმართულებანი“

პროგრამის ხელმძღვანელი – ირმა რატიანი

რედაქტორი – ზაზა აბზიანიძე

© – ზ.აბზიანიძე, თ.ევსაძე, ქ.ელაშვილი, ქ.ნინიძე, ო.ჯანელიძე, მ.ჯალიაშვილი

გარეკანის დასაინისათვის გამოყენებულია
ანა ნიკოლაძის ნამუშევარი – „შერწყმა“ (1967 წ.)

ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015

ISBN 978-9941-07543-8

ზაზა აბზიანიძე

ლიბერალიზმის ეპოქა და მისი მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით კიდევ ერთი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი გამოიცა – „ლიბერალიზმის ეპოქა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში". იმ ფაქტში, რომ მონოგრაფია ისევ და ისევ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გრიფით გამოდის, არა მხოლოდ ონომასტიკური სიმბოლიკა დევს: „ლიბერალიზმის ეპოქა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში" განაგრძობს ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამას – „ქართული მწერლობა: პერიოდები და მიმართულებანი" და მესამე სამეცნიერო კრებული გახლავთ ზემოხსენებული პროგრამის ნუსხაში.

ამასთანავე, ჩვენი არჩევანი მხოლოდდა ლიტერატურულ ეპოქათა მიმდევრობის ტრადიციულ სქემას არ გაუპირობებია. ამიტომაც, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა აქ წარმოდგენილი სტატიების დომინანტურ იმპულსზე, იმაზე, თუ რას ნიშნავს „ლიბერალიზმის ეპოქა" ქართული მწერლობის დღევანდელ მკვლევართათვის; როგორი თვისობრივი ცვლილებების ინსპირატორები იყვნენ ლიბერალიზმის აპოლოგეტები თანამედროვეთა მენტალობაში და როგორ მარადიულ გაკვეთილად ადიქმება მათი მოქალაქეობრივი გამბედაობა დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ნეოკონსერვატიულ და ნეოლიბერალურ იდეოლოგიებს შორის მიმდინარე მძაფრი დაპირისპირების ფონზე.

ბუნებრივია, რომ კონფრონტაცია განსხვავებულ თაობებსა და იდეოლოგიებს შორის, ოდენ ჩვენი, ქართველთა პრეროგატივა არ გახლავთ და ეს მარადიული პრობლემა არაერთი ისტორიკოსის, ფსიქოლოგის, ლიტერატურათმცოდნის კვლევის

საგანი გამხდარა. ჩვენს მონოგრაფიაში მრავალი პარალელი თუ შეპირისპირება შესაძლებლობას იძლევა „ქართული ლიბერალიზმის“ მოდელი წარმოვისახოთ და გამოვაცალკეოთ ქართული სპეციფიკით ნაკარნახევი ნიშანთვისებები იმ საზოგადო და საყოველთაო კანონზომიერებათაგან, რაც ქართულ მწერლობაში აღბეჭდილი საზოგადოებრივი აზრის რეტროსპექტივას ისევე დაემჩნა, როგორც ევროპულ კულტურულ არეალში მოქცეულ ნებისმიერი სხვა ქვეყნის მენტალურ სურათს.

ამ „საზოგადო და საყოველთაო კანონზომიერებათა“ არაერთი ტიპიური სქემა არსებობს. აქედან ერთ–ერთი, განსაკუთრებით მკაფიო, ჩამოაყალიბა არა ლიტერატორმა, არამედ ფსიქოლოგმა (რაც სულ არაა გასაკვირი) – გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა ფრიც რიმანმა. თავისი კლასიკური მონოგრაფია „შიშის ძირითადი ფორმები“ მან „ობსესიური სინდრომით“ („ობსესია“ – შემაშფოთებელი აზრებისა და წარმოდგენების დომინანტას გულისხმობს) შეპყრობილ ადამიანებს უძღვნა, მაგრამ, აქაც, ისევე, როგორც არაერთ მსგავსი მასშტაბის სხვა გამოკვლევებში, უნიკალური კონკრეტული მასალა მრავალისმოქმედ სოციო-ფსიქოლოგიურ განზოგადებაში გადადის. აი, ამ განზოგადების ერთი მეტყველი მაგალითი: „ცვლილებებისა და წარმავლობის წინაშე შიშის დაძლევა ნებისმიერ სფეროში ტრადიციების დაცვით ხდება. ოჯახურ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, მორალურ, მეცნიერულ თუ რელიგიურ ტრადიციებს დოგმატიზმამდე და კონსერვატიზმამდე მიეყავართ, რომლებიც ყალბი პრინციპულობით, ცრურწმენებითა და ფანატიზმით გამოირჩევა. რაც უფრო ჯიუტად იცავს ადამიანი ამ ტრადიციებს, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება იგი მათი მოწინააღმდეგის მიმართ; ამის უკან კი იმალება შიში იმისა, რომ ბევრ ნაცნობ, გააზრებულ და უკვე ნაცად სასიკეთო მოელენას, რომელიც ადამიანის უსაფრთხო არსებობას უზრუნველყოფს, შესაძლოა, ახალი თვალსაზრისებისა და ახლებური მიდგომის შემდეგ, საფრთხე დაემუქროს...

ამრიგად, რაც უფრო მეტად ცდილობს ადამიანი ძველის შენარჩუნებას, მით უფრო მეტად განიცდის შიშს წარმავალობის წინაშე; რაც უფრო მეტად ვეწინააღმდეგებით განვითარების პროცესებს, მით უფრო ხელს ვუწყობთ საწინააღმდეგო ძალების ქმედებას, რაც განსაკუთრებით ცხადად დაგვანახა თაობათა ბრძოლამ. ის გარემოება, რომ ძველ თაობას ყოველივე არსებულის შენარჩუნება სურს და ნებისმიერ სიახლეს ჯიუტად

ეწინააღმდეგება, ახალ თაობას ხშირად ექსტრემიზმისაკენ უბიძგებს“ (ფრიც რიმანი, „შიშის ძირითადი ფორმები“, თბ, 2014, გვ. 170).

ფრიც რიმანის ამ „სოციალური ანამნეზის“ კითხვისას, თავისთავად ჩნდება ალუზია იმ „ობსესიურ–კომპულსიური სინდრომით“ („კომპულსია“ – რიტუალად ქცეული აქციატებული ქცევაა, რომელსაც ადამიანი შემაშინებელი აზრებისა და წარმოდგენებისაგან თავდასაცავად მიმართავს) დაავადებული ქართული საზოგადოებისა, რომელიც XIX საუკუნის 60–იან წლებში სამშობლოში დაბრუნებულ „თერგდალეულებს“ დახვდათ.

მთელი შემდგომი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოსაგრეებმა, მიზანდასახულად, ნაბიჯ–ნაბიჯ, მოახერხეს, გაელვიძებინათ ხელისუფალთა ავტორიტეტით, ყაელგასული ტრადიციებითა და წარმოდგენებით მონუსხული საზოგადოება და მისი ერთი, ყველაზე დინამიური და ინტელექტუალური ნაწილი თავის თანამოაზრეებად გაეხადათ. ამ თავდაუზოგავმა ბრძოლამ ეროვნული ინტელიგენციის შექმნისათვის განაპირობა, რომ XIX– XX საუკუნეების მიჯნაზე მომხდარი ეპოქალური ძვრების ჟამს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს პოლიტიკის, დიპლომატიის, სოციალურ თუ ეკონომიკური სფეროში სწორედ ამ ახალბედა ინტელიგენციის წარმომადგენლები იცავდნენ. XXI საუკუნეში, იმ, „ახალბედა პოლიტიკოსთა“ მრავალი შეცდომისა და მარცხის შემდგომაც კი, მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილიამ და მისმა თანამოსაგრეებმა გამოზარდეს ახალ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა. ის ლეგიონი, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრიობა გადარჩენას უნდა უმადლოდეს.

სწორედ იმ ადამიანებს და იმ ისტორიულ–ლიტერატურულ პროცესებს ეძღვნება ჩვენი გამოკვლევების კრებული, რომელშიც შევეცადეთ, არ გამოგვრჩენოდა საქართველოს მენტალური ისტორიის ესოდენ დიდი ეპოქის არცერთი მნიშვნელოვანი სფერო.

ნაშრომი „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ მწერლობაში“, ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით, შექმნა მეცნიერთა ჯგუფმა, რომელმაც ლიტერატორთა სამი თაობა გააერთიანა: ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებს, ფილოლოგიის დოქტორებს – თამაზ ვასაძეს, მაია ჯალიაშვილს, ქეთევან ელაშვილს და ქეთევან ნინიძეს შეუერთდა ქართველ ისტორიკოსთა ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი – პროფ. ოთარ

ჯანელიძე. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ მადლიერებით სამეცნიერო პროექტის კონსულტანტი, პროფ. ირმა რატიანი, რომლის ინიციატივით ხორციელდება ლიტერატურის ინსტიტუტის ზემოხსენებული საგამომცემლო პროგრამა – „ქართული მწერლობა: პერიოდები და მიმართულებანი“.

ავტორთა ჯგუფს მონოგრაფიის დანიშნულებად მიაჩნია XXI საუკუნის გადასახედიდან დაანახოს მკითხველს კლასიკურ ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართული საზოგადოებრივი აზრის დაბადებისა და დამკვიდრების ის პროცესი, რომელიც, 70-წლიანი პაუზის შემდეგ, თანამედროვე საქართველოში სრულიად იერცვლილი სახით გაგრძელდა და რომლის რეტროსპექტივის, წარმატებებისა თუ დაბრკოლებების მიზეზთა შესწავლა, ჩვენს არა მხოლოდ სამეცნიერო, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო ინტერესებს წარმოადგენს.

კაპიტალური ნაშრომი ამ თემაზე – „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, პროფ. გიორგი აბზიანიძისა (რომელიც სწორედ რუსთაველის ინსტიტუტში, 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა XIX საუკუნის განყოფილებას), ნახევარი საუკუნის წინ დაიწერა და მიუხედავად თავისი უნიკალური ხასიათისა, ობიექტურ მიზეზთა გამო, ცხადია, ვერ მოიცავდა საკითხთა იმ სპექტრს, რომელთა გამოკვლევა და გამომზეურება მხოლოდ პოსტსაბჭოთა ეპოქაში გახდა შესაძლებელი.

ეს საკითხები, პირველ ყოვლისა, „ლიბერალიზმის“, როგორც ტერმინის დეფინიციას ეხება. საბჭოთა ეპოქაში ამ ცნებას აშკარად გამოხატული ნეგატიური კონოტაცია ახლდა და, საუკეთესო შემთხვევაში, ბაგრული სოციალური ფენებისადმი მოიაზრებენ არისტოკრატთა გულმოწყალე დამოკიდებულებას აღნიშნავდა. აქ წარმოდგენილ ნაშრომში პირველად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ტრადიციულ სოციალურ და ნაციონალურ პრობლემატიკასთან ერთად, კომპლექსურადაა წარმოდგენილი ლიბერალიზმისათვის ისეთი განუყოფელი ცნებები, როგორიცაა – ადამიანის უფლებანი, პიროვნული თავისუფლება, გენდერული თანასწორობა...

ყველა ეს საკითხი თავალმიდევნებულია კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქის ისტორიულ-სოციალურ რეტროსპექტივაში ოთარ ჯანელიძისა; ამ ეპოქის ლიტერატურული დისკურსის თვალმიდევნებაშიც (ზაზა აბზიანიძე, თამაზ ვასაძე, მაია ჯალიაშვილი) და ამ ისტორიულ–ლიტერატურულ ფონზე გენ-

დერულ პრობლემათა შესწავლაშიც (ქეთევან ნინიძე). ჩვენი მონოგრაფიის თვისობრივად ახლებურ იერზე მეტყველებს ისეთი გამოკვლევაც, როგორიცაა ქეთევან ელაშვილის „ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პიროვნებანი“, რომელიც მკითხველს მკაფიო წარმოდგენას შეუქმნის ლიბერალიზმის ეპოქის „გეოგრაფიაზეც“ და იმ ღირსშესანიშნავ ადამიანებზეც, რომელთა სახელები უკვე ისტორიის საკუთრებად იქცნენ, მაგრამ დღემდე მონაწილეობენ ჩვენი საზოგადოების ღირებულებრივ ორიენტირთა არჩევისა თუ უკუგდების ცოცხალ პროცესში.

მონოგრაფიის „კალენდარული სივრცე“ წმინდა ფორმალურად — 1861 წლით იწყება (ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებით“) და 1899 წლით სრულდება. მაგრამ ცხადია, რომ იმ სოციალურ, პოლიტიკურ თუ ინტელექტუალურ ძალისხმევათა ერთიანობა, რომელიც შემდგომ „ეპოქად“ ინათლება, ძნელად თუ მოირგებს „კალენდარულ არტახებს“ და მომავალ მკვლევარებს თეიმურაზ კარნახობს თავისი აღზევებისა და დაცხრომის ქრონოტოპს. ამ მხრივ, ნიშანდობლივი იყო გალაკტიონ ტაბიძის მიერ ეგზალტირებულად წამოსროლილი ფრაზა: „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია, / მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...“ („წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“, 1920 წ.).

მართლაც, სიმბოლური თვალსაზრისით, თუ „ლიბერალიზმის ეპოქის“ ათვლას ილიას „მგზავრის წერილებიდან“ (1861 წ.) ვიწყებთ, ლოგიკურია, ეს ეპოქა თავისი პროტაგონისტის სიცოცხლესთან ერთად დასრულდეს, ამ საკულტო ფიგურასთან ასოცირებულ იმედებთან და ილუზიებთან გამოთხოვებისას...

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაშრომის ერთი ყველაზე საინტერესო და მდიდარ ფაქტოლოგიურ მასალაზე დამყარებული გმოკვლევა ოთარ ჯანელიძისა მკითხველს დაარწმუნებს, რომ 1907 წელს ქართული ლიბერალიზმის „მაძის“ მკვლელობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ლიბერალური იდეალის საბოლოო მარცხს და ლიბერალურმა ახალთაობამ, მეტ-ნაკლები წარმატებით, შესძლო თავისი იდეალების ქადაგება საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ასპარეზზე საქართველოს ოკუპაციამდე საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს.

დიახ, კლასიკური ლიბერალიზმის ეპოქა საქართველოს დღემოკლე დემოკრატიასთან ერთად დასამარდა 1921 წლის თებერვალში. ამ დიდი ეპოქის დასასრულთან ერთად, სიტყვა „ლიბერალიზმი“ ცხადია არ გამქრალა, მაგრამ, ათეულები წლების განმავლობაში, სემანტიკურად გამოშიგნული და იერცვლილი,

ლექსიკონებისა და ისტორიის სახელდახელოდ შექმნილი სახელმძღვანელოების კუთვნილებად დარჩა.

უკვე პოსტსაბჭოთა დროში, ზოგიერთი ლიბერალური იდეოლოგემა აღორძინდა „ნეოლიბერალიზმის“ ფირნიშით, მაგრამ ამ, განსხვავებულ ეპოქაში, ისინი მხოლოდ ლოკალურ ამოცანებზე იყვნენ გამიზნულნი და ოდნავადაც არ მიახლოებიან კლასიკური ლიბერალიზმის მასშტაბს.

ლიბერალიზმის ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურული პანორამის წარმოსახვა, ამ ეპოქისათვის ნიშანდობლივ სოციალურ, ფილოსოფიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ტენდენციათა მეცნიერული შესწავლა, ლიბერალიზმის ფენომენის „ქართული ნაირსახეობის“ შედარება-შეპირისპირება ლიბერალიზმის ევროპულ და რუსულ მოდელებთან და ყოველივე ამის თავმოყრა ერთ, „სქელტანიან“, თვისობრივად ახლებურ, მაქსიმალურად პროფესიონალურ, მაგრამ, ამასთანავე, „კითხვად“ წიგნში – ალბათ ამბიციურ და ძნელად განსახორციელებელ პროექტად მოეჩვენებოდა ადამიანს, რომ აქ წარმოდგენილ მეცნიერთა „პერფექციონისტულ“ ჯგუფს არ ჰქონოდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ყოველდღიური მხარდაჭერა.

თამაზ ვასაძე

ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები

ლიბერალიზმს, როგორც იდეოლოგიას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს იდეოლოგია თავისი არსით ეწინააღმდეგება მთელ წინარე ისტორიულ პროცესს და კაცობრიობის განვითარება'ში არსებით ცვლილებას, შეიძლება ითქვას, გარდატეხას მოასწავებს.

XVII საუკუნის ინგლისში, სადაც ლიბერალიზმი იღებს სათავეს, უპირველესად ჯონ ლოკის და ადამ სმიტის ნააზრევის სახით, და შემდგომ სხვა დროსაც და სხვაგანაც, ლიბერალური იდეოლოგია მოგვევლინა პროტესტად ავტორიტარიზმის წინააღმდეგ. ლიბერალიზმი წარმოიშვა იმ ფუნდამენტური გარემოების კრიტიკულმა გაცნობიერებამ, რომ ადამიანთა დიდი უმრავლესობა მოკლებულია თავისუფლებას და ეს გარემოება კუმანურობის თვალსაზრისით არანორმალურია; ამიტომ იგი აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

ლოგიკურადაც და ისტორიულადაც ლიბერალიზმის კრიტიკის უპირველეს ობიექტად იქცა მმართველობის თვითნებურობა და, შესაბამისად, უპირველესი თავისუფლება, რომელიც გარანტირებული უნდა იქნეს, არის მოქალაქეთა უფლება, ეპყრობოდნენ მათ ისე, როგორც კანონი მოითხოვს. საყოველთაო თავისუფლების უმთავრესი პირობაა მისი საყოველთაო შემოფარგლა კანონით. თავისუფალი მმართველობა უნდა ემყარებოდეს არა მმართველის თვითნებურ გადაწყვეტილებებს, არამედ კანონებს, რომლებსაც მმართველიც ემორჩილება. აქედან გამომდინარეობს, რომ თავისუფლებას და სამართალს შორის დაპირისპირება არ არსებობს. პირიქით, სამართალი აუცილებელია თავისუფლებისთვის, უფრო ზუსტად, იმისთვის, რომ თავისუფლება

საყოველთაო იყოს და არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების და ჯგუფების პრივილეგია.

თავისუფლება სხვადასხვა ასპექტების, განზომილებების მომცველია. უწინარესია პირადი თავისუფლება, რომელსაც აზრის თავისუფლება უდევს საფუძვლად – ეს არის შინაგანი ციტადელი, რომელსაც მთლიანად თვით ინდივიდი უნდა განაგებდეს. მაგრამ აზრის თავისუფლების ღირებულება კნინდება, თუ მას არ ახლავს აზრთა გაზიარების თავისუფლება. ასე რომ, აზრის თავისუფლება ბუნებრივად შეივსება სიტყვის – ზეპირის თუ ბეჭდურის – თავისუფლებით, დისკუსიების თავისუფლებით.

აზრის თავისუფლება ისტორიულად – და საკმაოდ მტკივნეულად – ჩამოყალიბდა რელიგიური რწმენის თავისუფლების დამკვიდრების შედეგად. რელიგიური თავისუფლების სულისკვეთება ეფუძნება წარმოდგენას, რომ რელიგიური მრწამსი ადამიანის ყველაზე ინტიმური გრძნობების და ფიქრების ნაყოფია. ამიტომ მისი სხვებისთვის თავს მოხვევა გაუმართლებელია. რელიგია თითეული ადამიანის პირადი, სხვათა ჩარევისთვის შეუვალი საქმეა. ამას გულისხმობს ე.წ. სინდისის თავისუფლება.

სოციალური თავისუფლების არსს შეადგენს ის, რომ ყველას აქვს უფლება, აირჩიოს ნებისმიერი საქმიანობა და ცდილობდეს ამაღლდეს სოციალურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების „კიბეზე" თავისი წარმომაყლობის და მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად. ლიბერალიზმი არ ცნობს პრივილეგირებულ სოციალურ „კასტებს", გახეთებულ სოციალურ იერარქიას.

ადამიანებს აქვთ ეკონომიკური თავისუფლება, ანუ უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიონ თავიანთი სამეურნეო საქმიანობის სახეობა და შეუხლუდავად წარმართონ და გააფართოვონ იგი. მათ აქვთ უფლება, თავისუფლად დაღონ გარიგებები ერთმანეთთან, საქმიანობის ტიპის და რაობის ნიშნით შექმნან თავისუფალი გაერთიანებები, ასოციაციები.

ყველაზე უნივერსალური და სიცოცხლისუნარიანი ასოციალცია მაინც არის ოჯახი. ავტორიტარული სახელმწიფო ირეკლება ავტორიტარულ ოჯახში, რომელშიც მამაკაცი ცოლის და შვილების მბრძანებელია. გამათავისუფლებელი მოძრაობა აქ გამოიხატება იმაში, რომ ცოლი იქცეს პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად, რომელსაც შეუძლია გააჩნდეს საკუთრება და დაცული იყოს ქმრის თვითნებობისგან; რომ მშობლების მიერ ბავშვებზე ზრუნვის მოვალეობის შეუსრულებლობა ისჯებოდეს; რომ ბავშვებს აუცილებლად მიეცეთ პირველადი განათლების

მიღების შესაძლებლობა, ისე, რომ მათ შემდგომში შეეძლოთ უფრო ღრმა განათლების მიმართულების თავისუფლად არჩევა.

ლიბერალიზმისგან განუყოფელია ერების თავისუფლების აღიარება. ლიბერალიზმის ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი შეასრულა სწორედ ერების ბრძოლამ უცხოელთა ბატონობისგან თავდასაღწევად, კოლონიური მდგომარეობისგან გასათავისუფლებლად. ერებს აქვთ უფლება, თვითონ განაგონ და გადაწყვიტონ საკუთარი ბედი, შექმნან სუვერენული სახელმწიფოები. როგორც ინდივიდები უნდა იყვნენ თანაბრად თავისუფლები, თავისუფლებაში თანასწორები, ასევე ერები უნდა იყვნენ თანასწორუფლებიანები. ამდენად, ლიბერალიზმი ბუნებრივად ეწინააღმდეგება ნაციონალურ და რასობრივ დისკრიმინაციას, ასევე დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით, რელიგიური მრწამსის თავისუფლად არჩევის უფლების შეზღუდვას, რაც ხშირად განუყოფელია ნაციონალური და რასობრივი ნაგერისაგან.

ლიბერალიზმის მიერ დაფუძნებული ადამიანის უფლებათა საკითხი თავისთავად წამოჭრის მათი უსრულყოფის და დაცვის საკითხს. ადამიანის უფლებების დაცვის უსრულყოფია საყოველთაო საარჩევნო უფლების დოქტრინა და ხალხის სუვერენიტეტის აღიარება.

ლიბერალიზმი კანონზომიერად მოითხოვს სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობას, დამყარებულს ხალხის მიერ ხელისუფლების თავისუფლად არჩევაზე. ძალაუფლების მფლობელი სწორედ ხალხია, რომელიც ირჩევს ხელისუფლებას და აკონტროლებს მას. სხვაგვარ პირობებში ლიბერალური იდეოლოგია თავის თავს ვერ განახორციელებს, ლიბერალური ფასეულობები ფესვს ვერ მოიკიდებს.

ოღონდ ლიბერალიზმი კრიტიკულად ეკიდება ნებისმიერი ტიპის, მათ შორის დემოკრატიულ სახელმწიფოს, რადგან დემოკრატია შეიძლება იქცეს უმრავლესობის ბატონობად უმცირესობაზე. ლიბერალიზმისთვის პირველადი და უმნიშვნელოვანესი, ყველაზე ძვირფასი ინდივიდია, მისი თვითრეალიზაციაა – ინდივიდის შესაძლებლობების, ძალების, უნარების შეუზღუდავი და რაც შეიძლება სრული ხორცშესხმა; მისი უფლება, ჰქონდეს საკუთარი მსოფლგაგება და თავისუფლად გამოხატოს იგი.

ლიბერალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის, იერემია ბენტამის თვალთახედვით, საზოგადოების არსებობის მიზანია უზრუნველყოს მაქსიმალურად დიდი რაოდენობის ინდივიდთა მაქსიმალურად დიდი სარგებელი.

ინდივიდთა თავისუფლება თვით სახოგადოების განვითარების და კეთილდღეობის აუცილებელი პირობაა, რადგან რაც უფრო სრულად ავლენს ინდივიდი თავის კონსტრუქციულ ძალებს და უნარებს, მით უფრო ძლიერია სახოგადოება და სახელმწიფო. ამიტომ სახელმწიფოს მოეთხოვება ემორჩილებოდეს პრინციპს „არ შეუშალო ხელი"— ეს პრინციპი ინდივიდთა ეკონომიკურ და ნებისმიერ სხვაგვარ საქმიანობაზე ვრცელდება.

როცა ლიბერალიზმი იცავს სიტყვის, პრესის და ა.შ. თავისუფლებას, ამას იმიტომაც აკეთებს, რომ მათ სახოგადოებისთვის სასარგებლო მოვლენებად მიიჩნევს. ეს ლიბერალური ფასეულობები მნიშვნელოვანია რაციონალობის მისაღწევად და ჭეშმარიტების ძიებისთვის – თავისუფალი საჯარო დებატები გონიერულ თვალსაზრისთა შემუშავების წინაპირობაა.

ჯონ სტიუარტ მილის შეხედულებით, სახოგადოებრიეი აზრი შეიძლება თრგუნავდეს უმცირესობის პოზიციას, მაგრამ შესაძლებელია ამ აზრის სრულყოფა თავისუფალი დისკუსიების მეშვეობით, – მათი წყალობით დაიძლევა მცდარი წარმოდგენები, ცრურწმენები. მაგრამ თავისუფალ დისკუსიებს არ მივყავართ ერთადერთ, დოგმატურად გაგებულ ჭეშმარიტებასთან.

მილი ფიქრობს, რომ მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილად ცხადი ამა თუ იმ თვალსაზრისის არსი, როცა მას თავისუფალ დისკუსიაში იცავენ ან უარყოფენ. ლიბერალურობა რაციონალობის წანამძღვარია. შეხედულებათა მრავალფეროვნება, პლურალიზმი, ყოველგვარი თვალსაზრისების თავისუფალი განხილვა არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოხმობით საშუალებას აძლევს სახოგადოებას, შეძლებისდაგვარად სრული და ადეკვატური, გააზრებული წარმოდგენა ჰქონდეს სოციალური რეალობის შესახებ და ამის საყუძველზე მის გაუმჯობესებას ნაყოფიერად ცდილობდეს.

ყოველივე ის, რაც აქ ლიბერალიზმის შესახებ ითქვა, უფრო ხელშესახები იქნება, თუ მას განვიხილავთ ლიბერალიზმის საძირკვლის ერთ-ერთი ჩამყრელის, ჯონ ლოკის (XVII ს.) ფილოსოფიურ - სოციოლოგიური კონცეფციის ფონზე.

ტრაქტატში „სახელმწიფოებრიეი მმართველობის შესახებ" ლოკი აყალიბებს პიროვნების სამ თანდაყოლილ უფლებას. ეს არის: სიცოცხლის, თავისუფალი არსებობის და საკუთრების უფლებები. „ადამიანებმა უარი თქვეს ბუნებრიეი მდგომარეობის შეუბორკაობაზე მხოლოდ თავიანთი სიცოცხლის, თავისუფლების და ქონების შესანარჩუნებლად".

ეს სამი უფლება წარმოქმნის სამართლებრიეი წესრიგის ბაზისს. „თავისუფლება ის არის, რომ შეეიწროებას არ განიცდიდე სხეების მხრიდან. ეს კი შეუძლებელია იქ, სადაც არ არის კანონი". კანონი არსებითად უდრის ადამიანის შესაძლებლობას, თავისუფლად განაგებდეს საკუთარ პიროვნებას, ქმედებებს და მთელ თავის საკუთრებას.

ლოკის სამელემენტიანი ფორმულა აღმოჩნდა ის პირველი „უჯრედი", რომლიდანაც შემდგომ ადამიანის უფლებათა დიფერენცირებული სიმრავლე აღმოცენდა.

ლოკის შეხედულებით, სამი ძირეული უფლება ურთიერთგანმსაზღვრელია, განუყოფელია. საკუთარი მიზნების დასახვის უფლება (თავისუფალი არსებობის უფლება) ნაკლული იქნება, თუ არ შეივსო ინდივიდუალური სასიცოცხლო ძალების განკარგვის თავისუფლებით (სიცოცხლის უფლება) და იმ პროდუქტების თავისუფლად განკარგვის უფლებით, რომლებშიც ხორცშესხმულია სუბიექტური მიზნები და სასიცოცხლო ძალები (საკუთრების უფლება).

საკუთრების უფლება და სიცოცხლის უფლება ქმნიან სივრცეს თავისუფალი ნების რეალიზაციისთვის, რომელიც თავისთავს გამოხატავს საკუთარი მოწოდების არჩევაში, მიზნების დასახვაში, სინდისის და სიტყვის თავისუფლებაში.

ლოკის კონცეფციაში უპირველეს ადგილს მაინც საკუთრების უფლება იკავებს. ინდივიდის დამოუკიდებლობას და ღირსებას საზოგადოება და სახელმწიფო ყველაზე მკვეთრად მისი საკუთრების ხელშეუხებლობის აღიარებით გამოხატავენ.

საკუთრება წმინდაა, რამდენადაც მასში ხორცშესხმულია სუბიექტის შრომა, ანუ შეგნებული, მიზანმიმართული და გეგმაზომიერი საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც ის ამკვიდრებს თავისთავს როგორც საზოგადოების პატიცისცემის ღირსი წევრი.

ინდივიდუალური კეთილდღეობის მისაღწევად და სარგებლის მისაღებად გამიზნული შრომა, ლოკის აზრით, არის ადამიანური აქტივობის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფორმა. უპირველეს ყოელისა, სწორედ მას გულისხმობს სიცოცხლის უფლება.

სიცოცხლის უფლების დარღვევაა არამარტო ფიზიკური ძალადობა, არამედ ინდივიდის ეკონომიკური დამონებაც. სიცოცხლის უფლება ჭეშმარიტად ხორციელდება მხოლოდ იქ, სადაც საზოგადოება შედგება ეკონომიკურად დამოუკიდებელი მწარმოებლებისგან. ნებისმიერ სხვაგვარ სოციუმში სიცოცხლის უფლება გარანტირებული არ არის.

თუ სიცოცხლის უფლების სიღრმისეული ინტენცია მონობის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობის ფორმის, აღკვეთაა, თავისუფალი არსებობის უფლება, საბოლოო ანგარიშით, გულისხმობს პოლიტიკური მონობის, დესპოტიზმის უარყოფას. არც ერთი ადამიანი არ შეიძლება იყოს არამარტო სხვა ადამიანის, არამედ სახელმწიფოს მონაც. დესპოტური სახელმწიფო ითვისებს არათუ ინდივიდის შრომის უნარს, არამედ, რაც მთავარია, მის უნარს, დაისახოს მიზნები, ეუფლება მის მსოფლხედვას და სინდისს.

ამიტომ ლოკი საეჭვოდ მიიჩნევს სიცოცხლის და საკუთრების უფლებათა დეკლარირებებს, თუ ისინი არ ემყარება ინდივიდის თავისუფალი თვითგანსაზღვრის გარანტიებს.

სინამდვილეში ადამიანები ვერ იქნებიან სრულფასოვანი მესაკუთრეები და მწარმოებლები, თუ მათ არ აქვთ უზრუნველყოფილი სინდისის თავისუფლება, უფლება, გააჩნდეთ დამოუკიდებელ–პიროვნული თვალსაზრისი ღმერთის და სამყაროს რაობის შესახებ, რომელიც გადაიზრდება პირადი მოწოდების, ინდივიდუალური არსებობის საზრისის და მიზნების თავისუფლად განსაზღვრის უფლებაში.

რწმენის მოპოვება, უფრო ფართოდ, მსოფლმხედველობრივი ორიენტირების გამოკვეთა, ლოკის აზრით, ღრმად პიროვნული აქტია, რომელსაც ხელისუფლება ისე უნდა ეკიდებოდეს, როგორც პერსონალურ ღვთისმსახურებას.

საკუთარი მრწამსი, შეხედულებები უპირველესი საკუთრებაა, აზრის თავისუფლება უპირველესი თავისუფლებაა.

ოთარ ჯანელიძე

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული და სოციალური სინამდვილე

XIX საუკუნემ ბევრი რამ შეცვალა კაცობრიობის ისტორიაში. ამ ასწლეულის განსაკუთრებით მეორე ნახევარში ადამიანთა წინაშე ცივილიზაციური პროგრესის ისეთი სივრცეები გადაიშალა, რომელთაც წარსულში ძნელად ექებნება ანალოგი.

„სხვათათვის დიდ საუკუნეს“ უწოდებდა ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეს და ეს მართლაც ასე იყო. საუკუნის „სიდიდე“ და მასშტაბურობა სხვა ხალხების ცხოვრებას უფრო დაეტყო, ვიდრე - საქართველოს. ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული განვითარების მხრივ, კონტრასტი დაწინაურებულ და დანარჩენ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა და თვალსაჩინო გახდა.

სოციალური ნიშნით XIX საუკუნის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო კაპიტალიზმის დამკვიდრება მისგან გამომდინარე ყველა დადებითი თუ უარყოფითი შედეგით. ასევე, მოხობის ლიკვიდაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბატონყმობის გაუქმება რუსეთის იმპერიაში. იმავდროულად, ამ საუკუნეს გამჭოლ ხოლად გასდევს ჩაგრულ ხალხთა ბრძოლაც თავისუფლებისათვის, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თუ ადამიანური უფლებებისათვის.

მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში XIX საუკუნე მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში არნახული მიღწევებით, სამრეწველო გადატრიალებით, საწარმოო ძალების სწრაფი აღმავლობით, ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის მაღალი ტემპით აღინიშნა. ამ ფონზე, რუსეთის იმპერია ძველებურად აგრარულ ქვეყნად რჩებოდა, რომლის მოსახლეობის 76% ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. ამასთან გლეხობის

აბსოლუტური უმრავლესობა მიწას კვლავაც თოხით და კაჟით ამუშავებდა და არა - რკინის გუთნით. მოსახლეობის ცხოვრების დონე 4-ჯერ ჩამორჩებოდა ინგლისისას და ორჯერ- გერმანიისას. ეს მეტროპოლიაში, თორემ კიდევ უფრო მძიმე იყო ვითარება ამ მხრივ განაპირა რეგიონებში და მათ შორის, საქართველოშიც.

საქართველოს პოლიტიკური რეალობა რომანოვთა იმპერიაში მისი ინკორპორაციის შემდეგ, ფაქტობრივად აღარ შეცვლილა. იგი კვლავ რჩებოდა უუფლებო კოლონიურ მხარედ, რომელსაც საკუთარი არათუ სახელმწიფოებრიობა, ისტორიული სახელიც კი უვნებლად შეურჩინა. ცნება „საქართველო“ იმპერიის სახელმწიფო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა შორის აღარ ფიგურირებდა. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად დაყოფილი ქვეყანა კავკასიის სამეფისნაცვალოში შედიოდა და რუსეთის ერთიან სივრცეში მისი მეშვეობით იყო ინტეგრირებული.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, კავკასიას მიხეილ ვორონცოვის დროიდან ავტონომია ჰქონდა მინიჭებული. მომდევნო შეფისნაცვლების კომპეტენცია კიდევ უფრო გაფართოვდა. მათ უფლება მიეცათ, კავკასიასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი მხოლოდ იმპერატორთან შეთანხმებით გადაეწყვიტათ (ჩხეტია 1940: 69). მაგრამ ამას ადგილობრივ ხალხთა მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. პირიქით, ცენტრალური ხელისუფლებისაგან მხარის ერთგვარმა დამოუკიდებლობამ და უკონტროლობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მოხელეთა თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისათვის. სამოქალაქო და სამხედრო მმართველობა აქ ბოლომდე არაფის გაუმიჯნავს, მმართველობის კოლონიური ხასიათი იგივე დარჩა, საოკუპაციო რეჟიმიც თავის ძალმომრეობას ინარჩუნებდა.

60-70-იან წლებში რუსეთში რიგი ლიბერალური რეფორმა განხორციელდა, მაგრამ მასშტაბური ცვლილებებისა და მოდერნიზაციისათვის მეტროპოლია მზად არ აღმოჩნდა. რუსეთის საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის - რევოლუციური წრეები უჭვით უცქერდნენ ალექსანდრე მეორის რეფორმატორულ საქმიანობას. ტერორისტულმა ჯგუფებმა „ხელმწიფე განმათავისუფლებელ'ზე“ რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს, 1881 წლის 1 მარტს კი „ნაროდოვოლცებმა“ ათვალწუნებული იმპერატორი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ამ ამბავს საქართველოშიც სიხარულით შეხვდნენ. ალეგორიული ხასიათის ლექსში აკაკი წერეთელმა რუსეთის მონარქის მკვლელობა გაზაფხულის მაუწყებელი მერცხლის შემოფრენად

აღიქვა და მიიჩნია, რომ მომავალი, — ცარიზმის დამხობა და ეროვნული თავისუფლება — ახლოს იყო. თუმცა, ნამდვილი „გაზაფხულის“ დადგომას ჯერ კიდევ ბევრი უკლდა.

საიმპერატორო ტახტზე მოკლული მეფის შვილი — ალექსანდრე მესამე ავიდა. მან სასწრაფოდ შეაჩერა მიმდინარე გარდაქმნების პროცესი, რომელიც „საბჭოსწერო შეცდომად“ გამოაცხადა და გეზი იეზოთმპყრობელობის განმტკიცებისაკენ აიღო. ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი გაბატონდა. დაიწყო პოლიტიკური რეაქცია.

ახალმა იმპერატორმა შეუწყნარებლად მიიჩნია კავკასიის ავტონომია და 1882 წელს მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებისა და მთავარმართებლობის აღდგენის ბრძანება გამოსცა. აქაური გუბერნიები უშუალოდ ისევ საიმპერიო ცენტრს დაუქვემდებარეს. კვლავ შემოღებულ იქნა გენერალ-გუბერნატორთა თანამდებობანი, მაზრები და ქალაქები საპოლიციო უბნებად დაჰყვეს, რომელთაც ბოქაულები განაგებდნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა კონტროლი მოსახლეობის კეთილსაიმედობაზე, გამკაცრდა ცენზურა.

მთავარმართებელს უფლება მიეცა, სასამართლო დადგენილების გარეშე, მხარიდან ხუთი წლის ვადით გაესახლებინა ნებისმიერი საეჭვო პირი. გენერალ-გუბერნატორებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეეძლოთ სამხედრო წესების გამოცხადება და წესრიგის დასაცავად შეიარაღებული ჯარის ნაწილების გამოყენება.

პოლიცია და უანდარმერია სდევნიდა, აპატიმრებდა, საპყრობილეებსა და კატორღაში გზავნიდა პროგრესული აზრის მატარებელ ადამიანებს. ჩვეულებრივ მოქმედად იქცა პოლიტიკურ ბრალდებულთა ადმინისტრაციული წესით დასჯა და სხვ.

კავკასიის მეფისნაცვალი, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი 1882 წლის დამდეგს რუსეთში გაიწვიეს. მთავარმართებლის პოსტზე დაინიშნა გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც 1890 წელს თავადმა შერემეტიევმა შეცვალა. ამ უკანასკნელის ნაცვლად კი 1896 წელს თავადი გოლიცინი გამოიგზავნა. სამივე მათგანის მმართველობა ქართველი და სხვა კავკასიელი ეროვნების მცხოვრებთა მკვეთრი შევიწროებით აღინიშნა. უკიდურესად შეიზღუდა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებებში ადგილობრივი კადრების მიღება. აქამდეც ბიუროკრატიული სახელისუფლო სტრუქტურები ხალხისათვის სრულიად დაიხშო, უცხო და მიუწვდომელი გახდა.

მასობრივი ხასიათი შეიძინა და გაფართოვდა საქართველოს კოლონიზაცია იმ პერიოდში, როცა ქართველი გლეხობა სრულ უმწეობას განიცდიდა, კავკასიის ადმინისტრაცია რუსეთის შორეული გუბერნიებიდან ჩამოსახლებულ ათასობით უცხოტომელს შავი ზღვის სანაპირო ზოლში საუკეთესო აღგილ-მამულს ურიგებდა და მყარად ამკვიდრებდა.

1865 წლისათვის, მარტო ობილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ორ ათეულზე მეტი რუსული სოფელი არსებობდა, რომლის მცხოვრებ კოლონისტთა რიცხვი 26 ათასს სულს აღწევდა (კომახია 2007: 70).

ჯერ ყირიმის ომის (1853-1856), შემდეგ აფხაზეთის სამთაეროს გაუქმების გამო, 1866 წელს მომხდარ აჯანყებას და განსაკუთრებით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომს მოჰყვა აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 50 ათასი სულის) გადასახლება ოსმალეთში. მუჰაჯირობის შედეგად აფსაზეთის ტერიტორიის ფართო სივრცე გაეერანდა და გაუკაცრიელდა. ამ კუთხის შავი ზღვისპირა ზოლში, რუს მოსახლეობასთან ერთად, სხვა უცხოტომელებიც ჩამოასახლეს, მათ შორის - ბერძნები, ბულგარელები, მოლდოველები. ამ გზით შეიქმნა სოფლები: ბაკლანკა, პეტრო-პავლოვსკოე, მიხაილოვსკოე, ესტრონსკოე, პოლტავსკოე, ჩერნოგოვსკოე, ეესიოლაია, პილენკოვოს ჰერეინკა და სხვა.

თუ იმპერიის მასშტაბით რეაქციული კურსის მთავარი გამტარებლები სინოდის ობერ-პროკურორი კ. პობედონოსცევი, განათლების მინისტრი დ. ტოლსტოი, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი გ. კატკოვი იყვნენ, კავკასიის მთავარმართებელთა ძირითად დასაყრდენს სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი და ეგზარქოსი პაველ წარმოადგენდნენ.

რეაქციონერმა მზრუნველმა ქართველი ხალხის ეროვნული მთლიანობის საზიანოდ, სამეგრელოს სკოლებში მეგრულ, სვანეთში სვანურ და აჭარაში თურქულ ენებზე სწავლების ცირკულარი გამოსცა. თავის ამ მოქმედებას იანოვსკი პედაგოგიური მოსაზრებით და იმის მომიზეზებით ამართლებდა, რომ, თითქოს, მეგრელები, აჭარლები და სვანები ქართველები არ იყვნენ და ცალკე ეროვნებებს წარმოადგენდნენ. ხელისუფლება ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ერის გათიშვასა და დანაწევრებას, რომ საამისოდ დიდძალ სახსრებს გამოჰყოფდა და მათ ხარჯვას არ ერიდებოდა. პეტერბურგიდან საქართველოში სპეციალურად მოაელინეს მეცნიერებათა აკადემიის

წარმომადგენელი პროფესორი გრენი, რომელსაც რუსული დამწერლობის საფუძველზე მეგრული ანბანის შექმნა დაეკისრა. ამ იდეას მხარი ზოგიერთმა ვაიქართველმაც დაუჭირა. ანბანი შეადგინეს და მეგრულ ენაზე სალეთო წიგნების თარგმნაც დაიწყეს. მომდევნო ნაბიჯი სამეგრელოს ეკლესიებში ღეთისმსახურების მეგრულ ენაზე გადაყვანა უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღგილობრივმა სამღვდელოებამ, მთელმა პროგრესულმა საზოგადოებამ ხმა აღიმაღლა და დაგმო ცარიზმის ეს მზაკვრული წამოწყება. პრაქტიკულად, გამოუყენებელი დარჩა რუსულის ბაზაზე შედგენილი სვანური ანბანიც და ასევე, სამრევლო სკოლებისთვის განკუთვნილი, მეგრულ და სვანურ ენებზე გამოცემული პირველდაწყებითი სახელმძღვანელოებიც.

მეფის მთავრობა ათასგვარ საშუალებას მიმართავდა ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთგაუცხოების, მათი საუკუნოვანი ერთობის დარღვევისა და გათიშვის მიზნით. აფხაზეთში კოლონიზაციის გაძლიერებით, იმპერიული საეკლესიო პოლიტიკის განხორციელებითა, ოუ სხვა რუსიფიკატორული ღონისძიებებით თეითმპყრობელობა ესწრაფვოდა, მოეწყვიტა ეს კუთხე საქართველოსაგან და ექცია იგი რუსულ პროვინციად.

ცარიზმის ამ მუსანაოურ ღონისძიებებში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა ეგზარქოსი პაველე, რომლის მეცადინეობით 1885 წელს აფხაზეთი ცალკე ეპარქიად გამოიყო, ოდნავ მოგვიანებით კი აფხაზეთ-სამურზაყანოს ეკლესიებში ქართულად წირვა-ლოცვა აიკრძალა. გრძელდებოდა ეკლესია-მონასტრების ქურდული ძარცვა, გაჰქონდათ ძველი ხელნაწერები, ძვირფასი ხატები, ჯვრები და სხვ. საერთოდ, რუს ეგზარქოსთა ხელში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა წინანდელი მიმზიდველობა, დაკნინდა მისი აუტორიტეტი და მრევლის გარკვეულმა ნაწილმა ზურგი აქცია ეკლესიას.

თავისი ქართველთმოძულეობის გამოსახატად ეგზარქოსმა პაველემ მარჯვედ გამოიყენა 1886 წლის გაზაფხულზე მომხდარი ფაქტი. ამ წელს თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილმა მოწაფემ იოსებ ლაღიაშვილმა, უსამართლო მოპყრობისათვის, განგმირა სასულიერო სემინარიის რექტორი, დეკანოზი ნუდეცკი. მოკლული რექტორის დაკრძალვის დღეს, სიონის ტაძარში გამოსვლისას, პაველემ საჯაროდ დასწყევლა საქართველო და ქართველი ერი. ეგზარქოსის მკრეხელობამ უკიდურესად აღაშფოთა ქართველობა და დიდი მღელვარება გამოიწვია. ერის შვილახული ღირსების დაცვა დიმიტრი ყიფიანმა იტვირთა: მან

საპროტესტო წერილი გაუგზავნა ეგზარქოსს და უღირს მწყემს-მთავარს საქართველოს დატოვება მოსთხოვა.

ნაცვლად იმისა, რომ უღირსი მღვდელმთავარი გაეწვიათ, მთავარმართებელმა დონდუკოე-კორსაკოვმა 72 წლის დიმიტრი ყიფიანი დასაჯა და სტავროპოლში გადაასახლა. მოხუც მოღვაწეს ესეც არ აკმარეს და მიგზავნილ მკვლელთა ხელით 1887 წლის 26 აგვისტოს სიცოცხლეც მოუსწრაფეს.

სამშობლოსათვის თავდადებული მამული'შვილი დიდი პატივით ჩამოასვენეს და მისი ნეშტი მთაწმინდას მიაბარეს. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა ქართველმა ხალხმა თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო მძლავრ დემონსტრაციად გადააქცია.

კოლონიური პოლიტიკა თავის დაღს ასვამდა საქართველოში არსებულ სოციალურ ურთიერთობებსაც. პატრონყმობასა და სათავადო სისტემაზე დაფუძნებული ქართული ფეოდალური ურთიერთობა რუსულისაგან განსხვავებული იყო. „ხ'შირ შემთხვევაში სახეზე გვქონდა უბრალო პატრონატი, ყმა გლეხი მიწის მუდმივ მფლობელად ითვლებოდა; მკაცრად და სამუდამოდ იყო განსაზღვრული ბეგარა და სხვა აუცილებელი ვალდებულებანი, არცთუ იშვიათად იდებოდა წერილობითი ხელშეკრულებები და პირობები. ყმა გლეხებს ჰქონდათ უფლება საკუთარი მოთხოვნილებისათვის ესარგებლათ მემამულეთა ტყითა და საძოვრებით“ (ჯაველი'შვილი, 1986: 164-165). XIX საუკუნის შუა ხანებიდან, თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული სოციალური წყობის არსებითი ნიველირება და მისი იმპერიულ ბატონყმურ სტრუქტურასთან შერწყმა.

ბატონყმობის გაუქმებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაშიც, თუმცა, მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის პრინციპი არ გაუქმებულა. ძირითად საზოგადოებრივ კლასებად კვლავ თავადაზნაურობა და გლეხობა რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი დიდ ქონებრივ დიფერენციაციას განიცდიდა და კაპიტალიზმის განვითარების პარალელურად, არსებითად, მათიცვე წიაღიდან წარმოიშვებოდა ახალი სოციალური ფენები – ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ მართვა-გამგეობის სამე-მკვიდრეო პრივილეგიები დაკარგა, თუმცა თავადაზნაურობა უწინდებურად გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. რიცხვობრივად, ქართველი არისტოკრატია მთელი მოსახლეობის

4-5 პროცენტს არ აღემატებოდა, მაგრამ ეკონომიკურად და უფლებრივად, იგი დომინანტობდა. საქართველოს მიწა-წყლის უდიდესი ნაწილი დიდგვაროვანთა ხელში იყო მოქცეული. უმსხვილესი მიწათმფლობელნი იყვნენ თავადი ფალავანდიშვილები, ორბელიანები და ბარათაშვილები, მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვ.

თავადთა პოლიტიკურ შეუვალობას ძირს უთხრიდა სათავადო სისტემის მოშლა, სათავადო სახლების ოჯახებად გაყრა-დანაწევრება, ქონებისა და ადგილ-მამულის გამიჯვნა, რომელიც შლიდა პატრიარქალურ საერთო-სავგარეულო მიწისმფლობელობას და მემამულეებს ინდივიდუალურ მესაკუთრეებად აქცევდა. ეს მოყლენა თუ ერთის მხრივ ქართველი თავადების დამცრობას განაპირობებდა, იმავდროულად ხელსაყრელ პირობებსაც ქმნიდა სოფლად პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ფეოდალურ სინამდვილესთან შედარებით.

მრავალრიცხოვანი იყო საქარიველოს აზნაურთა ფენა, რომელსაც გაცილებით მცირე ყმა-მამული და მოკრძალებული შემოსავალი გააჩნდა. აზნაურობა, მართალია, ეკლესიისა თუ თავადთა ვასალური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდა და, რანგით ამაღლებული, თავადებთან ერთად რუს მემამულეპომეშჩიკებს გაუთანაბრდა, მაგრამ ამით მისი ქონებრივი შესაძლებლობა არ გაუმჯობესებულა.

მიუხედავად ამისა, თუ ადრე რუსული მმართველობის სამსახურში ქართული არისტოკრატიის უმნიშვნელო წარმომადგენლობა იმყოფებოდა, ეორონცოვის დროიდან ამ წოდების სწრაფვამ იმპერიის სამხედრო ასპარეზისაკენ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩოხა-ახალუხმა მოიხდინა და შეიყვარა რუსული პაგონები თუ ეპოლეტები. ასეულობით ქართველი თავადი თუ აზნაური მეფის არმიის გენერალი და ოფიცერი გახდა. დამპყრობლის დროშის ქვეშ ისინი თავდადებით იბრძოდნენ ცარიზმის ომებში და სახელს უხვეჭდნენ რუსულ იარაღს.

თავადი და აზნაური მოსახლეობის სხვა ფენებისაგან გამოირჩეოდა. თავისი წარმოშობით, აღზრდით, ცხოვრების წესით, მანერებითა და ჩაცმა-დახურვითაც კი. ეს დარდიმანდი ხალხი ახალ ვითარებაშიც ძველი ზნე-ჩვეულებით ცდილობდა ლელოს გატანას, არადა ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შემოჭრა და გაღრმავება სულ სხვა ალღოსა და უნარს მოითხოვდა.

ქართველი თავადაზნაურობა მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ სიახლისათვის და უნუგეშოდ ჩამორჩა დროს. მხოლოდ ერთეულებმა თუ მოახერხეს მეურნეობის ახალ ყაიდაზე გარდაქმნა, ქერჩპული ტექნიკის შეძენა და შრომის რაციონალიზაციის საფუძველზე წარმოების გაუმჯობესება.

მემამულეთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, როცა მას ყმა-გლეხობა ფაქტობრივად შემოეცალა, არსებობის სხვა ფორმა აირჩია და ხელი მიჰყო მიწების გაყიდვას. ყულზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, მიწა საქართველოში გაცხოველებული ვაჭრობის საგნად იქცა. მიწას ყიდულობდა სოციალური ფენის წარმომადგენლები ყიდდნენ, მაგრამ უფრო მეტად — თავადები და აზნაურები. მყიდველი ძირითადად ვაჭართა, მეეახშეთა, მრეწველთა და სხვ. არაქართულ წრეს განეკუთვნებოდა. მიწის გარკვეული ნაკვეთების შეძენას არცთუ იშვიათად გლეხებიც ახერხებდნენ.

ხშირი იყო ვალის სარგებელში მამულის დაგირავების შემთხვევები, რაც უმეტესად მიწის კრედიტორთა საკუთრებაში გადასვლით მთავრდებოდა. ასე რომ, მსხვილ მამულიანობას თანდათან ბოლო ელებოდა, ხოლო მცირე მამულის მფლობელნი კიდევ უფრო ღარიბდებოდნენ. წარმოიქმნებოდა მატერიალურად შეჭირვებული, ხელმოკლე აზნაურობის („კეთილშობილ ღატაკთა") და მიწის წურილმესაკუთრეთა მნიშვნელოვანი მასა.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის, საქართველოს ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე გასამმაგდა და 140 ათასს გადააჭარბა. ურბანიზაციის ტემპი კიდევ უფრო საგრძნობი იყო მომდევნო ათწლეულებში. გაიზარდა ქალაქების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ცხოვრებაში. შეიცვალა ქალაქის მკვიდრთა სოციალური შემადგენლობაც. დაირღვა ზღვარი წოდებათა შორის და განმსაზღვრელი არა წარმომავლობა, არამედ ქალაქელთა ქონებრივი მდგომარეობა და საქმიანობის ხასიათი გახდა. წარმოიშვნენ კაპიტალისტური საზოგადოების ახალი ფენები: ერთის მხრივ, საწარმოო საშუალებათა მფლობელნი, რომელსაც ბურჟუაზია ეწოდა და მეორე მხრივ, ნებით დაქირავებული მუშები (იგივე პროლეტარები). მომრავლდა ვაჭართა და საშუალო მეწარმეთა ე.წ წვრილბურჟუაზიული ფენა, გაიზარდა მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა და სხვ.

საქალაქო ცხოვრებაში გამოიკვეთა ისეთი სოციალური ელემენტის როლი, როგორიც იყო მოქალაქე. მოქალაქის წოდება

და პრივილეგიები მემკვიდრეობით გადაეცემოდა, თუმცა ქონებრივი თვალსაზრისით განირჩეოდნენ პირველხარისხოვანი, შეძლებული, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქეები. პირველხარისხოვანი მოქალაქენი ამ დროიდან რუსეთში არსებულ საპატიო მოქალაქის კატეგორიას გაუთანაბრეს. რამდენადაც თავადაზნაურობა ნივთიერად ღარიბდებოდა და ქვეითდებოდა, იმდენად მოქალაქეობა, როგორც წოდება, იხრდებოდა და ძლიერდებოდა.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას საქართველოში რიგი თავისებურება გააჩნდა. მაგალითად, აქ მისი დრნე არ ყოფილა მაღალი და მეორეც, ეროვნული ბურჟუაზია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები თითებზე ჩამოითვლებოდნენ (ძმები ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია და სხვ.), რაოდენობრივად და ქონებრივად დიდად ჩამორჩებოდა უცხოტომელ, განსაკუთრებით სომხური წარმომავლობის კაპიტალისტებს. თავისი სისუსტის გამო, განსხვავებით ევროპული ანალოგისაგან, ქართული ბურჟუაზია ვერ იქცა ერის მესვეურ ძალად. მან ვერ შეძლო, ჩანაცვლებოდა დაკნინების გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას და ვერც ქვეყნის განვითარების მესაჭეობა იტვირთა.

სპეციფიკური იყო ჩვენში მუშათა სოციალური მდგომარეობაც. სამრეწველო წარმოების გაფართოების კვალობაზე, რეფორმის შემდგომ პერიოდში, მუშათა ოდენობა შესამჩნევად გაიზარდა, მაგრამ რიცხობრივად იგი საქართველოს მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილს – 1,4%-ს არ აღემატებოდა (დაახლოებით 28-32 ათასი). ნებით დაქირავებულ მუშათა კატეგორიას გაკოტრებული წვრილი ხელოსნები, ქარგლები და შეგირდები, ასევე სოფლიდან აყრილი და ქალაქს შეკედლებული უღარიბესი გლეხები აესებდნენ. ეთნიკურად ქართველი ეროვნების მუშახელი ფრიად ჭარბობდა რუსეთიდან თუ ირან-ოსმალეთიდან შემოსულ მუშათა ერთობლიობას. ქართველი მუშების უმეტესობა ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწასთან და მთლიანად არ მოწყვეტოდა სოფელს. ეს გარემოება თავისებურად აისახებოდა მუშათა ფსიქოლოგიაზე და მათ ცნობიერებასაც გარკვეულ დაღს ასვამდა. სოფლად თუნდაც ერთი ციდა მეურნეობის ფლობა ქართველ მუშას მცსაკუთრის გრძნობით მსჭვალავდა და ამით ძირეულად განასხვავებდა მას ყოველგვარ ქონებას მოკლებული რუსი პროლეტარისაგან.

საქართველოს დაბალი წოდების სოფლის მცხოვრებთა შორის რეფორმამდელ პერიოდში რაოდენობრივად საბატონო გლეხები ჭარბობდნენ. მაღალი იყო სახა'ხინო გლეხთა, მოჯამაგირეთა თუ შინაყმათა რიცხვიც. გლეხთა ამ ფენებს ერთმანეთისაგან ბევრი რამ განასხვავებდა. მაგალითად, სახელმწიფო გლეხი გაცილებით ნაკლებად განიცდიდა ფეოდალურ ჩაგვრას და საბატონო გლეხებთან შედარებით, დამოუკიდებელი მეურნეობის განვითრებისათვის მეტი შესაძლებლობა გააჩნდა.

კამერალური აღწერის მონაცემები ცხადყოფენ, რომ სახელმწიფო გლეხთა საგრძნობი ნაწილი ესწრაფვოდა და კიდევაც ახერხებდა მიწის ნაკვეთების შესყიდვას. თბილისის გუბერნიაში გლეხთა ეს კატეგორია საშუალოდ 10,9 დესეტინა მიწას ფლობდა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში – 3,3 დესეტინას.

საგლეხო რეფორმამ ცვლილებები შეიტანა ყოფილ საბატონო ყმათა მდგომარეობაშიც. მრავალი მაიგანი ახლა მესაკუთრე გახდა და დაქირავებული შრომის გამოყენებით გარკვეული ქონებაც დააგროვა. თუმცა, კვლავაც დიდი იყო მცირემიწიან და საერთოდ, უმამულო გლეხთა ფენაც, რომელიც, სოფლად დარჩენის შემთხვევაში, იძულებული იყო, დაემუშავებინა სხვისი მიწა და მოსაველის მეოთხედი (ზოგჯერ ნახევარიც) ნაკვეთის მლიობელისათვის მიეცა. ვიდრე გლეხი მიწას არ გამოისყიდდა, ძალაში რჩებოდა ასევე ძველი გადასახადებიცა და ბეგარა-ვალდებულებანიც (ე.წ. დროებითვალდებულება). ახალი სოციალური ცვლილებები გლეხურ წიაღშიც ქონებრივ უთანასწორობას აღრმავებდა. გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკების პარალელურად, იზრდებოდა საშუალო და შეძლებულ გლეხთა (ე.წ. კულაკთა) რაოდენობაც. გამოანგარიშებულია, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოში საშუალო გლეხთა რიცხვი მთელი გლეხური მოსახლეობის 60 %-ს, უღარიბესი ფენა 35 %-ს, ხოლო „კულაკობა" 5 %-ს შეადგენდა (საქართველოს, 2004: 167).

თავისებურებებით ხასიათდებოდა ხიზან გლეხთა ცხოვრებაც. ხიზნები იურიდიულად, პირადად თავისუფლები იყვნენ, მაგრამ უმიწობის გამო, ამ თავისუფლებას ვერ ინარჩუნებდნენ და ისევ მებატონეთა უღელში ებმებოდნენ. მრავალი ათეული წლის განმავლობაში, ხიზნობა იბრძოდა იმ მიწებზე დასამკვიდრებლად, რომელსაც სარგებლობის უფლებით ფლობდა, მაგრამ ამაოდ.

აგრარული ურთიერთობების მოუწესრიგებლობა, დროებითვალდებულების გაჭიანურება, მიწის საიჯარო ღირებულების განუწყვეტელი ზრდა, სახელმწიფო და სხვა გადასახადების მატება გლეხთა მდგომარეობას აუარესებდა. წოდებათშორისი წინანდელი მშვიდობიანი თანაცხოვრება, რომელიც რუს მოხელეებსაც აღინიშნული აქვთ (Русский 1892: 98), თანდათან მიწისმფლობელ მემამულეთა და გლეხობას შორის შეურიგებლობასა და დაპირისპირებაში გადაიზარდა. საქართველოს ადგილობრივ ადმინისტრაციას გლეხობის მემამულეთა სრულ მორჩილებაში მოქცევა დაეკალა და საამისოდ სამხედრო ეგზეკუციების ნებაც დაერთო. ეგზეკუციებს მანამადეც მიმართავდნენ, მაგრამ ეს თვითნებურად ხდებოდა. 1842 წელს კი გამოცემულ იქნა სამხედრო მინისტრ ა. ჩერნიშევის ცირკულარი, რომელიც ამის ნებას ოფიციალურად იძლეოდა (ჯაყახიშვილი, 1986: 162-163). ქართველ თავადაზნაურობას, მსგავსად რუსი თავადაზნაურობისა, თავიანთი ყმა გლეხების ჯარში გაწვევების ან ციმბირში გადასახლების უფლება მიეცა (АКАК 1881: 8). ჰსე, რომ, ბატონყმობის მოდელმა საქართველოში არსებითად რუსული ნიშან-თვისებები შეიძინა.

საბატონყმო რეფორმის შედეგად, გლეხობამ ყმობას თავი დააღწია და იურიდიული თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ აგრარული საკითხი მათ სასარგებლოდ არ გადაწყვეტილა. ამიტომაც იყო, რომ გრძელდებოდა მიწას მოწყურებულ გლეხთა მღელვარება და საპროტესტო გამოსვლები. 1873-1876 წლებში სამეგრელოს სოფლები გლეხთა აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული. 1875–1876 წლებში აბობოქრებულ თავისუფალ სვანეთს რუსული ხელისუფლება არნახული სისასტიკით გაუსწორდა: დამსჯელმა ექსპედიციამ ძირისძირამდე დაანგრია და გალაწვა სოფელი ხალდე. 1878 წელს სამხედრო ძალის გამოყენებით ჩაახშეს ქიზიყის გლეხთა აჯანყება და სხვა.

სოციალური გათიშულობა და წოდებათა შორის ხიდჩატეხილობა, კოლონიურ უღელთან ერთად, დიდად აბრკოლებდა ქართველთა ეროვნულ ერთიანობას. ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „თავადს აზნაური სძულდა, აზნაურს თავადი, გლეხს ორივე“. ამ ტრადიციულ წინააღმდეგობას რეფორმის შემდგომ ხანებში კიდევ ერთი დაპირისპირება დაემატა, ამჯერად - მეწარმეებსა და მუშებს შორის და არც გამდიდრებულ ყოფილ გლეხთა ურთიერთობა ყოფილა მშვიდი სოფლად, თავიანთ გუშინდელ თანამოძმეებთან. მოწინავე ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ,

შეუნელებინათ სოციალური უთანასწორობის სიმძაფრე, ვიდრე საუკუნის ბოლოსათვის გამოჩნდებოდა ახალი პოლიტიკური ძალა – სოციალ-დემოკრატიის სახით, რომელმაც ხსენებული პრობლემის გადაჭრა სხვა, კლასობრივი ბრძოლის, გალრმავებითა და რევოლუციის გზით დააპირა.

დამოწმებანი:

ჩხეტია 1940: ჩხეტია შ. რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801-1840 წ. წ.), ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე, თბ., 1940, ტ 8

კომახია 2007: კომახია მ. საქართველოს ეთნიკური რუკის ფორმირება, ჟურნ. „სოლიდარობა", 2007, № 16-17.

ჯავახიშვილი 1986: ჯავახიშვილი ი. პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის საქართველოში, ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", 1986. № 2-3.

საქართველოს 2004: საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2004.

Русский 1892: Русский архив, 1892, кн. II, ч. 5.

АКАК 1881: АКАК, т. VIII, Тифлис 1881, № 8.

ქეთევან ელაშვილი

ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პიროვნებანი

„ისტორიული ფიგურები არ
ქმნიან ისტორიას – ეს
ჭეშმარიტებაა, მაგრამ
თავისთავად, ისტორია არ
იქმნება ისტორიულ ფიგურათა
გარეშე – ეს რეალობაა".
სერჟ მოსკოვიჩი

წინათქმა

ერთი ცხადია, რომ ქაცობრიობის ისტორია ისტორიულ ფიგურათა გარეშე საოცრად უინტერესო და ერთფეროვანი მოგეჩვენებოდა. მართალია, უმეტეს შემთხვევაში ხალხის სახელით ხდებოდა ხმამაღალი „ისტორიული განცხადებები", მაგრამ ლეგიტიმური თუ ქარიზმატული ლიდერებისათვის ხალხი მარტოოდენ ერთგვარ „იარაღს" წარმოადგენდა და ისინი ზედმიწევნით კარგად ფლობდნენ ხალხის მართვის ფსიქოლოგიურ ბერკეტს. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ემოციური იმპულსის ზედა ზღვარზე იწყება ხოლმე ნებისმიერი ისტორიული პერიპეტიები, – ოღონდ საწყის ეტაპზე მითოლოგიზებული პოზიტიური ელფერით.

მითი აუცილებელი წინა პირობაა „პოლიტიკური მუხტის" გასაღვივებლად, რომელიც პოლიტიკურ ლიდერთა მიერ წინასწარ მოფიქრებული „პოლიტიკური რწმენაა", – პროეცირებული არა გონებრივი საწყისით, არამედ სიმბოლური თვალსაწიერით...

გამორჩეული ისტორიული პირები (პოზიტიური თუ ნეგატიური ელფერის), არა აქვს მნიშვნელობა მათ რა სახელდებით მოვიხსენიებთ, როგორც ბელადებს თუ დიქტატორებს, ერთი ნიშნით არიან მსგავსნი; ისინი თავისსავე სიცოცხლეში ქმნიან საკუთარ ლეგენდებს და წინასწარ გამოგონილ „პოლიტიკურ ყალიბებთან“ ახდენენ თვითიდენტიფიცირებას. ამგვარი ისტორიული ფიგურები ფლობენ განსაკუთრებულ პიროვნულ ხიბლს – ქარიზმას, რომლის ძალითაც, უპირობო თაყვანისცემითა თუ ბრმა მორჩილებით, იწამლება ხოლმე საზოგადოება. ეს იგივე განუზომელი „აუტორიტეტის შარაეანდედია“, ყოვლისმომცველი რწმენაა და მტკიცე ნებელობა, რომელიც თავდაპირველად გამოიკვეთა ფრანგულ კულტურაში, შემდეგ ის გაჟღერდა გერმანულ მსოფლხედვაში და მხოლოდ ამერიკულ პოლიტიკურ აზრში მოხდა მისი საბოლოო სახელდება – ქარიზმის სახელწოდებით. ჰეიუდის განმარტებით, „ქარიზმა არის შარმი ან პიროვნული ხიბლი; უნარი, აღძრა სხვებში ერთგულება, ემოციური დამოუკიდებლობა ან თაყვანისცემაც კი“. ისტორიული ფიგურა ქარიზმის ანუ „პოლიტიკური შარმის“ წყალობით ახდენს საზოგადოების დიდი ნაწილის მონუსხვას, რისთვისაც მიმართავს საკუთარი თავის მითოლოგიზაციას.

ეს ტენდენციები გაცილებით თვალშისაცემი გახდა „ლიბერალიზმის ეპოქაში“, რადგან წინარე ეპოქებში ისტორიულ ფიგურათა უმეტესი ნაწილი სამეფო პირები იყვნენ, რომელთა დინასტიურ საკრალიზების ერთ-ერთ წინა პირობას სწორედ ქარიზმის ელემენტები წარმოადგენდა.

ლიბერალიზმმა, როგორც პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, XIX საუკუნეში მოახდინა ქრესტომათიული ანუ კანონიკური „დინასტიური მითების“ რღვევა და დააკანონა ისტორიულ პირთა „თავისუფალი დაბადება“. თავისუფლების „ლიბერალური დიაპაზონის“ აღსაქმელად აუცილებელია თავად ლიბერალიზმის ისტორიული დისკურსი. უფლისგან ბოძებული „თავისუფალი ნება“ კაცობრიობის ცხოვრების (ისტორიის) მარადიულ, თანამდევ „ზნეობრივ მდევრად“ იქცა და მხოლოდღა XIX ს-ში შეიძინა კონცეპტუალური მნიშვნელობა – ლიბერალური მსოფლმხედველობის სახით. ლიბერალიზმი, რომანტიზმისა არ იყოს (წინარე არქეტიპული არსებობის მიუხედავად), უპირველეს ყოვლისა, ევროპული სულისკვეთებითა თუ ფასეულობებითაა ნასაზრდოები.

„ლიბერალიზმი“ პოლიტიკურ არსს იძენს 1812 წელს, – ესპანეთში, ხოლო მოგვიანებით კი, – „უკვე XIX ს-ის 40-იან წლებში ამ ტერმინით მთელ ევროპაში ფართოდ აღინიშნებოდა პოლიტიკურ იდეათა განსაკუთრებული ერთობლიობა“ (ჰეივუდი 2004: 28).

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალური იდეები თავისი არსით ჰუმანურია (მას ლათინური ძირი აქვს და, როგორც მოგეხსენებათ, თავისუფლებას ნიშნავს), მაგრამ ამ იდეათა დასამკვიდრებლად ზოგჯერ რევოლუციური ამოფრქვევებიც იყო საჭირო. დასრულებული სახით „ლიბერალიზმი“ მხოლოდ XIX საუკუნემ წარმოშვა; მაგრამ ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ლიბერალური სულისკვეთების იყო მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის რევოლუცია (1688 წელი) და მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთის რევოლუცია – 1789 წლის (ასევე ამერიკის რევოლუცია – 1775-83 წლებისა).

სანამ ევროპის პოლიტიკური ცნობიერება ლიბერალურ იდეოლოგიაზე გადაეწყობოდა (ეს მოხდა XIX საუკუნეში; როგორც ვნახეთ, – გაცილებით ადრე დაიწყო მონარქიის აბსოლუტური ძალაუფლების რღვევა – „მეფეთა დინასტიურ, ღვთაებრივ უფლებას“ დაუპირისპირდა ფილოსოფიურ-პოლიტიკურად არგუმენტირებული ადამიანთა უზენაესი ფასეულობა – თავისუფლება.

ლიბერალიზმის განვითარების ადრეულ ეტაპზე თავისუფლება, როგორც ბუნებრივი უფლება ისე იყო გაგებული. შემდგომში კი თავისუფლების დიაპაზონი ერთობ შემჭიდროვდა ანუ აბსოლუტური თავისუფლება ერთადერთ პირობამდე იქნა დაყვანილი – ადამიანს შეეძლო მხოლოდ საკუთარი ნიჭის, ცოდნისა და პოტენციალის შეუზღუდავი ფლობა გამოყენება.

XIX საუკუნის ისტორიულმა მოვლენებმა ლიბერალური იდეოლოგიის განვითარების გარკვეული ბერკეტებიც კი შეიმუშავეს პოლიტიკური კანონზომიერებების შესანარჩუნებლად, ერთ-ერთი ასეთია ჯონ სტიუარტ მილის პოლიტიკური თხზულება – „თავისუფლების შესახებ“ (On Liberty, 1859), სადაც პიროვნების თავისუფლების უმცირესი შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როცა ის სხვებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ანუ უსაზღვრო თავისუფლება ნებისმიერი საზოგადოებისთვის შეიძლება ერთგვარ საშიშროებადაც კი იქცეს.

ლიბერალური იდეოლოგიით თავისუფლების არსი უშუალოდ უკავშირდება თავისუფალ აზროვნებას, – „გონების ხანას“,

რადგან სწორედ დიდმა განმანათლებლებმა (ჟან-ჟაკ რუსო, იმანუელ კანტი, ადამ სმითი, ჯერემი ბენთაიმი) „მოაზროვნე გონების“ რწმენას დაუქვემდებარეს საზოგადოების „პოლიტიკური ხნე“. რამაც ლიბერალიზმში განავითარა სწრაფვა პროგრესისაღმი. ამიტომაც, საზოგადოების ლიბერალური ცნობიერება აღიარებს მორალურ, კულტურულ, პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, როგორც „იდეათა ლაქმუსს“. ლიბერალური სულისკვეთება ასევე ყოველად წარმოუდგენელია შემწყნარებლობის გარეშე, რომლის ქრესტომათიული ფორმულა ვოლტერის მიერ იყო დეკლარირებული: „მძაგს, რასაც ამბობ, მაგრამ საფლაყის კარამდე დაგიცავ შენს უფლებას, თქვა შენი სათქმელი“.

ლიბერალიზმის ცნება, თავისი განვითარების პირველ ეტაპზე, საზოგადოებრივი ცხოერების ფილოსოფიასაც ნიშნავდა, რადგან საზოგადოების მართვა ხდებოდა საზოგადოებისვე წევრთა ნებაყოფლობითი და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის გზით, რასაც „კლასიკურ ლიბერალიზმსაც“ კი უწოდებენ. თავისი არსით „ლიბერალიზმი“ წარმოადგენდა იმ მრავალგანზომილებიან მოძღვრებათა ერთიანობას/ნაკრებს, რომელნიც აცნობიერებდნენ თავისუფლებას ყოფიერ სამყაროში.

ამიტომაც იყო, რომ, ხშირ შემთხვევაში, „შეუსღუდავი აზროვნების“ ფილოსოფიური დოქტრინები სახელმწიფოთა „პოლიტიკური რეჟიმების“ მიზეზი ხდებოდა. რადგან სახელმწიფო თავის არსში მოიცავდა, როგორც ლიბერალური სულისკვეთების წარმოშობას, ასევე დესპოტური მართვის საბედისწერო მარცვლის გაღივების საფრთხეც მასშივე იყო კოდირებული. ამ კოდის მოხსნის „ფუნდამენტური გზა“ მაინც განმანათლებლობის ეპოქაში იწყება. თუმცა ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თავისი არსებობის მამკვიდრებელ ნაბიჯებს XIX საუკუნეში დგამს და კლასიკური სახით ფორმირდება.

ასე და ამგვარად, – ფილოსოფიური ცოდნით თუ „პოლიტიკური ბაკვეთილებით“ აღჭურვილმა ევროპამ შეაბიჯა XIX საუკუნეში და პიროვნების თავისუფლების ორი გზა აირჩია; ერთი სულიერი, – მიწიერი ვნებათაღელვიდან მედიტაციური თვით შეცნობით გამოსვლა ანუ რომანტიზმი. მეორე კი – ძლიერი ნებელობა და არა მარტო „სულიერი ამბოხით“, არამედ „პოლიტიკური ამბოხითაც“ საკუთარი „თავისუფლების“ მოპოვება. ეს კი უკვე ლიბერალიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის გაერცელების საწყისი ეტაპი იყო მთელ ევროპაში.

მაგრამ ყველაზე ქრესტომათიულ პოლიტიკურ თხზულებად მაინც ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) „მთავარი“ გვევლინება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპაში „პოლიტიკური ანბანის“ შექმნას. ამასთანავე, სწორედ მაკიაველის შეხედულებები იქცა გამორჩეულ პოლიტიკურ პირთა სულისკვეთებად, რჩისი პოლიტიკური ილუსტრაციაა სულ ახლახანს აღმოჩენილი და გამოცემული ნაპოლეონ ბონაპარტის კომენტარები მაკიაველის „მთავარზე“.

XIX საუკუნის ევროპა საკმაოდ მდიდარია ისტორიულ ფიგურათა მიერ ინსპირირებული პოლიტიკური დინებებით (პოსიტიური თუ ნეგატიური მიმართულებისა). ამ „დინებებს“ ვერც საქართველომ აუქცია გვერდი.

ლიბერალიზმის ევროპული წარმომავლობა თუ არსი ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაშიც სწორედ გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურათა მითოლოგიზაციის გზით დამკვიდრდა. ბუნებრივია, – ამ პროცესს წინ უძღვოდა ამ პირთა სიმბოლურ პორტრეტთა წარმოშობაც; რასაც, თავის მხრივ, ამძაფრებდა ჩვენი ისტორიული სწრაფვა ევროპული ფასეულობებისადმი და საკუთარი კულტურული თუ ისტორიული ბიოგრაფიის არსებობაც...

იუმცაღა, იმავდროულად, თავისებური „პოლიტიკური მისტიკაც“ იკვეთება: პარადოქსია, რომ ქართულ სინამდვილეში ლიბერალური ტენდენციები სწორედ ყველაზე არალიბერალური ევროპული სახელმწიფოდან – რუსეთის იმპერიიდან შემოიჭრა და, შესაბამისად, აქ ლიბერალიზმს თავისი დამკვიდრების გზაზე სრულიად განსხვავებული პოლიტიკური კულტურა (უფრო ზუსტი თუ ვიქნებით – „აპოლიტიკური კულტურა“) და ეროვნული ინფანტილიზმი დახვდა; აქ ისტორიული პერიპეტიები ზედმეტად მითოპოეტიზირებული იყო, ხოლო ცხოვრებისეული დრამები კი მკაცრი ზნეობრივი ცენზურის ქვეშ მოქცეული.

ამგვარ „ენაზე“ მეტყველებდა XIX საუკუნე ქართველთათვის (თუმცაღა, ეს ხელწერა არც XXI საუკუნისათვისაა უცხო – ქ.ე.)...

სახელმწიფოებრივ ცნობიერებას მოწყვეტილი ერი (1801 წლის ანექსიის ეროგვარი დამღა – ქ.ე.) რეალობიდან თავის გახიზვნით იყურებდა ისტორიულ ტკივილს და მხოლოდღა, – გამორჩეულ პოლიტიკურ ფიგურათა სიმბოლურ პორტრეტთა თვალმიდევნებით, ხოგჯერ ისტორიულ ბედისწერასთან კვლავ შეჯიდების სურვილი უბრუნდებოდა წამიერ.

სიმბოლურ პორტრეტთა „პოლიტიკური ალბომის“ ქართული ვერსია კი ამგვარია: ევროპული გაფორმა – გარიბალდი, მაძინი, კოშუტი; რუსული „აქცენტები“ – ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გერცენი; და თქვენ წარმოიდგინეთ, ლათინოამერიკული ნანართიც კი – სოსე მარტი.

ჯუზეპე გარიბალდი (1807-1882)

„ეს იყო უცნაური დრო. ეს იყო გარიბალდის დრო. ეს იყო იტალიის დრო. მაშინდელ თბილისში... გიჟქარდა გარიბალდიც, გიჟქარდა იტალიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის. თბილისში მაშინ მოდაში იყო გარიბალდური ქუდი. ბევრ ადამიანს სახლში ეკიდა გარიბალდის ფოტო. მოდიოდა ათასგვარი ნამდვილი თუ ტყუილი ამბავი იტალიიდან გარიბალდელთა ომების შესახებ...“

აკა მორჩილაძე

XIX საუკუნის „ლიბერალური სულისკვეთების“ ქვეშ იმპულსური ამოფრქვევა იტალიაში მოხდა, და „ეროვნული თვითაალების“ ცეცხლი მოედო მთელ ევროპას. ვინც კი იცნობს ჯუზეპე მაძინის პოლიტიკური კონცეფციების მასშტაბს, უთუოდ, პირველი გაფიქრებით, „იტალიურ ფენომენს“ სწორედ მის სახელს დაუკავშირებს. არადა, ის რევოლუციური პათოსი და ერთიპიროვნული გამარჯვების პათეტიკა, რომელმაც ზოგად-ევროპული ხასიათიც კი შეიძინა, მხოლოდ და მხოლოდ, ჯუზეპე გარიბალდის სახელთან ასოცირდება.

ჩვენი „ევროპული ცნობისწადილიდან“ გამომდინარე, გარიბალდის სახელი XIX საუკუნის საქართველოში უმალ გაითავისეს. ასე წარმოიშვა „ქართული გარიბალდიანაც“: „მრავალთა შორის გარიბალდის ქართველი თაყვანისმცემლებიც ჰყავდა, იგი ქართველთა გმირიც იყო და ამისთვისაა, რომ XIX საუკუნის

ქართული პრესა გარიბალდის ცხოვრებისა და ბრძოლის გზას დაწვრილებით აცნობდა ქართველ მკითხველს... პირველი სიტყვა მასზე ჟურნალმა „ცისკარმა“ თქვა 1862 წელს, როცა დაიბეჭდა რედაქციის განსრახვა გარიბალდის ერცული ბიოგრაფიის გამოქვეყნებისა, რასაც მოჰყვა იმავე წლის დეკემბრის ნომერში „რამდენიმე ცნობა გარიბალდზე“ და 1862 წლის ოთხ ნომერში „გარიბალდის ცხოვრება“ ანტონ ფურცელაძისა. ამ დროს ილია ჭავჭავაძეს დაწერილი ჰქონდა თავისი — „მესმის, მესმის სანატრელი“ (ეს ლექსი 1860 წლის 29 ივლისითაა დათარიღებული, ხოლო იმავე წლის 10 ივლისს შედგა გარიბალდის მნიშვნელოვანი ბრძოლა...); გარიბალდი მაღალი სულიაო, აცხადებდა ნ. ნიკოლაძე... სერგეი მესხი 70-იანი წლების დასაწყისში პარიზს იყო, იქიდან ეკატერინე მელიქიშვილს ეხმიანებოდა და გარიბალდის ამბებს აცნობდა... 1874 წელს მან დაბეჭდა წერილი „დროებაში“ (1874 წ., № 19-21) „იოსებ გარიბალდი“ (ეს წერილი ასევე სახელდებული იყო „დიდი კაცები“ — ქ.ე.)... ი. მანსვეტაშვილი უცხოეთში ყოფნისას (1888 წ.) „იუერიის“ მკითხველს აცნობდა გარიბალდის ოჯახის წევრებს... „იუერიაშივე“ დაიბეჭდა ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილი გარიბალდისა და კოშუტის შესახებ... დავით მიქელაძე-მეველე „დროების“ მკითხველს 1873 წელს აცნობდა იმ კამაიის მიმდინარეობას, რაც საფრანგეთის ეროვნულ კრებაზე გამარჯულა გარიბალდისთან დაკავშირებით. რაც მთავარია, დ. მიქელაძემ სრულიად შემთხვევით გაიცნო გარიბალდი პირადად... გარიბალდის დიდ თაყვანისმცემლად დარჩა ანტონ ფურცელაძე... ქ. რომს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს „ანტონის ახირებით“ (გარიბალდის გარდაცვალების გამო — ქ.ე.), რომელიც ოცდათხუთმეტი პირისაგან იყო ხელმოწერილი... (სუციშვილი 1982: 16).

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა მიერ გარიბალდის ღვაწლის ჯეროვანი შეფასება (მით უფრო — გარდაცვალების მერე, ეს ხომ ქართული ხასიათია...) სწორედ ამ „სამძიმრის ტელეგრამითაა“ გაცხადებული: „პატივისმცემელნი ხალხთა დიდებული განმათავისუფლებელისა, ყველა დროების დიდი მოქალაქის ჯუზეპე გარიბალდისა, თქვენის პირით მთელ იტალიის ერს უცხადებთ, რომ ამ კეთილშობილის გენიოსისა და ადამიანის უფლებისათვის დაუღალავ მებრძოლის სიკვდილმა იმგვარადვე შეგვაძრწუნა ჩვენ, როგორც შეძრწუნებულია ამჟამად მთელი კეთილშობილი ერი იტალიისა“.

ეს დეპე'შაც კი ცხადყოფს, თუ საქართველო'ში რამდენად იყო გათავისებული გარიბალდის ფენომენი და ამიტომაც, საკვებით ბუნებრივია, ის „გადმოქართულების ტენდენციებიც", რაც გარიბალდის სახელთან დაკავ'შირებით იკვეთებოდა; თუნდაც სერგეი მესხის მიერ ჯუზეპე გარიბალდის – იოსებ გარიბალდად „მონათლა", ანდა ივანე გომართელის 1905 წელს გამოცემული წიგნი – „ჯუზეპე გარიბალდი". ივანე გომართელი ყველა'ზე მნი'შვნელოვან ეპიზოდებში სწორედ „ქართულ შეფერილობას" იყენებს. ასე მაგალითად, XIX საუკუნის იტალიის დანაწ'ევრებას ქართველი მკითხველისათვის ამგვარად ხდის გასაგებს; „იტალიის მკვიდრ მცხოვრებლებს შეადგენენ იტალიელები. იტალიის სხვა და სხვა კუთხე'ში ისინი სხვა და სხვა სახელს ატარებენ, მაგრამ ყველა ერთი ჩამომაელობის არის, ისე როგორც იმერლები, ქართველები, კახელები, რაჭველები, სვანები, მეგრელები, გურულები, აჭარლები და სხვანი ერთი მოდგმისანი არიან და ერთ ერს, ქართველებს, შეადგენენ (გომართელი 1905: 5). გარიბალდის განუმეორებელი ანიტას (ცოლის, მეგობრის, თანამებრძოლის) გომართელისეული ინტერპრეტაცია კი ამგვარია: „...ანიტა გარიბალდის მხოლოთ მამულსა და შვილებს აბარებდა... – „გული'ს უკანასკნელ ცემამდე შენს წმინდა დანი'შნულებას ემსახურე; შვილებსაც უპატრონე და კარგ გზაზე დააყენე, რომ შენს შემდეგ მამული'ს სამსახური მათ განაგრძონ". ეს იყო მამულისათვის ტანჯული ქალის სიტყვები. ამაყე სიტყვებით განუტევებდნენ ხოლმე სულს უწინ ჩვენი ქართველი დედები..." (გომართელი 1905: 32).

ბატალური ეპიზოდების სიმძაფრისათვის კი, გომართელი გარიბალდისა და მეფე ერეკლეს სახელებს ერთგვარად აწ'ყვილებს კიდეც; „როდესაც ნეაპოლიტანის სამეფოც აჯანყდა... გარიბალდიმ მცირეოდენის ამალით ნეაპოლიტანის ჯარს გზა შეუკრა. გარიბალდიმ, როგორც მეფე ერეკლემ იცოდა (გაცხარებული ბრძოლის დროს ის ცხენიდამ გადმოაგდეს, ყველას მოკლული ეგონა, მაგრამ მარდად მოახტა ცხენს), გაჭირვების დროს, მეორე ხელში ქუდი ააფრიალა იმის ნი'შნათ, რომ ცოცხალი ვართ და მტერს დაურბინა" (გომართელი 1905: 29).

როგორც იტალიისათვის გარიბალდი იყო „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი" (გომართელი 1905: 26) - ქართველ ერსაც ამგვარი ეროვნული გმირის – მესიის მოლოდინი ჰქონდა მარადჟამს.

„ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის იდეებმა, იღია ჭავჭავაძე გაიტაცა ჯერ კიდევ ჭაბუკობის ხანა'მი. ახლგა'ხრდა

პოეტი ოცნებობდა იტალიის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ბელადის გარიბალდის რაზმში ჩაწერაზე..." (აბზიანიძე 1959: 38). ილია ჭავჭავაძეც ცდილობდა ერში „გმირის აღმოცენებას", იქნებოდა ეს „ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანში მწოლიარე ვაჟკაცი სახელოვანი"..., თუ ის „სამოქალაქო ნება", რომელსაც „ზნეობრივი ნიადაგი" უნდა მოემზადებინა „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლას" გადაჩეული ერისათვის.

იტალიის „პოლიტიკური მაგალითით" ილია, გარკვეულწილად, ცდილობდა ქართული ეროვნული სპექტრის ერთგვარ განზოგადებასაც: „მეოთხე სახელმწიფო (ილიას წერილი – „ევროპა 1886 წელს"), რომელსაც ესლანდელის საქმეთა მიმდინარეობაში ხმა აქვს ცოტად თუ ბევრად გავლენიანი, იტალია არის... მრავალმა თავისი საკუთარი ბედნიერება მტლად დაუდო ამ დიდს საქმეს შეერთებისას... ამ შეერთების მახლობელი განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კაცური და მეორე გარიბალდი. პირველი ჭკუა და მეორე – „ხმალი იტალიისა". ისეც ილია („გავლილი წელიწადი ევროპაში" – 1883 წ.) - „გარიბალდისთანა კაცები უნათებენ ადამიანს ერთობ გამშრალგაციებულ გრძნობას და უჩვენებენ იმას ნამდვილ გზას წინმსვლელობისა და წარმატებისა". ამასთანავე, ილიამ თითქოსდა იწინასწარმეტყველა საკუთარი ბედისწერაც, როცა 1883 წელს წერდა („შინაური მიმოხილვა"); „იქ ევროპაში, ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითეულის თანამემამულისაცა ცალკედ... ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონება ახილებულია"... ქართულ სინამდვილეში კი, თანაგანცდისა თუ თანაალფრთოვანების ფენომენი, რატომღაც ჩამქედარი იყო (სამწუხაროდ, არც XXI საუკუნეშია ამ მხრივ პროგრესი – ქ.ე.). საერთოდ, XIX საუკუნეში, „ისტორიული ბედის" გარკვეული თანამსგავსება არსებობდა საქართველოსა და იტალიას შორის. ამიტომაც იყო ქართველ ერში ჯუზეპე გარიბალდის ამგვარი მიმღებლობა.

მაგრამ, მაინც რა იყო გარიბალდის „მსოფლიო ხიბლის" – განუზომელი ქარიზმის მიზეზი?! რამ გადააქცია ეს ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი საყოველთაო საკულტო ფიგურად?! ჯუსეპე გარიბალდი იყო რბილი, მგრძნობიარე და გულისხმიერი ადამიანი. ძალიან ადვილად შეეძლო გარშემომყოფთა გულის მონადირება და ყურადღების ცენტრში ყოფნა. ამას თავისი უშუალობითა თუ გულწრფელობით ახერხებდა და

კიდევ, – რაღაც უჩვეულო ენერგიას ფლობდა, რომლის წყალობითაც მის „რჩეულობას თანამებრძოლებიცა თუ მოწინააღმდეგენიც აღიარებდნენ.

თავად გარიბალდი კი, ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებებსა თუ ღირსებას, მხოლოდ და მხოლოდ, მშობლების კეთილ საწყისს მიაწერდა. ამის შესახებ ის „მემუარების“ პირველსავე გვერდებზე წერდა. „სანამ მე დავიწყებდე ჩემი ცხოვრების შესახებ თხრობას, მინდა გაგიხსენო ჩემი კეთილი მშობლები; რომელთა სულიერებამაც და საოცარმა სითბომ განსაზღვრა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბება“ (გარიბალდი 1966: 14). მშობლებთან სათუთი დამოკიდებულება საგანგებოდ აქვს ხაზგასმული „გარიბალდის ცხოვრების“ ქართველ ავტორსაც: „კაპრერის კურძულზედ სამ-თვალი ოდა ედგა... ლოგინის თავთან დედის სურათი ეკიდა, რომელსაც გარიბალდი ყველას დიდის აღტაცებით აჩვენებდა“ (გომართელი 1905: 37).

წარმოუდგენელია, წერდე გარბალდიზე და არ გაგახსენდეს მისი შემთხვევითი მსხვერპლი – „ცნობილი ჭრიჭინა“, რომელსაც პატარა ჯუსეპეს გაუფრთხილებლობით ფესი დაუსიანდა. და შემდგომ ის თეითვეემა - „ოთახში ჩაკეტვა და დიდხანს, დიდხანს გულამოსკვნილი ტირილი...“ ბავშვობის დროინდელი „ცრემლები“ შეიძლება ეს ერთგვარი „ინიციაციაც“ იყო... მომავალში ხომ, –. ამ „კეთილ გულს“ ყველა ღირსებააყრილი უნდა დაეცვა მთელ მსოფლიოში (ეროვნული ჩაგვრა ყველაზე მეტად აკნინებს ადამიანის ღირსებას – ქ.ე.).

ჯუსეპე გარიბალდის ერთ მოწოდებაზე, მთელი 35 წლის განმავლობაში, ათჯერ მაინც მოუწყო მასშტაბური შეიარაღებული მოძრაობა – ერთიანი იტალიის წმინდა სახელით. რამაც გარიბალდი აქცია ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ.

სრულიად ახალგაზრდამ, ბედისწერის კარნახით, გარიბალდიმ მიიღო „პოლიტიკური ნათლობა“, გახდა რა მაძინის მიერ დაარსებული „ახალგაზრდა იტალიის“ წევრი. შესაბამისად „მოიწამლა“ რესპუბლიკური იდეებით; და მას შემდეგ, ყოველთვის ღრმად სწამდა, რომ სახელმწიფოს მართვის ყველაზე საუკეთესო ფორმას სწორედ რესპუბლიკა წარმოადგენდა.

გარიბალდის „პოლიტიკური ცხოვრების“ პირველი ნაბიჯი („საეოიას ექსპედიცია“), სამწუხაროდ, მისთვის სასიკეთილო განაჩენითა და სამშობლოდან გადახვეწით დასრულდა. გარიბალდი სწორედ იმგვარი პიროვნება იყო, რომელმაც (ეს იყო 1834-1848 წლამდე) „სამშობლოს ხსნის პათოსი“ სამხრეთ ამერიკის

განმათავისუფლებელ „მოძრაობებში“ ერთნაირად გამოაელინა. აქ, ის დაეუფლა პარტიზანული ბრძოლის ხელოვნებას და მოთმინებით ელოდებოდა იმ „საუკეთესო დროს“, როცა შეძლებდა სამშობლოში დაბრუნებას.

გარიბალდს თავისი ცხოვრების „სამხრეთამერიკული“ პერიოდი“ არც „მემუარებში“ დაეწყნია. იტალიის გამორჩეული ეროვნული გმირისათვის ეს იყო ერთობ საამაყო „ბიოგრაფიული ფურცელი“... თავის დიდ სიყვარულს ანიტას (ერთგულ მეუღლეს, თანამოაზრესა და თანამებრძოლს...) ხომ იქ, ბრაზილიაში შეხვდა; „ქალს, რომლის გამბედაობისაც ზოჯერ შურდა კიდეც გარიბალდის... ის ცხოვრებაში ეძებდა მხოლოდ იმგვარ ქალს, რომელიც საყვარელი არსებაც იქნებოდა და მთელი ცხოვრება მეგობრობასაც გაუწევდა... გარიბალდისთვის ქალი (სხვათა შორის, გარიბალდიელთა შორის იბრძოდა ერთი ქალიც – ცნობილ „ათასეულში“ იყო როზალია მონტმასონი, ფ. კრისპის მეუღლე) ხომ ამქვეყნად ყველაზე სრულყოფილი ქმნილება იყო...“ (მემუარები 1966: 52).

გარიბალდის „სამხრეთამერიკულ ბრძოლებს“ თვალყურს მთელი „რევოლუციური იტალია“ ადევნებდა და, როცა დადგა შესატყვისი მომენტი და „რევოლუციურმა დუღილმა“ პიკს მიაღწია, ჯუზეპე გარიბალდი დაბრუნდა იტალიაში. თავისი „მეამბოხის ენება“ და მხედართმთავრული ტალანტი გარიბალდიმ გამოაელინა სწორედ რომის რესპუბლიკის დაცვისას (1849 წელს).

ამიტომაც ამავე წლითაა დათარიღებული გარიბალდის შემდეგი ჩანაწერი (რომელიც ძლიერ გვაგონებს „მაძინის რომს“...): „რომი! ის ჩემთვის წარმოადგენს მსოფლიოს დედაქალაქს... რომი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული იტალიის აღორძინების იდეა. რომი – ესაა ჩემი ცხოვრების მთავარი აზრი...“

რომისთვის გადამწყვეტი ბრძოლა 1849 წლის 30 აპრილს დაიწყო, როცა მისკენ დაიძრა საფრანგეთის შეიარაღებული არმია გენერალ – უდინოს მეთაურობით. რომის შემოგარენის დაცვა გარიბალდის ეოლონტიორებს დაევალათ, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ (ლომისებრ ეკვეთნენ მტერს...) და საფრანგეთის არმიამ სრული განადგურებისაგან თავი სამარცხვინო გაქცევით იხსნა.. ამ ბრძოლით აღფრთოვანებული და ამაყი გარიბალდი ანიტას სწერდა: „ჩემი ცხოვრების ერთი საათი რომში, ტოლფასი იყო – მთელი ცხოვრების ასწლეულის“. თუმცაღა, ეს გამარჯვება ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან გენე-

რალმა უდინომ დაარღვია საზავო ხელშეკრულება და საფრანგეთიდან შემომატებული სამხედრო ძალით (30 000 კაცი) და „პაპის დრიშით“ კვლავ დაიძრა რომისაკენ. 2 ივლისს გარიბალდიმ წმინდა პეტრეს მოედანზე შეკრიბა თავისი ვოლონტიორები და მოუწოდა: „მებრძოლებო! ვისაც სურს, რომ მე გამომყვეს, – ვთავაზობ შიმშილს, სიცივეს, არანაირ წახალისებას... ჩვენ არ გვექნება კაზარმები, სურსათ-სანოვაგე. ...მაგრამ გვექნება მწყობრი მარში და თავდაუზოგაეი შეტევები. ერთი სიტყვით, ვისაც უყვარს სამშობლო და დიდება, ჩემთან ერთად წამოვა!“ გარიბალდის ამ გულწრფელმა პათეტიკამ 4000 კაცი აანთო. მთელი ერთი თვე იცავდნენ თავის პოზიციებს გარიბალდიელები, მაგრამ ბოლოს მაინც დათმეს და უკან დაიხიეს...

შიუხედავად იმისა, რომ 1848-1849 წლების რევოლუცია ჩაახშო ავსტრიულმა და ფრანგულმა იარაღმა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის გაერთიანების ისტორიაში.

ჯუზეპე გარიბალდისათვის დაიწყო სამშობლოდან გადახვეწის მეორე პერიოდი; „მე აუცილებლად უნდა გავქრე, თუნდაც ხლეგში მომიწიოს გადავარდნა“ – ამ განწყობით გაუჩინარდა იგი მთელი ოთხი წლით (თავდაპირველად ჩრდილოეთ აფრიკაში იმყოფებოდა – ტუნისში, შემდეგ ნიუ-იორკში დასახლდა – საინის ქარხნის უბრალო მუშად და ბოლოს კი, – კაპიტანის რანგში სერავდა წუნარ ოკეანეს თავისი საკუთარი სომალდით).

1854 წელს ჯუზეპე გარიბალდი დაბრუნდა იტალიაში და სამოსახლოდ კაპრერას მცირე კუნძული შეარჩია (თუმცა ის ქ. ნიცაში იყო დაბადებული), რომელიც შემდეგ შეისყიდა.

1854-1859 წლები ერთგვარი „რევოლუციური სიჩუმის“ პერიოდი იყო მთელ ევროპაში. რევოლუციური პერიპეტიები იტალიაში თავისი სიმძაფრის ფაზაში მხოლოდ 1859-1860 წლებში შედის, რამაც, საბოლოო ჯამში, იტალია სრულ გაერთიანებამდე მიიყვანა. პიემონტმა (ანუ – პაპის ხელისუფლებამ) თავისი ტაქტიკა შეცვალა გამჭრიახი პრემიერ-მინისტრის – კამილიო კავურის წყალობით. მან აწარმოა გარიბალდისთან მოლაპარაკება ვოლონტიორების გადაბირების მიზნით. თავად გარიბალდიმ კავურთან თავისი „პოლიტიკური დაზავება“ ამგვარად შეაფასა: „მე შევეჩვიე საკუთარი პრინციპების დათმობას, თუ ამას იტალიის გაერთიანება მოითხოვს...“ მაგრამ – „მე შემიძლია ამაყად განვაცხადო, რომ ერჩები რესპუბლიკელად“...

„თუკი მეფეს (ვიქტორ-ემანუილი) და მის პირველ მინისტრს შეეძლო გარიბალდისა და მთელი რეოლუციური დემოკრატიის

თაყვანთი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, სამაგიეროდ, გარიბალდი იმედოვნებდა, რომ კარგად შეიარაღებულ პიემონტის არმიას გამოიყენებდა იტალიის რევოლუციის სასიკეთოდ“ (გარიბალდი 1966: 38).

1859-1860 წლებში გარიბალდის ტრიუმფალურმა „სვლამ“ მოიცვა მთელი იტალია, მაგრამ სამაგიეროდ, შეაშინა კავური, ვიქტორ-ემანუილი და თავად ნაპოლეონ III-ეც, რომელმაც მოინდომა სამარცხვინო დაზავება და ომის შეწყვეტა (1859 წლის 11 ივლისის – „ვილაფრანსკის ზავი“).

მიუხედავად იმისა, რომ გარიბალდი აღაშფოთა „მოკავშირეების“ ამ ნაბიჯმა, სამაგიეროდ – მისთვის დამთავრდა „მეფეთა სამსახურში“ ყოფნა და კვლავ „ხელფეხგახსნილ“ იტალიელ პატრიოტად გადაიქცა.

1859 წლის მიწურულს კი უკვე დაიწყო სიცილიის „ცნობილი ამბოხი“ – მაძინის რესპუბლიკური პარტიის მეთაურობით. მცირე ყოყმანის შემდეგ, გარიბალდიც ჩაერთო ამ „ექსპედიციაში“. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა გარიბალდის „ათასეული“, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა იტალიის გაერთიანების საქმეში. „ათასეულთან“ დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი შტრიხიც: სამხრეთამერიკული კულტურის გაელენით, გარიბალდიმ შექმნა ეროვნული, საბრძოლო სამოსის სიმბოლიკა: წითელი პერანგი, პონჩოსმაგვარი მოსასხამი და გარიბალდის ქუდი (სტილიზირებული სომბრერო). ამ სამოსს განსაკუთრებული პათეტიკა შემოჰქონდა მთელ იტალიაში. რატომღაც, გარიბალდის ამ „სამოსის სტილი“ აღიზიანებდა ნიკო ნიკოლაძეს: „...განა ამ ბატონების ახლანდელი გმირები: გარიბალდი და სხვები არ ატარებენ ღვლარჭნილი, კაშკაშა წითელი ფერის ტანსაცმელს, რიცა უბრალოდ შეეძლოთ ჩაცმა?“ („პოლიტიკური ინდეფერენტიზმი და ჩვენი ჟურნალისტები“, – „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875).

არადა, სწორედ „ყოფით ტრადიციაში წითელი – აქტიური მამაკაცური საწყისის, ცეცხლის, მზის, ენერგიის, აგრესიის, ომისა და რევოლუციის სიმბოლოა (საინტერესოა ერნსტ იუნგერის განმარტება წითელის, როგორც „ძალაუფლების და ამბოხის ფერისა“). (აბზიანიძე, ელაშვილი 2012: 81).

ეს წითელი ფერი არა მარტო ვოლონტიორებისათვის იქცა „იმპერატივად“, არამედ ერთგვარი „რევოლუციური ცეცხლი“ წაუკიდა მთელ იტალიას.

გარიბალდის საოცრად უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა თავისი „ათასეულის“ ჯარისკაცებთანაც. საბრძოლო ოპერაცი-

ების დროს ის მხოლოდ ზოგადი სახის განკარგულებებს გასცემდა, დანარჩენი ინიციატივა უკვე შედარებით დაბალი რანგის მეთაურებს უნდა გამოეჩინათ. გარიბალდი ძალიან დიდ დროს უთმობდა თავისი ჯარისკაცების აღზრდას, მათ ფორმირებას; საბრძოლო ოპერაციების მიღმა, – გარიბალდი თავისი მებრძოლებისათვის იყო ძმა და მეგობარი, ხოგჯერ - მშობელი მამაც. თანამებრძოლებისადმი ამგვარ უშუალო დამოკიდებულებას – დიდ სიყვარულს და ერთგულებას გარიბალდი ახერხებდა, რაღაც განსაკუთრებული ხიბლით. ამ „მკაცრი ცხოვრების გმირს“ უყვარდა ქველაფერი ლამაზი და მშვენიერი. განსაკუთრებით უყვარდა ბუნება.

„ათასეულის“ ლეგენდარული ეპოპეა (1859-1860 წლების რევოლუცია) დასრულდა 6 სექტემბერს გარიბალდიელთა შესვლით პალერმოში. სიცილიის კუნძულზე ხელისუფლების ახალი ფორმა დამკვიდრდა – რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. თავად გარიბალდი დიქტატურასთან თავის დამოკიდებულებას ამგვარად ხსნის; „დიქტატურის შესახებ გაერცელდა ათასგვარი მითქმა-მოთქმა. მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიყიღე ის, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში თუ გართულებულ სიტუაციებში, მიმაჩნია, რომ დიქტატურა წარმოადგენს ერთგვარ „მაშველ ღუზას“...

გარიბალდი დაასახელეს სიცილიის დიქტატორად. 1860 წლის 6 ნოემბერს ნეაპოლში ჩამოვიდა ეიქტორ-ემანუილი. გარიბალდიმ თავისი უფლებამოსილება სწორედ მას გადასცა და არმიაც დაიშალა. 1859-1860 წლების რევოლუციის სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები იყვნენ ჯუზეპე გარიბალდი და ჯუზეპე მაძინი.

მაძინიმაც და გარიბალდიმაც ამ პერიოდში არაერთხელ განიცადეს განხიბლვა არა მარტო ერთმანეთისაგან, არამედ თავად ამ „ექსპედიციის“ ორგანიზატორთა მხრიდანაც – იქნებოდა ეს კაეური თუ ვიქტორ-ემანუილი.

1859-1860 წლების მაძინისეული შეფასება ასეთი იყო: „ჩვენ, მე და გარიბალდი და სხვანი, რატომღაც არასწორი „გზით“ წაველით... დაეუშვით გამოუსწორებელი შეცდომები და ახლა, ეიმკით ამის შედეგებს“... და რაც მთავარია, მაძინის ამ მოვლენების დროს მუდმივად ჰქონდა შეგრძნება, რომ „საკუთარ სამშობლოში იყო ზედმეტი და „გაძევებული“ (გარიბალდისგან განსხვავებით). თუმცა, მალე გარიბალდიც იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვიქტორ-ემანუილმა მასაც უბრძანა, რომ სასწრაფოდ შეეწყვიტა „ეს ლაშქრობა“, დაეყარათ იარაღი. ამიტომაც გარიბალდიმ

ეიქტორ-ემანუილს სთხოვა გადადგომა, რაც მაძინის მხრიდან მის სისუსტედ შეფასდა. თუმცა, გარიბალდის ამ „პეროიკულმა ლაშქრობამ“ მთელი იტალიაში მაინც არნახული ენთუზიაზმი გამოიწვია. მაგრამ უთაქვდ გარიბალდიმ მსხვერპლად ყველაზე ძვირფასი რამ გაიღო: ნაპოლეონ III-მ „ექსპედიციაში“ თანდგომის საფასურად ნიცა და საბოია მოითხოვა. გამძვინვარებულმა გარიბალდიმ (რომელიც სწორედ ნიცას დეპუტატი იყო პარლამენტში) ქაეურის წინააღმდეგ წარმოსთქვა „მამხილებელი სიტყვა“ და უარი თქვა დეპუტატობაზე.

საბოლოოდ, იტალია არადემოკრატიული განვითარების გზას დაადგა და წარმოიშვა კონსტიტუციურ-მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა გარიბალდისა თუ მაძინის „იდეების იტალიასთან“.

1861 წელს იტალიის სამეფო ტახტზე ადის ეიქტორ-ემანუილი, რომლის ფურისდიქციის გარეშე დარჩა — „პაპის სახელმწიფო“ (პიემონტი) და ვენეცია.

გარიბალდის ჰეროიკული ბუნება კი არ ცხრებოდა და ბრძოლის ახალ საშუალებებს ეძებდა. ამიტომაც, 1862 წელს მან დარაზმა თავისი თანამოაზრენი და გააერთიანა ერთი ლოზუნგის ქვეშ — „რომი ან სიკვდილი!“ ეიქტორ-ემანუილი ამჯერადაც დაუპირისპირდა გარიბალდის (ოღონდ უფრო მძაფრად), — ის „შეთქმულად“ გამოაცხადა და მის განსაიარაღებლად, ლამის მთელი მოქმედი არმია გამოიყვანა. ასპრომონტის მთებში გარიბალდი ფეხში დაიჭრა — ცხოვრებაში მიღებულ ათ ჭრილობათაგან ეს ყველაზე მძიმე და საბედისწერო აღმოჩნდა (მისი განკურნება შეძლო ცნობილმა რუსმა ქირურგმა ნ.ი. პიროგოვმა, — გასამგზავრებლად პიროგოეს მოწაფეებმა 1000 ფრანკი შეუგროვეს).

1866 წელს კი გარიბალდი ისევ იტალიურ არმიას შეუერთდა და კვლავ თავგამოდებით იბრძოდა ავსტრიელების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ვენეციის იტალიასთან შეერთება. უკანასკნელი მცდელობა რომის გასათავისუფლებლად 1867 წელს წამოიწყო გარიბალდიმ. მაგრამ საფრანგეთის და პაპის არმიის მიერ აღმოჩნდა დამარცხებული, ხოლო მეფემ ნაჩქარევი გადაწყვეტილება მიიღო და იტალიის სახალხო გმირი დააპატიმრა.

თუმცა, რომს დიდხანს აღარ ეწერა იტალიისგან მოწყვეტილი ყოფილიყო და 1870 წლის ზაფხულში მთელი რომი მოიცვა სახალხო მღელვარებამ. რაღა თქმა უნდა, — გარიბალდიც კვლავ გამოჩნდა „რევოლუციის ავანსცენაზე“, როგორც ერთპიროვნული

ტრიუმფატორი... ამ პერიოდში როგორც ეხედავთ, ის დიდების პიკზე იმყოფება, რისი შეცნობაც უკვე მთელ მსოფლიოში ხდება. ამავე პათოსითაა თუნდაც ნიკო ნიკოლაძის შემდეგი პუბლიკაცია – „ბაზენის საქმე“ („დროება“, 1873)... „გარიბალდს მართლა რომ ნამეტანი თაყვანისცემა აქვს ხალხისაგან. იტალიელები ხშირად პირჯვარს იწერენ მასზედ, როცა ნახავენ და მოიხსენებენ გაჭირვებაში: „გარიბალდი მი'შველეო!“ თითქმის ყველა იტალიელს – უბრალო ხალხს, რასაკვირველია, გულზედ ჰკიდია გარიბალდის სურათი, ხატის მაგივრად. ამისთანა კაცების სახელები, რასაკვირველია, არ მოკვდებიან, სანამ ქვეყანაზედ ადამიანობა იქნება“.

გარიბალდის „საბრძოლო ბიოგრაფია“ თუ მისი „ეროვნული იდეალი“, „თაყვისუფალი რომის“ გარეშე, რაღაც დიდი, სულიერი ტკივილის მატარებელი იყო. 20 სექტემბერს, გარიბალდის მოწოდებით, მოხალისეები და სამეფო არმია რომში შეიჭრა. 1871 წელს რომი უკვე იტალიის დედაქალაქად გამოაცხადეს, რითაც ფაქტობრივად, – დასრულდა იტალიის ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის ხანგრძლივი პროცესი...

1874 წელს იტალიის პარლამენტმა განუზომელი ეროვნული ღვაწლისათვის გარიბალდის უბოძა რენტა – 100 000 ლირის ოდენობის. იტალიის სახალხო გმირმა, თავდაპირველად, უარი თქვა, თუმცა შემდეგ – 1876 წელს (ოჯახის წევრების დაჟინებით) მიიღო ეს „ფულადი საჩუქარი“.

ცხოვრების ბოლო წლები თაყის სამყლობელო'ში – კაპრერას კუნძულზე გაატარა (ერთ-ერთი კუნძული სარდინეასთან). გარიბალდი გარდაიცვალა 1882 წლის 2 ივლისს. ჯუზეპე გარიბალდის სიმბოლურ პორტრეტს დასრულებულად ვერ ჩაეთელით, თუ არ გაეითვალისწინებთ მის მხატვრულ მემკვიდრეობასაც.

იტალიის „ეროვნული სულის“ მატარებელი იყო გარიბალდი და მისი ნაწარმოებები, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, რეეოლუციური რომანტიკითაა გამორჩეული, თუმცა აქვე შეიმჩნევა გულწრფელ, კოლორიტულ პერსონაჟთა მთელი „გალერეა“...

გარიბალდის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ნუსხა ამგვარია: სამი რომანი: „კლელია ანუ სასულიერო პირთა ხელისუფლება“ – 1870 წელი („კლელია“ ქართულად თარგმნა თედო სახოკიამ); „მოხალისე კანტონი“ – 1870 წელი; „აოასეული“ – 1874 წელი; ასევე ლექსები; მაგრამ გარიბალდის მხატვრული მემკვიდრეობიდან, – ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მისი „მემუარები“ იყო.

თავად გარიბალდი „მემუარებს“ ამგვარად აფასებდა (წერილი მეგობარ მწერალ ქალს – ე. ფონ შვარცს, რომლის ფსევდონიმი იყო – ე. მელენა): „არაფერი რომანტიკული არაა ჩემს „მემუარებში“. ვგრძნობ ამის ხასგასმის აუცილებლობას, განსაკუთრებით კი – რომანების დაწერის შემდეგ...“ „მემუარებზე“ მუშაობა მან დაიწყო 1849 წლის შემოდგომაზე (სამშობლოდან მეორედ გაძევების პერიოდში), 60-70-იან წლებში კი კვლავ მიუბრუნდა „მოგონებებს“.

გარიბალდისვე თხოვნით (სამწუხაროდ...), „მემუარები“ ლიტერატურული გადამუშავება მოახდინეს მისმა უახლოესმა მეგობრებმა. ესენი იყვნენ: ალექსანდრე დიუმა-მამა, გერმანელი მწერალი ქალი – ე. მელენა; ამერიკელი – ტ. დუაიტი და იტალიელი გენერალი ფ. კარანო.

„მემუარების“ შესაბამისად გამოიცა ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე. მათგან ყველაზე თავისუფალი თარგმანი, საკუთარი ფანტაზიით გავრცობილი იყო „მემუარების“ დიუმასეული ვარიანტი. 1888 წელს, გარიბალდის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ გამოიცა „მემუარების“ საბოლოო ვერსია. ამჯერად, გარიბალდის ვაჟიშვილის მენოტისა და გარიბალდის მეგობრის – ა. ლემის მიერ შევსებული და რედაქტირებული. ისე კი ცნობისათვის: გარიბალდის ბიოგრაფებს მიაჩნიათ, რომ ორიგინალთან ყველაზე ახლოს ე. მელენასეული გამოცემა არის...

„მემუარებმა“ ყველაზე უკეთ შემოგვინახა გარიბალდის ჰეროიკული პათეტიკის ცხოველმყოფელობა, რითაც თავად გარიბალდიევმ შეუქმნა საკუთარ თავს სრულყოფილი „ძეგლი“. ჯუხეპე გარიბალდის ძეგლი ქ. ნიცაში აღმართეს 1891 წელს. ეს ფაქტი „ნიკო ყიფიანმა (დიმიტრიძემ) ნიციდან აცნობა „ივერიის“ მკითხველთ“. (ხუციშვილი 1982: 16), რადგან გარიბალდის სახელის ნებისმიერი ფორმით უკვდავყოფა მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ღირსებას წარმოადგენდა; გამონაკლისი არც XIX საუკუნის საქართველო იყო...

„ქართულმა გარიბალდიანამ“ XXI საუკუნეში კვლავ შეგვახსენა თავი. ოღონდ, რაღა თქმა უნდა, XIX საუკუნის პათოსით. ეს შესძლო აკა მორჩილაძემ („ქართულის რვეულები – XIX საუკუნის სურათები“) და გარიბალდის სახელის გაჟღერებით ერთ აბზაცში გააცოცხლა „ლიბერალური ეპოქის“ მთელი სულისკვეთება.

თუ მცირეოდან უკუსელას მიემართაეთ და XX საუკუნის 80-იან წლებში გადაეინაცვლებთ (კერძოდ კი 1982 წელს), როცა ქართველი ერის „საბჭოური მონუსხვის“ დაღმასვლა დაიწყო, – „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩნდება სოლომონ ხუციშვილის „ქართული გარიბალდიანა“.

ერთი შეხედვით, – იტალიის ეროვნული გმირის „ქართული ბიოგრაფიული ფურცლები“; არადა, სინამდვილეში ეს იყო – ეროვნული თვითშეგნებასთან კვლავ დაბრუნების მცდელობა, რადგან გარიბალდის სახელი უკვე განზოგადებული იყო და წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ სიმბოლოს – „ფენიქსისებრი“ სიმბოლოლოგიური სპექტრით...

ჯუზეპე მაძინი (1805-1872)

„მე ყოველთვის პირისპირ ვეჯახები ჩემს ბედისწერას....“

მაძინი

ჯუზეპე მაძინი ყველაზე რთული და ტრაგიკული პოლიტიკოსთაგანია; რომანტიკოსი და მეოცნებე ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება აეკიდმყოფურად ეწინოდა ხალხის მასისა თუ ხალხმრავალი თაყვირილობებისა“ (კიროვა 1981: 178) და მუდამჟამ ისწრაფოდა „შემოქმედებითი განმარტოებისათვის“... ის ხომ „პოეტად“ იყო დაბადებული... არადა, მაძინის ცხოვრების წესი – „მისი რევოლუციონერული მისია“, სრულიად გამორიცხავდა ამგვარ „ფუფუნებას“. ყველაზე არაშესატყვის პირობებშიც კი (1870 წლის 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე გაეტის ციხესიმაგრეში იყო გამომწყვდეული) მას შეეძლო „ილუსიურ სამყაროში“ ჩაძირვა და ოცნება, რომ დაეწერა წიგნი ბაირონზე.

მამამისთანაც (გენუის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი – კითხულობდა ლექციებს ანატომიაში) სწორედ ამ ნიადაგზე ჰქონდა უთანხმოება, რადგან ის თვლიდა, რომ მისმა ვაჟიშვილმა პოლიტიკურ მოღვაწეობაში ფუჭად გაფლანგა თავისი ნიჭი; მამამისს მიაჩნდა, რომ მაძინის ცხოვრება მხოლოდ მწერლობისათვის უნდა მიეძღვნა – ამაში ხედავდა ჯუზეპეს ჭეშმარიტ დანიშნულებას.

თავდაპირველად მაძინიმაც ამ გზით დაიწყო „სვლა“: დაამთავრა რა გენუის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1827 წელს), – სწორედ ლიტერატურულ-კრიტიკულ ჟურნალებში თანამშრომლობდა.

მაძინის შეეძლო თავდაეწყებით და დაუსრულებლად მწერლობაზე საუბარი – იქნებოდა ეს აღორძინების პერიოდის

ფილოსოფოსები თუ პოეტები, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც დანტე იტაცებდა. ის იყო პოლიტიკოსი, რომელიც გონებაში დაუსრულებელად თხზავდა ისტორიული დრამებისა თუ რომანების მძაფრ სიუჟეტებს და მთელი ცნობიერი ცხოვრება თან დაატარებდა – ვერ ელეოდა მათ... წიგნთამეტყველებასთან ამგვარ განდობას თავადაც ადასტურებს შემდეგი ჩანაწერით: „ყოველთვის დიდ მღელვარებას იწვევს ჩემში წიგნების კითხვა, განსაკუთრებით კი ისტორიული ქრონიკების“...

მაგრამ მაძინიმ (იმიტომ რომ იტალიელი იყო) მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება, რომ თავისი „შემოქმედებითი ნებელობა“, მხოლოდ და მხოლოდ, „პოლიტიკური გონისათვის“ დაექვემდებარებინა. მთელი თავისი ცხოვრება ცდილობდა იტალია „თავისუფლების პროგრესული გზაზე“ გაეყვანა, რადგან ღრმად სწამდა, რომ სწორედ მის ნაციას ჰქონდა მინიჭებული „უსენაესი მისია“ შეექმნა მთელ ევროპაში – „ახალი ეპოქის პროგრესული საზოგადოება“ (მაძინის უტოპიური იდეები ორიგინალობით არ გამოირჩეოდა – ქ.ე.). მაძინი, როგორც „მოაზროვნე რევოლუციონერი“, ავტორია არაერთი „პოლიტიკური სენტენციისა“ (იქნებოდა ეს ცალკეული თეზისები თუ ლოზუნგები); „რევოლუციას ყოველთვის ხალხი ახდენს – ხალხისაენ სახელით“. „რეფორმები მეფეთა საქმეა, რევოლუციის საიდუმლოს კი – მხოლოდ ხალხი ფლობს“. ანდა, – „ღმერთი და ხალხი“.

საერთოდ, მისთვის ხალხის ფენომენი ერთობ ორაზროვანი და მაინც ამოუცნობი დარჩა, მიუხედავად 40-იან წლებში დაწერილი ცნობილი ნაშრომისა – „ადამიანის მოვალეობანი“. მისთვის, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, უფლის შეცნობა „გონიერი ადამიანის“ მიერ. „მაძინი ღრმადმორწმუნე დედის შვილი იყო (დედა - მარია მაძინი), მაგრამ მას, სამწუხაროდ, აღარ სწამდა არც კათოლიკური ღმრეთისა და არც კათოლიკური ეკლესიის; თუმცაღა მასში მაინც საოცრად დიდი იყო თანდაყოლილი „რწმენის მოთხოვნილება“ (ციროვა 1981: 8) და ეგებ ამიტომაც შექმნა „თავისი რელიგია“. გენეტიკური რელიგიური ცნობიერება და ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხედვა „სულიერ წნეხში“ აქცევდა ამ გამორჩეულ, რაღაც ნიშნით „მაგიურ მოღვაწეს“. ეს ტენდენციები საოცრად ნათლად იკვეთება მის პირად წერილებშიც, განსაკუთრებით კი ლონდონური პერიოდის ამონარიდებში (1837 წელი): „...კვამლიეით გაიფანტა და გაქრა ჩემი ახალგაზრდობის ოცნება; გაქრა იმედიც და ჩემში მხოლოდ „იდეამ“ დაისადგურა... „იდეა“ კულტად იქცა, მოვალეობა კი –

„რელიგიად“... მე ამჟამად მარტოსული ვარ (ყველაზე მეტად განიცდიდა სულითმონათესავე დედასთან განშორებას – ქ.ე.) ღარიბი და მიუსაფარი, თანაც მარცხგამოვლილი ვარ... მაგრამ ჩემი რწმენა მაინც ურყევია. მე მარტო ვარ - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, – მორალურად, ფიზიკურად, პიროვნულად... ამ სიმარტოვეში მე განუწყვეტლივ ვფიქრობ, ვფიქრობ და მწამს, რომ კაცობრიობას ექნება ნათელი მომავალი... იმიტომ რომ ადამიანს გააჩნია უზენაესი ფუნქცია უფლის წინაშე... რომ არა ჩემი რწმენა, ალბათ დიდი ხანია თავს მოვიკლავდი...“ თვითმკვლელობის შესახებ არაერთგზის წერდა მაძინი. ასეთ დროს, როგორც არასდროს, გრძნობდა ამოუცნობ იდუმალებას რწმენაზე ფიქრით დამძიმებული...

საბედისწეროდ მისტიკურია, რომ პირველად – სამშობლოდან გამოძევებულ მაძინის, ლონდონი (1837 წლის 12 იანვარს ის უკვე იქაა) ციე, პირქუშ და აბსოლუტურად „უცხო ქალაქად“ მოეჩვენა, მოგვიანებით კი (50-იან წლებში) ლონდონს უკვე თავის ნაყოფსაყუდლად თელიდა. აი, ამიტომაც ჩნდება წერილი-აღსარება (მატილდა ბიგგსს): „...ეს სრული ჭეშმარიტებაა, მე ორი სული მაქვს; ერთი იტალიას ეკუთვნის (ის ბოლომდე ერთგული დარჩა თავის იტალიის – ქ.ე.), მეორე კი – სიყვარულითა და გრძნობით იყურფლება, აღმერთებს ყვავილთა სისათუთესა და მშვენიერებას, ტკბება უბრალო, ხალხური მელოდიებით... ის ახალგაზრდაა, მეოცნებე და პოეტური... ზოგჯერ სევდიანი, მაგრამ მაინც მომღიმარი...“ ეს სული მუდამ ლონდონში რჩებოდა მაძინისათვის, სადაც ყველაზე მეტად ხორცს ისხამდა მისი „ილუზიური სამყარო“...

მისი უკანასკნელი ამოსუნთქვის ჟამს - კიდევ ერთხელ საცნაური გახდა მისი „ინგლისელობა“. „მაძინი გარდაიცვალა 10 მარტს – პიზაში თავისი ძველი მეგობრისა და თანამებრძოლის - სარა ნატანის სახლში. ის აქ არალეგარულად – ინგლისური პასპორტით იმყოფებოდა, „მისტერ ბრაუნის“ სახელით... როცა მომაკვდავთან ექიმი მოიყვანეს,, მან, რატომღაც მაძინი ინგლისელად მიიჩნია; მაგრამ მაძინიმ ძლიეს მოიკრიფა ძალა და მისი ბოლო სიტყვები იყო – არა, მე იტალიელი ვარ!..“ (კიროვა 1981: 174).

სწორედ მის იტალიელობაში იყო რაღაც „მისტიკური იმპულსი“, რომელმაც „რომანტიკული მაძინი“ უკან დახია და შეა სრულიად უჩვეულო პოლიტიკოსი და მოაზროვნე – ჯუზეპე მაძინი. მისი „იტალიური გზა“ კი, რაღაცით ფატალური იყო;

რევოლუციური ამოფრქვევების მიუხედაველად, – შინაგანი აღმაფრენისა და გამარჯვების ეიფორიისა თუ დიდი ტკივილისა და საბედისწერო იმედგაცრუების უჩვეულო „ნასკვი“ იყო.

„პოლიტიკურ ლაბირინთში“ მაძინი უნივერსიტეტის დამთავრებამდე (სულ რაღაც რამდენიმე თვეღა იყო დარჩენილი) აღმოჩნდა – გახდა რა გენუის კარბონარიელთა ფარული ორგანიზაციის წევრი. 1831 წელს კი უკვე იტალიიდანაც გაძევებული იქნა. მაძინისთვის ემიგრაცია საფრანგეთიდან იწყება (1831 წლის იანვრიდან...) და ხან პარიზშია, ხან - ლიონში, ხან - კორსიკაზე და ბოლოს - მარსელი, სადაც შექმნა თავისი ცნობილი ორგანიზაცია – „ახალგაზრდა იტალია“ და დააარსა ამავე სახელწოდების ჟურნალიც. „ახალგაზრდა იტალია“ („ახალგაზრდა იტალიის“ წევრი იყო გარიბალდიც – 1833 წლიდან. ის იყო ხომალდ „კლორინდას“ მეზღვაური. რუსეთში, ტაგანროგში, მან შემთხვევით გაიცნო „ახალგაზრდა იტალიის“ წევრი – ჯოვანი ბატისტა) თავიდანვე გაემიჯნა ლოიალურ დაჯგუფებებს (ზომიერად მოაზროვნეებს); „ხანდაზმულებს“ ეშინოდათ რევოლუციური ქარიშხლების, რომელთა გამკლავებაც მათ აღარ შეეძლოთ და ამიტომაც ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდნენ. რაც შეეხება „ახალგაზრდებს“ – მათ მთელი ქვეყნიერების გადატრიალება უნდოდათ. ცნება – „ახალგაზრდები“ მაძინისათვის, უპირველეს ყოვლისა, მორალური თუ სოციალური დატვირთვის იყო და არა - ასაკის აღმნიშვნელი. შესაბამისად, მაძინის მიერ შედგენილი, „ახალგაზრდა იტალიის“ ფიციც საოცრად პათოსური იყო: „ვფიცავ, ჩემი თავი ვუძღვნა სამშობლოს. ჩემი მორალური თუ ფიზიკური ძალა წარემართო ჩემი სამშობლოს ასაღორძინებლად. ასევე ვფიცავ, ჩემი ძალა, ენერგია, გონება თუ ქმედება არ დავზოგო იტალიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში (ეს ფიცი შეიქმნა 1831 წლის ზაფხულში)“.

კონსპირაციის მიხნით, „ახალგაზრდა იტალიის“ ქვედაჯგუფებანი არ იყო მრავალრიცხოვანი; მასში ერთიანდებოდა, როგორც წესი, 200-300 კაცი, ზოგჯერ კი - 20-30; მთლიანად ორგანიზაციაში კი ირიცხებოდა 3000 ადამიანი. ამასთანავე, ემხადებოდა რა მასშტაბური – ზოგადევროპული „აჯანყებებისათვის“, მაძინიმ შექმნა „ახალგაზრდა ევროპის“ პაკეტი – შესაბამისი ნაციონალური ორგანიზაციების სახით: „ახალგაზრდა პოლონეთი“; „ახალგაზრდა გერმანია“; „ახალგაზრდა საფრანგეთი“ და... 1834 წლის დასაწყისში (გამოძევების გამო...) მაძინი უკვე ლონდონშია და ჰქონდა განცდა, რომ „რაც უნდა არდა და რაც

ძვირფასი იყო მისთვის, თითქოს სხვა სამყაროში დარჩა". მას არ შეეძლო უსამართლობას შეგუებოდა და ვერც ტერაფერს ცვლიდა. „მსოფლიო არ არის ხასეთი, როგორიც უნდა იყოს, ამიტომაც ვერ ვახერხებ ადაპტირებას" — წერდა მაძინი და განუწყვეტლივ ეძებდა „ხსნის გზას".

მაძინი იყო საოცრად კეთილი, არაერთგზის მიუცია უკანასკნელი ცვიკები უპოვართათვის. ამასთანავე იყო რთული ხასიათის პიროვნება, წინააღმდეგობებით სავსე — არა მარტო მეოცნებე, არამედ მებრძოლიც, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ეგუებოდა თანამებრძოლთა სიკვდილს. სიკვდილი მისთვის უდიდესი ტრაგედია იყო. ყოველთვის ერთსა და იმავეს იმეორებდა — „მხოლოდ არა სიკვდილი, სიკვდილი შემზარავია და გამოუსწორებელი..."

ეს შეგრძნება ჰქონდა 1832 წლის მაისში, როცა სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (პიემონტში), 21 კაცს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა და 12-ის შემთხვევაში აღასრულეს კიდეც. ასეთიც „მძაფრად ტრაგიკული იყო მისთვის ძმები ბანდიერების სიკვდილით დასჯა. ატილიო და ემილიო ბანდიერები — კონტრადმირალის შვილები, ავსტრიის სამხედრო ფლოტის იფიცრები, რომლებიც 1844 წლიდან გაიქცნენ ხომალდიდან და ეროვნული იტალიის მებრძოლებს შეუერთდნენ. მაძინისათვის ეს პირად, დიდ ტრაგედიად იქცა და საკმაოდ ხმამაღალი შეფასება მისცა მათ მოწამეობრივ აღსასრულს: „ისინი იყვნენ საოცარი სულის ძლიერი პირადნებები, რომელთა მსგავსს მე ბოლო ათი წელი არ შეუხვედრიხარ. ბანდიერების სიკვდილმა ჩემი გული მძაფრი ტკივილით მოიცვა. ტკივილით, რომლის მსგავსი დიდი ხანია აღარ განმიცდია..."

„რევოლუციური ბიოგრაფიის" მიუხედავად, მისი პოეტური ბუნება, ბავშვური დაუცველი და დამფრთხალი ხდებოდა სიკვდილის წინაშე, მით უფრო, როცა ეს უახლოეს ადამიანებს ეხებოდა; მამამისი 1848 წლის დეკემბერში გარდაიცვალა. ყველასდა გასაოცრად, როგორც თავად მაძინი აღნიშნავდა, ერთგვარად მშვიდად შეხვდა ამ ფაქტს. დედის სიკვდილმა (ის 1852 წელს გარდაიცვალა) კი საოცრად შეძრა. ის ხომ მაძინისათვის არა მარტო დედა, არამედ სულიერი მეგობარიც იყო. ამიტომაც, ამქვეყნად ამ უდიდესი დანაკარგის შევსება არავის ძალუძდა. თავად მაძინიც ხშირად ამბობდა, რომ „ცხოვრებაში მისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება დედამისის შვილობა იყო". ასე რომ, — საესებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს (დედასთან

მიმოწერისას) სულის ის სათუთი თუ ტრაგიკული „ამოთქმები“, რომელიც ყველასთვის დაგმანული ჰქონდა ამ „მეოცნებე პოლიტიკოსს“.

არა მარტო თავად მაძინი, არამედ ჯუდიტა სიდოლიც მარია მაძინისთან მიმოწერაში პოულობდა სულის სიმშვიდეს. ჯუდიტა სიდოლი იყო ჯუზეპე მაძინის დიდი სიყვარული. ეს სათუთი გრძნობა, რაღაც განუზომელ ხიბლს მატებდა მაძინის პიროვნებას. ჯუდიტა იტალიელი ემიგრანტის (რაღა თქმა უნდა, – რევოლუციონერის) ქვრივი იყო, რომელიც 1832 წელს ჩავიდა მარსელში და გახდა „ახალგაზრდა იტალიის“ წევრი. ის ყოველთვის მაძინის ყველაზე სახიფათო დავალებებს ასრულებდა. „მათი სიყვარული იყო ერთობ რთული. ისინი, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, იშვიათად ხვდებოდნენ, – ისიც მხოლოდ კონსპირაციულ ბინებში...“ (კიროვა 1981: 35). ამიტომაც, განშორების დიდი სევდით იყო მოცული ყოველთვის მათი წერილები. ერთმანეთის აბსოლუტური შეცნობა, საოცარი თანაგანცდის მძაფრი ემოცია პირად მიმოწერაშიც ცხოველმყოფელს ხდიდა მათ დიდ და უწყვეტელ სიყვარულს. ჯუდიტა არა მარტო საყვარელ ადამიანთან, არამედ დედამისთან მიმოწერაშიც იქარწყლებდა მაძინის მონატრებით გამოწვეულ ტკივილს. მარია მაძინიც ყოველთვის დიდ გულისხმიერებას იჩენდა სათაყვანებელი შვილის პირადი ცხოვრების მიმართ.

„ისეთი მძიმე წუთები, როგორიცაა პიპოსთან (იგულისხმება ჯუზეპე მაძინი) განშორება, მე მიჩნდება მოთხოვნილება, რომ თქვენ შეგახსენოთ ჩემი თავი. ვიცი, რომ მას ყუყვარვარ და ვახსოვარ. მეც ძალიან მიყვარს და არასოდეს დავიიწყებ...“ ამიტომაც იყო – განშორების ჟამს მაძინი თავის თავზე მეტად (იმდენად უყვარდა – ქ.ე.) ჯუდიტაზე ფიქრობდა და ეცოდებოდა – „ის ხომ ძალიან უბედურია...“ – სწერდა მაძინი დედას. არადა, მისთვისაც არანაკლებ მძიმე იყო ეს წუთები; ასე ხომ ჯუდიტა თავდავიწყებით უყვარდა, მაგრამ „გარემოებათა“ გათვალისწინებით, საშინელ სასოწარკვეთასაც განიცდიდა ამ სიყვარულით; „მე ის გაცილებით მძაფრად მიყვარს, ვიდრე ის ფიქრობს. მე მასზე დაუსრულებლად ვოცნებობ – დღე და ღამე. ის სულ უფრო და უფრო ჩემი იდეა-ფიქსი ხდება...“ (1836 წლის იანვარში მეგობრისადმი მიწერილი წერილიდან ამონარიდი).

სამწუხაროდ, ეს იყო სიყვარული ორი პროფესიონალი რევოლუციონერისა, ორი პიროვნებისა, რომელთაც არ შეეძლოთ საკუთარი ცხოვრების განკარგვა. სულ რაღაც ნახევარი წლის

ინტერვალით დაწერილ წერილში კი მაძინი ამგვარად წერს: „მე ძველებურად მიყვარს სიდოლი. თუმცა ვიცი, რომ მას აღარასოდეს ვნახავ. მიმოწერაც შევწყვიტე მასთან. დიდი ხანია მან დედობრივ მოვალეობას ანაცვალა ჩემი თავი (არჩევანი ჯუდიტამ შვილების სასარგებლოდ გააკეთა და სიყვარული...) მაგრამ მე... მხოლოდ მას ვეკუთვნი“.

მოხდა ისე, რომ ეს სიყვარული თავიდანვე განწირული იყო დიდი გრძნობის მიუხედაავად. მაძინი ცხოვრების ბოლომდე მარტო დარჩა. თუმცაღა ქალებს ის ძალიან უყვარდათ და თავადაც საოცრად თბილი და დახვეწილი იყო მათ მიმართ, მაგრამ საერთოდ არ უფიქრია არცერთის ცოლად მოყვანა. არადა, ოჯახური სიმყუდროვის უკმარისობას მთელი ცხოვრება განიცდიდა, რასაც რელიგიურ-ფილოსოფიურ ჭრილში აღიქვამდა: „ეტყობა ღვთის ნებაა, რომ სიმარტოვეში ვიცხოვრე და სიმარტოვეშივე უნდა მოკვდე“. ანდა – „მე არ ვეკუთვნი ჩემ თავს, მე ვეკუთვნი უფალს, ჩემ ქვეყანას და „მოწამეობრივ სიმარტოვეს“. მე უნდა ვიყო მარტო, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩემი გული დაღუმებულია“... (1839 წლის ჩანაწერი).

ამ „ეზოთერიკულ სიმარტოვეს“ ლონდონში (მეორე სამშობლოში) მაძინი ებრძოდა ორი კანარიის ჩიტით, რომელთა შესახებ ის საოცრად თბილად წერდა: „მათ ჩემი ოთახის მონოტონურ სიმარტოვეში შემოაქვთ სიცოცხლის მცირედი ნიშანწყალი“...

მაძინი, როგორც პოლიტიკოსი, თავისი ქარიზმატულობის მიუხედაავად, ხშირად იყო თავის თანამოაზრეებისაგანაც შეუცნობელი და გულნატკენი... მისი ინტელექტი, ფილოსოფიური ხედვა, პოეტური ბუნება ერთგვარად შეუთავსებელი იყო რეეოლუციის „რეალური კადრებისათვის“.

განსაკუთრებით წინააღმდეგობებით საესე და ერთობ უცნაური „განწყობა“ არსებობდა (იტალიის „რჩეულ შვილთა“) მაძინისა და გარიბალდის შორის; ისინი ხან მოკავშირეები იყვნენ, ხანაც ისე იძაბებოდა მათი ურთიერთობა, რომ „მტრებადაც“ კი მოიაზრებოდნენ. „მე მას (იგულისხმება გარიბალდი) რატომღაც არ ეუყვარვარ, ოღონდ არ ვიცი რატომ“ – წერდა მაძინი. ყოველთვის უჭირდათ მაძინის თუ მაძინისტებს გარიბალდისთან საერთო ენის გამონახეა. ეგებ იმიტომ, რომ „...თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან (იგულისხმება ზოგიერთი...), რომლებიც ხალხთან ახლოს არიან ანდა ხალხის მასიდანაა მოსულნი (იგულისხმება გარიბალდიც). ბუნდოვანი, ერთგვარად ინტუიცი-

ური აღქმა აქვთ რევოლუციის, რადგან ისინი ნაკლებად ითვალისწინებენ რევოლუციის წინა პირობებსა თუ შედეგებს“ (კიროვა 1981: 21). ამიტომაც, იტალიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სახელით, მაძინის ხშირად უხდებოდა გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, – განსაკუთრებით კი გარიბალდის შემთხვევაში. სწორედ ამას მოწმობს მაძინის ეს ფრიად დელიკატური წერილი (1859 წლის დეკემბერი). „თქვენ, რატომღაც უპასუხოდ დატოვეთ ჩემი ბოლო წერილი, მაგრამ ეს არ არის ეხლა მთავარი... მე თქვენ გწერთ იმიტომ რომ ვფიქრობ, მხოლოდ სამშობლოზე... გარიბალდო, ჩემო ძმაო! ჩვენს შორის გარკვეული ღრუბელი იყო ჩამოწოლილი... მაგრამ ორი ისეთი სული, როგორიც ჩვენია, იმიტომაა შექმნილი, რომ ერთმანეთი გვიყვარდეს და გვესმოდეს. სამშობლო ჩვენზე მთავარია; სწორედ მისი სახელით გთავაზობთ, რომ შეეთანხმდეთ. უმორჩილესად გთხოვთ, მიპასუხეთ ამ წერილზე“.

გარიბალდი ჯერ კიდევ 50-იან წლებში ეკიდებოდა მაძინის „აჯანყებებს“ სიფრთხილითა და უნდობლობით. ეს განწყობა მას არც მაძინის 1860 წლის ექსპედიციის დროს შეუცვლია (ამ ურთიერთობის „ორაზროვნებას“ კიდევ ერთი შტრიხი ემატება – გარიბალდიმ თავისი ხომალდს „მაძინი“ უწოდა – ქ.ე.).

გარიბალდის მერყეობა (გადაწყვიტა 4 აპრილს პალერმოში დაწყებულმა აჯანყებამ, რომელიც ახლო მომავალში მთელ ნაპოლეონარკუნიულს მოედო...) მაძინის ერთიანი გეგმის სასიკეთოდ შეიცვალა და 1860 წლის 6 მაისს გარიბალდის „ათასეული“ გენუის სანაპიროდან სიცილიისკენ დაიძრა, ოღონდ „ათასეულის“ ექსპედიცია იყო მონარქისტული ლოზუნგით – „გაუმარჯოს ერთიან იტალიას და მის მეფეს (ვიქტორ-ემანუილს!)“. მაძინისა და გარიბალდის ერთიანი სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა აჯანყებულთა წარმატებით უზრუნველყოფას არა მარტო სიცილიაში, არამედ მთელ კონტინენტზე; სამხრეთ იტალიის განთავისუფლებას ბურბონთა ძალაუფლებისაგან, ვენეციისა - ავსტრალიელებისაგან, პაპის ხელისუფლების საერო ხელისუფლებისგან გამიჯვნას, საერთო ჯამში კი - იტალიის გაერთიანებას. მაძინის ჩანაფიქრის განხორციელება ყველაზე რეალური იყო 1860 წლის აგვისტოს დასაწყისში. ამ პერიოდში სიცილიაში უკვე იყო 20 000 ვოლონტიორი. 7 სექტემბერს გარიბალდი ტრიუმფით შევიდა ნეაპოლში. თავის რიგს უკვე ელოდა ჯერ ვენეცია და ბოლოს უკვე - რომი. 11 სექტემბერს პიემონტის არმია, ვიქტორ-ემანუილის მეთაურობით, შეიჭრა

პაპის სახელისუფლო სივრცეშიც – მის „სახელმწიფოში“ (მაგრამ ვიქტორ - ემანუილი მაძინისგან განსხვავებული მიზნისთვის იბრძოდა), თავისი ამ ქმედებით მან შეაფერხეს „გარიბალდიელების“ სვლა რომის სახელმწიფოსკენ, რითაც ეს პროვინციები ხელუხლებელი დატოვეს პაპის მართველობისათვის. მაძინიმ კი კარგად უწყოდა, რომ „ექსპედიციას“ გეზი უნდა აელო სწორედ რომისაკენ და არა - ვენეციისაკენ. 1860 წლის 17 სექტემბერს მაძინი ჩავიდა ნეაპოლში, რათა გარიბალდი დაერწმუნებინა, რომ არ დაეყარა იარაღი და გაეთავისუფლებინა რომი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა და შეთანხმდნენ, რომ სამხედრო მოძრაობას მხოლოდ 1861 წლის მაისში განაახლებდნენ გარიბალდის მეთაურობით. თუმცა, იმავე ნეაპოლში მოსყიდული ბრბო მოაწყდა მაძინის (სასტუმროს ნომრის) ფანჯრებს უკიდურესი მოთხოვნებით – „სიკვდილი მაძინის!“ თავად მაძინის წარბიც არ შეუხრია, კარგად იცოდა, რომ ისინი მხოლოდ ყვიროდნენ და არ მოკლავდნენ. მან, რაღა თქმა უნდა, უარი თქვა ვიქტორ-ემანუილის ამნისტიაზე. ნოემბრის ბოლოს კი, საერთოდაც, დატოვა ნეაპოლი და დეკემბერში უკვე ლონდონში დაბრუნდა.

1862 წელს მაძინი ქმნის არალეგალურ რესპუბლიკურ ორგანიზაციას – „წმინდა ფალანგას“, რადგან კარგად ესმოდა, რომ იტალიაში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო „მონარქსისტული ილუზია“. ამიტომაც, მისი იდეა – „თავისუფალი რომი“ ძალაში რჩებოდა, რადგან რომი – „წმინდა ქალაქი“, „ნაციის ტაძარი“, „ნაციის გული“ იყო მისთვის და არ უნდოდა ამ საკრალური ფენომენის მონარქიის სახელით წაბილწვა... 1866 წლის შემოდგომაზე მაძინის სურდა ვოლონტიორების ლაშქრობის გაანახლება რომში. მაგრამ, ამჯერად უკვე გარიბალდი უარყოფს მაძინის ამ ჩანაფიქრს. „ჩემო ძვირფასო მაძინი – წერდა გარიბალდი – მე მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ თქვენ ილუზიებს ქმნით ქვეყნის მოწყობის თაობაზე, მაგრამ ეს ჯერჯერობით შეუძლებელია“. თუმცა, მოგვიანებით (1867 წლის 3 ოქტომბერს) თავად გარიბალდიმაც ვერ შეიკავა თავი და რომისკენ დაიძრა (მენტანიაში ბრძოლისას მან მარცხი განიცადა საფრანგეთისა და პაპის კართან შეტაკებისას...), რასაც მოჰყვა გარიბალდის დაპატიმრება და სამი კვირა საპყრობილეში იყო გამომწყვდეული. 70-იან წლებში კვლავ ახალი ძალით იფეთქა შეიარაღებულმა ამბოხებამ პალერმოში და მაძინიც ისევ სიცილიაშია, რასაც მოჰყვა მისი ამჯერად უკვე ორთვიანი პატიმრობა

ზემოდასახელებულ გაეტეს ციხეში და კელაე არჩევანი – „მორიგ ამნისტიასა“ და იტალიის საზღვარგარეთ გაძევებას შორის (მან, რაღა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი აირჩია...). 1871 წლის შემოდგომაზე რომში შედგა კონგრესი (ლონდონიდან მაძინის ინსტრუქციით...) – ხუთი დღე გრძელდებოდა, მაგრამ მაძინი არ დასწრებია.

მაძინის სიდიადემ (ქართულ სინამდვილეში მაძინის პოლიტიკური პორტრეტი მოგვაწოდა სერგეი მესხმა: მაძინი (შემოკლებული ბიოგრაფია). დაიბეჭდა „დროებაში“, 1872 წ., № 12, ინიციალებით – ს.მ; იხ.: სერგეი მესხი, თხზულებანი, ტ. I, (1868-1874 წწ.), თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 199-204) მისი გარდაცვალების შემდეგ სულ სხვა მასშტაბი შეიძინა. გენუაში, სტალიენოს სასაფლაოზე, მაძინის დაკრძალვა ხელისუფლების წინააღმდეგ დემონსტრაციაში გადაიზარდა (500000 კაცი ესწრებოდა პროცესიას). ხოლო რომმა – მისი წარმოსახვის, უმთავრესმა სულიერმა ცენტრმა – „ახალი ეპოქის“ მისიის მტეირთველმა – მაძინისგანვე „მესამე რომად“ სახელდებულმა, ქედი მოიხარა მისი „რჩეულობის“ წინაშე. რომში პირველად მოხდა, რომ მასონთა დროშები ძირს იყო დაშვებული ქუჩებში; მაძინი სომ მთელი ცხოვრება იტალიის დიდი და ერთგული ჭირისუფალი იყო, რომელიც, მხოლოდ და მხოლოდ, შაეი ფერის სამოსს ატარებდა, როგორც თავისუფლებადაკარგული იტალიის გლოვის სიმბოლოს.

ლაიოშ კოშუტი (1802-1894)

„როცა თავისუფლება გადაიქცევა
ყველასგან აღიარებულ
ღეთაებად, მაშინ ნაცია აუცილებლად
წარსდგება მის
საკუთხეელთან, რათა მიიღოს
კურთხევა“.

ლაიოშ კოშუტი

„გარიბალდი, მაძინი და კოშუტი
გაუხდიათ ყველა შეგნებულ
მამულიშვილებს იდეალად“.

აკაკი წერეთელი

საკულტო ფიგურებად ქცეულმა ამ „ისტორიულმა ტრიადამ“ ერთგვარად ჩამოაყალიბა XIX საუკუნის პროგრესული ცნობიერება, – ბუნებრივია, ლიბერალურ ღირებულებათა ერთპიროვნული აღიარებით. მათი „პოლიტიკური ბიოგრაფიები“ (თავისუფლების იდეით „მოწამლული“...), ერთი შეხედვით, თითქოსდა მონათესაეენი, მაგრამ, იმაყდროულად, მათი პიროვნული საწყისის გათვალისწინებით, – სრულიად უნიკალურ სიმბოლურ პორტრეტებს ქმნიან.

ლაიოშ კოშუტი ერთგვარი „ოქროს შუალედი“ იყო იტალიის ეროვნულ ლიდერებს შორის; კოშუტი რაღაც „დო'ხით“ მაძინის დახვეწილი პოლიტიკური კულტურის ელემენტების მატარებელიც იყო, მაგრამ მისთვის არც გარიბალდის საბრძოლო პათეტიკის მუხტი იყო უცხო. შეიძლება ეს მისმა წარმომავლობამაც განაპირობა; უნგრეთში კოშუტების საგვარეულო XIII საუკუნიდანაა ცნობილი. კოშუტის წინაპრები მამულს დასავლეთ სლოვაკიაში ფლობდნენ. დედის ხაზით კი გერმანული ძირები ჰქონდა (დედა – კაროლინა ეებერი, აღმსარებლობით

ლუთერანი გახლდათ...). სწორედ, ამ ეთნიკურად განსხვავებულმა „ლიბერალურმა ტანდემმა“ განსაზღვრა ლაიოშ კოშუტის პიროვნული საწყისი.

ის იყო (არა მარტო უნგრეთში, არამედ მთელ ევროპაში) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პროფესიონალი რევოლუციონერი, იურისტი (ჩინებული საუნივერსიტეტო განათლებით, მაგრამ პერსპექტიული საადვოკატო პრაქტიკის უარმყოფელი...), პრემიერ-მინისტრი და მმართველი პრეზიდენტი უნგრეთის რევოლუციის დროს (1848-1849 წლები). ამასთანავე კოშუტი გამოირჩეოდა იმგვარი „ხებუნებრივი ხიბლით“ – ქარიზმით, რომ ევრც მისი თანამემამულეები და ევრც მისი ევროპელი თანამედროვენი ვერ უძლებდნენ ამ ზემოქმედებას და ინუსხებოდნენ.

ეს განწყობა იგრძნობა შანდორ პეტეფის ერთ-ერთ ბოლო წერილშიც (1849 წლის 11 ივლისი); „...იმ დღეს, როცა ჩვენ კოშუტით მოვიხიბლეთ, დავნიშნეთ სახალხო კრება, რათა პეშტელები (ბედაპეშტის მცხოვრებნი) მოგვემზადებინა რევოლუციის „სისხლიანი ქარიშხლებისათვის“... იმავე წერილში, პეტეფის პოეტური სული სხვაგვარადაც იწყებს ფიქრს: „...როცა მე საერთოდ ვიფიწყებ, რომ სამშობლო მაქვს, სწორედ მაშინ ვგრძნობ უსაზღვრო ბედნიერებას“... ალბათ, მოახლოებულმა საბედისწერო განსაცდელმა (შანდორ პეტეფი დაიღუპა ერთ-ერთი შეტაკებისას - 1849 წელს), რომელიც შემოქმედის სულმა წინასწარ შეიცნო და „მებრძოლ-პოეტს“ ამოათქმევინა ამგვარი რამ.

კოშუტის განუზომელი ხიბლით მონუსხული ინგლისელი ისტორიკოსი კი წერდა: „მას ჰქონდა ნატიფი სახე, იმპოზანტური ფიგურა; ამასთანავე, ძალზედ ელეგანტური და არტისტულიც იყო. იმდენად შთამბეჭდავი, თითქოსდა მხატვრის მიერ საგანგებოდ შექმნილი უზადო ნახატი... ყველა ამ სიკეთესთან ერთად ის იყო ჩინებული ორატორიც. სრულყოფილად ფლობდა ინგლისურ ენას (ასევე, რაღა თქმა უნდა, გერმანულს...) და „შექსპირის ენაზე“ იმდენად თავისუფლად, დახვეწილად, პათეტიკურად მეტყველებდა, რომ რაღაც განუზომელ ზემოქმედებას ახდენდა მსმენელზე და სრულიად იპყრობდა მათ. ის იყო აღმოსავლეთის მშვენიერების ჭეშმარიტად ამოუცნობი და დრამატული ძალა...“ (ფეკეტე 1978: 224). ერთი კია, ლაიოშ კოშუტმა თავისი მრავალმხრივი განათლებისა თუ შესაძლებლობის მიუხედავად, – თავისი ცხოვრება მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეობას მიუძღვნა, რადგან ის იმ ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო, სადაც მშობლიური ენა ლათინურით იყო ჩანაცვლებული. 1830 წლიდან, სწორედ ამ

მი'სნით„ დაიწყო გაზეთის გამოცემა, სადაც სარედაქციო კომენტარები ძირითადად უნგრულ ენაზე იწერებოდა (საპარლამენტო და საკომიტეტო მუშაობის დეტალური გაშუქება). მშობლიურ ენა'ზე შესრულებული ეს გამოცემა ხელიდან ხელში გადადიოდა. ხუთი წელი გასტანა ეროვნული პათოსის „გაღვივების" პერიოდმა. სამწუხაროდ, ამას მოჰყვა ლაიოშ კოშუტის დაპატიმრება (1837 წელს) — შეუსაბამო საბრალდებო განაჩენით (ეს იყო ოთხწლიანი პატიმრობა — სახელმწიფო ღალატისათვის). თუმცა 1840 წელს ის უკვე გაათავისუფლეს, — ჯანმრთელობის გაუარესების გამო... აღფრთოვანების ნიშნად, უნგრელმა ხალხმა ლაიოშ კოშუტს ნაციონალური საჩუქრის სახით გადასცა 10 000 ფორინტი (ეს თანხა შეგროვდა ხელმოწერებითა თუ შეწირულობებიდ). 1841 წლიდან კოშუტი უკვე მთავარი რედაქტორია „პეშტის ფურცლის". გაზეთის ტირაჟი იმ დროისათვის საკმაოდ დიდი იყო — 7000 ეგზემპლარი. სწორედ ამ გამოცემით, — მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ლიბერალები და რადიკალდემოკრატები, საერთო მოდხოვნით — ნაციონალური თავისუფლება (საწყის ეტაპზე ლიბერალიზმი ხომ ძირითადად ეროვნული თვითიდენტიფიკაციის პრობლემას ანიჭებდა უპირატესობას...).

ამ პერიოდიდან ლაიოშ კოშუტი უკვე გადაიქცა უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთპიროვნულ ლიდერად. კოშუტის მზარდი პოპულარობის ჩანაცვლების მიზნით, ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწვიტა, გამოეცა სამთავრობო უნგრული გაზეთი — „მსოფლიო". მათ ესეც არ იკმარეს, მოისყიდეს „პეშტის ფურცლის" რედაქცია და აიძულეს კოშუტი გაეთავისუფლებინათ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან. რადგან ავსტრიის ხელისუფლებამ, კარგად იცოდა, რომ კოშუტი, თავისი ფინანსური მდგომარეობის გამო, თავად ვეღარ დააარსებდა ახალ გაზეთს.

ბუნებრივია, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, კოშუტმა უარი თქვა სახელმწიფო სამსახურზე და ამიტომაც იყო ის სამი წელი უმუშევარი. თუმცაღა, ამ პერიოდში კოშუტი „პოლიტიკური ქმედების" აქტიურობით გამოირჩევა, რაც აისახა კიდეც პოლიტიკური პროგრამის შექმნაში, რომელიც ორიენტირებული იყო ევროპის მოწინავე რადიკალურ დემოკრატიულ იდეებზე. უპირველეს დებულებას წარმოადგენდა უნგრეთის დამოუკიდებლობა, ოღონდ სახელმწიფოს მოწყობა მხოლოდ დემოკრატიულ საფუძველზე: თავისუფალი სასამართლო —

ნაფიცი მსაჯულებით; სიტყვის თავისუფლება; ფეოდალური გადმონაშთების ლიკვიდაცია; ხელისუფლების შეცვლა საყოველთაო არჩევნების გზით და არა, პრივილეგირებული ფენების წარმომადგენელთა უპირატესობის გათვალისწინებით; ეს პროგრამა არ ითვალისწინებდა რომელიმე ნაციის უფლებათა შეზღუდვას ან პირიქით, – გარკვეული პრივილეგიის მინიჭებას.

ამასთანავე, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც თავად კოშუტის პროგრამაში, არც მის კონკრეტულ გამოსვლებსა და მით უფრო, – გამოცემებში არ იყო ცხადად გამოკვეთილი იდეა, იმუამინდელი ავსტრიის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა თავისუფალი კავშირის შესახებ. ამიტომაც, ავსტრიელთა მხრიდან ერთგვარი უნდობლობა იგრძნობოდა უნგრეთის ეროვნული ლიდერის მიმართ.

ლაიოშ კოშუტის პოლიტიკური დიაპაზონის მთელი მასშტაბი მაინც უნგრეთის რეეოლუციამ (1848-1849 წლები) გამოავლინა, რომელიც საფრანგეთის იმავე წლის რეეოლუციის კვალდაკვალ აღმოცენდა. რეეოლუციური აფეთქების პირველი „ნაპერწკალი" იყო კოშუტის 3 მარტის მოწოდება. რასაც მალევე მოჰყვა (15 მარტს) იმპერატორთან (17 წლის ფრანც-იოსიფთან) გაგზავნილი სპეციალური მოთხოვნა, საგანგებო ხაზგასმით, რომ უნგრეთისათვის შეექმნათ უფლებამოსილი უწყება. ამ სპეციალური სამინისტროს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა პრესის თავისუფლება, კანონი ნაფიც მსაჯულთა შესახებ, აღმსარებლობის ლიბერალიზმი და სწავლების ნაციონალური სისტემა. რაღა თქმა უნდა, როგორც გამჭრიახი პოლიტიკოსი, კოშუტი (ამ მოთხოვნათა ინიციატორი და სულის ჩამდგმელი...) ყველაზე ხელსაყრელ დროს აღმოჩნდა ვენაში და ამიტომაც, ლიბერალურ თეითმმართველობაზე გადასასყელად, მან მიიღო „საიმპერატორო წყალობა".

მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა; სწორედ ახლა იწყებოდა თავდაუზოგავი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული პრესის საშუალებით „რეეოლუციური დუღილის" ფაზაში უნდა შეეყვანათ უნგრელი ხალხი; რისთვისაც კოშუტი აარსებს კიდევ ერთ გაზეთს – „კოშუტის გაზეთს" („კოშუტის ფურცელს"). კოშუტის თაოსნობით (1848 წელსვე) იწყება ბობოქარი რეფორმატორული ქმედება, რომელიც შეეხო უნგრეთის სახელმწიფოს ყველა რგოლს (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რეფორმა იყო ბატონყმობის გაუქმება...). სამწუხაროდ, ამ პრო-

ცესთა პარალელურად, ხორვატიისა და ავსტრიის ხელისუფლებას შორის მომწიფდა გარდაუვალი შეტაკების საშიშროება.

უნდა ითქვას, რომ ლაიოშ კოშუტი არა მარტო სახელმწიფოს მართვის ჩინებული სტრატეგი იყო, არამედ საკმაოდ კარგად ერკვეოდა ქვეყნის თავდაცვის საკითხებშიც. ამიტომაც, მან პარლამენტისაგან სასწრაფოდ მოითხოვა კრედიტი (12 მილიონი გულდენის ოდენობის) 200 000 კაციანი არმიის შესაქმნელად ანუ ზოგადად, საბრძოლო მზადყოფნისათვის... კოშუტის ამგვარ ქმედებას მოჰყვა იმპერატორის მხრიდან პარლამენტის დათხოვნა – ერთადერთი საბაბით, რომ შეწყვეტოდა კოშუტს ნაციონალური პრეზიდენტის უფლებამოსილება... მოელენები უკვე ელვის სისწრაფით ვითარდებოდა – უნგრეთისაკენ დაიძრა ავსტრიის არმია (მისი უდიდებულესობა ეინდიშგრეცის მხედართმთავრობით) აჯანყებულ ხორვატთა ჩასახშობად (ხორვატთა მეთაური კი იყო ბანა ელაჩიჩა). თავის მხრივ, – უნგრეთშიც კოშუტმა შექმნა ძლიერი, ბრძოლისუნარიანი არმია ერთგული თანამოაზრის, გენერალ გერგეის სარდლობით. 1849 წლის 14 აპრილს კი უკვე გამოაცხადა უნგრეთის დამოუკიდებლობა და თავად გახდა ახლა გამოცხადებული დემოკრა-ტიული რესპუბლიკის „მმართველი პრეზიდენტი“ („პრეზიდენტ-რეგენტი“). ეს უნგრეთის ისტორიისთვის იყო ერთობ საინტერესო, საპასუხისმგებლო და რთული პერიოდი, როცა საკუთარი ამბიციები, შიდა შუღლი უნდა ჩაეხშოთ, რათა თავი ერთპიროვნულად ყველას სამშობლოს ინტერესებისათვის დაექვემდებარებინა. სწორედ ამ დროს, – ლაიოშ კოშუტის „რჩეულობა“ თვალსაჩინო გახდა; ის თავად მეთაურობდა არმიის ქვედანაყოფებს; აწარმოებდა მოლაპარაკებას ინგლისთან, საფრანგეთთან; აპროტესტებდა რუსეთის იმპერიის ჩარევას ამ დაპირისპირებაში (რუსეთის მხარეს წარმოადგენდა პასკევიჩი...); წერდა პროკლამაციებს; წარმოსთქვამდა მოწოდებებს; ანუ უნგრეთის რევოლუციისთვის ლაიოშ კოშუტი იქცა „ანთებულ გულად“...

ყველაფრის მიუხედავად, ახლად ფეხადგმული რესპუბლიკა ხანგრძლივმა ბრძოლამ გამოფიტა და გაჩნდა „უნდობლობის ელემენტებიც“. ამ კრიზისულ პერიოდს ვერ გაუძლო გენერალ გერგეის პატივმოყვარეობამაც და ის კოშუტს დაუპირისპირდა. მან 1849 წლის 14 აგვისტოს შეწყვიტა საომარი მოქმედება და სრული კაპიტულაცია მოახდინა პასკევიჩთან, – უნგრეთის არმიის დიდ ნაწილთან ერთად. სამწუხაროდ, ეს იყო უკვე კრახი უნგრეთის რევოლუციის. კოშუტს ისღა დარჩენოდა, რომ 5000

კაციანი არმიით წასულიყო თურქეთში, სადაც გარკვეული ხანი დაყო.

ავსტრიისა და რუსეთის იმპერიები თურქეთის მხარეს სთხოვდნენ კოშუტის დაუყოვნებლივ გადაცემას. თუმცა თურქეთის სულთანმა (რელიგიური ცნობიერებიდან გამომდინარე), სტუმარს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. თურქეთი კოშუტმა მას შემდეგ დატოვა, რაც საიმპერატორო ხელისუფლებამ ჩამოხრჩობის განაჩენი გამოუტანა. მან ჯერ საფრანგეთს მიაშურა, მაგრამ ნაპოლეონ III-მ არ შეიფარა ცნობილი რევოლუციონერი – უკვე „პოლიტიკურ დამნაშავედ“ შერაცხილი. სამაგიეროდ, ინგლისში მას მოუწყეს საზეიმო შეხვედრა (ტყუილად როდი ჰქონდა მაძინის საოცრად სათუთი დამოკიდებულება ინგლისის მიმართ – ქ.ე.). ინგლისში ყოფნის პერიოდში, ის ამერიკაშიც ჩადიოდა და ყველგან ერთადერთ რამეს ითხოვდა – უნგრელი ხალხისათვის თანადგომას. სულ მალე, კოშუტმა მოძებნა მუდმივი საცხოვრებელი – ის დასახლდა ტურინში, სადაც 40 წელი გაატარა (მცირე გამონაკლისის გარდა...).

უნგრეთის საზღვრებს გარეთ მყოფიც არ წყვეტს კოშუტი ბრძოლას ლიბერალურ ღირებულებათა დასაცავად. სწორედ ამ მიზნით, 1859 წელს მან შექმნა უნგრული ლეგიონი და გარიბალდის მხარდამხარ იბრძოდა... „რევოლუციის ქარიშხლებს“ მინაყლებული უნგრეთი, ცხოვრების კვლავ ძველ წესს დაუბრუნდა და „ახალი შეთანხმების“ საფუძველზე ავსტრიამ კიდევ უფრო გააძლიერა თავისი მმართველობა უნგრეთში. 1867 წელს კოშუტმა გააპროტესტა თავისი ქვეყნის ამგვარი თანაცხოვრება „იმპერიის ფრთებქვეშ“ და უარყო იმპერატორ ფრანც-იოსიფის ამნისტია. არადა, იმპერატორს უნდოდა, რომ ლაიოშ კოშუტი სამშობლოში დაბრუნებულიყო, რადგან უნგრეთის გარეთ მყოფი, ის უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მათთვის. კოშუტის დასაბრუნებლად, 1879 წელს უნგრეთის ხელისუფლებამ სპეციალური კანონიც კი შემოიღო, რომლის მიხედვითაც, – ემიგრანტი თუ ათი წელი მაინც იყო სამშობლოდან წასული, ავტომატურად ჩამოერთმეოდა მოქალაქეობა.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ პირველ სამიზნედ სწორედ კოშუტს მიიჩნევდნენ – უნგრეთის ეროვნულ გმირს, რომელიც ამ კანონის ამოქმედებისთანავე „ყოფილ უნგრელად გადაიქცეოდა“... თუმცა, ევროპის ლიბერალურ პროცესებში ჩართულმა ლაიოშ კოშუტმა შეიძინა „პოლიტიკური მოქალაქის“ ერთგვარი იმუნიტეტი. უნგრეთიდან იძულებით ემიგრირებულ კოშუტს, – სამშო-

ბლოს თავისუფლების სულისკვეთებას უმძაფრებდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა უწყვეტი სპექტრი, თავისი აქტიური ნართულობა ამ პროცესებში (მათ ხომ ერთი მტერი ჰყავდათ — ავსტრიის იმპერია) და ესახებოდა იმედი, რომ ერთიანი იტალიის შექმნას აუცილებლად მოჰყვებოდა უნგრეთის დამოუკიდებლობაც.

რაც მთავარია, მას არასოდეს არ გადაუსვევია თავისი უმთავრესი დებულებიდან: „მე არასოდეს არ მივდევ ცარიელ უტოპიას, რადგან ძალიან კარგად ვიცი, რომ მეცნიერება სახელმწიფოს მართვის შესახებ არის ერთ-ერთი რეალური საგანთაგანი ამქვეყნად“.

ამიტომაც, ის იმედოვნებდა, რომ ევროპის „პოლიტიკური ჰორიზონტს, როგორც კი ნათელი დაადგებოდა, უნგრეთიც დაინახავდა „ხსნის გზას“. ეს გზა მისთვის იტალიის 1852 წლის გამოსვლების პერიოდიდან უფრო საცნაური გახდა. რასაც მოწმობს თუნდაც გერცენთან (კოშუტისა და გერცენის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ემიგრაციის რთულ პერიოდთან ადაპტაციისთვის. რაც მთავარია, არც ერთმა არ იცოდა, რომ „ემიგრანტობა“ მათთვის საბოლოო ცხოვრებისეული განაჩენი იყო) მისი საუბარი: „ამჟამად ყველაფერი იტალიელებსია დამოკიდებული... თუ ისინი კიდევ დაიწყებენ გამოსვლებს, მაშინ სიტყვას გაძლევთ, რომ უნგრეთიც გამოფხიზლდება და კვლავ დაიწყებს აქტიურ ქმედებებს...“ მაგრამ კოშუტს არ უნდოდა იმის დაჯერება, რომ უნგრეთი „პოლიტიკურად სერხემალგადატეხილი იყო“. ის შემდგომშიც, უკვე გარიბალდისთან მყოფი, მოუწოდებდა თანამემამულეებს კვლავ ხელში აეღოთ „თავისუფლების“ დროშა. მაგრამ ეს მოწოდება ოცნებად დარჩა: არც პრემიერ-მინისტრ კავურთან მოლაპარაკებამ, ანუ იტალიის ეროვნულ ინტერესებთან „უნგრული ფუნიმენის“ გათვალისწინებამ არ გამოიღო შედეგი, — თუმცა კი არსებობდა საკმაოდ რეალური საბრძოლო გეგმაც (ვოლონტიორებთან ერთად უნგრეთის განთავისუფლება)... სამწუხარო რეალობა იმაში მდგომარეობდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერის შინაგანი „პოლიტიკური დულილის“ გამოხატულებას აღარ წარმოადგენდა; უკვე შეუძლებელი იყო, თუნდაც ლაიოშ კოშუტს შორეული ემიგრაციიდან გამოეფხიზლებინა ნაცია. ამიტომაც იქცა „ექსპედიცია უნგრეთში“ ერთგვარ მითად. მაგრამ კოშუტი საბოლოო მიზნებზე ორინტირებული, — იმპერატორ ნაპოლეონ III-ს მოკავშირეც კი ხდება, არც

კაეურთან გარიგებისგან იხეს უკან. კოშუტმა ასევე კარგად იცოდა, რომ არაფრით არ შეიძლებოდა პოლიტიკოსი მარტოოდენ ზოგად პრინციპებზე ყოფილიყო ორიენტირებული. არადა, მას პოლიტიკური რყევებიდან გამომდინარე, უნდა შეძლებოდა „მოულოდნელი სვლების“ გაკეთებაც. პერიოდულად, – კოშუტს „პოლიტიკური სისხლის გადასხმაც აცოცხლებდა; გარიბალდის სამხედრო პათეტიკა და სულისკვეთება აღაფრთოვანებდა და იმედგაცრუებისგან იკურნებოდა. ასევე რწმენას უმძაფრებდა მაძინის პოლიტიკური სიწრფელე და კულტურა, რევოლუციისადმი უსაზღვრო მსხვერპლშეწირვის უნარი...

მიუხედავად მრავალწლიანი ემიგრაციისა, კოშუტი მხოლოდ უნგრეთის „პოლიტიკურ დინებასთან“ მიმართებაში აღიქვამდა მსოფლიო პოლიტიკას. ამიტომ, უნგრეთიდან იძულებით გადახვეწილი, კოშუტი თანამემულეებისათვის სათაყვანებელ ეროვნულ გმირად რჩებოდა. ამას მოწმობს, თუნდაც 1892 წელს, მთელ უნგრეთში, კოშუტის 90 წლის იუბილის საზეიმო აღნიშვნა; ქალაქ პეშტას საპატიო მოქალაქეობის მინიჭება და ერთი ქუჩისათვის მისი სახელის წოდებაც. პეშტას უნგრეთის სხვა ქალაქებმაც მიბაძეს... ეს იყო მართლაც, სახალხო, ეროვნული ზეიმი. ამასთანავე უნგრეთიდან ტურინში იყვნენ წარგზავნილები – კოშუტის ძველი მეგობრები თუ თანამოაზრენი და ეროვნული იდეებით ანთებული ახალგაზრდები. მაგრამ ამგვარი აღიარების მიუხედავად, იყო გულისტკივილიც და უსაფუძვლო ბრალდებანიც: „კოშუტი შეუძლოდ იყო, როდესაც შემთხვევით ხელში ჩაუვარდა გაზეთი – „ორმოცდაცხრა“, სადაც იყო დაბეჭდილი დეკაის (1867 წლის, 28 მარტის) საშინელი გამოსვლა; კოშუტს ის „უნგრეთის მესაფლავეს“ უწოდებდა...“ (ფეკეტე 1978: 271). ბუნებრივია, ეს მძიმე დარტყმა იყო იმ ადამიანისათვის, ვინც „სამშობლოს ჯვარს“ უდრტვინველად ატარებდა... კოშუტმა „პატრიარქალურ ასაკამდე“ იცხოვრა (ის 92 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსულტით). ის სიცოცხლის ბოლომდე, – „სიბერის მძიმე ტვირთის“ მიუხედავად, მთელი შემართებით აგრძელებდა თავის თხზულებებზე მუშაობას. კიდევ ერთი ცხოვრებისეული პარადოქსი, – მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შეძლო მან უნგრეთში დაბრუნება – ლამის ეროვნულ რიტუალად იქცა კოშუტის დაკრძალვის ცერემონიალი. ხალხის ნებას დაჰყვა იმპერატორი ფრანც-იოსიფიც და ამიტომაც, ლაიოშ კოშუტი დაკრძალეს პეშტაში – კორეპეშის სასაფლაოზე.

კოშუტის ფენომენი (ქართულ-უნგრული ურთიერთობის ისტორიის შესახებ ე. იმერლიშვილის გამოკვლევა – „ქართულ-უნგრული კულტურული ურთიერთობანი“, XVIII-XX საუკუნეში, თბ., „მეცნიერება“, 1995) ილია ჭავჭავაძის მცდელობით, მეტად საინტერესოდ შემოიჭრა XIX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. თუნდაც საგურამოში არსებული ლაიოშ კოშუტის პორტრეტი, – ილიას საგანგებო წარწერით: „არასოდეს ჭეშმარიტებას ამქვეყნად ასე მძლავრად არ დაუქუხია“. ანდა ილიასავე კოშუტის გარდაცვალებისადმი დაწერილი წერილი – „ჰუნგრელთა სახელოვან მამულიშვილის კოშუტის გარდაცვალებას“. „1847 წელს კოშუტი არჩეულ იქნა, – წერს ილია, – ავსტრიის პარლამენტის დეპუტატათ. კოშუტი მაშინვე მთავრობის წინააღმდეგ დასის მეთაურად გახდა და დიდის მეტყველებით დაიწყო ბრძოლა იმპერიის სხვადასხვა ტომთა თანასწორობის, ხალხის ბეგარის შემცირებისა და ყოველ იმისათვის, რაც ნამდვილად ესაჭიროება ქვეყანას... მთავრობამ ჰუნგრეთის პარლამენტი გააუქმა... მაშინ კოშუტმა აღმართა ჰუნგრელთა განთავისუფლების დროშა და შეკრიბა ჯარი მტერთან საბრძოლველად. მაშინ კოშუტს მიანიჭეს ჰუნგრეთის დიქტატორობა, ჩააბარეს მთელი ქვეყანა და მისი სახელი დიდებით შეიმოსა“ (აბზიანიძე 1959: 60).

და მაინც, ყველაზე მეტყველი თავად ლაიოშ კოშუტის სიკვდილისწინა ჩანაწერია – უკანმოტოვებული ცხოვრების ხელახალი წაკითხვა: „ჩემზე ამბობენ, რომ მე თითქოსდა „წარსულის ადამიანი“ ვარ. მე ჩემს თავს არ ვთვლი აწმყოში სრულიად რეალიზებულ პიროვნებად, რომლის წინაშეც უნდა ილოცოს თანამედროვე ადამიანმა.

ესაა ჩემი საკურთხეველი...

თუ ბედისწერა უნგრელი ერის მომავალს და სახელს არ წაშლის, მაშინ უნგრეთი თავისუფალი მოქალაქეების სამშობლოდ გადაიქცევა“ (ლაიოშ კოშუტი, 1894 წელი).

ხოსე მარტი (1853-1895)

„კაცობრიობის მომავალი მშვიდობაა“.
ხოსე მარტი

არადა, მშვიდობისმოსურნე კუბელი პოეტისათვის (შანდორ პეტეფისა არ იყოს...) ცხოვრებამ რევოლუციური „გრგვინვა-გრიალით“ გაიარა, რადგან სამშობლოს თავისუფლება მხოლოდ მოწამეობრივი გზით მოიპოვება. შემოქმედებითი სული და მოაზროვნე გონება კი ამ „გზაზე“ უფრო დაუცველია და საბედისწერო განსაცდელით ძლიერ „დამძიმებული“. ასე იყო ხოსე მარტის შემთხვევაშიც.

აბობოქრებულ XIX საუკუნეში მთელი ევროპა თავისუფლების სახელით სიკეთისა თუ ბოროტების, ამაღლებისა თუ დაცემის „ბეწვის ხიდზე“ გადიოდა და იბადებოდნენ „ახალი გმირები“, „ლიდერები“, „ერის მოძღვარნი“ თუ „სულიერი მამები“... და ამ სახელთა ნაირგვარობაში „ევროპულ სახლს“ შორეული კუბიდან ხოსე მარტის სახელიც შეემატა.

არათუ ევროპა, არამედ ჩვენთანაც – საქართველოში „ი. ჭაჭავაძე ყხიზლად აღეცნებდა თვალყურს ღაჩაგრულ ეროვნებათა განმათავისუფლებელ მოძრაობას და „ივერიის“ ფურცლებზე ეხმიანებოდა ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას ამ მიმართულებით. „კუბა მამაცურად იბრძვის თავისუფლებისათვის“, წერს „ივერია“ 1896 წლის პირველ ნომერში“ (აბზიანიძე 1959: 59). და, ბუნებრივია, – ამ კონტექსტში ხოსე მარტის სახელიც იკვეთება არაერთხელ... ცნობისათვის, – 1896 წლის „ივერიაში“ კუბის აჯანყების შესახებ არის ორი პუბლიკაცია (20 იანვარი, № 15 – „ესპანია და კუბა“, გვ. 3; 6 აპრილი, № 74 – „კუბა“, გვ. 3).

ჩვენი ეთნოფსიქოლოგიისათვის, – ხოსე მარტის უკომპრომისო ცხოვრების წესი, შეწირულობის ფენომენი, მაგრამ, იმავდროულად, სწორედ თანამოაზროვნეთაგან დაუნდობელი

ბრალდებანი და მისი ჯეროვანი დაუფასებლობა, რაღაცით მშობლიური და ადვილად მისაღები იყო. ეგებ ამიტომაც, ხოსე მარტის სახელი საქართველოში თავისუფალი პოეტური ასოციაციების სიმბოლოდ იქცა, რაც სიმბოლურ პიროვნებად დამკვიდრების წინაპირობა იყო.

სიმბოლური პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, ჯერ აღმატებული პიროვნული ფენომენით უნდა გამოირჩეოდეს, შემდეგ უნდა განასახიერებდეს რაიმე სიმბოლოს (ან ამის ილუზიას მაინც უნდა ქმნიდეს) და, რაც მთავარია, ის თავისი მასშტაბით ეროვნული პოლიტიკურ დიაპაზონს აუცილებლად უნდა აღემატებოდეს. ხოსე მარტი კი კიდევ ერთი ნიშნით გამოირჩეოდა; ის იყო პოეტი, შემოქმედი, დახვეწილი ინტელექტუალი, ესთეტი და მისი „შემოქმედებითი ნატურა“ ისეთივე მარტოსული იყო XIX ს-ის „რევოლუციურ ქარიშხლებში“, როგორც კუბის დროშაზე გამოსახული „მარტოდმთენილი თეთრი ვარსკვლავი“.

ხოსე მარტის განსხვავებული „რევოლუციური პათოსი“ იმანაც განაპირობა, რომ იყო ცნობილი კუბელი მრავალმხრივი მწერალი და ლიტერატორის - რაფაელ მარია დე მენდივეს მოწაფეთაგანი (მისი სახელი 1865 წლის 19 მარტს მენდივემ საკუთარი ხელით ჩაწერა თავის აღსაზრდელთა შორის). მწერლობასა თუ ხელოვნებასთან განდობილნი, — ისინი უშუალოდ მენდივეს უცდომელი კომენტარებით ტკბებობდნენ ჰიუგოს იდეებით და ეთაყვანებოდნენ ბაირონის „მეამბოხე სულს“. ამასთანავე, სწორედ მენდივე იყო ის ადამიანი, ვინც ესპანურ ენაზე თარგმნა თომას მორი და ვიქტორ ჰიუგო. ღონ რაფაელი ყველაფერს იყიწყებდა, როცა თავის შეგირდებს უყვებოდა სახელმწიფოთა „დაბადების“ შესახებ., ანდა თუნდაც ქრისტეფორე კოლუმბის მიერ „ახალი მიწის“ აღმოჩენის ეიფორიაზე, რასაც სამწუხაროდ, მოჰყვა მკვიდრი მოსახლეობის სამუდამო დაკაბალება ესპანეთის სამეფოს მიერ. ალბათ ამიტომაც, — ჩნდება ამ პერიოდში ხოსე მარტის ამგვარი „ჩანაწერი“; „თუ მეყოფა ძალა, რომ შევდგე ნამდვილ პიროვნებად, ამით მე მხოლოდ თქვენგან ვარ დავალებული; რადგან მე აქ, თქვენთან, ეხედავ დიდ სიკეთეს, რომლის მიმართაც მე ვივსები უსაზღვრო სიყვარულით“.

სწორედ ამ უჩვეულო სულიერმა ურთიერთობამ ინტელექტუალური სისავსე შესძინა ხოსე მარტის და მან, ერთხელ და სამუდამოდ, იწამა ჭეშმარიტება „უკომპრომისო გამარჯვების“. ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი, უკიდეგანო შემოქმედებითი რესურსი და თავისუფლებისათვის ბრძოლის ენით, მას

სრულიად განსხვავებულ პიროვნებად აყალიბებს. რევოლუციური ბიოგრაფიის მიუხედაავად, ხოსე მარტის, სიცოცხლის ბოლომდე სწამდა ნებისმიერ ადამიანში კეთილი საწყისის არსებობისა; ეგებ ამიტომაც, ის ყველგან ეძებდა „კეთილ, პატიოსან კუბელებს“, ნამდვილად „ნათელ ადამიანებს“, სწორედ ისეთს, – როგორიც თავად იყო. კუბელთათვის ის დარჩა „ინტელექტუალურ მებრძოლად“, ასევე - „კუბის გულად“ მონათლა ის მაქსიმო გომესმა (გომესი – მეტსახელად „მოხუცი“, მამბთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გახლდათ). იშვიათია, როცა თანამებრძოლი ამგვარი სახელდებით ანებივრებდეს თანამოაზრეს, ანუ აღიარებდეს მის განუსომელ მასშტაბს (არათუ კუბელთათვის, არამედ მთელი ესპანურენოვანი ამერიკისათვის ის მხსნელად იყო მიჩნეული...). ეგებ იმიტომ, რომ ხოსე მარტი სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ფიგურად აღიქმებოდა: წამლეკავი ქარიზმით – პოეტური და რევოლუციური პათოსის თანაკვეთით, რომელიც რაღაც მაგიურ, ბობოქარ ენერგიად გარდაისახებოდა კუბელთათვის. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეს მისი პოეტური აღმაფრენა (ქართულ ენაზე ხოსე მარტის შურმან ლებანიძისეული თარგმანი – „კუბა ყვავილებში“, ლირიკა, დრამა ლექსად, გამოიცა 1974 წელს, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.) იყო (თუნდაც „თავისუფალი ლექსები“, რომელიც რატომღაც არ წაიღო გამომცემლობაში და დაუდევრად თარო'ზე შემოდო...) თუ პოლიტიკური მონოგრაფია (70-იან წლებში დაწერილი წიგნი – „პოლიტიკური სატუსაღოები კუბაში“), ანდა მისი ცნობილი ესსე – „ჩვენი ამერიკა“ – (ამერიკელი ხალხის ისტორიული და სულიერი საწყისის განსჯა), ყველგან ხოსე მარტის ინტელექტი, განსწავლულობა, თავისუფალი ნებელობა – მძაფრი რევოლუციური იმპულსით იყო დამუხტული.

პოეტი ხოსე მარტი და კუბის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხოსე მარტი („პრეზიდენტადაც“ კი სახელდებული...) ეს ის სრულყოფილი „შემოქმედი – პიროვნება“ იყო, რომელსაც ყველაზე მიუკერძოებლად შეეძლო ლექსის ფენომენის აღქმა (საკუთარის ჩათვლით...); „...პოეზია ხომ ყველაზე წმინდაა და ამიტომაც, მე ბოლომდე გულწრფელი ვარ ჩემს ლექსებში... ყველა ადამიანს ხომ თავისი სახე აქვს, ყველა პოეტურ შთაგონებას კი თავისი „ენა“... მე ძლიერ მომწონს ლექსების „პოლიფონია“ – რთული ფერადობა; ლექსები ხომ ქანდაკების მსგავსნი არიან, ამიტომაც „წმინდა ფაიფურის“ მსგავს ხმას უნ-

და გამოსცემდეს, ისეთივე ზესწრაფულნი უნდა იყვნენ, როგორც ჩიტები, ეულკანის ლაქასავით აალებადი და წამლეკავი... მე მინდა მხოლოდ საკუთარ თავთან ვიყო მართალი (რაც აისახებოდა კიდევ მის შემოქმედებაში – ქ.ე.) და თუ ჩათვლიან, რომ ვარ ცოდვილი, მე არასოდეს არ შემრცხვება ჩემი ცოდვების...“

ხოსე მარტის ეს ჩანაწერი ერთგვარი აღსარებაცაა იმ ადამიანის, რომლისაც ხშირად არ ესმოდათ „იარაღის ხალხს“... ყველაზე „დიდი ბრალდება“ კი მისი ემიგრანტობის გამო იყო გამოწეული. ის კი არ ესმოდათ, რომ „გარეთ მყოფი“ მარტი, სულ უფრო და უფრო, იძირებოდა კუბის პრობლემებში და საერთოდ არ ჰქონდა მნიშვნელობა, დროებით სად იქნებოდა; პარიზსა თუ ლონდონში, ესპანეთსა თუ ამერიკაში, მექსიკაში, ვენესუელასა თუ გვატემალაში (ემიგრანტობის გზა მისთვის 17 წლის ასაკში დაიწყო, როცა ჰავანიდან გააძევეს და გაასამართლეს...). ხოსე მარტი ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა „მასობრივი აჯანყების“ დაწყებას (ამგვარი ორჭოფობის გამო „მშიშრადაც“ კი მოიხსენიებდნენ ზოგჯერ...), რადგან კარგად იცოდა, რომ ბრძოლის დაწყება გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე მისი წარმატებით დასრულება. მისი წინდახედულობა და პოლიტიკური სიფხიზლე კი ხშირად გაუგებარი იყო თანამოაზრეებისათვისაც, – იქნებოდა ეს გომესი თუ მასეო. ხოსე მარტის ანალიტიკური აზროვნება და ფილოსოფიური ხედვა არათუ კუბას, არამედ მთელ ესპანურენოვან ამერიკას სწვდებოდა, რაგანაც ის თავისი ქვეყნის პრობლემებს მსოფლიო პოლიტიკურ ჭრილში ხედავდა. სწორედ იმიტომ, რომ ხოსე მარტი ძალიან ბევრს ფიქრობდა კუბის მომავალზე (მას არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია ჰქონდა ამერიკის ინდუსტრიული განვითარების შესახებ); მას მიაჩნდა, რომ მისი ქვეყანა არ იყო მზად მსოფლიო „მექანიზებული სამყაროს“ ერთ-ერთი წევრი გამხდარიყო ევროპისა და ამერიკის მსგავსად. კუბელი ხალხისთვის აუცილებელი იყო მიწის ფლობა, ანუ მიწათმოქმედების სწრაფი განვითარება საკუთარი ქვეყნის ინტერესიდან გამომდინარე. თუმცა მას ძლიერ იზიდავდა ყოველგვარი პროგრესი, ცხოვრებისეული ცვლილებების თავისუფალი აღქმა, ახალი ისტორიის შექმნის „პროცესი“ (ამის თვალის მიდევნება სულაც...); ქვეყნის პოლიტიკური დიაპაზონის ყველა ის ნიშანი, რითაც XIX ს-ის ამერიკა სრულიად განსხვავდებოდა „ევროპული სტერეოტიპებისგან“ (მარტი ამერიკას ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ მიიჩნევდა...) და ალბათ, ამანაც დააწუ-

რინა ხოსე მარტის თაეის ერთ-ერთ პირად წერილში ამგვარი რამ (ალდორეასადმი მიწერილი); „მე ამერიკის შვილი ვარ. მე მას ვეკუთვნი!“ ეგებ, ეს ემიგრაციის „დამღაც“ იყო. საკუთარ ფესვებს მოწყვეტილი პოეტი საკუთარ „ნაპირს“ ეძებდა, – მცირედი სიმშვიდის გარანტიით (რაც, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მას არც მექსიკაში, არც გვატემალასა და არც ვენესუელა'ში არ შეიძლება ჰქონოდა), რაც მეტ-ნაკლებად, ალბათ, მხოლოდ ნიუ-იორკში გახდა მისთვის შესაძლებელი. ეს კი მის პოლიტიკურ წერილშიც აისახა – „წერილი ნიუ-იორკიდან“, რომელსაც მთელ ლათინოამერიკულ ქვეყნებში ერთი ამოსუნთქვით კითხულობდნენ. თავად კი, – ასევე სულმოუთქმელად მსოფლიო მწერლობას ეწაფებოდა – დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებითა და ღრმა ფილოსოფიური ხედვით. ამის მტკიცეული ილუსტრაციაა ჟურნალისტ ენრიკე ტრუხილიოსთან მისი პოლემიკა მწერლის ფენომენის შესახებ, – ტრუხილიო „დიდ“ პოეტად ბოდლერს მიიჩნევდა, ხოლო ხოსე მარტი კი უიტმენის პოეტურ გენიას აღიარებდა; „ხოსე მარტისთვის ბოდლერის პოეზიაში „დაბალი ფენის“ მკვეთრად გამოხატული მიუღებლობაა, მიუხედავად აზრის სიღრმისა და ვნებათაღელვისა, – ერთგვარი დაუნდობლობაც იკვეთება... მაშინ როდესაც მისთვის, რემბოს ცხოვრება ნიმუშია ღირსებისა და ვაჟკაცობის, ცხოვრების უნაყოფო ქიმერებთან ბრძოლისა... ხოსე მარტის მიაჩნდა, რომ პოეზიამ უარი უნდა თქვას ყოველდღიურ ამაოებაზე და ბარიკადებზე უნდა გადაინაცვლოს; როგორც ეს მოხდა რემბოს და ვერლენის შემთხვევაში; ანდა თუნდაც მალარმე, რომელიც წერდა, რომ იქ, სადაც მხოლოდ პოეტის „მხატვრული ოსტატობა“ - იკვეთება „სიცივე უბერავს“... ასეთ ფრანგ პოეტებთან კიდევ შეიძლება უიტმენის შედარება და არა ბოდლერთან...“ (ვიზენი 1964: 164-165). რადგან თავად მისთვის (როგორც მისი ბიოგრაფები მოგვითხრობენ...) „თითოეული ლექსი მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, – სამუდამოდ დარჩენილი ქაღალდზე“... ხოსე მარტის პოეტური პორტრეტის კიდევ ერთი საგულისხმო შტრიხი: როდესაც გარდაიცვალა მისი გვატემალელი თანამოაზრის - გენერალ გრანადოსის ქალიშვილი მარია, ხოსე მარტი ხელზე ეამბორა კუბოში ჩასვენებულ ასულს და ამით თავისი სათუთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ გამოხატა... ხოლო შემდეგ კი, უკვე ცივ ნიუ-იორკში ლექსი მიუძღვნა ამ მშვენიერ გოგონას; ...უნდოდა ეფიქრა, რომ მარია მის

სიყვარულს ემსხვერპლა (არადა, ის მდინარეზე ბანაობისას გაციებდა...).

„ეს ზღაპარია გაშლილ ყვავილზე
– გოგონაზე გვამეტალიდან...
დიდ სიყვარულს რომ ვერ გაუძლო
და ჩაიფერფლა...“
(სიტყვასიტყვითი თარგმანი – ქ.ე.).

მხოლოდ ამგვარ, – არაორდინალურ რევოლუციონერს შეეძლო საკუთარ სიკვდილს, ამაღლებულად, – თეთრ ცხენზე ამხედრებული შეგებებოდა ბრძოლის ველზე. პოეტური ინტუიციით, ხოსე მარტი გრძნობდა, რომ ჰავანაში დაბრუნებით „მთელეშარე ბედისწერას“ აფხიზლებდა. და, როგორც არასდროს, – იგრძნო, რომ ცხოვრების გასაყარზე იდგა და მოახლოებული განსაცდელის გამო, კიდევ ერთხელ წერილობით, პატიება ითხოვა მშობელი დედისაგან;

წერილი დედას – „დიდი გზის კარიბჭესთან მდგომი მე არ ვწყვეტ თქვენზე ფიქრს. ვიცი, რომ ჩემი სიყვარულის გამო ტკივილს ატარებთ და გამუდმებით გაწუხებთ კითხვა, თუ, მაინცდამაინც, თქვენს შვილს რატომ უხდება მთელი ცხოვრება მსხვერპლის გაღება... მაგრამ ვფიცავ, მე სხვანაირად არ შემეძლო. მამაკაცის ვალია, იყოს იქ, სადაც საჭიროა... თქვენ კი მუდამ ჩემთან ხართ – ჩემს ფიქრებსა თუ შეგრძნებებში... ეხლა კი, მისურვეთ „კეთილი გზა“ და გწამდეთ, თქვენი შვილი უღირსად არასოდეს მოიქცევა...“

სულ ბოლო წერილი, რომლის დასრულებაც ვერ შეძლო, 18 მაისითაა დათარიღებული (19 მაისს გამთენიისას კი დაიღუპა...). „ჩემო ძვირფასო ძმაო! (იგულისხმება მისი ძველი მეგობარი – მეხიკოელი მანუელ მერკადო...), ბოლოს და ბოლოს, შევძელი თქვენთვის მომეწერა. ყოველ წამს შეიძლება დავიღუპო ჩემი სამშობლოსათვის ბრძოლაში. თქვენ მე კარგად მიცნობთ“... წერილი ვერ დაასრულა, მაგრამ სამწუხაროდ დაასრულა ცხოვრება, რომელიც ყველაზე კარგად შეესიტყვისება ძველი რომაელი ფილოსოფოსის სენეკას სიბრძნეს.

„ცხოვრება ფასდება არა ხანგრძლივობით, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ, შინაარსით“. ხოსე მარტის ცხოვრების „პოლიტიკური შინაარსი“ უსაზღვროდ მრავალფეროვანი და

„სნეობრივად დატვირთული“ იყო, რასაც მოწმობს მისი პუბლიცისტიკაც, მისი მოწოდებებიც და პირადი ჩანაწერებიც...

თუნდაც, ერთ-ერთი პირველი, – საქმაოდ ხმამაღალი განაცხადი 17 წლის ჭაბუკისა (მან თავის თავზე აიღო კარლოს დე კასტროს მიერ დაწერილი წერილი – მოწოდება), რითაც ის დაუპირისპირდა ესპანურ სახელისუფლო ბერკეტს და ამ პოლიტიკის გამტარებელ კუბელ ჩინოვნიკებს; „ეს წერილი მე დავწერე მარტოდმარტომ. მე არ შემეძლო, რომ არ დამეწერა, რადგან მთელი გულით ვგმობ ესპანეთის „წნეხს“ ჩემს მშვენიერ სამშობლოში. ვერ ვიცავ იმ თანამემამულეებს, რომლებიც ცდილობენ ამ პოლიტიკის განმტკიცებას. მე ვიცი, რომ ეს წერილი საბაბია, თქვენ გკდევნით და გვასამართლებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ თავისუფლების სამსახურში ვართ...“ ხოსე მარტი, მუნდიენეს წყალობით, ამ გზას სრულიად ახალგაზრდა მშობლიურ ჰავანაში დაადგა, – გამოსცა რა ყოველკვირეული „ლა პატრია ლიბრე“ – ზემოდასახელებული წერილი სწორედ აქ დაიბეჭდა.

ხოსე მარტი იმგვარი პიროვნება იყო, რომელიც, თუნდაც იძულებით ესპანეთში გადასახლებას, თავის სასიკეთოდ იყენებს. მადრიდისა და სარაგოსას უნივერსიტეტებში ეუფლება ფილოსოფიას, სამართალს და, რაც მთავარია, თავისი პროგრესული აზროვნებით, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ერთმანეთისგან ყოველთვის მიჯნავს ქვეყნის „პოლიტიკას“ „კულტურისგან“. ამიტომაც ასე წერდა: „რა არის მიზეზი ჩემი ესპანეთის არსიყვარულისა?! უბრალოდ, მე ვერ ვიტან ესპანელ გენერლებს (საბედისწერო შეტაკებისას, 1895 წლის 19 მაისს, ესპანეთის ჯარი შეტევაზე გადაეიდა პოლკოვნიკ ხიმეს დე სანდოვალის მეთაურობით...), მაღალჩინოსნებს, გრანდებს, რომლებიც ეპატრონებიან ჩემს სამშობლოს... მაგრამ მე მიყვარს ესპანელი ხალხი და მათი კულტურა“ (XIX ს-ის 70-იანი წლების ჩანაწერი). იმავე საუკუნის 80-იან წლებში, უფრო ზუსტად - 1888 წელს, ილიაც დაახლოებით ამგვარ კონცეფციას ავითარებს („თერგდალეულნი“ და ახალი თაობა) „რუსული წნეხის“ თაობაზე თავის მშობლიურ მიწა-წყალზე; „ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ყოველივე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, მართლაც, რუსეთი ყოველის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდგანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-

მეცნიერება და საიდგანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკეირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურობას"). ილიასი არ იყოს, ხოსე მარტიც ყოველთვის „საზოგადო ჭირზე" წერდა: „მე არ მინდა ჩემს თავზე საუბარი, არასოდეს არ ვწერ საკუთარ ტკივილსა თუ ტანჯვაზე, რადგან ჩემს გარშემო სხვები უფრო მეტად იტანჯებიან". მთელი ცხოერება „სხვათა" (სხვათა შორის, არათუ მხოლოდ კუბელ ხალხს, არამედ მთელ ესპანურენოვან ამერიკას გულისხმობდა ხოსე მარტი – ქ.ე.) „ნაციონალური ტკივილის" გათავისება-გააზრებას და შემდგომ უკვე, – ამ „გაჯანსაღებული იდეის" რეალურ ცხოერებაში დანერგვას მოანდომა. ბედისწერის ერთგვარი გამოცდა იყო მისთვის „მარადიული სტიალი" – სხვის კარზე ყოფნა – სამწუხაროდ, ხოსე მარტის შეგნებული ცხოერება ამგვარად წარიმართა. თუმცა მას აღმოაჩნდა უნიკალური ნიჭი (ეს მექსიკა იქნებოდა, ეენესუელა თუ გვატემალა, ანდა სულაც - „მისი ნიუ-იორკი"), რომ დროებითი თავშესაფარი საკუთარ „სამკვიდროდ" აღექვა და იქ სრული ადაპტაცია თუ რეაბილიტაცია მოეხდინა... ასე იყო ეენესუელაში, როცა იქ ცხოერების პერიოდში დააარსა ჟურნალი „ეენესუელის უწყებანი" ანდა ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მექსიკური პერიოდი, – მანუელ მერკადოს წყალობით (მეხიკოელი სენატორი). სწორედ ამ შეხვედრამ განსაზღერა ხოსე მარტის შემდგომი ბედი, რადგან მერკადოს სახლი სავსე იყო პოლიტიკოსებით, პოეტებით, ჟურნალისტებით და მხატერებით. ეს კი ხოსე მარტისათვის „მშობლიური სიერცე" იყო, რომ არა ვთქვათ რა სხვადასხვა წამყვან რედაქციაში მერკადოსავე რეკომენდაციებზე („ელ ფედერალისტა", „ლა რევიესტა უნიერსალი"...), მეხიკოშიეე შეხვდა თავის ძველ ნაცნობს – კუბელ პედრო სანტასილს; გაიცნო პარლამენტის წევრი – იგნასიო რამირესი, „მექსიკელ ეოლტერად" მონათლული; ასევე – დიდი პოეტი და ნოველისტი (წარმოშობით ინდიელი) იგნასიო ალტამირიანოსიც... თავისუფლების ალტამირიანოსეული ინტერპრეტაცია ერთგვარ რეფრენად იყო ქცეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „სახადით" შეპყრობილი ქვეყნებისათვის; „იყო თავისუფალი, ეს არაა სიამოვნება, ესაა ვალი - იბრძოლო სხვების თავისუფლებისათვის!"

ეს სიტყვები, ალბათ ყველაზე მეტად ხოსე მარტის პიროვნებას ესადაგება – უდიდესი შემოქმედებითი თავისუფლების მქონე პოეტს და ქარიზმატულ რევოლუციონერს,

რომელმაც თავისი ცხოვრება დაუღალავი „შინაგანი პათეტიკით“ განელო.

P.S. მხოლოდ 1898 წლის 10 დეკემბერს მოიპოვა კუბამ თავისუფლება; დაიდო ხელშეკრულება და კუბა ესპანელებმა გადასცეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. კუბამ დაიწყო, ერთი შეხედვით, თავისუფალი არსებობა... თუმცა XX საუკუნეში ამ „თავისუფლებას“ უკვე სხვა სახელი დაერქვა...

რუსული აქცენტები

ლიბერალიზმის ეპოქას ვერ წაეიკითხავთ, თუ იქიდან „რუსულ ფურცლებს“ ამოვხევთ და მარტოოდენ ევროპულ მინიშნებებს დაეტოვებთ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოლიტიკური მსოფლმხედველობის აღმოცენება სრულიად წარმოუდგენელია ამ „გამორჩეული ოთხეულის“ გარეშე:

1. ბესარიონ გრიგოლის ძე ბელინსკი (1811-1848);
2. ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი (1812-1870);
3. ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი (1828-1889);
4. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლიუბოვი (1836-1861).

სწორედ ეს „ოთხეული“ გადაიქცა ჩვენი „თერგდალეულების“ ერთგვარ „დემოკრატიულ ნათლიად“. „თერგდალეულებისა“, რომლებმაც რუსეთში შეითვისეს „ნათელი აზრები განათლებულის საზოგადოებისა“ და შესაბამისად, რუსეთის „მოწინავე აზრსა“ თუ ევროპულ „ლიბერალურ სულისკვეთებას“ აზიარეს მეცხრამეტე საუკუნის ქართველობა. ილიას მიერ პეტერბურგიდან წამოღებული გარიბალდის სურათიც ამის დასტური იყო (ეს სურათი მის სამუშაო ოთახში იყო გაკრული – ნიშნად „გარიბალდიელობისა“...). საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დიდი იმპერიის შვილობის მიუხედავად, ამაყე „ოთხეულისთვის“ უცხო არ იყო ეროვნულ-დემოკრატიული იდეებით გატაცება, რითაც მოცული იყო XIX საუკუნის თითქმის მთელი ევროპა. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთში დემოკრატიული მოძრაობა ნაკლებად იყო განვითარებული, მაგრამ ამ ქვეყნის დემოკრატიული ინტელიგენცია (ჯერ კიდევ იტალიის 1842-1849 წლების რევოლუციის პერიოდში) საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდა იტალიის საკულტო პიროვნებათა მიმართ – იქნებოდა ეს მაძინი თუ გარიბალდი.

რუსეთის „მოწინავე ფრთიდან“ გერცენი (გერცენი ხანგრძლივი ემიგრაციის გამო, – ოჯახითაც კი იყო დაახლოებული ლაიოშ კოშუტთან) იყო ერთ-ერთი პირველი ვინც დაუახლოვდა გარიბალდის. ეს მოხდა 1854 წლის თებერვალში, – ლონდონში,

როდესაც იტალიის ეროვნული გმირი (ოღონდ ამჯერად, გემის კაპიტანის რანგში) ამერიკიდან ევროპაში დაბრუნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1848 წლიდან მოყოლებული, გერცენი საგულდაგულოდ ადევნებდა თვალყურს გარიბალდის „საბრძოლო ბიოგრაფიას", რაც აღნიშნული აქვს კიდეც „წერილებში საფრანგეთიდან და იტალიიდან". ამ ორმა, სრულიად განსხვავებული ხასიათის, პიროვნებამ (ერთმა — „ჩამქრალმა რევოლუციონერმა" და ზედმეტად ლოიალურმა, მეორემ კი — „საბრძოლო ჟინით დამუხტულმა" და რადიკალმა...) ეტყობა, რაღაც ნიშნით იმდენად შეავსეს ერთმანეთი, რომ ნაცნობობიდან სულ რამდენიმე დღეში გარიბალდი გერცენს (ერთ წერილში) უკვე უწოდებს თავის „ცხოვრების მეგობარს". შემდგომში, უკვე არაერთხელ, შეხედა გერცენი გარიბალდის იტალიის სხვადასხვა ქალაქში. 1863 წლის 21 ნოემბრით დათარიღებულ წერილში გერცენი გარიბალდის სწერდა, რომ მისი სახელი საოცრად პოპულარულია მთელ რუსეთში; ხოლო უკრაინასა და პოლონეთში მას, როგორც მხსნელს ისე ელიან...

გარიბალდის სახელმა რუსეთის ლიბერალურ წრეებში შეცვალა სახალხო გმირის აღქმის ფენომენი. იტალიის ნაციონალური მოძრაობის მიმართ გულგრილნი არც ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი დარჩენილან. კერძოდ, ჟურნალ „სოვრემენიკის" ფურცლები არაერთხელ დაიპყრო სწორედ გარიბალდიმ. ჩერნიშევსკი „სოვრემენიკის" პოლიტიკურ მიმოხილვებში საგანგებოდ განიხილავდა გარიბალდის სამხედრო ტაქტიკას, რაღა თქმა უნდა, გამოყოფდა „ათასეულის" მნიშვნელობას; ის წერდა, რომ „ეს ათასი კაცი წარმოადგენს ბრძოლებში გამობრძმედილ ჯარისკაცებს... რაც მთავარია, არც ერთი მათგანი უკან არ დაიხევს, ტყვედ არ ჩაბარდება და იბრძოლებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე..." ამასთანავე, „ჩერნიშევსკი (რუსი ლიბერალებისაგან განსხვავებით) ხედავდა რა გარკვეულ წინააღმდეგობას კავურის პოლიტიკასა და გარიბალდის სამხედრო „ექსპედიციებს" შორის, რაღა თქმა უნდა, სწორედ გარიბალდის „შემტევ პოლიტიკას" ანიჭებდა უპირატესობას" (გარიბალდი 1966: 403). რაც შეეხება დობროლიუბოვს, — ის ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვის დაუინებით გაემგზავრა ევროპაში სამკურნალოდ და სწორედ 1860 წლის მაისში აღმოჩნდა იტალიაში. ამიტომაც, დობროლიუბოვი იმყოფებოდა ყველგან, სადაც კი იბრძოდნენ გარიბალდიელები და

„ათასეულის“ წარმატებით აღფრთოვანებული რეეოლუციური სულისკვეთების სტატიებს წერდა „სოერემენიკისათვის“. დობროლიუბოვი გარიბალდიში ხედავდა იმგვარ პიროვნებას, რომელიც „წმინდა იდეით“ იყო ანთებული... მაგრამ გარიბალდის „დობროლიუბოვისეული პორტრეტი“ მაინც ყველაზე სრულყოფილად დახატულია სტატიაში – „მამა ალექსანდრე გაეაცი და მისი ქადაგება“. ზემოხსენებულ სტატიათა პათოსს კი ჰქონდა ერთადერთი მიზანი, რომ რუსეთშიც ეფეთქა დამოუკიდებლობის ძლიერ იმპულსს. სხვათა შორის, დობროლიუბოვის ცხოვრების „იტალიური პერიოდი“ (სამწუხაროდ, სიკვდილის წინა...) არაა ბოლომდე შესწავლილი (დოსტოევსკის გარდა, გარიბალდით მონუსხული იყო ტურგენევიც. ხოლო ტოლსტოისათვის გარიბალდი იყო „დიდი ისტორიული ფიგურა“...). წერილთა პათეტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მარტოოდენ დამკვირვებელი არ უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს თუნდაც დოსტოევსკის ნეკროლოგი დობროლიუბოვის შესახებ: „ის მთლიანად იყო ჩაძირული იმ „მჩქეფარე ცხოვრებაში“, რა სულისკვეთებითაც სუნთქაედა ერთიანი იტალია“. დობროლიუბოვი ხომ იმ პერიოდის ყველა მოღვაწეს პირადად იცნობდა და სრული აქტიურობით გამოირჩეოდა... თავისი ხანმოკლე ცხოვრების „რიტმითაც“ დობროლიუბოვი თავადაც „ცხოვრების წინა ხაზზე“ იყო. ამიტომაც მას სულ სხვა სიმძაფრით შეეძლო შეეგრძნო არაორდინალური და საბედისწერო სიტუაციები. **დობროლიუბოვი** ამ „ოთხეულიდან“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ასაკში გარდაიცვალა. „დობროლიუბოვი ვერ მოესწრო თავისი შემოქმედების შუადღეს“ (ნიკოლაძე 1961: 301). სულ რაღაც ხუთიოდე წელი მოუწია მას ჟურნალ „სოვრემენიკში“ მუშაობა (ის იყო ჩერნიშევსკის ახლო მეგობარი). ზოგს მთელი ცხოვრებაც კი არ ყოფნიდა იმისათვის, რომ თავისი განუმეორებლობის ამგვარი მასშტაბი გამოეჩინა, როგორც ეს შეძლო დობროლიუბოვმა. ამიტომაც სავსებით ბუნებრივი იყო ჩერნიშევსკის სინანული და უსაზღვრო ტრაგიზმი. „ჩერნიშევსკი დობროლიუბოვის გარდაცვალების გამო, 1862 წლის 10 თებერვალს წერდა გრინევალდს, რომ მის თვალზე თითქმის არ შემშრალა ცრემლი დობროლიუბოვის გარდაცვალების დღიდან, რაც ორთვენახევრის წინათ მოხდა. „მეც სასარგებლო კაცი ვარ, მაგრამ უმჯობესი იყო მე მომკვდარიყავი, ვიდრე ის, რუსმა ხალხმა მისი სახით დაკარგა

საუკეთესო დამცველი“ (ბიწაძე 1964: 5). რუსი ხალხის სულიერი თუ ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის დობროლიუბოვს მიაჩნდა, რომ ხალხს, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეძლებოდა ისტორიული მოვლენების სწორი შეფასება და „დიდ პიროვნებათა“ ხიბლისაგან განთავისუფლება. ამიტომაც მისი აზრით, – „ისტორიის საერთო მსვლელობაში ყველაზე დიდი მონაწილეობა მოდიოდა ხალხის წილად და მხოლოდ ძალიან მცირე წილი რჩებოდა ცალკე პიროვნებებისათვის“. ასევე დობროლიუბოვი ისტორიას აღიქვამდა თავისი ბუნებრივი „მსვლელობით“ და არა - „იმ პროგრამით, რომელიც შედგენილი ჰქონდა ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეს“. ამგვარი მსჯელობის ცენტრალურ ფიგურას მისთვის წარმოადგენდა მხოლოდ „ადამიანი“ – თანდაყოლილი ეგოიზმით. თუმცა, ეს ბუნებრივი ეგოიზმი დობროლიუბოვისათვის იყო, როგორც ერთი მხრივ, – „უხეში, მდაბალი სახის ეგოიზმი“, მეორე მხრივ კი – „უმაღლესი“, „კეთილშობილი“ – „გონივრული“. რაც მთავარია, დობროლიუბოვს თავის სტატიათა უმეტესობაში („უბრალო რუსი ხალხის დამახასიათებელი ნიშნები“, „ბნელი სამეფო“, „როდის დადგება ნამდვილი დღე“, „კეთილგანმზრახველობა და მოღვაწეობა“, „ავტორიტეტის მნიშვნელობის შესახებ აღსრდაში“, „რა არის ობლომოვშჩინა?“) ცდილობდა ყველაზე „დიდმური პრობლემის“ – ადამიანის ზნეობრივი არსის ფილოსოფიურ განზოგადებას. საერთოდ, დობროლიუბოვი ადამიანზე გაცილებით უფრო მაღალი წარმოდგენისა იყო, ვიდრე იმ საზოგადოებაზე, სადაც მას უშუალოდ უწევდა მოღვაწეობა. მისთვის ადამიანი უფრო „კეთილი საწყისით“ იბადებოდა და მხოლოდ კონკრეტული „სოციალური წრე“ ანუ „საზოგადოებრივი ატმოსფერო“ აყალიბებდა მასში „ბორიტებას“. ამიტომ დობროლიუბოვი კი არ განიკითხავდა, არამედ იცოდებდა ადამიანს „ბუნების ამგვარი დამახინჯებისათვის“ და ცდილობდა მათ ერთგვარ „განკურნებას“, რადგან სწორედ განკურნებული ანდა დაბადებიდანვე „წესიერ ადამიანს“ ჰქონდა, მისი აზრით, პატრიოტიზმის გრძნობა; „პატრიოტიზმი კი მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა სურვილი სამშობლოს სასიკეთოდ შრომისა“. სწორედ ამიტომ მას პატრიოტიზმი მიაჩნდა კაცობრიობის თვითგადარჩენის უცილობელ ფაქტორად.

დობრლიუბოვს, საზოგადოების რევოლუციურ-დემოკრატიული განვითარების პერსპექტივის მიუხედავად, არასოდეს ყურადღების

მიღმა არ დარჩენია თავად ჩვეულებრივი ადამიანი – „ბუნებით მოცემული სამართლიანობის მოთხოვნით“...

დობროლიუბოვის პორტრეტის ნაწილობრივი დახატვაც კი სავსებით საკმარისია, რომ ჩაეწვდეთ ზაქარია ჭიჭინაძისეულ ილია ჭავჭავაძის ამგვარ დახასიათებას – ის ილიას „ქართველ დობროლიუბოვად“ თვლიდა (ზაქარია ჭიჭინაძე – ბროშურა, „ი. ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი“, 1879 წელი). დობროლიუბოვის ფენომენი არც ნიკო ნიკოლაძის პუბლიკაციების თემატიკისთვის იყო უცხო; ამიტომაც, „რუსული ჟურნალისტიკის მიმოხილვაში“ (1864 წ.) ის საკმაოდ ხმამაღლა აცხადებდა: „დობროლიუბოვისა და ზოგიერთ სხვათა სიკვდილით ჩვენი ლიტერატურა დაობლდაო (იგულისხმება – რუსული ლიტერატურა, ქ.ე.), ამბობენ ლიტერატურის ზოგიერთი მოყვარულები“... ანდა იმავე ხასიათის მსჯელობას განაგრძობს, როცა წერდა: „ჩვენებურ ჟურნალთა იროდებს სწორედ ის უნდათ, რომ აღიგავოს პირისაგან მიწისა ის თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდათ წაეკითხათ დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ჩანაწერები“... („მთავარობა და ახალი თაობა“, 1866 წ.), „ორ თაობაში“ კი უკვე არათუ კატეგორიული განაცხადია ნიკო ნიკოლაძის, არამედ დობროლიუბოვის, როგორც მოაზროვნის მასშტაბიცაა გამოკვეთილი – „დობროლიუბოვი უეჭველ კატორგას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ მიხვდა და დეუნათა დაწყებამდე გარდაიცვალა“ (როგორც ცნობილია, – 1863 წლის იელისში ჩერნიშევსკი დააპატიმრეს...).

დობროლიუბოვმა – ამ „გენიალურმა ჭაბუკმა“ (ჩერნიშევსკისეული სახელდება) თაყვისი კვალი დაამჩნია ქართული ლიბერალურ სულისკვეთებას: „თუ რა გატაცებით უყვარდა დობროლიუბოვი (ცნობისათვის – ა. ნიკოლაძე, ნ. დობროლიუბოვი და ქართველი მწერლები – წიგნში „რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა“, 1961 წ. ამ სტატიაში ავტორს განზოგადებული აქვს დობროლიუბოვის უჩვეულო ნიჭიერების ამოფრქვევა ქართული „საზოგადოებრივ აზროვნებაში“) რუს და ქართველ ახალ თაობას, ცხადად გამოსჭვივის 60-იანი წლების შესახებ ნიკო ნიკოლაძის მოგონების იმ ადგილიდან, სადაც აღწერილია 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა აღრეულობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული რუსი და ქართველი ახალგაზრდობის განწყობილებები... „...მთელ სტუდენტობას თავზარი დასცა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსულმა ცნობამ დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ“... დობროლიუბოვის

ზეგაელენითაა აღბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევი. „დროების“ რედაქტორი, ცნობილი ქართველი პუბლიცისტი სერგეი მესხი ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა: „ნიკოლაძის კრიტიკული სტატია (ფურ. „კრებულში“ – ა.ნ.) კარგა მოხერხებულად არის დაწერილი, მაგრამ მართლა, დობროლიუბოვის მონური მიბაძვის კვალი ამჩნეევია“... განა დობროლიუბოვთან ილია ჭავჭავაძის იდეურ თანაზიარობაზე არ მიგვითითებს ის ფაქტი, რომ ქართველი მესამოციანელების მესვეურმა თავის ჟურნალში დაბეჭდა დობროლიუბოვის ცნობილი წერილი (ჩვენს მიერ ზემოდასახელებული – ქ.ე.) „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება.“ ამ წერილში როგორც ცნობილია, აღწერილია იტალიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; მთელი სტატია მიმართულია რუსული მონარქიის დამხობისაკენ, წერილის ცენტრში დგას სახალხო რევოლუციის მოსდენის აუცილებლობის იდეა... ნ. ნიკოლაძის ზემოთ მოყვანილ მოგონებასა და ი. ჭავჭავაძის „ქართველის დედას“ შორის გადის საერთო ხაზი, რომელიც იდეურად უკავშირდება დობროლიუბოვის „მამა გავაცის“... ასეთია დობროლიუბოვის მიწინაევე იდეებთან ქართველი მწერლების სულიერი კავშირი...“ (ნიკოლაძე 1961: 311-318).

მაგრამ მაინც, – რაღა თქმა უნდა, **ჩერნიშევსკი** იყო ამ ახალი ეპოქის „იდეური მამა“, რომელმაც მონუსხა ქართველ პეტერბურგელთა – შემდგომში კი „თერგდალეულებად“ წოდებული მთელი თაობა. „თერგდალეულთა თაობა გამომხატველი იყო იმ მიმდინარეობისა, რომელმაც უშუალოდ შეითვისა ჩერნიშევსკის რადიკალურ-დემოკრატიული შეხედულება. ამ თაობამ შემოიტანა ჩვენში რუსეთის 60-იანი წლების ახალი იდეები და გაცხარებული ბრძოლა გაჩაღდა ძველი თაობის ინტელიგენციის წინააღმდეგ... ამ „თერგდალეულთა“ თაობამ პირველად თავადაზნაურულ ორგანოში „ცისკარში“ შემდეგ კი საკუთარ ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ.) წამოაყენა მთელი რიგი ღრმად მნიშვნელოვანი საკითხებისა: ორგანოს რედაქტორი ი. ჭავჭავაძე, პოეტი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი, იმ ხანებში რუსეთის 60-იანი წლების დიდ გავლენას განიცდიდა, ხოლო 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი გახდა თავადაზნაურული ლიბერალიზმის მეთაური საქართველოში. ილია ჭავჭავაძის პირველი ნახევრის მოღვაწეობას აუცილებლად ატყვია ჩერნიშევსკის დემოკრატიული ჩვრებისა და საერთოდ 60-იანი წლების პროგრესული მიმდინარეობის გაელენა“ (ხუნდაძე 1929:

177). „ჩერნიშევსკი იყო თავისი ეპოქის უდიდესი ადამიანი, რომელმაც გაავლენა მოახდინა რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ყველა სფეროზე... ჩერნიშევსკიმ გიგანტური ნაბიჯი გადადგა გასული საუკუნის რუსული ფილოსოფიის წინსვლაში... მის მატერიალისტურ ფილოსოფიასთან ორგანულად არის დაკავშირებული მისი ესთეტიკური და ლიტერატურულ-კრიტიკული შესედულებანი. ამ მხრივ, ჩერნიშევსკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი სადისერტაციო შრომა „ესთეტიკური დამოკიდებულება ხელოვნების სინამდვილესთან“ და აგრეთვე „ნარკვევები რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდზე“... ჩენიშევსკის ხიბლავდა გმირული სულის და ესთეტიკური გრძნობების აღმზრდელი პუშკინის მზიური პოეზია, მძაფრი რეალისტური ხედვა გოგოლისა, რომელმაც საოცარი სინამდვილით დახატა რუსული ცხოვრების გრანდიოზული ტილო, გლეხური რეეოლუციის პოეტური სტილია – ნეკრასოვი, ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე ტოლსტოი და შთამაგონებელი სახე შჩედრინისა, რომლის დამცინავი ხარხარი რუსეთის ყველა კუთხეში ისმოდა.

ჩერნიშევსკიმ დიდი გაელენა მოახდინა რუსულ საზოგადოებაზე, როგორც მწერალმაც. მისი რომანი „რა ვაკეთოთ“ გადაიქცა მთელი მოაზროვნე რუსეთისათვის უსაყვარლეს წიგნად და რევოლუციური მოქმედების პროგრამად“ (ნიკოლაძე 1954: 246-248).

ქართველთა „ჩერნიშევსკობა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწყება „სოვრემენიკის“ (ჟურნალი „სოვრემენიკი“ – ლიტერატურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1836-1866 წლებში. მისი დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ა.ს. პუშკინი; 1838-1846 წლებში პლეტნევი; 1847-წლიდან კი ნეკრასოვი და პანაევი; 1854 წელს კი ჟურნალში თანამშრომლობა დაიწყო ჩერნიშევსკიმ, ხოლო 1856 წელს კი – დობროლიუბოვმა) „იდეურ გამგრძელებელ“ ჟურნალიდან – „საქართველოს მოამბე“, რასაც მოჰყვა ამ მიმდინარეობის სხვა გამოცემებიც; „დროება“ (1866-85), „კრებული“ (1871-73) და „მნათობი“ (1869-73).

ჩენიშევსკის „პოლიტიკური ხიბლით“ მონუსხულები იყვნენ 60-იანი წლების „მოწინავე ქართველები“ – კირილე ლორთქიფანიძე, გრიგოლ თარხან-მოურავი, ანტონ ფურცელაძე და სხვანი. აღარაფერი რომ ვთქვათ ილიასა და ნიკო ნიკოლაძეზე. ჩერნიშევსკით აღფრთოვანებას ამძაფრებდა მისი უშუალო

დამოკიდებულება ახალგაზრდებთან, თუმცა იმავდროულად მამობრივი ზრუნვის ელემენტებიც გამოკრთოდა ამ ურთიერთობებში (საილუსტრაციოდ, თუნდაც ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეგობრობა ანდა ჩერნიშევსკის გაელენის ქვეშ მყოფი კავკასიელთა ჯგუფი..., ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა და მრავლისმთქმელია სამოციანელთა მოგონებები ჩერნიშევსკის შესახებ:

ნიკო ნიკოლაძე: „მე ჩაფლული ვიყავი მეორმოციანე წლების... ძველ წიგნებში, როცა ამხანაგებისაგან შევიტყვე, რომ ჩერნიშევსკის ოჯახიც გადმოვიდა პაველოვსკში სააგარაკოთ... ჩერნიშევსკის მეუღლე და მისი დაი, მეპატიუებოდნენ დილის სეირნობაზე პაველოვსკის მშვენიერ პარკში... როცა კი ჩერნიშევსკი ჩამოდიოდა პაველოვსკში, ცოლი აღარ შორდებოდა მას, მაშინ მეც უფრო ხშირად ვხედებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს. მეტადრე მაშინ, როცა ოლგა სოკრატის ასულის თხოვნით დავბინავდი მათ აგარაკზე და დავდექი მეზობინში მის ძმასთან ერთად.

ჩერნიშევსკი იყო შუატანისა, ქერათმიანი, ოქროს სათვალეებით. დადიოდა ყოველთვის ძალიან სწრაფად, აჩქარებით დილიდან საღამომდე სულ მუშაობაში იყო გართული. ახლობლების სიტყვით, მან არავითარი გართობა არ იცოდა... იგი არა თუ არ სვამდა, არამედ თამბაქოსაც არ ეწეოდა. ცოლი და შვილები, საშა და მიშა, გაგიუებით უყვარდა, პირდაპირ აღმერთებდა. თვით ოლგა სოკრატის ასული ზრუნავდა ჩერნიშევსკიზე... ის გვარწმუნებდა, რომ ჩერნიშევსკი არ არის ამქვეყნიური, არაფერი გაეგება ცხოვრებისა... (და კიდევ მას ყავდა ერთი ყეტში — ხალხი, რახან ხალხში გადაეარდა ჭეშმარიტების თესლი, შეუძლებელია მას არ დახვდეს იქ ნიადაგი... რამდენჯერ მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე)... ამ ი შვიათ წუთებში მას ჰქონდა შეხედულება ნამდვილი მოქადაგის, ფანატიკოსის“. ისევ ნიკოლაძე, ამჯერად 1873 წელს დაწერილი წერილი („სხვათა შორის“): „სად არიან დღეს ის გმირები, ვისი სიტყვები ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამაღლებდა? „Одних уже нет, а те далече“, „ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი“...

ი. ისარლიშვილი — ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოებული, წერდა: „ზოგიერთ ჩვენგანს დამოკიდებულება და გულღია მოპყრობა, რომელსაც ჩვენ ვხედებოდით ჩერნიშევსკის ოჯახში,

ძლიერ გავიტაცებდა საღამოებზე, რომელსაც ექსპრომტად აწყობდნენ ამ ოჯახში... თვით ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ჩვენთან... ერთხელ, როგორც მახსოვს, ჩერნიშევსკები ჩემთან შემოვიდნენ მეოთხე სართულზე. ინიციატივა ყოველთვის ეკუთვნოდა ცოცხალს და მოქმედს ოლღა სოკრატის ასულს, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ წმინდა ამხანაგური დამოკიდებულება. იმ კავკასიელთა რიცხვში, რომელნიც დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში მე მახსოვს ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ნ. ღოღობერიძე, ეჯუბოვი და სხვები".

გ. თუმანიშვილიც ჩერნიშევსკით საერთო აღფრთოვანებას ამგვარად იხსენებს: „ნოვორასიის უნივერსიტეტში ჩემს სტუდენტობის დროს, კავკასიელ სტუდენტებს ჰქონდათ თავისი ბიბლიოთეკა... ბიბლიოთეკაში იყო მხოლოდ ერთი პორტრეტი დიდი ჩარჩოებით ჩამოკიდებული კედელზე და ეს იყო ჩერნიშევსკის პორტრეტი... და ეს სრულიად არ იყო რაღაც გამონაკლისი მოვლენა. ის საესებით ეგუებოდა იმ საერთო თაყვანისცემას, რომლითაც შემოსილი იყო ჩვენში ჩერნიშევსკის სახელი".

მაგრამ ჩერნიშევსკის იდეებით ყველაზე მოწუსხული და ამ იდეების ბოლომდე უზომოდ ერთგული დარჩა ნიკო ნიკოლაძე, რის გამოც მას სოგჯერ აკრიტიკებდნენ კიდეც. რასაც მოწმობს თუნდაც სერგეი მესხის ერთი წერილი (1873 წ.) – „...დობროლიუბოვის მონური მიბაძვის კვალი ამჩნევიაო" (აქ იგულისხმება ჩერნიშევსკის ხასიც, რომლის სახელი ხშირად ტაბუირებული იყო რიგი მიზეზების გამო...). თავად ნიკოლაძეც არ ახსენებდა ჩერნიშევსკის სახელს (ხშირ შემთხვევაში) თავის პუბლიკაციებში და მას ამგვარად მოიხსენიებდა: „პოლემიკურ მშვენიერებათა ავტორი". ანდა – „ესთეტიკური დამოკიდებულების" ავტორი... „დისერტაციის ავტორი"... „ახალი ტალანტი" (რომელმაც ბელინსკი ჩაანაცვლა „სოვრემენიკში"...).

ნიკო ნიკოლაძე გადასახლებაში მყოფი ჩერნიშევსკის „პოლიტიკური მემკვიდრეობის" გადარჩენას ცდილობდა. ამიტომაც იყო, რომ 1868 წელს მან ჟენევაში გამოსცა ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი და „რა ვაკეთოთ?" წინასიტყვაობითა და უშუალო რედაქტირებით. „ნ. ნიკოლაძე განუწყვეტლად ზრუნავდა ნ.გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებაზე. 1882 წელს მას დაუკავშირდა საიდუმლო ორგანიზაციის „წმინდა რაზმის" აგენტი... ნიკოლაძე შეეცადა დოკუმენტურად დაესაბუთებინა მისთვის ჩერნიშევსკის უდანაშაულობა (გადმოცემის თანახმად, ალექსანდრე III საიდუმლოდ უსმენდა ამ შეხვედრას). 1883 წელს

ჩერნიშევსკი მართლაც გაანთავისუფლეს. ამ მოვლენას ნ. ნიკოლაძე გამოეხმაურა წერილით „ჩერნიშევსკის განთავისუფლება“ (გაგოიძე 1979: 29), რომელიც თბილისის გაზეთისათვის „ნოვოე ობოზრენიე“ დაწერა. მაგრამ მეფის ცენზურამ არ გაუშვა ეს სტატია. „ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში მკითხველებს ამგვარად მიმართავდა: „მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ... ნ. გ. ჩერნიშევსკის განთავისუფლებით. ნ... გ. ჩერნიშევსკის ბედი კომმარად აწყა ყველას სინდისს, ვინც იცოდა მისი ხვედრი“... (ნიკოლაძე 1954: 267).

XIX საუკუნის „მოწინავე აზრის“ მსოფლმხედველობითი სპექტრი თითქმის მთლიანად დაპყრობილი ჰქონდა ჩერნიშევსკის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ კონცეფციებს. მის თხზულებებში ნათლად იკვეთებოდა ბელინსკის, როგორც მისი წინამორბედის ხელწერაც და ის „ნაპერწკალიც“, რომელიც ახალგაზრდული შემართებით დობროლიუბოვმა კიდევ უფრო მეტი „რევოლუციური გზნებით“ აანთო. მაგრამ ნიკოლაძისთვის ჩერნიშევსკი ბოლომდე დარჩა მაინც „ისეთ ადამიანად, ისეთ ტალანტად, რომლის მსგავსი არც ერთ ქვეყანას არ წარმოუშვია“. ჩერნიშევსკის სახელი გადაჭდობილი იყო „ბობოქარი ბესარიონის“ სახელთან, რომელმაც ეროგვარად ნიადაგი მოუმზადა ჩერნიშევსკის დემოკრატიულ-რევოლუციურ იდეებს.

და საერთოდ, სწორედ **ბელინსკიდან** იწყება „დიადი ჰუმანური ამოცანებისა“ ანუ ლიბერალურ ღირებულებათა პერიოდი იმპერიის „მოწინავე საზოგადოებაში“. ეს ყოველივე კი, – ბელინსკის „მგზნებარე ტემპერამენტის“ გარეშე სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, რასაც მოწმობს კიდეც თავად ბელინსკისავე შემდეგი განმარტება: „...ჩემი ძალა არის არა ტალანტში, არამედ მგზნებარებაში, ჩემი ნატურის სუბიექტურ მხარეში...“ ამიტომაც, „ბობოქარი ბესარიონის“ (ანა ნიკოლაძისეული ქართული სახელდებით) წერილებში აღბეჭდილია დიდი აზრი, მძაფრი განცდა, მდიდარი სამყარო გენიალური მოაზროვნისა... (რაც აისახა მის პირველსავე წერილში – „ლიტერატურული ოცნებანი“, გამოქვეყნდა 1834 წელს ჟურნალში „Молва“... „კრიტიკოსის აზრით, ყოველი ხალხის პოეზია ორგანულ ურთიერთობაშია მის ისტორიასთან და ლიტერატურა წარმოადგენს „ხალხის ცნობიერებას ისტორიულად გამოხატულ სიტყვიერ თხზულებებში“ (ნიკოლაძე 1954: 111).

არანაკლებ საინტერესო და საეტაპოა ბელინსკის მიერ „კრიტიკულად განზოგადებული“ გოგოლის ფენომენი (ნაშრომში

– „რუსულ მოთხრობასა და ბ-ნ გოგოლის მოთხრობებზე"). უკვე ამ ლიტერატურულ წერილებში იკვეთება მისი, როგორც მოაზროვნის „მაძიებელი სული" თუ „კრიტიკული გენია". და ისიც, რომ ძლიერი პიროვნული საწყისის გამო, ბელინსკის, როგორც დრაის შეეძლო თავადვე გაეფანტა ის „იდეალისტური ბურუსი", რაც ჰეგელის თეზისმა („ყოველი სინამდვილე გონიერია") გამოიწვია მის 30-იანი წლების წერილებში. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ „კაცობრიობის გონებრივი განვითარების ისტორიაში იშვიათად შეხვდებით ჩადენილი შეცდომის ისეთი სიძლიერით და სისატიკით უარყოფას, როგორც ეს თავის დროებითი იდეური დაბნეულობის მიმართ ჩაიდინა ბელინსკიმ" (ნიკოლაძე 1954: 112). შინაგანი დილემის წინაშე აღმოჩენილი ბელინსკის ჩერნიშევსკისეული შეფასება კი ამგვარი გახლდათ: „ბელინსკის თავისუფალი მგზნებარე ტემპერამენტი ვერ მოთავსდა ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმის პროკრუსტეს სარეცელში და აუჯანყდა მას". თავად ბელინსკის დაუნდობელი მხილება საკუთარი ქმედების მიმართ ერთმა პირადმა წერილმა (ვ. ბოტკინთან განდობა) ამ სახით შემოგვინახა; „ეწყეული ჩემს საზიზღარ მისწრაფებას საზიზღარ სინამდვილესთან შერიგებისას... გაუმარჯოს გონებას, გაიფანტოს წყვდიადი, როგორც ამბობდა დიდი პუშკინი". ეს მეტად საინტერესო შტრიხია მისი სიმბოლური პიროვნების შესაქმნელად. ისევე, როგორც მისი ხედვა, – კაცობრიობის მარადიული უსასრულობის შეცნობის მცდელობა, ანუ ისტორიულ კანონზომიერებათა დიალექტიკური წვდომა, რომლის ფილოსოფიურ ჭრილში ფორმულირება ასეა წარმოდგენილი; „კაცობრიობის განვითარებას არ აქვს დასასრული, და არასოდეს კაცობრიობა თავის თავს არ ეტყვის: შეჩერდი, საკმარისია, მეტი წინსვლა აღარ შეიძლება". ბელინსკის, როგორც „რუსეთის გონებრივი მოძრაობის", „უდიდესი ავტორიტეტის" ჯეროვანი შეფასებაა ჩერნიშევსკის წერილში – „გოგოლის პერიოდის ნარკვევები", სადაც მან გამოკვეთა „პროგრესული აზრის" განვითარების ერთგვარი „გზა": „აქ პირველად ჩვენი სამშობლოს გონებრივმა ცხოვრებამ, – წერდა ჩერნიშევსკი, – წარმოშვა ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ ევროპის მოაზროვნეებთან ერთად... იმ დროიდან, რაც ჩვენი გონებრივი მოძრაობის წარმომადგენლებმა დამოუკიდებლად გააკრიტიკეს ჰეგელის სისტემა, იგი უკვე არ ემორჩილებოდა აღარც ერთ უცხო ავტორიტეტს. ბელინსკი და მთავარი , მისი თანამებრძოლები გახდნენ სრული

დამოუკიდებელნი გონებრივი მხრივ". ამ დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ფენომენი კი ბელინსკისათვის სწორედ მწერლობაშია საძიებელი და გამორჩეულ ავტორთა არსებობაში – ისეთები, როგორებიც იყვნენ პუშკინი – „რუსული ლიტერატურის მამათავარი" და გოგოლი – „ზნეობრივი საწყისი რუსული საზოგადოებისა". ამიტომაც, სწერს ასეთ წერილს ბელინსკი გოგოლს; „თქვენ (იგულისხმება გოგოლი) ერთი გეყავხართ ახლა ჩვენ და ჩემი ზნეობრივი არსებობა, ჩემი სიყვარული შემოქმედებისადმი მჭიდროდ არის დაკავშირებული თქვენ ხვედრთან. თქვენ რომ არ იყვეთ, – გამოვესალმებოდი ჩემი სამშობლოს მხატვრული ცხოვრების აწმყოსა და მომავალს". და მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ – „ამ რჩეულმა მწერალმა" 1847 წელს რადიკალურად განსხვავებული სულისკვეთების ნაწარმოები გამოაქვეყნა – „მეგობრებთან მიმოწერის რჩეულ ადგილებს", სადაც მთელი სიცხადით გამოიკვეთა „გოგოლის შინაგანი წინააღმდეგობით გამოწვეული სულიერი დრამა". რაღა თქმა უნდა, ვინ თუ არა ბელინსკის უნდა გამოეხატა თავისი სამართლიანი აღშფოთება გოგოლის „შინაგანი მერყეობის" გამო, რაც აისახა „სოვრემენიკში" მოთავსებული რეცენზიით. ბელინსკის ამ პუბლიკაციას საშინელი აღშფოთებით შეხვდა თავად გოგოლი. „თანამედ-როვეთა გადმოცემით, სამი დღე სწერდა „ბობოქარი ბესარიონი" თავის უკანასკნელ ანდერძს – „წერილს გოგოლისადმი", რომელშიც მან შთაბერა თავისი რეფორმატორული სულის მთელი ძალა" (ნიკოლაძე 1954: 121).

და კიდევ ერთი, – ბელინსკი ამ წერილში გოგოლს ახსენებს სამშობლოს და ჭეშმარიტების უზენაესობას. შესაბამისად წერდა, რომ „აქ საქმე ეხება არა თქვენს და ჩემს პირადობას, არამედ საგანს, რომელიც გაცილებით მაღლა დგას ჩემზე და თქვენზეც კი. აქ საქმე ეხება ჭეშმარიტებას, რუსულ საზოგადოებას, რუსეთს". სწორედ ამავე პერიოდისაა ბელინსკის გამორჩეული სტატია – „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა". ბელინსკი იყო ერთ-ერთი პირველი ვინც ჩამოაყალიბა ხელოვნებისა და ლიტერატურის სოციალური „კანონიკა", რაც წარმოადგენდა მისი ცხოვრების ერთგვარ კრედოს; „სრულიად ვაღიარებთ რა, რომ ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ხელოვნებად უნდა დარჩეს... ჩვენს დროში ხელოვნება და ლიტერატურა მეტად, ვიდრე ოდესმე შეიქმნა საზოგადოებრივი საკითხების ამსახველი". ამასთანავე ბელინსკი იყო ერთ-ერთი

პირველი, ვინც შეეცადა შეეცნო „რუსეთის პოეტური გენიის“ ფენომენი. ამის საილუსტრაციოდ, მან განაზოგადა ლერმონტოვის არაორდინალური, შემოქმედებითი სამყარო და არანაკლებ შეუცნობელი, — წინააღმდეგობათა თანკვეთით დამუხტული მისი პოეზიის დრამატიზმი.

ბელინსკისათვის მწერლობა და მწერლის „ცხოვრების ზნე“ წარმოადგენდა ფილოსოფიურ-ესთეტიკური წედომის უმთავრეს ფენომენს და ისტორიულ-რეალისტური მიმართულების საფუძველს. მან არათუ რუსული ლიტერატურის საყოველთაო მნიშვნელობა დაასაბუთა, (უპირველესად, მისი ეროვნულ ჭრილში მოქცევის ტენდენცია იკვეთება...), არამედ ბელინსკის სახელთან ასოცირდება „მებრძოლი კრიტიკის“ განვითარება. თაეად ბელინსკისათვის სწორედ ღირსებასთან ასოცირდებოდა ლიტერატორობა. აკი წერდა კიდეც: „მე ლიტერატორი ვარ, ვამბობ ამას ავადმყოფური და მასთან გახარებული და ამაყი რწმენით. რუსულ ლიტერატურას ეკუთვნის ჩემი სიცოცხლე“. თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, ეს სიცოცხლე საკმაოდ ადრე ჩაქრა — ბელინსკი 1848 წელს გარდაიცვალა, 37 წლის ასაკში. და, დობროლიუბოვისა არ იყოს, ისიც მხოლოდ სიკვდილმა იხსნა საპყრობილისგან... ისე კი, მთელი ცხოვრება ცდილობდა თავად ეროგული დარჩენილიყო „გრძნობადი გონიერების“. ასეეე მისთვის უმთავრესი იყო „სიყვარულის კანონი“ — უზენაესი ღირებულება, რომელიც ადამიანის ზნეობრივ ფორმირებას განაპირობებდა. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ „ეთიკის სამეფო ამქვეყნისა არ იყო“. და ისღა დარჩენოდა „ცხოვრება საგმირო საქმეებისათვის გამოეყენებინა“...

თავისი მაღალი დანიშნულება — ადამიანის ღირსების დაცვა „მტკიცე, ღრმა, მგზნებარე და ურყევი რწმენით“ ბელინსკიმ ბოლომდე განახორციელა. რაც მთავარია, მისი „მოწინავე აზრი და მგზნებარე სულისკვეთება შეისისხლხორცა ქართულმა მწერლობამ, თვითონ ბელინსკი საქართველოს თელიდა რუსული პოეტური მუზის შთამაგონებლად“ (ნიკოლაძე 1954: 140). თავად, XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული „მოწინაეე საზოგადოებაც“ პოლიტიკური აზრის ერთგვარ ქრესტომათიად თელიდა ბელინსკის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ ნააზრევს. განსაკუთრებით ილიას პუბლიცისტიკა იყო დაეალებული ბელინსკის (ცნობისათვის, — ა. ნიკოლაძე: ბელინსკი და ქართული საზოგადოებრივი აზროენება, წიგნში: ეტიუდები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, 1954. ამ სტატიაში აეტორს საგულდაგულოდ აქეს

შესწაელილი ბელინსკის ფენომენი ქართულ საზოგადოებაში) მსოფლმხედველობით. „ილია ჭავჭავაძის პირველსავე ლიტერატურულ წერილებში გარკვეით იყო გატარებული ბელინსკისებური შეხედულებანი მთელ რიგ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ხასიათის საკითხებზე... რეალისტური ლიტერატურისა და ახალი საერთო სახალხო ეროვნული ენის პოზიციებიდან ებრძოდა ილია ჭავჭავაძე ძველ თაობას... „მამებისადმი“ მიმართულ ერთ-ერთ საპასუხო სტატიას (პასუხი — ყუძღვნი თ.ალ. ქახტანგის ძეს ჯ.—ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღებას აღირსებს ამ სტატიასა) ილია წინ უმძღვარებს ბელინსკის ვრცელ ციტატას... „მამები“ გააფთრებით იცავდნენ ძველ პოზიციებს და „ცისკრის“ ფურცლებიდან „ბელინსკობას“ უკიჟინებდნენ ილია ჭავჭავაძეს... ილია ხშირად ეყრდნობოდა ბელინსკის არა მარტო თეორიულ-ესთეტიკურ პრინციპებს, არამედ იყენებს „ბობოქარი ბესარიონის“ დიდი ლიტერატურული ბრძოლის გამოცდილებას „მამებთან“ პაექრობაში, კონკრეტული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გაშუქებისას... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე არ აცდენია ბელინსკის პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის გაელენას... ის შემდეგშიაც თავის „იველიის“ ფურცლებზე არა ერთხელ იხსენიებს ბელინსკის სახელს. 1891 წელს იგი „იველიაში“ აქვეყნებს ბელინსკის წერილებს გერცენისადმი. ილია ჭავჭავაძესთან ერთად ბელინსკის სახელს სიყვარულით ეპყრობა აკაკი წერეთელი... პოეტი ბელინსკის უწოდებდა „შესანიშნავ კრიტიკოსს“ და ნატრობდა, რომ მის სამშობლოსაც მოვლინებოდა ბელინსკისებური გენია... დიდი ქართველი მოაზროვნე და კრიტიკოსი ნიკო ნიკოლაძე ბელინსკიში ხედავდა რუსი ხალხის არა მხოლოდ გონებრივ სიძლიერეს, არამედ მის მორალურ სისპეტაკესაც... ერთ თავის წერილში (ნიკოლაძე) ასეთ საკითხს სვამს: „რისთვის არის ყოველი ჩვენთაგანისათვის ასე სიმპატიური, ასეთი ძვირფასი ბელინსკის ხსოვნა?.. სრულიად უბრალოდ აიხსნება ეს, — ასაბუთებს ნ. ნიკოლაძე, — ხალხის ხსოვნაში მწერლები იჭრებიან არა მარტო ჰმდენათ იმით, თუ რა შეიტანეს ახალი მის ცნობიერებაში... რით გააუმჯობესეს მათ (ხალხის) ხვედრი, ზნეობა და შეხედულებანი“... ბელინსკის, როგორც ცნობილ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოაზროვნეს, ასახელებს გამოჩენილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი... 1882 წლის „იმედის“ ფურცლებზე ჩვენ ხშირად გვხვდება ბელინსკის სახელი (ანტონ ფურცელაძის

წერილში „რამდენიმე სიტყვა“ – „იმედი“, 1882 წ., № 2). ამ ჟურნალში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სტეფანე ჭრელაშვილის წერილი, რომელშიც მოცემულია ორი რუსეთის იდეა... 1898 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა ქართველი კრიტიკოსის ხომლელის (რომანოზ ფანცხავა) სტატია ბელინსკის შესახებ, დიდი რუსი მოაზროვნის გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულებასთან დაკავშირებით...“ (ნიკოლაძე 1954: 126-136).

ამ საკმაოდ ვრცელი ციტატიდანაც ნათლად იკვეთება „ბრბოქარი ბესარიონის“ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ კონცეფციათა „გონიერი კვალი“ ლიბერალური სულისკვეთებით გამსჭვალულ ქართველ მოღვაწეთა პუბლიკაციებში.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მსოფლმხედველობის მიუხედავად, ბელინსკი რჩებოდა იმგვარ რუს მოაზროვნედ და დემოკრატად, რომელსაც სწამდა, რომ „ევროპის ცხოვრების სასწორზე დადებდა რუსულ აზრს“. ბელინსკისთვის რუსი ხალხი იყო „გენიალური ბავშვი“, რომელიც მომავალში, დაახლოებით 100 წლის შემდეგ (1840 წელს იწინასწარმეტყველა რუსეთის სახელმწიფოს „როლი“ ევროპულ ოჯახში) უნდა ეხილა „განათლებული მსოფლიოს სათავეში“.

რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შორის სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა **გერცენი,** რომელმაც თავისი პოლიტიკური აზროვნება, თავდაპირველად, ზემოდასახელებულ მოღვაწეთა მსგავსად წარმართა. თუმცა მოგვიანებით, – მას აღმოაჩნდა საკმარისი ძალა, რომ განეცადა სრული „იდეოლოგიური ტრანსფორმაცია“; გერცენმა საშინელი დარტყმა მიიღო, როცა გააცნობიერა, რომ რევოლუციათა აღმოსაცენებელი „პოლიტიკური მისანმიმართულება“ აბსოლუტურად განსხვავებულია უკვე შემდგარი რევოლუციის ძალმომრეობისაგან. ამიტომაც წერდა გერცენი: „იენისის (გულისხმობდა საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციას) სისხლი შევიდა ჩემს ტვინსა და ნერვებში და მას შემდეგ ჩემში აღვზარდე სიზღი სისხლისადმი, თუ იგი იღვრება უკიდურესი აუცილებლობის გარეშე...“ სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებაში „ნაჯახისა“ და „ცოცხის“ ტაქტიკის ურთიერთდაპირისპირების წარმოშობა. ბუნებრივია, – „ნაჯახის გზა“ გულისხმობდა ძლიერი აგრესიით საზოგადოებრივი წყობილების მყისიერ ცვლილებას, რაც შეეხება „ცოცხს“, ის მხოლოდ მშვიდად და

უსაფრთხოდ აპირებდა საზოგადოების „პოლიტიკურ დასუფთავებას“. არსებული რადიკალიზმის, უკიდურესი აგრესიის, გარკვეული ბრალდებების (ყველაზე მძაფრი და მამხილებელი იყო ჩერნიშევსკის მხრიდან) საპასუხოდ, გერცენი წერდა: „ნაჯახი-საკენ... ჩვენ არ მოვუწოდებთ მანამდე, სანამ დაგვრჩენია თუ გინდ ერთი გონიერული იმედი უნაჯახოდ საკითხის გადაჭრისა“...

არადა, რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა არ ცნობდა ამგვარ „ჰუმანურ წიაღსვლებს“, მას ერთგვარ სისუსტედ და უკანდახევად მიიჩნევდა, ისევე როგორც თავად ლიბერალიზმს, რაც ჩერნიშევსკის მხრიდან დაუნდობელი კრიტიკის საგნად იქცა: „ლიბერალიზმი შეიძლება მიმზიდველად გადაიქცეს იმ ადამიანებისათვის, რომელიც უზრუნველყოფილია მატერალურად: თავისუფლება – ძლიერ სასიამოვნო რამ არის; მაგრამ ლიბერალიზმს თავისუფლება ძლიერ ვიწროდ, წმინდა ფორმალურად ესმის... ლიბერალები თითქმის ყველგან მტრები არიან დემოკრატებისა და არასოდეს არ არიან რადიკალები. მათ სურთ პოლიტიკური თავისუფლება“. თუმცა „60-იანი წლების რევოლუციურ სიტუაციაში გერცენი, თავის მეგობარ ოგარიოვთან (ოგარიოვი – ნიკოლო ოგარიოვს გერცენთან აკავშირებდა ხანგრძლივი მეგობრობა და თანამოაზრეობა და ერთად დაარსეს „კოლოკოლი“) ერთად, (კვლავ) რევოლუციურ-დემოკრატიული დროშის ქვეშ დადგა და ჩერნიშევსკის იდეური თანამებრძოლი შეიქმნა. მაგრამ ვიდრე ამ პოზიციამდე მიიყდოდა, მან სულიერ ძიებათა წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო“ (ნიკოლაძე 1961: 236).

გზა, რომელიც სამშობლოდან შორს მყოფი გერცენისათვის (ის 1847 წლიდან მოყოლებული, ემიგრანტულ ცხოვრებას ეწეოდა) გაუსაძლისიც იყო, მაგრამ ამასთანავე, თავისი ქვეყნისათვის „პოლიტიკური მსაჯულის“ ამპლუაში მოვლენის საშუალებასაც იძლეოდა. ალბათ სწორედ ამან განაპირობა მისი კლასიკური ნაწარმოების შექმნა („Былое и думы“) – „რუსეთში რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ“. გერცენის მოღვაწეობის „ემიგრანტული ტრაექტორია“ კი ამგვარია:

1847-1852 წლები – პარიზი;

1852 წლიდან - ლონდონი;

1852-1868 წლები – „თავისუფალი რუსული ტიპოგრაფიის“ შექმნისა და ევოლუციის პერიოდი;

1855-62 და 1869 წწ. – ალმანახი „Полярная звезда“;

1857-68 წლები – პოლიტიკური გაზეთ „Колóкол“.

სწორედ გერცენის ევროპული პერიოდი აღმოჩნდა ქართული ლიბერალიზმისთვის მნიშვნელოვანი, რაც აისახა კიდევ ნიკო ნიკოლაძის „კოლოკოლის“ რედაქციაში „ახლო თანამშრომლად მიწვევაში“. თავად გერცენი კი ნიკო ნიკოლაძის გაცნობას (1865 წელი) შემდეგი სიტყვებით გვისურათებს: „მე თქვენთან მოვედი, რათა გთხოვოთ მომცეთ რჩევა, - მითხრა მე ერთმა ჭაბუკმა ქართველმა, რომელიც გარეგნულად ახალგაზრდა ვეფხვს ჩამოგავდა“... „1865 წლის 11 აპრილით დათარიღებულ ბარათში გერცენი სწერს ოგარიოვს ნიკო ნიკოლაძესთან შემთხვევით შეხვედრის შესახებ, შემდეგ წერილში კი... რომ ნიკო ნიკოლაძის ბინა პარიზში დიდხანს ეძია, მაგრამ ვერ მიაკვლია, რადგან მისამართი ზუსტად არ იცოდა. მომდევნო ბარათში გერცენი თავის ადრესატს აცნობებს, რომ მან ნიკოლაძე მონახა და დაუნიშნა შეხვედრის დრო. მეტად საყურადღებოა გერცენის წერილი ოგარიოვისადმი, — „ნიკოლაძე ჩემთანაა“... და გერცენი ქებას ასხამს ნიკო ნიკოლაძის წერილს „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“, რომელიც 1865 წელს „კოლოკოლის“ ფურცლებზე დაიბეჭდა რიონელის ფსევდონიმით. „ქართული წერილი ძალიან კარგია“ — წერს გერცენი... ირკვევა, რომ ნიკოლაძის ჩვენთვის ჯერ უცნობი ფსევდონიმით ან უსახელოდაა დაბეჭდილი...“ (ნიკოლაძე 1961: 240-241). მაგრამ სულ მალე, კერძოდ კი 1865 წლის 25 მაისს „კოლოკოლში“ გამოქვეყნებულმა გერცენის წერილმა – „იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი“, დაძაბა ურთიერთობა ნიკო ნიკოლაძესთან, რადგან ის „თელიდა ამ წერილს გერცენის დიდ შეცდომად, რევოლუციური პრინციპულობის ერთგვარ ღალატად, გამოჩენილი რევოლუციონერის ლიბერალური ილუზიის ნაყოფად“ (აბზიანიძე 1959: 282). ამ „განხეთქილებისა“ თუ „პოლიტიკური დისკუსიის“ გამოძახილი, ფაქტობრივად თავის სიმაფრეს ნიკოლაძისთვის არ კარგავს შემდგომაც; რისი დასტურიცაა თუნდაც მისი ეს წერილი („საუქმო საკითხავი“, 1889 წ.).

„ორმოცი, ორმოცდაათი და სამოციანი წლების რუსული ლიტერატურის მრავალი სახელოვანი მოღვაწე, მართლაც და ცხოვრებაში ნამდვილად სულაც არ იყო ისეთი, როგორითაც მათ წარმოდგენას მიეჩვია საზოგადოება, ზოგიერთი მათგანი, მხოლოდ ი.ს. ტურგენევი, ფ.მ. დოსტოევსკი, ნ.ჯ. ოგარიევი, ა.ი. გერცენი და სხვანი, ეიწრო ავადმყოფური თავმოყვარეობის ადამიანები იყვნენ... საერთო საქმის არსებითი ინტერესები

ყოველ ნაბიჯზე მსხვერპლად მიჰქონდათ თავისი პირადი, წვრილმანი გაღიზიანებისა, ქარაფშუტობისა და თვით ბაქიანობის წინაშე".

ანდა, თუ ისევ ნიკოლაძის 1865 წლის პუბლიკაციებიდან მოვიხმობთ ამონარიდებს; წერილი ოგარევს, 1865 წლის 12 ივნისი — გერცენის „წერილზე"; „მე ვწერდი, რომ, ნუთუ იგი ჯერ კიდევ ვერ განიხიბლა მის უდიდებულესობაში (იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე მეორისადმი პათეტიკა — ქ.ე.). მე ვაყენებდი ასე საკითხს და ოდნავადაც არ ვეჭვობდი გერცენის ასეთ სიბრიყვეზე".

იმავე წლის 22 ივლისს ისევ — წერილი ოგარევს: „მე არ ვიცი როგორ ჩამოვართვა ხელი ბატონ გერცენს მისი ახალი „წერილების" გამო". მაგრამ, ზემოდასახელებული „განხეთქილების" მიუხედავად, „ნიკო ნიკოლაძე (მაინც) ფართო პროპაგანდას უწევდა საქართველოში გერცენის მატერიალისტურ ფილოსოფიას და მიაჩნდა იგი მძლავრ იარაღად მისტიციზმისა და ფილოსოფიური რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად" (ნიკოლაძე 1961: 245). არა მარტო ნიკო ნიკოლაძე იყო გერცენის ფილოსოფიური შეხედულებით მონუსხული, არამედ გიორგი წერეთელიც, რომელიც „გერცენის მსგავსად, ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაზე, სადაც ადამიანის ნიჭს და ძალას თავისუფალი განვითარების ასპარეზი მიეცემოდა" (ნიკოლაძე 1961: 246). მაგრამ, უნდა ითქვას, რომ იყო რაღაც მისტიკური, როცა „დეკაბრისტების მემკვიდრე გერცენს პირველი ქართველი ფილოსოფოსი, რომელიც პირადად გაეცნო იყო სოლომონ დოდაშვილი. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ქ. ვიატკაში, სადაც ორივე გადასახლებული იყო 30-იან წლებში... გერცენს ქართველი მოღვაწეები იდეურად დაუკავშირდნენ 60-იან წლებში. მაგრამ ქართველი მესამოციანელები, როგორც ჩანს, გერცენის სახელს ჯერ კიდევ მოწაფეობის სკამიდან იცნობდნენ, როგორც აკაკი წერეთლის „ჩემი თაეგადასავლიდან" ეგებულობთ"... (ნიკოლაძე 1961: 239-240).

ალბათ ეს განაპირობა იმანაც, რომ ჩვენი ეთნოფსიქოლოგიისათვის გაცილებით მარტივი აღსაქმელი იყო სამყაროს შეცნობის „პოეტურ-ფილოსოფიური" მოდელი, რაც ბუნებრივად ერწყმოდა გერცენის ფილოსოფიურ კონცეფციებს; მისი აზრით, „ადამიანები უფრო მეტად არიან პოეტები და მხატვრები, ვიდრე ფიქრობენ", ანდა ის რომ „ბუნების გაჩერება არ შეიძლება, იგი პროცესია, დინებაა, მოძრაობაა", რომელშიც თანაჩართულობა

მხოლოდ „ცივილურ ადამიანს“ შეუძლია. ამგვარად სახელდებულია ადამიანი, რომელიც სოციალურად დაცული საზოგადოების წევრია და შესწევს უნარი ხელი შეუწყოს კულტურის ფენომენის ინტეგრირებას ცხოვრებაში.

ამიტომაც, გერცენის შემოქმედებითი ბიოგრაფია საოცრად მდიდარია ჟანრობრივადაც; 30-იან წლებში იგი ქმნის ძირითადად მემუარული ხასიათის ნაწარმოებებს, რომანტიკული ალუზიებით. ამგვარია შემდეგი ნარკვევები; „პირველი შეხვედრა“ და „მეორე შეხვედრა“. ხოლო „ახალგაზრდა კაცის ნაწერებში“ უკვე ერთგვარი ტრანსფორმაციას განიცდის ავტორი თავისი მკვეთრად რეალისტური „აქცენტებით“.

40-იანი წლები კი „მამხილებელი ნარატივითაა“ გამორჩეული, ამ პერიოდში დაიწერა მისი ქრესტომათიული რომანი „ვინ არის დამნაშავე“; ასევე „ქურდი კაჭკაჭი“ და „ექიმი კრუპოვი“. რაც მთავარია, სწორედ ამ მხატვრულ-პოლიტიკურ ნაწარმოებში პოულობს ის თავის, სრულიად განსხვავებულ, ხელწერას, – ახდენს რა პუბლიცისტიკაში მხატვრული დიაპაზონის ინტეგრირებას. მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც მისი „ნამყო და ნაფიქრალია“. ნაწარმოები, რომელიც თექვსმეტი წლის მანძილზე იქმნებოდა და სადაც რუსეთისა თუ ევროპის „ცხოვრებაა“ მიმოხილული, – შესატყვისი „მემუარული ილუსტრაციებით“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მის მატერიალისტურ ფილოსოფიას საქართველოში ჰყავდა არა მხოლოდ იდეური თანამოაზრეები, არამედ, აგრეთვე, მოწინააღმდეგეებიც. ისინი ეკუთვნოდნენ „მამათა“ კონსერვატიულ ბანაკს... ძველი თაობის მეთაური გრიგოლ ორბელიანი ირონიით წერდა: „მაგონდება მე, თუ რა ძლიერ ღელავდა ჩვენი სატახტო ქალაქი გერცენის მომხიბლავი დიალექტით, მაგრამ, როცა „მოსკოვის უწყებები“ ალაპარაკდა, – „კოლოკოლმა“ ხმა ჩაიწყვიტა, მოჯადოებაც გაჰქრა“ (ნიკოლაძე 1961: 247).

ეს საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელთაც ლიბერალური კონცეფციები აფრთხობდა და თავისუფლება სრული ანარქიის ნიშანსვეტად მიაჩნდა. ამის მიუხედავად, გერცენის სახელის მითოლოგიზაცია ქართულ პუბლიცისტიკაში აქტიურად გრძელდებოდა; „ჯერ კიდევ 1869 წლის 13 მარტს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ თითქოს გერცენს გადაწყვეტილება მიეღო სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ხოლო ამავე წლის 17 აპრილს იგივე გაზეთი თავის ადრინდელ ცნობას უარყოფდა... გერცენი ორივე შემთხვევაში მოხსენებული იყო მხოლოდ

როგორც „რუსი ემიგრანტი“. 1870 წელს ჟურნალი „კრებული“ აქვეყნებს გერცენის მოთხრობას „ექიმი კრუპოვი“, მაგრამ ცენზურის თვალის ასახვევად არ მოიხსენიებს ავტორსაც და სათაურსაც უცვლის. გადის დრო და 1901 წელს ჟურნალი „კვალი“ თავისი მეოცე ნომრის პირველ გვერდზე ათავსებს ა.ი. გერცენის პორტრეტს... 1912 წელს კი ქართული გაზეთები და ჟურნალები გამოეხმაურნენ გერცენის დაბადების 100 წლისთავს. „სახალხო გაზეთმა“ აღნიშნულ თარიღს მიუძღვნა დიდად შთამბეჭდავი სტატია („რაჭველის“ ფსევდონიმით) სათაურით – „ჩაგრულთა მოსარჩლე“. იმავ თარიღთან დაკავშირებით ცალკე წერილებად გამოქვეყნდა გაზეთ „შრომის“ რეა ნომერში გერცენისადმი მიძღვნილი ერცელი სტატია. საიუბილეო თარიღს გამოეხმაურა აგრეთვე ჟურნალი „ცოლხიდა“. ქება-დიდებით მოიხსენია გერცენი ჟურნალმა „განათლებამ“. აქ ჩვენ ვკითხულობთ: „იშვიათად მოიპოვება... ისეთი მტკიცე და შეურყვნელი მებრძოლი საკაცობრიო იდეალებისათვის, ისეთი უმწიკვლო, ბროლივით სუფთა ადამიანი, როგორიც იყო ა.ი. გერცენი“ (ღუდუშაური 1962: 27-28).

გერცენი იყო XIX საუკუნის იმგვარი მოაზროვნე (აქ გასათვალისწინებელია მისი გენეტიკური ხაზიც – დედამისი იყო გერმანელი, ლუიზა ჰააგი, მამა – რუსი დიდგვაროვანი ალექსანდრე იაკოვლევი; „გერცენი“ – ანუ „გულის შვილი“, მამისგან ბოძებული სახელდებაა და ვინმე, უთუოდ გაიფიქრებს, რომ ამ ონომასტიკამ განსაზღვრა მისი „პოლიტიკური გულისხმიერებაც“), რომლის პოლიტიკური სულისკვეთება გამოაწრთო „პესტელისა და მისი ამხანაგების სიკვდილით დასჯამ, რამაც საბოლოოდ შეწყვიტა მისი ბავშვური სულის ძილი“...

XIX საუკუნის ქართველ სამოციანელთა პირველი „იდეოლოგიური ბიძგი“ სწორედ ზემოდასახელებულ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევი იყო, რამაც ისინი იხსნა „ეროვნული ინფანტილიზმისგან“. შესაბამისად, ნიადაგი მომზადდა ჩვენში ევროპული ლიბერალიზმის ინტეგრირებისათვის და უკვე „მოწინავე ქართველებმა“ შეძლეს იმ „საღი მარცვლის“ შეთვისება, რომელ ნიადაგზეც მომავალში აღმოცენდა ქართული ლიბერალური მსოფლმხედველობა.

დაბოლოს, – სიმბოლური პიროვნებანი ერთგვარ „პოლიტიკურ მედიუმებად“ გვევლინებიან ამა თუ იმ ისტორიულ ველში და მათი ერთობ რომანტიკული ან მითოლოგიური არსებობა

კონკრეტული ერისათვის „ისტორიული ნებელობის“ კვლავ აღმოცენების მაჯფრ სურვილს განაპირობებს...

ამასთანავე, სიმბოლური პიროვნებანი, თავის დამოუკიდებელ სიმბოლურ ისტორიებსაც ქმნიან ნებისმიერი ერისათვის (მხოლოდ სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციებით...), როგორც ეს იყო XIX საუკუნის საქართველოს ცხობიერ ცხოვრებაში.

დამოწმებანი:

აბზიანიძე 1959: აბზიანიძე გ. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

აბზიანიძე, ელაშვილი 2012: აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. II. თბ.: „ბაკმი“, 2012.

ბელინსკი 1948: ბელინსკი ბ. რჩეული თხზულება. თბ.: „სახელგამი“, 1948.

ბელინსკი 1954: Белинский Б. Избранное. М.: "Московский рабочий", 1954.

ბიწაძე 1964: ბიწაძე შ. ნ. დობროლიუბოვის ეთიკური შეხედულებანი. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.

გაგოიძე 1979: გაგოიძე ე. ნიკოლოზ ჩერნიშევსკი და XIX საუკუნის ქართველი სამოციანელები. თბ.: „ცოდნა“, 1979.

გარიბალდი 1966: Гарибальди Дж. Мемуары. М.: "Наука", 1966.

გერცენი 1953: გერცენი ა. ფილოსოფიური თხზულებანი. ტ. I. თბ.: „სახელგამი“, 1953.

გერცენი 1987: Герцен А. Избранные сочинения. М.: "Художественная литература", 1987.

გომართელი 1905: გომართელი ი. ჯუზეპე გარიბალდი. წიგნი 1 ტფილისი: „სხივის“ ამხანაგობის გამოცემა, 1905.

დობროლიუბოვი 1986: Добролюбов Н. Избранное. М.: "Искусство", 1986.

ვიზენი 1964: Визен Л. Хосе Марти. М.: "Молодая Гвардия", 1964.

იმერლიშვილი 1995: იმერლიშვილი ვ. ქართულ-უნგრული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი XVII-XX საუკუნეში. თბ.: „მეცნიერება“, 1995.

კიროვა 1981: Кирова К. Э. Жизнь Джузеппе Мадзини. М.: "Наука", 1981.
ლიბერალიზმის საფუძვლები: www.nesgeorgia.org/publicationst1.php
მესხი 1962: მესხი ს. I ტომი (1868-1874). თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1962.
მოსკოვიჩი 1996: Московичи С. Век толп. Москва: "Центр психологии и психотерапии", 1996.
ნიკოლაძე 1954: ნიკოლაძე ა. ეტიუდები რუსული ლიტერატურის ისტორიიდან. თბ.: „სახელგამი“, 1954.
ნიკოლაძე 1961: ნიკოლაძე ა. რუსი კლასიკოსები და ქართული კულტურა. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1961.
ნიკოლაძე 1962: ნიკოლაძე ნ. თხზულებანი. I. თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1962.
ნიკოლაძე 1963: ნიკოლაძე ნ. თხზულებანი. III (1872-1973). თბ.: „ცოდნა“, 1963.
ნიკოლაძე 1964: ნიკოლაძე ნ. თხზულებანი. IV. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964.
ნიკოლაძე 1984: ნიკოლაძე ნ. მოგონებები, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1984.
ფეკეტე 1978: Фекете Ш. Лайош Кошут. М.: "Детская литература", 1978.
ღუდუშაური 1962: ღუდუშაური პ. გერცენი და ქართული საზოგადოება. თბ.: საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, 1962.
ჩერნიშევსკი 1954: ჩერნიშევსკი ნ. რჩეული თხზულება. თბ.: „სახელგამი“, 1954.
ჩერნიშევსკი 1978: Чернышевский Н. Избранные произведения. В трёх томах. Л.: "Художественная литература", 1978.
ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ. V. კრიტიკა. თბ.: „მეცნიერება“, 1991.
ხუნდაძე 1929: ხუნდაძე ს. ნ.გ. ჩერნიშევსკი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აზროვნება. ტფილისი: „სახელგამი“, 1929.
ხუციშვილი 1982: ხუციშვილი ს. ქართული გარიბალდიანა. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16.VII. თბ.: 1982.
ჰეივუდი 2004: ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ.: „ლოგოსი“, 2004.

ზნეობრივი დისკურსი

„ის ჰუმანური საწყისი, რომლის სახელითაც კაცობრიობამ მოითხოვა სასჯელთა რიცხვიდან სიკვდილით დასჯის გამორიცხვა... აღიარებულ უნდა იქმნას ადამიანთა ურთიერთობათა ზნეობრივი სრულყოფის სფეროში კაცობრიობის პროგრესის საუკეთესო მონაპოვრად...“

ილია ჭავჭავაძე

წინათქმა

ეთნოფსიქოლოგია თუ ეთნოკულტურა წარმოუდგენელია ეთნოზნეობის გარეშე, რომელიც სახელმწიფოებრივი ცნობიერების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. არადა, სამეფოგაუქმებულ სამეფო კარზე ორიენტირებული ერისათვის სახელმწიფოს ცნება XIX საუკუნეში (1801 წლის ანექსიიდან მოყოლებული...) ერთობ ამორფული გახლდათ. „მამულისა ჩვეულებისაებრ სულას“ გადაჩვეული ქართველობა ევროპულ ფასეულობებს დაეწაფა ხარბად, – ხშირ შემთხვევაში „რუსული სარკმლიდან“.

ეთნოზნეობის სახეცვლილება ყველაზე მეტად დანაშაულის „იმპერიალისტურ მსჯავრში“ გამოიხატა – ადამიანური ფენომენის სრული უგულველყოფით...

ისტორიულად – ქართლის ცხოვრების მანძილზე ქართველი ერი, თავისი ნებით, არასოდეს არ აწყობდა სიკვდილით დასჯის მასობრივ სანახაობას, რადგან ეთნოზნეობა ერის „მამხილებელ გონებად“ ჰქონდა მიჩნეული.

სულიერი ტყვირთი
(ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“)

სულიერი ტყვირთი თვითშეცნობისა თუ თვითშეფასების გარდაუვალი ნებაა. ბეწვის ხიდზე სიარულია და უპასუხოდ დარჩენილი ის კითხვაა, ერთობ უჩინარი, ადამიანის სულში რომ იჩენს თავს... ამგვარმა სულიერმა გზააბნეულობამ დაისადგურა ილიასეულ „დროულ“ პეტრეში და უმიწყალოდ ჩაკარგა ორი დღის „ბიბლიურ ლაბირინთში“.

ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ სახისმეტყველებითი ელემენტებით გაჯერებული მოთხრობაა, რომელსაც ბიბლიური სიმბოლიკის მხატვრულ აზროვნებაში გამოსახვისა და იმაყდრო-ულად, ფილოსოფიური განზოგადების ზედმიწევნით დახვეწილი ფორმა აქვს. ამ ჭრილში მოცემულია წუთისოფლის განსახო-ვნება ორ, თითქოსდა, დაუსრულებელ პერიოდში და სწორედ აქ ხდება ორი ძმის „ქმედება“. აქ ეს ორი დღე არა ასტრონომიული თანმიმდევრობითაა ჩანაცვლებული, რადგანაც არსებობს ამ ორ დღეს შორის არაფრის შემცველელი სიცარიელე – მთელი ოთხი წელი: და, რაღა თქმა უნდა, ამ შეალედური სიცარიელით, ავტორი გვამზადებს მეორე დღის გარდაუვალი დადგომისთვის.

ახლა დავუბრუნდეთ პირველ დღეს... სწორედ პირველსავე დღეს ჩნდება ორი ძმა; უფროსი (ბეჟანი) – რომლის „ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გული იყო დამარხული“, უმცროსი ძმა კი – „წარბ-შეკრული და გულდახურული, თითქო რაღაცას ითმენსო და თავისთავს ძალას ატანს, შინაგანი ამღვრეულობა არავის ამცნოსო“ (ჭავჭავაძე 1988: 224).

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ძმები, ნაწილობრივ, ბიბლე-ური სიმბოლიკით არიან წარმოდგენილნი. კერძოდ, აქ აღინიშ-ნება „აბელ-კაენის“ სიმბოლური ფენომენი, რაც გამოიხატება უფროსი ძმის მიერ უმცროსი ძმის სულიერ მოკვდინებაში, რომელიც საოცარი სიცხადითაა გადმოცემული; ხოლო უფროსი ძმის (ბეჟანის) ჩამოხრჩობის შემდეგ უკვე უმცროსი ძმის

განწირულობაც თვალში საცემია, რადგანაც მის გულში „ჩასახული ტკბილი ნაღველი“ საბოლოოდ ქრება. ეს „ტკბილი ნაღველი“ პეტრეს გულისხმიერებითაა ჩასახული მის გულში, რომელმაც ლამის დაიმორჩილა უმცროსი ძმა და რომელიც მის გულში ისე გაღვივდა, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი.

ამ ჩასახულ იმედს ილია ტკბილადაც მოიხსენიებს და, იმავდროულად, ნაღვლიანი ელფერითაც გვაწვდის, რადგანაც უმცროსი ძმის ცხოვრებაში მხოლოდ ძლიერ მოგვიანებით ჩნდება ერთადერთი გულთბილი და გულისხმიერი ადამიანი, ისეთი როგორიც იყო პეტრე. რაც შეეხება მის პიროვნულ პორტრეტს, მხოლოდ სახისმეტყველებითი ქარგითაა აჭრილი და სამი ძირითადი სიმბოლური მახასიათებლითაა მოწოდებული. პეტრეს სახის ეს სიმბოლური ატრიბუტებია: „დროულობა“, „ღვინოსთან წილნაყარობა“ ანუ ქალაქის დუქნების ღვინით მომარაგება და თავად სახელი „პეტრე“. ამათგან უპირველესია მისი დროულობა, რომლის წყალობითაც ილია მიგვანიშნებს, რომ მხოლოდ პეტრეს შესწევს ძალა ქმედებისა და გარკვეულწილად, როგორც „დროული კაცი“, ისე შემოდის ძმების ცხოვრებაში. პეტრეს „დროულ კაცად“ მოხსენიებისას, ავტორი ჩვენს ყურადღებას მის ხანდაზმულობაზე კი არ ამახვილებს მარტოოდენ (ილიასათვის ხანდაზმულობა ცხოვრების სიბრძნეცაა, გამოცდილებაცაა ერთგვარი...), არამედ იმ დიდ მისიაზე, რომელიც ილიამ პეტრეს დააკისრა მთელი ამ ორი დღის განმავლობაში.

პეტრე ამ მოთხრობაში ავტორის მიერ მარტო „დროულ კაცად“ კი არ მოიხსენიება, არამედ საოცრად კაცთმოყვარე და წრფელ ადამიანადაც არის წარმოდგენილი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პეტრე მაინც ღვინის ეექარისტული სპექტრითაა ჩვენში წარმოსახული. ავტორის მიერ მისი სწორედ ამ სახით წარმოდგენა საჭირო იყო მხოლოდ იმიტომ, რომ მომხდარიყო ძმებისა და პეტრეს ცხოვრების ერთგვარი თანხვედრა. სწორედ ამ ფონზე იკვეთება ილიას შემოქმედების ამოსავალი სიბრძნისმეტყველება...

ამ „ავტორისეულ“ სიბრძნეს ძმების გულისამაჩუყებელი, ცრუ თავგადასავლით შეძრული პეტრე ამოთქვამს; „უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათაორეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა: პურსაც გაჭმევთ და ღვინოსაც დაგალევინებთ“ (ჭავჭავაძე 1988: 226).

ამასთან პეტრე „სულით ჯანსაღი“ ადამიანიცაა, რომლისთვისაც მიუღებელია საკუთარ სამშობლოში, თეისტომთა შორის

უცხოდ ყოფნა, სადაც მისთვის ყოველგვარი ქმედება ქრისტიანული თვალთახედვით აღიქმება და მხოლოდ ამ „ქრისტიანული აღქმის“ გარეშე დარჩენილნი არიან პეტრესთვის უცხონი, ეს გაუცხოება კი მათი უღმერთობითაა გააზრებული და ამიტომაც, ძმების მონათხრობით გულშეძრული პეტრე, მთელი გულით იცოდეს იმ „ავკაცს“, რომელმაც ვითომდა ძმების ცოდვა დაიდო. პეტრეს ცხოვრების აღქმის თავისი საზომი გააჩნია. მისთვის მთავარია ადამიანის სიტყვა, ბოლომდე მაჰყვება სიტყვის ძალასა და არსს, მხოლოდ მოგვიანებით აცნობიერებს ადამიანის ქმედებას. და მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვასა და ქმედებას შორის თანხვედრა არ ხდება, პეტრეს ხინჯი უჩნდება საკუთარი თავის და არა სიტყვის გამტეხთა მიმართ. ასე იყო ძმების „ცრუ აღსარების დროს“, რასაც მოჰყვა პეტრეს მიერ მათი აღალი გულით სახელდახელოდ პურ-ღვინით გამასპინძლება, სადაც სპონტანურად ეკქარისტული ელფერიც გამოკრთება...

ხოლო ამის შემდეგ ხდება ძმების მიერ პეტრესათვის ჯიბის შეჭრა, რომლის დროსაც ნიშანდობლივი იყო უმცროსი ძმის „პასიური“, „არაყოფისშემცველელი“ პროტესტი. ხოლო ძმების ეს საქციელი „დროული კაცისათვის“ მოუნელებელი აღმოჩნდება – „ეს დროული კაცი... აი ტაი, ტაი, ტაი! ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მე კი ეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც ...მას აქეთ, რაც ის ხიფათი შეემთხვა, ხელი აიღო მეურმეობა-ზედ“ (ჭავჭავაძე 1988: 228) და პეტრემაც საკუთარ თავს მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა, რომელიც მხოლოდ ერთადერთი გარემოებით იყო განპირობებული, რომ „დროულმა კაცმა“ „ცოდვას ნაბიჯისგან“ ვერ იხსნა ძმები.

პეტრეს სახისმეტყველებით აღქმის ძირითადი ასპექტი კი მის ღვინოსთან წილნაყარობაშია, რადგანაც სწორედ „ეკქარისტულ“ ღვინოშია განსახოვნებული ის ჭეშმარიტი ძალა და მადლი, რასაც უნდა გადაერჩინა ძმები; მადლი, რომლის ნაპერწკალიც მხოლოდ უმცროსი ძმის სულში გაღვივდა „ტკბილი ნაღვეწის“ სახით.

ილიას მიერ ამ „დროული კაცის“ პეტრედ მონათლაში ერთგვარი სიმბოლიკაა ჩადებული. კერძოდ, სახარებისეული სიმბოლიკით, პეტრე – „კლდე, გინა... გულისხმის-ყოფა“ (ორბელიანი 1993: 625). სწორედ „გულისხმის-ყოფის“ მატარებლად მოიაზრება „ჩვენი დროული პეტრე“, რომლის პიროვნულ სახესიმბოლოს ილია მარტო სიკეთის შარავანდედით კი არ მოსავს, არამედ მიამიტობისა და თანალმობის ერთგვარი ჩუქურთმითაც

აპირკეთებს. ეს „ჩუქურთმა“ სამყაროს შეცნობის აპრიორული სახე-სიმბოლოა, რითაც პეტრე პირველსაწყისთან არის სულით ხორცამდე შეზრდილი და სამყაროს ერთიან, უწყვეტ, დინამიურ წრეშია ჩართული. წრეში, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე ჰქვია. სწორედ პეტრეშია გაცხადებული ღვთისშეილის – ადამიანის უანგარო და უსაზღვრო სიყვარულის ის ძალა, რომელიც მას „სარჩობელასთან“ მიიყვანს და „ჭეშმარიტ აღსარებასაც“ მოასმენინებს. ეს მხოლოდ მეორე დღეს ხდება (იგულისხმება ოთხი წლის შემდეგ დამდგარი მეორე დღე, რაც გამოისატება დროისა და სივრცის ბიბლიურ აღქმაში). სწორედ ამიტომ, მხოლოდ მეორე დღეს ხდება მოქმედების დასრულება და ძმების ქმედებასაც ილია მეორე დღეს უსვამს საკმაოდ მრავლისმთქმელ წერტილს. იქამდე კი, მეორე დღეს, კიდევ ერთხელ გადაიკვეთება ძმებისა და „დროული კაცის“ გზები, – კაცისა, რომელიც პირველი დღის წყალობით, უკვე „ნაწილობრივ ხელდასხმულია“.

ახლა დეტალურად მივყვეთ მოქმედების განვითარებას; მეორე დღეს უკვე სარჩობელაა აღმართული. სარჩობელას, სახარებისეული განმარტებით, „შიშთვილიბა“ ეწოდება (მათე 27:5). თაეის ჩამოხრჩობა (ორბელიანი 1993: 303). შიშთვილი – ხრჩობა (ი.ა.) სახრჩობელა; (თაეის) დასახრჩობი თოკი (ი.ი.)“ (ლექსიკონი 2008: 399). როგორი შინაარსობრიეი და სიმბოლური დატვირთვისაცაა სარჩობელას ძველი ქართული განმარტება, იმგვარივე შეგრძნება ეუფლება პეტრეს უფროსი ძმის ჩამოხრჩობისას. მთელ ამ რიტუალს ის, როგორც წარმოდგენას, ისე აღიქვამს, რადგანაც მისთვის ყოველად მიუღებელია ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. ხოლო მთელი ამ პროცედურის ფარსად აღქმისას, პეტრე ერთგვარად თაეისუფლდება იმ პასუხისმგებლობისა და სინდისის ქენჯნისაგან, რაც ადამიანის სიკვდილით დასჯის, თუნდაც უნებლიე, მოწმეებს ეუფლებათ ხოლმე. ამიტომაც, მათ ხშირად წარმოდგენაზე მისული მაყურებლის გამომეტყველება აქვთ. ამ მაყურებელთა შორის მხოლოდ პეტრეა „უცხო“, რასაც თაეისი სოფლელობითა და მიამიტობით, ანუ ერთგვარი მოუმზადებლობით ხსნის. ამიტომაც, პეტრე საკუთარ თავს შემდეგი სიტყვებით ამხნევებს: „მართალი არ გეგონოს, ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუედაო... ან კიდევ: „ეს რომ მართალა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს ხომ ჩამოაგდებდნენ.

რაც უნდა იყოს ღეთისკერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი! (ჭავჭავაძე 1988: 233).

ამ სიტყვებით ახშობს პეტრე გულსა და გონებაში აღძრულ ეჭვის მარცვალს, რადგანაც მისთვის გაცილებით მარტივია მომხდარის არა გაანალიზება, არამედ წარმოდგენის – ფარსის სახით აღქმა. ალბათ, ამიტომაც უწოდა ილიამ ამ ნაწარმოებს „სარჩობელაზედ“, სადაც პეტრესეული „შიშისთვალითაა“ დანახული „შიშთვილი“, რადგანაც ამ დროს გაძლიერებულია ეიზუალური აღქმა და ცნობიერება უკანა პლანზეა გადასული...

ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში თითქმის არ მოიძებნება მსგავსი ზოგადკაცობრიული და ქრისტიანული შემწყნარებლობის ამგვარად ტევადი ეპიზოდი – როგორიცაა უფროსი ძმის ჩამოხრჩობისას პეტრეს მიერ მღვდლის, სასულიერო პირის აბსოლუტური უარყოფა... „ეგ მღვდელი რაღას გაუგიჟებია, – ეუბნება პეტრე თავისთავს, – ტერტერა იქნება, თორემ მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა“ (ჭავჭავაძე 1988: 232).

რადგანაც ადამიანის სიცოცხლის ძალდატანებით მოსპობის ჟამს (თუნდაც ის დამნაშავე იყოს) მღვდლის არსებობა და მისი უშუალო მონაწილეობა ამ რიტუალში (იგულისხმება მსჯავრდებულის სიკვდილის წინა ზიარება), ილიასათვის სცილდება ღმერთის მიერ „ხელდასხმული“ სასულიერო პირის ჭეშმარიტ ფუნქციას. აქ, მისი აზრით, ისიც უნებლიე მონაწილე ხდება ადამიანის მოკვდინებისა. ავტორისეული ეს პოზიცია და განწყობა გამოდის ადამიანური გონისა და ხედვის ფარგლებიდან და ზეაზროვნებაშია განზოგადებული. აქ ადამიანი ღვთისშვილად წოდებული, მარტო პირობითად კი არ არის, არამედ ამ ხედვიდან გამომდინარე, ილია კონკრეტულ პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანს, რომელიც, თავად ადამიანური საწყისის მატარებელი, ცოდვის ფენომენის თავადმშობიცაა...

ამიტომაც, ავტორი პეტრესაც მიუჩენს მკაცრად, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს და ათავისუფლებს უცოდველობის „მარადიული ხიბლისაგან“... მიუხედავად პეტრეს მრავალსახოვანი სახისმეტყველებითი გააზრებისა, ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, მაინც ადამიანია, რის გამოც უმცროსი ძმა მას მამინაცვლის მეგობრადაც კი მიიჩნევს (მამინაცვლისა, რომელიც ამ ნაწარმოებში ბოროტების სათაეა) და ძმის სიკვდილშიაც სწორედ პეტრეს ადანაშაულებს. თუმცა თავად პეტრე ეერც კი აცნობიერებს ამ ბრალდების მთელ სიღრმეს. რას იზამ, პეტრე

ხომ ერთი დროული, ალალი, სოფლელი კაცია, ილიამ კი მას ამქვეყნად დატრიალებული ადამიანური ცოდვა-მადლისათვის მოსთხოვა პასუხი...

დამოწმებანი:

ლექსიკონი 2008: ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი. თბ.: გამომცემლობა „საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა“ (სსგ), 2008.
ორბელიანი 1993: ორბელიანი ს.-ს. ლექსიკონი ქართული. II, თბ.: გამომცემლობა „მერანი“, 1993.
ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. II, თბ.: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

დანართი:

ილია ჭავჭავაძის წერილი ტუსაღებისათვის

ტფილისი, 1 მაისს.

ამასწინათ ჩვენი გაზეთის № 89-ში დაბეჭდილი იყო მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდლის მ. იე. ლომოურის წერილი, რომელშიაც პატივცემული აეტორი მგრძნობიარე სიტყვებით აგვიწერდა ტუსაღების მდგომარეობასა და იმათ მუდმივ თხოვნას, რომ საკითხავი რამ წიგნები მოგვეცითო. მ. ლომოური ამ წერილით „კაცთმოყვარე საზოგადოებას“ მიმართავდა და სთხოვდა შემწეობას ხსნებულ ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში.

დარწმუნებული ვართ, რომ ხმა მ. ლომოურისა არ დარჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოში“. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოება რომელსაც ყოველთვის გული შესტკივა უბედურთა და ბედისაგან დაჩაგრულთათვის, ამ შემთხვევაშიაც გამოიჩენს გულმტკივნეულობას და ცოტა რასმესი შეწირვით ეცდება შეუმსუბუქოს ტუსაღებს იმათი მძიმე ულელი.

ჩვენი დიდებული მასწაულებლის ქრისტეს სწაულით, დაბნაშაევ და ბოროტმოქმედი კაცი ყველაზე პირველად უბედური, ავათმყოფი ქმნილებაა. კანონი და საზოგადოება შურისძიებისა და თაეის ჯავრის ამოსაყრელად არ უნდა სჯიდეს მას. უბედურს და ზნეობით ავათმყოფს გამხნევება, დარიგება, სწორ გზაზე დაყენება, წამლობა ეჭირებაო.

ასე ამბობს ქრისტე და ამაში იმას, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაშიაც, ახალი დროის გამოჩენილი მეცნიერნიც და ფილოსოფოსნიც ეთანხმებიან.

და თუ ეს ასეა, თუ ტუსაღი და რომელიმე ბოროტების მომქმედი პირი ყველაზე უმალ ზნეობით, სულით და გონებით

ავათმყოფი არსებაა, მაშ იმის მოსარჩენად, იმის განსაკურნებლადაც ამ ავათმყოფობისდა შესაფერი წამალი და ექიმობა ეჭირვება.

რა არის დაცემული ზნეობის წამალი? რა განკურნებს დაბნელებულ გონებას? რა მოუხდება სულით ავათმყოფს? – მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა დიდი ხანია გვიჩვენებს ამგვარი სნეულების წამალი; ეს წამალი არის – ტკბილი სიტყვა, კეთილი დარიგება, კარგი წიგნები, სწაელა-განათლება და კაცობრივი მოპყრობა.

გამოცდილებამ და ათასმა მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ტუსაღების სასტიკად დასჯა, დატანჯვა და წვალება ამ ტუსაღებს ვერ გაასწორებს, ვერ მოარჯულებს და სხვებსაც ვერ შეაშინებს; რამდენი მაგალითებია, რომ რომელიმე უბრალო დანაშაულობისათვის, ხანდისხან სულ ტყუილ-უბრალოთაც დაუტუსაღებიათ ვინმე და როცა რამდენიმე წლის შემდეგ გამოუშვიათ სატუსაღოდამ, ეს კაცი მხოლოდ ამის შემდეგ გადაქცეულა ნამდვილ ავაზაკად და ბოროტმოქმედათ. ყველას ეხსომება ის შემთხვევა, როდესაც ორ ძმას ყუშანოვებს აღრჩობდნენ თფილისში ქურდობისა და ავაზაკობისათვის, იქვე, საღრჩობელასთან დაიჭირეს ერთი ვიღაც კინტო, რომელსაც ვიღაცისათვის ჯიბეში სელი ჩაეყო და ფული ამოეცალა.

მაგრამ მაგალითები და დამტკიცება არც კი ეჭირება იმ ჭეშმარიტებას, რომ სისასტიკე და მკაცრობა ვერავის ვერც შეაშინებს და ვერც გაასწორებს; რომ ერთადერთი საშუალება ზნეობაგაფუჭებული, გზააბნეული კაცის გასასწორებლად არის მხოლოდ სწავლა-განათლება და ზნეობით გაწრთვნა. ამიტომაც განათლებულ ხალხებში ტუსაღების შესახებ ყველაზე უმთავრესად ამ სახსარს ხმარობენ: იმათთან მუდამ ღაიარებიან სამღვდელო პირნი დარიგების მისაცემად, იმათ აქვთ ჩინებული ბიბლიოთეკები, სადაც ყოველგვარ კარგ წიგნებს იშოვნიან საკითხავად, ვინც არ იცის, წერა-კითხვას ასწავლიან და უეჭველად რომელსამე ხელობას, რომ როცა ვადა შეუსრულდებათ ტუსაღობისა და თავისუფალი შეიქმნებიან, შეეძლონ თავისი სწავლითა და ხელობით პატიოსანი ლუკმა-პურის მოპოვება, შეიძლონ თავის დარჩენა პატიოსანის შრომითა და არა ცუდკაცობით, ავაზაკობით.

ამგვარი წესები ტუსაღების შესახებ რუსეთშიაც თანდათან შემოდის, რუსეთშიაც თანდათან ცდილობს მმართველობა, რომ სისასტიკისა და მკაცრობის ნაცვლად, ლმობიერების მოპყრობით

და კეთილზნეობის, სწავლის ჩანერგვით მოარჯულოს ტუსაღები. პეტერბურგში და რამდენსამე სხვა ქალაქებში, მაგალითად, ტუსაღებს სხვადასხვა ხელობას ასწავლიან, და მცირეწლოვან დამნაშავეებისათვის გამართულია სკოლები, სადაც წერა-კითხვას, მეურნეობასა და ხელობას ასწავლიან.

მთავრობას იმდენი არც შეძლება აქვს და არც ღონისძიება, რომ ყველგან, საცა კი სატუსაღოებია, გამართოს სკოლები, სახელოსნოები და ბიბლიოთეკები. ამ შემთხვევაში თვითონ საზოგადოებაა მოვალე, რომ დაეხმაროს მთავრობას.

ამიტომაც ვიმეორებთ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მ. ლომოურის ხმა და მოწოდება, რომ საზოგადოებამ ძალა მისცეს იმას მეტეხის ციხის ტუსაღებისათვის ბიბლიოთეკის გამართვაში, ეს ხმა უდაბნოში მღაღადებელ ხმად არ შეიქნება. იმედი გვაქვს, ჩვენს საზოგადოებაში ამოჩნდებიან იმისთანა პირნი, რომელთაც ესმისთ ამ ქველის საქმის მნიშვნელობა და თუ წიგნებითა, თუ ფულით მოისურვებენ მ. ლომოურის ჩინებულის აზრისა და წინადადების განხორციელებას, დახმარებას. ამგვარ პირებს შეუძლიანთ თაყვანთ შესაწირავით მიმართონ ან პირდაპირ მეტეხში მ. ლომოურთან ან სატუსაღოს ზედამხედველთან და ან „დროების“ რედაქციაში.

[1880 წ.] 2 მაისი, გაზეთი „დროება“
(ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. XV,
პუბლიცისტური წერილები (სავარაუდონი).

„ილიას ფონდი“, 2007, გვ.105.

ჩვენს ხელში უნებლიეთ აღმოჩენილი „ეშმაკის ქვა“

ჭეშმარიტ მწერალს უნდა ხელეწიფებოდეს, როგორც მხატერული, ასევე „ინტუიციური ხედვა“ და მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი, რომ ნაწარმოებმა თავი დააღწიოს ერთგვარ „ეპოქალურ ტყვეობას“ და მოხდეს მისი გმირების „ცხოვრებისეული სიერცეში“ თაყისუფალი განთავსება – მათი განზოგადება. სწორედ ასეთი ხედვის მწერალი იყო მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცოდა, რომ „ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი მონაპოვარი (გამოგონება-აღმოჩენა) თავად პიროვნებაა, რომლის ქმედებაც შემოფარგლულია მისი აზროვნებისა და განსჯის არეალით და რომელიც სხვის აზრს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ახდენს მის შეფასებას“ (მოსკოვიჩი 1996: 38).

მიხეილ ჯავახიშვილი არა მარტო თავის ნაწარმოებში ცდილობდა პიროვნებათა წარმოჩენას, არამედ თავადაც მკვეთრად გამოხატული პიროვნება – მწერალი იყო, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი დროის ფაქტორის აბსოლუტური უგულვებელყოფა და მწერლის ჭეშმარიტ წინასწარმეტყველად გარდასახვა. ასეთი ხელწერის მწერლის ყველაზე მცირე მოცულობის მოთხრობაც კი შეიძლება გაცილებით უფრო დატვირთული იყოს იმპულსურად და ემოციურად, ვიდრე ნებისმიერი თანამედროვის...

ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში (იგულისხმება XX საუკუნის მიწურული) ჩვენ მიხეილ ჯავახიშვილის სულიერი ტკივილი, რომელმაც „ეშმაკის ქვა“ დააწერინა, გაცილებით მძაფრად გავითავისეთ; რადგანაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ნებისმიერი ჩვენგანის ხელშიც არაერთხელ აღმოჩენილა ამ „ეშმაკის ქვის“ ანასხლეტი... მართალია უნებლიეთ, მაგრამ... და ისევე, როგორც XX საუკუნის დამდეგს, როდესაც დაიწერა ეს მოთხრობა (1908 წელი, პარიზი), ასევე ამ საუკუნის გასაყარზეც ჩვენს ცნობიერებაში საკმაოდ ცხადად შემოიჭრა „ბრბოს

ფენომენი“, რომლის მხატვრულ ქარგაში მოქცევის მცდელობა გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა - „ეშმაკის ქვა“.

ცნობილია, რომ „ბრბოს ფსიქოლოგია“ ასეთი სახელწოდებით ჩამოაყალიბა და დაამუშავა ფრანგმა ფსიქოლოგმა გუსტავ ლე ბონმა (1841-1931). მისი იდეა იყო განეკურნა „დაავადებული საზოგადოება“. ლე ბონი ასევე აღნიშნავდა, რომ XX საუკუნე, რომელშიც ისინი შეიდოდნენ, იქნებოდა ჭეშმარიტად ბრბოს საუკუნე. თუმცაღა, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საუკუნის გასვლის ჟამსაც, ყველაზე მძაფრად იკვეთება ბრბოს შეჭიდებულ პიროვნებათა უთანასწორო ორთაბრძოლა – ასეთი პიროვნება იყო „სოფლის ანგელოზი“ სოფიოც... „საოცარი არსება იყო: გულჩვილი, მგრძნობიარე და აღფრთოვანებული. თუ ვისმეს სურდა ენახა ამ ქვეყნად ჩამოსული ტანსხმული სიკეთე და სათნოება“ (ჯავახიშვილი 1958: 98), სოფიო უნდა ენახა.

ავტორი სოფიოს „პიროვნული პორტრეტის“ სრულყოფილად მოწოდებისათვის მას „სოფლის ანგელოზადაც“ კი მოიხსენიებს, რითაც ჩვენში ერთგვარად აძლიერებს ემოციურ ფონს და ჩვენ შინაგანად ეიმუსტებით... ამასთანავე უკვე ვგრძნობთ, რომ უნდა მოხდეს „სოფლად მოარული ანგელოზის“ „ანგელოზური ქმედების“ გადაფასება-გამოცდა, რადგანაც სოფიოს „სოფლის ანგელოზად“ სახელდებაშივეა ის ფარული წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს „სოფელსა“ და „ანგელოზს“ შორის (მიწაზე ფეხდადგმული ანგელოზი).

ამიტომაც იყო, რომ სოფლელი „ტოლ-ამხანაგები სოფიოს დასცინოდნენ, ზურგს უკან კი ჰკიცხაოდნენ“... (ჯავახიშვილი 1958: 99). თავდაპირველად „ისინი“ მხოლოდ სოფლის უმცირესობას წარმოადგენდნენ და მათ ქმედებას „სოფლის ანგელოზი“ საკუთარ სათნოებას უპირისპირებდა და „ცდილობდა, რომ მისი სიკეთე არაფის არ გაეგო და არაფის არ დაენახა“ (ჯავახიშვილი 1958: 99). თავისთავად ავტორიც გვამზადებს იმისათვის, რომ მომავალში სოფიოს გაცილებით „მძიმე გამოცდის“ ჩაბარება მოუწევს, რომლის დროსაც სოფელი უკვე ერთ „მძლავრ იმპულსად“ გადაიქცევა, „იმპულსად, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილმა „ხალხის მორევი“ უწოდა, რითაც ქვეცნობიერად ის გაექცა მოთხრობის დასაწყისში აშკარად გაცხადებულ „ბრბოს“ სახელდებას. თუმცაღა „ხალხის მორევი“ – „ბრბოს“ კლასიკური ნიშნებითაა დახასიათებული.

„ბრბოში მოხვედრილი ადამიანის მდგომარეობა შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ბურანში მყოფის მდგომარეობა, სადაც

ნებისმიერი პიროვნება კარგაეს საკუთარ აზროვნებას და, თაეის-და უნებურად, აღმოჩნდება მისტიკურ ექსტაზში“ (მოსკოვიჩი 1996: 116).

ასე დაემართა სოფიოს მამასაც: სოფლის ამაოხრებლის – „მგლის ლეკეის“ სიკერპითა და გაუტეხლობით გაოგნებული სოფელი „ხალხის მორევად“ იქცა, რომელმაც ყაჩაღი ფიზიკურად გაანადგურა – ჩაქოლა. „მგლის ლეკეის“ არაადამიანურმა, მხეცურმა საქციელმა – უმწეო ქვრიეის ხანჯლით აკეპვამ, სოფელშიც „მხეცური ინსტიქტი“ გააღეიძა...

„მერე კი, როცა ხალხი აღელდა, როცა მისი ძლიერი კიეილი აღშფოთებისა მომესმა და მეც გადმომეცა თაეისი პირუტყეული სურეილი სამაგიეროს გადახდისა, შურისძიებისა, მეც ეიგრძენი, რომ მოვალე ეიყავი საერთო ფეხის ხმას ავყოლოდი, მეც შეერეულიყავ ხალხის მორეულში და მის ტალღებში გამეთქეფა ჩემი საკუთარი ნება, ადამიანური გრძნობა, პიროვნება და გონება“ (ჯავახიშვილი 1958: 106).

მიხეილ ჯავახიშვილი საკმაოდ ემოციურად და დეტალურად გეიხატავს მამის სულიერ მდგომარეობას და მეტი „ინტიმისათეის“ თხრობა პირეელ პირშია, მაშინ როცა სოფიოს „პიროვნული განცდები“ და მისი „პიროვნული კედომაც“ მამის სიერციდან იკეეთება. სწორედ, პირეელად, მამის ცნობიერებაში იწყება შეილის „სულიერი კედომა“. „მიეხედი, რომ ისიც იმაეე უხერხულსა და იდუმალ ძალას ჰყავდა დამორჩილებული, რომ ხალხის ყეირილმა ისიც გაიტაცა... რომ თაეის დაპირებას ეეღარ შეასრულებდა და მოხუც დედაკაცს შეილს აღარ გადაურჩენდა“ (ჯავახიშვილი 1958: 107).

და ყეელაზე ნიშანდობლიეი მაინც სოფიოს „სოფლის ანგელოზად“ სახელდებაა, რომლის წყალობითაც მას არ უნდა დაეშეა სოფლის – „თუნდაც სამართლიან ბრბოდ“ გადაქცეეა: აი, სწორედ ამიტომაც მიაყენა მისეილ ჯავახიშვილმა სოფიოს სახლის კარს ყაჩაღის დედა. ეს იყო აეტორის უკანასკნელი გაბრძოლება, რომ გადაერჩინა არა „მგლის ლეკეი“, არამედ სოფიო – „სოფლის ანგელოზი“.

ამ მოთხრობაში საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აქ მხოლოდ ერთი პირის (მამის) ფსიქოლოგიური მხარეა წარმოჩენილი, რომელშიც ერთგეარად განსოგადებულია შეილის უმართაეი ემოცია; სოფიო მამის პიროვნული ხატის განსახოვნებაა, რის გამოც სწორედ მამის სახით ხდება გრძნობადის მოწოდება, ხოლო შეილი კი ცხადად გამოსახული შედეგია იმ ქმედებისა,

რა ფუნქციის მატარებელიცაა ზოგადად პიროვნება – ამჯერად, „ლიტერატურული გმირი“.

ამიტომაცაა, რომ სანამ მოთხრობის ფინალში „ქვით“ ხელში ვიხილავთ სოფიოს, ამის შესახებ განაცხადს ჯერ მამა აკეთებს, რომელიც ამავე დროს იძლევა საკუთარი თავის შეფასებას: „ამ დროს მართლა მეც იმათი ვიყავი, ქვა ხელში შემრჩა“... (ჯავახიშვილი 1958: 107).

ასევე სოფიოს ხელშიც აღმოჩნდება „ქვა“, რომელსაც „მაჰიპნოზირებელი ძალა“ ჰქონდა. გუსტავ ლე ბონის აზრით კი, „ბრბოში მოხვედრილი პიროვნების ფსიქოლოგიური ცვლილებების მიზეზი ჰიპნოზია“ (მოსკოვიჩი 1996: 116). ამგვარ ჰიპნოზზე თავად ავტორიც მიგვანიშნებს სოფიოს პირით: „მე... მე არ მინდოდა... ის დედაკაცი... იმ დედაკაცმა... შემაცდინა...“ (ჯავახიშვილი 1958: 108).

„იმ საბუდისწერო ქვის მოხსენება „ეშმაკის ქვად“ და კეთილშობილი სულის ასეთი უღვთო აღსასრული თავისთავად ღაღადებს ლინჩის წესით გასამართლებისა და დასჯის არაჰუმანურობაზე, აშკარა ძალადობაზე ღვთის უფლებათა მისატაცებლად და, რაც მთავარია, ასეთ ფსიქოლოგიურ გარემოცვაში სიწრფელისა და უმანკოების არსებობის მეტისმეტ გაძნელებაზე, თუ ყოველთვის მთლად მოსპობაზე არა“ (ჩხეიძე 1996: 125).

და აქ - თითქოს დროც ჩერდება და ამ ტრაგედიის ორი მსხვერპლი რჩება მხოლოდ: „ფიზიკურად ჩაქოლილი მგლის ლეკვი“ და „სულიერად ჩაქოლილი სოფიო“... და შესაბამისად, – „მგლის ლეკვის“ დედა და „სოფლის ანგელოზის“ მამა, რომლებიც ამ მოთხრობაში უსახელოდ მოიხსენებიან, რადგანაც მათ მხოლოდ საკუთარი შვილების „ერთიანი წრიდან“ აღეიქვამთ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ „ორი მსხვერპლის“ გასათავისებლად და მათი სრულყოფილი ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, მიხეილ ჯავახიშვილი მათ „მეტსახელებში“ ფუნქციონალურ დატვირთვასაც სდებს; სოფლის ყაჩაღი – „მგლის ლეკვი“ და სოფიო – „სოფლის ანგელოზი“. და ჩვენთვისაც უკვე ცხადი ხდება, რომ „მგლის ლეკვი“ უკან არ დაიხევს, არ მოინანიებს თავის საქციელს და თავისი თანამზრახველის მსგავსად არ იქნება მიტევებული. სოფლმა, რომელმაც დაინდო ერთი ყაჩაღი, ჩაქოლა მეორე. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც „ბრბო ადვილად შთაგონებადია და ადვილად ცვალებადი, ის შეიძლება ადვილად გადაიხაროს ერთი

უკიდურესობიდან მეორისაკენ, სწორედ ამ თვისებების გამო, შეიძლება ითქვას, რომ ბრბო – ქალია“ (მოსკოვიჩი 1996: 153).

მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილს საოცრად უყვარს თავისი ხალხი და ის „ინსტიქტური“ ამოფრქვევა „სიმართლის გზაზე“ არ უნდა, რომ ბოლომდე „ბრბოს ფენომენით“ ახსნას; და აი ამიტომაც, ამ ხალხს – „ხალხის მორევს“ („მორევისა“ და არა „ბრბოს“ სახელწოდებით) დაუტოვა უკან დასაბრუნებელი გზა; „ყეელაფერი გათავდა. ხალხი ჯერ შესდგა, მერე გაიფანტა, ხმას აღარავინ იღებდა. ყეელა ქურდივით მიიპარებოდა. ზოგი ზეციო მირბოდა, ზოგი ქვეციო... ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, რადგან ერთმანეთისა სცხვენოდათ“ (ჯავახიშვილი 1958: 108).

და ის მკითხველიც, რომელსაც ინტუიცია არ ღალატობს, უკვე გრძნობს, რომ ფაქტობრივად მოთხრობა დასრულდა, საჭიროა მხოლოდ შედეგის გაცხადება და ავტორიც არ აყოვნებს: „ერთი კვირის შემდეგ აყადმყოფი (იგულისხმება სოფიო) ხელიდან გამოეცალა“ (ჯავახიშვილი 1958:109).

მიუხედავად საოცარი ადამიანური სითბოსა და კეთილგანწყობისა, მიხეილ ჯავახიშვილმა მაინც მკაცრი განაჩენი გამოუტანა სოფიოს მას, „ანგელოზური“ საწყისისა და სათნოების პიროვნებას. არ აპატია „სულიერი კვდომა“... თუმცა ავტორი გაცილებით „ლმობიერი“ აღმოჩნდა სოფლის მიმართ და ამ მოთხრობაში ბრბოქრებული ხალხი – აზეირთებულ მორევთანაა ასოცირებული და არაბოლომდე „ბრბოსთან“. სწორედ ამიტომაც, საკუთარი ნამოქმედარით შეძრწუნებული სოფელი უკუიქცა, მაშინ როცა „ბრბო არასოდეს არ გაურბის თავის ნამოქმედარს, ის პირიქით, ყოველთვის ამაყობს საკუთარი ქმედებით“ (მოსკოვიჩი 1996: 151).

მართალია, მთელმა სოფელმა „სოფიოს ხეედრი არ გაიზიარა“ საკუთარი ქმედების გამო, მხოლოდ და მხოლოდ იმ ელემენტარული ჭეშმარიტებით, რომ ის, რაც ეპატიება ადამიანს, ამ შემთხვევაში ÷ სოფელს, მიუღებელია პიროვნებისათვის – სოფიოსათვის.

დაბოლოს, XIX საუკუნის მიწურულს ფილოსოფოსები და ფსიქოლოგები ერთხმად მისტიროდნენ „პიროვნებათა კვდომას“ და წინასწარმეტყველებდნენ, რომ XX საუკუნე იქცეოდა მკვეთრად გამოხატულ „ბრბოს საუკუნედ“... კი მაგრამ, რა გველის ამუამად?! ეგებ, სწორედ, – XXI იქცეს „პიროვნებათა საუკუნედ“...

ჯამოწმებანი:

ოსკოვიჩი 1996: Московичи С. Век толп. Москва, "Центр сихологии и психотерапии", 1996.
ხეიძე 1996: ჩხეიძე რ. შურისგება. თბ.: გამომცემლობა ლოგოსი", 1996.
ჯავახიშვილი 1958: ჯავახიშვილი მ. რჩეული თხზულებანი ექვს ომად. I, თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1958.

ოთარ ჯანელიძე

ლიბერალური შეხედულებანი თერგდალეულთა ნააზრევში

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების კვალადაკვალ, XIX საუკუნის ევროპაში ახალი იდეოლოგია წარმოიშვა, რომელიც ლიბერალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. თავდაპირველად, ვიდრე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად ან კიდევ, სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკად იქცეოდა, ლიბერალიზმი პოლიტიკური დოქტრინა იყო. იგი უპირისპირდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას, უარყოფდა თეორიას მოხარჭის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ, ამხელდა ფეოდალიზმის მანკიერ მხარეებს და იდეალად სახავდა იმგვარ საზოგადოებას, რომელიც ინდივიდის თავისუფლებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებები შემდგომში ეკონომიკური (თავისუფალი ბაზარი, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა), სოციალური (თავისუფლება, თანასწორობა) თუ კულტურული (პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობა) ასპექტებით შეიცვა, და მიუხედავად იმისა, რომ მწყობრი თეორიული სისტემის სახე არასოდეს მიუღია, ფართოდ გავრცელდა, მათ შორის - საქართველოშიც.

რა ნიადაგი, რა საზოგადოებრივი განწობა ხვდებოდა ამ ახალ იდეურ მიმდინარეობას ქართულ რეალობაში?

„ლიბერტე“ თავისუფლებაა, ხოლო „ლიბერალი“, ყველაზე ზოგადი განმარტებით, თავისუფლებისმოყვარეს ნიშნავს. საქართველოს მთელი ისტორია თავისუფლებისა და საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის, ამდენად, თავისუფლებისმოყვარეობის ისტორიაა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში,

სადაც იმ დროისათვის დიდი თუ პატარა საკითხი ეროვნული თვალსაზრისით განიზომებოდა, ეროვნულობისაგან ერთგვარად დისტანცირებულ ხსენებულ იდეოლოგას დამკვიდრება უნდა გაჭირვებოდა. გაუჭირდა კიდეც. უფროსმა თაობამ, რომელიც არსებულ სინამდვილეს შეჩვეული და მორგებულიც იყო, ლიბერალიზმი მიუღებლად მიიჩნია, დაიწუნა, აითვალწუნა და მისი ქართველი მიმდევარი ახალგაზრდების აბუჩად აგდება სცადა (გრ. ორბელიანი: „ის ლიბერალი, ბურთიეით მრგვალი" და სხვ. ...). ეს, როგორც აკაკი წერეთელი იტყოდა, „ნათლის მჭირველი" ახალგაზრდები კი, არც მეტი, არც ნაკლები, საუნივერსიტეტო ცოდნა-განათლებით აღჭურვილი, საქართველოსათვის გულანთებული და რუსეთიდან სამშობლოში „მამულის მსახურებისათვის" დაბრუნებული თერგდალეულები იყვნენ.

ის გარემოება, რომ მამათა თაობის თვალში ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა „ლიბერალობა" დაცინვის საგანი იყო, სრულიადაც არ არის გასაკვირი. ამგვარი ფაქტები სხვა ქვეყნების სინამდვილეშიც დასტურდება. როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი რემონდ ჰოისი შენიშნავს: XIX საუკუნეში არსებობდა ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მათი მოწინააღმდეგენი „ლიბერალებს" უწოდებდნენ (ჰოისი 2014:).

ნებისმიერი იდეოლოგია, რომელიც გარე სამყაროდან საქართველოში შემოაღწევდა, ტრანსფორმაციას განიცდიდა. „ევროპიდან შემოსული თეორიები ჯერ რუსეთში იცვლიდა სახეს, შემდეგ კი საქართველოში, და საბოლოოდ, დამახი-ნჯებულ ფორმას იღებდა. მით უმეტეს, რომ იდეოლოგიების შინაარსში გაუცნობიერებელი ბევრი პიროვნება, ამ მოდური მიმდინარეობებით სპეკულიანტობდა". ამის გამო იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ლიბერალიზმის არსის დახასიათებისას იყენებდა გამოთქმას „ჭეშმარიტი ლიბერალობა". ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა ასრისა, თუ ქვეშ არ უწურია, ეს აზრი ამა და ამ ჟერისააო" (გოგიაშვილი 2008: 113).

„ლიბერალიზმი, თავისი არსით, კოსმოპოლიტური იდეოლოგიაა. ხოლო ლიბერალი – მსოფლიო მოქალაქე, კოსმოპოლიტი" (ჟვანია 2006:). მიუხედავად ამ მართებული თვალსაზრისისა, იყო დრო, როდესაც ლიბერალობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის, პატრიოტიზმისა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობის იდეის უარყოფას. პირიქით,

ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებოდნენ, პირიქით, პარალელურად თანაარსებობდნენ, ურთიერთს ავსებდნენ და ამდიდრებდნენ.

პოლიტიკური იდეოლოგიების ცნობილი მკვლევრის, ენდრიუ ჰეივუდის სიტყვით, XIX საუკუნის შუა ხანების კონტინენტურ ევროპაში ნაციონალისტობა თავისთავად ნიშნავდა ლიბერალობას და პირიქით (ჰეივუდი, 2008: 161-162). ამერიკელი მეცნიერის ამ დასკვნას ქართული სინამდვილეც ადასტურებს. ასე იყო ჩვენშიც: თერგდალეულები, ეროვნული იდეოლოგიის პარალელურად, საქართველოში თვითონ ამკვიდრებდნენ ლიბერალიზმის იმ პრინციპებს, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ერის წინსვლას და რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იყო ლეგალური გზით.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას უკვდავი ტექსტი „პატრიოტიზმი და კოსმოლოლიტიზმი“, შექმნილი ჯერ კიდევ 1905 წელს, რომელიც ქართველ მწერალს მსოფლიოს დიდ მოაზროვნეთა გვერდით უმკვიდრებს ადგილს: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია“, - წერდა ვაჟა-ფშაველა და დასძენდა: „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისსაც შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო“ (ვაჟა-ფშაველა 1905:).

„ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“, - ხაზს უსვამდა ვაჟა-ფშაველა (ვაჟა-ფშაველა 1905:). ამავე თვალსაზრისს, გაცილებით გვიან, ენდრიუ ჰეივუდი ასე გამოთქვამს: „ლიბერალური ნაციონალიზმი უმთავრესად იმ გარემოებას ეყრდნობა, რომ კაცობრიობა ბუნებრივადაა დაყოფილი მრავალ ერად და ყოველ მათგანს საკუთარი მეობა გააჩნია“ (ჰეივუდი 2008: 163).

ლიბერალურ ღირებულებათა საქართველოში შემოტანა და დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის სახელებთანაა დაკავშირებული. მათი ძალისხმევა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური

კულტურის ევროპეიზაციისაკენ იყო მიმართული. თერგდალეულები გზას უკაფავდნენ დასავლურ მოწინავე შეხედულებებს, ცდილობდნენ, შეემზადებინათ მათთვის ქართული ნიადაგი და ქართველი ერი თეითიზოლაციიდან პროგრესის ფართო ასპარეზზე გაეყვანათ.

მკვლევართა აზრით, ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ევროპული პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლების, ტექნიკისა და კულტურის საქართველოში დანერგვა ჯერ კიდევ 1870-იან წლებში დაიწყო (შუბითიძე 2011).

ჟურნალი „კლდე“ ნიკო ნიკოლაძის შესახებ მიუთითებდა: „ნ. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტექნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკული და საქმიანი. ... ნიკოლაძე... უწინარეს ყოვლისა, მუშაკია დაკაპიწებული სელეებით, ცხოვრების ტექნიკი და ლაბორანტი. იგი რეალისტია, რეალური პოლიტიკის მწარმოებელი, ცხოვრების მცოდნე, მის ქარტეხილში ჩაყარდნილი“ (ნიკო ნიკოლაძე 1996: 10).

„არც ერთ მაშინდელ ჩვენს მოღვაწეს არ უგრძვნია ეპოქის სული ისე, როგორც ნ. ნიკოლაძემ იგრძნო, არაეის ... მოუტანია ჩვენში იმდენი პროგრესიული და ევროპული აზრი (ამ სიტყვის კულტურული მნიშვნელობით), რამდენიც შემოიტანა ნ.ნიკოლაძემ“, წერდა სიმონ ხუნდაძე (ხუნდაძე 1927: 182).

ლიბერალიზმს რამდენიმე ფუნდამენტური ღირებულება აქვს, რომელთაგან უმთავრესია თავისუფლება და კერძო საკუთრება. თავისუფლება მრავალგვარი შეიძლება იყოს: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული, პიროვნული და სხვა, ხოლო კერძო საკუთრება ერთია და იგი წარმოადგენს როგორც ყოველგვარი თავისუფლების საფუძველს, ისე - მათი დაცვის ეფექტურ გარანტს. ინგლისელი სწავლულის, მორის კრენსტონის თანახმად, ლიბერალი - ესაა ადამიანი, რომელსაც სწამს თავისუფლების (სტენფორდის 1996).

თავისუფლების თემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნააზრევში. მათთვის, როგორც სახელმწიფოებრიობამოშლილი და კოლონიური ქვეყნის შვილებისათვის, წინა პლანზე ეროვნული თავისუფლების საკითხი იდგა. კარგადაა ცნობილი, რომ ქართველმა სამოციანელებმა შეცვალეს დამპყრობელთან შეთქმულება-აჯანყებებით დაპირისპირების მეთოდი და რუსეთის კოლო-

ნიური უღლისაგან თავდაღწევის ტაქტიკად მშვიდობიანი ბრძოლის გზა აირჩიეს. ეს არჩევანი შექმნილი რეალობის გონიერულ ანალიზს ეფუძნებოდა. XIX საუკუნის პირველი მესამედის დაუსრულებელ აჯანყებებში განცდილმა მარცხმა ქართველი ერის სასიცოცხლო ენერგია შეასუსტა. გაღებული მასშტაბური მსხვერპლი ისედაც მცირერიცხოვან ქვეყანას უმძიმეს შედეგებს უქადდა. საჭირო იყო იმგვარი საშუალების გამოძებნა, რომელიც სანუკვარ მიზანს შედარებით უსაფრთხოდ და ერისათვის ნაკლები ზიანით მიგვაღწევინებდა. ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ თავისუფლება, როგორც ეროვნული ბედნიერების წინაპირობა, მსხვერპლის გარეშე წარმოუდგენელია („თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია"), მაგრამ ბრძენკაცი იმასაც ითვალისწინებდა, რომ გამუდმებული აჯანყებები ერს ღონეს აცლიდა და მის მომავალს უნუგეშოს ხდიდა. ამიტომაც, ილიამ და თერგდალეულებმა უარი თქვეს კოლონიურ რეჟიმთან ძალით დაპირისპირებაზე; გეზი მშვიდობიანი ბრძოლაზე აიღეს, რომლის იარაღად ცოდნა და განათლება დაიგულეს. ეს მკაფიოდ ჩანს აკაკი წერეთლის ლექსში, „დედა და შვილი". როდესაც ეროვნული თავისუფლებისათვის გულანთებული შვილი დედას მიმართავს: „დედილო, მომეც ფარ-ხმალი, რომ აყასრულო ვალიო!" – დედა პასუხობს:

„აღრეა შვილო ჯერ კიდევ,
წიგნია შენი ხმალიო!"
(სურგულაძე 1973: 277).

თერგდალეულებს ერისათვის იმაზე მეტი პრაქტიკული ამოცანა არ დაუსახავთ, რისი მიღწევაც კონკრეტულ ვითარებაში უმსხვერპლოდ და უხიანოდ იყო შესაძლებელი. დამპყრობლის მიმართ ამგვარი ფრთხილი, აუჩქარებელი და წინდასწრებული დამოკიდებულება სპეციალურ ლიტერატურაში „აქტიური ლოდინის ტაქტიკადაა" სახელდებული. სხვაგვარად, „შესაძლებლის მაქსიმუმი" ანუ მიღწეულით დროებითი დაკმაყოფილება და პარალელურად, მზადება უფრო მეტისთვის, სალი და რეალისტური პოლიტიკის გამოელინებაა, რაც ნამდვილად დამახასიათებელი იყო ქართველ სამოციანელთათვის (ჯანელიძე 2002: 32). მაგრამ, ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს, რა მიმართებაში იყო ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად თერგდალეულთა მიერ არჩეული ტაქტიკა ლიბერალიზმის იდეოლოგიასთან.

ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და მშვიდობის ომზე პრიმატი ლიბერალიზმის საგულისხმო თვალთახედვაა.

ცნობილია, რომ იმანუელ კანტი, ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტდი, იერემია ბენტამი და რიჩარდ კობდენი განადიდებდნენ „მუდმივ მშვიდობას“ და საერთოდ, ლიბერალთა უმრავლესობა იზიარებდა აზრს, რომ წარმატებული ომი გამარჯვებულისათვისაც კი ბოროტებაა და მშვიდობა ყოველთვის უმჯობესია ომზე (მიზესი 2001:).

ლიბერალებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ნებისმიერი უთანხმოება შეიძლება არა ძალადობითა და ომით, არამედ მშვიდობიანი გზით, დისკუსიებითა და მოლაპარაკებებით მოგვარდეს (ჰეივუდი 2008: 22-23; 71).

ილია ჭავჭავაძეც მიიჩნეოდა, რომ „ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა“ და რომ: „მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია“ (ილია 1997: 175; 43).

ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თერგდალეულთა მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა სრულად პასუხობს ლიბერალიზმის თეორიულ პოსტულატებს და თავსდება მის კონცეფციაში.

ლიბერალურ აზროვნებას შეესაბამება ასევე წოდებათა შერიგებისა და თანხმობის, ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანების ილია ჭავჭავაძისეული შეხედულება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „საერთო ნიადაგის“ თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

აზრი იმის შესახებ, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორია არსობრივად „ლიბერალ-რადიკალურია“, ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ გამოთქვა 1901 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე“. განიხილავს რა ამ საკითხს, მკვლევარი ომარ გოგიაშვილი წერს: „ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და ლიბერალიზმის პრინციპები საერთო კონცეპტუალურ იდეას ეფუძნებოდა. ...ეს თეორია, ძირითადი მახასიათებლებით, ლიბერალიზმის სულისკვეთებისაა, თუმცა, მისი საფუძველი და საყრდენი ქართველი ერის ისტორიული მემკვიდრეობა, მისი ტრადიციული ღირებულებებია“. ...„საერთო ნიადაგის“ თეორია კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია“ (გოგიაშვილი 2008: 113; 132).

თერგდალეულებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ადამიანის უფლებები, რაც ლიბერალიზმის მოძღვრების პრიმატს

შეადგენს. თერგდალეულთა აზრით, ადამიანის უფლებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ზრუნვისა და დაცვის საგანი უნდა იყოს. ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს სულაც კაცობრიობის პროგრესს უკავშირებდა. მისი სიტყვით: „რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, - უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არაეისაგან ხელშეხებული არ იყოს, არაეისაგან შემწიკელულ, შეგინებულ, შეეიწროებულ“ (ილია 1997: 45).

თერგდალეულთა ნააზრევში განსაკუთრებით ხაზგასმულია ადამიანის ღირსების საკითხი, რომელიც „ჯეშმარიტ ლიბერალობას ... დიდი ასრებითაა აქეს დაწერილი თაეის დროშაზედ“ (ილია 1955 ა: 168). ილია „კაცებურის ღირსების გრძნობას“ „ღვთაებრივ გრძნობას“, „ადამიანთათვის მომადლებულ საუნჯეს“ უწოდებდა; მასეე ადამიანის ღირსება „სნეობით კუთვნილებად“ მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი „ღრმად პატივცემული“ ყოფილიყო (ილია 1997: 288). არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თერგდალეულები ადამიანის უფლებებს ყოეელთვის მოვალეობასთან კავშირში განიხილავდნენ, რაც ასეე ლიბერალური თეალთახედეაა. ნათქვამის საილუსტრაციოდ არაერთი ციტატის მოხმობა შეიძლება მათი პუბლიცისტური წერილებიდან, მაგრამ დავკმაყოფილდეთ ილია ჭავჭავაძის გამონათქვამებით, რომლებიც ასე ეღერს: „ადამიანის შეილი ერთის მხრით უფალია, მეორეს მხრით - მოვალე“ (ილია 1997: 15) და „მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხეისი უფლება და არ დაარღეიე იგი“ (ილია 1961: 81).

ცნობილია, რომ ლიბერალიზმს თაეისუფლების ზოგადი კონცეფცია ეკონომიკური თაეისუფლებიდან გამოჰყავს, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებას შეიძლება ეფუძნებოდეს (გოგიაშეილი 2008: 137). კერძო საკუთრება უნიეერსალური ღირებულებაა. ლიბერალური თეალსაზრისით, იგი არ დაიყვანება მხოლოდ მატერიალურ ფასეულობებზე (მიწა, ბინა, ფული) და მოიცავს ადამიანის საკუთრების ისეთ ფორმებს, როგორიცაა: აზროენება, რწმენა, აღმსარებლობა, მათი გამოხატეის საშუალებები და სხე.

თერდალეულებს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება ჰქონდათ კერძო საკუთრების რაობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების განეითარებაში. „კერძო საკუთრება ჯერ

კიდევ ქვაკუთხედად უდევს ... მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთსე მისევა, ვინც გინდა იყოს, იაფად არ დაუჯდება" - წერდა ილია ჭავჭავაძე (ილია 1997: 222). ილიასავე სიტყვით, „ხელშეუხებლობა პირადის საკუთრებისა ... მერმისის ქვაკუთხედად არის აღიარებული, და ყოველს, რაც ჰხღუდაეს და ჰხუთავს ამ ხელშეუხებლობას, რჯული ძნელად იშვნევს, ძნელად იწყნარებს" (ილია 1997: 233).

ლიბერალურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზმს, რომელიც პიროვნების პირად დამოუკიდებლობას, თვითდამკვიდრებას გულისხმობს და ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე მის უზენაესობას აღიარებს. ინდივიდუალიზმი ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას ემყარება (ჰეივუდი 2008: 22-23; 70), ხოლო პიროვნული თავისუფლება ადამიანური ღირსების გარანტიაა.

ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თერგდალეულთა პუბლიცისტიკაში. ილია ჭავჭავაძეს თანასწორობა იმ საჯარო უფლებად მიაჩნდა, რომელიც ყველას კუთვნილი და ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია. „თანასწორობა ...სულია და გული ყოველის წყობისა", - წერდა იგი (ილია 1997: 38). ძმობას, ერთობასა და თანასწორობას შეტრფოდა აკაკი წერეთელი (გოგებაშვილი 1955: 226-228), რომლის „მსოფლმხედვე-ლობა რადიკალურ, იდეებთან ერთად, ჭარბად შეიცავს ზომიერ-ლიბერალურ ნაკადსაც" (გაფრინდაშვილი 1988: 157). ასევე, თანასწორობის უფლებას იცავდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ბევრს წერდა და ქადაგებდა „ლიბერალურ პრინციპთა ფარგლებში" (ჯორჯაძე 1989: 281)

ლიბერალური კონცეფციით, თანასწორობაში არა სოციალური, არამედ უფლებრივი და სამართლებრივი თანასწორობა მოიაზრება. სხვაგვარად, ესაა თანაბარი შესაძლებლობები, ასევე კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის აღიარება, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეული ამომრჩეველის ხმას თანაბარი წონა აქვს („ერთი პიროვნება - ერთი ხმა").

თერგდალეულთა სხვა ნააზრევიდან, რომელიც ასევე „ლიბერალიზმის საკვებით საზრდოობს", გამოვყოფდით საკუთარი შესაძლებლობების რწმენას ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე

იტყოდა: „საკუთარი თავის მოიმედობას“. ამ უაღრესად საგულისხმო პრინციპს თერგდალეულები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ პირად ინიციატივას, საკუთარი უნარის, ნიჭისა და თვითმოქმედების გამოელენას ქეყნის წინსვლა-განვითარების პირობად სახავდნენ და არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს მოქალაქეობრივი აქტივობისაკენ მოუწოდებდნენ. „ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გაიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ“, „ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია“, - მოძღვრავდა ქართველ ერს ილია ჭავჭავაძე (ილია 1955 ბ: 321, 323). „ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გაიმართოს, გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავის ბატონ-პატრონი“, ასეთი იყო აკაკის შეხედულებაც (გომართელი 1966: 227).

როგორც ენახეთ, თერგდალეულებს არ შეუქმნიათ თეორიული ტრაქტატები; მათ ცალკე კონკრეტული წერილიც კი არ მიუძღვნიათ ლიბერალიზმის იდეოლოგიისადმი, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ისინი კარგად გაერკვნენ ამ იდეოლოგიის არსში, ჩაწვდნენ მის სულს და ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები საქართველოს სპეციფიკას მიუსადაგეს.

დასასრულს, ისევე არჩილ ჯორჯაძე მოვიშველიოთ, რომლის სიტყვით, „მესამოციანობა არის ახალი ერა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მოარული სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები“. მესამოციანებიდან იწყება გაევროპელება ქართულ აზროვნებისა. და თუ მაინც და მაინც საჭიროა დეფინიცია, ამ ეპოქის მთავარი დამახასიათებელი თვისება - ლიბერლიზმ-დემოკრატიზმშია“ (ჯორჯაძე 1989: 282).

დამოწმებანი:

პოისი 2014: Рэймонд Гойс, Неуют либерализма. განთავსებულია 14 მარტიდან 2014. მის.: http://magazines.russ.ru/nz/2010/5/go1.html
გოგიაშვილი 2008: გოგიაშვილი ო. ილია დღეს, თბ., 2008.
ჟვანია 2006: ჟვანია ნ. საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრატურისათვის, თბ., 2006.

ჰეიუდი 2008: ჰეიუდი ენდრიუ, პოლიტიკა = Politics, თარგმ. გია ჭუმბურიძე, ზაზა ჭელიძე, თბ., 2008.
ვაჟა-ფშაველა 1905: ვაჟა-ფშაველა, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი, გაზ. „იერია", 1905 წ., № 172.
შუბითიძე 2011: შუბითიძე ვ. ევროინტეგრაცია და საქართველო. განთავსებულია 16 ივლისიდან 2011. მის.: http://www.for.ge/view.php?for_id=10582&cat=12
ნიკო ნიკოლაძე 1996: ნიკო ნიკოლაძე 150. საიუბილეო კრებული, თბ; 1996).
სურგულაძე 1973: სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
ხუნდაძე 1927: ხუნდაძე ს. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტომი I, თბ., 1927.
სტენფორდის 1996: Stanford Encyclopedia of Philosophy. განთავსებულია 16 სექტემბერს 2010. მის.: http://plato.stanford.edu/entries/liberalism/
ჯანელიძე 2002: ჯანელიძე ი. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
მიზესი 2001: Мизес Л. фон. Либерализм (Пер. с англ. А. В. Куряева), М., 2001.
http://www.sotsium.ru/books/13/141/mises_lib06_ch1.html
ილია 1997: ილია ჭავჭავაძე, ამას ეამბობ და ეღაღადებ, ქუთაისი, 1997.
ილია 1955 ა: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. V, თბ., 1955.
ილია 1961: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. X , თბ., 1961.
გოგებაშვილი 1955: გოგებაშვილი ი. თხზულებანი, ტ. 4, თბ., 1955.
გაფრინდაშვილი 1988: გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1988.
ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. წერილები, თბ., 1989.
ილია 1955 ბ: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. IV, თბ., 1955.
გომართელი 1966: გომართელი ი. ქართული ლიტერატურა. მე-19 საუკუნე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1966.

ოთარ ჯანელიძე

ქართული საზოგადოებრიეი აზროვნების ძირითადი მიმდინარეობები XIX საუკუნის მეორე ნახევარში

ეროვნულ-დემოკრატიზმი. XIX საუკუნემ მრავალი ახალი სოციალური და პოლიტიკური იდეა, საზოგადოებრივი აზროვნების საყურადღებო მიმართულება წარმოშვა, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დაასჩნიეს მსოფლიო ისტორიას. მათი უმრავლესობა ამ ასწლეულის მეორე ნახევარს განეკუთვნება. ახალი დროის ახალმა იდეებმა შესამჩნევი ცვლილებები გამოიწვიეს ქართველი ხალხის ცხოვრებაშიც და დიდწილად მისი მომავალიც განსაზღვრეს.

ისტორიულ ეპოქებს თავისი განსაკუთრებული იდეები აქვთ. საზოგადოებრივი აზროვნების ამა თუ იმ მიმდინარეობასაც, როგორც წესი, დროის მოთხოვნა წარმოშობს, თავად ეს მოთხოვნა კი საზოგადოების მომწიფების დონით, მისი განვითარების ხარისხითაა და ისტორიული აუცილებლობით არის განპირობებული.

XIX საუკუნეს ეროვნული იდეის საუკუნეს უწოდებენ. ამ ასწლეულის თითქმის ყველა დიდი პოლიტიკური აქტი ეროვნულ საკითხთან არის დაკავშირებული. ალბერ სორელის სიტყვით, XIX საუკუნეში „ნაციონალურმა ევროპამ შეცვალა მეთვრამეტე საუკუნის კოსმოპოლიტური ევროპა“.

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში? „XIX საუკუნის ქართველობის აზროვნებისა და გრძნობის მიუდგომელი ისტორია რომ დაიწეროს, და უფრო ნათელსა და მზიან ეპოქისას დაედაროს, უნდა გაწითლდეს მგრძნობიარე ქართველი. არც ერთ ახალ აზრს, არც ერთ მიმდინარეობას, რომელიც ამ საუკუნის ქართველობას აღელვებდა, ასულდგმულებდა, ჩვენ ეროვნულ

ფუძიდან არ ამოჰყოლია ფესვი, არც ერთ ახალ იდეისათვის ქართველობის გენიას არ უწოვებია ძუძუ," - წერდა კონსტანტინე გამსახურდია (გამსახურდია 1917: 2). ვნახოთ, როგორ იყო სინამდვილეში.

XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს სახოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა ერთ-ერთმა პირველმა გიორგი წერეთელმა დაახასიათა. სწორედ მის სახელს უკავშირდება ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებული თვალსაზრისი - თერგდალეულთა შორის ორი დასის არსებობის შესახებ, მაგრამ ჩვენი კვლევის საგანი ამჟამად ეს საკითხი არ არის.

გიორგი წერეთელს ეკუთვნის ასევე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია, რომელშიც სამი მთავარი აქტორი ფიგურირებს: 1. თერგდალეულები (თავადაზნაურული დასი); 2. ჟურნალ „იმედის" ხალხოსანთა ჯგუფი და 3. სოციალ-დემოკრატიული მესამე დასი (წერეთელი 1895: 371).

XIX საუკუნის 60-90-იანი წლები საქართველოში ეროვნული და სოციალური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის ხანაა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწინაურება თერგდალეულთა სახელს უკავშირდება, ხოლო სოციალური მოძრაობის გააქტიურება უმთავრესად სოციალ-დემოკრატიის დამსახურებაა.

ქართველ სამოციანელთა ანუ თერგდალეულთა აღიარებული წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე იყო. ილიამ გარს შემოიკრიბა თანამოაზრეთა წრე, ძლიერი ჯგუფი საუნივერსიტეტო განათლებით შეიარაღებული პიროვნებებისა (აკაკი და გიორგი წერეთლები, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ.), რომელთაც შეეძლოთ საქართველოს მიღმა შექენილი ცოდნა და გამოცდილება ქართული სინამდვილისათვის შეეხამებინათ.

თერგდალეულობა არ ყოფილა განსაზღვრული წესდებისა თუ პროგრამის საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება. ის იყო იდეურ-საზოგადოებრივი მიმდინარეობა, რომლის წევრებს სამშობლოს სიყვარული, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის წყურვილი და მისწრაფება აახლოებდათ.

ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულებმა შეცვალეს დამპყრობელთან შეთქმულება-შეიარაღებული აჯანყებებით დაპირისპირების ტაქტიკა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის

მშვიდობიანი კურსი აირჩიეს. რუსეთის კოლონიური უღლის გადაგდების ამ ახალ, მშვიდობიან ხედვას იმპერიულ რეჟიმთან ბრძოლა სულ სხვა განზომილებაში გადაჰქონდა.

სამოციანელებმა ღვთაებრივი ტრიადის – მამულის, ენისა და სარწმუნოების დასაცავად, ანუ საქართველოსა და ქართველობის გადასარჩენად, თანამემამულეებს ლოკალური ამბოხებების, ამა თუ იმ წოდების „ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლის" მაგიერად, პირველ რიგში ეროვნული გამოფხიზლების, განათლების შეძენის, დაცემული ვინაობის აღდგენის ამოცანა დაუსახეს. ამას ეროვნული გამოღვიძება, მამული შვილობის დავიწყებული გრძნობის გაცოცხლება, პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება, „ცხოვრების ხნულში თესლად დარჩენილი გულისტკივილის" გაცნობიერება, „წარსულის ანდერძების" ყარზე აზიდვა, ერის დარაზმვა და შემართება უნდა მოჰყოლოდა.

ასე დაიბადა ეროვნული და სოციალური თავისუფლების ზოგადი, მაგრამ შთამბეჭდავი და შინაარსიანი პროგრამა – განახლების გზა, რომელიც „ჩატეხილი ხიდის" გამთელებაზე, დიდ ეროვნულ თანხმობაზე, კონსოლიდაციაზე, ერის სულიერ წვრთნაზე, ზნეობრივ გაჯანსაღებაზე, „გასარწმუნოებულ მეცნიერებასა" და „გამეცნიერებულ სარწმუნოებაზე", სამშობლოს უანგარო სიყვარულზე, „ახსნილ შრომაზე," „მაშვრალთა განკაცებაზე," გუთანსა და ხმალზე გადიოდა. ყოველივე აღნიშნულის განსხეულებას რეალობად უნდა ექცია „მთელი საუკუნის საზიდი და საჭირნახულო" (სპ. კედია) მიზანი, კერძოდ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს," რაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას გულისხმობდა.

სწორედ ეს იყო საფუძველი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ახალი იდეური მიმართულების – ეროვნულ-დემოკრატიზმისა, რომელიც XIX საუკუნის სამოციან წლებში ჩამოყალიბდა. იგი საკაცობრიო გამოცდილების ეროვნულ პრიზმაში გარდატეხის შედეგად წარმოიშვა და ძირითადად ქართულმა სინამდვილემ შეაპირობა.

ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ადრინდელ მონაპოვარს დაეფუძნა, ამასთან, ღრმად შეითვისა 30-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკა, დასაელეთ ევროპის რევოლუციური და ეროვნული მოძრაობის ტრადიციები, კერძოდ, იტალიისა და პოლონეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების ენთუზიაზმი და შემართება (სურგულაძე 1980: 97).

ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „ჩვენის ახალ თაობის შექმნაში მოქმედობდა რამდენიმე ძალა, სახელდობრ, მთელი საშინაო და საზოგადო ვითარება, საკუთარი და უცხო მწერლობა (ჭავჭავაძე 1986: 278).

თქმა არ უნდა, ქართველ სამოციანელთა შეხედულებების ფორმირებაში გარკვეული როლი შეასრულა რუს განმანათლებელ-რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევმა, რომელსაც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში საფუძვლიანად გაეცნენ თერგდალეულები. ისინი გატაცებით ეწაფებოდნენ „სოვრემენნიკისა“ და „კოლოკოლის“ ყოველ ნომერს, რომლებშიც ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის სტატიები ქვეყნდებოდა. ქართველი ახალგაზრდები, ბუნებრივია, თანაუგრძნობდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მძლავრ მოძრაობას, რომელსაც უნდა დაემხო ცარიზმი, მოესპო ბატონყმობა და რუსეთის ჩაგრული ხალხებისათვის სოციალური თავისუფლება მოეტანა, მაგრამ მათ სავსებით არ აკმაყოფილებდათ რუსული რევოლუციური დემოკრატიზმი, რომელიც უგულვებელყოფდა ეროვნულ საკითხს. ამიტომ, რუსეთსა და ევროპაში იმხანად მიმდინარე დემოკრატიული მოძრაობა თერგდალეულებმა ჩვენში ეროვნულ ნიადაგზე დააფუძნეს და საქართველოს სატკივარს მიუსადაგეს. ეს სატკივარი კი სპეციფიკური იყო და მას სახელმწიფოებადაკარგული პატარა ქვეყნის კოლონიური მდგომარეობა განაპირობებდა.

„ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათე რაკი სდევს — წერდა ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში, - ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღალადებს“ (ჭავჭავაძე 1987: 226).

ეს „სხვა რამე“ კი, ილიასაევე სიტყვით, იყო „ჩვენის დაცემულის ეინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან... სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს... აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, ...აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს“ (ჭავჭავაძე 1987: 227-228).

რომანოზ ხომლელის (ფანცხავა) სიტყვით, თერგდალეულებმა ჩვენში მიმართულება მისცეს ახალ მოძრაობას, მას „თავისი

განუთარებული გონების ფერი და ნიშან-წყალი დააჩნიეს“ (ხომლელი 1886: 2).

თერგდალეულები საქართველოს „აღდგენა-გამოხსნის“ საწინდრად ეროვნული ერთიანობის მიღწევას, საერთო იდეის ირგვლივ მთელი ერის დარაზმვას და შეკავშირებას მიიჩნევდნენ. ილია ჭავჭავაძემ, პირველმა ქართულ სინამდვილეში, მთელი სიმწვაეით დააყენა ხიდჩატეხილობის აღმოფხვრის, ურთიერთდაპირისპირებულ წოდებათა შერიგების, საქართველოს ყველა სოციალური ფენის გაერთიანების ამოცანა. მანვე ამგვარი მთლიანობის საფუძვლად ეროვნულ ძალთა შეკავშირება — საერთო ნიადაგის თეორია მიიჩნია, რომლის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის, თანამოსაგრეებთან ერთად, სიტყვითა და კალმით გატაცებით იბრძოდა.

საერთო ნიადაგის თეორია საუსებით შეესაბამება ნაციონალიზმის იდეოლოგიას, რომლის ძირითად საფუძველია საზოგადოების სხვადასხვა ფენის კონსოლიდაცია საერთო მიზნისათვის ბრძოლაში, მათი ურთიერთსაწინააღმდეგო კლასობრივი ინტერესების მიუხედავად.

ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ფორმირებაში მეტ-ნაკლები წვლილი XIX ასწლეულის მეორე ნახევრის ყველა მოიაზროვნე პატრიოტ მამულიშვილს მიუძღვის, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი განსაკუთრებულია. ვაჟა-ფშაველას სიტყვით, სწორედ ილიამ დააყენა ეროვნული საკითხი მკვიდრ ნიადაგზე, „იგია წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი“ (ვაჟა-ფშაველა 1961: 241). ამასვე ადასტურებს ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი რევაზ გაბაშვილიც. იგი მიუთითებდა: ილიას „მომდევნო თაობას, მემკვიდრეებს და მოწაფეებს, შეიძლება ითქვას, ახალი არაფერი შეგვიქმნია, გარდა მისივე გაკვალულებში სიარულისა“ (გაბაშვილი 1996: 202).

ქართველმა სამოციანელებმა რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაში რევოლუციური პათოსი, შეიძლება ითქვას, ეროვნულით შეცვალეს. ამით მათ განმათავისუფლებელ ბრძოლას რევოლუციური რადიკალიზმი დააკლეს, მაგრამ ეროვნული სიმძაფრე შემატეს და ეროვნულ-დემოკრატიზმი ნაციონალიზმის ქართულ მიმართულებად აქციეს.

სამოციანელთა მთელი მოღვაწეობა, როგორც მიხაკო წერეთელი შენიშნავდა, „საქმიანი ნაციონალიზმი“ იყო. თვით ნაციონალიზმი, თერგდალეულთა აზრით, „იგივეა, რაც თავდაცვის ინსტიქტი“ (პაჭკორია 1972: 134). ამასთან ერთად, იგი

„კოლექტიური პიროვნების კოლექტიური თავისუფლებაა და - როგორც კერძო პირი ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩქნება, თუ მის პიროვნებას და თავისებურობას ფართო გზა არ ექნება გახსნილი, ისე ერი ვერ აიშაგრება, თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება, თუ არ მიენიჭება ეროვნული სამართალი, ეროვნული შკოლა, სრული გამგეობა, ეროვნული თვითმმართველობა“ (გოგებაშვილი 1905: 30). პატარა და ჩაგრული ქვეყნების ნაციონალიზმი ბუნებრივ მოვლენად აღიქმება, როგორც ერის მისწრაფება საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებისა და გადარჩენისაკენ. იგი დაპყრობილ ერთა განთავისუფლების სულისჩამდგმელია და უმთავრესად თავდაცვით ხასიათს ატარებს (პატარიძე 1933: 3). სწორედ ამგვარი ნაციონალიზმი იქცა სახელმწიფოებაწართმეული და კოლონიურ უღელქვეშ მოქცეული ქართველი ერის განმათავისუფლებელი იდეოლოგიის - ეროვნულ-დემოკრატიზმის თეორიულ საფუძვლად.

თერგდალეულთა რწმენით, საქართველოს მომავალი მისსავე წარსულსა და აწმყოს უნდა ეშვა. ამით აიხსნება, რომ ილიას მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნააზრევში, თანადროული ცხოვრების ავ-კარგზე გონიერი თვალით დაკვირვების პარალელურად, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსულის მიუკერძოებელ ანალიზს.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ისტორიული აზროვნება ერის თვითშემეცნების საფუძველია (სირაძე 1992: 9). თერგდალეულები წარსულს ისე განიხილავდნენ, როგორც აწმყოსთვის საჭირო გაკვეთილს (ბაქრაძე 1992: 39). „ჩვენ რომ ისტორიას მივმართავთ ხოლმე გადასულ გმირების გამოსაჩხრეკად, ამას განა მიტომ ჩავდივართ, რომ ის ძველი დრო გვენატრებოდეს, გვინდოდეს მისი დაბრუნება და მამულისათვის ქვაკუთხედად დადება. სრულიადაც არა. ჩვენ იმ გმირებს სამაგალითოდ ვაძლევთ დღევანდელ მაჩანჩალებს, რომ ამათაც იმ ძველებისაგან ისწავლონ, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება, რომ დღევანდელ დროსა და ცხოვრების მოთხოვნილებას ისეთივე შესაფერისი პასუხი გასცენ, როგორც ჩვენი წინაპრები აძლევდნენ იმ ძველ დროს“, – წერდა აკაკი წერეთელი (წერეთელი 1961: 485).

რა იყო ეროვნულ-დემოკრატიზმის, როგორც მსოფლმხედველობის ძირითადი არსი?

ცნება „ეროვნულის“ პოლიტიკურ შინაარსს, ვიწრო გაგებით, მამული, ენა და სარწმუნოება ავსებდა, ხოლო, ფართო ჭრილში

იგი ქართველი ერის თავისუფლებასა და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს გულისხმობდა. რაც შეეხება „დემოკრატიულს“, მის ცნებაში საყოველთაოდ ცნობილი კოსმოპოლიტური შინაარსის გარდა, სპეციფიკური, ქართული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიც მოიაზრება. სახელდობრ: წოდებათა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაცია, „შრომის ახსნა“, მაშერალთა განკაცების პრობლემა და სხვა.

ეროვნულ-დემოკრატიზმში პრიორიტეტი მაინც ეროვნულ მომენტს ენიჭებოდა. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „უნდა გავტყდეთ და აღვიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ტოლად არ მიდიოდა პირველის (ეროვნული, – ო. ჯ.) კითხვების განვითარებასთან და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური“ (გოგებაშვილი 1882: 109). ევროპის გამოცდილებაც (ირლანდია, ჩეხეთი, პოლონეთი) ამასვე ადასტურებდა. არჩილ ჯორჯაძის სიტყვით, იქ. სადაც „ერი თავის თავის პატრონი არ არის, სადაც ეროვნული პიროვნება დაჩაგრულია..., ენა, ლიტერატურა, სკოლა, სასამართლო და ყველა საზოგადო დაწესებულება უცხოელთა ხელშია..., სადაც ხალხი მოკლებულია იურიდიულ უფლებებს, ...ასეთ ქვეყნებში დემოკრატიულ მოძრაობას ღრმა ეროვნული ხასიათი ეძლევა, ჯერ თავისუფლება და დამოუკიდებლობა და მერე შინაური ცხოვრების მოწესრიგება ხალხის კეთილდღეობის მიხედვით“ (ონიკაძე 1983: 36).

ამრიგად, XIX საუკუნის ქართულმა სინამდვილემ და მისი გარდაქმნის საჭიროებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი იდეური მიმართულების – ეროვნულ-დემოკრატიზმის შექმნის აუცილებლობა.

ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის თეორიული საფუძვლები ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა ნააზრევში ჩამოყალიბდა. ამ იდეოლოგიის განმსაზღვრელი ნიშანი : ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება იყო დემოკრატიზმისა და კერძო საკუთრების პრინციპების საფუძველზე.

სამოციანელთა ძალისხმევით, ეროვნულ-დემოკრატიზმი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძღვრებად

იქცა, რომლის გამოკვეთილი ლოზუნგი იყო: „ჩვენი თაეი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ხალხოსნური იდეოლოგია. XIX საუკუნის 60–70 იან წლებში რუსეთში განხორციელებული ლიბერალური რეფორმები ქვეყანას ბურჟუაზიული განვითარების ფართო გზას უხსნიდა. რუსეთი მასშტაბურ მოდერნიზაციას იწყებდა, რაც ძირეულად შეცვლიდა რუსი ხალხის შემდგომ ბედსა და ცხოვრების მდინარებას. საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მათ შორის, რევოლუციური წრეები („ნაროდნაია ვოლია“ და სხვ.) ეჭვით უცქერდნენ ალექსანდრე მეორის რეფორმატორულ საქმიანობას. რუსეთის ბურჟუაზიულ პერსპექტივას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. ეს იყო ე. წ. რაზნოჩინცული ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფი მ. ბაკუნინის, პ. ლავროვის, პ. ტკაჩოვისა და სხვ. შემადგენლობით, რომელიც შემდგომში ნაროდნიკებად იწოდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთს განვითარების თვითმყოფადი გზა გააჩნია, მას არ სჭირდება კაპიტალისტური განვითარება, რადგან უშუალოდ უფრო მაღალი ეტაპის - სოციალიზმისაკენ მიემართება. „რუსი გლეხი კომუნისტია თავისი ინსტინქტით, თავისი ტრადიციებით“, წერდა - პ. ტკაჩოვი (ტკაჩოვი 1933: 90-91). რაც შეეხება საზოგადოებრივ პროგრესს, სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობას, ნაროდნიკებს მისი მიღწევა თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობით წარმოედგინათ. რევოლუცია, ინტელიგენციის მოთავეობით, გლეხობას უნდა განეხორციელებინა. გლეხური თემი განიხილებოდა, როგორც სოციალიზმის მთავარი საყრდენი. ნაროდნიკების აზრით, რუსეთის გლეხობაში ცოცხლობს ის საზოგადოებრივი და ეთიკური იდეალები, რომელიც შესაძლებელია ქვეყნის სოციალური და ეკონომიური მოწყობის მოდელად გამოიდგეს. ყოველივე ამის გამო, ნაროდნიკული იდეოლოგია გლეხური დემოკრატიის იდეოლოგიადაა მიჩნეული.

ნაროდნიკული იდეოლოგიისა და მოძრაობის უმთავრეს მიზანს გლეხთა სრული განთავისუფლება და სოციალისტური წყობილების დამყარება შეადგენდა. ნაროდნიკები გლეხთა ფენებს არსებული რეალობის რევოლუციურად გარდაქმნის აუცილებლობაში არწმუნებდნენ და საამისოდ მათ დარაზმვას ლამობდნენ.

ნაროდნიკული შეხედულებანი ფართოდ აიტაცა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტობამ. სწორედ სტუდენტი ახალგაზრდობა იყო ამ იდეოლოგიის მთავარი პროპაგანდისტი და „ხალხში გამავრცელებელი“. აღსანიშნავია, რომ მათ შორის

მრავალად გეხედება ქართველი სტუდენტობაც, რუს ნაროდნიკებთან ერთად, ისინიც გადიოდნენ სოფლებში და ქადაგებდნენ გლეხურ რევოლუციას. მაგალითად, 1875 წელს ჟანდარმერიის მიერ მოსკოვში გამოელენილ და განადგურებულ ნაროდნიკულ ორგანიზაციაში, რომლის გახმაურებული სასამართლო ისტორიაში შევიდა „ორმოცდაათის პროცესის“ სახელწოდებით, დაკავშირებულნი იყვნენ: იეანე ჯაბადარი, გიორგი ზდანევიჩ-მაიაშვილი, მიხეილ ჩიკოიძე, ანთიმოზ გამყრელიძე, ალექსანდრე ციციშვილი, ისიდორე ქიქოძე და სხვები. ჯაბადარმა და ჩიკოიძემ შეადგინეს „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის“ წესდება (ნარსია 1987: 523; ჩიკოიძე 2013:).

წარმოდნიკთა დიდი ნაწილი პოლიციამ შეიპყრო. ბევრი მათგანი მთავრობამ ხანგრძლივი პატიმრობით ან ციმბირში გადასახლებით დასაჯა. მიუხედავად ფარული ორგანიზაციის ჩავარდნისა, ნაროდნიკული შეხედულებები დიდხანს შემორჩა რუსეთის რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციას (ხოროსი, 1972: 14).

საქართველოში ხალხოსნური იდეებით გატაცება XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. საიდუმლო წრეები ჩამოყალიბდა თბილისში, გორში, ქუთაისში, თელავსა და ოზურგეთში. სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებათა თანახმად, ამ წრეების წევრები მიზნად ისახავდნენ თვითგანვითარებას, ისტორიისა და სოციალური მეცნიერების შესწავლას და შემდეგ „ხალხში გასელას საქადაგებლად მონარქიული წყობილების წინააღმდეგ“ (მგალობლიშვილი 1938: 71). ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი იყვნენ: ეგნატე იოსელიანი, ისიდორე ქიქოძე, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ. ხალხოსანთა რიგებში არაერთი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი შედიოდა, კერძოდ: ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი), ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნები „რუსი ნაროდნიკების თეორიული არსენალით სარგებლობდნენ. ... ყველაფერი, რასაც ისინი უწევდნენ პროპაგანდას, ლავროვის, ბაკუნინის, ტკაჩოვის, მიხაილოვსკის მოძღვრებიდან იყო აღებული, მათი თეორიების ქართულ სინამდვილესთან მისადაგების ცდას წარმოადგენდა“ (სურგულაძე 1973: 372).

რუს ნაროდნიკთა მსგავსად, ქართველი ხალხოსნებიც უსამართლო რეჟიმის დასამხობად იბრძოდნენ და საყოველთაო

კეთილდღეობის იმედს ჯერ გლეხთა საერთო აჯანყებაზე, მერე კი მდაბიო ხალხის განათლებასა და ეკონომიკურ გაძლიერებაზე ამყარებდნენ. ხალხოსნები სოფლის მშრომელ მოსახლეობაში აერცელებდნენ საგანგებოდ ქართულად თარგმნილ რევოლუციური ხასიათის პოლიტიკურ თუ მხატვრულ ლიტერატურას, პროკლამაციებსა და სხვ., რომლებსაც სოფელ ტყვიავში მოწყობილ არალეგალურ სტამბაში ბეჭდავდნენ (შეელიძე 1960: 48).

თავის „მოგონებებში“ იაკობ მანსვეტაშვილი წერდა: „ამ მოძღვრებამ ჩვენში კარგი ნიადაგი მოიპოვა: ხალხში სიარული, გლეხებში ახალი მოძღვრების გავრცელება, არც ისე ძნელი საქმე იყო. ნუ დაივიწყებთ, რომ უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობისა სოფლის ღვიძლი შვილები იყვნენ, სოფელს არ იყვნენ მოწყვეტილნი. კარგად იცოდნენ მისი ავი და კარგი. კარგად ესმოდათ მისი დარდი და ნაღველი, ისიც არ იყო მათთვის საიდუმლოდ, თუ ვინ იყო ხალხის მჩაგვრელი, რა აწუხებდა მას, რა სტანჯავდა, რა იყო მუდმივი მისი საზრუნავი და სანატრი“ (მანსვეტაშვილი 1985: 8).

„ტეტიათა მოტრფიალეების“ (ასეც უწოდებდნენ ქართველ ხალხოსნებს) მოღვაწეობამ – „ხალხში სიარულმა“ და გლეხური ამბოხების პროპაგანდამ პრაქტიკული შედეგი ვერ ჰპოვა. მცირე გამონაკლისის გარდა, ქართველ გლეხკაცობას მთაყროობასთან იარაღით დაპირისპირების ენთუზიაზმი არ გამოუხატავს. „ხალხი ჩვენ არ გვიკარებდა. ... როგორც კედელს ცერცვი, ისე ხვდებოდა ხალხს ჩვენი სიტყვა“, - იგონებდა ხალხოსანი მ. დავითაშვილი (დავითაშვილი 1933: 30).

სოფელმა, ფაქტობრივად, უარყო მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ნაროდნიკული თვალსაზრისი. ამის მიუხედავად, ხალხოსნურ მოძრაობას ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უკვალოდ არ ჩაუვლია. მას შემდეგ, რაც ჟანდარმერიამ აღმოაჩინა და გაანადგურა ხალხოსანთა ძირითადი ორგანიზაციები, მუშაობა ერთხანს მინელდა; თუმცა, ოთხმოციანი წლების დამდეგიდან, კვლავ გამოცოცხლდა და გარკვეულად სახეც იცვალა. ზოგმა ქართველმა ხალხოსანმა ისევ განაგრძო ფარული რევოლუციური საქმიანობა, უმრავლესობამ კი ხელი აიღო თეითმპყრობელობასთან ბრძოლის წინანდელ გზაზე და გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, კულტურულ და საგანმანათლებლო ასპარეზზე გადაინაცვლა.

ლეგალურმა ხალხოსნებმა დააფუძნეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებიც: 1881-1883 წლებში ისინი ქუთაისში გამოსცემდნენ გაზეთ „შრომას“ (რედაქტორი დ. დადიანი), ხოლო თბილისში - უურნალ „იმედს“ (რედაქტორი მ. გურგენიძე). მათი მესვეურები ესარჩლებოდნენ უნუგეშო ყოფაში დარჩენილ თანამემამულეებს, იღაშქრებდნენ ბატონყმური გადმონაშთების წინააღმდეგ და ესწრაფვოდნენ მათ დაუყოვნებლივ აღმოფხვრას.

ქართველი ხალხოსნები კრიტიკულნი იყვნენ წინა თაობის შეფასებაში. მართალია, მიიჩნევდნენ, რომ თერგდალეულებმა „მისცეს მიმართულება და სახე“ მოძრაობას 60-იან წლებში, მაგრამ იქვე დასძენდნენ, რომ „ამ მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტისმეტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, - კულტურული და მხოლოდ მცირედ სალხოსნური (მაიაშვილი 1882: 116), რომ თერგდალეულები დარჩნენ „რადიკალ-დემოკრატებად“ (ზანდუკელი 1978: 14), რომ მათ არ ჰქონდათ „მტკიცე ნიადაგზე დამყარებული მოქმედების პროგრამა“ და სხვ.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველ ხალხოსანთა მოძრაობაში „თვალსაჩინო ადგილი ეკავა ეროვნულ საკითხს“, რომ ეროვნული საკითხისადმი მიდგომაში ქართველი ხალხოსნები „გაცილებით თანმიმდევარნი, მწყობრი შეხედულებისანი იყვნენ, ვიდრე 70-იანი წლების რუსი ნაროდნიკები“ (შველიძე 1964: 43-44). ეს თვალსაზრისი ფაქტობრივი მასალით არ დასტურდება. პირიქით, ქართველი ხალხოსნების ერთი ნაწილი ეროვნული ღირებულებების მიმართ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. მაგალითად, ი. ჯაბადარი წერდა, რომ ნაროდნიკული მოძრაობის მონაწილე ქართველ ახალგაზრდებს რუსეთის სოციალური რევოლუციის იდეა იტაცებდა და არა ეროვნული მისწრაფება, რომ ის და მისი თანამემამულენი პოლიტიკურ მოძრაობაში ჩაებნენ არა როგორც ქართველები, არამედ როგორც „საერთო რუსეთის რევოლუციური ოჯახის წევრები,“ რომლებიც ხალხს არ ჰყოფდნენ ეთნიკური წარმომავლობისა და ეროვნების მიხედვით (სურგულაძე 1973: 378).

„იმედის“ პუბლიცისტები არ იწყნარებდნენ წოდებათა შერიგებისა და თანამშრომლობის სამოციანელთა იდეოლოგიას; იწუნებდნენ მათ სხვა შეხედულებებს, ეკამათებოდნენ „ივერიის“ ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეებს. თუმცა, როდესაც ადმინისტრაციამ ხსენებული გამოცემები დახურა და ხალხოსნობამ დამოუკიდებელი იდეური მიმდინარეობის ელფერი დაჰკარგა, ამ მსოფლმხედველობის ერთგულ მიმდევართა ნაწილი სხვადასხვა

საზოგადოებრივ დაჯგუფებაში გაერთიანდა, ნაწილი კი თერგდალეულთა ბანაკს მიეკედლა, რომელიც საქართველოში კლასად გაელენიან პოლიტიკურ ძალად რჩებოდა.

მარქსიზმი. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, საქართველოში გავრცელებას იწყებს ახალი კოსმოპოლიტური იდეური მიმდინარეობა, რომელიც მარქსიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. მარქსიზმი ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შეხედულებათა სისტემას წარმოადგენდა, რომელიც რევოლუციური გარდაქმნების გზით კომუნისტური უკლასო საზოგადოების აშენებას ითვალისწინებდა.

ამ მოძღვრების ფუძემდებლები გერმანელი მოაზროვნენი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ. მათი შეხედულებანი ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტურ სინამდვილეზე დაკვირვებას, წინა ეპოქათა საზოგადოებრივი თუ მეცნიერული აზრის მიღწევების კრიტიკულ გადამუშავებას დაეფუძნა. მარქსისტული თეორიის უმთავრესი პრინციპები ასე გამოითქმის: კაცობრიობის პროგრესული განვითარების საწინდარი კლასობრივი ბრძოლაა; ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედია ხალხთა მასები; ჩაგვრასა და ექსპლუატაციაზე დაფუძნებული კაპიტალისტური სისტემა დასაღუპადაა განწირული, მისი მესაფლავე პროლეტარიატი იქნება, მაგრამ გამარჯვების მისაღწევად აუცილებელია მსოფლიოს მთელი მუშათა კლასის მჭიდრო შეკავშირება („პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"); კლასად ორგანიზებულმა პროლეტარიატმა, მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელოდ საჭიროა შექმნას თავისი პოლიტიკური პარტია; სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის – კომუნისტური წყობილების დამყარებისათვის პროლეტარიატი რევოლუციური გზით უნდა დაეუფლოს პოლიტიკურ ძალაუფლებას (პროლეტარიატის დიქტატურა).

მარქსიზმი უარყოფდა კერძო საკუთრებას, რელიგიური რწმენის საჭიროებას, ყოფიერებას ცნობიერების განმსაზღვრელად მიიჩნევდა და სხვ. ერთი სიტყვით, ეს იყო რევოლუციური მსოფლმხედველობა, რომელიც მუშათა კლასის ბრძოლის იდეოლოგიად იქცა. აღსანიშნავია, რომ მარქსიზმის გარდა, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში აღმოცენდა მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა სოციალისტური მიმდინარეობანიც (ნაროდნიკული სოციალიზმი, პრუდონიზმი, ტრედუნიონიზმი, ანარქიზმი, ბლანკიზმი და სხვ.)

მართალია, ამ პერიოდისათვის საქართველოში საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრია ფართოდ განვითარებული არ ყოფილა, მაგრამ მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია მიმდინარეობდა და ცალკეულ კლასებსა თუ ფენებს განსხვავებული შეხედულებები და მოთხოვნილებები უჩნდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულ მუშათა ოდენობა 30 ათასს ძლივს აღწევდა, მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები ქართველ მუშებსაც აიძულებდათ, ეფიქრათ თავიანთი ინტერესების დასაცავად.

მუშათა პირველი პროტესტი მათ ეკონომიკურ მოთხოვნებში გამოიხატა, რაც თანდათან გაფიცვებში, დემონსტრაციებსა და ადმინისტრაციასთან დაპირისპირების სხვა ფორმებში გადაიზარდა. ცალკეულ საწარმოებში ჩამოყალიბდა მუშათა და ხელოსანთა თვითგანვითარების წრეები, საკვირაო სკოლები, დაიწყეს ხელნაწერი ჟურნალების გამოცემა და სხვ.

მუშათა ამგვარი გააქტიურება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად. ახალი იდეოლოგია ჩვენში ორი – რუსეთისა და ევროპის გზით შემოდიოდა. რუსეთიდან იგი კავკასიაში გადმოსახლებულ თუ საგანგებოდ ჩამოსულ სოციალ-დემოკრატებს: თ. აფანასიევს, ი. ლუზინს, გ. ფრანჩესკის, ო. კოგანსა და სხვებს შემოაქვთდათ, ევროპიდან კი სოციალისტური შეხედულებები საქართველოში საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდების მეშვეობით აღწევდა. რუსული და დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და პირველის მიმდევრები მეორის გამზიარებელთა თუ თანამგრძნობთ უპირისპირდებოდნენ.

მარქსისტული ანუ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პირველი ჯგუფი ქართულ სინამდვილეში მწერალ ეგნატე ნინოშვილის ირგელივ შემოკრებილმა ახალგაზრდებმა შეადგინეს. ესენი იყვნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვ. მათ, 1892 წელს ზესტაფონში, ხოლო 1893 წელს თბილისში გამართული შეკრებების შედეგად დააფუძნეს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც გიორგი წერეთელმა „მესამე დასი“ უწოდა. როგორც იმდროინდელი პრესა შენიშნავდა: „ამ დასში არიან მრავალი სოფლის მასწავლებელნი, გონებაგანვითარებული სემინარიელ-

ნი, ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი და მეოთხმოცდაათე წლების სოგიერთი სტუდენტობაც" (ბარბაქაძე 2009:).

ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ საზოგადოებას ოფიციალურად 1894 წლის 8 მაისს, ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვისას ეუწყა. გარდაცვლილ მწერალთან გამოსათხოვარ სიტყვებში ს. ჯიბლაძემ და ვ. დარჩიაშვილმა ე. ნინოშვილი დასის მეთაურად აღიარეს და თავიანთი მიზანდასახულობა ზოგად შტრიხებში გაამჟღავნეს.

რომანოზ ხომლელის (ფანცხავა) სიტყვით: „1894 წელს, მაისის თვეში, გურიაში მოკვდა ქართველი ნიჭიერი ბელეტრისტ-პუბლიცისტი – ეგნატე ნინოშვილი. მისი კუბოს წინაშე, ეგრეთწოდებულმა, „მესამე დასმა" საქვეყნოთ ფიცი დასდვა, რომ საქართველოს დემოკრატიისა და მუშისათვის ის თავს დასდებს და ენერგიას და სიცოცხლეს შესწირავს მისი პოლიტიკური გათავისუფლების საქმეს. ეს იყო ნამდვილი და ჭეშმარიტი პანიბალისებური ფიცი დაუვიწყარ მაისის თვეში" (ხომლელი 1894:).

„მესამე დასის" პროგრამული დებულებები ნოე ჟორდანიამ შეიმუშავა და ნაშრომში „ეკონომიკური წარმატება და ეროვნება" ისინი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ადამიანის ცხოვრების დედაბოძი ეკონომიკური კეთილდღეობაა; კეთილდღეობის მოპოვების პირდაპირი იარაღია ბურჟუაზიული განვითარების შედეგად გაღარიბებული მოსახლეობის ნაწილის შეკავშირება; მოწინავე დასი ესწრაფვის მთელი ერისა და თითოეული პიროვნების თავისუფლებას (ჟორდანია, 1937: 23). მომდევნო პუბლიკაციებში თავისი ნააზრევი ნ. ჟორდანიამ მნიშვნელოვნად განაერცო: მას მიაჩნდა, რომ ძველი პატრიარქალური ურთიერთობები საქართველოშიც არსებითად კაპიტალისტურმა სინამდვილემ შეცვალა („ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში"); ეროვნული განვითარება ნიშნავს ეკონომიკურ განვითარებას, რასაც თან მოსდევს პოლიტიკური ცვლილებები; ერი დასებად ნაწევრდება, მათ შორის კლასობრივი ბრძოლა მწვავდება. თუ მოწინავე ევროპაში ცვლილებათა ინიციატორი ბურჟუაზია იყო, ჩამორჩენილ ქვეყნებში ეს როლი „მუშა ხალხს" ეკისრება და არა ინტელიგენციას. ეროვნულ პროგრესს კლასთა ბრძოლა განაპირობებს („წინსვლის დედა ძარღვი აქ არის დამარხული") (ჯანელიძე 2009: 59) და სხვ.

თავიანთი შეხედულებების პროპაგანდისათვის, ქართველი მარქსისტები გაზეთ „კვალს" იყენებდნენ. „კვალის" გამოსვლა

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართული იდეური ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენა იყო. ამ ლიბერალური მიმართულების ორგანოს ოფიციალურად ანასტასია თუმანიშვილი რედაქტორობდა, ფაქტობრივად კი, გიორგი წერეთელი ხელმძღვანელობდა. სწორედ მან მიიწვია გამოცემაში სათანამშრომლოდ „მესამე დასელები“, ხოლო 1898 წლიდან გაზეთი მთლიანად მათვე დაუთმო. აქედან მოყოლებული, „კვალი“ ქართველი მარქსისტების ლეგალური ორგანო გახდა, რომელსაც სათავეში ნოე ჟორდანია ედგა.

„კვალი“ „ივერიასთან“ პოლემიკაში ჩაერთო. კამათი სწავლა-აღზრდისა და განათლების პრობლემატიკაზე პაექრობით დაიწყო, მერე საქართველოში კლასთა ბრძოლისა თუ კაპიტალიზმის განვითარების საკითხებს გადასწვდა და ბოლოს მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„მესამე დასელები“ დაუპირისპირდნენ თერგდალეულთა ეროვნულ მსოფლმხედველობას, დაგმეს წოდებათა შერიგებათანამშრომლობის, ერის გამთლიანების თვალსაზრისი და ყოველგვარი წინსვლის საშუალებად კლასობრივი ბრძოლა გამოაცხადეს. მართალია, ნოე ჟორდანია არ უარყოფდა ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ღვაწლს ქართველი ერის წინაშე XIX საუკუნის სამოციანი წლებისათვის, დადებითად აფასებდა გაზეთ „დროების“ მოღვაწეობასაც, მაგრამ „ივერიასა“ და მის ბანაკს ჩამორჩენილობასა და პროგრესის მტრობაში ადანაშაულებდა. „დღეს ჩვენს მწერლობაში „ივერიის“ წინამძღოლობით ყოველმხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის, ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების“ – წერდა ნოე ჟორდანია და აცხადებდა, რომ ჩვენ ეებრძვით „ბნელეთის მოციქულის“ - თავად ილია ჭავჭავაძის მიმართულებასო (ჟორდანია 1900: 405-410). არანაკლებ დაუნდობელი იყო პუბლიკაციები ფილიპე მახარაძისა, რომელიც ქართველ სამოციანელებს და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს ფეოდალურ აზროვნებას საყვედურობდა, მარქსიზმის პოზიციიდან სხვა უსამართლო და შეურაცხმყოფელ ბრალდებებს უყენებდა.

„მესამე დასელები“ უარყოფდნენ ეროვნული საკითხის აქტუალობას, ილაშქრებდნენ ეროვნული თანხმობის წინააღმდეგ, აღვიებდნენ სოციალურ შუღლსა და კლასობრივ წინააღმდეგობას, მოუწოდებდნენ ყველა იმ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მიმდინარეობათა იდეური განადგურებისაკენ,

რომელიც წინ ეღობებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების გავრცელებას.

„მესამე დასის“ მარქსისტულმა იდეოლოგიამ XIX საუკუნის ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული გზიდან კოსმოპოლიტურ შარაზე გადაიყვანა და კლასობრივი დაპირისპირებისა და რევოლუციური ბრძოლის მიმართულებით გაიყოლია. კლასთა ბრძოლისა თუ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეებს მარქსიზმის მიმდევრები ძირითადად მუშათა წრეებში ავრცელებდნენ. სოციალ-დემოკრატი პროპაგანდისტები წიგნიერებას და პოლიტიკურ კულტურას მოკლებულ მუშებს მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ და წარმატების შემთხვევაში მიწიერ სამოთხეს აღუთქვამდნენ. მთელ რიგ ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ამ სოციალური დემაგოგიით ახალი მიმდინარეობის მესვეურებმა მუშებზე საგრძნობი გაელენა მოიპოვეს.

„მესამე დასს“ დიდი წვლილი მიუძღვის მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში, მათ შეკავშირებასა თუ პოლიტიკურად გაწაფვაში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებამ, სოციალ-დემოკრატთა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ დიდად ავნო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, შეაფერხა ერის კონსოლიდაციის პროცესი, უკანა პლანზე გადასწია და გააჭიანურა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

დამოწმებანი:

გამსახურდია 1917: გამსახურდია კ. გაორებული საქართველო, გაზ. „სახალხო ფურცელი,“ 1917 წ., 5 მარტი.

წერეთელი 1895: წერეთელი გ. „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი, გაზ. „კვალი“, 1895, № 5.

სურგულაძე 1980: სურგულაძე ა. ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980.

ჭავჭავაძე 1986: ჭავჭავაძე ი. „თერგდალეულნი“ და ახალი თაობა, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 3, თბ., 1986.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი. შინაური მიმოხილვა, რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1987.

ხომლელი 1886: ხომლელი რომანოზ, ზოგიერთი ფიქრი (ოდესიდამ მოწერილი), გაზ. „იევრია“, 1886 წ., 12 მარტი.
ვაჟა-ფშაველა 1961: ვაჟა-ფშაველა, ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო, თხზ. სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1961.
გაბაშვილი 1996: გაბაშვილი რ. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ მოღვაწეობაზე, წიგნში - ილია ემიგრანტთა თვალით, I, თბ., 1996.
პაჭკორია ... 1972: პაჭკორია მ. რატიანი პ. ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრიქონები, „ცისკარი“, 1972, № 3, გვ. 134).
გოგებაშვილი 1905: გოგებაშვილი ი. დიდი ვარამის შესახებ, კრებულში - ეროვნული თვითმმართველობა, ქუთაისი, 1905.
პატარიძე 1933: პატარიძე ე. ნაციონალიზმი თუ სოციალიზმი? ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1933, № 5.
სირაძე 1992: სირაძე რ. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992.
ბაქრაძე 1992: ბაქრაძე ა. ილია და აკაკი, თბ., 1992.
წერეთელი 1961: წერეთელი ა. ქართველი ქალები, თხზ. სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV, თბ., 1961.
გოგებაშვილი 1882: გოგებაშვილი ი. შინაური მიმოხილვა, ჟურნ. „იევრია“, 1882, № 2.
ონიკაძე 1983: ონიკაძე დ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ეროვნული პროგრამა და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის, საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1983, (ხელნაწერი).
ტკაჩოვი 1933: Ткачов П. Н. Избранные сочинения, т. III, М., 1933.
ნარსია 1987: ნარსია გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987.
ჩიკოიძე 2013: განთავსებულია 2 ივნისიდან, 2013. მის.: http://ru.wikipedia.org/wiki/Чикоидзе,–Михаил–Николаевич
ხოროსი 1972: Хорос В. Г. Народническая идеология и марксизм: (Конец XIX в.), М.,1972.
მგალობლიშვილი 1938: მგალობლიშვილი ს. მოგონებანი, თბ., 1938.
სურგულაძე 1973: სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრის XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.
შველიძე 1960: შველიძე ზ. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1960.
მანსვეტაშვილი 1985: მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი, თბ.,1985.
დავითაშვილი 1933: დავითაშვილი შ. ნაროდნიკული მოძრაობა საქართველოში, თბ., 1933.

მაიაშვილი 1882: მაიაშვილი გ. წერილი ჩვენ სასოგადოებრიე მოღვაწეთა მიმართ, ჟურნ. „იერია“, 1882, № 7.
ზანდუკელი 1978: ზანდუკელი მ. თხზულებანი. ტ. 3. ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1978.
შველიძე 1964: შველიძე ზ. რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში: XIX საუკ. 60-იანი და 70-იანი წლების დამდეგი, თბ., 1964.
ბარბაქაძე 2009: ბარბაქაძე მ. „მესამე დასელნი.“ განთავსებულია 1 იელისიდან, 2009. მის.:
http://burusi.wordpress.com/page/1031/?dur=5944
ხომლელი 1894: მის.:
http://www.bu.org.ge/x3643?page=8&tab=9
ჟორდანია 1937: ჟორდანია ნ. ეკონომიური წარმატება და ეროვნება, პარიზი, 1937.
ჯანელიძე 2009: ჯანელიძე ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია. თბ., 2009.
ჟორდანია 1900: ჟორდანია ნ. პრესსა, გაზ. „ქვალი“, 1895 წ. 25 ივნისი.

ოთარ ჯანელიძე

ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე

(საზოგადოება „უღელი“, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“)

სტუდენტობა, როგორც ცალკე სოციალური ძალა, რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა. 1861 წლის სექტემბერში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა აკადემიური თავისუფლების შეზღუდვა გააპროტესტეს. როცა ადმინისტრაციამ ამის უფლება არ მისცა, ახალგაზრდებმა ქუჩას მიაშურეს. პოლიციამ გარეკა ქუჩის მასობრივი დემონსტრაცია და ასეულობით სტუდენტი ჯერ პეტრე-პაველს, ხოლო შემდეგ კრონშტადტის ციხეში გამოამწყვდია.

ეს მანამდე უჩვეულო მოვლენა რუსეთში პირველ სტუდენტურ მღელვარებადაა მიჩნეული. მაშინ იმპერიის ამ ერთ-ერთ უმთავრეს უნივერსიტეტში სამ ათეულამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. საგულისხმოა, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოსვლის მონაწილე იყო.

ამ მოვლენას ალექსანდრ ჰერცენმა თავის „კოლოკოლში“ მოწინავე სტატია მიუძღვნა და იგი რუსეთის სახელმწიფოში ახალი ხანის დასაწყისად გაიაზრა (ნიკოლაძე 1984: 132).

თუ წინათ იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო უნივერსიტეტებზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა, ახლა თავად უნივერსიტეტები და მათი სტუდენტობა იქცეოდნენ „საზოგადოებრივი განწყობის ბარომეტრად.“ ერთ-ერთი თანამედროვე ადეკვატურად აღწერდა მოვლენას, როდესაც შენიშნავდა: „სტუდენტი რუსეთში უკვე აღარ არის მოსწავლე, ის საზოგადოების მასწავლებელია. უკანასკნელი მას გარკვეული სიამაყითა და პატივისცემით უყურებს. მრავალთა თვალში

სტუდენტი რუსეთის მომავალ იმედს წარმოადგენს“ (გუკოვსკი 1945: 29).

დროთა განმავლობაში, სტუდენტური გამოსვლები აკადემიური მოთხოვნებიდან პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა და იმპერიის გარდაქმნისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია მიიჩნევდა, რომ რადიკალურად განწყობილ სტუდენტთა ხელმძღვანელი ორგანოების როლში მათი ნახევრად ლეგალური ორგანიზაციები - სათვისტომოები გვევლინებოდნენ, რომლებიც 1850-1860-იან წლებში წარმოიშვნენ (გუსიატნიკოვი 1971: 27). ეს თვალსაზრისი დაზუსტებას საჭიროებს. სათვისტომოები ერთი მხარის, ერთი რეგიონის, ერთი ქალაქის ეთნიკურად ერთგვაროვან სტუდენტებს აერთიანებდნენ და ძირითად მიზნად საყოფაცხოვრებო და აკადემიურ სფეროში ურთიერთდახმარებას, სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებაზე ზრუნვას ითვალისწინებდნენ. სათვისტომოებს გააჩნდათ თავიანთი წესდებები, რომლებსაც უნივერსიტეტების ადმინისტრაცია ამტკიცებდა. ადმინისტრაციის ნებაროვითვე ეწყობოდა სტუდენტური ღონისძიებები, მათ შორის ეროვნული საღამოები, რომელთა შემოსავალიც თავს საერთო სალაროში იყრიდა და შემდეგ ხელმოკლე სტუდენტებზე ნაწილდებოდა. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას საარქივო მასალებთან ერთად, იმ დროის ბევრი ქართველი სტუდენტის (ექვთიმე თაყაიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, რომანოზ ხომლელი და სხვ.) მოგონებებიც მოწმობს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სათვისტომოების საქმიანობა ლეგალურად წარმოებდა.

მას შემდეგ, რაც სტუდენტი ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხებითა და რევოლუციური საქმიანობით ფართოდ დაინტერესდა, რუსეთისა თუ უკრაინის საუნივერსიტეტო ქალაქებში აღმოცენებული ქართველ სტუდენტთა სათვისტომოების მზერა ეროვნული და სოციალური თავისუფლების პრობლემებსაც გადაწვდა. მაგრამ ისინი არ ქცეულან სტუდენტთა რადიკალური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოებად. მეთაურის როლი სტუდენტურმა წრეებმა იკისრეს, რომლებიც ბევრ უმაღლეს სასწავლებელში სათვისტომოებისაგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდნენ და მათგან, შემადგენლობის მხრივაც, დიდად განსხვავდებოდნენ. სტუდენტური წრეებიც, რომელთაგან ზოგი ფარულად აღმოცენდა, თავდაპირველად ახალგაზრდობის გონებრივი განვითარების, სოციალური და

ეკონომიკური შინაარსის ლიტერატურის შესწავლის, ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთხელშეწყობის მიზნით წარმოიშობოდნენ და გარკვეული პროგრამით საქმიანობდნენ. ხშირად აარსებდნენ საიდუმლო ბიბლიოთეკებს, ურთიერთდახმარების სალაროებს და სხვ.

პირველი ამგვარი წრე პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა 1862-1867 წლებში დააფუძნეს. ოდესის უნივერსიტეტში ასეთი წრე 1870 წელს დაარსებულა, კიევის უნივერსიტეტის წრე 1874 წლიდან საქმიანობდა, ხარკოვისა - 1884 წლიდან, მოსკოვისა - 1887, ხოლო ვარშავის წრეს სათავე 1891 წელს დასდებია (შველიძე 1969: 14-25).

თვითგანვითარების წრეები სტუდენტური ცხოვრების იმდენად სისხლხორცეული და განუყრელი მოვლენა იყო, რომ მსგავსი გაერთიანებები რუსეთის იმპერიის უმაღლესი სასწავლებლების გარდა, ქართველ სტუდენტებს დასავლეთ ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებშიც ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

საზოგადოება „უღელი“. ქართველი ახალგაზრდობის გატაცებამ უმაღლესი განათლების დასაუფლებლად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართო ხასიათი შეიძინა. თავდაპირველად ისინი პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში მიემგზავრებოდნენ, მაგრამ თანდათან ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც მომრავლდნენ. ცოტა მოგვიანებით, ქართველ სტუდენტებს შვეიცარიასა და საფრანგეთშიც ვხედავთ. აღსანიშნავია, რომ 70-იანი წლებიდან სტუდენტთა შორის ქართველი ქალებიც გამოჩნდნენ.

ეს მოვლენა თანადროულ საზოგადოებაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ლიბერალური პერიოდული პრესა, რომელიც თვითონ იყო ამ სიახლის ერთგვარი ტონის მიმცემი, ცდილობდა, მკითხველიც დაერწმუნებინა ქალთა განათლების საჭიროებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მათი ჩართვის აუცილებლობაში. საილუსტრაციოდ შეიძლება დაეიმოწმოთ გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ელენე ყაზბეგის სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენში ნელ-ნელა იღვიძებს აქამდე მიუხდომი სწავლის სურვილი, კაცობრული ღირსება, რომლის გამო კი არ უნდა წუხდნენ; რომ ციურიხში ჩვენი ახალგაზრდა ქალები წავიდნენ, - უნდა უხაროდესთ და ამაყობდნენ იმათი პატრო-ნები.... ჩვენი ბედნიერება ქმარში კი არა, ... გონებითს ცხოვრე-ბაში იქნებოდა, რომლისაც ჭირში და ლხინში ჩვენს მოძმეებთან ერთად ვიქნებოდით და ერთნაირი სწავლის საშუალებით, ერთნაირი თვალით

შევხედავდით ჩვენს ცხოვრებას, ერთი მხედველობა გექნებოდა მომავალში, ერთ საქმეს ვემსახურებოდით და შეიქმნებოდით ყოველად ღირსნი ჩვენი ძმებისა და მომავალი ქმრებისა“ (ყაზბეგი 1873: 3).

პროგრესული საზოგადოებრივი აზრი ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი – ქალების, დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში შესულას, რომ ჟურნალ-გაზეთები ყოველი ამგვარ შემთხვევას საგანგებოდ აღნუსხავდნენ და ფართო მკითხველს აწყდიდნენ. მაგალითად, მარტო 1873 წელს გაზეთ „დროებაში“ (№№ 8, 9 და 10) სამი ამგვარი შინაარსის ინფორმაციაა დაბეჭდილი, საიდანაც ეგებულობთ, რომ სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ გამგზავრებულან ეკატერინე მელიქიშვილი, ოლღა გურამიშვილი, ოლიმპიადა და ეკატერინე ნიკოლაძეები.

საინტერესოა, რომ ამ სიახლემ ასახვა ქართულ მწერლობაშიც ჰპოვა. ცნობილ დრამატურგს დავით ერისთავს დაუწერია პიესა „წასვლა ევროპაში“, რომლის გმირი ქალი ნატაშა მიემგზავრება შვეიცარიაში, რათა იქ თავისუფლად ამოისუნთქოს და დაეწაფოს უმაღლეს ცოდნას (აბზიანიძე 1959: 457).

თვითმპყრობელური იმპერიის კოლონიურ, განაპირა მხარეში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს შვეიცარია „აღთქმის ქვეყანად, თავისუფლების დედაბუდედ“ ეხატებოდათ და იქ ცხოვრებას ისე ნატრობდნენ, „როგორც მართლმორწმუნე მექაში წასვლას ქაბის თაყვანისაცემლად“ (მანსვეტაშვილი 1936: 10).

ზემოთ დასახელებულთა გარდა, 1873 წელს შვეიცარიის ქალაქ ციურიხში თავი მოიყარეს სხვა ქართველმა ახალგაზრდებმაც. მათ შორის იყვნენ: ივანე მესხი, ვლადიმერ ნიკოლაძე, ალექსანდრე სუმბათაშვილი, დავით ქადაგიძე, პეტრე ოსმაილოვი, ბოგუსლავა ზემიანსკაია, პელაგია ნაცვლიშვილი და ვლადიმერ ინანაშვილი.

ციურიხში ჯერ კიდევ XVI საუკუნის 20-იანი წლებში ულრიხ ცვინგლის მიერ დაარსებული თეოლოგიის კოლეჯის ბაზაზე 1833 წლიდან სახელგანთქმული უნივერსიტეტი, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებელიც ფუნქციონირებდა. ქართველები ორივე მათგანში სწავლობდნენ. იმ ხანად, ევროპაში იმყოფებოდნენ ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელიც. სწორედ მათი თაოსნობით, ციურიხში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა 1873 წლის მარტში ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია სახელწოდებით „უღელი“.

იმაეე წლის 27 აპრილს, გაზეთმა „დროებამ“ დაბეჭდა ციურიხიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომლითაც მკითხველს ამ ფაქტის შესახებ აცნობა. ავტორი აღწერდა სტუდენტთა გეგმებს და აღნიშნავდა: „ეს ახალგაზრდები ციდამ ვარსკელავების მოკრეფას არ აპირებენ, ... არც ქვეყნის გადაბრუნება აქვთ სახეში ჰსურთ მხოლოდ შეერთებული სწავლა და შრომა, რომელშიაც უნდა აბეჭითებდესთ ის მაღალი გრძნობა, რომელიც ორიოდე სიტყვით გამოიხატება: „თაეის მშობელი ქვეყნის ბედნიერება და წარმატება“.

საზოგადოების ირგვლივ არსებულ მასალებში მკაფიოდ არ ჩანს თუ რატომ დაერქვა მას ეს სახელი, მაგრამ დასახული მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ „ულელი“ მისმა დამფუძნებლებმა რუსეთის კოლონიური რეჟიმის სიმბოლოდ გაიაზრეს, მისგან თავდაღწეეისათვის სათანადო გეგმა შეიმუშაეეს, ორგანიზაცია დააფუძნეს და ხანგრძლივ მზადებას შეუდგნენ.

საზოგადოება რამდენიმე მიზანს ისახავდა, მათ შორის: საზღვარგარეთ მოსწაელე ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის გაერთიანებას, ეეროპის სოციალური მოძრაობისა და აზროენების შესწავლასა და საქართველოში მის პოპულარიზაციას, ერომანეთისათვის ცოდნის გაზიარებას, დახმარებას, ციეილიზებული კაცობრიობისათვის საქაროველოსა და კაეკასიის ცხოერების გაცნობას და სხვა (აბზიანიძე 1959: 463).

დაეით მესხის მოგონებების თანახმად, „ულელის“ დანიშნულება ყოფილა, „თაეის ირგვლივ შემოეერიბა საზღვარგარეთელი ჩვენებური მოსწაელე ახალგაზრდობა, ეზრუნა იმისთვის, რომ ეს ახალგაზრდობა ბეჯითი სწაელის გზას დასდგომოდა, მეცნიერებას ზიარებოდა, საუბრები გაემართა ქართულ ცხოერებაზე, საქართველოს ისტორია შეესწავლა, ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები შეედგინა და გამოეცა“ (მესხი 1940: 35-36).

უფრო ერცლად ორგანიზაციის მიზნებზე ნიკო ნიკოლაძე გეიამბობს. მისი სიტყვით, ციურიხში მყოფ „ყმაწვილებს გადაუწყეტიათ ... ისეთი ძმური ამხანაგობის ან საზოგადოების შედგენა, რომელშიაც თითოეულ წევრს მოეალეობა ექნება ერთი რომელიმე საგანი შეისწავლოს და დანარჩენ წევრებს თაეისი ცოდნა ამ საგანზე გაუზიაროს. ... იმათ ერთმანეთში გაუნაწილებიათ ახალი ისტორიის შესწაელა სხვადასხვა ეეროპელი ხალხებისა, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა სხვადასხვა ენებზე. ზოგიერთ ჩვენ ცხოერებაში გამოსადეგი საგნების

გაცნობა და სხვ. და სხვ., და კვირაში ერთხელ, დანიშნულ დღეს, ისინი იკრიბებიან და თითოეული მათგანი დანარჩენს უკითხავს, რაც შესანიშნავი ნახა არჩეულ საგანში ... ამ ყმაწვილებს ... ძლიერ მტკიცედ სურთ როგორც საფუძვლიანი სწავლის მიღება, ისე - თანამედროვე ისტორიის გაცნობა, იმ მიზნით, რომ შემდეგში, სწავლის დასრულების მერე, სასარგებლო და გამოსადეგ წევრებათ შეიქნენ ჩვენი საზოგადოების და ქვეყნისა“ (ნიკოლაძე 1873: 320-323).

ყველაფერი ეს თერგდალეულთა ცნობილი „მამულის მსახურებისათვის“ პროგრამის ფარგლებში თავსდება და ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ახალი ნაკადის შემზადებას ემსახურებოდა. ამიტომაც იმედოვნებდა ნიკო ნიკოლაძე: „ადრე თუ გვიან, ჩვენ საზოგადოებას შეეძინება გვარიანათ დამარაგებული ახალგაზრდობა, რომელსაც პატიოსან მიმართულებას გარდა საფუძვლათ ცოდნა და მოხერხება ექნება“ (ნიკოლაძე 1873: 327). „უღელში“ გაერთიანებული ახალგაზრდების საერთო ოცნება იყო სამშობლოს ეროვნული განთავისუფლება და ამ საზოგადოების ყველა ღონისძიებაც ძირითადად აქეთკენ იყო მიმართული“ (აბზიანიძე 1959: 487-488).

„უღელის“ შესახებ დოკუმენტური მასალა მწირია. მოგვეპოვება მხოლოდ საზოგადოების პირველი სამი სხდომის ოქმი (ისინი თავის დროზე სამშობლოში ნიკო ნიკოლაძეს ჩამოუტანია) და პერიოდული პრესის ორიოდე ინფორმაცია. მაგრამ დამატებით წყაროდ გვევლინება თვით საზოგადოების წევრთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მრავალრიცხოვანი პირადი წერილების სახით, რომლებიც საქართველოს სიძველეთსაცავებში ინახება და ხელმისაწვდომია მკვლევართათვის.

რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიას: „უღელის“ ისტორიის შესწავლა XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ისტორიკოსმა სიმონ ხუნდაძემ დაიწყო (ნიკოლაძე 1932: 384-389). ამ დროს „უღელთან“ დაკავშირებული არაერთი პიროვნება ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რასაც დაწყებული საქმისთვის ხელი უნდა შეეწყო, მაგრამ მეცნიერის ნაადრევი გარდაცვალების გამო, კვლევა დაუსრულებელი დარჩა. ცოტა მოგვიანებით, პრობლემის გაშუქება მიზნად დაისახა ცნობილმა ქართველმა ლიტერატორმა გიორგი აბზიანიძემ. მან საგრძნობლად გააფართოვა თემის წყაროთმცოდნეობითი ბაზა და მისი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ევროპაში მოქმედი ქართული სტუდენტური ორგანიზაციის მოღვაწეობას ერცელი ნარკვევი მიუძღვნა (აბზია-

ნიძე 159: 451-511). საკითხის კვლევა არსებითად ამით ამოიწურა. ქვემოთ ჩვენ ძირითადად ხსენებულ ავტორთა ნაშრომებს დაეყრდნობით.

„ულელის“ იდეური ხელმძღვანელი ნიკო ნიკოლაძე იყო. საზოგადოების ორგანიზაციულ მუშაობას სერგეი მესხის ძმა - ივანე მესხი უძღვებოდა, რომელსაც საზოგადოების მდივნობა ჰქონდა მინდობილი (მესხი 1940: 35). შესასწავლი და დასამუშაებელი საკითხების თემატიკა საზოგადოების წევრებს შორის იმთავითვე გაუნაწილებიათ. დ. ქადაგიძეს უნდა მოემზადებინა და დანარჩენებისათვის გაეცნო გერმანიის ისტორია 1789 წლიდან, ელ. ინანაშვილს მართვა-გამგეობის სისტემა უნდა შეესწავლა, პ. იზმაილოვს ევალებოდა საფრანგეთის ისტორიის დამუშავება 1789 წლიდან მოყოლებული და ასევე, კავკასიის ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებზე რეფერატების მომზადება. ალ. სუმბათაშვილისათვის დაუკალებიათ პოლიტიკური ეკონომიის ძირითად პრობლემებზე მუშაობა და სხვ. რაც შეეხება ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ქართულ და სომხური ურნალ-გაზეთებისათვის თვალის დევნებას და სხვების ინფორმირებას, ეს საქმე ორგანიზაციის წევრ ქალებს უკისრიათ (აბზიანიძე 1959: 464).

დიდად საგულისხმოა, რომ ყოველი ამგვარი მოხსენება, საზოგადოების საერთო შეკრებაზე განხილვისა და შევსება-შესწორების შემდეგ, უნდა გაეგზავნათ თბილისში ქართული გამოცემების რედაქციებში ან ცალკე წიგნებად დასაბეჭდად.

„ულელის“ დაარსების დროისათვის, შვეიცარიაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო პარიზის კომუნის გამოძახილი. სამშობლოში დევნილი ფრანგ კომუნართა ნაწილი აქ იყო შემოხიზნული, აქვე ედო ბინა რუსეთის რევოლუციური ემიგრაციის მრავალ წარმომადგენელს. ამ ქვეყანაში, რომელიც „სოციალური პროპაგანდის უმაღლეს სკოლადაც“ მიიჩნეოდა, სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა, ზიარებოდი ლიბერალურ, ანარქისტულ, დემოკრატიულ თუ სოციალისტურ იდეებს. შეიძლებოდა, შეხვედროდი და გაცნობოდი გამოჩენილ მოაზროვნეებს, დასწრებოდი მათ მოხსენებებს, ლექცია-საუბრებს; მონაწილეობა მიგეღო დისკუსიებში, ფარიოდ რომ იმართებოდა ჟენევისა და ციურიხის სხვადასხვა საჯარო სიერცეში.

ამ ატმოსფეროს გავლენამ „ულელის“ წევრებზეც იმოქმედა. ჩამოყალიბებიდან სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ საზოგადოების წიაღში ორი ტენდენცია გამოიკვეთა. ერთი, რომლის

მიმდევართა აზრით, „უღელის“ მიზნები სწაელა-განათლებით უნდა შემოფარგლულიყო (იე. მესხი, ალ. სუმბათაშვილი, ვლ. ინანაშვილი, დ. ქადაგიძე და სხვ.) და მეორე - უმრავლესობის თვალთახედვა, რომლის თანახმად, საზოგადოებას უფრო ფაროო მიზნები უნდა დაესახა. სახელდობრ, ამოცანად უნდა ექციათ არა მხოლოდ დასაელეთ ევროპის დემოკრატიული იდეების გაცნობა და სოციალური მოძრაობის კურსში ყოფნა, არამედ ეს მოძრაობა ეროვნულ იდეასთან უნდა შეეხამებინათ, კაეკასიის ერთა სოლიდარობის დამყარებასა და ქართულ მწერლობაში დემოკრატიულ-პროგრესული ნაკადის შემოტანაზე ეხრუნათ. სხვაგვარად, მეორე ტენდენციის მომხრენი თეითგანეითარების პარალელურად, აქცენტს პრაქტიკულ საქმიანობაზეც აკეთებდნენ. „უღელის“ წევრებს შესწავლილი აქტუალური სოციალური და პოლიტიკური საკითხები საქართველოში უნდა გაეერცელებინათ და ისინი ქვეყნის სატკივართან, მის სამომაელო საზრუნავთან უნდა დაეკავშირებინათ. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ: გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ბესარიონ ჯაფარიძე, ღაეით მიქელაძე, ოლღა გურამიშვილი, პეტრე ისმაილოეი, ეკატერინე ნიკოლაძე და სხვ.

მალე ამ ჯგუფის წევრები ციურიხიდან ჟენევაში გადაეიდნენ, სადაც 1873 წლის ნოემბერში ახალი საზოგადოება - ჟენევის „უღელი“ დააფუძნეს. დასახელებულთა გარდა, მასში გაერთიანდნენ: ალესანდრე სარაჯიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ეასილ პეტრიაშეილი, ივანე თარხნიშვილი, ძმები ალექსანდრე და ელადიმერ ჯანდიერები, ეკატერინე მელიქიშვილი, ანა დომბრობესკაია, ოლიმპიადა ნიკოლაძე და მაშიკო წერეთელი (აბზიანიძე, 1959: 465). საზოგადოებას სათაეეში გიორგი წერეთელი ჩაუდგა.

ციურიხში დარჩენილმა „უღელმა“ გათიშვის შემდგომ მხოლოდ ერთი წელი გასძლო და 1874 წლის ბოლოსათეის არსებითად დაიშალა. რაც შეეხება ჟენევის „უღელს“, მან 1876 წლამდე იარსება და მნიშვნელოვანი საზოგადოებრიე-ლიტერატურულ მუშაობა გასწია (აბზიანიძე 1959: 469).

ჟენევაში მოქმედ „უღელის“ საზოგადოებასთან მჭიდროდ ურთიერთობა გააჩნდათ შემდეგში რუსეთის იმპერიის მასშტაბით ცნობილ ნაროდნიკებს, ივანე ჯაბადარსა და ნიკოლოზ ჩიკოიძეს, რომლებიც მოგეიანებით მოსკოვში დააპატიმრეს და გახმაურებულ „50-ის პროცესის“ მონაწილეებთან ერთად გაასამართლეს. საგულისხმოა, რომ ორიეე ქართეელი ხალხოსანი მონა-

წილეობდა 1874 წლის აგვისტოში ჟენევაში ჩატარებულ „უღელის“ კონგრესის მუშაობაში.

კონგრესზე ევროპაში მყოფი კავკასიის სხვა ხალხთა წარმომადგენლებიც იყვნენ მიწვეულნი, მათ შორის, დაღე სტნელი დოლგატი და სომეხი პ. ალიბეგოვი. კონგრესის პირველ სხდომებს ესწრებოდა რამდენიმე ფრანგი კომუნარი, ცნობილი რუსი ნაროდნიკი პეტრე ტკაჩოვი, ანარქისტი და გამომცემელი მიხეილ ელპიდინი და სხვ. კონგრესს გიორგი წერეთელი თავმჯდომარეობდა, მდივან-მომხსენებელი კი ალექსანდრე სარაჯიშვილი ყოფილა.

მთავარი თემა, რომელსაც კონგრესმა იმსჯელა, იყო ქართველების მონაწილეობის საკითხი თეითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სახელდობრ, გარკვევა იმისა, ეს ბრძოლა უფრო შედეგიანი იქნებოდა კავკასიის ერებთან მჭიდრო გაერთიანებით თუ საერთო რუსულ რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირში.

უმცირესობა, რომელთა შორის აღმოჩნდნენ ქართველი ხალხოსნებიც, მხარს უჭერდა ცარიზმის დასამხობად საერთო ბრძოლის წარმოებას. მათი აზრით, კავკასიის ცალკე გამოყოფა დაასუსტებდა ერთიან ფრონტს და რუს ხალხთანაც ანტაგონიზმს გამოიწვევდა. უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა კავკასიის ხალხთა საბრძოლო ძალების შეკავშირებას და კავკასიის ფედერაციის იდეას (აბზიანიძე 1959: 493).

არსებობს ამ კონგრესის მონაწილის, ნიკო ნიკოლაძის დის, ეკატერინე ნიკოლაძის საგულისხმო მოგონება, რომელშიც შთამბეჭდავადაა აღწერილი ქართველი და სომეხი ახალგაზრდების დაძმობილების ამბავი. ავტორი იხსენებს ჟენევაში გამართულ ერთ საახალწლო შეხვედრას, რომლის მთავარი საგანი ყოფილა ქართველი და სომეხი ინტელიგენციის მჭიდრო შეკავშირება, ქართველ და სომეხ მასებში საერთო შეგნების შეტანა, საერთო მტრის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მათი ამხედრებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხი. შეხვედრის მონაწილეებს სათანადო პირობა შეუდგენიათ და მასზე ხელი მოუწერიათ. გიორგი წერეთელს უარი უთქვამს მელნით ხელმოწერაზე, თითი გაუჭრია, კალამი სისხლში ამოუწია და პირობაზე ხელი ასე მოუწერია. „გიორგის მოქმედებამ განცვიფრებაში და მერე აღტაცებაში მოიყვანა ყველა იქ მყოფნი, რომელთაც აღთქმა დასდეს, რომ ამ ანდერძს

შეილთა და შვილიშვილთ გადასცემენ", გადმოგვცემს ე. ნიკოლაძე (აბზიანიძე 1959: 496).

საყურადღებოა „უღელის" ზოგიერთი წევრის გატაცება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ დაფუძნებული პირველი „ინტერნაციონალით" და მათი მონაწილეობა ამ ორგანიზაციის ჟენევის სექციის მუშაობაში. შემორჩენილია მემუარული და ეპისტოლარული მასალა, რომლიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ინტერნაციონალთან დაკავშირებულ საკითხებს დროდადრო ინტერესით განიხილავდნენ „უღელის" სხდომებზე. ამასთან, ბესარიონ ჯაფარიძე, ოლღა გურამიშვილი, მაშიკო წერეთელი და ეკატერინე ნიკოლაძე სისტემატურად ესწრებოდნენ „ინტერნაციონალის" კრებებს (მოროზოვი 1933: 189-190).

ოლღა გურამიშვილის სიტყვით, „ინტერნაციონალის კრებებით ჩვენები ძალიან დაინტერესებულნი იყვნენ. აქ ირჩეოდა სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები, რომელთა შესახებ ჩვენ პასუხს გაფაციცებით ვეძებდით. ჩვენს გულისყურს განსაკუთრებით იპყრობდა საკითხები, რომლებიც პარიზის კომუნამ წამოაყენა. ...ქონების კომუნიზაციის, ქალთა ემანსიპაციის, ეროვნული თანასწორუფლებიანობის საკითხები და განსაკუთრებით მომავალი თავისუფალი პოლიტიკური წყობის ყორმები, რომლებიც ინტერნაციონალის მონაწილეთა სიტყვებში წარმტაცი ფერებით იყო დახატული, - ჩვენ თავბრუს გვასხამდნენ და შემდეგ მთელი კვირის მანძილზე წარმოადგენდნენ დებატების საგანს ჩვენს წრეში". მემუარისტი დასძენს, რომ „უღელში" ყველას ერთნაირი შეხედულება არ ჰქონია ინტერნაციონალის კრებებზე წამოჭრილი საკითხების ირგვლივ, მაგრამ „ყველა ჩვენგანის გონებით გახსნას ძალიან შეუწყო ხელი იქ მოსმენილმა სიტყვებმა. ჩვენ მთელი ევროპის წარმატების კურსში ვიყავით" (აბზიანიძე 1959: 477).

„უღელის" წევრთაგან ზოგიერთი განსაკუთრებით დაინტერესდა ქალთა უფლებების საკითხით. მაგალითად, ეკატერინე მელიქიშვილი, რომელიც 1874 წელს ჟენევიდან საქართველოში გამოგზავნილ ერთ კერძო წერილში შენიშნავდა: „მე ძალიან მინდა, ერცლად გავიცნო ქალების საქმე და ყველა მათი მომხრეების და მოწინააღმდეგეების ნაწერები ვიკითხო". ე. მელიქიშვილმა სიტყვა შეასრულა, ღრმად გაეცნო ქალთა მოძრაობის ისტორიას და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა საქართველოში ქალთა ემანსიპაციის საქმეში. იგი ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა პუბლიკაციებს ამ

თემაზე და გაზეთ „დროებაში“ რუბრიკასაც უძღვებოდა სახელწოდებით: „დედა-კაცების აზრი დედა-კაცებზედ“ (ტაბატაძე 2013:).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიკო ნიკოლაძე „ულელის“ დაარსებასა და საქმიანობას „სასარგებლო დამოძღვრიან“ საქმედ განიხილავდა (აბზიანიძე 1959: 461). დარწმუნებული იყო, რომ ამ წრიდან გამოსული ახალგაზრდები წარმატებით შეავსებდნენ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა არცთუ ფართო კოჰორტას.

ნიკოლაძის წინასწარხედვა ახდა. „ულელის“ წევრთა უმეტესობა აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართული მწერლობისა და პუბლიცისტიკის განვითარებაში. როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, თავისი „გონებითი და ზნეობითი ძალღონე“ (ჭავჭავაძე 1991: 416) შემატა ქვეყანას. დასაყრდენი ევროპის სოციალური სინამდვილის, ეროვნული თუ რევოლუციური მოძრაობის, კულტურის, ხელოვნებისა და სხვა საკითხებზე 70-იანი წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი პუბლიკაციების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ „ულელის“ წევრთა ქალამს ეკუთვნის. „ულელთან“ დაკავშირებულმა არეალთმა პიროვნებამ დიდად შეუწყო ხელი ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. ევროპის ინტელექტუალურ მიღწევათა მშობლიურ ნიადაგზე გადმოენერგეთ, მათ გაამდიდრეს ქართული კულტურა, ხოლო ლიბერალური და დემოკრატიული იდეების გაერცელებით გააფართოეს XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრი.

„საქართველოს თავისუფლების ლიგა“. 1888 წლის 2 თებერვალს უანდარმერიამ ქუთაისში ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ლასხიშვილი დააპატიმრა. მოგვიანებით, გიორგი იგონებდა: „ჩამსვეს ეტლში; გვერდით მომიჯდა უანდარმის ოფიცერი, წინა სკამზე ორი უანდარმი. ორიე მხარეს ეტლს მისდევდა ორი ცხენოსანი კაზაკი, უკან მეორე ეტლი პოლიციელებით და ასე გავემართეთ უანდარმთა მართველობისაკენ, რომელიც მაშინ სამოქალაქო, ბაღის („ბულვარის“, როგორც ქუთაისში ეძახიან) გვერდით იმყოფებოდა.

შუადღე იყო. თბილი დღე და ქუჩებში ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა. ქუთაისში ასეთი უცნაური კორტეჟი არაჩვეულებრივი რამ იყო და ხალხში დიდი სენსაცია გამოიწვია „სტუდენტი, (სტუდენტის სერთუქი მეცვა) სტუდენტი დაუჭერიათო!“ (ლასხიშვილი 1988: 26).

როგორც ზემოთ აღინიშნა, რევოლუციური საქმიანობისათვის ქართველი სტუდენტები რუსეთის იმპერიის საუნივერსიტეტო

ქალაქებში ადრეც დაუკაეებიათ, მაგრამ გიორგი ლასხიშვილის შემთხვევა ქუთაისში, ჩვენს სინამდვილეში, პოლიტიკურ ნიადაგზე ქართველი სტუდენტის დაპატიმრებისა და ციხეში ჩასმის პირველი ფაქტია. ქართველი საზოგადოებისათვის უჩვეულო იყო ამგვარი რამ. ხალხი სტუდენტებს ინტელიგენციის წარმომადგენლებად აღიქვამდა, მათ მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი და ქვეყნის წინსვლა-დაწინაურების იმედსაც მნიშვნელოვანწილად ამ ახალგაზრდების წარმატებას უკავშირებდა.

თუ როგორ წარმოედგინა ქართველ საზოგადოებას სტუდენტობის როლი და მნიშვნელობა თავისი სამშობლოსათვის, კარგად ჩანს ქვემოთ მოხმობილ მაგალითზე. საქმე ასე იყო: 1897 წლის იანვარში ოსმალეთის მფლობელობაში მყოფ კუნძულ კრეტაზე აჯანყება დაიწყო. თანამოძმე ქრისტიანებს მხარდაჭერა აღმოუჩინა საბერძნეთმა, რომლის ათასხუთასკაციანი სამხედრო შენაერთი კუნძულზე გადასხდა და თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. დაიწყო საბერძნეთ-ოსმალეთის პირველი ომი, რომლის შერერებაც მხოლოდ ევროპის დიდი სახელმწიფოების ჩარევით გახდა შესაძლებელი.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა, რომლებიც ხსენებული მოვლენის დიდ საერთაშორისო გართულებაში გადაზრდას, ომში რუსეთის ჩაბმას და გარკვეულ პოლიტიკურ ცვლილებებს მოელოდნენ, მოინდომეს სტუდენტობის სახელით თანაგრძნობის წერილი გაეგზავნათ ბერძნებისათვის. ამ განზრახვის გამო, მათ შეკითხვებით მიმართეს ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს, აინტერესებდათ, რა რჩევას მისცემდნენ ეს სახელოვანი მამულიშვილები. სტუდენტებს ორივემ უპასუხა.

გიორგი წერეთელი ახალგაზრდების თაოსნობას მიესალმა და წერილის გაგზავნაც მისაღებად მიიჩნია. მანეე გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ ახალგაზრდები იმოქმედებდნენ არა ეროი წრის, არამედ მთელი ქართველი სტუდენტობის სახელით და ურჩია, სიფრთხილისათვის, წერილიდან ზედმეტად რადიკალური ფრაზები ამოეღოთ. იქვე მწერალი უხილსაც გამოხატავდა, რომ საქართველოს არ შეეძლო „ნამდვილი საქმით“ მიშველებოდა დაჩაგრულ ხალხს და საბერძნეთში ქართველ მებრძოლთა რაზმი გაეგზავნა (ჭავჭავაძე 1961: 521).

ილია ჭავჭავაძე კმაყოფილებით შეხედა ქართველი სტუდენტების „ყოველად პატიოსან“, „მშვენიერ“, „თავმოსაწონებელ“ და „კეთილშობილებით აღსავსე გულთა-ძგერას,“ გამოსარჩლებოდნენ ჩაგრულ ხალხს, მაგრამ მოუწოდა გრძნობასა და ემოციაზე

წინ გონება დაეყენებინათ. ილია მიუთითებდა: თქვენი განზრახვა თუ ასრულდა, შესაძლოა იგი მტრებმა „ჩვენდა თავში საცემლად“ გამოიყენონ და ამით რაიმე ზიანი მოგადგეთ. „თქვენი ზიანი, თქვენი, შეფერხება, ჩვენი ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.“ „მთელი სასოება ჩვენი ქვეყნისა თქვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენია ხართ. თქვენ რომ თქვენი პირდაპირი საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო შესაფერისის სწავლა-ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ თქვენს ქვეყანას, ვისის-და იმედზედ დარჩეს?“

დიდად შთამაგონებელი იყო ბრძენკაცის შემდგომი ფრაზები სტუდენტებისადმი გაგზავნილი პასუხიდან: „თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი. სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანათ ნურც იქით გადიხედავთ, ნურც აქეთ. მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი ღღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმლით მოდით და დაეპატრონეთ თქვენდა მოსავ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა საეედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგანა ხსნასა და ბედნიერებას“ (ჭავჭავაძე 1961: 141-143).

ამ ამბავთან დაკავშირებით სამსონ ფირცხალავა გადმოგვცემს: „გიორგი წერეთელი მოკლედ გვწერდა: თქვენი - ახალგაზრდების გული მუდამ იქ უნდა იყოს, სადაც ბრძოლაა თავისუფლებისთვისო. ილიამ კი ერცელი ბარათი გამოგვიგზავნა: გვიწონებდა განზრახვას, მაგრამ გვაფრთხილებდა, ქართველებს საკუთარი საქმე გვაქვს. ამისთვის უნდა შევინახოთ თავი, მოვემზადოთო“ (ფირცხალავა 1988: 26-27).

აღწერილ შემთხვევაში სტუდენტებმა ილია ჭავჭავაძის რჩევა გაითვალისწინეს, ზოგადად კი, ისინი ცდილობდნენ, უნივერსიტეტებში სწავლა ეროვნული ან რევოლუციური საქმიანობისათვისაც შეეხამებინათ. ამ მხრივ, დიდად საყურადღებოა სტუდენტური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგის“ ისტორია, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებს განეკუთვნება.

სტუდენტი-ახალგაზრდობის დაინტერესება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით და მათი ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში ამ პერიოდის მნიშვნელოვანი სიახლე იყო.

როგორც აღნიშნული გექონდა, მოსკოვის, პეტერბურგის, კიევის, ხარკოვის, ოდესის, ვარშავის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველმა სტუდენტებმა ფარული წრეები 60-70-იან წლებში ჩამოაყალიბეს. მათი საქმიანობა სხვადასხვა ინტენსივობით შემდგომ ხანებშიც გაგრძელდა. 1889 წელს

პეტერბურგის წრის წევრებმა იმპერიის მასშტაბით მოქმედი ქართული სტუდენტური წრეების ერთ ორგანიზაციად შეკავშირების იდეა წამოაყენეს, მაგრამ მას არ ეწერა განხორციელება. აღსანიშნავია, რომ 1891 წელს დაწყებული გაერთიანების მოძრაობის თაოსნებიც „პეტერბურგელები“ იყვნენ.

ჟანდარმერიის მასალების თანახმად, პეტერბურგის ქართველთა წრეში, უნივერსიტეტელების გარდა, დედაქალაქის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც შედიოდნენ, რომელთა რაოდენობა ორ ათეულს აღემატებოდა. მათ შორის: არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჭიჭინაძე, იოსებ ჩარექიშვილი, ილია ჯიშკარიანი, გიორგი დეკანოზიშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი და სხვ. შემორჩენილია ამ წრის ორი მოწოდება იმპერიის სხვა უმაღლესი სასწავლებლების თანამემამულე სტუდენტებისადმი. რომლებიც საერთო ყრილობის მოწვევისა და ერთიანი პროგრამის საფუძველზე გაერთიანების წინადადებას შეიცავდა (შველიძე 1969: 15).

ასეთივე შინაარსის მოწოდებები ოდესის წრესაც დაუგზავნია. მოწოდებებმა მხარდაჭერა ჰპოვა და 1892 წლის ზაფხულის არდადეგებზე ქუთაისში ქართველ სტუდენტთა ყრილობის ჩატარებაც გადაწყდა.

შეთანხმების მიხედვით, თითოეულ წრეს ყრილობაზე ხუთხუთი წარმომადგენელი უნდა გამოეგზავნა. დათქმულ დროს დელეგატები ადგილზე შეიკრიბნენ. ყრილობა 26 ივლისს გაიხსნა და 29 ივლისამდე გაგრძელდა. თავმჯდომარედ მიხეილ ხელთუფლიშვილი აირჩიეს, მდივნობა კი ვახტანგ ღამბაშიძეს მიანდეს .

ჟანდარმერიის მასალებში მითითებულია, რომ ქუთაისის ყრილობას 20 დელეგატი დაესწრო, თუმცა, ყველა მათგანის გვარი დასახელებული არ არის. გამოძიებას მხოლოდ 12 სტუდენტის ვინაობა დაუდგენია. ესენი იყვნენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, იოსებ ჩარექიშვილი, ანტონ გელაბაროვი, გიორგი დეკანოზიშვილი, ილია ჯიშკარიანი, არქიფო მუსხელიშვილი, ივანე ელიაშვილი, გიორგი გვაზავა, ვახტანგ ღამბაშიძე, იაკობ ფანცხავა, დავით მდივანი და ნიკოლოზ ჯაყელი (გიორგაძე 1929: 103-104; შველიძე 1969: 47-48).

დამატებითი კვლევებით გაირკვა, რომ ქუთაისის ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ: ვარლამ ჭიჭინაძეს, სამსონ ბაქრაძეს (შველიძე 1969: 49), კიტა აბაშიძეს (აბაშიძე 1964: 26), ანდრია დეკანოზიშვილსა (გრძელიძე 2000: 27-28) და ივანე

ზურაბიშვილს (ზურაბიშვილი 1962: 154). „თავისუფლების ლიგის“ წევრთა შორის თედო სახოკია მოიხსენიებს საკუთარ თავს, შიო დედაბრიშვილსა (არაგვისპირელი) და ალექსანდრე მიქაბერიძეს (სახოკია 1984: 176; 206). „ლიგასთან“ დაკავშირებულნი იყვნენ აგრეთვე მიხეილ მირიანაშვილი (გიორგაძე 1929: 112-113; შველიძე 1969: 80), ნოე ჟორდანია, ფილიპე მახარაძე (შველიძე 1969: 4; 25; ბენდიანიშვილი 1980: 162), ნიკოლოზ ნაკაშიძე, ივანე აბაშიძე, მიხეილ მელიქიშვილი, სიკო ლარიძე, ჩიქოვანი, მაჩაიძე და მაყაშვილი (ბენდიანიშვილი 1980: 161-162). ორგანიზაციასთან თანამშრომლობდნენ იმ დროს უკვე ფართოდ ცნობილი მოღვაწენი კირილე ლორთქიფანიძე, დავით მიქელაძე (შეველე), სილოვან ხუნდაძე და სხვანი (ურუშაძე 2009:).

ფილიპე მახარაძის გადმოცემით, „თავისუფლების ლიგა“ არჩილ ჯორჯაძეს ჩამოუყალიბებია და საზოგადოებაში მხოლოდ ნაციონალისტურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდები გაერთიანებულან. თავის თავს ფილიპე „ლიგასთან“ არ აკავშირებდა, მეტიც, ემიჯნებოდა მას, როგორც „ნაციონალისტურ“ და „წერილბურჟუაზიულ“ ორგანიზაციას და წერდა, რომ ის მხოლოდ „მარქსისტული წრის“ წევრი იყო (მახარაძე 1923: 49-51). არჩილ ჯორჯაძეს „ლიგის“ მთავარ იდეურ ხელმძღვანელად მიიჩნევს ისტორიკოსი ვ. გურულიც, მაგრამ უფრო მართებულია რ. გრძელიძის ოვალსაზრისი. რ. გრძელიძის თანახმად, ამ ცნობილი მოღვაწის აქტიური მონაწილეობა „თავისუფლების ლიგის“ საქმიანობაში, მისი ავადმყოფობის გამო, საეჭვოდ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ არჩილ ჯორჯაძე ერთხანს შედიოდა ვარშავის ქართული წრის შემადგენლობაში და იგი თავისი ცოდნა-მომზადების მხრივაც გამორჩეული ახალგაზრდა იყო. არსებობს დოკუმენტური წყარო, საიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ ჯორჯაძე ამ წრეს ჩამოშორდა. აღსანიშნავია, რომ მისი გვარი „ლიგის“ საქმესთან დაკავშირებით არც გამოძიების მასალებში ფიგურირებს (გრძელიძე 2000: 17).

„თავისუფლების ლიგასთან“ თავის ურთიერთობაზე არაფერს ამბობს არც ნოე ჟორდანია. მის მემუარებში „ლიგა“ საერთოდ არ არის ნახსენები; აღნიშნულია მხოლოდ, რომ „ჩემი ამხანაგები ვარშავაში, ქართველი და არაქართველი, ყველა დაიჭირეს; მოსალოდნელი იყო ჩემი დაჭერაც, რადგან მათთან მქონდა მიწერ-მოწერა.“ ამის გამო ბათუმიდან ევროპაში გავემგზავრე. ორი თვის შემდეგ კი ლანჩხუთში ბრძანება მოსულა ჩემი

დაჭერის შესახებ. „კარგ დროზე გავასწარი“, - იგონებდა ნ. უორდანია (უორდანია 1990: 25).

ქუთაისის ყრილობამ 8 საკითხი განიხილა. მაოგან გამოეყო ფთ რამდენიმე პრიორიტეტულს: უნდა შეიქმნას თუ არა ქართველ სტუდენტთა საერთო წრე; ესაჭიროებათ თუ არა სტუდენტებს თავიანთი ბეჭდვითი ორგანო და როგორი უნდა იყოს მისი შინაარსი; როგორ ესმით სტუდენტებს ეროვნული საკითხი; როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ქართველებს სომხებისადმი და როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს ქართველმა სტუდენტობამ რუსეთის საქმეებისადმი (გიორგაძე 1929: 101; შველიძე 1969: 50).

საერთო სტუდენტური წრის შექმნის საკითხზე დელეგატები ვერ შეთანხმდნენ. უმრავლესობამ მიიჩნია, რომ სტუდენების იმპერიის მასშტაბით გაფანტულობის გამო მათი ერთ ორგანიზაციად მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. გადაწყდა, სხვადასხვა ქალაქში არსებულ წრეებს ემოქმედათ დამოუკიდებლად; განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე ურთიერთშეთანხმებისათვის საკმარისი იქნებოდა, ყოველწლიურად, არდადეგების პერიოდში, სამშობლოში ჩამოსული სტუდენტების საერთო კრების გამართვა. ამ საქმის ორგანიზებისათვის, ყოველ წრეს თითო მუდმივი წარმომადგენელი და ორ-ორი კანდიდატი უნდა გამოეყო.

სტუდენტთა ბეჭდვითი გამოცემის საჭიროებას ყრილობაზე კამათი არ გამოუწვევია. შეთანხმდნენ ლიტერატურული კრებულის დაარსებაზე, რომელსაც ორი განყოფილება ექნებოდა: 1. ბელეტრისრიკა და 2. მეცნიერება. კრებულში უმთავრესად სტუდენტთა პუბლიკაციები უნდა დაბეჭდილიყო, თუმცა არ იკრძალებოდა არც გარეშე პირების ნაწარმოებების გამოქვეყნებაც.

აქ აუცილებელია აღვნიშნოთ ის აზრთა შეურიგებლობა, რომელიც ხსენებულ საკითხზე სტუდენტთა შორის ყრილობის წინა პერიოდში გამართული მიმოწერისას გამოიკვეთა. ოდესის წრის წევრებს სურდათ, სტუდენტურ ჟურნალში თანამშრომლობა ეთხოვათ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ხიზანიშვილისა და უფროსი თაობის სხვა მწერალ-მოღვაწეთათვის. ამ მოსაზრების წინააღმდეგ კატეგორიულად გაილაშქრეს ვარშავის წრის წევრებმა. განაცხადეს, რომ სტუდენტურ გამოცემაში ვინმეს მოწვევა საჭირო არ არის - გარეშე პირებს შეუძლიათ, გამოგვიგზავნონ თავიანთი სტატიები, მაგრამ მათი

გამოქვეყნება რედაქციის შეხედულებაზე იქნება დამოკიდებული (შველიძე 1969: 28).

ეროვნული საკითხის განხილვისას, სტუდენტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ერის ცნებასა და ერის დამახასიათებელ ნიშნებზე მსჯელობას. საბოლოოდ მივიდნენ შემდეგ ფორმულირებამდე: „ერი არის სულიერი ერთობა ადამიანთა ჯგუფებისა, რომელთა საერთო სვედრია მიზნის ერთობლიობა, რომლებიც შეკავშირებულნი არიან საერთო ენით, ურთიერთ-სიყვარულით, ჩვეულებით, თვისებებითა და წარსულით". ყრილობის მონაწილეებს უდავოდ ულიარებიათ, რომ ერისათვის „მთავარი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიას". პიროვნების ეროვნული კუთვნილების განსაზღვრაში რასას ან დინასტიას არსებითი როლი არ უნდა მიენიჭოს. ამ მხრივ მნიშვნელობა დაკარგა აგრეთვე სარწმუნოებამაც. დელეგატების აზრით, სარწმუნოება სალხის ცხოვრების უარყოფით მხარედ იქცა და იგი არ შეიძლება, განხილულ იქნას ერის დამახასიათებელ ნიშნად (ბენდიანიშვილი 1980: 155).

სომხებთან დამოკიდებულების საკითხში ყრილობამ რაიმე საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო, მსჯელობისას კი აზრი ორ ნაწილად გაიყო. უმრავლესობის წარმოდგენით, ქართველებსა და სომხებს სხვადასხვა ეროვნული მიზნები გააჩნდათ. სომხების მთავარი მისწრაფება - ოსმალეთის უღლისაგან განთავისუფლება, ცარიზმის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ქართველი და სომეხი ხალხების ერთობლივი ბრძოლის პერსპექტივას არ თანხვდებოდა. უმცირესობა ძირითად აქცენტს სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლაზე აკეთებდა და მიიჩნევდა, რომ კლასობრივი მტრის - თვითმპყრობელობის დასამარცხებლად, საჭირო იყო სომეხი და ქართველი ხალხების ჩაგრული ფენების ძალთა გაერთიანება (შველიძე 1969: 58-59).

„რუსეთის საქმეებში" ქართველების ჩართვა-არ ჩართვის საკითხმაც ქუთაისის ყრილობაზე ცხარე დისკუსია და კამათი გამოიწვია. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, კენჭი უყარეს წინადადებას: „რომელი უფრო სასარგებლო იქნება: რუსეთის ორგანიზაციებში მონაწილება თუ პირიქით, სამშობლოში დამოუკიდებლად მუშაობა?"

15-მა დელეგატმა ხმა რუსეთის ორგანიზაციებში მონაწილეობის წინააღმდეგ მისცა, ხუთმა კი საპირისპირო პოზიცია გამოხატა. უმრავლესობის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა შეხედულებას, რომ „ქართველებს არ შეგვიძლია, მივუმხროთ რუსეთის ამბებს, რადგან ჯერჯერობით თვით რუსეთის ინტელიგენციასაც

არ ესმის გარკვევით თავისი მიზნები და ამოცანები“ (შველიძე 1969: 61).

ყრილობის დასრულების შემდეგ შედგა მისი მუშაობის ამსახველი ვრცელი ანგარიში, რომელიც ყველა ქართულ სტუდენტურ წრეს დაეგზავნა. ყრილობის გადაწყვეტილებით, წრეებს წინადადება მიეცათ, ამ ანგარიშის საფუძველზე მოემზადებინათ ერთიანი პროგრამა და წესდება.

ქუთაისის ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომ სტუდენტურ წრეებს შეერჩიათ მუდმივი წარმომადგენლები საერთო საქმიანობის გასაძღოლად, მკვლევართა ნაწილს საშუალებას აძლევს ქართველ სტუდენტთა „საერთო წრის“ ჩამოყალიბება მომხდარ ფაქტად მიიჩნიოს და იგი „ფართო პოლიტიკური ორგანიზაციის ან თუნდაც პარტიის შექმნის თვალსაზრისით, სერიოზულ ცდად“ აღიქვას (შველიძე 1969: 54).

ზოგიერთი უფრო დაბეჯითებითაც აცხადებს: „ყრილობის მთავარი შედეგი ის იყო, რომ შეიქმნა სტუდენტთა ფარული ორგანიზაცია - „საქართველოს თავისუფლების ლიგა.“ ეს იყო ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც თავის უპირველეს მიზნად საქართველოს სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა (შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: 8).

მეტი სიზუსტისათვის, უმჯობესია, დაველოდოთ გამოძიების მასალებს, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ქუთაისის ყრილობა შეადგენს „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საფუძველს. ამ მასალების მიხედვით, ქუთაისში მიულიათ დადგენილება, რომ სტუდენტთა ყრილობები ყოველწლიურად უნდა მოეწყოს და, რომ ახალგაზრდების მიზანს შეადგენს სამშობლოს სამსახური, რომელიც „უნდა გამოიხატოს საქართველოს განთავისუფლებაში რუსეთის ბატონობიდან“ (გიორგაძე 1929: 102), მაგრამ არ მიუღიათ ორგანიზაციის ფუძემდებლური დოკუმენტები -- პროგრამა და წესდება. მათი შემუშავება, როგორც ჩანს, მიენდო ეარშავის წრეს, რაც კიდევაც განახორციელა წრის წევრთა მიერ საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ (შველიძე 1969: 69).

წარმოდგენილი ორივე დოკუმენტის პროექტი ეარშავის ქართველ სტუდენტთა წრის საერთო კრებამ 1893 წლის მარტის დასაწყისში განიხილა და დაამტკიცა. სახელწოდება „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“ პირველად სწორედ ამ დოკუმენტებში გვხვდება.

ლიგის პროგრამა და წესდება დაეგზავნათ ქართველ სტუდენტთა სხვა წრეებს. დოკუმენტურად ვიცით ასევე, რომ ოდესის წრემ ისინი ძირითადად მოიწონა (ბენდიანიშვილი 1980: 156-157).

ცნობილია, რომ 1893 წლის იელისში, თბილისში „ლიგის“ მეორე ყრილობა გაიმართა. უანდარმერიის მასალებში ამ ყრილობის შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ გაეითვალისწინებთ, რომ მის მოწვევას წინ უსწრებდა მომავალი ორგანიზაციის ფუძემდებლური დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ზოგიერთმა წრემ მოიწონა, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისის ყრილობა ლიგის პროგრამასა და წესდებას დაამტკიცებდა (მსგავსი თვალსაზრისი ადრეც იყო გამოთქმული. იხ. გრძელიძე 2000: 25).

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, „ლიგის“ მთავარი მიზანი საქართველოს განთავისუფლება იყო. საქართველო დაჩაგრულია, ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ენის, ადათ-წესების, თავისი მიწა-წყლის დაკარგვის საფრთხე, - ნათქვამია „ლიგის“ პროგრამაში. ქართველობა, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, არაერთგზის ყოფილა მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამოსავალი მოუნახავს. მას არც ახლა დაუკარგავს იმედი. „ლიგა“ ეცდება, შეუქმნას საქართველოს ბედნიერი მომავალი, ხელი შეუწყოს მის გამოსვლას სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. დარასმოს ქართველი ხალხი თავისუფლებისათვის საბრძოლველად, აღნიშნულია იქვე (გრძელიძე 2000: 41-43).

„ლიგის“ პროგრამიდან ირკვევა, რომ სტუდენტთა ნაწილს სამშობლოს დამოუკიდებლობა იმპერიის ჩაგრულ ერებთან შეკავშირებითა და ერთობლივი ძალისხმევით წარმოედგინა. ახალგაზრდებს ბრძოლის დროშა იმ მომენტში უნდა აღემართათ, როცა რუსეთი რაიმე „საშინაო ან საგარეო მიზეზით დასუსტდებოდა“; მანამდე კი, მთავარი ყურადღება ხალხის გონებრივ განვითარებას, სუვერენული ცხოვრებისათვის ერის მომზდებას უნდა დათმობოდა.

ლიგა არა მარტო ქართველი ხალხის განთავისუფლებას ესწრაფვოდა კოლონიალიზმის ბორკილებისაგან, არამედ კავკასიის ხალხების მიერ დამოუკიდებლობის მიღწევის და ერთიან ფედერაციაში მათი შეკავშირების მიზანსაც ისახავდა (შველიძე 1969: 73; გრძელიძე 2000: 38).

ზოგიერთი ავტორის აზრით, ორგანიზაციის წევრთა „მსოფლმხედველობითი სხვადასხვაობა იყო იმის ერთ-ერთი მთავარი

მიზეზი, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ვერ გადაიქცა მონოლითურ ორგანიზაციად, ერთიან პარტიად“ (ბენდიანიშვილი 1980: 163). არსებობს სრულიად საპირისპირო შეხედულებაც, რომლის მიხედვით, „თავისუფლების ლიგა“ „სწორედ რომ მონოლითურ ორგანიზაცია იყო“ (ურუშაძე 2007: 11).

წინააღმდეგობრივია ასევე „ლიგის“ იდეური მიმართულების შეფასების საკითხიც. ისტორიკოსი საქარია შეულიძე მიიჩნევდა, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ იყო „რაზნოჩინელი ახალგაზრდების უკანასკნელი ხალხოსნური ფარული საზოგადოება“ და „სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისაკენ მიმავალი პირველი ორგანიზაცია საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (შეულიძე 1969: 6). იმავე ავტორის ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაბეჭდილი სტატიის თანახმად, „ლიგამ“ თვალსაჩინო როლი ითამაშა ამიერკავკასიაში განმათავისუფლებელი მოძრაობის რაზნოჩინული ეტაპიდან პროლეტარულზე გადასვლაში (ქსე, ტ. 4, გვ. 569).

ლ. ურუშაძის აზრით, „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი, მარქსისტული და სოციალ-დემოკრატიული დოგმებისგან თავისუფალი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო (ურუშაძე 2009:). ა. ბენდიანიშვილს „ლიგა“ „ეროვნულ-რევოლუციური პარტიის ჩანასახად“ წარმოედგინა (ბენდიანიშვილი 1980: 163). ე. გურულის მიხედვით, „ლიგა“ არ იყო პარტიული ორგანიზაცია, არ გამოდიოდა რომელიმე კლასის იდეოლოგად“ (გურული 1993: 182) და სხვ.

უფრო სწორი იქნება თუ „ლიგას“ ფორმირების პროცესში მყოფ სტუდენტურ არალეგალურ ორგანიზაციად განვიხილავთ. იგი დაეფუძნა როგორც ქართულ (საზოგადოება „უღელი“), ისე რუსეთის იმპერიის სტუდენტური მოძრაობის გამოცდილებას და არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის თანადროულ აღქმებს. ძირითადად ამ აღქმათა ნაირგვარობა განაპირობებდა „ლიგის“ წევრთა შეხედულებების სხვადასხვაობას დასახული მიზნის მიღწევის გზების, ფორმებისა და საშუალებების შესახებ. იგივე უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზადაც, რომ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ პროგრამა, როგორც განსხვაებულ მსოფლმხედველობათა კომპრომისული შერწყმის ნაყოფი, ერთგვარი ეკლექტიზმით გამოირჩევა.

„თავისუფლების ლიგის“ იდეური პროფილის უფრო ზუსტი განსაზღვრა ძნელდება, რადგან „ლიგას“ პრაქტიკული მუშაობის გაშლა არ დასცალდა. ჟანდარმერიამ მალევე მიაგნო მის კვალს

და ორგანიზაციის საქმიანობა თითქმის ჩანასახშივე აღკვეთა. ამის შესახებ მოგვიანებით პარიზში გამომავალ ფრანგულ პერიოდულ გამოცემაში, გაზეთ „ევროპენ"-შიც კი იყო აღნიშნული (საქართველო 1903: 6). „ლიგის" საქმესთან დაკავშირებით, 20-ზე მეტი ქართველი სტუდენტი დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებოდათ სახელმწიფო ღალატში, არსებული წყობილების დამხობის მიზნით, ფარული ორგანიზაციის შექმნასა და „მაუნე აზრების" გავრცელებაში. ძიება ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, რის შედეგადაც, იმპერიის იუსტიციის სამინისტროს დასკვნაში ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ „თავისუფლების ლიგის" ქველა გადაწყვეტილება „უდავოდ მთავრობის საწინააღმდეგოა" (შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: 21). მიუხედავად ამისა, მეფის ხელისუფლება მოერიდა საქმის ზედმეტ გახმაურებას, იგი რეაგირებისათვის სასამართლოს არ გადასცა და სტუდენტებს მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელი აკმარეს.

„თავისუფლების ლიგაში" მონაწილეობა ბევრი ქართველი სტუდენტისათვის ერთგვარი წრთობა აღმოჩნდა სამომავლო საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ლიგის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი XX საუკუნის დამდეგიდან აღმოცენებულ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში გაერთიანდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ამა თუ იმ ორგანიზაციის ლიდერადაც მოგვევლინა.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1964: აბაშიძე გ. კიტა აბაშიძის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა, ნაკე. 1, თბ., 1964.

აბზიანიძე 1959: აბზიანიძე გ. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959.

ბენდიანიშვილი 1980: ბენდიანიშვილი ა. ეროვნული საკითხი საქართველოში. 1801-1921, თბ., 1980.

გიორგაძე 1929: გიორგაძე გ. თეითმპყრობელობა და რევოლუცია. საბუთები რევოლუციური მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში (1870-1902), წგნ. 1, ტფ., 1929.

გუკოვსკი 1945: Гуковский Г. А. Университет в 1835-1863 гг. - წიგნში Ленинградский университет 1819-1944, М., 1945.

გურული 1993: გურული ე. პოლიტიკური აზროვნების ისტორიიდან (მეცხრამეტე საუკუნის დასასრული და მეოცე საუკუნის დამდეგი), ჟურნ. „განთიადი“, 1993, 9-10.
გუსიატნიკოვი 1971: Гусятников П. С. Революционное студенческое движение в России 1899-1907, М., 1971.
ზურაბიშვილი 1962: ზურაბიშვილი ივ. კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962.
ლასხიშვილი 1988: ლასხიშვილი გ. მემუარები, თბ., 1988.
მანსვეტაშვილი 1936: მანსვეტაშვილი ი. მოგონებანი. ნახული და გაგონილი, თბ., 1936.
მახარაძე 1923: მახარაძე ფ. როგორ გავხდი მარქსისტი, თბ., 1923.
მესხი 1940: მესხი დ. მოგონებები, თბ., 1940.
მოროზოვი 1933: Морозов Н.А. Повесть моей жизни, т. 2, М., 1933.
ნიკოლაძე 1873: ნიკოლაძე ნ. ახალი ახალგაზრდობა, ჟურნ. „კრებული“,1873, №1.
ნიკოლაძე 1984: ნიკოლაძე ნ. მოგონებები, თბ., 1984.
ნიკოლაძე 1932: ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები, II, თბ., 1932.
ჟორდანია 1990: ჟორდანია ნ. ჩემი წარსული, თბ., 1990.
საქართველო 1903: გაზეთი „საქართველო“, პარიზი, 1903 წ., № 4.
სახოკია 1984: სახოკია თ. ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1984.
ტაბატაძე 2013: ტაბატაძე ე. ქალთა ემანსიპაცია მე-19 საუკუნეში http://megobariblogi.wordpress.com/2013/06/21/
ურატაძე 1939: ურატაძე გ. საზოგადოებრიეი მოძრაობა საქართველოში. 1821-1921, პარიზი, 1939.
ურუშაძე 2009: ურუშაძე ლ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა რაობისათვის
http://burusi.wordpress.com/2010/04/28/levan-z-urushadze-3/
ურუშაძე 2007: ურუშაძე ლ. გიორგი დეკანოზიშვილის პოლიტიკური ბიოგრაფიისათვის („საქართველოს თავისუფლების ლიგა" და „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია.“ 1890-1906 წწ.), ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2007, № 13.
ფირცხალავა 1988: ფირცხალავა ს. მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988.
შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: შველიძე დ. გაფრინდაშვილი გ. გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2010.
შველიძე 1969: შველიძე ს. რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა“, თბ., 1969.
ჭავჭავაძე 1961: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, ტ. X, თბ., 1961.

ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V, თბ., 1991.
ყაზბეგი 1873: ყაზბეგი ე. პეტერბურგიდან, გაზ. „დროება“, 1873 წ., 11 მაისი.

ქეთევან ნინიძე

ქალთა ლიტერატურული საქმიანობა საქართველოში

(მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის ქვეყნებსა და რუსეთის იმპერიაში ზოგადი განათლების რეფორმამ, აგრეთვე, სხვადასხვა წერილობითი და ბეჭდვითი ლიტერატურული პლატფორმების (წიგნი, პერიოდული პრესა) განვითარებამ მსოფლიო ახალი კულტურული გამოწვევების წინაშე დააყენა. მეხსიერების, ცოდნის, აზროვნებისა და სიტყვიერების განვითარების ზეპირი ტრადიცია ლიტერატურულმა, წიგნიერმა ფორმამ ჩაანაცვლა. აღნიშნული პროცესი საქართველოში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა საგლეხო რეფორმის შემდეგ, ფეოდალური საზოგადოების რღვევის პირობებში.

ქალს საქართველოში, სხვა კულტურულ ფუნქციებთან ერთად „განმანათლებლის“ როლი ეკისრებოდა, მისი მისია იყო ნაციონალური იდენტობის დაცვა და შენარჩუნება. ქალები საუკუნეების მანძილზე ზეპირად ფლობდნენ „ვეფხისტყაოსანს“, სადაც აკუმულირებული იყო ჩვენი კულტურული იდენტობა – ქართული ენა და გარკვეული ღირებულებათა სისტემა. საქართველოში რუსთველის პოემა ავტორიტეტულობის თვალსაზრისით, ბიბლიის შემდეგ მოიაზრებოდა და „წმინდა წიგნად“ ითვლებოდა. ამ ტექსტს კი, როგორც კულტურის მეხსიერებას, ქალები დაიუნჯებდნენ და თაობიდან თაობას ზეპირად გადასცემდნენ.

ქალის ამ ფუნქციის ინტერპრეტაციისთვის შეგვიძლია, მიემართოთ „დედაბოძის“ ეთნოკულტურულ პარადიგმას, საერ-

დენს, რომელზედაც დაშენებულია ოჯახის, უფრო ფართო გაგებით კი - კულტურის სტრუქტურა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალის ეს ფუნქცია შუა საუკუნეებში, უმეტესად, კერძო სფეროზე, ოჯახის „მოედანზე“ ერცელდებოდა. მე-19 საუკუნეში საქართველოში განათლება ოჯახურ საზღვრებს გასცდა და საჯარო სფეროში განვითარდა. ქალები ახალი გამოწვევის წინაშე დადგნენ – შეინარჩუნებდნენ თუ არა „განმანათლებლის“ ისტორიულ ფუნქციას.

მე-19 საუკუნეში ქართველი ქალები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა იმ საქმეში, რაც საყოველთაო, საჯარო განათლების ახალი ფორმის – წიგნიერების განვითარებისკენ იყო მიმართული. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მმართველ ორგანოში – გამგეობაში, – მამაკაცი ინტელექტუალების გვერდით, წარმოდგენილნი იყვნენ ქართველი ქალები. ისინი ჩართულნი იყვნენ, ან წარმართავდნენ საბიბლიოთეკო და პედაგოგიურ საქმიანობებს, თანამშრომლობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, როგორც კარგი მწერლები, კრიტიკოსები, პუბლიცისტები. მართალია, ისინი არ ქმნიდნენ პოლიტიკას, მაგრამ წარმოადგენდნენ, უდავოდ, ანგარიშგასაწევ ძალას განათლების სფეროში. როგორც ჩანს, მათმა ისტორიულმა ფუნქციამ ხელი შეუწყო ქალებს, განათლების პრეხებს გადაჰყოლოდნენ კერძო, პრივატული სიბრტყიდან საჯარო სფეროში. სხვა გზით მათ, სავარაუდოდ, გაუჭირდებოდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავის დამკვიდრება.

ქალთა სპეციალური გაზეთები საქართველოში მოგვიანებით, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან გაჩნდა. თუმცა, ქალები მე-19 საუკუნეშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ პერიოდულ პრესასთან - პოპულარულ გაზეთებთან: „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მნათობი“, „კვალი“ და სხვ. თუკი გაზეთი „დროება“ გამოირჩეოდა ქალთა საკითხების გარშემო აქტუალური, ხშირ შემთხვევაში მწვავე პუბლიკაციებით, საინტერესო კორესპონდენციებით, რომლებიც ზედმიწევნით ასახავდა მსოფლიოში ქალთა ემანსიპაციის პროცესებს, გაზეთები - „ივერია“ და „კვალი“ განსაკუთრებით წაახალისებდა და თანამშრომლობისკენ მოუწოდებდა ქალ ავტორებს. ქართული ლიბერალური პრესა ქალებს შეუსღუდავად უთმობდა ბეჭდვით პლატფორმას. ისინი მუშაობდნენ, როგორც ჟურნალისტები და მიმოიხილავდნენ ქალთა მოძრაობებს მსოფლიოს მასშაბით, ერთვებოდნენ ქალთა

საკითხების გარშემო მწვავე პოლემიკაში, როგორც პუბლიცისტები, გამოაქვეყნებდნენ თავიანთ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურას.

ჯერ კიდევ „ცისკარმა“ 1850-იანი წლების ბოლოდან ხელი შეუწყო ბარბარე ერისთავ-ჯორჯაძეს, ჩამოყალიბებულიყო, როგორც პირველი ქართველი პუბლიცისტი ქალი და ერთ-ერთი პირველი, როგორც მწერალი ქალი. ის ჯერ კიდევ 1858 წლიდან თანამშრომლობდა ჟურნალთან და 90-იან წლებში უკვე თავისი ორიგინალური პროზაული ნაწარმოებებითა და პუბლიცისტიკით გაზეთებში - „დროება“, „ქვალი“, „ივერია“ და „ჯეჯილი“ წარდგებოდა მკითხველის წინაშე. ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნის პოპულარული პუბლიცისტური წერილი „ორიოლე სიტყვა ყმაწვილი კაცების საყურადღებოდ“, რომელიც საუკუნის მიწურულს, 1893 წელს გაზეთი „კვალის“ აპრილის ნომერში (№ 16) დაიბეჭდა და ლექსი „კაცებს“, რომელიც 1894 წლის ამავე გამოცემის 47-ე ნომერში გამოქვეყნდა. ორივე ზემოაღნიშნული ტექსტი ფემინისტური იდეების გაელენითაა დაწერილი და მიუხედავად იმისა, რომ არ გამოირჩევა ესთეტიკური ღირებულებით, ქალთა საკითხის შესწავლის ისტორიაში უდაოდ საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს. ბარბარე ჯორჯაძემ თავისი აქტიური და მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობით დაიმკვიდრა აღგილი ქართული საზოგადოებრიობისა და ლიტერატურის ისტორიაში.

საინტერესოა შვეიცარიაში განათლების მისაღებად წასულ ე.წ. „ურს სტუდენტ ქალთა“ - ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის, ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი-მესხის, ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძისა და მათი თანამოაზრეების – ეკატერინე გაბაშვილის, ელენე ყიფიანისა და სხვათა მიერ 1872 წელს დაარსებული ქალთა წრის მუშაობა. ორგანიზაცია, სწორედ, ქალთა ლიტერატურული საქმიანობის განვითარებაზე იყო მიმართული. წრის თაოსნობით, ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა კრებული „თარგმანნი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“. ეს კრებული ქალ მწერალთა და მთარგმნელთა დამოუკიდებელი ლიტერატურული საქმიანობის პირველი პროდუქტი იყო. კრებულში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ენებიდან თარგმნილი მსოფლიო ლიტერატურის საინტერესო ნიმუშები. აღნიშნულ პერიოდს გაზეთ „დროების“ 1872 წლის მე-2 ნომერში იხსენებს ეკატერინე გაბაშვილი: „რაგვარი ენერგიით და როგო-

რი ხალისით შევუდექით საქმეს! როგორი გამჭრიახობი გეხელმძღვანელობდა ტასო, როგორ გვაჩქარებდა და როგორ თავდადებას ინენდა თარგმანების გამოცემაში. შემდეგ დავიწყე სახალხო საკითხავი წიგნაკების და სხვათა გამოცემა, რაც ისე საჭირო და დროული იყო მაშინ". აღსანიშნავია ისიც, რომ კრებული დაიბეჭდა ეკატერინე მელიქიშვილის სტამბაში. კეკე ცნობილი გამომცემლის, სტეფანე მელიქიშვილის და იყო და ხელმძღვანელობდა საკუთარი ოჯახის კერძო სტამბას. ის იყო პირველი ქართველი მესტამბე ქალი საქართველოში. ეკატერინე მელიქიშვილი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთანაც", სადაც მან 1871 წელს გამოაქვეყნა შკლარეესკის მოხრობის „ქალის შრომის" საკუთარი თარგმანი, 1872 წელს კი – მიმოხილვითი კელეეა - „მეთერამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები". ამავე ხასიათის ნარკვევია ნინო ყიფიანის „ქართველი ქალების მოღვაწეობის მიმოხილვა", რომელიც საუკუნის მიწურულს, 1896 წელს დაიბეჭდა.

საინტერესოა მე-19 საუკუნის 70-80-იანი წლების მოღვაწე ქალის - ელენე ყიფიანის ლიტერატურული საქმიანობა. მან 1885-1886 წლებში გამოაქვეყნა ჰიუგოს „პარიზელი ბიჭის", როსელის „უკანასკნელი წლების", მოლიერის „პრანჭია ქალების", ლუიზა განიორის „მამულის სამაგალითო შვილის" საკუთარი თარგმანები. მისი ინიციატივით 1889 წელს გამოვიდა ჟურნალი „ქართული ბიბლიოეკა", რომელმაც ერთ წელიწადს იარსება.

მე-19 საუკუნის ქართველ ლიტერატორ ქალთა შორის გამორჩეულად საინტერესო ფიგურაა დომინიკა ერისავი, იგივე განდეგილი (ფსევდ.), რომელსაც ქართველ ჟორჟ სანდს უწოდებდნენ. განდეგილმა სამწერლობო საქმიანობა ლექსების წერით დაიწყო და მისი პირველი პოეტური ტექსტი - „ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების გამო" 1893 წელს ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში" გამოაქვეყნა. მანვე დომინიკა ერისთავი გაზეთ „ივერიის" სარედაქციო კოლეგიის თანამშრომლადაც მიიწვია. დომინიკა ერისთავი გაზეთთან თანამშრომლობდა, როგორც კორექტორი, რადგან ის ქართული ენის კარგი მცოდნე იყო. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში განდეგილმა დაწერა რამდენიმე ორიგინალური პროზაული ტექსტი – „გოგია", „იის კონა", „გეირგეინი", „საშინელი ღიმილი", „ურწმუნო ბოშა" და სხვ. თუმცა, აღიარება მოუტანა მოთხრობამ „მარინე". ამის შემდეგ, 1902 წელს, დომინიკა ერისთავმა თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან", ილია ჭავჭა-ვაძის რედაქტორობით.

განდეგილს, ასევე, თარგმნილი აქვს ჰაინეს, რილეევის, ტურგენევის, გორკის, კუპრინის, მარკიზ სონიესა და სხვათა ნაწარმოებები. იგი იყო აქტიური პუბლიცისტიც და „იერიონის“ გარდა თანამშრომლობდა გამოცემებთან - „ცნობების ფურცელი“, „ქალი“, „თემი“, „ფასკუნჯი“, „სახალხო ფურცელი“, „ალმანახი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ. დომინიკა ერისთავის საინტერესო ცხოვრებიდან ვიცით ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - მას მიმოწერა ჰქონდა ცნობილ ინდოელ პოეტთან, რაბინდრანათ თაგორთან, რომელთანაც შეხვედრა არ დასცალდა ავადმყოფობის გამო.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საინტერესო პროზაულ ლიტერატურას ქმნის ანასტასია ერისთავი-ხოშტარია. მისი შემოქმედება ინოვაციურია იმ თვალსაზრისით, რომ მის გამოჩენამდე ქალთა პრობლემები საკმაოდ ფრაგმენტულად და არამიზანმიმართულად გაკრთებოდა ქართულ პროზაულ ჟანრებში. ამ მწერალმა ქალმა კი შეძლო და აღნიშნული საკითხების რეფლექსიას მთელი თავისი შემოქმედება მიუძღვნა. ის წერდა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე, შრომით ჩაგრვასა და დაუცველობაზე. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ ლიტერატურული მოღვაწეობა თარგმანებით („ბესო“, „ბიძია თომას ქოხი“) დაიწყო 80-იან წლებში, შემდეგ ორიგინალური ლიტერატურის შექმნას მიჰყო ხელი. თავდაპირველად ის პროზაულ მცირე ჟანრებში მუშაობდა („პატარა ნუცას სათხოვარი“, „ბატონებმა არ დაიწუნეს“, „ლაზარემ გადააჭარბა“), 1896 წელს კი ჟურნალ „მოამბე“ში“ მან დაიწყო რომანის „მოლიპულ გზაზე“ გამოქვეყნება. შემდეგი რომანი - „ბედის ტრიალი“ - მან 1901 წელს დაასრულა.

ყურადღებას იმსახურებს დრამატურგი ქალის, ეროვნებით სომეხი ნატალია ახიანი-დონდაროვას ლიტერატურული საქმიანობაც. 1897 წელს მან დაწერა პიესა „ინჟილერი, ან ლოსტური“, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა იმავე წლის „იერიონის“ მერვე ნომერში. 1898 წელს ილიამ ეს ნაწარმოები გადასცა დრამატულ საზოგადოებას, რომელმაც პიესა ქართულ სცენაზე ქართველ მაყურებელს წარუდგინა. ნატალია ახიანი-დონდაროვას სხვა პიესებია – „ფული და ხარისხი“, „გაცრუებული იმედები“, „ხან ისე და ხან ასე“, „ვაი კალმისგან“, „პოლიტიკური დურაჩკა“, „სამშობლოს ბურჯნი“, „ცოდვა“, „დეზერტირკა“, ის წერდა, სატირულ ფელეტონებსა და მოთხრობებსაც. განსაკუთრებით საინტერესოა ორიგინალური ფორმით შესრულებული ტექსტი - „ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან“, რომელიც

უკვე მე-20 საუკუნეში, 1920 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს“ დეკემბრის (№ 173) ნომერში.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ქალის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია განმანათლებლობა იყო. მე-19 საუკუნის ქართველ ინტელექტუალთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ქალისთვის მისაღები პროფესია შეიძლება, იყოს მასწავლებლობა მაშინ, როდესაც ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალებს პედაგოგიური საქმიანობა ეკრძალებოდათ. როგორც ჩანს, საბავშვო ლიტერატურის შექმნა და საყმაწვილო პერიოდიკის ორგანიზებაც საქართველოში ქალთა საქმიანობის დასაშვებ სახლვრებს არ სცდებოდა და, შეიძლება ითქვას, წახალისებულიც კი იყო. სწორედ ამიტომ, ქალთა ყველაზე მასშტაბური წარმომადგენლობა გეხვდებოდა პროვინციების დაწყებით სასწავლებლებსა და საბავშვო ჟურნალების - „ნობათის“ (1883-1885), „ჯეჯილისა“ (1890-1923) და „ნაკადულის“ (1904-1927) სარედაქციო ჯგუფებში. იყო ცალკეული შემთხვევებიც, მაგალითად, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის მაგალითი, რომელიც, როგორც რედაქტორ-გამომცემელი 1893-1904 წლებში, უძღვებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „კვალს“.

პირველი ქართული საბავშვო ჟურნალი „ნობათია“, რომლის დაარსებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს. ეს გამოცემა მცირე ისტორიას ითვლის – სულ რაი წლის მანძილზე, 1883-1885 წლებში გამოდიოდა და მისი რედაქტორ-გამომცემელი ანდრია ღულაძე იყო. თუმცა მას დიდი ამაგი დასდო ქართველმა საბავშვო მწერალმა ქალმა – ეკატერინე გაბაშვილმა, რომელიც ინტენსიურად თანამშრომლობდა გამოცემასთან. ეკატერინე გაბაშვილმა ანასტასია თუმანიშვილთან ერთად, ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. იგი ქმნიდა ორიგინალურ ქართულ საბავშვო ლიტერატურას. მისი მცირე მოცულობის პროსაული ნაწარმოებები, რომლებიც ჰუმანისტური, ლიბერალური და სოციალისტური იდეების გაცნობას განიცდის, ეთმობა დაბალი ფენების, გლეხთა, ეკონომიკურად შეჭირვებულ და მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებს. მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ხაზია მიუსაფარი და დაუცველი ცხოველების ამბები, რომლებიც აღბეჭდილია უსაზღვრო კეთილშობილებითა და ჰუმანური დამოკიდებულებებით.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ქართული საყმაწვილო ლიტერატურა წარმოდგენილია საბავშვო ჟურნალ-გაზეთების ფურცლე-

ბზე და რამდენიმე კრებულის სახით. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა 1890 წელს დააარსა საბავშვო ურნალი – „ჯეჯილი", სადაც ის 1923 წლამდე მუშაობდა. მან 1887 წელს გამოსცა პირველი ქართული საყმაწვილო კრებული „მოლა-ღური". წიგნი 46 გვერდს მოიცავდა და აერთიანებდა ფრანგული საბავშვო ლიტერატურის თარგმანებს. ანასტასია თუმანიშვილმა განაგრძო საბავშვო ლიტერატურის თარგმნა და მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გამოსცა ამაყე სერიის რამდენიმე კრებული - „თაიგული" (1921), „კონა" (1923) და „ყვავილი" (1926).

საბავშვო-საყმაწვილო ურნალი „ნაკადული" 1904 წელს გამოვიდა და მისი დამაარსებლები იყვნენ ერთ-ერთი პირველი ქართველი ექიმი ქალი, სოციალისტი - მარიამ იაკობიშვილი-დემურია და ქართველი საბავშვო მწერალი - ნინო ნაკაშიძე, რომელიც გამოცემას ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის (1910-1928) განმავლობაში რედაქტორობდა. ნინო ნაკაშიძე იყო პირველი ქართული საბავშვო თეატრის დამაარსებელი და, ამასთანავე, წლების მანძილზე, საქართველოს მწერალთა სახლში უძღვებოდა ქართული საბავშვო ლიტერატურის განყოფილებას. „ჯეჯილთან" და „ნაკადულთან" თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ირაკლი ეედოშვილი, შიო მღვიმელი, ბაჩანა. გიორგი ქუჩიშვილი და სხვები. ურნალებს დიდი ამაგი დასდო მასწავლებელ ქალთა საზოგადოებისა და ქალთა პირველი ქართული სკოლის დამაარსებელმა, მარიამ-ჯამბაკურ-ორბელიანმაც.

ქართულ საბავშვო ურნალებში ორიგინალური ლიტერატურის გვერდით, არანაკლები ინტენსიობით წარმოდგენილი იყო თარგმნილი ლიტერატურაც. მაგ., ძმები გრიმების ზღაპრები, ჩარლზ დიკენსის „სკრუჯი და მარლეო", ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხი" და სხვ. დომინირებდა იგაე-არაკის ენა, როგორც პედაგოგიკური ნარატივის ყველაზე რელევანტური ჟანრი. საბავშვო ურნალებში წარმოდგენილი საკითხავი რესურსები კონცეპტუალურად ეფუძნებოდა ერთი მხრივ, ლიბერალიზმისა და სოციალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებით წანამძღვრებს: თავისუფლება, თანასწორობა, შეწყნარება, პატივისცემა, მეორე მხრივ – ზნეობრივ ფასეულობებს: სიკეთე, ერთგულება, მზრუნველობა, კეთილსინდისიერება და მისთ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბავშვო ლიტერატურას საქართველოში საწყის ეტაპზე, გარდა წმინდად, ესთეტიკური ტკბობისა, ორგვარი, გამოყენებითი, ფუნქცია ჰქონდა: ტექსტები იყო სასწავლო მასალა დამწყებ მკითხველთათვის და ეს იყო,

ერთგვარი, „ბიბლიოთერაპიული რესურსი“, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო დაბალი ფენებისა და სხვადასხვა თემების წარმომადგენელი დაუცველი ყმაწვილების, დაავადებების მატარებელი ბავშვებისა და სხვადასხვა ხასიათის პრობლემების მქონე პატარების ტრავმების რეფლექსია, მათი განცდების იზოლირებულობის რედუცირება. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას ტრაგიკული სიუჟეტების სიუხვე, რომელიც მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ საბავშვო ლიტერატურას ახასიათებს.

ქართველ ინტელექტუალ და საზოგადო მოღვაწე ქალთა აქტივობა მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს დაგვირგვინდება ფემინისტური გაზეთით – „ხმა ქართველი ქალისა“, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრიუსელის უნივერსიტეტის სოციალლურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული – კატო მიქელაძე. გაზეთში თანამშრომლობენ ქუთაისის ქალთა კლუბის წარმომადგენლები – ბარბარე სულხანიშვილი, ნინო ნადირაძე, საფო მგელაძე, ეკატერინე ლორთქიფანიძე და სხვები. გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, შეიძლება იქვას, რომ ქალთა სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებასა და მათი საზოგადოებრივი აქტივობის წახალისებას ისახავდა მიზნად. გაზეთი ქალთა ფართო საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი და უფრო მეტად სოციალისტურ ელერადობას ინარჩუნებდა, ამის გამო აღნიშნული გამოცემა ჩვენი კვლევის არეალში არ მოგვიქცევია.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ქალების ლიტერატურული მოღვაწეობა მოიცავს საგამომცემლო, ჟურნალისტურ, პუბლიცისტურ, ორიგინალურ სამწერლობო და მთარგმნელობით საქმიანობას. ქალები საქართველოში პასუხობდნენ კულტურის უახლეს გამოწვევებს და, ცდილობდნენ, საზოგადოებრივ სტრუქტურაში მოეპოვებინათ ის ღრგანული პოზიცია, რაც მათ საჯარო სფეროში თვითგამოხატვისა და დამკვიდრების საშუალებას მისცემდა.

XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის საკითხისათვის

1881 წლის 1 მარტს, ნაროდოვოლცებმა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე სიცოცხლეს გამოასალმეს. ტახტზე მოკლული მეფის შვილი, ალექსანდრე მესამე ავიდა. მან სასწრაფოდ შეაჩერა მიმდინარე ლიბერალური რეფორმების პროცესი, რომელიც „საბჭოდისწერო შეცდომად“ გამოაცხადა და გესი თვითმპყრობელობის განმტკიცებისაკენ აიღო. ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი გაბატონდა. დაიწყო პოლიტიკური რეაქცია. ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ორი „ბოროტი“ ძალის დათრგუნვა: 1. რევოლუციური ორგანიზაციების განადგურება და 2. განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმოფხვრა.

შეკეცილ იქნა პოლონეთისა და ფინეთის ისედაც მოჩვენებითი სუვერენობა; ხმარებიდან ამოიღეს პოლიტიკური ცნებები უკრაინა, ბელორუსია, საქართველო და სხვ. ფართო გასაქანი მიეცა ლიდმპყრობელურ შოვინიზმს, გამძაფრდა კოლონიური ჩაგვრა. ცარიზმი იმპერიის სრული რუსიფიკაციის გზას დაადგა.

ასალმა იმპერატორმა გააუქმა კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომიაც და 1882 წელს, მეფისნაცვლის თანამდებობის ნაცვლად, მთავარმართებლობის აღდგენის ბრძანება გამოსცა.

კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი 1882 წლის დამდეგს რუსეთში გაიწვიეს. მთავარმართებლის პოსტზე დაინიშნა გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც 1890 წელს თავადმა შერემეტიევმა შეცვალა, ამ. უკანასკნელის ნაცვლად კი, 1896 წელს, თავადი გოლიცინი გამოიგზავნა. მათი მმართველობის დროს უკიდურესად შეიზღუდა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებებში ადგილობრივი კადრების

მიღება. აქამდეც ბიუროკრატიული სახელისუფლო სტრუქტურები ხალხისათვის სრულიად დაიხშო, უცხო და მიუწვდომელი გახდა.

გაფართოვდა საქართველოს კოლონიზაცია და მასობრივი ხასიათი შეიძინა უცხოტომელთა ჩამოსახლებამ. გამძაფრდა იერიში ქართული კულტურის, ზოგადად, სულიერების წინააღმდეგ. რუსიფიკატორებმა გამალებით შეუტიეს ყველა იმ ბასტიონს, რომელიც ეროვნული იდეოლოგიის სიმტკიცეს განაპირობებდა. რეაქციის გამორჩეულ სამიზნედ იქცა ქართული სკოლა, ეკლესია, თეატრი, პრესა, მეტადრე კი, ქართული ენა - ფუძე და ბალავარი ეროვნული ცნობიერებისა.

ხელისუფლების რეაქციულმა პოლიტიკამ საქართველოში ვერ შეანელა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პირიქით, კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ მისი ახალი აღმავლობა განაპირობა.

მოძრაობას 80-იან წლებშიც თერგდალეულები მეთაურობდნენ. მართალია, ამ დროიდან ტერმინი „თერგდალეულობა“ თანდათან გამოვიდა ხმარებიდან, რადგან იგი უკვე აღარ შეეფერებოდა ამ მოძრაობის შინაარსს, მაგრამ მიმდინარეობა დარჩა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელწოდებით (სურგულაძე 1973: 394-395). ამ მოძრაობას ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, იოანე მაჩაბლისა და სხვათა სახით ახალი თვალსაჩინო წევრები შეემატნენ. ყაზბეგი და ვაჟა მხატერული სიტყვით, იოანე მაჩაბელი კი პუბლიცისტური კალმით ემსახურებოდა ეროვნული იდეალების განმტკიცებას. პატრიოტი მოღვაწეები არა მარტო იდეურად უპირისპირდებოდნენ ცარიზმის კოლონიურ რეჟიმს, არამედ ცდილობდნენ, შეექმნათ და გაეფართოებინათ საგანმანათლებლო, კულტურული, სამეურნეო და სხვა დაწესებულებანი, ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის სულიერი ძალების შემჭიდროებას, ეროვნულ კონსოლიდაციას, საზოგადოების ზნეობრივ გაჯანსაღებას, ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა თუ პოლიტიკურ გააქტიურებას, მშობლიური ენის, ეროვნული ტრადიციების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და განვითარებას.

განთავისუფლებული სამშობლო და გაბედნიერებული საზოგადოება იყო ალექსანდრე ყაზბეგის იდეალი, „ეროვნული დამოუკიდებლობა და ადამიანური ღირსება, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი - უპირველესი და უმაღლესი საწყისები“.

ეაჟა-ფშაველას იდეალად ეროვნულ-სოციალურად თავისუფალი საქართველო ესახებოდა. „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ესე იგი ბედნიერი", - წერდა იგი (გაფრინდაშვილი 2002: 523).

საზოგადოებრივი ცხოერების აქტიური მონაწილე და მრავალი წამოწყების თაოსანი იყო ივანე მაჩაბელი. თავისი საქმიანობით მან შესამჩნევი კვალი დატოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების", დრამატული საზოგადოების, წიგნის გამომცემელი ქართველი ამხანაგობისა და სხვა დაწესებულებების ისტორიაში. მაჩაბელმა სახელი შექსპირის ქართულ ენაზე უბადლო ამეტყველებითაც უკვდავყო, რასაც მთელი თავისი ლიტერატურული მემოქმედება მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე მაჩაბლის საბანკო მოღვაწეობა. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დანიშნულება მას ილია ჭავჭავაძისაგან განსხვავებულად წარმოედგინა, რასაც ამ ორი მოღვაწის შეურიგებელი დაპირისპირება მოჰყვა.

ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს შორის ამ თემაზე გაშლილმა დისკუსიამ 90-იან წლებში საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს ხანგრძლივი პაექრობა, რომელიც ფართოდ შუქდებოდა პერიოდულ პრესაში, ქართველთა გონებრივი თვალსაწიერის გაფართოებაზე, ინტელექტუალური ცხოვრების აშკარა გააქტიურებაზე მიანიშნებდა.

ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, საზოგადოებრივი აზრის გაცხოველების, პატრიოტული შემართებისა და მებრძოლი სულისკვეთების გაღვივებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძის „იერიას", რომელიც „დროების" დახურვის შემდეგ, 1886 წლიდან, ყოველდღიურ გასეთად გადაკეთდა. „იერია" ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ერთადერთი ორგანო იყო, რომელიც მთელი საქართველოს ფიქრსა და გულისთქმას გამოხატავდა. ცენზურის მძლავრობის პირობებშიც კი იგი ახერხებდა, საკადრისი პასუხი გაეცა ქართული ერის ყველა ავისმოსურნესათვის, მართალი და იმედიანი სიტყვა ეთქვა ერთგული მკითხველისათვის.

ეროვნულ ძალთა აღიარებული ლიდერი კვლავაც ილია ჭავჭავაძე იყო. იგი განუხრელად ეროგულებდა და მისდევდა

ჯერ კიდევ 60-იან წლებში არჩეული საქართველოს თავისუფლების გზას. ილიას სჯეროდა, რომ ეროვნული თავისუფლება ერთი ხელის დაკვრით ვერ მიიღწეოდა; ამიტომაც მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ სვლას, „დინჯ, დარბაისულ და მშვიდობიან მოქმედებას“ ამჯობინებდა. ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი ერს იმაზე მეტ პრაქტიკულ ამოცანას არ უსახავდნენ, რისი განხორციელებაც კონკრეტულ ვითრებაში იყო შესაძლებელი. სახელმწიფოებრიული სუვერენიტეტის პირველ საფეხურად გონიერმა მოღვაწემ 80-იან წლებში პოლიტიკური ავტონომია წამოაყენა, რომელსაც სხვა, უკეთეს პირობებში ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ნამდვილი მიზანდასახულობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის ხელისუფლებას. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია განსაკუთრებით მტრობდა ილია ჭავჭავაძეს, - მასზე 1884 წლიდან პოლიციის ფარული მეთვალყურეობა იყო დაწესებული. საყურადღებოა ისიც, რომ ცარიზმმა ქართველ საზოგადო-ებრიობას ნება არ დარიო, 1897 წელს აღენიშნა ერის ღირსეული შვილის დაბადებიდან 60 წლის იუბილე.

მთავრობას არ დაუშლია და 1895 წელს თბილისში დიდი ზეიმით მოეწყო მხცოვანი პოეტის, რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო. უფრო ადრე, 1893 წელს უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენად იქცა განჯიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თავისი მიზანდასახულობით, ერთობ საგულისხმოა 1882 წელს მომხდარი ფაქტიც: ამ წელს, თბილისში ალექსანდრე ბატონიშვილის ეაჟი, ერეკლე ბაგრატიონი გარდაიცვალა, - პიროვნება, რომელმაც, უარი თქვა იმპერიის სამსახურზე, არ მიეყიდა დამპყრობელთ და იცხოვრა თავისუფლებაწართმეული საშშობლოს ხვედრით, - შეჭირვებით, მაგრამ ღირსებით. ერეკლე ბაგრატიონი სიონიდან მცხეთას მეფური პატივით წაასვენეს, დაკრძალვის წინ კი, ცხედრისათვის საიდუმლო მეფედკურთხევა გაუმართავთ. ამ პატრიოტული მანიფესტაციით ხალხი პატივს მიაგებდა თავის ზნეობრივ გმირს, მასთან ერთად - ეროვნული თავისუფლების სიმბოლოდ მიჩნეულ ალექსანდრე ბატონიშვილსაც და კარგა ხნის წინ დაკარგულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც (ჯანელიძე 2009: 56).

ეროვნული ერთობის შთამბეჭდავი დემონსტრაცია იყო კრწანისის ომისა და მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი ღონისძიებები და სხვ. ყველაფერი ეს ცხადყოფდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავალი გზით მიემართებოდა, ქართველი ხალხის მოქალაქეობრივი თვითშეგნება საგრძნობლად ამაღლდა და გაიზარდა.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს ხალხოსნური (ნაროდნიკული) მოძრაობაც ავსებდა. მათი პერიოდული პრესა (გაზეთი „შრომა", ჟურნალი „იმედი") ინარჩუნებდა ნაროდნიკულ პროფილს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს გამოცემები ადმინისტრაციამ აკრძალა, ქართულმა ხალხოსნობამაც დამოუკიდებელი იდეური მიმდინარეობის ელფერი დაჰკარგა. ამ მსოფლმხედველობის მიმდევართა ნაწილი, როგორც აღნიშნული გექონდა, სხვადასხვა საზოგადრებრივ დაჯგუფებაში გაერთიანდა, ნაწილმა კი თერგდალეულთა ბანაკში გადაინაცვლა.

XIX საუკუნის 90-იან წლები ქართული საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენს: „ეს იყო ერთგვარი უღელტეხილი, სადაც დაიწყო ჩვენი კულტურული ენერგიის ახალი ფორმაცია „(კოტეტიშვილი 1959: 484). ამ პერიოდში მოღვაწე ახალგაზრდების პატრიოტულმა თაობამ „შემდგომ ათწლეულებში ნამდვილი ეროვნულ-პოლიტიკური რენესანსის ეპოქა შექმნა საქართველოს უახლეს ისტორიაში" (შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: 21).

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრონტი კიდევ უფრო გაფართოვდა. სამოციანელთა თაობას სიტყვაკაზმული მწერლობის ნიჭიერი ოსტატები დაეით კლდიაშვილი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, ნაროდნიკული მოძრაობის წიაღიდან გამოსული კალმოსნები სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო არაგვისპირელი და სხვები შეუერთდნენ.

ამავე პერიოდში საზოგადოებრივი აზრი ერთგვარად გააცხოველა ახალმა დაჯგუფებამ, რომელიც გაზეთ „კვალის" ირგვლივ ჩამოყალიბდა.

1893 წელს დაარსებული „კვალი" ლიბერალური მიმართულების ორგანო იყო, რომლის ოფიციალური რედაქტორობა ანასტასია თუმანიშვილს ეკისრებოდა, სინამდვილეში კი გაზეთის მთელ საქმიანობას გიორგი წერეთელი უძღვებოდა. რუდა-

ქციამ სათანამშრომლოდ პროგრესული ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ძალები მოიწვია. პერიოდულ გამოცემაში აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და სხვების მონაწილეობამ „კვალს“ მალე გაუთქვა სახელი და პოპულარობაც მოუპოვა. „კვალის“ მესვეურებმა წინა პლანზე წამოსწიეს მრავალი საქვეყნო პრობლემა და მკითხველს მათი გადაჭრის მეცნიერულ ნააზრევზე დაფუძნებული გზები და საშუალებები შესთავაზეს.

„კვალი“ თავდაპირველად „ივერიის“ სულისკვეთებას არ ეწინააღმდეგებოდა; პირიქით, ეს გამოცემები რამდენადმე ერთმანეთს ავსებდა კიდეც. აგრამ, მას შემდეგ, რაც გიორგი წერეთელმა გაზეთში გზა გაუხსნა მარქსისტული მიმართულების ქართველ პუბლიცისტებს (ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია და სხვ.), „კვალი“ „ივერიას“ დაუპირისპირდა და მასთან პოლემიკაში ჩაერთო.

გიორგი ლასხიშვილი აღწერს ამ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილეს და შენიშნავს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე ორი ბანაკი გამოირჩეოდა: „ერთის მხრით ძველი, ეროვნული, უმთავრესად თავად-აზნაურული ინტელიგენცია, მეორის მხრით, ახალი დემოკრატიული ნაკადული - ეგრეთწოდებული „მესამე დასი“. პირველი ბანაკის ორგანო იყო ილია ჭავჭავაძის „ივერია“, ხოლო მეორის გიორგი წერეთლის „კვალი“ (ლასხიშვილი 1992: 45).

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას, ქართველი მარქსისტები აცხადებდნენ, რომ ისინი არა რომელიმე წოდების, არამედ მთელი ერის ინტერესებს გამოხატავდნენ, რაც ნაკლებად შეეფერება სინამდვილეს. მესამე დასელებს, წოდებათა განურჩევლად, მაროლაც, ერის საეროო ინტერესების დაცვა რომ ეტყვითათ, ისინი ილია ჭავჭავაძის გვერდით, მისი დროშის ქვეშ უნდა დამდგარიყვნენ, რადგან მთლიანი „ერის იდეოლოგი“ სწორედ ილია იყო (ვაჟა-ფშაველა). ნოე ჟორდანიას მოგონების თანახმად, ილია ჭავჭავაძეს კიდევაც უცდია მასთან თანამშრომლობა და ახალგაზრდა პუბლიცისტისათვის „ივერიის“ რედაქტორობა შეუთავაზებია. ნოე ჟორდანია გაემიჯნა ილიას - „ივერიის“ ნაცვლად, იგი საოავეში ჩაუდგა „კვალს“, რომელიც 1898 წლის პირველი ნომრიდან მთლიანად ქართველი მარქსისტების ხელში გადავიდა და მათი ლეგალური ორგანო გახდა (ჟორდანია 1990: 33-34).

ხსენებულ ორ ბანაკს შუა განცალკევებით იდგა ქართველი ინტელიგენციის პატარა ჯგუფი, რომელიც აერთიანებდა გიორგი სდანოვიჩს (მაიაშვილი), ალექსანდრე ნანეიშვილს, სტეფანე ჭრელაშვილს, რომანოზ და იაკობ ფანცხავებს და სხვ. მალე ამ ჯგუფს კიტა აბაშიძე, ვასილ წერეთელი, ილია ნაკაშიძე და სხვანი შეემატნენ. თერგდალეულთა ტრადიციებზე აღზრდილი ქართული კულტურის ამ ახალგაზრდა წარმომადგენელთა ერთი ნაწილი გიორგი ლასხიშვილის, ვასილ წერეთლის, ილია ნაკაშიძის, იაკობ ცინცაძის, გიორგი დეკანოზიშვილის, კიტა აბაშიძის, გიორგი ჟურულისა და სხვათა შემადგენლობით, „ივერიის“ გარშემო დაჯგუფდა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მათ „ახალგაზრდა ივერიელებსაც“ უწოდებენ (საქართველოს 2004: 214). ჯგუფის წევრები საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შესახებ რამდენადმე განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ. დააპირეს თერგდალეულთა პროგრამის კიდევ უფრო დაკონკრეტება და გაზეთის ამ მიმართულებით განახლება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ადმინისტრაციამ 1896 წლის მაისში „ივერია“ დახურა და მისი გამოცემა 8 თვით შეაჩერა.

გიორგი ლასხიშვილმა, კიტა აბაშიძემ, იაკობ ცინცაძემ და ზოგიერთმა სხვა ახალგაზრდა პუბლიცისტმა ჟურნალ „მოამბეში“ გადაინაცვლა, რომელიც 1894 წლიდან ალექსანდრე ჭყონიას რადაქტორობით გამოდიოდა.

„მოამბე“ ლიტერატურული ჟურნალი იყო, თუმცა მისი ფურცლები სოციალური ცხერადობის პუბლიცისტურ წერილებსაც ეთმობოდა. ახალი გამოცემის ირგელიე დარაზმულ პატრიოტულ მოღვაწეთა შორის გამოირჩეოდა გიორგი ზდანოვიჩისა (მაიაშვილი) და იაკობ ფანცხავას ნაწერები, რომლებშიც დასაბუთებული იყო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობა, ეროვნული ბურჟუაზიის გაძლიერებისა და განმტკიცების საჭიროება და სხვ.

„მოამბის“ ჯგუფი ცდილობდა, სოციალური და ეროვნული პრობლემის მორიგებას; ესწრაფვოდა, საზოგადოების ცნობიერებაში წინ პლანზე წამოეწია ეკონომიკური ფაქტორი. ზრუნავდა, რომ ქართველ გლეხობასა და წვრილ ბაზნაურობაში დაეშკვიდრებინათ ახალი აზროვნება. ჯგუფის წევრები ამ უკანასკნელთ მოუწოდებდნენ, „დაეწყოთ შრომა და ვაჭრობისკენ ექციათ პირი“. ამით ქვეყანაში ჩამოაყალიბებდებოდა ეროვნული ბურ-

უუაზია, შეიქმნებოდა ეროვნული კაპიტალი, რომელიც კონკურენციას გაუწევდა საეჭვოდ მომძლავრებულ უცხოური კაპიტალს..

წარსულში აშკარა ხალხოსანი, გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) 90-იანი წლებისათვის უკვე ეროვნული და სოციალური საკითხებისადმი თანაბარ დაინტერესებას იჩენდა. იგი „ბურჟუაზიულ-ეროვნული პოზიციებიდან ქადაგებდა საქართველოსათვის კაპიტალიზმის განვითარების საჭიროებას“ (შველიძე 1993: 40-41). გიორგი ზდანოვიჩისათვის „სოციალისტური იდეოლოგია ქართველი ხალხის ხსნად, მისი ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების აღორძინებად გაიაზრებოდა“ (ჭუმბურიძე 2008: 133).

ქართველი საზოგადოება გიორგი ზდანოვიჩს კარგად იცნობდა და აფასებდა. როგორც ცნობილია, „ორმოცდაათის პროცესის“ გამო, გ. ზდანოვიჩი თითქმის 7 წელი გადასახლებაში იმყოფებოდა, საიდანაც მხოლოდ 1889 წელს გამოაღწია. მემუარების წიგნში, „რაც გამახსენდა“ შალვა დადიანი წერს, რომ გიორგი ზდანოვიჩის დაბრუნებას ყველა სიხარულით ეგებებოდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და მის სადღეგრძელოს სვამდნენო (დადიანი 1959:).

1889 წელს, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა გ. ზდანოვიჩის მეტად საყურადღებო სტატია: „ძველი და ახალი თაობა და მათ გამო ლაპარაკი ჩვენში“. ამ ვრცელმა პუბლიკაციამ, რომელსაც გაზეთის 6 ნომერი დაეთმო, საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სტატია მიზნად ისახავდა თერგდალეულთა ღვაწლის განსჯა-შეფასებასა და თაობათა დაპირისპირების გააზრებას. ავტორის თვალსაზრისით, „სამოციანი წლების მოღვაწეებმა იმდენი გააკეთეს ჩვენი ღარიბი და მოუწყობელი ქვეყნისათვის. ისეთი ღრმა და წარუშლელი კვალი დააჩნიეს ჩვენი ზნეობისა და გონების წარმატების ისტორიას, რომ თვით გაბოროტებულნი და შეურიგებელნი მათნი მტერნიც კი იძულებულნი იყვნენ, მცირეოდენი ხნის შემდეგ, დადუმებულიყვნენ და პატივისცემით მოედრიკათ მუხლი მათ წინაშე“(ხომლელი 1922:).

ზდანოვიჩი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თეორიული აზროვნებითა და პუბლიცისტური საქმიანობით. „ის იყო ქართულ სინამდვილეში ბურჟუაზიული ეროვნული მიმართულების იდეოლოგი და პრაქტიკული მოღვაწე“ (შველიძე 1993: 16). როგორც საზოგადო მოღვაწე, გიორგი ზდანოვიჩი სათავეში უდგა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქუთაისის განყოფილებას და უნარიანადაც უძღვებოდა მის არცთუ ხოლ მუშაობას. პრაქტიკულ სფეროში კი იგი არჩეული იყო

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარედ და, თანამედროვეთა შეფასებით, „მისი ენერგიის, გამჭრიახობისა და ნიჭის წყალობით“ დადგა ფეხზე და გაიზარდა ეს ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი საქმე“ (ლასხიშვილი 1992: 137).

განსახილველი დროის საყურადღებო მოღვაწეა იაკობ ფანცხავა, რომელიც უფრო „ხომლელის“ ფსევდონიმითაა ცნობილი. სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო, 1887 წელს ოდესის უნივერსიტეტს ჩამოშორებული ფანცხავა სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო პუბლიცისტურ საქმიანობაში. მისი სტატიები, რეცენზიები თუ ბიბლიოგრაფიული შენიშვნები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. შეიძლება ითქვას, რომ ხომლელი ქართულ სინამდვილეში კაპიტალიზმის ერთ-ერთი მთავარი აპოლოგეტი იყო. წერდა და ასაბუთებდა, რომ „თუ არა კაპიტალიზმი, ჩვენს ქვეყანას და ერს სხვა ძალა ვერ უშველისო“. იაკობ ფანცხავას (ხომლელი) აზრით: „კაპიტალიზმს შეუძლია თანდათან წინ წასწიოს ნივთიერად ჩვენი ხალხი. ... ის წინ წასწევს ჩვენ ხალხს გონებითაც ..., ის ჩვენ ხალხს სამოქალაქო დისციპლინასა და შნოსაც შეაჩვევს“ (ხომლელი 1963: 93).

ქართული საზოგადოებრივი ძალების კიდევ ერთი გადაჯგუფება 90-იან წლებში ვალერიან გუნიას მიერ დაარსებული გაზეთის, „ცნობის ფურცლის“ ალექსანდრე ჯაბადარის ხელში გადასვლამ და გამოცემის პროგრამის გაფართოებამ გამოიწვია.

„ცნობის ფურცლის“ მრჩამსი გიორგი ლასხიშვილმა ასე განსაზღვრა: „60-ანი წლების თაობამ აღმართა ეროვნული დროშა. ჩვენ ამ დროშას ვიღებთ ხელში, მაგრამ გვინდა ის ახალ ნიადაგზე გადავიტანოთ. ეს ნიადაგი არის ახალი სოციალისტური სტრუქტურა, რომელიც მოჰყვა გლეხთა განთავისუფლებას. ძველი ფეოდალური ურთიერობა იშლება და ახალ წეს-წყობილებას უთმობს ადგილს; ქვეყანა გაევროპიელების გზას დაადგა და საისტორიო არენაზე გამოდის თვით ხალხი, მშრომელი ხალხი. ჩვენი ცდა იქნება ეროვნული იდეა შეუფარდოთ ამ ახალ სოციალურ ნიადაგს, ეროვნული დროშა გადავიტანოთ ახალ ელემენტში - ხალხში...“ (ლასხიშვილი 1992: 82).

საზოგადოების ნაწილი ამ გაზეთის პლატფორმამ მიიზიდა. სამსონ ფირცხალავა სიტყვით: „ქართველი საზოგადოებრიობა მაშინ თავმოყრილი იყო სამი პერიოდული გამოცემის გარშემო: „ივერიაში“ შემოკრებილნი იყვნენ უმთავრესად ძველი მოღვაწეები, ლიბერალები, ზომიერი ნაციონალური მიმართულების,

არსებული სოციალ-ეკონომიკური წყობილების დამცველნი. „კვალი“ ეკუთვნოდა „მესამედასელებს“ ..., ხოლო „ცნობის ფურცელი“ გამოხატავდა იმ ახალგაზრდების მისწრაფებას, რომელიც არც „ივერიას“ ეთანხმებოდა და არც „კვალს“, და ბრძოლა ჰქონდა ორ ფრონტზე. იყო ამ სამ გამოცემაში მუდმივი პოლემიკა და ერთმანეთის წინააღმდეგ გალაშქრება, ხშირად მეტად გამწვავებული“ (ფირცხალავა 1988: 37).

დავა და კამათი რამდენიმე მნიშვნელოვან, საკითხის გარშემო მიმდინარეობდა, კერძოდ: კაპიტალიზმის არსზე, რუსეთსა და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივებზე, ეროვნულ იდეალზე, სოციალიზმზე და სხვ.

ახალი მიმდინარეობის - სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები კლასთა ბრძოლისა თუ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეებს ძირითადად მუშათა წრეებში ქადაგებდნენ. „მესამე დასელების“ რწმენით, ჩვენში ამ დროს სწრაფად იზრდებოდა კაპიტალიზმი, რომელიც მალე გააპროლეტარებდა სოფელს და გამოხარშავდა გლეხს ფაბრიკის ქვაბში“ (ლასხიშვილი 1992: 48).

მარქსიზმის ქართველი პროპაგანდისტები წიგნიერებას და პოლიტიკურ კულტურას მოკლებულ მუშებს მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდნენ და წარმატების შემთხვევაში, მიწიერ სამოთხეს აღუთქვამდნენ. მთელ რიგ ობიექტურ გარემოებებთან ერთად, ამ სოციალური დემაგოგიით ახალი მიმდინარეობის მესვეურებმა მუშებზე საგრძნობი გაელენა მოიპოვეს.

სოციალ-დემოკრატებმა შეძლეს, მუშათა კლასი პოლიტიკური ბრძოლის ველზე გამოეყვანათ. მუშათა ეკონომიკურ მოთხოვნებს მძაფრი პოლიტიკური ლოზუნგები ჩაენაცვლა; მშრომელთა სტიქიურმა მღელვარებამ ორგანიზებული გაფიცვების, ხალხმრავალი დემონსტრაციებისა და ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირების ხასიათი შეიძინა.

„ივერია“ და მისი პუბლიცისტები წინანდებურად მთელი ერის ინტერესების გამოხატვას ცდილობდნენ, თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა მათ წიაღშიც შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით - ეკონომიკური საკითხების გაშუქებისას. ამ მხრივ, აღსანიშნავია კამათი სოციალურისა და ეროვნულის ურთიერთმიმართების, ეროვნული პროგრესის მეთაური ძალის განსაზღვრის შესახებ, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს, მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და გიორგი წერეთელს შორის და სხვა.

თაეის მკითხველსა და თანამოაზრეებს იჩენდა გაზეთი „ცნობის ფურცელიც“.

ქართველი სოციალ-დემოკრატების „იევრიის“ ბანაკთან მწვაეე დაპირისპირებისა და „ცნობის ფურცლის“ განახლების გარდა, XIX საუკუნის მიწურული საქართველოს ეროვნულ-განმათაეისუფლებელ მოძრაობაში ეროგვარი ცვლილებებით აღინიშნა. „ცხოერების ფერისცვალება“ თაეისებურად აისახებოდა ამ მოძრაობაზე, რომლის წიაღში თაეს იჩენდა იდეური გამიჯვნისა და ძალთა გადანაწილების მკაფიო ნიშნები. იმდროინდელ ახალგაზრდობაში „მოქმედების ტალღა იძეროდა და ახალი, უფრო პრაქტიკულად მოაზროენე ინტელიგენციის ჩანასახი იზრდებოდა ახალი სიტყვის სათქმელად და ახალი საქმის დასაწყებად“ (კოტეტიშვილი 1959: 615). ეს „ახალი საქმე“ კი საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება იყო, რომელიც ძირითადად XX საუკუნის დამდეგს დაემთხვა.

დამოწმებანი:

გაფრინდაშვილი 2002: გაფრინდაშვილი მ. ქართული საზოგადოებრივი აზროენების ისტორია უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე, თბ., 2002.

დადიანი 1959: დადიანი შ. რაც გამახსენდა, თბ., 1959. http://www.bu.org.ge/x3643

კოტეტიშვილი 1959: კოტეტიშვილი ე. ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1959.

ლასხიშვილი 1992: ლასხიშვილი გ. მემუარები, თბ., 1992.

საქართველოს 2004: საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2004.

სურგულაძე 1973: სურგულაძე ა. ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973.

ჟორდანია 1990: ჟორდანია ნ. ჩემი წარსული, თბ., 1990.

ფირცხალაეა 1988: ფირცხალაეა ს. მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988.

შეელიძე 1993: შეელიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. ნაკეეთი I, თბ., 1993.

შველიძე, გაფრინდაშვილი 2010: შველიძე დ. გაფრინდაშვილი გ. გიორგი დეკანოზიშვილი. მამულიშვილის დაბრუნება, თბ., 2011.
ჭუმბურიძე 2008: ჭუმბურიძე დ. ისტორიული პორტრეტები. დასაწყისი XX საუკუნისა, თბ., 2008.
ხომლელი 1963: ხომლელი, რჩეული ნაწერები, თბ., 1963.
ხომლელი 1922: ხომლელი, ზოგიერთი ფიქრი.
http://www.bu.org.ge/x3643
ჯანელიძე 2009: ჯანელიძე ო. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009.

ოთარ ჯანელიძე

პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე

პოლიტიკური პარტიები, როგორც თანამედროვე დემოკრატიის უცილობელი ატრიბუტი, პოლიტიკურ მეცნიერებაში ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად გაიაზრება. ძირითადად მათთანაა დაკავშირებული საზოგადოების პოლიტიკური განვითარება, პოლიტიკური აზროვნების ფორმირება და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ფასულობა, რომელიც დღეს ლიბერალური დემოკრატიის საფუძველს შეადგენს.

პირველი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა ანტიკურ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ე. წ. პროტოპარტიები სწორედ ძველ საბერძნეთსა და რომში აღმოცენდნენ. მართალია, ისინი უფრო კავშირების ან ჯგუფების სახეს ატარებდნენ, მაგრამ მაინც პოლიტიკური პარტიების ჩანასახად არიან მიჩნეული. სახელწოდება „პარტიაც“ ლათინური წარმომაელობის სიტყვაა და „ნაწილს“ ნიშნავს. ჩვეულებრივ, მასში იგულისხმება რომელიმე კლასის ან სოციალური ფენის უფრო აქტიური და ორგანიზებული ნაწილი, რომელსაც ძალუძს, გამოხატოს და დაიცვას თავის თანამოაზრეთა მისწრაფებები. პოლიტიკური პარტიის მრავალი განსაზღვრება არსებობს. მაგალითად, ბენჟამენ კონსტანის სიტყვით, „პარტია არის პიროვნებათა ერთობა, რომელიც საჯაროდ აღიარებს ერთსა და იმავე პოლიტიკურ დოქტრინას“ (Политические 2014:). ედმუნდ ბერკის მიხედვით, პარტია არის „ადამიანთა ერთობა - შექმნილი საერთო კეთილდღეობის მიღწევაზე მიმართული რაიმე პრინციპის ცხოვრებაში გასატარებლად (Бёрк 2001: 217). პარტიებს უწოდებენ დიდ სახალხო ორგანიზაციებსაც, რომლებიც ჩაბმულნი არიან სახელმწიფოს პოლიტი-

კურ სისტემაში და მის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

ლიბერალური თვალთახედვით, პოლიტიკური პარტია, უწინარეს ყოვლისა, განიხილება, როგორც იდეოლოგიური გაერთიანება (Дюверже 2000: 11). იდეოლოგიის საზოგადოებაში გავრცელების გზით, პარტია ცდილობს, შეიტანოს და დაამკვიდროს მასებში მის მიერ არჩეული პოლიტიკური მიმართულება; ამასთან, მიიმხროს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ადამიანები და უზრუნველყოს მათი კონსოლიდაცია თავის პირველად ორგანიზაციებში, როგორიცაა უჯრედი, სექცია და სხვ.

შუა საუკუნეების პერიოდის პოლიტიკურ პარტიებად განიხილავენ გველფებსა და გიბელინებს (იტალიაში), უფრო მოგვიანებით, კავალერებს, მრგვალთავიანებს, ლეველერებს, ინდეპენდენტებს, ასევე ეიგებსა და ტორებს (ინგლისში), ლიბერალებსა და კონსერვატორებს (სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში) და სხვ.

პოლიტიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის ასპარეზი გაფართოდა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის დროიდან, როდესაც, ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის კვალდაკვალ, გაჩდნენ ახალი კლასები (ბურჟუაზია, პროლეტარიატი), გამრავალფეროვნდა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა და უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა საზოგადოების ინტერესები თუ ღირებულებები. პარალელურად, ამაღლდა ხალხის განათლებისა და კულტურის დონე, ცალკეულ სახელმწიფოში შემოღებულ იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება, რამაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო ფენების ჩაბმა გააიოლა და სხვ.

პარტიების აღმოცენებას ხელი შეუწყო აგრეთვე მუშათა მოძრაობის აღმავლობამ და კოლონიური ხალხების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებამ, თუმცა ჯერ კიდევ 1850 წელს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში (აშშ-ს გარდა), პოლიტიკური პარტია, ამ ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობით, არ არსებულა (Дюверже 2000: 21).

კიდევ უფრო დაგვიანდა და რიგი თავისებურებით წარიმართა პოლიტიკური პარტიების ფორმირების პროცესი რუსეთის იმპერიაში. ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი თვითმპყრობელობის შეუზღუდავი ბატონობა, კაპიტალიზმის სუსტი განვითარება, წოდებრივი წყობილების გახანგრძლივება, მოსახლეობის პოლიტიკური უუფლებობა, მკაცრი ცენზურის არსებობა და სხვა არაერთი ფაქტორი აფერხებდა პოლიტიკური პარტიების წარმოშობას.

პარტიების შესახებ ბევრი ცნობილი მოაზროვნის, პოლიტიკური მოღვაწისა და საერთოდ, განათლებული საზოგადოების შეხედულება წინააღმდეგობრივი იყო. თუ ერთნი პარტიების მოწოდებას საერთო ეროვნული ინტერესების გამოხატვაში ხედავდნენ (ედმუნდ ბერკი), მეორენი პარტიებს თავისუფალი მთავრობების გარდაუვალ ბოროტებას უწოდებდნენ (ალექსი ტოკვილი). აღსანიშნავია, რომ ამერიკის დამფუძნებელ მამათა სოგიერთი წარმომადგენელიც პოლიტიკურ პარტიებს, უკეთეს შემთხვევაში, „აუცილებელ ბოროტებად" მიიჩნევდა. მაგალითად, აშშ პირველ პრეზიდენტს ჯორჯ ვაშინგტონს ისინი დესტრუქციულ, საზოგადოების ერთობისა და სტაბილურობის დამანგრეველ ძალად წარმოედგინა. თავის „გამოსათხოვარ მიმართვაში" იგი პოლიტიკურ პარტიებს ხელისუფლების დასამხობად და ძალაუფლების უზურპაციისათვის „გამზადებულ იარაღს" ადარებდა (Основные 2011:).

ქართული სინამდვილისათვის უარყოფით მოვლენად მიაჩნდა პოლიტიკური პარტიების წარმოშობა ილია ჭავჭავაძესაც. ფილიპე გოგიჩაიშვილის გადმოცემით, სხვა, არაერთი ქართველი პატრიოტიც „პარტიობას" სამშობლოს დამღუპველად სთვლიდა (გოგიჩაიშვილი 1906:).

მრავალი ნეგატიური შეფასების მიუხედავად, დრომ პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ იმუშავა. პარტიებმა ყართოდ დაიმკვიდრეს ადგილი სახელმწიფოთა ცხოვრებაში. ისინი თანდათან საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამაკავშირებელ რგოლად მოგეეელინენ. პარტიებს დაუკავშირდა პოლიტიკური აზროვნების ფორმირება, საზოგადოების პოლიტიკური განვითარება და სხვა, რამაც ძირეულად შეცვალა მათდამი დამოკიდებულებაც. თანამედროვე რეალობა, პოლიტიკური პარტიების გარეშე, ძნელად თუ წარმოიდგინება.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობა საქართველოში

თვითმპყრობელობის დესპოტიზმის ვითარებაში, მით უფრო - იმპერიის ისეთ კოლონიურ მხარეში, როგორიც საქართველო იყო, პოლიტიკური საქმიანობისათვის ნიადაგი ნაკლებად არსებობდა. პოლიტიკური პარტიები აქ ასპარეზზე მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოსა და XX ასწლეულის დასაწყისისათვის გამოჩნდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთსა და საქართველოშიც პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები იატაკქვეშეთში აღმოცენდნენ და არალეგალურად მოქმედებდნენ. დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ჯერ კონსერვატიული, შემდეგ ლიბერალური და ბოლოს სოციალისტური ორიენტაციის პარტიები ჩამოყალიბდნენ, რუსეთის იმპერიაში ეს პროცესი უკუღმა წარიმართა. რუსეთში სხვებზე ადრე სოციალისტური მიმართულების პარტიები შეიქმნა; მომდევნო ეტაპზე წარმოიშვნენ ლიბერალური და სულ ბოლოს კონსერვატიული მსოფლმხედველობის პოლიტიკური ორგანიზაციები.

რუსეთზე მეტად ეს მოვლენა ანომალიური საქართველოსათვის იყო. ამ სახელმწიფოებრიობაწართმეულ და ეროვნულად ჩაგრულ ქვეყანაში პირველი პოლიტიკური ძალა მარქსისტული სოციალიზმის იდეით, მუშათა განთავისუფლებისათვის დაირაზმა და არასაქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის.

პირველი ასეთი ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე „მესამე დასის" სახელწოდებით გამოვიდა. იგი იმთავითვე პოლიტიკური გაერთიანება იყო, თუმცა, ქარგა ხანს პარტიად არ გარდაქმნილა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ამგვარი წრეები და ჯგუფები იმპერიის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებშიც მრავლად აღმოცენდნენ. მათ შორის იყო 1895 წელს პეტერბურგში დაარსებული „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი" (ვ. ულიანოვი, ა. ვანეევი, ო. მარტოვი და სხვ.), რომელიც დაუკავშირდა მოსკოვის, კიევის, ვილნიუსის, ნიჟნი

ნოვგოროდისა და სხვა ქალაქების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და მათი გაერთიანების მეთაეობაც იკისრა. ამ საერთო მიმართულების ჯგუფების დელეგატები 1898 წლის 1 მარტს ქ. მინსკში მოწვეულ ყრილობაზე შეიკრიბნენ. ყრილობამ ერთიანი მარქსისტული პოლიტიკური ორგანიზაციის – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) შექმნა გამოაცხადა. აქეე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტიც, მაგრამ, პოლიციური დევნის გამო, პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების - პროგრამისა და წესდების დამტკიცება ვერ მოხერხდა (Тютюрин 2000: 198).

გაზეთ „კვალის“ გარშემო შემოკრებილ „მესამე დასელებს“ (ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი, მიხა ცხაკაია და სხვ.) ხსენებული ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რაც მცირე დროით კიდეცაც მოახერხეს. აღსანიშნაეია, რომ „მესამე დასის“ წიაღში გამოიკვეთა ორი დაჯგუფება: პირველი რამდენადმე დასაელეთ ეეროპის სოციალ-დემოკრატიის იდეებს იზიარებდა, ხოლო მეორე უპირატესობას რუსული სოციალ-დემოკრატიის შეხედულებებს ანიჭებდა.

1901 წლისათეის თბილისში, „მესამე დასისაგან“ დამოუკიდებლად, წმინდა რუსული სოციალ-დემოკრატიის მიმდეეარი „რეეოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ ჩამოყალიბდა (იოსებ ჯუღაშვილი, ლადო კეცხოეელი, აბელ ენუქიძე და სხვ.), რომელმაც ბაქოში იატაკქეეშა სტამბა მოაწყო და არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“ დააფუძნა. ამ დასის ძალისხმეეით 1901 წ. შემოდგომაზე შეიქმნა თბილისის საქალაქო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და არჩეულ იქნა მისი კომიტეტი (ვ. ცაბაძე (თაემჯდომარე), ი. ჯუღაშვილი, ს. ჯუღელი, ზ. ჩოდრიშვილი და სხვ.) (გურული, ვაჩნაძე 1999: 103-104).

ი. ჯუღაშვილის თაოსნობით, იმავე წლის ბოლოს, ასეთივე ჯგუფი ბათუმშიც ჩამოყალიბდა. 1902 წ. დამდეგისათეის თბილისისა და ბათუმის ორგანიზაციები რსდმპ დაქეემდებარებაში გადაეიდნენ. რუსულმა ორიენტაციამ იმძლავრა „მესამე დასშიც“, რაც იმითაც გამოიხატა, რომ 1903 წ. მარტში მესამე დასელებმა მონაწილეობა მიიღეს რსდმპ კაეკასიის კავშირისა და მისი კომიტეტის ფორმირებაში. მალე ამ კავშირის შემადგენლობაში ახლადჩამოყალიბებული გურიისა და იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული კომიტეტებიც გაერთიანდნენ.

რუსი მარქსისტები ვ. ულიანოვი (ლენინი), გ. პლეხანოვი, ი. მარტოვი და სხვ. კავკასიისა და მთელი რუსეთის მასშტაბით სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების, ჯგუფებისა და წრეების გაერთიანებას ესწრაფვოდნენ. მათ 1901 წ. ჟენევაში გაზეთი „ისკრა“ დააარსეს და იმპერიის ფარგლებში მუშათა ერთიანი პარტიის შექმნისათვის იწყეს სამზადისი. ასეთი ტიპის პოლიტიკურ ორგანიზაციას რსდმპ-ს სახელწოდებით საბოლოო სახე 1903 წ. ზაფხულში მიეცა, როდესაც ლონდონსა და ბრიუსელში პარტიის მეორე ყრილობა გაიმართა. მის მუშაობაში „მესამე დასის“ წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ყრილობაზე „მესამე დასი“ ორგანიზაციულად ახლად შექმნილი პარტიის შემადგენლობაში გაერთიანდა და ფაქტობრივად, მასვე შეერწყა (გურული, ვაჩნაძე 1999: 161, 174).

რსდმპ, დაარსებისთანავე, ორ ფრთად – ლენინის მომხრე ბოლშევიკებად და მარტოვის მიმდევარ მენშევიკებად გაითიშა. მიდა ფრაქციული დაპირისპირებისა და მწვავე პოლემიკის მიუხედავად, პარტია 1912 წლამდე ფორმალურად ერთიანი იყო.

ბოლშევიზმი თავს მარქსიზმის ერთ-ერთ ჭეშმარიტ გამგრძელებლად აღიარებდა. მისი მესვეურები მიიჩნევდნენ, რომ XX საუკუნის დამდეგიდან საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. ასეთ პირობებში, რუსეთის მუშათა კლასს, გლეხობასთან ერთად, ცარისტული რეჟიმის დამხობის ამოცანა უნდა ეკისრა. წარმატების შემდეგ, ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა დამყარდებოდა. რუსეთიდან პოლიტიკური რევოლუცია მთელ მსოფლიოს მოედებოდა, კლასობრიეი წყობილება ყველგან მოისპობოდა და სოციალიზმი საყოველთაოდ გაიმარჯვებდა.

კლასობრიე ბრძოლას უმაღლეს პრინციპად სახაედა მენშევიზმიც, რომელიც ასევე თვითმპყრობელობის გასაუქმებლად ირაზმებოდა. მენშევიკების საბოლოო მიზანიც საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნა იყო, ოღონდ ისინი არ გამორიცხავდნენ, რომ სოციალიზმის მიღწევა, რევოლუციურის გზის გარდა, მშვიდობიანი – საპარლამენტო ბრძოლითაც შეიძლებოდა.

ბოლშევიკებიცა და მენშევიკებიც დაუფარავად ილაშქრებდნენ ეროვნული თანხმობის საზიანოდ, აღეიეებდნენ სოციალურ შუღლსა და კლასობრივ დაპირისპირებას, იდეური განადგურებით ემუქრებოდნენ ყველა იმ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომელიც წინ ეღობებოდა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების გაერცელებას.

სოციალ-დემოკრატიის ორიენტაცია კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას ეფუძნებოდა და ეროვნულ საკითხში ნიჰილიზმს იჩენდა. ერთა თვითგამორკვევას ისინი მხოლოდ სიტყვით აღიარებდნენ. ბოლშევიკები გადაჭრით უპირისპირდებოდნენ ყოველგვარ ავტონომიას და ებრძოდნენ მის მომხრეებს. საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეა მიუღებელი იყო მენშევიკთათვისაც, რომლებიც უფრო „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისაკენ" იხრებოდნენ. ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ერთგულებით ქართველ მენშევიკთა ერთობ მცირერიცხოვანი ჯგუფი გამოირჩეოდა (ლადო დარჩიაშვილი, აკაკი ჩხენკელი, იეანე გომართელი და სხვ.).

საქართველოს სოციალ-დემოკრატიაში თავდაპირველად უმრავლესობა ბოლშევიკებმა მოიპოვეს, მაგრამ 1905 წლიდან, როგორც რაოდენობრივად, ისე მასებზე გავლენის თვალსაზრისით, მენშევიკები დიდად აღემატებოდნენ ბოლშევიკ-ლენინელებს.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი ეს მიმდინარეობა საქართველოში დამოუკიდებელი არ ყოფილა და ორგანიზაციულად საერთო საიმპერიო პარტიის ცენტრალურ სტრუქტურებს ექვემდებარებოდა.

ქართველი ბოლშევიკებიცა (ი. ჯუღაშვილი (სტალინი), მ. ცხაკაია, პ. ჯაფარიძე და სხვ.) და მენშევიკებიც (ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ე. გეგეჭკორი, ი. წერეთელი) თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ რსდმპ-ში, ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი იმპერიის მასშტაბით აღიარებულ პარტიულ ლიდერად და პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა.

სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დიდი წელილი მიუძღვის მუშა ხალხის გათვითცნობიერებაში, მათ შეკავშირებასა თუ პოლიტიკურად გაწაფვაში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარქსისტული იდეოლოგიის დამკვიდრებამ, ბოლშევიკ-მენშევიკთა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ დიდად ავნო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, შეაფერხა ერის კონსოლიდაციის პროცესი, უკანა პლანზე გადასწია და გააჭიანურა ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციები საქართველოში

ახალი პოლიტიკური მიმდინარეობის – სოციალისტ-რევოლუციონერთა იდეოლოგები ნაროდნიკული მოძრაობის ადრინდელი მიმდევრები ან მათი იდეური მემკიდრენი იყვნენ. პარტიის საფუძველი XIX საუკუნის ბოლოს იმპერიის სხვადასხვა ქალაქში აღმოცენებულმა ნეონაროდნიკულმა წრეებმა შეადგინეს, რომლებიც ნაროდნიკულ სოციალიზმს ქადაგებდნენ. რუსეთის სოციალ-ლურ-ეკონომიკური გარდაქმნის მთავარ საყრდენ ძალად ნეონაროდნიკები ხალხს, პირველ რიგში, გლეხობას მიიჩნევდნენ, ხოლო მომავალი სოციალისტური საზოგადოების საფუძველს ისინი კოოპერაციაში ხედავდნენ (Васильева 2013: 15).

თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში დაარსებულ ამგვარ წრეებში, ქართველების გარდა (მიხელ ყიფიანი, ივანე ჯაბადარი, სტეფანე ჭრელაშვილი და სხვ.), რუსი ნეონაროდნიკებიც შედიოდნენ.

ნეონაროდნიკები, თავიანი წინაპარი ნაროდნიკების მსგავსად, წინა პლანზე არა ეროვნულ საკითხს, არამედ სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას აყენებდნენ, ამიტომ მათ მიმდევართა რიცხვი საქართველოში დიდი არ ყოფილა.

ქართველმა ნეონაროდნიკებმა (იგივე სოციალისტ-რევოლუციონერებმა) ვერ შეძლეს დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება. მათი ნაწილი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში გაერთიანდა, ნაწილი კი 1902 წელს რუსეთში დაარსებული ესერთა (სოციალისტ-რევოლუციონერთა) პარტიის შემადგენლობაში შევიდა, ადგილობრივი ორგანიზაციების სახით. ესერთა პარტიის რიგებში ინტელიგენციის წარმომადგენლები ჭარბობდნენ, მათ შორის ადვოკატები, ინჟინრები, მასწავლებლები და სხვ. პარტიის თეორეტიკოსი და ხელმძღვანელი ვიქტორ ჩერნოვი იყო.

ქართველი ესერები რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკი-

დებლობის აღდგენის შემდეგ გამოეყვნენ და 1918 წლის ივნისში ცალკე პარტიად ჩამოყალიბდნენ. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა თავალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: ლეო შენგელაია, გიგო ნათაძე, ივანე ლორთქიფანიძე, ივანე და იოსებ გობეჩიები და სხვ.

ესერები ქვეყნი გლეხური მოსახლეობის ინტერესებს გამოხატავდნენ. ისინი გმობდნენ კაპიტალისტურ სინამდვილეს და რუსეთის სოციალისტური გარდაქმნისათვის იღწვოდნენ. არ უარყოფდნენ მუშათა და გლეხთა მასობრივი მოძრაობის როლს, მაგრამ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საშუალებად პოლიტიკურ ტერორს მიიჩნევდნენ. აგრარულ სფეროში ესერები მხარს უჭერდნენ მიწის სოციალიზაციას, რაც მიწის განზოგადოებას, მის სასოფლო თემებისათვის გადაცემას გულისხმობდა - შემდგომი სამართლიანი გადანაწილების მიზნით.

განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც ესერები ერთ-ერთ მრავალრიცხოვან და ანგარიშგასაწევ პარტიას წარმოადგენდნენ (1917 წლისათვის, წევრთა რაოდენობით მიღიონის გადააჭარბა, გაიმარჯვა დამფუძნებელი კრების არჩევნებში), საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე სოციალისტ-რევოლუციონერთა გავლენა უმნიშვნელო იყო. ისინი იდეურ დაპირისპირებაში კონკურენტ პარტიებს ტოლს ვერ უდებდნენ.

ესერთა საბრძოლო რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1905-1907 წლების რევოლუციაში. მომდევნო პერიოდში მათ მოღვაწეობას ცხოველმყოფელური ხასიათი და გაქანება აღარ ჰქონია.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

XX საუკუნის დამდეგის საქართველოში ფართოდ ერცელდება, ერთობ მოდური და პოპულარული ხდება სოციალისტური მოძღვრება. 1901 წლიდან, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო თავმოყრილმა ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: გიორგი ლასხიშვილმა, კიტა აბაშიძემ, არჩილ ჯორჯაძემ, თედო სახოკიამ, სამსონ ფირცხალავამ, გრიგოლ რცხილაძემ და სხვ. სცადეს ამ კოსმოპოლიტური იდეოლოგიის ეროვნულ ქართულ საფუძველზე გადაყვანა, სოციალისტურისა და ეროვნულის „შერიგება-შეთანხმება“. ეს იყო ერთგვარი შუალედური ჯგუფი თერგდალეულთა ეროვნულ მიმართულებასა და მარქსიზმის მიმდევარ „მესამე დასს“ შორის, რომელიც, გ. ლასხიშვილის სიტყვით, „პირველს უახლოვდებოდა ეროვნული იდეალით, ხოლო მეორეს - სოციალური მისწრაფებით“.

ხსენებული ჯგუფის წინამძღოლის როლს ფართო ევროპული ცოდნა-განთლებით აღჭურვილი მოღვაწე-მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძე ასრულებდა. ა. ჯორჯაძეს ეკუთვნის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია, რომელიც ერის შეკავშირება-გამთლიანების ილია ჭავჭავაძისეული იდეის გაგრძელება იყო ახალ პირობებში. ეროვნული კონსოლიდაცია, ერის თანხმობა საქართველოს სუვერენიტეტისა და აღორძინების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. ა. ჯორჯაძის აზრით, სწორედ საერთო მოქმედების ნიადაგს შეეძლო გადაეჭრა ისეთი პრობლემები, როგორიც იყო: ქართული ენისა და კულტურის დაცვა, საქართველოს მიწის ფონდისა და მეურნეობის ქართველთა ხელში შენარჩუნება, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და სხვ.

„ცნობის ფურცლელთა“ მთავარი მისწრაფება საქართველოს ეროვნული თავისუფლება, მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროდ მიიჩნიეს პოლიტიკური ორგანიზაციის – პარტიის ჩამოყალიბება. მომავალი პარტიის ხელმძღვანელი ბირთვი 1901 წლის შემოდგომისათვის შეიქმნა არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, ვლადიმერ ლორთქი-

ფანიძის, ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილების შემადგენლობით (ლასხიშვილი 1992: 87).

თავდაპირველად, არალეგალური გაზეთის თბილისში დაარსების საკითხს განიხილავდნენ, მაგრამ შემდეგ საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს დაფუძნება უცხოეთში ამჯობინეს და საამისოდ წარმომადგენლები საფრანგეთში გაგზავნეს.

1903 წლის 1 მაისს, ა. ჯორჯაძისა და გ. დეკანოზიშვილის თაოსნობით პარიზში დაიწყო გაზეთ „საქართველოს“ გამოცემა. ეს იყო ეროვნულ-პოლიტიკური მიმართულების ორკვირეული ორგანო, რომელიც ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა და საქართველოშიც აღწევდა. გაზეთი ძირითადად საქართველოს ავტონომიის პროპაგანდას ეწეოდა, აშუქებდა სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემას, აფართოებდა თანამოაზრეთა წრეს, რაზმავდა ეროვნულ ძალებს.

„საქართველოს“ მესვეურთა ძალისხმევით, 1904 წ. აპრილში, ქ. ჟენევაში მოწვეულ იქნა ქართული რევოლუციური ჯგუფებისა და იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენელთა კონფერენცია. მის მუშაობაში გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის წარგზავნილთა გარდა, ანარქისტები, ესერები და ეროვნულ-დემოკრატები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ: ა. ჯორჯაძე, გ. დეკანოზიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი და სხვ. (შველიძე, გაფრინდაშვილი 2014: 37). კონფერენციის გახსნას ქართველ სოციალ-დემოკრატთა დელეგაციაც დაესწრო ნ. ჟორდანიას მეთაურობით, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმას სხვებთან საერთო ენა ვერ გამონახეს და სხდომა მიატოვეს.

კონფერენციამ მრავალი პრობლემა განიხილა: იმსჯელეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესაძლებლობაზე, აგრარულ საკითხზე, იმპერიის მასშტაბით რევოლუციურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების შესახებ და სხვ. ჟენევის კონფერენციის უმთავრესი მიღწევა „ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის“ შექმნა იყო.

პარტია ინტელიგენტური და წვრილბურჟუაზიული წრეებისაგან შედგებოდა. ახლად ჩამოყალიბებული ეს პოლიტიკური ორგანიზაცია სოციალისტური მიმართულებისა იყო, თუმცა, თავდაპირველად, ქართველ ეროვნულ-დემოკრატებსა და ანარქისტებსაც აერთიანებდა. 1906-1907 წწ. ეროვნულ-დემოკრატები და ანარქისტები პარტიის რიგებიდან გავიდნენ და მოღვაწეობა დამოუკიდებლად განაგრძეს.

ფედერალისტური პარტიის პროგრამაში ცენტრალური ადგილი საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას ეკავა. პარტიის იდეოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ეროვნული თავისუფლების უფლება იმპერიის მარწუხებში მოქცეულ ყველა არარუს ხალხს გააჩნდა. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, ეს ხალხები, პოლიტიკური ავტონომიების სახით, რუსეთის სახელმწიფოში ფედერალური პრინციპით უნდა გაერთიანებულიყვნენ.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია აღიარებდა და იყენებდა ბრძოლის როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ საშუალებებს, თანამშრომლობდა სხვა ოპოზიციურ და რევოლუციურ დაჯგუფებებთან, მონაწილეობდა შეიარაღებულ გამოსვლებშიც და მიზნის მიღწევას მშვიდობიანი გზით – რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში თაყისი დეპუტატების მეშვეობითაც ცდილობდა.

ანარქიზმი სოციალიზმის ერთ-ერთი მიმდინარეობაა. იგი უარყოფდა სახელმწიფოს, უპირისპირდებოდა ადამიანური თავისუფლების შემზღუდველ სისტემებსა და ნორმებს, ასაბუთებდა კერძო საკუთრების აუცილებლობას და იდეალად თავისუფალი კომუნებისაგან შემდგარი ფედერაციული კავშირი მიაჩნდა.

ქართველი მოღვაწეები ამ მოძღვრებას ევროპაში გაეცნენ და აქტიურად ჩაერთნენ მის პროპაგანდაში.

დასაწყისში ევროპის ანარქისტულ წრეებში ფართოდ იყო ცნობილი ვარლამ ჩერქეზიშვილი, რომელიც საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიდერად იქცა. ვ. ჩერქეზიშვილმა რევოლუციური ნათლობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მიიღო. იყო მოსკოვში მოქმედი იშუტინისა და კარაკოზოვის ნაროდნიკული წრის წევრი, შემდეგ ნეჩაევის საიდუმლო ორგანიზაციაში მოღვაწეობდა, რისთვისაც ციმბირში გადაასახლეს. ახალგაზრდა რევოლუციონერმა გადასახლებიდან გაქცევა მოახერხა, ევროპაში გაემგზავრა და პეტრე კროპოტკინს დაუკავშირდა. ვ. ჩერქეზიშვილს სახელი გაუთქვა 1896 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემულმა ნაშრომმა „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა (შველიძე 2009: 48).

ქართველი ანარქისტის მტკიცებით, მარქსისზმის კლასიკოსებმა არაერთი თეზისი, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ, წინამორბედი მოაზროვნეებისაგან თავად მიისაკუთრეს, ხოლო ზოგიერთი მეცნიერული მიღწევა კ. მარქსსა და ფ. ენგელსს მათმა მიმდევრებმა მიაწერეს. ვ. ჩერქეზიშვილი მარქსსა და ენგელსს პლაგიატშიც ადანაშაულებდა. ასაბუთებდა, რომ ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ არ არის ორიგინალური ნაწარმოები - იგი გადაწერილია ფრანგი სოციალისტის, ვ. კონსიდერანის წიგნიდან „სოციალიზმის პრინციპები“ და სხვ.

ეს სერიოზული დარტყმა იყო მარქსიზმზე, რომლის დასაცავად, ვ. ჩერქეზიშვილთან პოლემიკაში ამ მიმდინარეობის ბევრი ავტორიტეტული წარმომადგენელი ჩაება, მათ შორის, კ. კაუცკი, გ. პლეხანოვი, ი. სტალინი და სხვ.

ანარქისტული მოძღვრების გავრცელების პარალელურად, ვ. ჩერქეზიშვილი დიდ ძალისხმევას ახმარდა საქართველოს ეროვნულ უფლებათა დაცვას საერთაშორისო არენაზე, გაბედულად იბრძოდა თვითმპყრობელობის კოლონიური უღლისაგან საკუთარი სამშობლოს გასანთავისუფლებლად.

ძირითადად უცხოეთში მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი ქართველი ანარქისტი კომანდო გოგელია. მან 1903 წელს ჟენევაში დააფუძნა რუსულენოვანი ანარქისტული გაზეთი „Хлеб и воля“, რითაც დიდად შეუწყო ხელი რუსეთში ანარქისტული იდეების გაცხოველებას.

განსხვავებით ვ. ჩერქეზიშვილისაგან, კ. გოგელია კომუნისტურ პოზიციაზე იდგა. საქართველოში ჩამოსვლისას, იგი გაემიჯნა ანარქისტ-კომუნისტებს და ანარქო-სინდიკალიზმის მიმდევარი გახდა.

ანარქისტული შეხედულების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართველ პოლიტიკურ მოღვაწესა და მეცნიერს, მიხაკო წერეთელს. ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მისი თაოსნობით, თბილისსა და ქუთაისში გამოიცემოდა ანარქისტული გაზეთები: „მუშა“, „ნობათი“, „ხმა“ და „ძალა“. პრესის ამ ორგანოებში დაბეჭდილი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილების გარდა, მ. წერეთელი ქართველ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე წარმოთქმული მგზნებარე სიტყვითაც დაამახსოვრდა. 1910 წელს, თბილისში დაისტამბა მისი მეცნიერული გამოკვლევა, „ერი და კაცობრიობა“. ამ დროიდან, მ. წერეთელი ანარქისტულ მოძრაობას ჩამოშორდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აქტიურ მებრძოლთა რიგებში გადაინაცვლა.

ქართველ ანარქისტებს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. ბევრი ანარქისტი ორგანიზაციულად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ირიცხებოდა, თუმცა, გააჩნდათ თავიანთი სტამბა, გამოსცემდნენ ანარქისტულ ჟურნალ-გაზეთებს, ბეჭდავდნენ პროკლამაციებს, ბროშურებსა და სხვ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ორგანიზაციულად, ძალზე გვიან, 1917 წელს გაფორმდა, არადა, ამ მსოფლმხედველობის თეორიული წანამძღვრები ქართველ სამოციანელთა ნააზრევში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყალიბდებოდა.

ეროვნულ-დემოკრატიზმი საქართველოში ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეოლოგიად იქცა, რომლის განმსაზღვრელ ნიშანს სახელმწიფოებრიეი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება წარმოადგენდა - დემოკრატიზმისა და ქერძო საკუთრების პრინციპთა საფუძველზე.

დაპყრობილი, კოლონიური ერის პოლიტიკურ პარტიათა დანიშნულება, მიზნები და ამოცანები, ეროვნულ-დემოკრატთა აზრით, განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო. „იქ, სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგიერობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია უნდა ეწეოდოსო", — მიიჩნევდნენ ისინი. ასეთი მისიის შესრულება შეეძლო არა ცალკე აღებული კლასის ან სოციალური ფენის წარმომადგენელ პარტიას, არამედ ზოგადეროვნული ინტერესების გამომხატველ პოლიტიკურ ძალას. სწორედ ამგვარი ზეკლასობრივი, მთელი ერის მისწრაფების შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას შეეცადნენ ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მოღვაწენი 1905-1906 წლებში. ანმადე, მათი ნაწილი, „იეერიის" გარდა, გაზეთ „ცნობის ფურცლის" ირგვლივ იყო გაერთიანებული და 1901 წლიდან პროკლამაციებს „ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტის" სახელით ავრცელებდა. ეროვნულ-დემოკრატთა ნაწილი ფედერალისტებსაც მიეკედლა, თუმცა არ თანაუგრძნობდა მათ სოციალისტურ იდეოლოგიას და პარტიის მემარჯვენე ფრთას შეადგენდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, ეროვნულ-დემოკრატებმა (გიორგი გვაზავა, ექვთიმე თაყაიშვილი, პაულე თუმანიშვილი, სიმონ ყიფიანი, ნიკო თავდგირიძე და სხვ.), ილია

ჭავჭავაძის მონაწილეობით, შეიმუშავეს, დაბეჭდეს და გაავრცელეს მომავალი პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტები – პროგრამა და წესდება, მაგრამ ამას პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება არ მოჰყოლია. რეეოლუციის დამარცხებამ და ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა აღსასრულმა ამ განზრახვის ხორცშესხმა რამდენიმე წლით გადასწია (ჯანელიძე 2002: 67, 72). საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურად მხოლოდ 1917 წლის იუნისში დაფუძნდა (თავმჯდომარე სპირიდონ კედია).

პარტიად ჩამოყალიბებამდე, ეროვნულ-დემოკრატიზმი მიმხიდველ იდეურ მიმდინარეობად რჩებოდა, ძალას იკრებდა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენიდან გამოსულ პატრიოტ მოღვაწეთა ახალ ჯგუფებს თავისი დროშის ქვეშ აკავშირებდა.

ეროვნულ-დემოკრატებმა ფართო მუშაობა გააჩაღეს ქართველი ერის ისტორიული, პოლიტიკური თუ იურიდიული უფლებების დასაცავად. ამ მიმართულების პრესის ორგანოებმა („ერი", „კლდე", „თავისუფალი საქართველო", „იმერეთი", „სამშობლო", „საქართველო" და სხვ.) ხელი შეუწყეს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, განამტკიცეს ხალხში ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების სულისკვეთება.

რუსეთში სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის გადაწყვეტილებისა და, განსაკუთრებით, მეფის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, რომელმაც პოლიტიკურ გაერთიანებათა ლეგალურად დაარსება-მოღვაწეობის უფლება დაუშვა, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს რამდენიმე ახალი ორგანიზაცია შეემატა. მათგან ზოგი დამოუკიდებლად აღმოცენდა (საქართველოს რადიკალური პარტია, ქართული დემოკრატიული პარტია, ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, პატრიოტული პარტია), ზოგი კი რუსეთის ამა თუ იმ პარტიის ადგილობრივ ფილიალს წარმოადგენდა (მაგალითად, კადეტთა პარტიის თბილისის ორგანიზაცია და სხვ.). ეს ორგანიზაციები ძირითადად რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ჩამოყალიბდნენ და დიდხანს არ უარსებიათ.

საქართველოში მოქმედებდნენ ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი ჰნჩერბაჰჯანული მუსავატის ფილიალი, სომხური დაშნაკცუთიუნისა და ჰნჩაკის პარტიებიც.

პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობამ გამოაცოცხლა ერის მიყუჩებული მაჯისცემა, ბიძგი მისცა საზოგადოებრივი

ცხოვრების აღმაველობას, ხელი შეუწყო მოსახლეობის ფართო ფენების გააქტიურებასა და სხვა, მაგრამ განსხვავებული იდეური ორიენტაციისა და მიზანდასახულობის პარტიების შექმნამ ეროვნულ-საზოგადოებრივი ძალების გათიშვა, მათი ერთმანეთთან დაპირისპირებაც გამოიწვია და ეროვნული კონსოლიდაციის მიმდინარე პროცესი საგრძნობლად შეაფერხა.

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ესწრაფვოდა, ჩამოეშორებინა ქართველი ხალხის, განსაკუთრებით მისი საზოგადოებრივად აქტიური ნაწილის – ინტელიგენციის ყურადღება ეროვნული პრობლემებიდან. რუსეთის იმპერიის შედარებით ხანგრძლივი სტაბილურობისა და მშვიდობიანი განვითარების პირობებში ხელისუფლება თითქოს აღწევდა კიდეც საწადელს: სოციალურად დიფერენცირებული, ერთმანეთთან დაპირისპირებული საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ ერთიან ეროვნულ ძალას აღარ წარმოადგენდა. საზოგადოების ერთ ნაწილში კონფორმიზმს ემძლავრა, სხვა ნაწილს, კოსმოპოლიტური სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის მოძალების გამო, ეროვნული ნიჰილიზმის გრძნობა დაუფლებოდა. ამის მიუხედავად, ქართულ აზროვნებასა და საზოგადოებრიე ცხოვრებას გამოღვიძება ემჩნეოდა. ერის უმეტესობის ცნობიერება კვლავაც ჯანსაღი რჩებოდა, ქართველობას თავისი ეროვნულ სახე შეერჩინა.

დამოწმებანი:

გოგიჩაიშვილი 1906: გოგიჩაიშვილი ყ. არჩევნების წინ, გაზ. „იერია“, 1906 წ., 23 აპრილი.

გურული 1999: გურული ვ. ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999.

ეგნატე ნინოშვილის 1894: ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას) გარდაცვალებისგამო, გაზ. „კვალი“, 1894 წ., №22, მაისი.

ლასხიშვილი 1992: ლასხიშვილი გ.მემუარები, თბ., 1992.

შველიძე 2001: შველიძე დ. აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! თბ., 2001.

შველიძე, გაფრინდაშვილი 2014: შველიძე დ. გაფრინდაშვილი გ. „საქართველო“ - პირველი ქართული ეროვნულ-პოლიტიკური

გაზეთი საზღვარგარეთ“, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, № 2 (5), 2014.
ჯანელიძე 2002: ჯანელიძე ო. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
Бёрк 2001: Бёрк Э. Правление, политика и общество. М. 2001.
Васильева 2013: Васильева Е.В. Политические партии России конца XIX начала XX вв. Омск, 2013.
Дюверже 2000: Дюверже М. Политические партии. Пер. с франц. - М., Академический Проект, 2000.
Тютюрин 2000: Тютюрин С. В. Политическое пробуждение России на рубеже XIX–XX вв. Политические партии России: история и современность. М., 2000.
Основные 2011: Основные вехи формирования партий. htpp://www.irbis.vegu.ru/repos/11356/HTML/129.htm განთავსებულია 2011 წლიდან.
Политические 2014: Политические партии. http://www.e-reading.link/chapter.php/1034489/183/Olshanskiy_-_Psihologiya_mass.html განთავსებულია 2014 წლიდან.

მაია ჯალიაშვილი

პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ქართულ პროზაში

პიროვნული თავისუფლება ლიბერალური ღირებულებების კონტექსტში უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა, რომელსაც ციელიზებული კაცობრიობა აღიარებს. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ღმერთმა ადამიანი თავის მსგავსებად და ხატებად შექმნა. ამგვარად, წარმოჩნდა სამყაროში ადამიანის, როგორც ღვთის შემოქმედების გვირგვინის, რაობა. ქართული მწერლობა, ოდითგანვე ბიბლიური იდეალებით ნასაზრდოები, პიროვნების, როგორც განუმეორებელი, ინდივიდუალური, ფუნდამენტური ფასეულობის, წარმოჩენას ემსახურება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობა გამოირჩევა პიროვნულად თავისუფალი პერსონაჟებით, რომლებიც იტანჯებიან იმის გამო, რომ ერს დაკარგული აქვს დამოუკიდებლობა. ეს განსაკუთრებით მძაფრად ჩანს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში. აქ პიროვნული და ეროვნული თავისუფლება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთმანეთს განსაზღვრავს. ეს ორივე კი წარმოჩენილია პასუხისმგებლობის კონტექსტში. სწორედ პასუხისმგებლობაა ის კრიტერიუმი, რომელიც პიროვნულობის ხარისხს, მის ღირსებას, მის მნიშვნელობას აფასებს.

პიროვნება თავისუფალია, რადგან მას აქვს პასუხისმგებლობა მშობლების, გვარის, საზოგადოების, ერის, წარსულისა თუ მომავლის წინაშე. პიროვნებამ იცის, რომ მისი საქციელი გამოძახილს პოვებს საზოგადოებაში, ამიტომ უნდა „დაიტანჯოს“ (როგორც ხვეისბერი გოჩა ამბობს: „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“), რომ იყოს თავის უფალი, ესე იგი, მართოს და აკონტროლოს საკუთარი თავი.

„ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდია სარგო. ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე ვერაფერი დამიმონებს“, – წერს პავლე მოციქული „კორინთელთა მიმართ“ პირველ ეპისტოლეში (პავლე, 6,12). ადამიანის შინაგანი წონასწორობისათვის, რაც მის ზნეობრიობას განსაზღვრავს, აუცილებელია პასუხისმგებლობის მუდმივი განცდა, რომელიც ააცილებს წარმავალ ფასეულობათა მონობას და მარადიულ ღირებულებათა ერთგულ დამცველად აქცევს.

სწორედ ეს ჭიდილი გულსა და გონებას შორის არის წაჯრო გარკვეულ დროსა და სივრცეში არსებობის ტკივილისა, რომელიც ადამიანს საკუთარ თავსა და სამყაროს შეამეცნებინებს.

„ქართველთა ომიროს არს“– ასე შეაფასა გრიგოლ ორბელიანმა ყაზბეგის შემოქმედება. მან ქართველი მწერალი ჰომეროსთან დააკავშირა უპირველესად იმიტომ, რომ მის შემოქმედებაში სწორედ ეს წარმოიჩნდება: არჩევანი – წარმავალსა და მარადიულს შორის, მარადიულის სასარგებლოდ – სახელისათვის ზრუნვა და უკვდავების წყურვილი. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ყაზბეგის გმირები „ეეჭვისტყაოსნის“ პერსონაჟებს ჰგვანან. ისინი ლაღნი, თამამნი, სიკვდილთან შეთამაშებული პერსონაჟები არიან, რომლებსაც ჰამლეტივით შეუძლიათ თქვან: „იჰ, ღმერთო ჩემო, მე თუნდა კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული ვიყო, ჩემი თავი დაუსრულებელის სივრცის მფლობელი მეგონებოდა“ (შექსპირი 2014: 59).

რა ტიპის პასუხისმგებლობა აღელვებთ და აფიქრებთ ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟებს? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება ამგვარად კლასიფიცირდეს:

პასუხისმგებლობა:

1. ღვთის;
2. სამშობლოს (ერის);
3. საზოგადოების (თემის);
4. ოჯახის;
5. მეგობრის;
6. სატრფოს წინაშე.

ნიკო ნიკოლაძე წერდა: „სადაა იმისთანა საუცხოო პირი, იმისთანა ქვეყნის კეთილისმყოფელი, რომელმაც დაანახოს ამ დაბნეულ საზოგადოებას, რომ საზოგადო სიკეთე ჩვენი, შენი და ჩემი სიკეთეა, რომ რაც უფრო მკვიდრი და ვრცელია საზოგადო სარგებლობა, მით უფრო მკვიდრ და შეურყეველ საფუძველზე დამყარებულია ყოველი კერძო პირის სიკეთე და კეთილდღეობა.

ვინ ჩაგვიდგამს ჩვენ ამ „საზოგადო სულს?“ ვინ გვიჩვენებს საზოგადო მიზანს, ვინ გაგვიმაგრებს ხასიათს, ვინ აგვიმაღლებს გრძნობას, ვინ არ შეუშინდება დაბრკოლებას და წინააღმდეგობას და მიგვაღწევინებს საზოგადოების მაღალ მიზანს - ყველას და თითოეულის ბედნიერებას?...“ (ნიკოლაძე 1933: 76)

თანამედროვე პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეოლოგიე-ბის მკვლევრის, ენდრიუ ჰეივუდის აზრით, „ინდივიდუალიზმი – ლიბერალური იდეოლოგიის ძირითადი პრინციპია, რომლის თანახმადაც, არც ერთი ცალკეული პიროვნების ინტერესები არ შეიძლება, სოციალური ჯგუფისა თუ კოლექტივის ინტერესებს შეეწიროს. ადამიანები, უპირველეს ყოვლისა, პიროვნებებად განიხილებიან – ნებისმიერი მათგანის სიცოცხლე ერთნაირად ფასეულია, თუმცა ყველა უნიკალურია და განუმეორებელი. ამიტომ ლიბერალიზმი იმგვარი საზოგადოების შექმნას ესწრაფვის, რომელიც ინდივიდის კეთილდღეობას უზრუნველ-ყოფს. ნებისმიერ პიროვნებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სრულად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და თავად განსაზღვროს, რა არის მისთვის სასიკეთო. ამასთან დაკავშირებით, ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ, ზნეობრივი თვალსაზრისით, ლიბერალიზმი მიუკერძოებელია: იგი იმ წესების ერთობლიობაა, რომელთა მიხედვით, ინდივიდს საკუთარი ზნეობრივი არჩევანის ნება ეძლევა.

პიროვნული თავისუფლება ლიბერალიზმის უმთავრესი ღირებულებათაგანია და მას, ზოგჯერ, თვით თანასწორობასა თუ სამართლიანობაზე მაღლაც კი აყენებენ. ეს თავისთავად გამომდინარეობს ინდივიდისადმი რწმენიდან – მას საშუალება უნდა ჰქონდეს, საკუთარი შეხედულებებისა და არჩევანის კარნახით იმოქმედოს. თუმცა, ლიბერალები „კანონის ფარგლებში თავისუფლებას“ ქადაგებენ, რაკიღა კარგად ესმით, რომ ერთი კერძო ადამიანის სრული თავისუფლება, შესაძლოა, სხვათა თავისუფ-ლებას დაემუქროს და წრეგადასულ თავნებობად იქცეს. ამიტომაც, ინდივიდი თავისუფლების იმ მაქსიმუმს უნდა ფლობდეს, რომელიც სხვის თავისუფლებას არ შესღუდავს“ (ჰეივუდი 2004: 67).

ამჯერად, ზემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობათაგან, ალექსანდრე ყაზბეგის გმირებისთვის გამორჩეულ და უპირველეს პასუხისმგებლობად აღიარებულ, ღვთისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობას შევეხებით, რომელიც, იმავდროულად, გულისხმობს წარსულისა და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობასაც. საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა კი იმ წეს-კანონების

აღსრულებას მოითხოვს, რომლებიც განსაზღვრავენ გარკვეულ დროსა და სივრცეში საზოგადოების სახესა და რაობას.

ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა ყაზბეგის გმირებისთვის ადამიანურობის საზომია. ამ შემთხვევაში, იოანე მოციქულის სიტყვები : „სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებთ თქვენ“ (იოანე 8, 32) მათთვის ცხოვრების წესის გამომხატველია.

ამგვარი პასუხისმგებლობით არის გამსჭვალული ხევისბერი გოჩა, რომელიც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სამების ტაძარში განმარტოებული, ლოცვითა და მარხვით განწმენდილი იღებს: „გოჩა იყო მშობელი მამა თაეის ხალხისა... მას სწამდა, რომ ხალხისაგან ამორჩეული ღმერთისაგანაც ამორჩეული უნდა ყოფილიყო, რადგანაც, აღზრდილს ხალხის ჩვეულებათა შორის, ანდაზად გარდაქცეული რწმუნებაც, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. გოჩა დარწმუნებული იყო, რომ მისს გულწრფელს ვედრებას უზენაესი შეისმენდა და, რწმუნებით დაიმედებული, იმ კაცის სახე, გულმხურვალე ლოცვის დროს, რაღაც ძლევამოსილს, ხალხის დამმორჩილებელს სურათს წარმოადგენდა“ (ყაზბეგი 2013: 67).

დამნაშავეთა გასამართლებისას გოჩა უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობს ღვთის წინაშე, როდესაც გუგუას მოქვეთის წინ ამბობს: „ღმერთო, მოგვიტევე, თუ ეცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ...“ (ყაზბეგი 2013: 77). ონისეს დანაშაულის შეფასებისას კი, მისთვის ის არის მნიშვნელოვანი, რომ: „მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს“ (ყაზბეგი 2013: 79). გოჩასთვის ონისე კაენური ცოდვის ჩამდენია. „შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს“ (დაბ. 4:10). ღმერთმა კაენი ამგვარად შეარცხვინა: „ამიერიდან დაწყეულილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან... დევნილი და მიუსაფარი შეიქნები ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 4:10,11). გოჩა კი, თუმცა ღმერთს ჰგავდა ზეადამიანური შინაგანი ძალით, მაგრამ მაინც მხოლოდ ადამიანი იყო და საკუთარმა სასჯელმა თვითონვე გაანადგურა. არაცნობიერად ან ცნობიერად, მან შვილი ამ სიკვდილით დევნილობის, მიუსაფრობისა და თვითმკვლელობის ცოდვისგან იხსნა (გუგუას თვითმკვლელობა ამას გვაფარაუდებინებს). განა, თვითონ გოჩა არ ევედრებოდა ღმერთს: „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს!..“(ყაზბეგი 2013: 56).

ამ მხრივ, საგულისხმოა ღინჯასა და სვიმონის დიალოგი „ელგუჯადან“. ღინჯა ეუბნება სვიმონს: „რასაც მოსაძართლე ვერ შეუნდობს, კაცმა უნდა შეუნდოს, მოძმემ მიუტეოს“. სვიმონს უკვირს და შეეკამათება: „აგრე იქნებოდა, ღმერთი რომ ეყენეთ, მაგრამ რაი ექნათ, რომ კაცნი ვართო“. მაგრამ ღინჯა უკან არ დაიხევს: „ჰაი, ჰაი, რომ ღმერთი არა ვართ, შენი კენესა-მე! მაგრამ ღვთის სახეს ვატარებთ და იმის სიტყვას უნდა ვაღსრულებდეთ, მას ვებაძავდეთ“ („ელგუჯა“). ეს ისეთი წყალგაუვალი საბუთია, რომლის წინააღმდეგ სვიმონი ვეღარაფერს იტყვის. მისი კაცობაც ხომ იმით იზომება, როგორ ბაძავს ღმერთს, როგორ ასრულებს მის მცნებებს. შემოკრებილ ხალხს იგი ასე მიმართავს: „გახსოვდესთ, რომ თქმის სურვილი, - უფლის სურვილია... მე მომხედეთ და ხალხის სურვილს თქვენც ასე აღასრულებდეთ... ამასვე ანდერძად დაუგდებდეთ თქვენს შვილებს... თემის სიტყვას ყველა ისე უნდა დამორჩილდეს, როგორც ღმერთის ბრძანებას“ (ყაზბეგი 2012: 65).

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების უმეტესობაში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის მძიმე წლები იხატება, როდესაც იმპერიალისტური რუსეთი თავისი წეს-კანონების დამკვიდრებას ცდილობს და ქართველი მოიელების მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდება. აქ უფრო მძაფრად წარმოჩნდება, ერთი მხრივ, პიროვნების, მეორე მხრივ, ხალხის თავისუფლება.

ადამიანი თავისუფალია კეთილისა და ბოროტის არჩევანში. თუმცა, ხშირად ბოროტი იმდენად მძლავრობს, რომ ადამიანი ცოდვის მონა ხდება. დაჟით აღმაშენებელი ალიარებდა: „ენებათა ბილწთა მონებად მიეჰყიდე თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არიან“ („გალობანი სინანულისანი“). პაველე მოციქული ამბობს: „ვინაიდან არ მესმის, რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მაშასადამე, ვაღიარებ, რომ რჯული კეთილია. ასე რომ, მე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში. რადგანაც ვიცი, რომ ჩემში, ესე იგი, ჩემს სხეულში არ არის კეთილი; არის ჩემში სიკეთის ნდომა, მაგრამ როგორ აღვასრულო სიკეთე, ამას კი ვეღარ ვპოულობ ჩემში. ვინაიდან კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არა მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში“ (რომ. 7:15-20).

ღვთის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობენ ყაზბეგის სხვა პერსონაჟებიც: ონისე: „ღმერთს არ მოეტყუების“, „იყოს თავდებად ზევით ღმერთი“ – ამბობს იგი, როცა ხელისმომკიდეობის მოვალეობას გრძნობს. მოხევეებისთვის მთავარია რწმენა: „ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალნი ვართ“ (ყაზბეგი 2013: 67).

ს'შირად დგებიან პერსონაჟები მტანჯველი არჩევნის წინაშე, როგორ მოიქცნენ. მაგალითად, გულმოწყალე ჯათია იტანჯება: „ქედაკაცს ეტყობოდა, რომ მის არსებაში ორს მოპირდაპირე გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰყოლებოდა. ერთის მხრით, რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მის დარღვევისთვის პასუხისმგებელი უნდა შექმნილიყო კაცისაცა და ღმერთის წინაშე; მეორე მხარეს კი უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირვებოდა, უამისოდ ადამიანი იღუპებოდა და ქრისტიანი სული იკარგებოდა!.. მეტად ძნელი იყო გადაწყვეტა, მეტად ძნელი იყო უცნობისთვის არჩევა. ქერივი ჯათია ობლისშვილისა მთელს გუდამაყარში გულკეთილობით განთქმული იყო, მისი მოძღვარი პირველს ქრისტიანად სთვლიდა და მართლაც რომ ქრისტიანული თავგანწირულებაც სჩმარისი ჰქონდა.

- რა ეუყოთ, მაყყალაისი! - ბოლოს დაყვავებით უთხრა ჯათიამ. - ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთი – შეუცდომელი... ქრისტიანს ეგრე ვერ დავაგდებ, წაიდეთ“ („მოძღვარი“) (ყაზბეგი 2013: 79).

ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა განსაზღვრავს ონოფრეს ცხოვრებას: „როგორც ღვთის მლოცველს და უანგარო ქრისტიანს, ონოფრეს სწამდა, რომ ღმერთის უნებურად თმაც არ შეიჩროდა თავზედ. რასაკვირველია, ამგვარი კაცი მაყვალას გადარჩენას და მასთან მთაში შეხვედრას განგებას მიაწერდა. კაცობრივის გულკეთილობის გრძნობის გარეშე, მოძღვარს უბედური ისე მიეღო, როგორც ღვთისაგან დანიშნულს, რომელსაც გულმოდგინე სამსახურით მაშერალი უნდა გამოეხსნა. განდეგილი ლოცულობდა, უქადაგებდა ჯვარცმის წინაშე და ნათლად უხატავდა იმ კაცის ცხოვრებას, რომელმაც ხორცი განუტევა და სისხლი დაანთხია მოსატევებლად ცოდვათა“ („მოძღვარი“) (ყაზბეგი 2013: 123). კატორღამისჯილი ონოფრე ხალხს მიმართავს: „დამსაჯეთ, მაგრამ. ვიმეორებ, შესცდი-მეთქი, და ამ შეცდომისთვის მოგიტეოსთ უზენაესმა! - აქ მრისუცს ხმა აუმაღ-

ლდა, სახე გაუბრწყინდა და ხელებ-მაღლა-აღპყრობილმა დიდებულად წარმოსთქვა:

- მეუფეო, ცხოვრებისა ჩვენისაო! მიუტევე შემცდართა, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!.. „(ყაზბეგი 2013: 126).

თემის, საზოგადოების წინაშე ნებისმიერი პიროვნების პასუხისმგებლობას კარგად წარმოაჩენს სიტყვები: „ყველანი სამებისკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტი-ლებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა“. ამიტომაც ეუბნება გოჩა გუგუას: „თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც“ (ყაზბეგი 2013: 123).

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ხშირად იწვევს ადამიანის შინაგან კონფლიქტს, ერთგვარ გაორებულობას. ამგვარ ჭიდილი კარგად წარმოჩენება სვიმონ ჩოფიკაშვილის სახეში. მისთვის თავისუფლება უმაღლესი ფასეულობაა, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს არა საკუთარი თავისუფალი ნების, არამედ დროისა და ვითარების შესაბამისად წარმოქმნილი პასუხისმგებლობის კარნახით. მას სჯერა, რომ მეფის მორჩილება ქვეყანას სახელმწიფოდ აქცევს, მთავარია, ერთიანობა არ მოიშალოს, ქვეყნის გამაერთიანებელი კი მის თვალში მხოლოდ მეფეა. ამ თვალსაზრისს არ იზიარებს ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლისთვისაც თავისუფლება უმთავრესია, ამიტომაცაა, რომ მეფეს ეწინააღმდეგება და სწორედ ამ უკომპრომისო წინააღმდეგობამ იგი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ აქცია. პაელე ინგოროყვა სწორედ მას მიიჩნევდა ბარათაშვილის „მერნის“ ლირიკულ გმირად, რომელმაც „მოძმეთათვის“ თავისუფლებისაკენ საკვალი გზა გაკვალა.

პიროვნული თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს შამილის სახე „მამის მკვლელიდან“, რომელშიც ჩანს მთიელი არწივის შინაგანი თავისუფლება როგორ ერწყმის ხალხის წინაშე პასუხისმგებლობასა და მოვალეობას: „ის დაუფიქრებლივ მამულის კეთილდღეობას შესწირავდა პირველიდგან უკანასკნელს კაცამდინ. თითონაც შიგ ჩაენაცებოდა წამლად, მაგრამ, რა შეხედავდა სიცოცხლით და მშვენიერებით სავსე თავის მამულიშვილებს, რომელთაც სიყმაწვილე ნებას არ აძლევდა მხიარულს და ბედნიერს ცხოვრებაზედ, რა მოაგონდებოდა, რომ რომელიმე გზადაკარგულს ტყვიას შაუძლიან გაუხუნოს ლალისფერი ტუჩები, გაუქროს აღგზნებული

სიცოცხლით სავსე თვალები, მოძრავნი, მოტიტინენი. ერთბაშად უძრავს და უსულო საგნად გადააქციოს — შამილს გული უდუღდა, მწარის ოხერით წარმოთქმევინებდა ღვთის სახელს და წარმოუდგენლად სტანჯავდა. შამილი მამა იყო — დანარჩენნი იმის შვილები: შამილი გრძნობდა იმას, რასაც ჰგრძნობს მშობელი, როდესაც თავის თვალით უყურებს მებრძოლს შვილს და იმის ყოველი დაკერა, ყოველი ტკივილი მშობელს მწარე ხაზად ესმება გულში! მაგრამ სამშობლოს სამსახურს, მამულის თავისუფლე-ბას ის მაღლა აყენებდა თავის მშობლიურ გრძნობა-ზედ, თავის პირად შეხედულება-ზედ. შამილი იბრძოდა იმისთვის, რომ თავის სამშობლოს დღეგრძელობას და ბედნიერებას თავი-სუფლებაში ხედავდა, და დღესაც რომ დაერწმუნებინათ, რომ მომმეთათვის მეტი საბედნიერო სხვა რიგი მოქმედება იქნებოდა — ის ბრძოლას თავს დაანებებდა, აიღებდა ყავარჯენს და მწყემსად ცხვარს მოუდგებოდა“ (ყაზბეგი 2012: 120).

ყაზბეგის ნაწარმოებთა იმ გმირებისთვის, რომლებიც პირო-ვნულ თავისუფლებას პასუხისმგებლობას უთანხმებენ, მნიშვნე-ლოვანია ფროიდისეული სუპერეგოს უზენაესობა. მათს არსება-ში იგი-დან მომავალი ინსტიქტები თითქმის მთლიანად კონტრო-ლდება მე-ს მიერ და მიიღწევა იმგვარი შინაგანი გაწონასწორე-ბულობა, რომელიც გრძნობებზე გონების აღმატებულობას გუ-ლისხმობს.

ოუმცა, ისეთი პერსონაჟებისთვის, როგორებიც არიან ონისე „მოძღვრიდან“, ან გირგოლა „მამის მკვლელიდან“, ამგვარი წონასწორობა უცხოა და ისინი მთლიანად „იგის“, ინსტიქტების, ტყვეობაში არიან.

„ეეფხისტყაოსნისეული“ მეგობრობის გრძნობა ყაზბეგის პერსონაჟებს დაუვიწყარ ზნეობრივ არჩევანს აკეთებინებს. პასუ-ხისმგებლობა მეგობრის წინაშე მათთვის უპირველესია. სწორედ ამით გამოირჩევა კობა „მამის მკვლელიდან“. საგული-სხმოა, რომ სწორედ ამ პერსონაჟის სახელი შეარჩია ახალგა-ზრდა რევოლუციონერმა, იოსებ ჯუღაშვილმა, თავის ფსევდო-ნიმად, თუმცა შემდგომში, როდესაც ტოტალიტარული რეჟიმის მთავარ ბურჯად იქცა, მასში ყაზბეგის პერსონაჟისეული პიროვნული თავისუფლება მთლიანად ჩანაცვლდა და დაითრგუნა ბოლშევი-კური იდეოლოგიური წნეხით.

„თეიმურაზ ყაზბეგი იყო პიროვნულად თავისუფალი ადამიანი და ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც მეფისტოლა კაცის შვილმა კარიერის ნაცვლად მეცხვარეობას მიჰყო ხელი. ეს იყო

ერთგული პროტესტი „რუსის სამსახურში მოხვეჭილი ქონებისა და ავტორიტეტის მიმართ“ (ჩხეიძე 2005: 66).

პიროვნულ თავისუფლებას ყაზბეგის პერსონაჟები ამყარებდნენ არა მხოლოდ სასოგადოებაში თვითდამკვიდრების გზის ძიებისას, არამედ ქრისტიანული მორალის – გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი – აღსრულებისას. ამავე კონტექსტში მოიაზრება პასუხისმგებლობაც, რომელიც სხვა ადამიანში ღვთის ხატებისა და მსგავსების გაფრთხილებას გულისხმობს.

დამოწმებანი:

აღმაშენებელი 1989: აღმაშენებელი დაყით. „გალობანი სინანულისანი“ თბილისი, 1989

ბიბლია (დაბ.4:10,11): 1989 ბიბლია, საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი 1989

ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკა, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2013

ნიკოლაძე 1933: ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები, ტ.2, პუბლიცისტური წერილები 1870-1877, „ფედერაცია“. თბილისი, 1933

პაელე მოციქული 1989: პაელე მოციქული, რომაელთა მიმართ ეპისტოლე, ბიბლია, საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი 1989

პაელე მოციქული 1989: პაველე მოციქული, კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლე, ბიბლია, საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი 1989

იოანეს სახარება 1989: იოანეს სახარება, ბიბლია, საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი 1989

შექსპირი 2014: შექსპირი უილიამ, პიესები, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2014

ყაზბეგი 2012: ყაზბეგი ა. ჩემი რჩეული, ტ.I. თბილისი 2012

ყაზბეგი 2013: ყაზბეგი ა. ჩემი რჩეული, ტ.II. თბილისი 2013

ყაზბეგი 2013: ყაზბეგი ა. ჩემი რჩეული, ტ.III. თბილისი 2013

ჩხეიძე 2005: ჩხეიძე რ. ყაზბეგიანა, თბილისი, 2005

ჰეივუდი 2004: ჰეივუდი ე. „პოლიტიკური იდეოლოგიები“. თბ.: „ლოგოსი“, 2004.

მაია ჯალიაშვილი

პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი

მორალური მართლმსაჯულების ფენომენი მრავალმნიშვნელოვანია. მისი არსი განისაზღვრება პიროვნების არჩევანით. პიროვნება მორალური მართლმსაჯულების სისტემაში მთავარი ფიგურაა. ოდითგანვე ადამიანური საზოგადოება ყალიბდებოდა და ეითარდებოდა ტრადიციების, ჩვეულების, დაწერილი თუ დაუწერელი წეს-კანონების მიხედვით.

ადამიანი მორალური არსებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი, უპირველესად, იმ უზენაეს ზნეობრივ კანონებს ემორჩილება, რომლებსაც მას სინდისი კარნახობს. ეს „კარნახი“ კი შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს, ან ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-კანონებს.

ბიბლიური წიგნებია ქართული კულტურის მასაზრდოებელი და, ბუნებრივია, ზნეობის მთავარი ორიენტირიც.

მორალური მართლმსაჯულების კლასიკური მაგალითია სახარებისეული იგავი მეძავი ქალის შესახებ. იესე ქრისტემ ხალხს, რომელმაც დასასჯელი მეძავი ქალი მიუყვანა, უთხრა, ვინც თქვენ შორის უცოდველია, პირველი ქვა იმან ესროლოსო. ვერც ერთმა ვერ გაბედა ქვის სროლა. ეს მეტყველებს ხალხის მაღალ ზნეობაზე. „ნუ განიკითხავთ“ – სახარებისეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწავლებაა. ადამიანი სხვის ნაკლსა და ხინჯს უფრო იოლად ხედავს, ვიდრე თავისას, შესაბამისად, სხვის დასასჯელად დაუყოვნებლივ მზადაა, მაშინ, როდესაც საკუთარ სულში ჩახედვა და თვითდასჯა ემძიმება.

მსოფლიო ლიტერატურა მდიდარია ამგვარი მაგალითებით. გავიხსენოთ მეფე ოიდიპოსი, დანაშაულის შეგრძნებისა და მისი გამოსყიდვისთვის თვალებს რომ ითხრის. ვაჟა-ფშაველას გვე-

ლისმჭამელი მინდია თავს იკლავს, ხალხის წინაშე საკუთარ დანაშაულში დარწმუნებული:

„ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ -
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა“.

თემის წინაშე დანაშაულის შეგრძნება თავს აკელევინებს აღაზასაც („სტუმარ-მასპინძელი).

თვითდასჯა– მორალური მართლმასაჯულების მთავარი გამოხატულებაა.

ამ შემთხვევაში, პიროვნება და საზოგადოება უპირისპირდებიან ერთმანეთს. საზოგადოებას ყოველთვის წარმოადგენს ვინმე – მეფე, ბელადი, ხევისბერი თუ, უბრალოდ, ნდობით აღჭურვილი ადამიანი.

დამნაშავე შეიძლება დასაჯოს საზოგადოებამ გარკვეული ზნეობრივი შეხედულების მიხედვით, ან ადამიანმა დაისაჯოს თავი ამაყი მიზეზით. ცნობილი ლინჩის წესი, ადამიანთა მიერ ქაოტურ, ინსტიქტებზე დაყრდნობილ შურისძიებას გულისხმობს, რაც მიუღებელია ზნეობრივი ადამიანისთვის, ამიტომაცაა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში სხვისთვის ნასროლი ქვა ეშმაკის ქვადაა მოხსენებული („ეშმაკის ქვა“).

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება მდიდარ მასალას იძლევა ამ თვალსაზრისით კვლევისათვის.

„ხევისბერი გოჩას“ მთავარი ზნეობრივი ფორმულაა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ“. ეს გულისხმობს კერძო პიროვნების ზნეობრივ პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, მამის, წინაპრების, გვარის, თემის, ერის წინაშე. პასუხისმგებლობათა ეული პიროვნულობის სრულყოფასთან ერთად ფარიოულდება და მთელ სამყაროში გაიშლება.

„იდეალური ბედნიერება, აბსოლუტური ჰარმონია შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც ადამიანისთვის აუცილებელია. ეს არის თავისუფლება, სამართალი, ადამიანური ღირსება, კეთილშობილება და სინდისი და თუ ქველი თემობა შესანიშნავი იყო, ეს არა იმის გამო, რომ იგი უზრუნველყოფდა ცალკეულ პიროვნებათა ბედნიერების აბსოლუტურ პირობებს, არამედ იმიტომ, რომ მასში შენარჩუნებული იყო ადამიანურობის ეს მაღალი პრინციპები“ (ასათიანი 2004: 196).

გერონტი ქიქოძე წერილში „ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი“ აღნიშნავს: „სადაც მოქმედებას წინ არჩევანი არ

მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება თავისუფლებისა და სადაც თავისუფლების შეგნება არ არის, იქ არ არის განსხვავებაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის“.

ერთი მხრივ, დგას პიროვნება, თავისი მისწრაფებებით, სურვილებით, ენებებით და, მეორე მხრივ, საზოგადოება, განსახიერება ტრადიციებისა, წეს-ჩვეულებებისა, წინაპრებისა.

ხვეისბერი გოჩასაც და ონისესაც არჩევანი აქვთ გასაკეთებელი: ხვეისბერ გოჩას რჩეული, შვილმა არჩევანი უნდა გააკეთოს წარსულის სასარგებლოდ – მომავლისათვის, რომელშიც მას წილი არ ექნება. ონისემ ჯარი უნდა თქვას ძიძიაზე და საზოგადოებას ზნეობრივი საფრთხე არ დაემუქრება, სხვისი ოჯახი არ დაინგრევა, ცოლი ქმარს არ უღალატებს და ყველაფერი თავისი რიგით წავა. თუ ონისე დაუჯერებს მამას, ტანჯვის გზას აირჩევს, თუ არ დაუჯერებს, მაინც დაიტანჯება – მართალია, ტანჯვის წყაროც და მიზეზი სხვადასხვა იქნება, მაგრამ ეს სულიერი ტკივილის ხარისხს არ განასხვავებს.

ონისემ თეორიულად სწორედ მამის მითითებული გზა აირჩია, მაგრამ ბოლომდე ვერ მიჰყვა. სასამართლომდე მან ჩადენილი დანაშაულისთვის (ძიძიასთან გატარებულმა ღამემ მისი მოძმენი შეიწირა) მორალურად დაისაჯა თავი, როდესაც მტერს მარტოდმარტო ეკვეთა. მაგრამ გადარჩა და თვითდასჯა ვერ განხორციელდა. სასამართლოზე, როდესაც მან აღიარა თავისი დანაშაული, ფაქტობრივად, თვითმკვლელობა ჩაიდინა, ესეც მორალური მართლმსაჯულების გამოხატულება იყო, მას სინდისი არ აძლევდა ნებას, გაჩუმებულიყო. სინდისს, როგორც ილია ამბობს, პატარა ღმერთს, ვერსად გაექცეოდა. ასე რომ, სანამ მამა მოუსპობდა სიცოცხლეს, მან ეს თვითონვე განახორციელა თეორიულად, ხვეისბერის მოქმედება მხოლოდ პრაქტიკული განხორციელება იყო ამ განზრახვისა. მამა სწორად მიუხვდა შვილს და ამ მკვლელობით ის სულიერი სიკვდილისგან (შერცხვენილი სიცოცხლისგან) გადაარჩინა. ის ხმამაღლა ამბობს ონისეს სათქმელს, როდესაც აღელვებული, აცახცახებული სათემო შეკრებაზე აცხადებს: „მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის“.

ის ამგვარად თავსაც ისჯის, მართალია, აკაკის „გამზრდელიით“ არ იკლავს თავს. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ გამოვიდოდა, რომ ვერ გაუგო შვილის გულის ძახილს, მაგრამ ესეც იგივე თვითმკვლელობაა. ამიტომაც არის, რომ სასჯელის განხორციელების შემდეგ გოჩა ჭკუიდან იშლება და მალევე იღუპება.

რატომ მოკლა გოჩამ შვილი? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ეხსნა ორიეეს (თავისი და შვილის) სულები ტანჯვისაგან. მას, ამ შემთხვევაში, როგორც ხევისბერს, არ ჰქონდა შორს მიმავალი გეგმები სამაგალითო დასჯისა – ხევისბერმა, მამამ, თემის კაცებთან შეუთანხმებლად (როგორც ცნობილია, ისინი გამოესარჩლნენ ონისეს) მოუსპო სიცოცხლე საკუთარ შვილს. ის მოქმედებდა, როგორც მშობელი (თავზე მეტად რომ უყვარდა შვილი) და ზრუნაედა მის მომავალზე. ამგვარი „ზრუნვა“ გასაგებია იმ კულტურის საზოგადოებისთვის, რომელიც აღზრდილია „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებზე, „ნაძრახ სიცოცხლეს“ სიკვდილს რომ არჩევს.

გუგუამ, რომელიც ონისესავით ეჭვმიტანილი იყო ღალატში, თავი მოიკლა. ცოტა სნით ადრე კი ონისეს დანანებით უთხრა: „სიკვდილს არ ენანობ, მაგრამ ვაი ამითი, რომ ყველასთვის მოძმეთ მოღალატე დაერჩები“. მანამდე ის გოჩამ თემისგან მოაეეთა. ხევისბერმა რატომ არ გამოუტანა მას იმგვარივე განაჩენი, ხომ ამბობს, რომ ისიც შვილივით უყვარს? ამ შემთხვევაში, არ მოხდა მის გონებაში გუგუასა და მისი გულისთქმის იმგვარი შეხვედრა, ერთგვარ აფეთქებას რომ გამოიწვეედა.

გერონტი ქიქოძე ზემოთ დასახელებულ წერილში წერს: „წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის იყიეე წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობაა ადამიანის ხელში, ის დისჰარმონიისა და ტრაგიზმის უდიდეს წყაროდ უნდა საითვალოს“ (გერონტი ქიქოძე).

ამ წინააღმდეგობის ველი კი აწმყოა, რომელიც, მრავალთა აზრით, არც კი არსებობს, რადგან ყველწამიერად კვდება და იბადება. აწმყო ტრანსფორმირდება წარსულად და, იმავდროულად – მომავლად. ეს არის ყოველწამიერი გზაჯვარედინი, რომელსაც წარსულისა და მომავლის გზების გადაკეეთა ქმნის. სწორედ ამ გზაჯვარედინზე აღმოჩნდება ხოლმე პიროვნება, ერთგვარი „აფეთქების“ წერტილში, რომელიც მას უბიძგებს, ერთი შეხედვით, გაუგებარი, მოულოდნელი, აფექტური გადაწყვეტილებისაკენ. სწორედ ამგვარ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა ხევისბერი გოჩა და მის გონებაში აუცილებლობისა და თავისუფლების შეჯახებამ საოცარი ენერგია ამოაფრქვია, ენერგია, რომელიც ერთდროულად სპობდა და აღორძინებდა სიცოცხლეს.

ონისე მოკვდა და დაიბადა როგორც ლეგენდა, ისევე როგორც ხევისბერი მოკვდა და დაიბადა, როგორც ლეგენდა. სწორედ ამიტომაც აქვს ამ ამბავს ასეთი დიდი გამოძახილი ადამი-

ანის გულ'ში და უფრო გასაგები ხდება კანტის ცნობილი გამოთქმა „პრაქტიკული გონების კრიტიკიდან“: „ორი რამ ავსებს სულს მუდამ ახალი და მით უფრო ძლიერი გაკვირვებით, რაც უფრო ხშირად და დაბეჯითებით ვფიქრობ მათზე. ესენია ვარსკლავიანი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემში“.

უამრავი რამ დაწერილა ხევისბერი გოჩას საქციელის ასახსნელად, მათ შორის გამოეარჩეო აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისს. მან ერთმანეთს შეადარა „ხევისბერი გოჩა“, პროსპერ მერიმეს „მატეო ფალკონე“ და ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბა“. იგი წერს: „თუ ზნეობრიობის თვალით შევხედავთ ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა), მაგრამ ხევისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ულდისდაცემით. მან გონება დაკარგა. თაყადეე შეიქმნა თავისიეე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა“. „შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რადგან ანადგურებს საკუთარ მომავალს, ეს ნათლად იხატება მოთხრობაში, როდესაც ონისეს მოკვლის შემდეგ გოჩა გიჟდება“ „მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი. ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის დარღვევა. აკაკი წერეთლის გამზრდელი სჯის დანაშაულს, მაგრამ არ არღვევს არსებობის მარადისობის კანონს, წარსულის სახელით არ კლავს მომავალს“. „დიდი მნიშვნელობა აქვს, რა პრინციპით ცხოვრობს ადამიანი – დანაშაულის გამოსყიდვისა თუ შურისგებისა? ცალკეული პიროვნება იქნება თუ მთელი საზოგადოება, არ შეიძლება ცხოვრობდეს შურისგების პრინციპით. ასეთი პიროვნება და საზოგადოება უმომავლოა. დანაშაულის შენდობა-პატიებისა და გამოსყიდვის პრინციპი კი მეტყველებს მოყვასის სიყვარულზე. სიყვარულით შედუღაბებული საზოგადოება კი მტკიცეა და მომავლიანი.

„გამზრდელის“ პერსონაჟებისთვის პრინციპია შენდობა და დანაშაულის გამოსყიდვა. აკაკის აზრით, დანაშაულის ზნეობრივი გამოსყიდვა ადამიანს შეუძლია მონანიებითაც (საფარ ბეგი), პატიებითაც (ბაიუ) და თვითდასჯითაც (ჰაჯი-უსუბი). შურისძიებით კი დანაშაული არ გამოისყიდება, მხოლოდ

დანაშაულის ერთი სახეობა შეიცვლება მეორეთი. ამიტომ პაჯიუსების ზნეობრივი პრინციპი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ხვეისბერის, ტარას ბულბასა და მატეო ფალკონესი" (ბაქრაძე 2008: 328).

გია არგანაშვილის აზრით: „მსაჯულები თავს არიდებენ მძიმე პასუხისმგებლობას და უკვე აშკარად ღალატობენ თავიანთ მოვალეობას.

უმრავლესობის მხრიდან მოვალეობისადმი თავის არიდება ცალკეული ადამიანისგან თავის გაწირვას ითხოვს. ახლა გოჩამ უნდა გაწიროს თავი, რათა, თემის უპასუხისმგებლო საქციელი საკუთარი თავგანწირვით გადაფაროს.

„–გოჩაუ, – სცადეს მოხუცის შეყენება...„ გოჩა გაცეცხლებულია, კიდევ უფრო მეტად მსაჯულთა საქციელით...

„–უნდა მოკვდეს, შეუბრალებლად..." დრო აღარ ითმენს, კიდევ მცირედი დაყოვნება და ტრაგედია შეიძლება ფარსად იქცეს. „და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოიქცეთ... მე მიყურეთ...". მსაჯულებმაც ნახეს, რომ გოჩამ ის გაბედა რაც მათ ვერ გაბედეს. თემმა, თავისი გაუბედაობით, ხვეისბერი დაღუპული თანამოძმეების, შერცხვენილი გვარის და ოჯახის, შეურაცხყოფილი მამის შურისმაძიებლად აქცია. მოხუცის შეწირება ვერაინ შეძლო.

აქვე შევნიშნავთ, რომ არც ონისეს უცდია მახვილის არიდება.

იღუპება ონისე, გოჩა, ძიძია, გუგუა... რჩება თემი და მისი რჩეული წარმომადგენლობა (ბომონდი), რომელიც მანამდე ამულავნებს ბელადისადმი პატივისცემას, ვიდრე ის საბედისწერო ზღვარს გადალახავს, ვიდრე ის ქვეყნის სასაცილო გახდება, რათა შემდეგ, ისეთივე წარმატებით დააყაროს თავზე ნაცარი, როგორც მანამდე გუნდრუკს უქმევდა".

გურამ ასათიანის აზრით, ამ მოთხრობაში შვილის მოკვლის მოტივი აშკარად აქცენტირებულია: „ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამაღლებს და თავისებური შარავანდედით მოსავს გოჩას სახეს. სწორედ ეს მოქმედება და არა რაიმე სხვა აქცევს მას ხვეისბერ გოჩად, რადგან ამ აქტით იხსნება მთლიანად მისი ხასიათი. მაგრამ სწორედ აქვე ხდება უაღრესად ნიშანდობლივი გარდატეხაც. ამ აქტის აღსრულების შემდეგ გოჩა კარგავს მთელ თავის სიდიადეს. იგი შეიშლება, ხდება უმწეო, შესაბრალისი – სრული ანტიპოდი თავისივე ხასიათისა. რით უნდა აიხსნას ასეთი გარადატეხა გოჩას ხასიათში? ჩვენი ფიქრით, ამ

კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: ის, რაც გააკეთა გოჩამ, აღემატება ადამიანის ძალას და ბუნებას. ის მწვერვალი, რომელზედაც მან ფეხის შედგმა გაბედა, ძალზე ციცაბო აღმოჩნდა უბრალო მოკვდავი ადამიანისათვის, რათა მას თავი შეეკავებინა ამ სიმაღლეზე. ყაზბეგი აღტაცებულია თავისი გმირით, მისი ხასიათის განსაცვიფრებელი მთლიანობით და სიძლიერით, მისი ურყევი რწმენით და ნებისყოფით, მაგარამ, ამავე დროს, იგი თითქოს ჩვენთან ერთად შეძრწუნებულია ამ ზეადამიანური ხასიათის მოქმედებით" (ასათიანი 2004: 195).

როსტომ ჩხეიძის დაკვირვებით, ხევისბერ გოჩას სიტყვები სასამართლოსე ბიბლიას ესმიანება, ღმერთი რომ ეუბნება კაენს: „შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს". „ეს ჭეშმარიტება ადამიანისთვის ყოველთვის ნათელი ყოფილა, გამოუთქვამს თუ არ გამოუთქვამს, მკვლელობისა თუ ხოცვა-ჟლეტის შემსწრეს, ყოველთვის ეს უგულისხმია, რომ სისხლი მიწაში კი არ ჩაიღვრება, ზეცაში ადის უხილავი ბილიკით – ადამიანისათვის ეს უკვე აღარ არის ბიბლიური ყრაზის გამეორება, მისთვის ეს თანდაყოლილი ცოდნაა, წინაპართაგან ნაანდერძევი. გოჩასთვისაც ასევე შესისხლხორცებულია – მას სჯერა, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა ღალატმა თუ უგულისყურობამ არაერთი მოხვედა გასწირა, – ყველაფერი უზენაესმა ძალამ უნდა განაგოს, თვითონ კი ღვთის ნება უნდა გააცხადოს, როგორც ხევისბერმა, ვინც შუამავალია ზეცასა და სალხს შორის.

„მოძმეო სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!"

ვიდრე შვილსაც არ დაინდობდეს, ეისმა თავდაიწყებამ უნებლიეთ დაღუპა ამდენი ვაჟკაცი, გოჩა სასტიკ სასჯელს დააღებს გუგუას, ეისაც ღალატი ტყუილუბრალოდ ბრალდება, სასჯელს – არა სიკვდილს, არამედ მოკვეთას თემისაგან, განდევნას, მიუსაფრობას. ეს რატომღა გავიხსენე? კაენსაც ეს სასჯელი ერგო უფლისაგან. ასე მიეზღო პირველ ცოდვილს წუთისოფელში: „ამიერიდან დაწყეველილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან. დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი შეიქმნები ამ ქვეყანაზე" (ჩხეიძე 2004: 188).

გუჩა კვარაცხელია ფიქრობს, რომ გოჩას, როგორც მამას, შვილის – ონისეს სიცოცხლის დაცვა ევალებოდა, მაგრამ სიცოცხლე ორია: ფიზიკური და სოციალური. „ხევისბერი გოჩა,

როგორც მამა, ორიეე სიცოცხლის სადარაჯოზე დგას, მაგრამ უფრო მეტად დაჰკანკალებს ის სწორედ სოციალურ სიკვდილს („ეინძლო ქვეყანა არ გააცინო“. „იუ სიკვდილი შეგემთხვევა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების! მაგრამ ეაქკაცურად კი მოკვდი.... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“. „ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე, ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს“).

–ონისე ესლაეე მკვდარია! – ამბობს ზარდაცემული ხევისბერი, როცა ონისეს მარცხს შეიტყობს, მან, როგორც მსაჯულმა, იცის, რომ ონისე მოღალატე არ არის, მაგრამ როგორც მამა, გრძნობს უსაშინლეს სიმართლეს – ონისე უნდა მოკვდეს; ეს ერთადერთი გამოსავალია უბედური შვილისათვის, უნდა მოკვდეს ახლავე და უნდა მოკვდეს მამის ხელით, სხვა ამ ცოდვას ვერ დაიდებს და სხვისი გაჩუნილის მიმართ ვერც იმ ჯოჯოხეთურ სიბრალულს იგრძნობს, რომლის გამო ხევისბერი ვერ იმეტებს ონისეს უღირსი არსებობისთვის, გაუნელებელი სატანჯველისთვის.

ამგვარად, თუ ხევისბერ გოჩას, როგორც მსაჯულს, ონისეს მოკვლის უფლება არ ჰქონდა, მას, როგორც მამას, რომელიც ვერაფრით ააცდენდა შვილს სოციალურ სიკვდილს, ისღა დარჩენოდა, შეეწყვიტა მისი ნაირახი სიცოცხლე, რომელიც ფიზიკურ სიკვდილზე უფრო მტანჯველია, რადგან საკუთარ ფიზიკურ სიკვდილს ონისე უკვე ვეღარ განიცდიდა. მას განიცდიდა სხვა – მის სოციალურ ტომში ყველაზე ახლოს მდგომი – მამა. ამ განცდის შედეგიც – გოჩას ჭკუაზე შეშლა – ლოგიკური და ბუნებრივია“ (კვარაცხელია 2004: 207).

ამგვარად წარმოჩნდება პიროვნება და მორალური მართლმსაჯულება ალექსანდრე ყაზბეგის „ხევსბერ გოჩაში“.

დამოწმებანი:

ასათიანი 2004: 196 ასათიანი გურამ, ალექსანდრე ყაზბეგი, ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.1, თბილისი 2004
ბაქრაძე 2008: ბაქრაძე აკაკი, აკაკი წერეთელი,ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.1, თბილისი 2008

კვარაცხელია 2004: კვარაცხელია გუჩა, ალექსანდრე ყაზბეგი, ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.I, თბილისი 2004
ჩხეიძე 2004: როსტომ ჩხეიძე, ყაზბეგიანა, თბ. 2008
გია არგანაშვილი, „ხევისბერი გოჩა აიძულეს საკუთარი შვილი მოეკლა", http://lib.ge/book.php?author=394&book=9592

თამაზ ვასაძე

თავისუფალი პიროვნების სახე ქართულ ეპიკურ პოეზიაში

ინდივიდის თავისუფლების ყველაზე რთული, ყველაზე ძნელად ხორცშესასხმელი ნაირსახეობა სულიერი თავისუფლებაა, ცრურწმენებით, დოგმებით, სტერეოტიპებით დაძიმებული საზოგადოებრივი აზრის წნეხისთვის თავისდაღწევაა. ვაჟა ფშაველას განსაკუთრებით თავისუფლების ეს ნაირსახეობა და მისი რეალიზება აღუძრავს მძაფრ მხატვრულ-ანალიტიკურ, ინტელექტუალურ ინტერესს და ამას უპირველესად „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ მოწმობს.

*** *** ***

ადამიანის სულიერი ფერისცვალება, რომელიც „ალუდა ქეთელაურშია“ წარმოსახული, უცნაურია თავისი რადიკალურობით – გამოცდილი, მრავალი მტრის მომკელელი მეომარი, მტრული ეთნოსის და სარწმუნოების მიმართ ფანატიკური სიძულვილით და ზიზღით გაჟღენთილი კაცი მორიგი მხედრული ფათერაკის შემდეგ უცაბედად იმსჭვალება ადამიანთა მოღგმის ერთიანობის შეგნებით და უნიერსალური რელიგიურობით; შეიძაგებს ცხოვრების აგრესიულ წესს, სისასტიკეს, სისხლისღვრას, რაც მანამდე არა მარტო სრულიად ბუნებრივი იყო მისთვის, არამედ სიქველედაც ეთელებოდა, და მკაცრი ტრადიციებით, დოგმებით შემოსალტული, ერთსახოვანი საზოგადოების ორგანული ელემენტი დამოუკიდებელ, ჰუმანურ პიროვნებად გარდაიქმნება...

და მაინც, უცნაურობის მიუხედავად ალუდას ფერისცვალება მთლიანად დაშაჯერებელია. როგორ მიიღწევა ეს? რაღაც ხდება არაჩვეულებრივი, რაც ალუდას ცნობიერებას ისე შეცვლის, რომ

მასზეც შეიძლება ითქვას „გველის მჭამელ'ში“ მინდიას შესახებ ნათქვამი: „ახალად სული ჩაედგა, ახალად ხორცი აესხა, გულის ხედვა და თვალების, როგორც ყრუს და ბრმას გაეხსნა“. რაღაც განსაკუთრებული იმპულსია აუცილებელი იმისთვის, რომ მკვლელს მოკლული – „ურჯულო“, თითქმის არაადამიანი – ისე ძლიერად შეებრალოს და შეუყვარდეს, რომ „თავის ლამაზ ძმად“ მიიჩნიოს იგი.

ალუდას მეტამორფოზის ძირი ის არის, რაც მან მუცალთან ორთაბრძოლისას იგრძნო. მკვლევარები ხაზს უსვამენ იმას, რომ ალუდა მოხიბლა მუცალის ვაჟკაცობამ და ასე დაინახა მტერში ადამიანი, თავისი მსგავსი. მუცალის ვაჟკაცობა მართლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ალუდაზე, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ალუდას შინაგანი გარდაქმნის მთავარი სტიმული.

იმის გარდა, რომ ალუდა და მუცალი ერთნაირად ძლიერი, უშიშარი და შეუპოვარი მებრძოლები არიან, ისინი ერთნაირ შეურიგებლობას და მძულვარებას იჩენენ მოწინააღმდეგის სარწმუნოების მიმართ. ამ ნიშნით მათი პარადოქსული მსგავსება იმდენად სრულია, რომ თითქოს ერთმანეთის ორეულებად აქცევს მტრებს. ორთაბრძოლის პარალელურად მიმდინარე სიტყვიერ დუელში მათი რეპლიკები აბსოლუტურად ურთიერთმსგავსია. ყველაზე მეტად ამ რეპლიკებს ამსგავსებს მიმართება „რჯულ-ძაღლი“ – ალუდა და მუცალი ერთი და იმავე სიტყვით გამოხატავენ ერთნაირ, შეუწყნარებელ და ზიზღიან დამოკიდებულებას მტრის რელიგიისადმი. ეს საშინელი სიტყვა ტყვიასავით ზუზუნებს და ტყვიების მოძრაობას სდევს თან.

„... – არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! – მუცალი ეუბნებოდა. – ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო, ყმასა გუდანის ჯვრისასა... – არ მოგხედაუა, რჯულ-ძაღლო? – ისევე ეძახის იმასა. – მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, ნამტერეეს მაშლიდა კლდისასა...“

მუცალთან ორთაბრძოლის შემდეგ ალუდას მსოფლხედვაში მომხდარი გარდატეხის შინაარსს უპირველესად იმის შეცნობა შეადგენს, რომ ადამიანების გამიჯვნა – რჯულიანებად და ურჯულოებად, ღმერთის მადლით მოსილებად და ღმერთისგან მოძულებულებად, სრულფასოვნებად და არასრულფასოვნებად – არასწორია. და ალუდა ამ დასკვნას აკეთებს იმის საფუძველზეც, რომ მისი და მუცალის დამოკიდებულება ერთამანეთის რელიგიისადმი სავსებით მსგავსია, ერთნაირია: მუცალი ისევე სასტიკად იცავს თავისი სარწმუნოების უპირატესობას და

სძულს მტრის რელიგია, როგორც ალუდა იცავს თავის ერთადერთ ჭეშმარიტ რჯულს და სძულს მუცალის რელიგია; მტრების პოზიციათა ეს აბსურდული მსგავსება, ერთგვაროვნება სამყაროსთან ასეთი მიმართების სისწორეში დამაეჭვებელი, მისი შემარყეველი.

შატილ'ში დაბრუნებული ალ'უდა ხევს'ურებს მოუთხრობს მუცალთან ბრძოლის ამბავს და მისთვის მტკივნეული გასახსენებელია, რომ მუცალი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წამსაც რჯულს უგინებდა მას: „სულს არ აცლიდა ამოსვლას, კიდევ მიხსენა რჯ'ულია". ალუდა თავისთავს ცნობს მუცალში, თავის მცდარ თვალთახედვას ცნობს მუცალის თვალთახედვა'ში – მან ხომ თვითონაც არაერთხელ ზუსტად ასევე აუგად „უხსენა რჯ'ული" მუცალს. ამიტომ მოსდევს უშუალოდ ამას დაკანონებულ თვალსაზრისში ღრმა დაეჭვების და ამასთანავე ახალი მრწამსის კონტურის გამომკვეთი ალუდას განსჯა: „ჩვენ კიტ-ყვით, კაცნი ჩვენა ვართ, მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი: ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელის ქ'მენანი. ამის თქმით ვწარამარაობთ, ღვთისშვილთ უკეთეს იციან. ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან?!"

აქეთკენ ალუდას ცნობიერებას, უპირველესად კი ქვეცნობიერებას კიდევ უფრო მძლავრად წარმართავს აგრეთვე სხვა რამ, რაც მუცალთან ორთაბრძოლისას იხილა და განიცადა. ეს არის მუცალის აგონია.

ლიტერატურისმცოდნეებს შემჩნეული აქვთ ამ მომენტის განსაკუთრებული მნიშვნელოვნება (თამაზ ჩხენკელი, გურამ ასათიანი). ეს მნიშვნელოვნება დასტურდება იმით, რომ ალუდა თავიდან ვერ იცილებს მოგონებას მუცალის სიკვდილის შესახებ – იგი დრამატულად გახმიანდება ალუდას საუბარში ხევს'ურებთან, მტკივნეულად ამოტივტივდება ალუდას სიზმარში.

რით არის ეს მომენტი საგანგებო მნიშვნელობის მქონე, როგორ აძლევს იმპულსს ალუდას ფერისცვალებას?

„მუცალს არ სწადის სიკვდილი, ფერს არა ჰკარგავს მგლისასა. მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია მწვანეს ბალახსა მთისასა..."

აი, ეს სურაითი ახსენდება ხოლმე შემდეგ ალუდას – არამარტო იმიტომ, რომ იგი შთამბეჭდავად აელენს მუცალის ეაუკაცურ შეუპოვრობას (მომაკვდავი მუცალი ადრინდელი უინით აგრძელებს ბრძოლას); კიდევ უფრო მეტად ის დაუვიწყარია იმის გამო, რომ საშინელი სიცხადით აჩენს სიცოცხლის უმძაფრეს

წყურვილს, ნებას და სიკვდილის ასევე უმძაფრეს არნდომას, სასტიკ სასიკვდილო ტანჯვას. მუცალის უჩვეულო, სასოწარკვეთილი ჟესტი – ბალახის მოგლეჯა და ჭრილობაში ჩაფენა – სულისშემძვრელია, მასში ერთბაშად ხდება თვალხილულ სიცოცხლესთან განშორების ტკივილის განუსომელი სიღრმე. და ეს არაჩვეულებრივად მეტყველი, ტრაგიკული ჟესტი დაანახებს და აგრძნობინებს ალუდას, – პირველად მის ცხოვრებაში – რა საზარელია სიკვდილი, სიცოცხლესთან გაყრა. ამიტომ იგი იგრძნობს იმასაც, რა საშინელებაა სიცოცხლე წაართვა სხვა ადამიანს, იყო მკვლელი. ხოლო ყოველივე ეს მითუფრო მკვეთრად განიცდება ალუდას მიერ, რომ კვდება მასავით ძლიერი ადამიანი, გამორჩეული მეომარი.

სწორედ ამ მძიმე შთაბეჭდილებით არის სიღრმისეულად მოტივირებული, მასთან კავშირშია ბუნებრივი და გასაგები ალუდას შინაგანი მეტამორფოზის ისეთი არსებითი მხარე, როგორიცაა კაცისკვლის, სისხლისღვრის შეზიზღება. მტრობაზე, აგრესიაზე, სისხლიან შურისძიებაზე დამყარებული ცხოვრებისადმი ალუდას ზიზღი მკაცრდება მის კომშარულ სილვებში და სიზმარში. მუცალის მოკვლის შემდეგ შატილისკენ მიმავალ ალუდას ადამიანების აგრესიული არსებობა ასე წარმოესახება: „ვისაც მტრობა მოსწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დაჰლევდეს, პურადაც მოსახმარია. პირჯვარი დაიწეროდის, მითამ საყდარში არია. სისხლშია ჰქონდეს ქორწილი, იქ დაიწეროს ჯვარია, დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწკრიოდის ჯარია, სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია, ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია. იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია. შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია!"

ასეთია უწინარესად თვით ალუდას ცხოვრება, აგრეთვე მისი ყველაზე მოსალოდნელი დასასრული და ამაზე მას მუცალის მოკვლის შემდეგ აეხილება თვალი. ეს შემზარავი ხილვები ბუნებრივად აღმოცენდება იმ კაცის ქვეცნობიერებაში, ვინც ახლახან მოკლა სხვა კაცი, სიცოცხლესთან განშორების ტანჯვის მოწმე გახდა და შეაძრწუნა მკვლელობის ცოდვამ. ალუდას კოშმარი ამ მწვავე განცდების უშუალო ანარეკლია.

სიზმარში კი ალუდას, რომელიც კვლავ სალაშქროდ წაჰვლას, ანუ სისხლისღვრის, კაცისკვლის გაგრძელებას აპირებს, თავისთავი ადამიანის ხორცის მჭამელად ეჩვენება; კაცი-

სკელა ესახება მას კაციჭამიობად და ეს ღაკავშირებულია მუცალის მოკვლის, მისი აგონიის საშინელ ხსოვნასთან. „ერთ წამს ხელ ვინამ დამტაცა, ტარი ჩამიდგა ხანჯრისა. შაეხედენ, მუცალი იყო, ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა, გულსედ ემხნივა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის წამისა, ეფინა ნატყვიარშია ლეგა საფეი ბრძამისა. კლდედ იდგა, გაუტეხლადა, ცრემლ არ ჩაშოსდის თვალისა. მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მამკალო, მითხრა ხვეწნითა. თქვენ დაგრჩეთ წუთისოფელი, მე კი წაეიდე ქვეყნითა, დაძეღით, ხევსურთ შვილებო, ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.

მუცალი სიზმარში ჩნდება იმ სახით, რომელიც ალუდას ზარავს — ჭრილობაში ჩაფენილი ბალახით, რაც კიდევ ერთხელ აგრძნობინებს ალუდას, რომ იგი მუცალისთვის სასიკვდილო ტანჯვის მიმყენებელია, მისი სიცოცხლის მომსპობია. ეს გრძნობა აუტანელი სიმძიმით თრგუნავს ალუდას: მუცალი მას ხელში ხანჯალს უდებს და, როგორც გაწაფული და სისხლმოწყურებული მკვლელისაგან, სიკვდილს ითხოვს მისგან (აქ, ალბათ, მომაკვდავი მუცალის მიერ ალუდასათვის თოფის დატოვებაა გარდატეხილი). ასე რომ, სიზმარში ალუდამ ხელმეორედ უნდა ჩაიდინოს ის, რაც ასე აწამებს, ხელახლა უნდა მოკლას მუცალი, რომლის აგონია, სულთმობრძაობის ტანჯვაც თითქოს უსასრულოდ გრძელდება, აღარ მთავრდება („მინდა სიკვდილი, არ ვკვდები“). აქ რელიეფურად ჩანს, რა ღრმა ტკივილით განიცადა ალუდამ მუცალის აგონია, როგორ აწუხებს, რომ მუცალისთვის სიცოცხლის წამრთმევია.

სიზმარში ნანახი მუცალი არსებითად განსხვავდება ნამდვილისგან. რეალობაში „მუცალს არ სწადის სიკვდილი“, სიმწრით, ტანჯვით ებღაუჭება სიცოცხლეს და მომაკვდავიც აგრძელებს ბრძოლას, სიზმარში კი იგი თვითონ ეძებს სიკვდილს, რათა სხვებს (ხევსურებს) დაუტოვოს ეს სამყარო — სისხლისღვრის ასპარეზი. ალუდას სიზმარში მომხდარი მუცალის გარდასახვის ეს ფსიქოლოგიური ზუსტი კონტრასტულობა რეალობის მიმართ სწორედ იმას მოწმობს, რომ ორთაბრძოლისას ალუდა გულისტკივილით ამჩნევს მომაკვდავი მოწინააღმდეგის მიერ სიცოცხლის მძლავრი ნების გამოვლენას, სიკვდილისგან მის მძლავრ განზიდვას.

ალუდა არამარტო თვითონ განიცდის ზნეობრივ კათარზისს, არამედ მუცალსაც უფრო აკეთილშობილებს, ამაღლებს. არ ღირს ისეთ სიცოცხლეზე გამწარებით მოჭიდება, ისეთ სიცოც-

ხლესთან განშორების გამო ტანჯვა, ისეთ სიცოცხლეში მონაწილეობა, რომლის არსიც „ლაშქრობით, ხმლების ქნევით ძღომაა“, კაციჭამიობაა – ასეთია მუცალის სიზმრისეული მეტამორფოზის აზრი. მუცალი აქ ალუდას ორეულია, რომელიც მის იდუმალ სათქმელს ამბობს, მისი შინასამყაროს საუკეთესო საწყისს – სინდისს განასახიერებს. ისინი ერთნი არიან, ერთ არსებას ქმნიან. ასე ახლობელი გახადა მუცალი ალუდასთვის მისი სასიკვდილო ტანჯვის გაზიარებამ. ეს გაზიარებული ტანჯვა თავისთავშივე, თავის არსებაშივე აღმოაჩენინებს ალუდას მცნებას „არა კაც ჰკლა“, გააუცხოვებს და განწმენდს მას კაცისკვლის საზარელი ცოდვისგან.

მუცალთან ალუდას სულიერი გამთლიანება სიზმრამდეც, ცხადშიც მყღაენდება. ალუდა უამბობს ხევსურებს, როგორ მოკვდა მუცალი:

„... მკერდსე ნაკრაქმა ტყვიამა გაუნაძოძა გული, ნატყვიარს ბრძამით იფქვდა, ისრე დალია სული“.

დიდი ტკივილი, თანაგრძნობა გამოსჭვივის ალუდას თხრობაში. განსაკუთრებით სიტყვა „გაუნაძოძა“ აღიჭურვება ტკივილიანი ექსპრესიით. ალუდა შინაგანად განიცდის მუცალის კვდომას, შინაგანად შეიგრძნობს იმას, რაც არ შეიძლება ფიზიკურად შეიგრძნოს ან დაინახოს – როგორ უგლეჯს, უფლეთს მუცალს ტყვია გულს. ალუდაზე, როგორც ჩანს, მძაფრი ემოციური ზემოქმედება მოახდინა სასიკვდილოდ დაჭრილი მუცალის განწირულმა შეძახილმაც: „გულში მჭირს, გულში, რჯულძაღლო...“ ეს შეძახილი იმასვე გამოხატავს, რასაც ჭრილობიდან სისხლდენის შეკავების სასოწარკვეთილი ცდა – სიცოცხლესთან გაყრის სიმწარეს.

შოპენჰაუერის თვალსაზრისის მიხედვით, თანაგრძნობა, თანალმობა ადამიანთა სიღრმისეული ერთობის ინტუიტური წვდომაა; თანაგრძნობის საზრისი იმის უშუალო განჭვრეტაა, რომ სიცოცხლის ნება, რომლის შეფერხება და დაორგუნვა იწვევს ტანჯვას, ადამიანებში ერთიანია, საერთოა.

სიცოცხლის წყურვილი, ნება და ამ ნების აღკვეთის ტანჯვა, რომელიც ვლინდება მუცალის სულისშემძვრავ აგონიაში, მუცალის ვაჟკაცობასთან ერთად, აგრძნობინებს ალუდას მომაკვდავთან შინაგან ერთიანობას, არსისმიერ ნათესაობას და მსგავსებას. ამის გამოა, რომ მუცალის სიკვდილისთანავე, თანაგრძნობის ცრემლით მისი დატირებისას, ალუდა მას თავის მსგავს სრულფასოვან ადამიანად აღიარებს – „ვაჟკაცო, ჩემგან მოკლუ-

ლო, ღმერთმა გაცხოვნოს მკედარია“ – და არ ასრულებს მის მიმართ მარჯვენის მოჭრის უადამიანო წესს. „ურჯულოს“, „რჯულძაღლის“ ცხონება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ისიც ისეთივე ღვთისშვილია, როგორიც ალუდა, რომ ორივენი ეკუთვნიან ადამიანთა ერთიან მოდგმას, რომელსაც ერთი ღმერთი ჰყავს. შემდეგ ალუდა ამ გუმანით ნაგრძნობ, ჯერ კიდევ მკაფიოდ გაუცნობიერებელ და განუზოგადებელ ჭეშმარიტებას უკვე მკვეთრად გააზრებული და განზოგადებული სახით გამოთქვამს ხევსურებთან დიალოგში („ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენია ვართ...“), ხოლო საბოლოოდ „თავის ლამაზ ძმას“ უწოდებს მუცალს; ანუ იგი უახლოესი ადამიანივით შეიყვარებს მტერს და შეძლებს თავისებურად შეასრულოს განსაკუთრებით ძნელად შესასრულებელი ქრისტიანული მცნება: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“.

სიცოცხლის ნება და სიკვდილის ტკივილი ადამიანთა უღრმესი, ყველაზე უნივერსალური თვისებებია. ჯაჯა-ფშაველა წერს: „ბუნებას თავისივე კანონი აქვს კაცთა ცხოვრებისათვის დამყარებული... მთელი კაცობრიობა, ჩვენი პლანეტის მცხოვრებნი, რამდენიმე მოდგმად განიყოფებიან, ხოლო მოდგმანი ერებად. ყოველივე ერი შესდგება ადამიანებისაგან, რომელნიც განირჩევიან ისევ ერთიერთმანეთისაგან სახიერებით, გონებრივი და სულიერი თვისებებით. საერთო თვისებაც სუფევს მათ შორის, და არა მარტო ერთი ერის ინდივიდებს, არამედ მთელს ხმელეთის მცხოვრებთაც შეგვიძლიან უპოვნოთ საერთო რამ, აი, თუნდაც, მაგალითად, სიყვარული სიცოცხლისა და მწუხარება სიკვდილისა გამო...“

უპირველესად სიცოცხლის საყოველთაო ნებასთან და სიკვდილის საყოველთაო ტრაგიკულობასთან – მთელი კაცობრიობისთვის საერთო ფენომენებთან შეხებით აღმოაჩენს ალუდა „ურჯულო“ მტერში ადამიანს, აღმოაჩენს ადამიანთა ერთიანობას და ყველასთვის ერთ, ქრისტიანულად კაცთმოყვარე ღმერთს, რომლისთვისაც ეთნოსის და კონფესიის განურჩეველად ყველა ადამიანი ძვირფასია. ეს აქცევს ალუდას შინაგანად თავისუფალ, სულიერად ღრმა პიროვნებად.

*** *** ***

„სტუმარ-მასპინძლის“ დასაწყისში ჯოყოლას და ზვიადაურს შორის თითქოს კონფლიქტი უნდა წარმოიშვას, მაგრამ ასე არ ხდება და ეს ერთადერთი არშემდგარი, ჩანასახშივე ჩამქრალი კონფლიქტია ამ სასტიკი კონფლიქტებით სავსე პოემაში.

კონფლიქტის თავიდან აცილება ჯოყოლას დამსახურებაა. მოულოდნელია გულისსმიერება და სულის სიუხვე, რომელსაც ჯოყოლა იჩენს უცნობი ხევსურის მიმართ – ჯოყოლასთვის ყოველი ადამიანი, მისი ეროვნების და სარწმუნოების მიუხედავად, უპირველეს ყოვლისა სწორედ ადამიანია; მისთვის ზვიადაური არ არის მტერი მხოლოდ იმის გამო, რომ ის ხევსურია; იგი ხევსურთა მთელ მოდგმაში მტრებს აპრიორულად არ ხედავს და ეს უწევსულია იმ სამყაროში, რომელშიც დაპირისპირებულ საზოგადოებათა ურთიერთობა „მტრის ხატზეა“ დამყარებული. ამით განიარაღებული ზვიადაური დაყვება ჯოყოლას ნებას და დიდ რისკს წევს, სტუმრად მიდის თავისი მტრების ბანაკში.

ქისტურ თემში ნებისმიერი ხევსურის სტუმრად მიყვანა, თუნდაც ის ქისტების გამორჩეული მტერი არ იყოს, უცნაური, გამომწვევი საქციელია. როგორც ჩანს, თავისი ამგვარი არაორდინარულობის გამო ჯოყოლა თემისთვის ადრეც ძნელად დასამორჩილებელი ადამიანი იყო (მოგვიანებით თემი მასზე ამბობს: „წინად სომ ბეერჯერ აგერია“). ეს არის იმის მიზეზი, რომ თემი თავიდანვე არ ენდობა მას, ინიღბება, ხრიკებს მიმართავს მასთან ურთიერთობაში. თემის და ჯოყოლას ურთიერთდამოკიდებულებაში ადრევე არსებული დაძაბულობა ზვიადაურის გამო უცებ იფეთქებს, მწვავე კონფლიქტში გადაიზრდება.

ჯოყოლას ადამიანური ბუნების სირთულე ჩანს იმ მორალური გრძნობების მრავალგვარობაში, რომლებიც მას ზვიადაურთან აკავშირებს მათი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა ურთიერთობის საფუძველზე. სიმპათიის და სულიერი ნათესაობის გრძნობის გარდა ეს არის მოვალეობის გრძნობა – მან უნდა უზრუნველყოს ამ ადამიანის ხელშეუხებლობა, რომელიც თავისთან სტუმრად თვითონ წაიყვანა; ეს არის თანაგრძნობა, სიბრალული: ჯოყოლას უმძიმს იმის ხილვა, როგორ ჯაბნიან ბევრნი ერთ, უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნილ ადამიანს

(„უიარაღოს აწვალებთ, გული რასა ჰგრძნობს თავადა“); ეს არის სირცხვილის გრძნობა – ჯოყოლას რცხვენია ზვიადაურის თავის თანატომელთა ქცევის გამო, მითუმეტეს არ სურს თვითონ შეელახოს ღირსება ზვიადაურის თვალში, რაიმე ისეთი გააკეთოს, რაც ზვიადაურის წინაშე მორალურად დააკნინებს.

ნაწარმოებში ყველაზე დიდი ზნეობრივი განსაცდელის პირისპირ ჯოყოლა აღმოჩნდება. ამ განსაცდელმა მას შეიძლება დააკარგვინოს ის, რაც უძვირფასესი აქვს: პიროვნული სახე, ღირსება, შინაგანი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჰუმანურობა. მთელი სამყარო იმისკენ უბიძგებს ჯოყოლას, რომ გაწიროს ზვიადაური, ყველაფერზე მეტად კი ის, რომ თუ ასე მოიქცევა, სოციალური მორალის თვალსაზრისით მართალი იქნება, რამდენადაც ზვიადაურმა მოატყუა, თავისი ვინაობა დაუმალა. მაგრამ არჩევანის გაკეთებისას ის ემორჩილება არა სოციალურ მორალს, არამედ მხოლოდ საკუთარ პიროვნულ ზნეობას, ყურს უგდებს მხოლოდ საკუთარი სინდისის, ღირსების გრძნობის, ადამიანურობის ულრმეს ხმას და გადარჩება როგორც ზნეობრივი პიროვნება.

ჯოყოლა ზნეობრივ გამოცდას უძლებს მაშინაც, როცა აღაზა უმხელს, რომ ზვიადაური დაიტირა. აღაზას აღსარებაზე ჯოყოლას პასუხში არსებითია ის, რომ ჯოყოლა – დამოუკიდებელი და ღირსეული პიროვნება – პატივს ცემს მეორე ადამიანის დამოუკიდებლობას და ღირსებას; მკაცრი, უხეშ სამყაროს მკვიდრი, მტკიცე და შეუპოვარი ჯოყოლა ამასთანავე სულიერად ფაქიზია, დახვეწილია და არ იჭრება სხვის ინტიმურ სამყაროში, აღიარებს ამ სამყაროს ხელშეუვალობას („მე რა გამგე ვარ მაგისა?“). ეს არის ადამიანის მიერ სხვა ადამიანის თავისუფლების აღიარების უმნიშვნელოვანესი აქტი თავისუფლების ქართულ ლიტერატურაში.

ჯოყოლას ბუნება, მორალი და მსოფლხედვა დოგმებით და ცრურწმენებით შეუზღუდავია, მისთვის სულის სიმაღლე ზოგადადამიანური სიქველეა („დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“).

ჯოყოლას პასუხში ჩანს მისი ღრმა სიყვარული აღაზასადმი, რადგან ჭეშმარიტი სიყვარულის ერთ-ერთი ძირეული ნიშანი საყვარელი ადამიანის დამოუკიდებლობის აღიარებაა. ჯოყოლა რომ ბოლომდე არ იჯერებს შინ დაბრუნებული აღაზას ნაამბობს, ეს არ არის ცოლისადმი მისი უნდობლობის გამოვლინება – მას სურს, რომ აღაზა საესებით გულახდილი

იყოს მის მიმართ, არაფერს უმალავდეს და ერთმანეთის წინაშე სრული გულახდილობის, სიწრფელის ეს მოთხოვნილებაც ღრმა სიყვარულის ნიშანია.

სულიერი სიღრმით და სიფაქიზით, ისევე როგორც პიროვნული ავტონომიით და საკუთარი პრინციპებისთვის თავის გაწირვის უნარით ჯოყოლა ახლოსაა ალუდა ქეთელაურთან, თუმცა ალუდას შინაგანი სამყარო მაინც უფრო რთულია, მტკივნეული ფიქრით, აზრით უფრო მდიდარია. ალუდა დიდ სულიერ ცვლილებებს განიცდის, ახალ რელიგიურ და ეთიკურ ფასეულობებს მიაკვლევს, რასაც ჯოყოლაზე ვერ ვიტყვით – ის, რომ მოწინააღმდეგე ეთნოსის წარმომადგენლები „რჯულძაღლები“ და არაადამიანები არ არიან, რაც ალუდამ ძლიერი შინაგანი ძვრების შედეგად აღმოაჩინა, ჯოყოლასთვის თავიდანვე და თავისთავადვე ცხადია. ჯოყოლას ადამიანური არსი კი არ იცვლება, არამედ ვლინდება დაძაბულ სიტუაციებში.

სულის სიროულის, სიფაქიზის მიუხედავად ჯოყოლა მონოლითური პიროვნებაა, რომელსაც ბოლომდე მყარად სწამს საკუთარი პოზიციის სისწორე თემთან კონფლიქტში. მისგან განსხვავებით აღაზას შინაგან ძალასთან ერთად სისუსტეც ახასიათებს, ის როგორც ქალი უფრო მეტად არის დამოკიდებული სხვების, საზოგადოების აზრზე, რაც მისი სახის მხატვრული სიმართლის და ინდივიდუალურობის საყრდენია. აღაზა თავისთავში ატარებს თემის ცნობიერებას, მის თვალთახედვას და ამ თვალთახედვითაც აღიქვამს და აფასებს საკუთარ ფიქრებს, განცდებს, ქმედებებს. თემის შიში, თემის წინაშე სირცხვილი მას თავისი შინასამყაროს სიღრმიდან ეძალება და ტანჯავს, ფანტასმაგორიის სახეს იღებს და ასე ატყდება თავს. მისი სულიერი თავისუფლება, მოკლული ზვიადაურისადმი მისი თანაგრძნობა და მზრუნველობა მითუფრო ნამდვილი და ფასეულია, რომ ხორცს ისხამს დიდი შინაგანი წინააღმდეგობების გამოელის, კონფლიქტების გადატანის ხარჯზე.

ხოლო აღაზას საშინელი მარტოობა, მის მიერ თავისი საქციელის მონანიება, ამ საოუთი არსების უმწეობა და სასოწარკვეთა ავი, ულმობელი სამყაროს პირისპირ, რომელსაც მდინარის საზარელი ხატი ასახიერებს, ყველაფერზე უფრო მტკივნეულად გვაგრძნობინებს ამქვეყნად ჰუმანისტური ღირებულებების და იდეალის ტრაგიკულ განწირულებას. პოემის პერსონაუთა შორის ყველაზე მრავალფეროვანი ემოციების აღმძვრელი აღაზას სახეა – ეს არის არამარტო სიმპათია და აღტაცება,

არამედ მწვაევე სიბრალული და დანანებაც. აღაზას ბუნებას და ხვედრს ირეკლავს უფსკრულის პირას ამოსული პირიმზის ხატი – ცხოვრების სისასტიკე განადგურებით ემუქრება ფაქიზ ადამიანურობას, კეთილშობილ, მშვენიერ ადამიანურ გრძნობებს და მისწრაფებებს.

თუ ჯოყოლა და აღაზა ძნელი ხნეობრივი არჩევანის წინაშე დგებიან, – როგორ მოექცნენ კაცს, რომელსაც მათ უმასპინძლეს, ის კი მათი უახლოესი ადამიანის მკვლელი გამოდგა, ხვიადაურის წინაშე მარტივი არჩევანია – გარდაუვალი სიკვდილის პირისპირ სიმტკიცის შენარჩუნება ან სულიერი დაცემა. ღვალურად ასეთი ალტერნატივა ხვიადაურისთვის არც არსებობს. იმისთვის, რომ საშუალება არ მისცეს თავის მტრებს არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც მოკლან, მას მხოლოდ ის ჭირდება, იყოს ვინც არის – ძლიერი, უშიშარი, მტრის მოძულე მუმარი. შესაძლოა, ხვიადაურს შინაგანი ძალა და გამძლეობა შემატა ჯოყოლას თაეგანწირულმა ეროგულებამ მის მიმართ; სხვა რომ არაფერი იყოს, იგი ჯოყოლას ყურ ჩამორჩება ვაჟკაცობაში, მის თვალში ვერ შეირცხვენს თავს. ხვიადაურის სახე ყველაზე უფრო ჰეროიკულია და ყველაზე ნაკლებად ტრაგიკულია ნაწარმოებში.

ხვიადაურის სიკვდილის ეპიზოდში უყურო რთულად გამოიკვეთება მასის სახე, რომელიც ჯოყოლას ოჯახზე თავდასხმისას ერთმნიშვნელოვნად წარმოჩნდება როგორც აგრესიული, შურისძიების ჟინით შეპყრობილი ბრბო. ხვიადაურის მსხვერპლად შეწირვის სცენაში ვლინდება, რომ ქისტთა თემისთვის მტრის სიძულვილი, მტერზე შურისძიება უზენაესი და შეუვალი რელიგიურ- ეთიკური კანონია („მაგრამ მტერს მტრულად მოექე, თვითონ უფალმა ბრძანაო“) და მისი შეუთავსებლობა ჰუმანურ პრინციპებთან შეადგენს კიდეც ნაწარმოების გამოუვალ, ტრაგიკულ კონფლიქტს.

ამ სცენაში მასა აგრესიის და შურისმაძიებლობის გარდა მტრის ვაჟკაცობის დაფასების და თავისი ქმედების გამო სინანულის განცდის უნარსაც ავლენს. მაგრამ იგი ადვილად იხშობს კეთილშობილ იმპულსებს იმით, რომ საკუთარ თავში კვლავ მტრის სიძულვილს აღვიძებს – ვაჟა ხედავს, რომ მასას ხნეობრივი განწმენდა და გარდაქმნა, სინდისის კარნახით არსებობა არ შეუძლია; ეს შეუძლია მხოლოდ ავტონომიურ პიროვნებას; ხოლო მასა თავისუფალ პიროვნებათა ზეგავლენის წყალობით თუ განიცდის სასიკეთო ზნეობრივ ცვლილებას.

ზეიადაურის მოკვლის ეპიზოდი ცხადყოფს დიდი, დესტრუქციული ფიზიკური და ფსიქიკური ძალით აღჭურვილი მასის უძლურებას ღირსეული პიროვნების წინაშე.

ღრმა პიროვნებათაშორისი თანაზიარობის და ერთგული სოლიდარობის უმაღლეს ფასეულობად დასახვა „სტუმარ-მასპინძელს“ გენეტიკურად „ვეფხისტყაოსანთან“ აკავშირებს. „სტუმარ-მასპინძელში“, ისევე როგორც რუსთაველის პოემაში, ეთნიკური განსხვავებულობა ხელს არ უშლის ადამიანებს, სწრაფად გადალახონ სიუცხოვე იმის წყალობით, რომ ერთბაშად გრძნობენ სულიერ ნათესაობას ერთმანეთთან და ერთმანეთისთვის შეუცელელად ძვირფასები ხდებიან. „სტუმარ-მასპინძელში“ ტრაგიკული კუთხით გარდატეხილი, ამქვეყნად განუხორციელებელი სახით წარმოდგება ადამიანთა საყოველთაო, უნივერსალური სოლიდარობის და სიყვარულის, სულიერი თავისუფლების იდეალი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ხორცშესხმულ და ძლევამოსილ რეალობად გვეელინება.

ქეთევან ნინიძე

„დედათა საკითხის“ რეფლექსია ქართულ პრესაში

მე-19 საუკუნეში საქართველოში, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, „დედათა საკითხი“ განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს. ქალის როლის, მისი სოციალური ფუნქციებისა და სტატუსის შესახებ მსჯელობა ქართულ პრესაში მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათაყვანო: ეს პროცესი მსოფლიოს ქალთა მოძრაობების გაშუქებითა და გამოხენილი ქალების ბიოგრაფიების აღწერით იწყება, შემდგომში კი გადაიზრდება ქალთა პრობლემის გარშემო წარმართულ მასშტაბურ და მწვავე პოლემიკაში. დედათა საკითხის რეფლექსია, შეიძლება ითქვას, ქართული პრესის საინფორმაციო პოლიტიკაა, რითიც ის აელენს ევროპული კულტურის კონტექსტში გაერთიანების მზაობას.

საინტერესოა ქალის სოციო-კულტურული მოდელი, რომელსაც აყალიბებს მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული ლიტერატურა. გაერცელებული ლირიკული მეტაფორაა „პყრობილი“ სატრფო, რის მიღმაც იკითხება ნაციონალური კონტექსტი, საქართველოს ისტორია. ეპიკურ ჟანრებში ტიპური სახეა მოძალადე ფეოდალის, ან ბურუჟუას მსხვერპლი ქალი. საინტერესოა, რამდენად წარმოაჩენს მე-19 საუკუნის საქართველოს რეალური ყოფის რეპრეზენტაციულ სურათს ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტები, რაც ლიტერატურამ ასეთი ინტენსიურობით აღბეჭდა. ქართული პრესა ამ პრობლემის გარშემო რაიმე საყურადღებო ცნობებს არ გვაწვდის. შესაძლოა, ეს არის პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და შეიწროების მეტაფორა.

ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის პარადიგმა ვრცელდება ჭონქაძის „სურამის ციხიდან“ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებამდე“. ეს მოტივი გეხვდება აღნიშნული ეპოქის, თითქმის,

ყველა ეპიკურ ტექსტში ქართული ლიტერატურის კანონიდან. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც ნაწარმოების ცენტრალური კონფლიქტი, ან ქმნიდეს ეპიზოდურ სახეს და გაკრთებოდეს ანტურაჟის მეორეხარისხოვან პლასტებში.

როგორც აღვნიშნეთ, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის პარადიგმის ინტერპრეტაცია შესაძლებელია ნაციონალურ დონეზეც და ამ მოდელის მიღმა უდაოდ იკითხება საქართველოს ისტორიის ის ეტაპი, როცა იმპერიის მიერ კოლონიზებულ სახელმწიფოს დაკარგული აქვს ეროვნული სუვერენიტეტი, ნაციონალური იდენტობა. ცნება „სამშობლოს“ სემანტიკაც (მშობელი, შობა) ცხადყოფს, რომ ქართულ კულტურაში ის მდედრობითი სქესის სუბიექტთან გაიგივდება. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო გაამყარებს მისი მეწყვილე ეპითეტი – „დედა“ („დედა-სამშობლო“). აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ ლიტერატურაში ქალთა მიმართ ძალადობის მოტივებზე მსჯელობისას ფსიქოანალიზის მეთოდს მივმართავთ. ტექსტში, როგორც სიზმარში, პროეცირდება ის მოდელები, რომლებიც, ამ შემთხვევაში, აყალიბებს კოლექტიურ არაცნობიერს. ქალთა მიმართ ძალადობის ლიტერატურული ფაბულა კი სწორედ ის მოდელია, სადაც ალეგორიზებულია ნაციონალური ხასიათის კოლექტიური ტრაქმები.

„მსხვერპლი ქალის“ სახეში არა მხოლოდ ლოკალური ეროვნული, ან, თუნდაც, სოციალური პრობლემა აირეკლება, არამედ ეს ხატი, გარკვეულწილად, საზრდოობს საკუთრივ ლიტერატურის წიაღიდან. აშკარაა, რომ აღნიშნული პერიოდის ქართულ პროზაულ ტექსტებზე დიდი გავლენა აქვს ინგლისური და ფრანგული სენტიმენტალური, ბურჟუაზიული რომანის ძირითად მოტივებს. აღნიშნულ ლიტერატურას ქართველი მწერლები იცნობდნენ და ხოგჯერ, თარგმნიდნენ კიდეც. თუკი გენეტიკური სტრუქტურალიზმის მეთოდს მივმართავთ, არაერთი ნიშნის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კეთილშობილი, მსხვერპლი ქალი, რომლიც მეტაფორა მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ გამოძერწა, ტიპოლოგიურად ევროპული სენტიმენტალური ლიტერატურის იმედგაცრუებულ, ზნეობრივ ქალს ენათესავება.

მოძალადე ბატონის/ბურჟუას მსხვერპლი ქალის გვერდით მხატვრულ ლიტერატურაში თავს იჩენს ცბიერი, ხარბი ქალის სახეც. ეს შესაქმისეული მეტა-ნარატივი განსაკუთრებით

ნაყოფიერ ნიადაგს პოვებს რომანტიზმში და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში იჭრება, უმავრესად ბაირონისა და ლერმონტოვის ტექსტების გავლით. საინტერესოა, რომ ეპიკური ტექსტები უმთავრესად, „ჩაგრული ქალის“ მოდელს წარმოგვიდგენს, მაშინ, როდესაც ლირიკა ცბიერი ქალის პარადიგმას აიტაცებს. როგორც ჩანს, აქაც მოქმედებს ლიტერატურული გამოცდილების ფაქტორი – უანრობრივი ტრადიციები. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც განიცდის ინგლისური რომანტიზმის გაელენას და თვითიდენტიფიკაციას ახდენს ინგლისელ და რუს რომანტიკოს მწერლებთან (ბაირონი, ლერმონტოვი), განავითარებს, სწორედ „მაცდური ქალის“ ბიბლიურ-შესაქმისეულ და მითოლოგიურ პარადიგმას. ამ ლიტერატურულ ფაქტს ისედაც ჰქონდა საფუძვლები მე-18 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში სპარსული პოეზიის გაელენების შედეგად.

ქალთა საქმიანობის შეზღუდვა შემდეგი იმპერატივის მიხედვით – კაცებს – სახელმწიფო, ქალებს – ოჯახი, ეიქტორიანული პერიოდიდან დაიწყო. ინდუსტრიული კაპიტალიზმის პირობებში ქალის საასპარეზო მოედანი მხოლოდ კერძო სფეროთი, ანუ, ოჯახით შემოიფარგლებოდა სწორედ იმიტომ, რომ ამ სივრცეში უფრო მოხერხებულად ხდებოდა ქალთა შრომითი ექსპლუატაცია. მსოფლიოში კერძო საკუთრების გაჩენისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესებმა ქალის შრომასა და ყოფაზე კონტროლი გაზარდა, რადგან სწორედ მათი შეუფასებელი კონტრიბუციის ხარჯზე ხდებოდა კაპიტალის დაზოგვა და შემოწმება.

მსოფლიოს ინტელექტუალთა ის ნაწილი, ვინც ქალთა სასოგადოებრივი სფეროსგან იზოლირების მომხრე იყო, მიიჩნევდა, რომ სქესთა შორის განსხვავება არა სოციო-კულტურული, არამედ ფიზიოლოგიური ხასიათისაა და ქალის ინტელექტუალური შესაძლებლობები მკვეთრად ჩამოუვარდება მამაკაცისას. ამ მოსაზრებას, როგორც „მეცნიერულ“ არგუმენტს, საქართველოშიც ხშირად მოიშველიებდნენ, უმეტესად, ის ადამიანები, ვინც თავიანთი დამოკიდებულებებით გენდერულ თანასწორობას ეწინააღმდეგებოდნენ.

პირველი ტალღის ფემინისტი მოაზროვნეების, ე.წ. „ლიბერალური ფემინიზმის“ ბრიტანელი წარმომადგენლების - მერი უოლსტოუნკრაფტის (მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი), ჯონ სტიუარტ მილის, ჰარიეტ ტეილორ-მილისა (მე-19 საუკუნის შუა წლები) და სხვათა უპირველესი ამოცანა იყო, სწორედ იმ მტკიცებულების გაბათილება, რომ მამაკაცები თავიანთი ინტე-

ლექტუალური შესაძლებლობებით აღემატებიან ქალებს. ამის საპირისპიროდ, ქალთა ემანსიპაციის მომხრეები მოითხოვდნენ მათთვის განათლებისა და საარჩევნო ხმის უფლებების მოპოვებას. ჯონ სტიუარტ მილმა ქალების არჩევნებში თანამონაწილეობის საკითხს მიუძღვნა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც დიდი ბრიტანეთის თემთა პალატაში წარადგინა. მისივე ფუნდამენტური მონოგრაფია „The Subjecttion of Women", რომელიც ქორწინებაში მყოფ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას შეუსაბოდა, ფუნდამენტური ფემინისტური კვლევის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. ეს ნაშრომი თითქმის, ყველა ევროპულ ენაზე ითარგმნა, მათ შორის, რუსეთშიც, სადაც წიგნმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

ქალთა საარჩევნო ხმის უფლების მოთხოვნა გახდა მსოფლიოში სუფრაჟისტული მოძრაობების წამოწყების საფუძველი. ქალების პროტესტს იწვევდა ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ორგანოებში წარმოდგენილი მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობა მათს ინტერესებს უგულებელყოფდა. ისინი საჭიროებდნენ წარმომადგენლობით პარლამენტს, სადაც კანონშემოქმედებისას ქალთა პრობლემები იქნებოდა გათვალისწინებული. სუფრაჟისტული მოძრაობები დაიწყო დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, მე-19 საუკუნის შუა წლებში, თუმცა მალე არამხოლოდ ევროპისა და ამერიკის კონტინენტებს, არამედ მთელ მსოფლიოს მოედო. ქალთა მოძრაობების მთავარი წანამძღვრები ლიბერალური ღირებულებებიდან (თანასწორობა, თავისუფლება) ამოიზრდებოდა.

მსოფლიოს ქალთა მოძრაობების გაშუქებას ქართული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს. არაერთი კორესპონდენცია და სტატია ეთმობა აღნიშნულ მოძრაობებთან დაკავშირებულ მოვლენებსა და გამოჩენილ მოღვაწე ქალთა ცხოვრებას. მაგ. 1866 წლის აგვისტოს „დროება" (№23) მკითხველს გააცნობს გარიბალდის მებრძოლი ქალის, 20 წლის კაპრალის, ერმინია მანელლის გმირულ ისტორიას. 1863 წლის აპრილის „ცისკარში" (№ 4) კი იბეჭდება ანტონ ფურცელაძის სტატია „პოლშელი პატრიოტი-ქალი გენრიეტტა პუსტოვოიტოვა", რომელიც ეძღვნება პოლონეთის ნაციონალური აჯანყების ადიუტანტ ქალს. 1867 წლის სექტემბრის იგივე გამოცემა (№ 36) გვაცნობს ახალგაზრდა რუს ექიმ ქალს, სუსლოვას, რომელმაც მედიცინის სფეროში უმაღლესი განათლება მიიღო ჯერ პეტერბურგის, შემდეგ კი – ციურიხის უნივერსიტეტებში. სუსლოვას მაგალითი ქალის მიერ

უმაღლესი განათლების მიღების პირველი შემთხვევაა რუსეთში. ცხადია, ქართულ ჟურნალში აღნიშნული პრეცედენტების გაშუქება სტრატეგიული მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს ქართველი ქალების გააქტიურებას სამოქალაქო სფეროში და მათდამი მოწოდებას უმაღლესი განათლების მიღებისაკენ.

ქალთა განათლების საკითხებს არაერთი პუბლიკაციით ეხმიანება გაზეთი „ივერია“. საინტერესოა 1894 წლის 84-ე ნომერში გამოქვეყნებული მიმოხილვა „დედათა უმაღლესი განათლება სხვადასხვა სახელმწიფოში“. პუბლიკაციაში შეჯერებულია აშშ-სა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ირლანდია, შოტლანდია, ინგლისი) მაგალითები, წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები ქალთა საქმიანობის სფეროებისა და მათი წარმომადგენლობის შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში.

„ცისკრის“, „დროების“, „ივერიის“; „ცნობის ფურცლის“ ჟურნალისტები ძალისხმევას არ იშურებდნენ, რომ თავიანთი პუბლიკაციების საშუალებით ქართველი მკითხველისთვის გაეცნოთ ტექნიკოსი, სამხედრო, ექიმი, ტელეგრაფისტი, მასწავლებელი ქალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამის საინტერესო მაგალითია ჯერ კიდევ 1857 წლის მაისის „ცისკარში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი მიმოხილვა, რომელიც მიეძღვნა სიამის (ახლ. ტაილანდი) ქალთა ჯარს. აგრეთვე, 1862 წლის ამავე ჟურნალის სექტემბრის ნომრის წერილი ლეჩხუმიდან - „ქალთა ექიმობასა ზედა“, რომლის ავტორი პეტრე ჩარქოვი, მიმოხილავს სიკეთილიანობის მაღალ მაჩვენებლებს საქართველოში ქალთა პოპულაციაში. ავტორი იმიინვევს, რომ ეს პრობლემა გადაჯაჭვულია ქალთა პროფესიულ შეზღუდვებთან - მათთვის საექიმო საქმის აკრძალვასთან. „დროების“ 1870 წლის იანისის (№ 24) ნომერში დაბეჭდილი სტატია – „ქალებზედ“ წარმოაჩენს ტელეგრაფში მომუშავე ქალების ყოველდღიური ცხოვრების წესს ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში. 1890 წლის თებერვლის „ივერიის“ (№ 41) ერთ-ერთი პუბლიკაცია New York World-ის ჟურნალისტი ქალის, ნელი ბეილის შესახებ მოგვითხრობს. 1892 წლის „ივერიაში“ (№ 93) გამოქვეყნებული წერილი კი – გერმანელი ფემინისტის, ელენე ლანგის მოსაზრებების შესახებ, ქალთათვის სამხედრო სამსახურის (მედდის სპეციალიზაციით) აუცილებლობაზე. ამავე პრობლემას შეეხება 1898 წლის 118-ე ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია – „ამერიკელი ქალების მონაწილეობა ყოველგვარ საქმეში. ქალების და

ვაჟების ერთად სწავლება. ქალები პროფესორებად და რექტორებად“ რუბრიკაში „უცხოთა ამბები“ (კაკაველი შ.); ასევე, 1897 წლის აპრილის „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი (№ 164) წერილი, სათაურით – „ბრმა-ყრუ სტუდენტი ქალი...“, რომლის ავტორიც არის შაქრო, საეარაუდოდ, „ცნობის ფურცელის“ ავტორი, შაქრო ვაჩნაძე. პუბლიკაციაში საუბარია ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონაზე, რომელიც მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რასაც მას უქმნის უსინათლობა და სმენის დაქვეითება, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს სასწავლებელში.

ქალთა საგანმანათლებლო საქმიანობებსა და საზოგადოებრივ აქტივობებს გააშუქებს 1869 წლის ივნისის (№ 25) „დროება“, სადაც მიმოხილულია ჟურნალების -„Les Droics les femme“, (საფრანგეთი), „Journal Des femmes“ (შვეიცარია), „Revolucion“ (აშშ), „La donna“ (იტალია) და „Avoz feminina“ (პორტუგალია) - საქმიანობა და ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ ჟურნალებთან თანამშრომლობდნენ და წაახალისებდნენ ქალთა საზოგადოებრივ გააქტიურებას. ქალთა განათლების პრობლემისადმია მიძღვნილი კორესპონდენცია ციურიხიდან - „რუსი ქალები ციურიხში“, სადაც მიმოხილულია რუსი სტუდენტი ქალების მიერ ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში (ციურიხი, ბერნი, ლაიპციგი) სწავლის შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული, იმ ქალების მაგალითებზე, რომლებიც ეუფლებოდნენ აკრძალულ პროფესიებს - მედიცინას, ბუნებისმეტყველებას, იურისპურდენ-ციასა და პედაგოგიკას. ამავე საკითხებს ეთმობა 1870 წლის „დროების“ აპრილის ნომერში (№ 13) გამოქვეყნებული მიმოხილვაც „ქალებზე“. ავტორი მკითხველს აცნობს ევროპისა და ამერიკის შეერებული შტატების უნივერსიტეტებს (კემბრიჯი, ვენის, კოპენჰაგენის; დუბლინის უნივერსიტეტები), სადაც ვაჟებთან ერთად ირიცხებიან სტუდენტი გოგონები.

ქალთა ლოკალურ თუ საეროაშორისო მოძრაობებთან დაკავშირებული მოვლენების ასახვას, პერიოდული გამოცემების სიხშირიდან გამომდინარე, ჟურნალებთან შედარებით, გაცილებით ინტენსიურად ახერხებდა გაზეთები. გაზეთ „დროებაში“ პირველივე ნომრებიდან იბეჭდებოდა ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქალთა ყოფისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ, ამასთანავე მნიშვნელოვანი

ყურადღება ეთმობოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში ქალთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას.

გიორგი წერეთელი ჯერ კიდევ 1866 წლის 1 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში „დედა-კაცის აზრი დედა-კაცზედ“ (№ 5, გვ. 1-2) მიმოიხილავს ქალთა პრობლემებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ავტორი გვაცნობს აღნიშნული საკითხების შესახებ საკუთარ პრინციპულ დამოკიდებულებასაც. მისი აზრით, ქალთა ასპარეზი მხოლოდ ოჯახით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მათ უნდა ჰქონდეთ პროფესია და დაკავებულნი იყვნენ მათთვის სასურველი საქმიანობით. იგი იხსიარებს ბერძენი პუბლიცისტი ქალის, დორა დისტრიას (ელენე კალცოვა-მასალსკაია) მოსაზრებებს, რომ ქალის სოციალური სტატუსი მამაკაცისას უნდა გაუთანაბრდეს, ის უნდა იყოს თანამონაწილე როგორც სახელმწიფოს მართვაში, ასევე, საზოგადოებრივ საქმეებში.

ამავე პრობლემას ეხება „დროებაში“ 1869 წლის 19 ივნისს (№ 25) გამოქვეყნებული საინფორმაციო მიმოხილვა „ჩიროუნიკი - დედაკაცები ამერიკის შეერებულ შტატებში“. პუბლიკაცია წარმოაჩენს ამერიკის შეერთებული შტატების შრომით ბაზარზე ქალთა არჩევანის თავისუფლებას. ქალთა საკითხების განხილვას დიდ ადგილს უთმობს 1886 წლიდან უკვე ყოველდღიური გაზეთი „იერია“. ამავე წლის 9 თებერვალს (№ 32) იბეჭდება დავით ერისთავის მიმოხილვა „უცხოთა შორის“, რომელიც ეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა საზოგადოებრივი სტატუსის საკითხს. პუბლიკაციის ავტორი საუბრობს იმ პროგრესის შესახებ, რაც, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, ქალთა ემანსიპაციის საკითხებში განიცადა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. პუბლიცისტის დაკვირვებით, ევროპის სახელმწიფოებში ქალთა საკითხების გარშემო პოლემიკა ჯერ კიდევ, ეხება მათს თანამონაწილებას პოლიტიკურ მოვლენებში მაშინ, როდესაც ჯერ აქტიურად არც კი განიხილება ქალთა საზოგადოებრივი განვითარების პროცესებში ჩართვის საკითხი.

ამ თვალსაზრისით განსაკურებით საინტერესოა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1897 წლის მაისში (№ 88) დაბეჭდილი წერილი „ქალების საყურადღებოდ: ქალის აზრი ქალებზე”. სტატიაში ვრცლად არის განხილული მიმართება, რომელიც ბერლინის ქალთა საერაშორისო კონგრესმა მიიღო პოლონელი მწერალი ქალის, ელიზა ოჟეშკოსგან. თუკი ამ პერიოდის პრესაში ქალთა საკითხი მეტწილად თავისუფლებასა და

თანასწორობასთან ღირებულებრივ კავშირში განიხილება, აღნიშნული პუბლიკაცია მორალური და ზნეობრივი პათოსით აფასებს ქალთა მდგომარეობას. ავტორის საკმაოდ სტერეოტიპული შეხედულებები და მისი იმპერატიული რიტორიკა მიმართულია იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ ქალის ფუნქცია არის არა მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, არამედ მამაკაცთა მიერ წარმართული გაუთავებელი ომებისა და ქიშპობის ჩაცხრობა და ქვეყნად მშვიდობის დამყარება.

გაზეთი „დროება“ დიდ ყურადღებას უთმობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთათვის საარჩევნო ხმის მინიჭების საკითხს. 1866 წლის აპრილის (№ 5) ერთ-ერთ პუბლიკაციაში განხილულია ქალთა სამოქალაქო უფლებები შვედეთში და გადმოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა პეტიციის შინაარსი, რომელიც შეეხება მათთვის პოლიტიკური უფლებების მინიჭებას. იმავე წლის დეკემბრის (№ 42) სტატია ვრცლად მიმოიხილავს დიდ ბრიტანეთში მომზადებულ მსგავს დოკუმენტს, რომელიც ადგილობრივ ქალთა თემმა წარუდგინა ინგლისის საკანონმდებლო ორგანოს. არჩევნებში ქალთა თანამონაწილეობის საკითხს ეხება ამავე გაზეთში 1868 წლის 24 მაისს (№21) გამოქვეყნებული სტატიაც - „აღმორჩეიოი (კენჭის) სიმართლის მინიჭება ქალთათვის“, სადაც ავტორი ქალთა უფლებების საკითხს და მათს საზოგადოებრივ საქმიანობას განიხილავს ინგლისურ გაზეთ Nord-ის მასალებზე დაყრდნობით. აღნიშნულ პუბლიკაციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა უფლებების აქტიური დამცველის ინგლისელი ფილოსოფოსისა და ეკონომისტის ჯონ სტიუარტ მილის საქმიანობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა Wasiani W.-ს (ვარლამ ჩერქეზიშვილი) მიმოხილვები, რომლებიც 1894 წლის იულის-აგვისტოშია დაბეჭდილი (№ 135, 146), სადაც აღწერილია ინგლისელ ქალთა მოძრაობა და ლონდონში მათ მიერ გამართული საპროტესტო მიტინგები.

ქალთა ყოფასა და მათ პრობლემებს ასახავს გაზ. „დროების“ 1867 წლის იელისში (№ 27, 28, 29) გამოქვეყნებული სტატიების ციკლი - „მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა ევროპის წინა-სახელმწიფოებში“, ფილიპე დათეშიძის ავტორობით. პუბლიკაციაში წარმოჩენილია ქალთა შრომითი პირობები დასავლეთის ქვეყნებში და გაანალიზებულია მათი სიკვდილიანობისა და რეპროდუქციულობის მაჩვენებელთა სტატისტიკა. საგუ-

ლისხმოა ამავე გაზეთში 1872 წლის 27 მაისს (№ 20) დაბეჭდილი სტატია „მუშა ქალების გაფიცვა ლონდონში“. 1899 წელს ქალთა მდგომარეობას საფრანგეთში, გერმანიასა და პოლონეთში ეხმიანება გახ. „კვალში“ გამოქვეყნებული სტატიებიც საგანგებო „ქალთა კითხვა“ (№17, 19, 24).

ქართული პრესა დიდ ადგილს უთმობს ქალთა მოძრაობებს (მათს პეტიციებს, მიტინგებს, მანიფესტაციებს, კონგრესებს) მსოფლიოს მასშტაბით. 1873 წლის სექტემბერში გაზეთი „დროება“ (№35) სპეციალურ მიმოხილვას უძღვნის პარიზში გამართულ ქალთა კონგრესს. პუბლიკაცია ხელმოწერილია „უღელელის“ სახელით, რაც, როგორც ჩანს, ამავე წელს შეიცარიაში დაარსებული ორგანიზაცია „უღელის“ რომელიმე წარმომადგენლის ფსევდონიმია. პუბლიკაციაში საუბარია არამხოლოდ კონგრესზე, არამედ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა ყოფასა და უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათს პროტესტსა და საზოგადოებრივ აქტივობებზე.

მე-19 საუკუნის ბოლო წლებში გამართული ქალთა საერთაშორისო კონგრესების შესახებ საინტერესო მიმოხილვები იბეჭდება გაზეთ „ივერიაში“. იხ. „წერილები ინგლისიდან: „დედათა კონგრესები“ (1898, № 159) და კორესპონდენციები რუბრიკით - „უცხოთა შორის“: „როგორ იმარჯვებენ თანდათან ქალები“, „დედათა საერთაშორისო კონგრესი ლონდონში“, „პარიზის ქალთა კლუბები“, „კლუბების სიმრავლე ლონდონში“ (1899, №95, 134, 145). პუბლიკაციების ავტორები არიან ვარლამ ხერქეზიშვილი (მარველის ფსევდონიმით) და ილია აღლაძე. პირველ წერილში ილია აღლაძე საუბრობს აშშ მოქალაქის, ბოსტონის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მღვდელი ქალის, ანნა ჰოვარდ შოუს შესახებ, რომელიც ქადაგების განსაკუთრებულ უნარს ფლობს და უანგაროდ ემსახურება ამერიკის შეერთებული შტატების პროვინციათა ღარიბ თემებს. მიმოხილვაში დაწვრილებით არის აღწერილი, ასევე, ევროპის ქალთა ერთ-ერთი პირველი კლუბები პარიზში, ბერლინსა და ლონდონში (Alexandra Club, Empress Club, Sesame Club, Pioneer Club, Writers' Club). აღნიშნული ორგანიზაციები იმითაც იყო საინტერესო, რომ აქ ინტეგრირებულნი იყვნენ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალები. შესაბამისად, აქაურ ცოცხალ დისკუსიებსა და განსჯას განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა.

„ივერიის“ იმავე წლის № 185-ში გამოქვეყნდა ილია აღლაძისავე მიმოხილვა - „კიდევ დედათა კონგრესი. ქალების მდგომარეობა ამერიკაში ამ 50 წლის წინად და ახლა. ჟურნალისტი ქალები“. სტატიაში საუბარია ცნობილი ფემინისტი მოაზროვნის, „ქალთა თანასწორუფლებიანობის ეროვნული ასოციაციის“ ერთ-ერთი დამაარსებლის - სიუზან ენტონის მიმართვაზე ლონდონის ქალთა საერთაშორისო საბჭოსადმი.

გერმანიის ქალთა საერაშორისო კონგრესს შეეხება ივანე რამი'შვილის კორესპონდენციები გაზეთ „ცნობის ფურცელში“ - „ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესი“ და „ქალთა კონგრესი ბერლინში“ (1904, № 2549; 1905 № 358). იგივე გაზეთი პუბლიკაციით „ქალთა კლუბები ამერიკაში“ (1905, № 356) მიმოიხილავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა კლუბების საქმიანობას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ქართველ ქალთა საზოგადოებრივ საქმიანობას, ისე მათი საჭიროებებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებებს. პრესა ყურადღებით აშუქებს ქალთა სასწავლებლების დაარსების შემთხვევებს, იხ. „ქალების სახელოსნო შკოლა თფილისში“ („დროება“, 1870, № 3), ასევე, ი. მ. ახალციხელის კორესპოდენცია „ქალების უფასო შკოლის გახსნა ახალციხეში“ („დროება“, 1871, № 18), ანა თუმანი'შვილის წერილი „ქალების პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა თბილისში“ („დროება“, 1884, № 23) ბარბარე მამაცაშვილის სტატია „ახალციხის ქალების უფასო სასწავლებელი“ („დროება“, 1872, № 25) და სხვ.

ჟურნალ-გა'ზეთები არამხოლოდ აქტიურად გააშუქებდნენ ქალთა საქმიანობებს, მათ მიერ და მათი ინტერესებისთვის ორგანიზებულ აქტიობებს, არამედ მათი წვლილი დიდი იყო ქალთა საჭიროებების შეფასების საქმეში. ისინი ხშირად მოუწოდებდნენ კიდეც საზოგადოებას, ამა თუ იმ ღონისძიების აუცილებლობის შესახებაც და, ცხადია, მათს პუბლიკაციებს დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „ქართველი ქალის“ (ელისაბედ ჩერქეზი'შვილი) ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია „ქართველ ქალთათვის განზრახული სკოლის გამო“, რომელიც 1889 წლის მარტში გამოქვეყნდა გაზ. „ივერიაში“ (№ 48). ავტორი საუბრობს ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელობის შესახებ და თვლის, რომ ქალთა უინიციატივობა და უმოქმედობა დიდ

პრობლემას წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, როგორიც არის მათთვის სპეციალური სკოლის დაარსება. ელისაბედ ჩერქეზიშვილის აზრით, ქალებს ამგვარი უპასუხისმგებლობის გამოსყიდვა სამომავლოდ მხოლოდ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითა და რიგიანი განათლებით შეუძლიათ.

სერგეი მესხი სტატიაში „ქალები – მასწავლებლები“, რომელიც 1875 წლის „დროების“ 66-ე ნომერში გამოქვეყნდა, აყალიბებს საკუთარ ხედვას ქალთა როლისა და ფუნქციის შესახებ განათლების სფეროში. მისი აზრით, ქალებზე მორგებული პროფესიაა პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლობა პროვინციებში, რასაც მესხი მეტად საინტერესო ახსნას უძებნის. მისი თქმით მამაკაცთა დიდი ნაწილი ამ საქმიანობას თავს არიდებს სამუშაოს არა პრესტიჟულობისა და დაბალი ანაზღაურების გამო, ეს კი აძლევს ქალებს იმის საფუძველს, რომ დაწყებითი განათლების სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ. არ ვიცით, რამდენად შეიძლება ეს წერილი მივიჩნიოთ ქალთა ინტერესების დასაცავად გამოქვეყნებულ ტექსტად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პუბლიკაცია იმდროინდელ ინტელექტუალთა შეხედულებების რეპრეზენტაციაა. შედეგად, მე-19 საუკუნიდან ღელმდე, ქალთა ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა სწორედ, დაწყებითი განათლების სფეროში შეინიშნება.

ქართული პრესა იშვიათად, მაგრამ მაინც გააშუქებს ქალთა უფლებების დარღვევის ცალკეულ ფაქტებსაც. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს „ცნობის ფურცელში“ თამარ ფალავანდიშვილის მიერ გამოქვეყნებული „წერილი რედაქციის მიმართ“ (1905, № 2840), სადაც ავტორი გამოხატავს უკმაყოფილებას თაყადაზნაურთა სხდომაზე მომხდარი ინცინდენტის გამო. ავტორის ცნობით, კრებაზე დასასწრებად მისულ ქალებს პოლიციის მუშაკებმა შეურაცხყოფა მიაყენეს და დარბაზში შესვლის საშუალება არ მისცეს. სტატიის ავტორი, ქალთა მოძრაობის აქტივისტი, მოითხოვს შესაბამისი ორგანოების მიერ საკითხის შესწავლასა და შესაბამისი ზომების მიღებას.

ქართველ ქალთა ყოფისა და უფლებრივი მდგომარეობის ასახვას ეძღვნება სპეციალური ეთნოგრაფიული წერილები. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა „თავისუფალი სვანის“ (ბესარიონ ნიჟარაძის) სტატია - „ქალების მოტაცება სვანეთში“, რომელიც 1882 წელს „დროებაში“ (№ 49) გამოქვეყნდა. მნიშვ-

ნელოვანია 1884 წელს „დროებაში“ კოწია მაჭაიარიანის მიერ გამოქვეყნებული ნარკვევი - „ეთნოგრაფიული წერილები. ქალის ბედი აფხაზეთში“ (№ 266) და ეკატერინე გაბაშვილის პუბლიკაცია „იერიაში“ 1889 წელს - „ზემო-ქართლელ დედაკაცის საკუთრება გლეხ-კაცის ოჯახში“ (№ 97). განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩევა ნ. ტატიშვილის ეთნოგრაფიული ჩანაწერი - „ერთი კვირა ოსებში“, რომელიც 1869 წელს (№ 45) „დროებაში“ გამოქვეყნდა. ავტორი აღწერს ოს ქალთა გაუსაძლის ყოფას, რთულ შრომით პირობებსა და უუფლებო მდგომარეობას. 1868 წლის ივლისში (№ 30) გაზეთ „დროებაში“ „უდროოთ გათხოვილი ქალის“ ფსევდონიმით წარმოდგენილი ავტორი აქვეყნებს საინტერესო ტექსტს - „რამდენიმე შენიშვნა ერთის უდროოთ გათხოვილის ქალისა“, რომელიც ორიგინალური სტილით (პირველი პირის ნარაცია) არის შესრულებული პუბლიცისტური და მხატვრული ჟანრების მიჯნაზე. ტექსტი წარმოაჩენს ქალთა უუფლებობას, რაც გამოიხატება მათთვის განსაკუთრებით მტკივნეულ პრობლემაში, მე-19 საუკუნის რეალობისთვის საკმაოდ სიმპტომურ ფაქტში – მშობლების მიერ ახალგაზრდა გოგონას ძალით გათხოვებაში.

როგორც აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული პრესა ინტენსიურად წარმოაჩენდა ქალთა მოძრაობების, მათი ყოფისა და უფლებების ამსახველ ფაქტებს, თუმცა, გარდა ამისა, ჟურნალ-გაზეთები მკითხველს სთავაზობდა პრობლემაში სიღრმისეული წვდომისა და კულტურის ისტორიაში ჩაღრმაებების საინტერესო მცდელობებსაც. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (№ 4) დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოქვეყნებული ისტორიული მიმოხილვა - „ქართველი ქალები“, რომელიც ქართულ კულტურაში ქალის როლისა და ისტორიული ფუნქციების შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. ავტორი მოიშველიებს დიმიტრი ყიფიანის მოსაზრებას, რომ ქალის როლი საზოგადოებაში ემყარება იმ რელიგიურ ფუნდამენტს, რასაც დაშენებულია ესა თუ ის კულტურა. ამ პოზიციით ხსნის დიმიტრი ყიფიანი ისლამურ ქვეყნებში ქალთა უფლებების განსაკუთრებულ შეზღუდვას, განსხვავებით, ქრისტიანულისგან, სადაც ქალი ყოველთვის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. პუბლიკაციაში რამდენადმე იდეალიზებულია ქართველი ქალის კულტურული ხატი – ხაზგასმულია მისი ახოვანება-სიმამაცე და, ყველაზე მეტად - ზნეობა.

საქართველოს ისტორიასა და ქართულ კულტურაში ქალის ფუნქციების შესწავლა-წარმოჩენას ემსახურება ინგილოს (დიმიტრი ჯანაშვილის) პუბლიკაციები გაზ. „დროებაში“ 1875 წელს - „ქართველები, ასურეთის მეფე ნინი და სემირამიდა, 1250 წლიდგან 1143 წლამდე, ამორძალები (ამაზონკები) და ქალის მნიშვნელობა საქართველოში“ (№ 62, 63) და 1880 წელს - „წერილი ქართველ ქალთან“ (№ 207). იმავე საკითხებს – მსოფლიოსა და საქართველოში ქალის ისტორიულ ფუნქციებს ეთმობა 1889 წლის 2-11 მაისს „იერიაში“მ. ე-შვილის მიერ გამოქვეყნებული ვრცელი ნარკვევი - „დედათა უფლების საქმე“ (№91-97). ავტორი უღრმავდება აღგილობრივ კულტურულ გარემოს და აფასებს მას დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა გადაკვეთის კონტექსტში. პუბლიკაციის პირველ ნაწილში ის განიხილავს ქალთა მდგომარეობას დასავლური ცივილიზაციის უძველეს კულტურებში (ძველ რომსა და საბერძნეთში) და შუა საუკუნეების ევროპაში, შემდეგ, იმდროინდელი სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით, შეეხება შუა საუკუნეების საქართველოში ქალთა უფლებრივ მდგომარეობას, კერძოდ, საკუთრების უფლებას. პუბლიკაციის მომდევნო ნაწილებში ავტორი საუბრობს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა ემანსიპაციის პროცესზე - ქალთა მოძრაობებზე, მათ მიერ კლუბებისა და სალონების დაარსებასა და მათს უფლებებზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში.

ქალთა განათლების საკითხებს შეეხება პეტრე ჩარექოვის წერილი - „რამდენიმე სიტყვა ქალის აღზრდაზე“. ტიპიზაციის მეთოდის გამოყენებით ავტორი ცდილობს, წარმოაჩინოს მათი თანამედროვე ქალის ორი სახე – მორჩილი მეოჯახე ქალები და თამამი ქცევის, ევროპული ჰაბიტუსის ქალები, რომლებსაც შეუძლიათ „ფრანციცულად ტარტარი“, ფლობენ „ტურფად მიხრა-მოხრის“, „კეკლუცად ტანცაობისა“ და ფორტეპიანოს ხელოვნებას. ავტორის აზრით, ამ უკანასკნელთა ცოდნა და ქცევები მიუხედავად იმისა, რომ ფორმობრივად, თითქოს, შეუზღუდაეია, არსებითად, მოკლებულია თავისუფლებას, განათლებას. პეტრე ჩარექოვი აყალიბებს ქალთა განათლების საკუთარ კონცეპციას, რომელიც სამი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართულიყო - ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ასპექტით, მაგრამ, მისი აზრით, საქართველოს იმდროინდელი განათლების სისტემა ამ მოდელის ამოქმედებას ვერ უზრუნველყოფდა.

ქალთა განათლების საკითხი აღელვებს ქართველ ინტელექტუალთა უმრავლესობას. თუმცა, თვით განათლების ცნებაც, ილია ჭავჭავაძის „მგზაერის წერილების“ ერთი გმირისა არ იყოს, თითოეულ მათგანს თავისებურად ესმის. ამ პრობლემაზე საჭირბოროტო ჩივილი და ვაება, ზოგჯერ, ერთგვარად, გროტესკულ სახესაც კი იძენს. მაგალითად, ეინმე გ-ტ.ა.-ს სტატიაში - „ჩუენი ცოლები და ქალები“, რომელიც სომხური ენიდანაა თარგმნილი და დაიბეჭდა „ცისკრის“ 1864 წლის მე-4 ნომერში. ავტორი წერს: „სწაელა რომ ექნება ახალგაზდა ქალსა, მაშინ გაიგებს, რომ მორთულობისათვის და ქრმებთან ჩხუბისა და შფოთისათვის არ არის გაჩენილი. მაშინ გაიგებს, რომ ის უნდა იყოს კაი ტანდიკინი (სახლის მომლელი) თავის ქრმის სახლში, ქმრის მორჩილი და შვილების კარგათ მომლელი“. ეს მაგალითი რამდენადმე უტრირებული ფორმით, თუმცა არსებითად წარმოაჩენს ხალხში გაერცელებულ დამოკიდებულებას, რომ ქალს განათლება მხოლოდ ოჯახში, ქმართან ურთიერთობისა და შვილების აღზრდისათვის სჭირდება.

საქართველოში ქალთა სამოქალაქო აქტივობისა და განათლების ისტორიაში ზღვარდამდები მოელენა იყო მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქართველი ახალგაზრდა ქალების გამგზავრება შვეიცარიაში (ციურიხი, ჟენევა) მედიცინის სფეროში უმაღლესი განათლების მისაღებად. საზოგადოებაში ამ ფაქტს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა – მაშინდელი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების ცოლებმა, დებმა - მაშო წერეთელმა, ოლიმპიადა ნიკოლაძემ, ოლღა გურამიშვილმა, ეკატერინე მელიქიშვილმა, ანასტასია თუმანიშვილმა და სხვებმა საზოგადოების მხრიდან მწვავე კრიტიკა დაიმსახურეს. ისინი შეიწროებულნი იყვნენ თავიანთი ოჯახების მხრიდანაც კი, თუმცა განათლების მოშურნე ქალები არ ურიგდებოდნენ წინააღმდეგობებს და სხვისი პირადი დოკუმენტაციით ჩუმად მიემგზავრებოდნენ ევროპაში.

ეს უმნიშვნელოვანესი მოელენა შთამბეჭდავად აქვს აღწერილი დავით ერისთავს პიესაში „წასელა ევროპაში“. ამავე ფაქტს გამოეხმაურა სერგეი მესხის პუბლიკაცია - „ჩვენი ქალები და უმაღლესი განათლება“, რომელიც 1872 წლის „დროების“ აგვისტოს ნომერში (№ 32) გამოქვეყნდა. პუბლიცისტი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სწავლას მოწყურებული ქალები, რომლებმაც განიზრახეს ევროპის უნივერსიტეტებში განათლების მიღება, საქართველოში კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეხვნენ. ხალ-

ხმა მათ მალეყე მოარგო დამამცირებელი იარლიყი - „თბილისელი ნიგილისტკები“, როგორც ერთ დროს, „თერგდალეულებად“ „მონათლა“ მათთვის მიუღებელი, მათგან განსხვავებული ადამიანების ტიპი. „პანსიონი დაუმთავრებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო“ - მოუწოდებდნენ „ნიგილისტკებს“ თბილისელი თავად-აზნაურები და მათი ცოლები. მეტიც, ზოგიერთნი ამ მოვლენაში მეორედ მოსვლის ნიშნებს ხედავდნენ და ძრწოლით აცხადებდნენ ქვეყნიერების ბორბალი უკუღმა დატრიალდაო.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დისკუსიები, ხშირად, ცხარე დაპირისპირების ფორმას იღებდა. განსხვავებით სხვა პრობლემებზე გაჩაღებული პაექრობებიდან, სადაც ერთმანეთს, როგორც წესი, კონსერვატორი „მამები“ და ლიბერალი „შვილები“ უპირისპირდებოდნენ, ქალთა საკითხის გარშემო პოლემიკაში თვით, ლიბერალი სამოციანელების მნიშვნელოვანი ნაწილი კონსერვატორულ პოზიციაზე დადგა, როგორც ჩანს, მათი უმრავლესობა ვერ ითავისებდა ქალთა პრობლემას მთელი სისავსით. თერგდალეულები, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარირებულად ლიბერალურ ღირებულებებს იზიარებდნენ, საკმაოდ ხშირად მეტისმეტად მწვავე და სატირული მანერით დაუნდობლად აკრიტიკებდნენ ქალებს. პუბლიცისტების დიდი ნაწილი ქალების პასუხისმგებლობას ხედავდა საზოგადოების ზნეობრივ და ინტელექტუალურ კრიზისში და თვით, ეროვნული იდენტობის რღვევაშიც. საბოლოოდ ჩვენს კოლექტიურ მეხსიერებაში ქალთა პრობლემა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ამ პერიოდში ისე გაფორმდება, როგორც საუკუნის პირველ ნახევარში იტყვის ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, / კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო! / რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ / სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ბედი ქართლისა“, 1839).

პრესის ფურცლებზე ქალთა ემანსიპაციის საკითხებთან დაკავშირებული პოლემიკა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ქართველი ინტელექტუალები, რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

პირველი დაპირისპირება ეკატერინე გაბაშვილის სტატიას მოჰყვა, რომელიც მან 1880 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობის კრიტიკას დაუთმო. მწერალი აღნიშნავდა, რომ ეს ორგანიზაცია ბიუჯეტის დაგეგმვისას არც კი მოიაზრებდა ქალთა სასწავლებლების

ფინანსურ ხელშეწყობასა და ქალთა განათლების მხარდაჭერას. პუბლიკაციას ვინმე ს. მ. გამოეხმაურა, ვინც იზიარებდა ეკატერინე გაბაშვილის მოსაზრებებს და მიიჩნევდა, რომ ქალთა განათლების საკითხს საქართველოში გავლენიანი ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას მართლაც არ უთმობდნენ.

დაპირისპირების მეორე ტალღა აკაკი წერეთლის პუბლიკაციას მოჰყვა, რომელიც მან 1882 წელს გამოაქვეყნა და სადაც ის ქართველ ქალთა გადაგვარებასა და უპასუხისმგებლობაზე საუბრობდა. აკაკის აზრით, მაშინდელი ქალები მამაკაცთა საგანგებო ყურადღებასაც კი არ იმსახურებდნენ. აკაკის ამ წერილს გამოეხმაურა ვინმე „ქუთაისელი ქალი“, რომელიც პოეტს ნაწილობრივ ეთანხმება შეფასებაში. ის მიიჩნევს, რომ ქართველი ქალების გაუნათლებლობა მართლაც წარმოადგენს მათთვის საბედისწერო პრობლემას, თუმცა ამ საკითხის წინაშე სწორედ აკაკი წერეთლისა და მისი თანამოაზრეების პასუხისმგებლობას ხედავს. „ქუთაისელი ქალის“ პასუხი უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც აკაკის და არც „კვალის“ მეფელეტონეს, დავით კეზელს, რომლის პათოსიც უფრო ახლო იდგა პერსონალურ შეურაცხყოფასთან, ვიდრე საღ განსჯასა და პოლემიკასთან.

დედათა საკითხის გარშემო წარმართულ პოლემიკაში ერთ-ერთი საინტერესო ეტაპია ილია ჭავჭავაძისა და ბარბარე ჯორჯაძის ყველასათვის ცნობილი დაპირისპირება, რომელიც მოჰყვა მწერალი ქალის ერთ-ერთ პუბლიკაციას - „ორიოდე სიტყვა ემაწვილი კაცების საყურადღებოდ“ ილია ჭავჭავაძე ჩვეული ირონიით და ზოგიერთ შემთხვევებში საკმაოდ თამამი სარკასმით აკრიტიკებს ბარბარე ჯორჯაძესა და ქართველ ქალთა მნიშვნელოვან ნაწილს.

ქალთა საკითხისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანია ისაია ბერლინისეული „პოზიტიური თავისუფლების“ ცნების გააზრება. ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიკაციებში ქართველ ქალებს მუდამ მოუწოდებს ამერიკელ და ევროპელ ქალთა მსგავსი მოქალაქეობრივი აქტიურობისკენ. მწერალი წაახალისებს პოლიტიკურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმეებში მათს თანამონაწილეობას. მეორე მხრივ, დაუნდობლად აკრიტიკებს ქართველ ქალებს გაუნათლებლობისა და უინიციატიურობის გამო.

„თავისუფლების“ ილიასეული გაგება გულისხმობს ინდივიდის გაცნობიერებულ აუცილებლობას, იყოს საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. ეს არის ლელო ღუნიას „ჩვენი თაყი ჩეუნადეე

გეყუდნეს“, რაც მხოლოდ ნაციონალურ სუვერენიტეტს არ უნდა ითვალისწინებს. ილია მუდამ პიროვნების პასუხისმგებლობას, მის მოქალაქეობრივ ღირსებასა და მოვალეობას უსვამს ხაზს და იშვიათად საუბრობს გარეშე წინააღმდეგობებზე. საპირისპიროდ, თავისუფლება, ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ქართველი ქალების ინტერპრეტაციით, არის ქალთათვის სოციო-კულტურული და პოლიტიკური გარემოს მიერ დაწესებული სხვადასხვა შეზღუდვებისა და დაბრკოლებების არარსებობა.

ქალთა საკითხის გარშემო ფართო მასშტაბის პოლემიკა მოჰყვა 1894 წელს „ივერიის“ ფურცლებზე - „ჩიორას“ (არტემ ახნახაროვი) ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, რომელსაც თერთმეტმა პუბლიცისტმა და მწერალმა ქალმა უპასუხა - ბარბარე სულხანიშვილმა, ბარბარე ხერხეულიძემ, ეკატერინე გაბაშვილმა, „ახალგაზრდა მხედარმა“, ნინო ყიფიანმა და სხვებმა. სტატიებში გამოთქმული დამოკიდებულებები იმ პერიოდის ქალთა და მამაკაცთა სამყაროებს შორის დაპირისპირების რეპრეზენტაციაა.

ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგენი, როგორც წესი, თვლიდნენ, რომ ქალებმა ვერ შეინარჩუნეს, ენა/იდენტობა; ისინი დახარბდნენ სიმდიდრეს და დაემონენ სოციალურ სტატუსს; ქალებმა ვერ მოახერხეს ქართველი მამაკაცების ღირსების დაცვა; ისინი იმ მოედანზე იჭრებიან, სადაც მათი ბუნებრივი ადგილი არ არის; ქალის გონებრივი შესაძლებლობები საგრძნობლად ჩამოუვარდება მამაკაცისას. ამ ბრალდებებს, როგორც წესი, გაახმოვანებდნენ ძველი თაობის მოღვაწენი, მამათა ბანაკის წარმომადგენლები. თერგდალეულებს კი ქალებთან სხვა პრეტენზიები ჰქონდათ – ისინი მათ, ძირითადად, განათლების ნაკლებობას უწუნებდნენ.

ამის საპირისპიროდ, ქალები თვლიდნენ, რომ პირველად მუნდირი სწორედ, ქართველმა მამაკაცებმა მოიხდინეს. მათ გაფლანგეს მეუღლეების ნამზითვი მამულები და მამა-პაპის მიერ დაგროვილი ქონება; მამაკაცებმა შეუზღუდეს ქალებს საშოღვაწეო ასპარეზი და არ მისცეს მათ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება.

პოლემიკური წერილების მეხუთე ნაკადი აზვირთდა მე-19 საუკუნის იტალიელი პუბლიცისტის, გულიელმო ფერეროს კონცეფციის გარშემო. ეს თეორია ექვთიმე თაყაიშვილმა გადმოაქართულა და „საქართველოს მოამბის“ 1895 წლის ნომერში განიხილა თავის წერილში - „დედათა კითხვა თანამედროვე მეც-

ნიერების წინაშე". ფერეროს მოსაზრების მიხედვით, ქალის გონებრივი შესაძლებლობები მკვეთრად ჩამოუვარდება მამაკაცისას, რის გამოც მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკურ პროცესებში, მმართველობით პოზიციებზე თანამონაწილეობა გაუმართლებელია. ვაშაკიძე თავის პუბლიკაციაში მოიშველიებდა, ვითომდა, მეცნიერულ მტკიცებულებას, როგორც უტყუარ საბუთს. ამ მოსაზრების დეკონსტრუქცია მალევე მოახერხა ეინმე „ოლ-დამ" – გაზეთ „კვალის" ფურცლებზე. პუბლიკაციას, ასევე, გამოეხმაურა უცნობი ავტორი (ფსევდონიმით „ვინც უნდა ვიყო") გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებული სტატიით.

ქალთა საკითხს მე-19 საუკუნის ქართულმა პრესამ დიდი ყურადღება დაუთმო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამოცემა განსაკუთრებულ პრიორიტეტად სახავდა აღნიშნული პრობლემის გარშემო ინტენსიური და მასშტაბური საინფორმაციო პოლიტიკის წარმართვას. ამ მხრივ ცხადია, გამორჩეულია ქართული ლიბერალური პრესა, გაზეთები - „იერია", „დროება", „კვალი". ჟურნალი „ცისკარიც" დიდ დაინტერესებას გამოხატავს დედათა პრობლემის გარშემო. მნიშვნელოვანია, რომ ცისკარში, რომლის მმართველი ბირთვი კონსერვატორი „მამებისგან" შედგებოდა, თანამშრომლობდა პირველი ქართველი პუბლიცისტი და ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი ქალი – ბარბარე ჯორჯაძე.

დიალოგი ქალთა საკითხის გარშემო საქართველოში, ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, საკმაოდ დიდი ენებათაღელვით წარიმართა. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს დაპირისპირება დიალოგის საზღვრებსაც გასცდა და პერსონალური დაპირისპირების სახე მიიღო. გასაკვირი არ არის, რომ პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ მიიღო საქართველოს საზოგადოებამ, სადაც დღემდე ყველაზე გავლენიან და ღირებულ ინსტიტუტებად რჩება ოჯახი, რომლის ბურჯად ქალი მოიაზრება და პატრიარქალური ქრისტიანული ეკლესია.

ქართულმა ლიბერალურმა პრესამ, თავისი პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომით, დედათა საკითხის გარშემო მსჯელობისა და ანალიზის მნიშვნელოვანი ნება გამოავლინა. საყურადღებოა, რომ ჟურნალ-გაზეთების საინფორმაციო პოლიტიკა მიმართული იყო მსოფლიოს ქალთა მოძრაობების აქტუალური მოვლენების გასაშუქებლად, რაც ამაღლებდა

ქართველი ქალების სამოქალაქო განათლებას, ინტერესს უღვივებდა მათ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისადმი და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობდა ევროპულ საარხეონო სივრცეში ქართული საზოგადოებრივი აზრის ინტეგრაციას.

დამოწმებანი:

გენდერი 2007: გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა: შემდგ. ლელა გაფრინდაშვილი: თბილისი 2007
თანამედროვე... 2000: თანამედროვე დემოკრატია: ღირებულებები და იდეალები: საზოგადოების კვლევის ცენტრი: თბილისი 2000
საბედაშვილი 2006: საბედაშვილი თამარ: ქალთა უფლებების ისტორიული ასპექტები: თბილისი 2006.
ქალთა 2011: ქალთა საკითხი საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე: წინათქმა – ლელა გაფრინდაშვილისა: თბილისი 2011
ხომერიკი 2005: ხომერიკი ლელა, გაფრინდაშვილი მანანა: ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი: თბილისი 2005

ზაზა აბზიანიძე

„ლიბერალიზმის ეპოქის პირმშონი“

(ლიტერატურული პორტრეტები)

ილია ჭავჭავაძე

„იქნება არც ეროს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის. ეს უმაგალითო მნიშვნელობა დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ილიას განსაკუთრებულ ნიჭზე, მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის დაცემაზე...“ („ილიას...“ 1988: 10) – წერდა იაკობ გოგებაშვილი. და მართლაც, სწორედ ილიას ხვდა წილად თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყოფილიყო ერისათვის გულმტკივან თანამოაზრეთა გარსშემოკრებული ანდამატი და ბოლოს, უკვე მეოცე საუკუნის ზღურბლზე, – იმავ ერის მოღალატეთაგან განგმირულს, ორი ნიშანსვეტი ღაეტოვებინა ქართული ისტორიის გზაზე: საქართველოს მარადიულ „თანამდეე სულად“ და მფარველ აჩრდილად გარდასახული ცხოვრება და ყოველი ჭეშმარიტი ქართველისათვის გულს წვეტიან მახვილად მიბჯენილი წიწამურის ობელისკი.

ჭაბუკი ილიას წარმოსახვა ისევე ძნელია, როგორც ჭაბუკი მოსესი. ეს სულიერი მამა ერისა, თითქოს უკვე სიყრმიდანვე ბრძენკაცი უნდა ყოფილიყო, სეგარდმო ნიშნით სხვათაგან გამორჩეული, თავისი დიდი მიზნისა და განსაკუთრებული მისიის თავიდანვე გამცნობიერებელი...

ილიას თანამედროვეთა მოგონებები დაგვეხმარება გაეარკვიოთ – რა არის ამ პორტრეტში ნამდვილი, ჭეშმარიტი და რა –

ჩვენი წარმოსახვის შედეგი, უკვე ილია-მართლის კანონიზირებული ხატის შემკობის სურვილით ნაკარნახევი.

გაეცნოთ ჯერ ილიას ბავშვობისდროინდელ პორტრეტს, მისივე გაშლილის – სალომე ლოლაძის მიერ დამახსოვრებულს: „ილია ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრე - რიგად არ უყვარდა. ძრიელ მეცადინეობა და კითხვა უყვარდა, მეტისმეტი ჯანმრთელი იყო, ძრიელ სრულიც, ასე რომ, ეშინოდათ კიდეც მშობლებს ამის გადაჭარბებულ სიმსუქნისა.

პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე. მახსოვს ძალიან კარგი ლექსები გამოსთქვა კოშკზე, მარანზე...“ (ლოლაძე 1987: 403).

ეს ის კოშკია ყვარელში, ჭავჭავაძიანთ ეზოში ლეკთა შემოსევისაგან თავდასაცავად აგებული, რომელშიც დაიბადა ილია 1837 წლის 27 ოქტომბერს.

ილიას მამა – გრიგოლ ჭავჭავაძე, ბრძოლებში ნაწრთობი, გულუშიშარი მეომარი, იმხანად უთუოდ სადმე ყვარლის შემოგარენში იქნებოდა ლეკთა მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

სწორედ მამა უყვებოდა ილიას გარდასულ ბრძოლებსა და საქართველოს წარსულზე. თვით ეს რიტუალი – საოჯახო ოხრობისა, ილიას ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში – „ნიკოლოზ გოსტაშაბი შვილშია“ აღწერილი, ხოლო ბავშვურ მეხსიერებაში აღბეჭდილ ისტორიულ სიუჟეტებსა და პერსონაჟებს მწერალი არაერთხელ მიუბრუნდება.

წერა-კითხვა ილიას დედამ შეასწავლა – მაგდანა (გათხოვების შემდგომ – მარიამ – ზ. ა.) ბებურიშვილმა. ჭავჭავაძეებს ძვირფასი საგვარეულო ბიბლიოთეკა ჰქონდათ. თავის მხრივ, მაგდანასაც წამოეღო მზითვად თბილისიდან ჩინებული წიგნები (აქვე ვიტყვი, რომ მისი ოჯახი, მიუხედავად გრიგორიანელობისა, ქართულ ტრადიციას მისდევდა – ზ. ა.), ისე რომ, მარიამი, თვითონაც ყმაწვილი ქალი (იგი 14 წლისა გათხოვდა – ზ. ა.), წრფელი ინტერესით უკითხავდა გარშემოკრებილ შვილებს სულისა და გონების გასავითარებელ ძველ ამბებს, ლეგენდებს, მოთხრობებსა და ლექსებს.

შემდგომი მასწავლებელი ილიასი უკვე სოფლის მთავარდიაკვანი იყო – ნიკოლოზ სეფაშვილი. ილიასსავე მოგონებით, „მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბლავი თქმა იცოდა

ამბებისა. გეიამბობდა მდაბიურად და ბაყშეისთვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოეშოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის – „დიმიტრი თავდადებული“ – თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდეც პატარა ამბავი საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემ „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა“ (ჭავჭავაძე 1957: 307).

თხუთმეტი წლის შემდეგ, პეტერბურგიდან ყუარელს მობრუნებულ ილიას, ამ მზესა და ცას დანატრებულს, გრძნობა მოეძალება და მოუნდება ლექსში გააცხადოს სიყრმეში ერთხელ და სამუდამოდ შთანურგილი სიყვარული მამულისადმი:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცვან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გაშიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ყუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.
დაუინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძერის ჩემს გულში,
და მე არ ვსთვი, – მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.
მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არი მხოლოდ საეალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!...

(ჭავჭავაძე 1914: 70)

ეს არ არის მხოლოდ პოეტური პირობითობა: ერთი შეხედვით, ილიას არც მეგობრები აკლდა, არც თანამოსანგრენი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჰქონდა მას ხასიათში რაღაც ისეთი თვისება, რომელიც უახლოეს ადამიანებთანაც კი გარკვეულ, მოწიწებით დისტანციას ქმნიდა, ხოლო ეს რიდი, პირველ ყოვლისა, შელაზღანდარაებისაგან დამცველი, მეორე მხრივ, როგორც ჩანს, სრულ გულგადახსნასა და განდობას გამორიცხავდა. ეტყობა, ასეთია დიდი ადმიანების ხვედრი.

ილიას სიყრმის მეგობარი, კოხტა აბხაზი იგონებდა, რომ „ილია პატარაობიდანვე, მართალია, როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო, მაგრამ, ამასთანავე, მაშინადვე ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა. მეტის მეტი ხუმრობა იცოდა და თუ კი ეისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც რომ მიწასთან გაასწორებდა...“ (აბხაზი 1987: 181).

თანამედროვეთა მოგონებებიდან ისიც ვიცით, რომ თვისებათა ეს შესამება – სხვათაგან განრიდების, მდუმარე განმარტოებისა და, ამასთანავე, სიმწარენარევი იუმორის, – ილიას შთამომავლობით ჰქონდა მამამისისაგან გამოყოლილი.

იმ ადამიანთათვის, რომელთაც თავდაპირველად თავისი მარტოსულობა და გამორჩეულობა სტიქიურად აქვთ შეგრძნებული და მხოლოდ მერეღა გაცნობიერებული, ადამიანთა იმ ტიპისათვის, რომელთაც ილია ეკუთვნოდა, ზემოთჩამოთვლილი თვისებები, იმავდროულად, ერთგვარ თავდაცვით საშუალებადაცაა გადაქცეული, პიროვნული ავტონომიის შესანარჩუნებლად. ისიც საფიქრებელია, რომ ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ეს თვისებები კიდევ უფრო გაამძაფრა ილიას ადრე დაობლებამ. ათი წლისას, როდესაც ის-ის იყო, თბილისში ჩაიყვანეს და კერძო პანსიონში მიაბარეს – დედა გარდაეცვალა, ხოლო თხუთმეტი წლისას – უკვე თბილისის გიმნაზიაში სწავლისას – მამა.

სწორედ იმ ხანებში წერს ილია თავის ერთ-ერთ პირველ ლექსს – „მოთქმა საწყლისა“, ისეთივე უმწეოსა და წრფელს, როგორც უეცარი დაობლებით დაზაფრული ყრმა აუტრი:

სად მოვასვენო საწყალმან თავი,
არცა მაქვს სახლი, არც ქოხი აკი,
მზისგან დამწვარი მაქვს ტანი შავი,
ქვეყნად არვინ მყავს მე შემნახავი.
ერთხელ მეც მქონდა ბედნიერი დრო,
როს დედ-მამასთან მე მქონდა ყუდრო.
მამა, სიკვდილმა იგი წამართო,
ჭმუნვითა დამყო, წყეულმან მარტო.

(ჭავჭავაძე 1914: 538)

ქვეყნად მაინც მოიძებნა ერთი ღვთისნიერი არსება, რომლის დედისებრი მზრუნველობა ილიას სიკვდილამდე არ ავიწყდებოდა: ეს გახლდათ მამიდამისი – მაკრინე ჭავჭავაძე, ქერიე

იყანე არაგვის ერისთაისა. ილიას დედა რომ მოუკვდა, მაკრინე, ძმის თხოვნით, ყვარელში გადმოსახლდა ქისტაურიდან და იკისრა ხუთი ობოლი ძმისშვილის მოვლა-პატრონობა. გრიგოლ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ კი, იგი უკვე დედაც უნდა ყოფილიყო ამ ბავშვებისათვის და მამაც — მათი სწავლა, განათლება, გათხოვება თუ დაცოლშვილება — მისი საზრუნავი შეიქნა.

როგორც ცნობილია, ილიამ თბილისის გიმნაზია დაამთავრა. გიმნაზიაში გატარებულმა ხუთმა წელმა, გარდა კლასიკური განათლებისა, მას არაერთი ამხანაგი და თანამოაზრე შესძინა — ნიკო ლოლობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, რომელსაც ილიამ თავისი „ქართველის დედა“ და „დიმიტრი თავდადებული“ უძღვნა, ივანე პოლტორაცკი, ილია წინამძღვრიშვილთან ერთად — „აჩრდილის“ ადრესატი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ზაქარია მამაცაშვილი, დიმიტრი ყაზბეგი.

ყველაზე ახლო მეგობრად ილიასი, გიმნაზიაშიც და პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროსაც, მაინც მასთან თანაშეზრდილი კოსტა აბხაზი რჩებოდა.

სწორედ კოხტა აბხაზის მოგონებებით ვიცით ცოტა რამ ილიას სატრფიალო გატაცებების შესახებ. როგორ გამოიხატება იმჟამინდელი 13-14 წლის ყმაწვილის ტრფიალი: მიდიან ის და მისი მეგობარი კოსტა აბხაზი „სატრფოს“ სახლთან და საათობით ელოდებიან, ვიდრე იგი სარკმელში გამოიხედავს და გაიღიმებს. ამ „სატრფოთაგან“ (წინწკლებში რაღა თქმა უნდა — ზ. ა.) ერთი თბილისის მოქალაქის — ტერ-ასატუროვის ასული გახლდათ, მეორე — გიმნაზიის მასწავლებლის — დემენტიევისა. მესამე — ყვარელში ილიას მეზობლად მოსახლე სოლომონ ჭავჭავაძისა. სოლომონი ბიძაშვილად ეკუთვნოდა ილიას მამას, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია არც ყმაწვილი ილიას გატაცებისათვის მომხიბლავი ელისაბედით ანუ ლიზათი და არც ლიზას მამისათვის, რომელმაც სერიოზულად განიზრახა ახალგაზრდების დაქორწინება. სოლომონმა ილიას ზურგსუკან, მამიდამისთან მოილაპარაკა და როგორც მომავალ სიძეს, ილიას სწავლის ფულს უგზავნიდა პეტერბურგში.

ამ ზურგსუკან მოლაპარაკებამ გაანელა ილიას ტრფობა, თუ იყო კიდევ სხვა რამ მიზეზი, მაგრამ მამიდამისი მაკრინე, ძმისშვილის დაჟინებული თხოვნით, სოლომონს გასტუმრებული ვალით დაემშვიდობა, ხოლო თვით ილია ლიზას - ლექსით, რომელიც პასტორალური სურათით იწყება:

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტავ იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ეგრძნობდით!..

(ჭავჭავაძე 1914: 67)

— და მთავრდება გულნატკენი ჭაბუკის მტკიცებით, რომ სატრფოს პირველი კოცნა გესლად შემოუბრუნდა.

ეს ლექსი — „გახსოვს ტურფავ...“ ილიამ უკვე პეტერბურგში დაწერა, 23 წლისამ, 1860 წელს. ყვარელში, ჭავჭავაძეთა დიდ ბაღში ლიზასთან იდუმალი პაემნები უკვე სამი წლის წინანდელი ისტორია იყო — 1857 წლის ზაფხულისა... ბევრი რამით არის ღირსშესანიშნავი ეს წელი ილიას ცხოვრებაში: იანვარში ჟურნალმა „ცისკარმა“ მისი პირველი პოეტური თარგმანი გამოაქვეყნა — „ჩიტი“; იმავ წელს გადაწყდა პეტერბურგში სასწავლებლად გამგზავრება. ილიასი. ამ მოსალოდნელი გამოსალმების განწყობილებითაა შთაგონებული მისი პოეზიის პირველი შედევრი — „ყვარლის მთებს“:

სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი თავსა განებებ,
მაგრამ თქვენს ხსოვნას დაივწყებას ვერ მივანებებ:
თქვენ ჩემთან ივლით, თუმც აჩრდილად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე. მთებო, ბუნებითა შეუღლებული,

ეს პირველი ვარიანტია ლექსისა, 1857 წლის 16 აპრილით დათარიღებული. ის სტრიქონები, რომლებიც, ვგონებ, ყველას გვახსოვს:

სამშობლოს მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა...

(ჭავჭავაძე 1914: 3)

უკვე ხანდაზმულმა პოეტმა ჩაასწორა.

მაგრამ, იქამდე, სასურველია, თუნდაც ზოგადი სურათი მაინც წარმოვისახოთ ილიას სტუდენტური ცხოვრებისა, იმ წლების, რომლებიც, ილიასავე თქმით, საძირკველად დაედო მთელ მის მოღვაწეობას.

1857 წლის 20 იელისს ილია თხოვნით მიმართავს პეტერბურგის უნივერსიტეტის, რექტორს: „მსურს რა განათლების დასასრულებლად მოვისმინო სრული კურსი ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, უნივერსიტეტში შესასვლელად დაწესებული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში, მიმიღოთ საკუთარი ხარჯით მოსწავლე სტუდენტთა რიცხვში. ამასთან, მაქვს პატივი, გაახლოთ ჩემი კუთვნილი საბუთები: 1. მეტრიკული მოწმობა და 2. ოქმის ასლი ჩემი თავად'ური წარმომავლობის შესახებ.

თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე“ (შარაძე 1987: 95).

დღეს, სულიერი ინტერესების საყოველთაო დაკნინების ჟამს, უკვე გვიკვირს ილიასდროინდელი სტუდენტობის პათოსი და ცნობისწადილი. „კალმით ვერ ავწერ იმ აღტაცებას, რომელიც ჩვენ გამოგვცადეთ მაშინ, როცა უნივერსიტეტში მიგვიღეს, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, იმავე პეტერბურგის უნივერსიტეტის შესახებ, – საერთო ფეხის ხმას ჩვენც ავყევით: დავდიოდით არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო ჩვენთვის, არამედ მთელი სტუდენტობის საყვარელ პროფესორების ლექციებზე... მათ მოსასმენად იმდენი სტუდენტობა გროვდებოდა, რომ უდიდესი აუდიტორია, მეთერთმეტეც – კი ვერ იტევდა ყველას: ნახევარი საათის შემდეგ, სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ზოგჯერ პროფესორი იძულებული იყო სააქტო დარბაზში გასულიყო, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა ფეხზე ისმენდა ლექციას“ (ნიკოლაძე 1931: 107).

იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტში ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა და ნიკო ნიკოლაძისსავე თქმით, სწორედ ილია წარმართავდა ქართული სათვისტომოს ცხოვრებას.

პეტერბურგელი ვაჭრის, კოლჩინის ცოლს, რომელთანაც დაბინავდა ილია, ქართველები უზრუნველ დარდიმანდებად წარმოედგინა და გული ტკიოდა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი, თავადი, ესოდენ ხელმომჭირნედ ცხოვრობდა, აუცილებელს იკლებდა და შუაღამეს, წიგნის კითხვისას, ავისმომასწავებელი ხველა აუტყდებოდა.

ილიას მართლაც აღმოაჩნდა ჭლექის ნიშნები და 1859 წლის ზაფხული კახეთში გაატარა. შემდგომ, ეტყობა, ავადმყოფობამ კვლავ შეახსენა თავი და ამით თუ აიხსნება, რომ 1861 წლის

გაზაფხულზე იგი აღარ დაელოდა უნივერსიტეტის გამოსაშვები გამოცდების დამთავრებას და სამშობლოში დაბრუნდა.

სხვაზე ადრე თვითონ ილიამ შეაფასა, თუ რამდენს ნიშნავდა მისთვის, რომ სწორედ სამოციანი წლების მიჯნაზე სწავლობდა პეტერბურგში. გაეიხსენოთ მისი ცნობილი პასაჟი „მგზავრის წერილებიდან“, სადაც იგი ამბობს, რომ „... ეგ ოთხი წელიწადი ცხოერების საჭირკეელია, ცხოერების წყაროს სათაეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა აეარჯიშოს, ტვინისა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმეეინოს...“ (ჭავჭავაძე 1950: 10).

ამ კეთილშობილი მიზნით რუსეთში წასულ ქართველ სტუდენტთაგან, ილიას დროს, პეტერბურგში სწავლობდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, ნიკო ღოღობერიძე, ბესარიონ ღოღობერიძე, ილია სერებრიაკოვი, ნიკოლოზ ჯაბადარი, ალოიზ მიზანდარი, კოხტა აბხაზი. აქედან, ერთნი ილიასთან უკვე თბილისის გიმნაზიიდან იყვნენ შეამხანაგებულნი, მეორენი – სწორედ პეტერბურგში დაუახლოვდნენ მას.

ილიას ცხოვრების სტუდენტურ პერიოდზე ცოტა იქნებოდა ცნობილი, კოხტა აბხაზის (ოფიციალურად ალექსანდრე ერქვა – ზ. ა.) მოგონებები რომ არა.

„საფხულობით, – იგონებდა კოხტა აბხაზი, – ჩვენი ქართველი სტუდენტობა პაელოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ხაფხულობით იქ ეიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პაელოვსკიდან ცარსკოე სელოში წაეედით და იქ ეეწეიეთ ქალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანმა გამოიტანა და მოგეცა წასაკითხად ბარათაშეილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშეილის საკუთარი ხელნაწერი. ეს ლექსები იყო: „ბედი ქართლისა“ და „მერანი“, ეერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კეირა ემაწეილი ჰბოდაედა ბარათაშეილით“ („ილია“ 1987: 182).

არ არის გამორიცხული, რომ ილიას „აჩრდილის“ პირველი, პეტერბურგის დროინდელი ვარიანტის მიმართეაში არაგეისადმი:

ჩვენო არაგეო! რა-რიგ მიყვარხარ!
ქაროელის ცხოერების მოწამედ შენ ხარ!
შენს კიდეებზედ ჩემი მამული,

იყო ერთ დროსა გამშვენებული...

(ჭავჭავაძე 1914: 515)

– ექოდ მოისმოდეს „ბედი ქართლისას“ შეძახილი – „ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო, მობიბინენო, შვებით მომზირნო...“

აქვე დავძენთ, რომ პეტერბურგის პერიოდი ილიას ცხოვრებისა – იმაყდროულად, მისი მხატერული ინდივიდუალობის მკაფიო ჩამოყალიბების ხანაა: სწორედ აქ გამოიკვეთა საბოლოოდ მისი ლირიკული ინტონაცია და მისი პოეზიის თემატიკური არეალიც. ამ წლებითაა დათარიღებული „აჩრდილის“, დრამატული პოემის „ქართვლის დედის“; „კაკო-ყაჩაღის“ პირველი ვარიანტები და მთელი წყება ილიას უკვე ქრესტომათიულად ცნობილი ლექსებისა – „გუთნის-დედა“ („ერთ ბედ ქვეშა ვართ, ლაბაყ, მე და შენ,/ წილად გვარგუნეს შაჲი მიწა ჩვენ...“), „ლოცვა“, „დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან...“, „ქართვლის დედას“ („ქართვლის დედაო, ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა...“), „ნანა“, „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყიეის..“) „პოეტი“ – ილიას საპროგრამო ლექსი, „ელეგია“ – მონატრებითა და ტკივილით აღსავსე შორიდან დანახული სურათი მძინარე სამშობლოსი:

მკრთალი ნათელი საცვსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ხოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი
ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

(ჭავჭავაძე 1914: 46)

იმავე სულისკვეთებით იყო დამუხტული გამოძახილი იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის ჯუზეპე გარიბალდის გამარჯვებებზე – „მესმის, მესმის...“

ილია აღმერთებდა გარიბალდის, ერთხანს მის არმიაში მოხალისედ წასვლასაც კი აპირებდა და ამ ჭაბუკური გატაცების ნიშნად, მის კაბინეტში, რუსთაველის და ერეკლე მეორის სურათების გვერდით, უცვლელად ეკიდა იტალიის ეროვნული გმირის პორტრეტი.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი პათოსით წაუკითხავდა ილია ამ ლექსს ახალი იმედებით ატაცებულ თავის მეგობრებს:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღძიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

(ჭაჭავაძე 1914: 55)

რამდენიმე წლის შემდეგ, თავის ჟურნალში, „საქართველოს მოამბეში", ილიამ გამოაქვეყნა იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი მიძღვნილი წერილი ნიკოლოზ დობროლუბოვისა, რომლის პოლემიკური მახვილიც ცარიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ილიას ბიოგრაფი, გრიგოლ ყიფშიძე წერდა: „რუსეთის მაშინდელმა მწერლობამ ხომ უაღრეს აღფრთოვანებამდე მიაღწია. პოეზიასა და პოეტურ პროზაში მეფობდნენ: ჯერ გოგოლი და ლერმონტოვი, ლეე ტოლსტოი, ტურგენევი, ნეკრასოვი და მერე მათი ჩამოდგმა: გრიგოროვიჩი, გონჩაროვი, დოსტოევსკი. – ეს მოციქულნი ახალის წეს-წყობილებისა; პუბლიცისტიკაში ბრწყინავდნენ: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი. პეტერბურგის უნივერსიტეტი სავსე იყო პირველ-ხარისხოვან პროფესორებით: კოსტომაროვი, პიპინი, კაველინი, სტასულევიჩი, სპასოვიჩი – აი ვინ იყვნენ მოძღვარნი და ხელმძღვანელნი მაშინდელ ახალგაზრდობისა და, მაშასადამე, ილიასიც" (ჭაჭავაძე 1914: 25).

ამავე დროს, ილია ყოველთის ხაზს უსვამდა, რომ რუსეთში აღმოცენებული იდეებისა და კონცეფციების ქართულ სინამდვილესთან მისადაგებას დიდი სიფრთხილე და დაფიქრება სჭირდებოდა: „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, – წერდა

იგი, – სულ სხვა ფათერაკი სდევს... ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვას ღაღადებს... ის „სხვა რამეა“ ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდანვე ვერ აგვიცდენია – ეგ ცხადზედ-ცხადია...“ (ჭავჭავაძე 1955: 95).

მაგრამ, რაც არ უნდა იყოს დაკაეებული კაცის ფიქრი და გონება საზოგადო საქმით, თუ ეს კაცი 20-23 წლისაა, და ამასთანავე - პოეტი, მის გულში ყოველთვის მოიძებნება ერთი პატარა კუნჭული, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვისაა განკუთვნილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ილია პეტერბურგიდან ლექსით დაემშვიდობა თავის ბოლო გატაცებას – ლიზა ჭავჭავაძეს და ნევის ნაპირებზე, მისი გულის ის, გამონთავისუფლებული ადგილი ახლა გენერალ ჩაიკოვსკის ასულმა დაისაკუთრა, უმცროსმა დამ დიდი რუსი კომპოზიტორისა. ილიას ინიციალებით აღუნიშნავს თავისი ახალი სიმპათიისადმი მიძღვნილი ორიეე ლექსი და, აქედან გამომდინარე, კარგა ხანს ითვლებოდა, რომ მათი ადრესატი – სოფიო ჩაიკოვსკაია იყო. მაგრამ, როგორც პროფესორმა გურამ შარაძემ დაადგინა – ეს გახლდათ არა სოფიო, არამედ საშა, ანუ ალექსანდრა ჩაიკოვსკაია, რომელიც ხალისით მასპინძლობდა ქართველ თაყვანისმცემელს, მაგრამ ცოლად სხვას გაჰყვა და გულგაბზარული დატოვა ჩვენი პოეტი.

ალექსანდრა ჩაიკოვსკაიასადმი მიძღვნილი ილიას ლექსები 1860 – წლის ზაფხულითაა დათარიღებული. შეუდარებლად მწარე იყო ილიასათვის გაზაფხული იმავე წლისა, როდესაც იქნე, პეტერბურგის კადეტთა კორპუსში ჩარიცხული მისი უმცროსი, საყვარელი ძმა – თეიმურაზი გარდაიცვალა.

„ჩრა დაუშაყეთ ეგრეთი ღმერთსა, რომ ეგრე უწყალოთ და შეუბრალებლათ გეიწამლაეს დღეებს ამთეენ ტანჯვით. ჩემი პატარა თემურა სადღა არის, მამიდაჯან! დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა? ეეღარ გნახაეთ ის საწყალი და უბედური...“ – სწერდა ილია მამიდამისს (ჭავჭავაძე 1961: 19).

ერთი წლის შემდეგ, ილია საქართველოსაკენ გამოემართა. რკინიგზა იმხანად მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვს შორის იყო გაყვანილი და მგზავრობას თბილისამდე თვეზე მეტი სჭირდებოდა.

უკვე მესამე წელი იყო, რაც იუანე კერესელიძის „ცისკარი“ მის ლექსებსა და თარგმანებს ბეჭდავდა, მაგრამ ილია გრძნობდა, რომ ეს ჟურნალი „მამებისა“ იყო, ახალი თაობის მი'სანსწრაფეას ვერ უთანაგრძნობდა და შესაძლოა ამიტომაც, პეტერბურგში დაწერილი მისი ლექსების უკეთესი ნაწილი „ცისკრის“ ყურადღების მიღმა დარჩა.

ამ ზამთარს ილიამ უკვე სულ სხვა ჟანრის ნაწარმოები გაგზავნა „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად – კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კო'ხლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“ და თავდაპირველად არც კი უნდოდა ეს წერილი მისი გვარით გამოქვეყნებულიყო... მაგრამ ილიას სტატია მისივე ხელმოწერით გამოქვეყნდა „ცისკრის“ აპრილის ნომერში, იმთავითვე იშვიათი ენებათაღელვა გამოიწვია, „მამათა და შვილთა“ ლიტერატურული ბრძოლის მიზეზი შეიქნა და სამუდამოდ დაუკავშირა ილიას სახელი ქართული სალიტერატურო ენისა და მწერლობის განახლებას.

ჩვენ ისე ხ'შირად ვიმეორებთ ილიას ცნობილ მოხოლოგს „მგზავრის წერილებიდან“, რომ, ვგონებ, სინელღლე დავუკარგეთ სამშობლოსთან მოსალოდნელი შეხვედრით შემკრთალი ოცდაოთხი წლის ჭაბუკის განცდას, რადგან ილიას ისტორიულ რეტროსპექტივაში აღვიქვამთ – უკვე განდიდებულსა და გაღმერთებულს. ამ რეტროსპექტივას თუ დავივიწყებთ და „მგზავრის წერილებს“ ავტორის თანამედროვეთა თვალით შევხედავთ, ილიას მოკრძალება კი არ გაგვიკვირდება, არამედ ის თავდაჯერება, რომელიც მის შეკრთობას ენაცვლება და რომლითაც ეს კურსდამთავრებული სტუდენტი, რამდენიმე ლექსისა და ერთი სტატიის ავტორი, ერის სულიერი მოძღვრის მონოლოგს წარმოთქვამს.

თუკი საქართველოს მართლა ჰყავს ზეგარდმო მფარველი, სწორედ მან ჩასჩურჩულა ყურში პეტერბურგიდან სამშობლოში გამომგზავრებულ ჭაბუკს ეს სიტყვები: „როგორ შეეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ეტყვი მე ჩემს ქვეყანას: ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნებ მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს.

...გადაეწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კოდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას

მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის“ (ჭავჭავაძე 1950: 11-12).

იმავ, 1861 წლის შემოდგომაზე ილია ახლა უკვე ლექსად გააცხადებს მთელი თავისი ცხოვრების მრწამსს:

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კელავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში
ბოროტ საკლავად, – მათ სულ-ხდომის სეირს ვუყუროთ.
თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,
და დაე გვძრახონ, – ჩვენ მის ძებნით დაველიოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“!
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

(ჭავჭავაძე 1914: 72)

ამ „კარგმა გულმა“, თვითონ მიაგნო ილიას, როდესაც მას ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი გააცნეს.

1863 წლის 10 აპრილს, სამების ეკლესიას თბილისში ორი ეტლი მიადგა. მღვდელი ნიკოლოზ არდაზიანი ფრიად გაკვირვებული იყო, რომ ჯვარდასაწერად მოსულ წარჩინებულ ოჯახიშვილთ – ჭავჭავაძესა და გურამიშვილს – მხოლოდ მეჯვარენი ახლდნენ, მაგრამ გუმანით მიხვდა, რომ ქორწინება საიდუმლო იყო და ბედნიერ, ოდნავ შეცბუნებულ ახალგაზრდებთან დამშვიდობებისას, გულში ღმერთს შეავედრა რაღაც იშვიათი სიკეთისა და სათნოების შუქით სახეგანათებული ეს წყვილი.

გამზრდელი მამიდა ილიასი ყვარელიდან ილოცებოდა:

„ჩემო სიცოცხლევ, შვილო ილიავ!

ბევრს გაკოცებ ლამაზს თვალებზედ და ღმერთსა ვთხოვ შენის ცოლით თქვენ ბედნიერებას და შვილიერობას, კიდევ გილოცავ, შვილო ქორწინებას, ღმერთმან აღგაესოს ბედნიერებით, როგორც თქვენი და ჩემის სურვილი იყოს. მომიტევე, ცალკე ვერ მოგწერე, კიდევ არ შემიძლიან. ეხლა შენ და შენის ცოლის წიგნს შეუძლიან ჩემი კურნება და პოტრეოებს.

შენი ჭირიმე, ილიავ!
შენი მამიდა
მაკრინე ერისთავი“
(შარაძე 1987: 169).

გურამიშვილიანთ მხარე სდუმდა: საგურამოს მფლობელი, გულგოროზი თავადი თადეოზი, ჭავჭავაძეთა იმჟამინდელი შეჭირვების გამო, ქორწინებას უთანასწოროდ თელიდა და გულში ეჭვობდა – ვაითუ სიძეს ჩემს მამულებზე უჭირაეს თვალიო. უფროსი დაი ოლღასი – ეკატერინე, გენერალ სტაროსელსკიზე გათხოვილი, დარცხვენილი იყო, რადგან ოლღას საიდუმლო გათქვა, შესაძლოა, ილიას „მეამბოხეობის“ შიშით და დიდად გაურთულა მიმოწერა და იდუმალი შეხვედრები შეყვარებულთ. სხვათა შორის, ეს მიწერ-მოწერაცა და ეს შეხვედრებიც, ცხრამეტი წლის გულუცთომელი ოლღას ინიციატიით დაიწყო.

გამოხდა ხანი და თადეოზ გურამიშვილმაც დაინახა თავისი სიძის ღირსებანი, ხოლო დიმიტრი სტაროსელსკი, მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსად ყოფნის დროს, დიდად დაეხმარა ილიას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში.

თვით ოლღას შესახებ ილიას ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე წერდა, რომ „ოლღა აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, სათნო ხასიათის ადამიანი, ქველისმომქმედი, ყოველის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისი სახელოვანი ქმრის და მაღმეროებელი მისის ნიჭისა“ (ჭავჭავაძე 1914: 31).

ოლღასა და ილიას შვილი არ მისცემიათ და მათ პირმშოდ, ზოგჯერ ხუმრობით, ზოგჯერ სერიოზულად, ილია იმაე 1863 წელს დაარსებულ თავის უურნალს – „საქართველოს მოამბეს“ თელიდა.

„ვის არ ახსოვს ეს წელიწადი (1863 წ.), როცა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, – იმხანად, როცა ერთის მხრით ჩვენი ცხოვრება, უწინდელ კალაპოტს სცელიდა და ახალში შესვლას აპირებდა... რაც კი რაიმე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატრიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარს“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი

ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში..." (კრებული 1872: I.1)

აქვე უნდა ითქვას, რომ ნებართვისათვის, ჟურნალის დასაარსებლად, ილია უნდა მისულიყო სწორედ „მამათა" ბანაკის ერთ-ერთ მესვეურთან, გრიგოლ ორბელიანთან, რომელიც იმხანად კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა. ორბელიანმა პეტერბურგში ი'შუამდგომლა და გამოითხოვა კიდეც ეს ნებართვა.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, ილიას მტრებს, უკვე მართლა მტრებს, წინწკლების გარეშე, პროლეტარიატის ქომაგებს და სულით მათხოვრებს ირონიულად ეღიმებოდათ გრიგოლ ორბელიანის არისტოკრატულ მანერებზე.

მართალია, „საქართველოს მოამბემ" მხოლოდ ერთ წელს იარსება, მაგრამ ილიას მაინც შეეძლო თავი ენუგეშებინა იმით, რომ ქართულ საზოგადოებას არაერთი ახალი სახელი და ნაწარმოები გააცნო, ხოლო მის საპროგრამო ლექსში „ჩემო კალამო", ასევე საპროგრამო წერილში – „საქართველოს მოამბეზედ"; ნაწყვეტებში „კაკო-ყაჩაღიდან" და „აჩრდილიდან" და ბოლოს – ჯიმშერიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ „კაციადამიანში?!" – იყო ნათქვამი ყველაფერი, რაც კი იმხანად მას უნდოდა მკითხველისათვის ეთქვა.

„იმ დროის გამგეთა, იმ ხანის უფალთა სურათია „კაციადამიანი?!", – წერდა კიტა აბაშიძე, – პირუტყვად ქცეულ კაცს იმდენად დაუკარგავს ყოველი თვისება ადამიანობისა, რომ მათი ადამიანობა საკითხავ საგნადაც კი გადაქცეულა. მათი ღმერთი მარტო მათი მუცელია, მათი იდეალი – არტალა და ბოზბაშია, მათი საქმიანობა და გონების ვარჯიში ბუზების თელაში გამოიხატება..." (ჭავჭავაძე 1914: 10).

დღესაც კი, „თათქარიძეობის" გენის ძიება, სიმაძღრის კულტზე და ქართულ თვითკმაყოფილებაზე ლაპარაკი, აშკარა გაღიზიანებას იწვევს – როგორი გაბედულება უნდა ჰქონდეს ოცდახუთი წლის ახალგაზრდა კაცს, რომ, ათიოდე თანამოაზრის გამოკლებით, მთელ თავის გარემოცვას, თავის კლასს საჯაროდ სილა გააწნას, ქეჩოში ხელი ჩაავლოს და ძალით ჩაახედოს იმ წუმპეში, რომელშიც გასიებული, გაგომბეშოებული ლუარსაბები და დარეჯანები ზიან და კიდევ ერთხელ შეაგონოს: „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია!"

„საქართველოს მოამბის" ბოლო, მეთორმეტე ნომერი 1864 წლის იანვარში გამოვიდა, იმავე წლის გაზაფხულზე ილიამ

იმერეთის თაეადაზნაურობა აღაშფოთა – ამჯერად, უკვე როგორც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან მიელინებულმა, მომავალი რეფორმის წინ, საგანგებო მინდობილობათა მოხელემ, რომელსაც უნდა გაერკვია – რა ურთიერთობანი სუფევდა გლეხკაცობასა და მემამულეთა შორის.

შემდგომი თანამდებობა ილიასი დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუამავლობა გახლდათ. სწორედ აქ, დუშეთში გაატარა მან თითქმის ათი წელი და იმდროინდელი შთაბეჭდილებანი – ჯერ შუამავლისა, მერე უკვე მოსამართლის, – ხშირი მოგზაურობა მთის სოფლებში, როგორღაც აწონასწორებდნენ იმ უსიამოვნო ტვირთს, რომელიც ილიასნაირ ადამიანს აწევს სახელმწიფო სამსახურში ყოფნის გამო.

როდესაც ოლღა დუშეთში არ იყო, ილია განსაკუთრებით იწყენდა და სწორედ ასეთ წუთებში მადლობას სწირავდა ღმერთს, რომ მისი ხელობა – მწერლისა, – არათუ ასატანს ხდიდა, გულისსმობდა კიდეც ამ სიმარტოვესაც, ამ ტკივილსაც, ამ გადაკარგულობის შეგრძნებასაც... ჭეშმარიტი ხელოვანი აბსოლუტურად მარტო ხომ არასდროს რჩება, რადგან უხილავი და მარადიული თანამოსაუბრე ჰყავს...

ილიას „მომრიგებლობითი მოღვაწეობის“ პირველი შთაბეჭდილებანი აისახა მის „ოცნებაში“ უკუდავი გლახა ჭრიაშვილით (სრული სათაური, მოგეხსენებათ, ასეთია – „გლეხთა განთავისუფლების პირველადი დროების სცენები“ – ზ. ა.).

დუშეთშივეა დაწერილი ილიას ცნობილი ლექსი „1871 წლის 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, „მამათა“ ბანაკის გამამწარებელი „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომლებშიც იმხანად საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებათაგან (გრიგოლ ორბელიანის, პლატონ იოსელიანისა და მისეულ თუმანიშვილის ჩათვლით – ზ. ა.), ერთადერთი, ვისაც, ილიას აზრით, „ქვეყანა ფეხებზე არ ჰკიდია“, – დიმიტრი ყიფიანი გახლდათ.

„მამათა და შვილთა“ ბრძოლის განახლებისთანავე, აკაკი თავისი ძველი თანამოსანგრის მხარდამხარ იდგა (გავიხსენოთ მისი – „ხარაბუზა გენერალს“), მაგრამ ილიასათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო რამდენიმე წლით ადრე „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი აკაკისა, რომელშიც ის, ბედის ნებიერის გულუხვობით, ადგილს უმკვიდრებდა ილიას ქართული პოეზიის ოლიმპზე: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორეთ ერთ ტახტზე სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყარები არიან, ერთს

საუწყებლის ჯაჭვით გადაბმულები ერთის მეორეზედ; ერთის უმეორისოდ გაგება ძნელია“ (ცისკარი 1865: 94).

თვითონ ილია, რაღა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ ჭაბუკური რომანტიზმი, მის ცხოერებაშიც და მის პოეზიაშიც, ნელინელ ადგილს უთმობდა ულმობელ რეალიზმს, გრძნობდა, რომ საზოგადოებრივ სცენაზე მან პათეტიკური გმირის და არა თვალცრემლიანი შეყვარებულის როლი დაისაკუთრა. ამის დასტური იყო ილიას ლირიკის შეთხელებული რეულიც და გამიზნული პათოსიც მისი ლექსების უმეტესობისა: უკანასკნელი სატრფიალო ლექსი ჭაბუკმა ილიამ ოცდასამი წლისამ დაწერა და ამის შემდეგ, მხოლოდ ერთხელ, უკვე ორმოცი წლისა, დაივიწყებს იგი ჩვეულ გულჩათხრობილობას და ტკბობა-ტკივილით ლექსში გააცხადებს თავის საიდუმლოს:

მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნეკტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ეკლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემი გაჩენისას...

(ჭავჭავაძე 1914: 106)

ილიას ერთი, მეტად საინტერესო განმარტება აქვს პოეზიისა: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ძალევა მხოლოდ კაცთა, ღვთით რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, – რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეწყვეტილი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს“ (ჭავჭავაძე 1978: 39).

ახლა, ერთი წამით კელავ დუშეთში თუ დავბრუნდებით, დავინახავთ ილიას „კრებულით“ ხელში. ილიას იმიტომაც მოწონდა ეს ჟურნალი, რომ მისი „საქართველოს მომბის“ ტრადიციას განაგრძობდა და, ამასთანავე, რედაქტორებიც – ჯერ ნიკო ნიკოლაძე და მერე გიორგი წერეთელი; ილიასადმი განსაკუთრებულ მიწიწებას იჩენდნენ: ილიას ლექსების, პოემების, თარგმანების, ფოლკლორის შეგროვილი ნიმუშების დიდი ნაწილი სწორედ „კრებულში“ გამოქვეყნდა; ასევე – ილიას ერთი ყველაზე მწარე ლექსი, – „ბედნიერი ერი“:

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ქველა უნჯი,
ყველა მუნჯი,

გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი
ყველა ფლიდი,
ცბიერი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თაყდახრილი,
ყოველად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უსრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

(ჭავჭავაძე 1914: 85-86)

ამ ლექსის დაწერიდან ორი წლის შემდეგ, 1873 წელს, ილია გამოეთხოვა დუშეთს, სახელმწიფო სამსახურს და თბილისში დაბრუნდა. მისი ბიოგრაფიის შემდგომი პერიოდი სათავადაზნაურო ბანკისა და „ივერიის“ დაარსებით აღინიშნება.

თუ უფრო ზოგადად შევხედაეთ ილიას ცხოვრების ქარგას, უთუოდ დაეინახაეთ, რომ მისი მოღვაწეობის ყველა სფეროს აერთიანებს სიჭაბუკიდანვე გაცნობიერებული მისანსწრაფვა – თეისტრმი გამოაფხიზლოს, თათქარიძეთა კარ-მიდამოში მოცხებული ტალახი ჩამორეცხოს, სიმართლის სარკეში ჩაახედოს და მიასწავლოს „ბედნიერი ერის“ ულმობელი განაჩენისაგან თავდახსნის გზა.

რაც უფრო დიდია ისტორიული ფიგურა, მით უფრო მეტ ინტერესს იწვევს მისი პიროვნული თვისებები, ჩვევები და მიდრეკილებანი. თითქოს რამდენი რამ ვიცით ილიაზე და ამ დროს ძალზედ ძნელია, წარმოვისახოთ მისი რეალური პორტრეტი: „წყეული ხასიათი მაქვს, – უთქვამს როგორღაც, – გულში რაც გინდა დარდი მქონდეს, არავის გაუხიარებ. მოხდება ხოლმე, რომ მთელი კეირაობით ჩემს ფიქრებს მარტო ვატარებ, ვარ გაჩუმებული და დამუნჯებული, არავინ იცის, რა მტკივა და რა მომდის; არც მიყვარს ამაზე სხვები დამეკითხონ, თუნდ ეს სხვები მახლობლებიც იყვნენ. ამისთანა ხასიათის ადამიანის გაძლება ძალიან ძნელი უნდა იყოს შინაურებისათვის“... (ჭავჭავაძე 1966: 74).

იაკობ მანსვეტაშვილი იგონებდა: „ბევრისაგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და ხშირად მკვახე ადამიანიაო, ტყუილად ხომ არ ამბობდნენ, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო. რამდენადაც მე ვიცნობდი ილიას, ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი კი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს და თუ გაუხსნიდა კიდეც, თავი მაინც ისე შორს ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერვინ გაუბედავდა. და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა, ძვირად დაუჯდებოდა ასეთი თავხედობა“...

„ილია მაგარი იყო, როგორც სალი კლდე, და დრეკა ვერ უყვეს. ვერც ხმლის ელვარებით, ხანჯლების ტრიალით, ვერც დამბაჩების გულზე მიბჯენილ ლულით ვერ შეაშინეს, ვერ მოახრევინეს ქედი. ვერასოდეს ვერ გადაათქმევინებდნენ ხოლმე იმას, რაც მას მართლად მიაჩნდა. ილიამ უკან დახევა არ იცოდა: მეომრის უკან დახევა, გამოქცევა ბრძოლის ველიდგან – სიმუხთლეა, ღალატიაო, – იტყოდა ხოლმე ილია, როცა უსაყვედურებდნენ ხოლმე, ჯიუტობას, სიკერპეს, სიმკაცრეს. ასეთი სიმაგრე, შეუპოვრობა, სიმკვახე და მოურიდებლობა იყო მიზეზი იმისი, რომ ილია არა ერთხელ ყოფილა ბარიერთან მდგომი, არა ერთხელ ყოფილა მისი სიცოცხლე ბეწვზე დაკიდებული“ (მანსვეტაშვილი 1936: 119).

აქვე შევნიშნავთ, რომ უკანასკნელი დუელი ილიას უნდა ჰქონოდა სიკვდილამდე ორი წლით ადრე – 1905 წელს, უკვე 68 წლისას, მაგრამ მრწინააღმდეგეს ბოდიში მოუხდია და დუელი არ შემდგარა. ასევე სისხლისდაუღვრელად, იმდროინდელი

ტრადიციის თანახმად, დამთავრდა ილიას დანარჩენი ექვსი დუელი.

იმავე მოგონებებში, ილიას გარეგნობაცაა აღწერილი: „ილია დაბალი ტანისა იყო, ჩასხმული, კარგად ჩასქელებული, კისერი ჩარგული, ერთი სიტყვით, „ბურთივით მრგვალი“, როგორც მოსწრებულად დაახასიათა გრ. ორბელიანმა. მაგრამ ამ ტან'სე, რომელსაც ვერ დაუსწამებთ სილამაზის ნიმუშობას, იჯდა თავი, რომელიც საბერძნეთში ღირსი და დამამშვენებელი იქნებოდა ყიდიუსის ქანდაკებისა. წარმოიდგინეთ მაღალი, გაშლილი, გადატკეცილი შუბლი, სწორე, თითქოს საგანგებოდ ჩამოსხმული, გამოქანდაკებული ცხვირი, მრგვალი, მოძრაკი ნესტოებით, მოკუმული ტუჩებით, მოკუმული ისე მაგრად, რომ კბილებს არასოდეს არ გაჩენებდათ. შემორგვალებული, ცოტად წინ წამოწეული ნიკაპი და თვალები, ჭკვიანი, მეტყველი, ილიას თვალები, ხან ლმობიერნი, სათნოიანი, როდესაც მეგობრულად გამოიყურებოდნენ; ხან არა ამ ქვეყნიური, ზეციურნი, როდესაც შემოქმედების სიერცეში დაცურავდნენ; ხან მრისხანენი, ცეცხლის მფრქვეველნი, როდესაც მტერს შეებრძოდა, – წარმოიდგინეთ ყველა ეს და თქვენ თვალწინ გეყოლებათ ცოცხალი ილია“ (მანსვეტაშვილი 1936: 84).

ეს სიტყვიერი პორტრეტი თუ მართლაც გაიცოცხლდება ჩვენს წინაშე, არც იმის წარმოდგენა გაგვიჭირდება, როგორი შინაგანი ღირსებით კითხულობს უკვე ჭაღარაშერეული ილია სიჭაბუკეში დაწერილ ამ სტრიქონებს:

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ელაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა...

(ჭავჭავაძე 1914: 62)

მაგრამ ღმერთთან ლაპარაკი ილიას სულ უფრო და უფრო ნაკლებად უწევს პოეზიის ენაზე, რადგან დუშეთიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ, მისი ენერგიის, დროისა და ყურადღების უმეტესი ნაწილი, საადგილმამულო ბანკისა და „იეერიის“ გაძღოლას ხმარდება.

ასეა – „რომ წარუძღვე წინა ერსა“ – ოცდაათი წელი თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკს უნდა შესწირო, რათა ქართულმა უდარდელობამ მთლად არ გააღატაკოს შენი

ერის რჩეული ნაწილი; მადლიერების ნაცვლად – მდურვა და საყვედური „პილპილმოყრილი მადლისათვის“, ძველ თანამშრომელთა გულგაციება და რაც ყველაზე უფრო საწყენია, მტრობა იყანე მაჩაბელთან; იმ ივანე მაჩაბელთან, რომლის სხვისგან ძაგებას ილია მაინიც ვერ იტანდა, რადგან ამ დაწყვეტილი ბანკის მიუხედავად, სათუთად მოსაგონარი ჰქონდა მათი ერთობლივი მუშაობა პეტერბურგში შექსპირის „მეფე ლირის“ თარგმანზე და „ივერიის“ თანარედაქტორობის პირველი წლები.

დღეს ხომ შეიძლება უკვე დაბეჯითებით ითქვას, რომ მე-19 საუკუნის არცერთ ჟურნალ-გაზეთს ისე გამოზნულად არ წარუმართავს საზოგადოებრივი ცხოვრების კალაპოტი, როგორც ილიას „ივერიას“ (1877 წელს დაარსდა, როგორც გაზეთი, მერე ჟურნალად გადაკეთდა, ხოლო 1902 წელს, როდესაც ილიამ რედაქტორობა მიატოვა, – კვლავ გაზეთი იყო). სხვა რომ არა, მარტო ილიას სტატიები: „ოსმალოს საქართველო“, „წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე“, „ქვათა ღაღადი“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, „მეცხრამეტე საუკუნე“ და ამ ბრწყინვალე მწკრივის გამაგრძელებელი მთელი წყება წერილებისა ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის საკითხებზე ნათელყოფენ, რომ არ იყო არცერთი სფერო იმდროინდელი ცხოვრებისა, რომელსაც ვერ გასწვდა „ივერიის“ რედაქტორის გამჭრიახი თვალი და გონება.

იმავე „ივერიაში“, უკვე იშვიათ, ობოლ მარგალიტებად ჩანან ილიას მხატვრული ქმნილებანი – „განდეგილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „სარჩობელაზედ“...

სხვა საკითხია, თუ როგორ დაუფასდა ყოველივე ასეთ რედაქტორს და ასეთ ავტორს „ივერიის“ კოლეგათაგან.

„ივერიამ“ 1906 წლის აპრილში დაუზარებლად გაიმობეჭდა სოციალ-დემოკრატების ჟურნალ „მოგზაურიდან“ ამაზრზენი, ცილისმწამებლური წერილი, ილიასაგან ვითომდა შეეიწროებული გლეხობის შესახებ, თვალთმაქცური სარედაქციო მინაწერით: „ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს მართლა ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა ეს დავიჯეროთ“ და ა.შ. მაგრამ ილიას პასუხი, – მისი პუბლიცისტიკის შედევრი, – „ნუთუ“ მაინც არ გამოაქვეყნა თავის ფურცლებზე და ცალკე დამატების სახით დაბეჭდა.

„ივერიის“ იმჟამინდელი რედაქტორი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მოგვიანებით უბადრუკად იმართლებდა თავს, რომ „რედაქციაში ბევრნი იყვნენ თანამშრომლები, რომლებიც მოითხოვდნენ, რომ

თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინვე გაფიცვას მოვაწყობთო...“ (გუგუშვილი 1938: 29).

აქ, ალბათ, სჯობს მიეუბრუნდეთ ილიას იმ მოთხრობას, რომელიც „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა და დედამიწაზე ყველაზე სეფდიან ადგილზე მიგვიყვანს – „სარჩობელასთან“.

ყველას გვახსოვს, განაჩენის საჯარო აღსრულებაზე ცნობის-მოყვარეობით მისული უბირი მეურმე, ბიბლიური სახელით – პეტრე, თავის ჭაბუკ თანამგზავრს რომ ყერ იცნობს. მეტიც, – ის, შესაძლოა, ერთადერთია მთელი ამ ბრბოდან, ჩამოხრჩობის ამაზრზენ რიტუალს ჯამბაზობად და სასეირო სანახაობად რომ მიიჩნევს: ეშაფოტი მას სცენა ჰგონია, სიკვდილმისჯილი, ჯალათი, მღვდელი კი – მსახიობები.

მოთხრობის ფინალში, როდესაც პეტრე ჩამოხრჩობილი ავაზაკის უმცროსი ძმის წერილიდან სიმართლეს გაიგებს, დაბნეული შემოთელილი ბრალდებით, – „განა შენ არ მიიყვანე ჩემი ძმა სარჩობელამდეო?“ – გაოგნებული გვეკითხება – „მე რა შუაში ვარო?“

სწორედ აქ სვამს ილია წერტილს და მკითხველს თავის გმირთან ერთად ტოვებს ამ მარადიული კითხვის წინაშე: არადა, მართლაც, რა შუაში ვართ ჩვენ, თუ გარშემო სამყარო შეიშალა, თუ კაცის კეღლა, ქურდობა და ავაზაკობა ლამის წესად იქცა; ანდა, ეგების, მაინც არის ჩვენი წილი გარშემო დატრიალებულ ცოდვაში?... დაბოლოს – როგორ უნდა ეცხოვროთ, რა უნდა მოიმოქმედოთ იმისათვის, რომ გულდაჯერებით ეუპასუხოთ ამ კითხვას და მხოლოდ ამის შემდეგ გაეაწყოთ ჩვენი ურემი და გაუდგეთ ჩვენს გზას...

იმავე „ივერიაში“, როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნდა ილიას „ჩემი კარგი ქვეყანაც...“ – ლექსი, აგერ ერთი საუკუნეა, განსაკუთრებული პათოსით რომ წარმოითქმის და იმღერება, როდესაც ქართველობა მომავალი თავისუფლების რწმენითაა გაერთიანებული და რიტუალური ჰიმნის ღერადობას იძენს. მაშინათვე, როგორც კი ეს ერთიანობა ირღვევა, ხოლო თავისუფლების პოეზიას ყოველდღიურობის პროზა შთანთქავს...

კიდევ ერთი ცნობილი, შესანიშნავი იმდროინდელი ლექსი ილიასი – „ბაზალეთის ტბა“ მოგვიანებით გამოქვეყნდა, 1890 წელს, მაგრამ ჟურნალ „ჯეჯილში“ და არა „ივერიაში“. ილია ამ დროს უკვე 53 წლისაა, არცთუ ხანდაზმული, მაგრამ თავდაუზოგავი ცხოვრების წესით ჯანმრთელობაშერყეული. უჩივის ღვიძლს, დიაბეტს, გულის ხუთვას...

ამისდა მიუხედავად, გულუხვი მასპინძელია, სტუმრებთან ერთად, თვითონაც კარგად მოილხენს ხოლმე და ექიმების აკრძალვებს ვერ ეგუება...

ილიას განსაკუთრებით საგურამოში უყვარდა სტუმრების მოპატიჟება. ყოველ – იელისს, ილიაობას, აქ ხომ საერთოდ ტევა არ იყო...

იშვიათი სითბოთი იხსენებდნენ საგურამოს ილიას უცხოელი მეგობრები – არტურ ლაისტი, და-ძმანი უორდროპები... ილიას ბიოგრაფიულ ქრონიკას თუ გადავხედეთ, ენახავთ, რომ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთაგან თუ ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ სტუმართაგან ცოტა იყო ისეთი, რომელსაც ასცდენოდეს საგურამოში სტუმრობის პატივი.

ეს მხოლოდ ილიას განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით როდი აიხსნება. ილია იმდენადაა მოქცეული საზოგადოებრივი ცხოვრების ეპიცენტრში, რომ მისი სახლი, მისდაუნებურადაც კი, მაინც მიიზიდავდა ილიასთან საერთო საქმით, ინტერესებითა თუ გატაცებებით დაკავშირებულ ადამიანებს.

ილიას მოღვაწეობის მასშტაბი დღესაც განცვიფრებას იწვევს. ბანკისა და „იერიის“ პარალელურად, იგი ხელმძღვანელობს მისივე ინიციატივით დაარსებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ქართულ დრამატულ საზოგადოებას. უთუოდ იდეალური კანდიდატურა გახლდათ: პოპულარული „სცენების“ ავტორი, მისსავე თარგმნილ „მეფე ლირში“ კენტის როლის განმასახიერებელი და ქართულ დრამატულ დასში რეჟისორობანაცადი.

სხვაია შორის, ილია ჩინებული დეკლამატორიც ყოფილა და ლიტერატურულ საღამოებზე, თავისი ნაწარმოებების გარდა, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს კითხულობდა ხოლმე, ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსანიდან“.

ამგვარი ლიტერატურული საღამოები იმხანად, მეტწილად, ცნობილი მეცენატის, დავით სარაჯიშვილის სალონში იმართებოდა. გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი ასე აღწერდა დავით სარაჯიშვილის სახლში გამართულ ერთ-ერთ საღამოს: „ერთს კერძო სახლში, ამ სახლის პატრონის მოწვევით, შეიყარნენ გუშინ, 8 თებერვალს (ეს 1883 წელია – ზ.ა), ოცამდინ თანამგრძნობნი და მოყვარულნი ქართულის მწერლობისა და აქ. თ.ილ.გ. ჭაჭავაძემ წაიკითხა თავისი ახალი პოემა „განდეგილი“. ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ყველა იქ მყოფზედ ჩვენი პოეტის ახალმა ნაწარმოებმა. სიამოვნებით დაერწმუნდით, რომ

„ყაისაღის ცხოვრების“ და „ასრდილის“ აეტორს, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ერთობ იშვიათად ემუსაიფება მუზას, არც ძველი ნიჭი დაჰკლებია, არც ძველი ხელოვნება და არც საზოგადოდ ლექსთა-თხზვის მოხერხება; დაერწმუნდით, რომ თ.ი.ჭავჭავაძე ჩვენს პოეზიას ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია და შემდგომშიც უნდა მოველოდეთ ამგვარ იმის კალმის ნაწარმოებსა...“

სამწუხაროდ, „განდეგილი“ ილიას უკანასკნელი პოემა აღმოჩნდა, ხოლო ბოლო ოცდათხუთმეტმა წელმა ცხოვრებისა, მის ლირიკულ რეცეპტს სულ შვიდად-შვიდი ლექსი შემატა; აქედან მხოლოდ ერთი – „ბაზალეთის ტბა“ სამომავლო ნუგეშად შეშორჩა თაობათა მეხსიერებას. თუმცა კიდევ ეს, მრავლისმეტყველი სტრიქონები:

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ღამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიყვდება გული...

(ჭავჭავაძე 1914: 115)

ვაი რომ, ეს მხოლოდ მეტაფორა არ იყო და ილიას მტკივნ გულს ვერ შეელიან ვერც თბილისელი ექიმები, ვერც კიევის უნივერსიტეტის პროფესორი ვაგნერი და ვერც პროფესორი ლეიდენი, რომელსაც ილია და ოლღა ჭავჭავაძეებმა 1903 წლის ზაფხულში ბერლინში ჩააკითხეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიას ყოველი გადაადგილება და, რაღა თქმა უნდა, საჯარო გამოსვლა, 1884 წლის გაზაფხულიდან, პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშაა და თბილისის პოლიციმეისტერი ჩინოვნიკური პუნქტუალობით ატყობინებს ქალაქის გუბერნატორს ილიას ყოველ ნაბიჯს. ეს მეთვალყურეობა შეწყდა მხოლოდ 1906 წელს, როდესაც ილია იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს.

ნიშანდობლივია, რომ თავისი პირველი გამოსვლა სახელმწიფო საბჭოში (სავარაუდოდ – 1907 წლის 17 აპრილს – ზ. ა.) ილიამ მიუძღვნა სიკვდილით დასჯის აკრძალვას. აქ, რაღა თქმა უნდა, კელავ მისი „სარჩობელაზედ“ გვახსენდება. ილიას არგუმენტები ითვალისწინებდა არა მარტო ქრისტიანულ გულმოწყალებას, არამედ იმასაც, რომ სასჯელის სიმკაცრეს ზნეობის საყოველთაო გაუხეშება მოსდევდა და დამნაშავეობის ეს მოჯა-

დოებული წრე დამღუპველი აღმოჩნდებოდა თვით საზოგადოებისათვის.

უთუოდ გაიფიქრებთ, რომ დიდი ქართველი ჰუმანისტი, რომელიც ცდილობდა მოულბო იმპერიის ხელისუფალნი, იმავდროულად, სიცოცხლეს უნარჩუნებდა თავის მომავალ მკვლელებს. ამ თვალსაზრისით, სიმბოლური იყო, რომ ილიას მკვლელობის შემდგომ, კნეინა ოლღამ იშუამდგომლა თბილისის გენერალგუბერნატორთან, დამნაშავენი არ ჩამოეხრჩოთ: „ეს საზარელი სასჯელი დაარღვევს იმ ღვაწლს სიყვარულისას, ცხოერების მასწავლებელ ქრისტეს იმ საუკუნო მცნებას, რომლითაც ცოცხლობდა ჩემი განსვენებული ქმარი...“ – წერდა იგი. ილიას ქვრივის ამ ჰუმანურ უესტს დიდი გამოძახილი ჰქონდა და ყველაზე ღირსშესანიშნავი - ლევ ტოლსტოისა.

კალენდარულ სიზუსტეს თუ არ მიეყენებით, შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნე საქართველოსათვის 1907 წლის 30 აგვისტოს დაიწყო – წიწამურთან ილიას მკვლელობის დღეს. გალაკტიონმა – მეოცე საუკუნის პირმშომ და მსხვერპლმა, პირველმა ინტუიტურად იგრძნო ეს ისტორიული პარადოქსი:

წიწამურში რომ მიჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი...

(ტაბიძე 1977: 251)

ერთმა საუკუნემ განელო წიწამურის ტრაგედიის შემდეგ და მთელი ამ ხნის განმავლობაში, ილიას დიღებული არსებული, ვითარცა მხსნელი და მფარველი, თან სდევს მის მშობელ ერს.

დამოწმებანი:

აფხაზი 1987: აფხაზი კ. მოგონებები. წიგნში: ილია (მოგონებები გარდასულ დღეთა). თბ.: „მერანი“, 1987.

გუგუშვილი 1938: გუგუშვილი პ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბ.: „სახელგამი“, 1938.

ჭავჭავაძე 1914: ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. ტ. I. მიხ, გედეანიშვილის გამოცემა, ტფ.: 1914

ჭავჭავაძე 1950: ჭავჭავაძე ი. თხზ. სრული კრებული. ტ. II. თბ.: „სახელგამი“, 1950.
ჭავჭავაძე 1955: ჭავჭავაძე ი. თხზ. სრული კრებული. ტ. V. თბ.: 1955.
ჭავჭავაძე 1957: ჭავჭავაძე ი. თხზ. სრული კრებული. ტ. IX. თბ.: 1957.
ჭავჭავაძე 1961: ჭავჭავაძე ი. თხზ. სრული კრებული. ტ. X. თბ.: 1961.
ჭავჭავაძე 1978: ილია ჭავჭავაძე. აფორიზმები. თბ.: „მერანი“, 1978.
ჭავჭავაძე 1996: კრებული „ილია ემიგრანტთა თვალით“. ტ. I, თბ.: „ლომისი“, 1996.
„ილია“ 1987: „ილია“ (მოგონებები გარდასულ დღეთა). თბ.: 1987.
„ილიას...“ 1988: „ილიას სამრეკლო“ (მოგონებათა კრებული). თბ.: „განათლება“, 1988.
კრებული 1872: ჟურნ. „კრებული“, №№10-12, თბ.: 1872.
ლოლაძე 1987: ლოლაძე მ. მოგონება. წიგნში: „ილია“ (მოგონებები გარდასულ დღეთა). თბ.: „მერანი“, 1987.
მანსვეტაშვილი 1936: მანსვეტაშვილი ი. მოგონებები. ტფ.: „ფედერაცია“, 1936.
ნიკოლაძე 1931: ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები. ტ. I, თბ.: „ქართული წიგნი“, 1931.
ტაბიძე 1977: ტაბიძე გ. რჩეული. თბ.: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.
შარაძე 1987: შარაძე გ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. შემოქმედება. წიგნი I, თბ.: „ხელოვნება“, 1987.
ცისკარი 1965: ჟურნ. „ცისკარი“, № 9, თბ., 1865.

აკაკი წერეთელი

ას სამოცდათხუთმეტი წელი გაეიდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ეთქვათ, რომ არც მანამდე და არც შემდეგ, ქართველ კაცს ამგვარი ერთსულოვნებით არ დაუსახავს ერთი რომელიმე პოეტი მთელი თავისი სათქმელის გამომხატველად – ფარული ტრფობა იქნებოდა ეს თუ დაუფარავი ირონია, არსებულით აღშფოთება თუ მომავლით შთანერგილი იმედი.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით აკაკის პორტრეტს, ვაკვირდებით მის იერს და ნაკვთებს, თვალს მივადევნებთ მის „აღმართ-აღმართ“ მიმავალ გზას იმიტომაც, რომ სწორედ ამ ფენომენის ამოხსნა გვაინტერესებს.

აკაკის ხიბლი მისი გარეგნობით იწყებოდა. სერგო კლდიაშვილმა თავის დროზე ზუსტად შენიშნა: „აკაკი ყოველთვის და ყველგან მომხიბლავ სანახაობას წარმოადგენდა. თავის სინდისად თულიდა ერი აკაკის და ყველა თავისი კარგი თვისების ცოცხალ გამოხატულებად. უკეთეს გარეგნობას ვერ ინატრებდა ხალხი პოეტისათვის, რომელიც თავისი ქვეყნის სახედ მიაჩნდა“ (მოგონებები 1990: 267). კიდევ ერთი შთაბეჭდილება, ამჯერად იოსებ იმედაშვილისა – „მუდამ მღიმარე, სახენათელი, გულღია, ზეაღმტაცი!..“

ღაწვერილებით აქვს აღწერილი აკაკის იერი ილია ზურაბიშვილს: „მეტისმეტად იმპოზანტური ფიგურა ჰქონდა, ნამდვილი სასკულპტურო. მარტო იმიტომ კი არა, რომ ბრგე აგებულებისა იყო. იმაზე ბუმბერაზულ ტანადობისას სხვასაც ნახავდით, მაგრამ ისინი აკაკისებურ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ. იმიტომ, რომ იშვიათი ჰარმონია სუფევდა მის ტანსა და თავს შორის. საკვირველი მოყვანილობის თავი ჰქონდა: მრგვალი, თარაზოში გამოსული, არსად შეზნექილი ოდნავადაც, არსად ზედმეტად გამოწეული, თმაც რომ არა ჰქონოდა, მარტო ეს იშვიათად სწორი მოყვანილობა ყურადღებას მიიქცევდა.

ხშირი, მეტისმეტად გრუზი თმა. ისე ხშირი და ერთმანეთში ისე გადახლართულ-გადატმასნილი, რომ ნაპენტი მატყლი

გეგონებოდათ. აკაკის თმის ფერი, თვით სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იმ სითეთრემდე არ მისულა, რომელსაც თოლიის სისპეტაკეს უწოდებენ. იგი უფრო ჭაღარა იყო, ვიდრე თეთრი. ეს ბუნებრივი თმა შარავანდედივით ადგა მის საკვირველ – არა მარტო მაღალ, განიერ – არამედ სწორედ დიად შუბლს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბრძენისაც იყო და პოეტისაც. სახე... მსხვილნაკვთიანი, დიდრონთვალება. მკვეთრად მოხაზული ბაგე, მაგრამ ენებიანობის არმჩენი ტუჩები... არც ირონიისა. (მოგონებები 1990: 190).

რა საინტერესო დეტალია: სახე, რომელშიც ხასიათის ორი უმთავრესი თვისება არ მეღავნდება! ასეთივე კონტრასტია აკაკის დაუდგრომელ, ცოცხალ, ცვალებად ხასიათსა და მის გარეგნულ მანერებს შორის: „აკაკის, თითქოს თავისი ბუნების უნებურად, – განაგრძობდა თავის თხრობას ილია ზურაბიშვილი, – მართლა ოლიმპიური სიდინჯე ახასიათებდა: წყნარი მიხრა-მოხრა, მძიმე ნაბიჯი, თითქმის სრულიად შეზღუდული ჟესტიკულაცია და თითქოს რაღაც ზევსურ გარინდებაში ყოფნა სიწყმის დროს“ (მოგონებები 1990: 191).

მხოლოდ გერმანელი მეგობრისა და კოლეგის – არტურ ლაისტის დაკვირვებულ თვალს შეუნიშნავს გარეგნული გამოვლენა აკაკის ტემპერამენტისა და ისიც, ილიას განსაკუთრებული სიდინჯის ფონზე...

აკაკის ხასიათი – ესაა ურთიერთგამომრიცხავი თვისებებისა და მიდრეკილებების ნაზავი: იშვიათი უდარდელობისა და პრაქტიციზმის, გულუშურველობისა და ეგოცენტრიზმის, სულიერებისა და ავხორცობის, გონიერებისა და ზედაპირულობის...

უცნაური სიჭრელე გასდევს მთელ მის ცხოვრების გზას და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც, რომელშიც მიმაჯადოებელ ჰანგებთან მეზობლობს ამგვარი ნიჭისათვის უცხო და ყურისმომჭრელი სტრიქონები.

ამ კონტრასტს თავის ხასიათში, ცხოვრების ნირში, პოეზიაში აკაკი, რაღა თქმა უნდა, სხვაზე უკეთ გრძნობდა და აკი გამოთქვა კიდეც:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად,

ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება-გრძნობასა.

(წერეთელი 1950ა: 168)

გავყვეთ ამ გზას – სხვიტორში, წერეთელთა სასახლეში რომ იწყება, გზას, რომელსაც ის ზენაარი, „სულ სხვა ხელისუფალი“ დაჰყურებს, ამქვეყნიურ ხელისუფალთა ნება-სურვილს ანგარიშს რომ არ უწევს, და თავისი რჩეული, ხელჩაკიდებული, მთაწმინდისაკენ მიჰყავს...

1840 წლის 9 ივნისს, სისხამ დილით, სხვიტორში, თავად როსტომ წერეთლის აივნიდან თოფის ხმა გაისმა: როსტომსა და მის მეუღლეს – ეკატერინე ივანეს ასულ აბაშიძეს, მეოთხე შვილი შეეძინათ, ვაჟი, აკაკი.

„მე ცოტაოდნად კიდევ ძველ-ქართულად გაზრდილს, ეროვნულ იგავ-არაკებითა და ზღაპრებით მაქვს გული სავსე“, - წერდა შემდგომ აკაკი თუდო ჟორდანიას. ამ „ძველ-ქართულ“ გაზრდაში ის „გაძიძაყებაც“ იგულისხმებოდა სოფელ საქანეში, რომელიც აკაკიმ ესოდენი სითბოთი აღწერა თავის მხატვრულ ავტობიოგრაფიაში – „ჩემ თავგადასავალში“ და დედისაგან მოსმენილი ლექსებიც, ზღაპრებიც, ლეგენდებიც და საგმირო ისტორიებიც. ზოგჯერ, ამ საგმირო ისტორიათა პერსონაჟები თავად აკაკის წინაპრები იყვნენ – ქველი და დავით წერეთლები, იმერთა მეფე სოლომონ პირველი და მისი შვილიშვილი ივანე აბაშიძე – პაპა აკაკისა.

შემდგომ, აკაკის პოემებში – „გამზრდელში“, „თორნიკე ერისთავში“, „ნათელაში“, მის პროზაში – „ბაში-აჩუკში“, მის დრამებში („პატარა კახში“, პირველ ყოელისა) ყოველთვის მოისმოდა ამ ისტორიული იდეალების გამოძახილი, ხოლო აკაკის ლექსების მომხიბლავ სისადაეში და მელოდიკაში ის ჰანგი, რომელიც ხალხურ სეპირსიტყვიერებას ჰქონდა შენარჩუნებული და რომელიც სწორედ აკაკიმ, პირველმა, ესოდენ ბუნებრივად შეუკავშირა ქართული კლასიკური პოეზიის საუკუნოვან ტრადიციას.

გავიხსენოთ მისი ერთ-ერთი ადრინდელი ლექსის სტრიქონები:

გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..

მისათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირე უამისა!..

(წერეთელი 1950: 59)

ანდა, აკაკისსავე - საიდუმლო ბარათი - პირველი მისი ლექსი, ავტორის ნებისა და საწინააღმდეგოდ, ინიციალების ნაცვლად, უკვე მისი გვარით ხელმოწერილი რომ გამოქვეყნდა იმჟამინდელი "ცისკრის" 1859 წლის პირველ ნომერში:

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ქმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭებელ
და სეფდისა ფარადო...“

(წერეთელი 1950: 66)

„იმ ხანებშივე ამ ლექსის გამოისობით ორი წერილი მივიღე, – იგონებდა აკაკი, – ერთი ჩემი უცნობის ანჩისხატის დეკანოზის ეფრემის იყო... მეორე წერილი იყო თ. ირაკლი ლორთქიფანიძის. ისიც მაქებდა და მთხოვდა ძველი ენითა სწერეო. ამ წერილებმა, ცოტა არ იყოს გამაეყოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას, სულსა და გულს მიტკბობდა ის, რომ „ქალები იმღერიანო“ და მეც გადავსწყვიტე, რომ თავი დაეუდეა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ესწერო“.

როგორც ვიცით, აკაკი იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია, სრულუფლებიან სტუდენტობაში მას ხელი შეუშალა ქუთაისის გიმნაზიის დამამთავრებელი ატესტატის არქონამ. ეტყობა, აკაკის ეროი სული ჰქონდა, გასცლოდა ამ გიმნაზიას, რომლიდანაც, „ჩემი თაყვადასაკლის“ მონათხრობს თუ ვენდობით, ნათელ მოგონებად მხოლოდღა პოლონელი მასწავლებლის – რადზიევიჩის საუბრები გამოჰყოლოდა მიცკევიჩის პოეზიაზე.

ყმაწვილ აკაკის უთუოდ წარმოესახა თავისი თაყვი მიცკევიჩის ცნობილი პოემის „კონრად ვალენროდის“ გმირად – ლიტველ გიორგი სააკაძედ, ტევტონთა მთავარსარდლის აბჯარქვეშ სამშობლოსათვის შეწირული გული რომ უცემდა.

არაა გასაკვირი, რომ აკაკი სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა და თავდაპირველად, 1859 წლის ზაფხულის დამდეგს, პეტერბურგში სწორედ ამ ოცნებამ ჩაიყვანა.

ახლა, აკაკის ბიოგრაფიის იმ მომენტს მივადექით, როდესაც მკაფიოდ მეღავნდება, რომ სწორედ ეს ერთია – ბედის რჩეული და რომ ეს გამორჩეულობა თანაბრად ატყვია მის პოეტურ ნიჭსაც და მის არაორდინარულ ხასიათსაც.

დიდი ქალაქის უნახავი, სამხედრო კარიერაზე მეოცნებე 19 წლის ბიჭი პეტერბურგში ჩადის, აქ, იმპერატორის „კანეოიში“ გამწესებულ, თავის უფროს ძმას ხვდება და ილიკოს მაცოუნებელ მონათხრობს უსმენს: ქეიფი, კარტი, ქალები... დროდადრო – აღლუმები... აკაკი, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, მშვენიერი მომლხენიც იყო (თუმცა, თეისტომია უმეტესობისაგან განსხვავებით, ღვინის სმაში ძალზე ზომიერი), კარტის მოყვარულიც და არც ქალებისადმი დარჩენილა გულგრილი.

ილიკოს ნაამბობმა ცთუნების ნაცელად, უმცროსი ძმა გააღიზიანა და გადაწყვეტილება შეაცვლევინა. აკაკიმ ზურგი შეაქცია „კანეოის“ სიბარიტებს და პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელის ასკეტური ყოფა ირჩია.

რით აიხსნება, რომ „ბუნებისა და ბედის ნებიერი“ (ეს არტურ ლაისტის სიტყვებია), თითქოსდა მსოლოდ სიცოცხლით ტკბობისა და სილაღისათვის გაჩენილი, უზრუნველ ცხოვრებაზე მეოცნებე, სწორედ ამ დარდიმანდულ ყოფაზე ამბობს უარს ყოველთვის, როდესაც კი ხელახალი არჩევანის წინაშე დგება.

ქუთაისში, 1889 წელს (ეს ის დროა, აკაკი ხუთ-ხუთ მანეთს რომ აგროვებს საჩხერეში წასასვლელად), საადგილმამულო ბანკის საერთო კრებამ ერთხმად შესთავაზა მას - ბანკის დირექტორი გამხდარიყო. ახლა აკაკის პასუხს მოვუსმინოთ: „მე რომ დირექტორობა ვიკისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დაეუდეა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი, თუმც ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სასარგებლოა, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშლელი, რომელსაც მე ამდენი ხანია ვემსახურები“.

ვფიქრობ, ჩვენს მიერ დასმულ კითხვას აკაკიმ თვითონ უპასუხა. ახლა, კვლავ „ციცი ქვით მოსიპულ და უზარმაზარ“ პეტერბურგში თუ დაეუბრუნდებით, ვასილიევის კუნძულზე, სადაც აკაკი სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად ქირაობს იაფფასიან ოთახს, შეგეძლია ისიც წარმოეიდგინოთ, როგორი მოუთმენლობით ფურცლავს იგი „ცისკრის“ მორიგ ნომერს, რომელშიც თავისი ლექსი ეგულება – „ქართლის სალამი“ და ამ ლექსში რედაქტორის – ივანე კერესელიძის კალმით ჩამატებულ სტრიქონებს აღმოაჩენს:

ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა?
ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა?
და ა.შ.

(გურგენიძე, გორგაძე 1989: 23)

ამის თაობაზე გულნატკენი აკაკი მისწერს დედამისს ივანე კერესელიძესე – „ლექსები წამიხდინაო“. სხვათა შორის, აქვე აღსანიშნავია, რომ მიწერ-მოწერა აკაკის სწორედ დედასთან აქვს, – მას ანდობს თავის გულისნადებს. მამა, როგორც წესი, მხოლოდ პოსტ-სკრიპტუმში გამოჩნდება ხოლმე: „მამა ბატონს მოწყალეს ხელებს ეამბორები“. ეს არის და ეს.

შემდგომ, როდესაც როსტომ წერეთელმა მისი შვილის ლექსებით განაწყენებული ახლობელ-ნათესავების წყრომას თავისი რისხვაც შეუერთა (ეგებ წაქეზებითაც – „ფარისეველში“ შენა ხარ გამოყვანილიო), მამა-შვილის ურთიერთობა საერთოდ გაფუჭდა და როსტომი ისე გარდაიცვალა 1876 წელს, რომ აკაკისე გული არ მობრუნებია.

ისე, როსტომისაც არ უნდა გაგიკვირდეს კაცს: როგორია, თავმომწონე თავადისათვის ნათესავისაგან ამგვარი წერილის მიღება: „ძმაო როსტომ! – იწერებოდა თავადი კონსტანტინე აბაშიძე, – შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველა სიხარულით მივეგებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, ბეერად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ნაბიჯი წაედგა, ან ალეკატობით სხვებსავით სახელი მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა!“

რაღაც მოჯადოებული წრე იკერება: გასაგებია, როდესაც აკაკის, პეტერბურგიდან გამოყოლილი რადიკალური იდეების გავლენით, სურვილი ებადებოდა, გაელიზიანებინა ქუთაისის თავადაზნაურობის მარშალი, დიდად გავლენიანი თავადი ნესტორ წერეთელი; სამიოდე წლით ადრე, გლეხთა განთავისუფლების ჟამს, აკაკიმ „იმერული ნანინათი“ უკვე ისედაც გაიფუჭა ურთიერთობა თავის „მემამულურ“ გარემოცვასთან. ეს ყველაფერი გასაგებია.

გაუგებარია, როდესაც, იმავდროულად, აკაკი თავისსავე თანამოაზრეებს და თანატოლებს ამასსრებს და 1861 წელს პაროდიას წერს ილიას პათეტიკურ ლექსზე „ქართველი სტუდენტთა სიმღერა“.

ორად-ორ კაცთან მეგობრობდა აკაკი სტუდენტობისას პეტერბურგში – ნიკო ნიკოლაძესთან და კირილე ლორთქიფანიძესთან. დანარჩენებმა იმდენად აითვალისწუნეს მწარე და გამქირდავი ენის გამო, რომ სტუდენტობის წლებიდან მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი აგონდებოდა სითბოთი. სიტყვაზე, შეხვედრა ტარას შევჩენკოსთან, სტუმრობა ჩერნიშევსკის ოჯახში... მაგრამ, საზოგადოდ, მისსავე სიტყვით – „ის სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც კი ეარდად ეჩვენება“, - საკმაოდ ჩაუშხამდა.

1863 წლის ზაფხულში აკაკიმ დაიცვა სადიპლომო ნაშრომი (მაშინ „საკანდიდატო“ ერქვა ამას) – „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ და სამშობლოსაკენ გამოეშურა.

ასე დამთავრდა პირველი, სტუდენტური პერიოდი აკაკის ცხოვრებისა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აკაკი ერთხანს უცხოეთისაკენ მიიწევს „ჰსწავლის შესამსებლად“, მაგრამ, ამის ნაცვლად, სრულიად მოულოდნელად, 1864 წელს მოსკოვში ცოლს ირთავს – ნატალია პეტრეს ასულ ბაზილევსკაიას.

„ნურვინ ნუ დაიჩემებს: მომაეალ'ში ამას ვიზამ, თუ იმასო, – წერდა აკაკი, – მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოველიფერი შესძლებია!“

ერთი წლის შემდეგ, აკაკი ისევ მოსკოვშია და ებმება გაუთავებელ სასამართლო პროცესში ცოლის ბიძასთან – ოქროს მრეწველ ბაზილევსკისთან ცოლის მემკვიდრეობის თაობაზე. ამგვარმა პროცესებმა – მარგანეცის საბადოს გამო, – თბილისელ მილიონერ მადათოვთან, საჩხერის ტყისა – თავისსავე ნათესავთან, აკაკის სისხლი გაუშრეს და, რაც მთავარია, კაპიკი არ მოუტანეს.

აკაკის შემოქმედებაში ნატალია ბაზილევსკაია ერთი ფერმკრთალი აკროსტიქითა და რუსულად დაწერილი პატარა ლექსით დარჩა. აი, რაც შეეხება ბიოგრაფიას – მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას, გაუთავებელ ურთიერთპრეტენზიებს, გადარუსებულ ვაჟიშვილს – ყოველივე ეს ცალკე თხრობის თემაა...

ერთი საუკუნის შემდეგ, სერიოზული განსჯა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა შეერთო ცოლად აკაკის ან ვინ არ უნდა შეერთო, დაახლოებით იგივეა, - კაცმა „თორნიკე ერისთავის“ წერა თავიდან რომ დაიწყოს.

ბედმა ინება, რომ აკაკი – მისი რჩეული, ამ მხრივადაც გამორჩეული ყოფილიყო: კიდეც ჰყოლოდა ცოლ-შვილი, მაგრამ, ამასთანავე, მარტოხელა დარჩენილიყო და თავისუფალი მამაკაცის ცხოვრებით ეცხოვრა...

აკაკის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ მკვირცხლი და ტანწერწეტა ნატალია სულ მალე ფარფაშა და აბუზარ დედაკაცად გადაიქცა. მაგრამ, აბა თქვით, რომელ ცოლს გაუხარდება ამგვარი წერილის მიღება: „ახალგაზრდობას ჩემსას ვგრძნობ მხოლოდ იმ ახალგაზრდა ქალიშვილებთან, რომლებიც თავის დაუსრულებელი ალერსით მხიბლავენ და არა იმასთან, ვისაც ნესტოები არაბული ცხენივით ებერება და შხამიან სიტყვებს ბომბებივით ისვრის პირიდან“. გადის რაღაც ხანი და აკაკი სხვა გუნებაზე დგება: „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი: ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვუძღვნიდე ჩემი იდეალური ნატაშათი...“ და ა.შ.

აკაკისავით პარადოქსებით აღსავსე ხასიათი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ორი ამგვარი წერილი შეუთავსოს ერთმანეთს და თან ორიეულგან გულწრფელი იყოს.

ცოლ-ქმრის დროდადრო ერთობლივ ცხოვრებას, ეტყობა, ამგვარივე ცვალებადი ელფერი ჰქონდა: ასე, მაგალითად – ჩამოდის ნატალია პეტრეს ასული თბილისში. აკაკი აღფრთოვანებული ეგებება და პირველი რამდენიმე დღე თავს ევლება. ცოტა ხნის შემდეგ, აკაკის მოთმინება ელევა. ილევა ფულიც. რადგან ქ-ნ ნატალიას შვიდი ოთახი უჭირავს სასტუმროში და მოახლის გარდა, ცალკე მზარეული ჰყავს. თვითონ აკაკი თავმობეზრებულია წერილმანი ზრუნვით: ეს უნდა ჩაიცვას, ეს არა! კლუბში კარტის სათამაშოდ არ უნდა იაროს და ა.შ.

საბოლოო ჯამში, აკაკი სესხულობს ფულს ცოლის პეტერბურგში გასამგზავრებლად, გადადის იმავე სასტუმროს ერთ ოთახში და შვებით ამოისუნთქავს...

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, რომ ოცნება მყუდრო საკანზე – ოცნებად რჩება... აკაკი, ეტყობა, მართლაც არ იყო შექმნილი ოჯახური იდილიისათვის: ერთ ქალთანაც ბეზრდებოდა დიდხანს ყოფნა და ერთ ადგილსაც: ხან სხვიტორში იყო (აქ, აკაკის დედის გარდაცვალების შემდეგ, მისი უფროსი და – ანეტა დიასახლისობდა), ხან ქუთაისში, ხან თბილისში, ხან კიდევ პეტერბურგში ცოლ-შვილთან ან ბაქოში – ივანე ელიაშვილთან.

აკაკის გადაადგილებების რუკა რომ შედგეს, ამ გეოგრაფიას კერასოდეს ვერ ჩავწედებით, პოეტის მხოლოდდა საქმიანი ინტერესების გათვალისწინებით. ბევრი მარშრუტი იდუმალი და რომანტიკული ხასიათისაა...

არის მამაკაცის ტიპი, რომლისთვისაც ყოველი ახალი რომანი ეროგვარი თვითდამკვიდრების ფორმაა – ამიტომაც ცდილობს ხოლმე თავის გატაცებათა აფიშირებას. აკაკი სწორედ რომ საპირისპირო ტიპს ეკუთვნოდა. აკი დაწერა კიდეც: „საიდუმლო ტრფიალება ლოცვაა და აღსარება...“. მისთვის ეს იდუმალების ხიბლი იყო მთავარი, თვით ეს მარადიული თამაში, ის უთქმელი შეთანხმება – ქალსა და მამაკაცს შორის რომ მყარდება ხოლმე... ამიტომაც, არც დონ-ჟუანური სია დაუტოვებია პუშკინის მსგავსად და არც სატრფიალო ლექსების უმეტესობისათვის მიუწერია ჯეშმარიტი ადრესატების სახელები.

განა საინტერესოა არაა – ვის ეძღვნება „გაუბედაჲ სიყვარულის“ ეს სტრიქონები, 1873 წელს დაწერილი:

ორთაჲ ვიცით,
ფიცით მტკიცით
გრძნობა ჩვენი შეგვიტყვია!
თუმც კი ვხედაჲთ,
თქმას ვერ ებედაჲთ,
გულსედ გვაწუეს როგორც ტყვია!
ათი წელი,
მეტად მწველი,
გულსე გვაქვს ეს ნეტარება!
ეუგდებთ-რა ყურს,
ორივეს გვსურს
და ვერ გვითქვამს აღსარება!

(წერეთელი 1950: 279)

მაშ ასე, მაინც ვის ეძღვნება ეს სტრიქონები – ანასტასია (ანიჩკა) ნიკოლაძეს, ათი წლის წინ, ესოდენი ინტერესით რომ მიანაბია თვალები პეტერბურგიდან ქუთაისში მობრუნებულ მეგობარს თავისი უფროსი ძმისა, ხოლო შემდგომ, ისევე იდუმალად ატარა მთელი სიცოცხლე გულში აკაკის სიყვარული, როგორც სასთუმალქვეშ – მისი წერილები? თუ ვისმე სხვას?..

ისიც ხომ საინტერესოა, ვინ შთააგონა ოცდაათ წელს მიტანებულ აკაკის „ციცინათელა“ დაეწერა, შემდგომ კი უკვე –

„ჩემო თავო ბედი არ გიწერია“, „აღმართ-აღმართ“ ან „სულიკო“ – ესოდენ ტკბილხმოვნად რომ ამღერებდა გიტარაზე ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლისა...

და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც ყოველთვის თან სდევს აკაკის ლირიკული დღიურის თვალმიდევნებას: ყოველთვის სამშობლო იგულისხმებოდა პოეტის ამ ლირიკულ მიმართვებში, როგორც ამას ჩვენი სახელმძღვანელოები გვასწავლიდნენ, თუ მას თვალწინ, ლექსის წერისას, მაინც საყვარელი ქალის სახე გამოკრთოდა ხოლმე...

აკაკის ინტიმური ლირიკის ადრესატების სახელები მეტწილად სწორედ მაშინ ვიცით, როდესაც ეს ტრფობა ან მართლაც პლატონურია, ან უკვე უსასოო და უიმედო – როგორც მაგალითად ახალგაზრდა და მომხიბლავი ლოლო ნიკოლაძისადმი პარიზში მიძღვნილი ექსპრომტი სამოცდაათ წელს მიტანებული თაყვანისმცემლისა (ეს ლოლო გახლდათ ნიკო ნიკოლაძის უყვარესი ქალიშვილი პირველი ცოლიდან).

რადგან ნიკოლაძეებზე ჩამოვარდა სიტყვა, უთუოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ოჯახმა საზოგადოდ ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აკაკის ცხოვრებაში: ნიკო ნიკოლაძესთან მეგობრობა („მტერ-მოყვრული“, როგორც თვითონ პოეტი ამბობდა), აკაკის ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო ნიკოს დების – ეკატერინე და ანასტასია ნიკოლაძეების პანსიონი ქუთაისში აკაკის ძირითადი თავშესაფარი იყო.

აკაკის, როგორც მოგეხსენებათ, სახლი მხოლოდ სხვიტორში ჰქონდა – სხვაგან, ყველგან სტუმარი იყო: ქუთაისში, გარდა ნიკოლაძეებისა, ხელთუფლიშვილების, ხოლო თუ განმარტოება უნდოდა – სასტუმრო „კოლხიდას“ მეპატრონის, გიორგი ჭილაძისა; ობილისში – ნიკო დიასამიძის, სერგეი მესხის, ნიკო დადიანის; აგრეთვე, მაკო საფაროვა-აბაშიძისა და ტასო მაჩაბლის, რომელიც, აკაკისსავე მსახურის, სპირიდონ ზამბახიძის თქმით – „ძალიან გატაცებით უყვარდა...“

სოფრომ მგალობლიშვილი იგონებდა, რომ „აკაკის უბით დაჰქონდა რვეული, ძაფზე გამობმული ფანქარი ეკიდა შიგ. უცებ ღამე სანთელს აანთებდა და რვეულში ჩასწერდა ლექსს ან სხვა რამე გაგონილს ამბავს ხალხურსა...“ (მოგონებები 1990: 308). აქ ისიც უნდა ითქვას, რომ აკაკიმ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვებას და არაერთი ბრწყინვალე ფოლკლორული ნიმუში გამოაქვეყნა თავის ჟურნალში.

მით უფრო გასაკვირველია, რომ ხალხის წიაღში შობილი ძარღვიანი სიტყვის ისეთმა დამფასებელმა, როგორიც აკაკი იყო, ძალად დაიხშო ყურთასმენა ვაჟა-ფშაველას გამოჩენისას. ჩვენ ყველას გვახსოვს მისი – „ენას გიწუნებ ფშაველო...“. აკაკიმ, ფაქტობრივად, არ გაიკარა ის ვაჟა, რომელიც, სოფრომ მგალობლიშვილისავე თქმით, გორის საოსტატო სემინარიაში სწავლისას, აკაკის სალამოებს არ აცდენდა და მონუსხული შესცქეროდა თავის იმჟამინდელ კერპს.

ეტყობა, აკაკი პოეზიაში ისევე ვერ იტანდა მეტოქეს, როგორც სიყვარულში – რაციფს. ამით თუ აიხსნება, რომ მან ასევე ვერ, თუ არ შენიშნა ახალგაზრდა გალაკტიონი, ხოლო იმაედროულად, მეათეხარისხოვანი პოეტის – თურდოსპირელის ლექსებით იყო აღტაცებული.

აკაკის ლიტერატურული სალამოები ვახსენე. შეუძლოდ თუ არ იყო, იგი არასოდეს უარს არ ამბობდა ამგვარ შეხვედრა-სალამოებზე. თანამედროვეთა თქმით, ლექსებზე უკეთ თავის იუმორისტულ პროზას კითხულობდა, მაგალითად – „სცენას საპატიმროში“.

აკაკის გამოჩენა, მისი ხმის გაგონება, უკვე თავისთავად აჯადოებდა მსმენელებს და დარბაზი ტაშით ინგრეოდაო, – იგონებდნენ თვითმსილველნი.

არ არის გასაკვირი, რომ აკაკის სახელი იმდროინდელი ქართული ლიტერატურული პრესისათვის წარმატების გარანტად იქცა. ეს გარემოება უთუოდ გასათვალისწინებელია, როდესაც ვხედავთ, როგორ ითმენენ აკაკის კაპრიზებს მისი „მტერ-მოყვარე“ რედაქტორები, როგორი დელიკატურობით იწვევს მას „იერიაში“ სათანამშრომლოდ ილია ჭავჭავაძე.

ილიას ეს წერილი, საზოგადოდ, ისეთივე ნიმუშია გასული საუკუნის ორი უდიდესი ქართველი მწერლისა და მოღვაწის ურთიერთობის ნათელსაყოფად (ყველა ჩრდილოეანი მხარის მიუხედავად), როგორც აკაკის ბრწყინვალე სიტყვა ილიას დაკრძალვაზე და მისივე – „ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას...“

აქ ერთ ნაწყვეტს მოვიხმობ ილიას ზემოხსენებული წერილიდან: „ძმაო აკაკი! მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისა მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული, განსაკუთრებული წერილი მომერთმია და მეთხოვნა

გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა...“ (მოგონებები 1990: 178).

განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკაკის მიანც გაზეთ „დროებასთან“ ჰქონდა – გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან, იეანე მაჩაბელთან.

თუ რა ფასად უჯდებოდათ ეს თანამშრომლობა „დროების“ რედაქტორებს, კარგად ჩანს სერგეი მესხის ერთი წერილიდან: „ეს მგონი მეხუთედ არის, – სწერდა სერგეი მესხი თავის საცოლეს, კეკე მელიქიშვილს აკაკის შესახებ, – რომ რაღაცა უბრალო მიზეზს მონახავს და გამომიცხადებს, ყველაფერს თავი უნდა დავანებოო, გაზეთშიაც არაკითარ მონაწილეობას აღარ მივიღებო და საზოგადოდ, ყველა საქმეს და ლიტერატურას ეეთხოვებიო. შენ ვერ წარმოიდგენ, რამდენ წვალებად მიღირს მე ამის თანამშრომლობა!..“

მაგრამ, სერგეი მესხს ნამდვილად უღირდა ეს წვალება. აქ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია იმ ლექსების, წერილების, ფელეტონების, რომლებიც „დროებაში“ აკაკიმ სწორედ სერგეი მესხის რედაქტორობისას დაბეჭდა: აკაკის „ცხელ-ცხელი ამბებით“ – მახვილგონიერი ფელეტონების ციკლით – XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართული სინამდვილის მთელი პანორამა წარმოჩნდა. იმასაც თუ დავსძენთ, რომ ამ ფელეტონებში მარგალიტებივით იყო ჩასმული ვთქვათ – „ცოცინათელა“, ან „ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!“, – უთუოდ მიეხვედებით, რას ნიშნავს გაზეთის რედაქტორისათვის აკაკისნაირი ავტორი.

აკაკის თანამშრომლობა „დროებაში“ 80-იან წლებსაც გადასწვდა (გაზეთი ხელისუფლებამ 1885 წელს დახურა), მაგრამ საუბარი აკაკის შემოქმედებაზე XIX საუკუნის 80-იან წლებში, მის მოქალაქეობრივ იერზე, რომლის ფონზეც მკრთალდება ყველა მისი ადამიანური სისუსტე თუ ნაკლი, საუბარი აკაკის პოეზიის ზენიტზე – ცალკე თემაა.

არიან პოეტები, რომელნიც სიჭაბუკეშივე ქმნიან თავის შედევრებს – ბარათაშვილი, მაგალითად. აკაკის ნახევარი ცხოვრება დასჭირდა იმისათვის, რომ „განთიადი“ დაეწერა – ჭეშმარიტი მწვერვალი ქართული პოეზიისა.

რატომ გამობრწყინდა ეს „განთიადი“ მაინცდამიანც პოეტის ცხოვრების შუადღეს? როგორი იერი აქვს ამ დროიდან აკაკის – იმდროინდელი ქართული პოეზიის პატრიარქს და ერის სულიერი ცხოვრების უკვე ჭაღარაშოსილ მეგზურს? მივყვეთ ამ კითხვებს...

1887 წელს, როდესაც სტავროპოლში მოკლეს იქ გადასახლებული დიმიტრი ყიფიანი, აკაკისათვის, ისევე, როგორც მთელი იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიო-ბისათვის, ნათელი იყო, რომ ამ მკვლელობაში მთავრობის ხელი ურია.

აკაკის გამოსათხოვარი სიტყვა დიმიტრის ყიფიანის დაკრძალვაზე არ შემონახულა, არსებობს მხოლოდ პოლიციის აგენტის რუსული ჩანაწერი ამ სიტყვისა და მრავლისმეტყველი პატაკი იმდროინდელი მთავარმმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვისა, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წარდგენილი: „...Погребальный кортеж с музыкою и молодыми людьми в национальных костюмах направился, вопреки протесту полиции, кружным путем по главным улицам города к назначенному для погребения месту, где тело предано было земле после краткой речи грузинского поэта и присяжного надгробного оратора Церетели..." („საისტორიო მოამბე", ტ.III, თბ., 1947, გვ. 514).

ეს წერილი ორიგინალში მომყავს, რათა თარგმანში არ დაიკარგოს ის ირონიულ-ქედმაღალი ინტონაცია, რომლითაც მეფის მოხელე ლაპარაკობს უდიდეს ქართველ პოეტზე.

აკაკი, ცხადია, იმთავითვე გრძნობდა, რომ დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა მხოლოდ გზიდან ჩამოცილება კი არ იყო გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ერთგვარი გამოწვევაც იყო და დაშინებაც ხელისუფლების მხრიდან.

საპირისპირო რამ მრხდა და XIX ს. 80-იანი წლების დასასრულს, აკაკის შემოქმედებამ ნათლად ასახა ქართული საზოგადოების ზნეობრივი რეაქცია ამ გამოწვევაზე.

დიმიტრი ყიფიანის მკვლელობიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ, აკაკი წერს და შემდგომ უკვე „ივერიაში" აქვეყნებს ლექსს „ქართველები სპარსეთში" („ძველი ამბავი"), რომელშიც აღწერილია სტავროპოლში მომხდარი ტრაგედიის ფინალური აქტი:

ამ დროს გაიღო კარები,
მის წინა წარსდგა სკვითელი!
და მირონ-ცხებულ მოხუცსა
მტრულად შეახო მან ხელი....
და ა.შ.

(გურგენიძე, გორგაძე 1989: 208)

სხვა პრეტი, ანდა, შესაძლოა, თვითონ აკაკიც (ოღონდ სიყმაწვილის ჟამს), ალბათ ამ გამოძახილით დაკმაყოფილდე-

ბოდა და თავის მოქალაქეობრივ ვალს შესრულებულად ჩათვლიდა.

თითქმის ხუთი წელი დასჭირდა აკაკის იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოეხატა თავისი მიმართება დიმიტრი ყიფიანისადმი, მისი ღვაწლისა და მოწამებრივად დასრულებული ცხოვრებისადმი:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა;
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს...

მაგრამ ცხადია, რომ აკაკისათვის დიმიტრი ყიფიანის გახსენება იმავდროულად თავის მისიაზე და ბედზე ფიქრებაც იყო: „განთიადით“ აკაკიმ რაღაც იშვიათი მხატვრული მირაჟი შექმნა – უხილავად თვითონ ამოუდგა გვერდით დიმიტრი ყიფიანის ლანდს და მისი დაწყებული მონოლოგი სრულიად ბუნებრივად განაგრძო:

მგოსანი გრძნობამორეული
თვალს აყლებს არემარესა
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა:

ავტორის ბოლო თხოვნაც „განთიადში“ ხომ აშკარად ამუღავნებს აკაკის გულისწადილს:

„დედა-შვილობამ, ბედს არ გთხოვ;
შენს მიწას მიმაბარეო!..
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

რამდენჯერაც არ უნდა გადაეიკითხოთ აკაკის ეს ლექსი, ალბათ ყოველთვის ჩაეკითხებით ჩვენს თავს – რა ხვეგარდმო ძალამ დააბატინა აკაკის ეს სურათი, საქართველოს სიმბოლოდ რომ იქცა:

„ცა-ფირუზს, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ალბათ, თუკი გეჯერა იმ ზეგარდმო ძალის, კიდევ ამიტომაც გეჯერა...

„განთიადის“ საეტაპო მნიშვნელობას ქართული ლირიკის ისტორიაში ხაზგასმით აღნიშნავდა გიორგი აბზიანიძე აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ თავის მონოგრაფიაში (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი გახლდათ აკაკის ბიოგრაფიის უბადლო მცოდნე და პოეტის თხზულებათა აკადემიური 15-ტომეულის მთავარი რედაქტორი):

„განთიადი“ ახალი ქართული ლირიკული პოეზიის გვირგვინია. მასში დახატულია კონკრეტული პირიენება, ქართველი ერისათვის წამებული

„ურჩი რაინდი“ დიმიტრი ყიფიანი, რომლის ნეშტი ქართველმა ხალხმა მიაბარა თავის პოეტურ პარნასს – მთაწმინდას. მაგრამ ლექსის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა, რამდენადაც პოეტი მასში განახოგადებს ქართველი ხალხის გაუტეხელ ნებისყოფას თავისუფლების ძიების გზაზე“ (აბზიანიძე 1960: 59).

„განთიადით“ დასრულდა ერთი, განსაკუთრებულად ნაყოფიერი პერიოდის აკაკის შემოქმედებისა – 1880 წელს „დროებაში“ „აკადმეობის“ გამოქვეყნებით რომ დაიწყო.

სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა მისი „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ“ და „ღამურა“ – თაობათა მეხსიერებიდან წარუხოცელი განაჩენით:

კრულია მისი ხსენება
ვინც დაჰგმობს დედა-ენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მაღლა ფრენასა...

(წერეთელი 1950: 21)

ამავე წლებით აღინიშნება აკაკის თეატრალური მოღვაწეობის ყველაზე მჩქეფარე პერიოდი: ქართული დასის ხელმძღვანელობა, 1880 წლის სექტემბერში კი მისივე „კუდურ-ხანუმის“ პრემიერა.

მომდევნო წელს აკაკი გოგოლის „რევიზორს“ დგამს და ბრწყინვალე ანსამბლს უყრის თავს: ვასო აბაშიძეს, კოტე უფიანს, ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვას... თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე სუსტი ამ სპექტაკლში – „ფოჩტმეისტერი იყოო“ – ალექსანდრე ყაზბეგი.

„აკაკი და თეატრი“ – ცალკე თემაა და ხატოვან ენაზე თუ გადავალთ, შეგვიძლია ეთქვათ, რომ „პოეზიამ აკაკი სცენას მოსტაცა“. მართლაც, ეტყობა, პოეტური ნიჭი რომ არა, აკაკი სწორედ თეატრალურ კარიერას აირჩევდა. შაბოლოოდ, იგი „კომპრომისის“ გზას დაადგა და ქართულ თეატრს „დიდძალი ხარკი“ გადაუხადა, როგორც ი'შვიათად ნაყოფიერმა დრამატურგმა, და უფრო მოკრძალებული კი – როგორც რეჟისორმა და მსახიობმა.

ანა ნიკოლაძის სტატიაში – „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“ (რომელიც თბილისის უნივერსიტეტის მიერ აკაკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულშია გამოქვეყნებული) ერთი ნიშანდობლივი დეტალია აღნიშნული: „როდესაც ქართული მუდმივი თეტრის დაარსების 10 წლის იუბილე გადაიხადეს 1889 წელს, გამოფენილი იყო მხოლოდ სამი დრამატურგის სურათი. ესენი იყვნენ: გიორგი ერისთაუი, რაფიელ ერისთაუი და აკაკი წერეთელი“. აქვე ვეცნობით აკაკის „სამსახიობო კარიერასაც“: „აკაკი არა მარტო თეატრის ერთი პირველი ორგანიზატორთაგანია 60-70-იან წლებში. იგი გატაცებული აქტიორიცაა. როდესაც პირველად 1862 წელს აკაკის ინიციატივით, ქუთაისში დაიწყო წარმოდგენების გამართვა, მათში ახალგაზრდა პოეტიც ღებულობს მონაწილეობას. აკაკი წერეთელი, როგორც მსახიობი, მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე 1868 წ. ქუთაისში რაფიელ ერისთაუისა და მისი თაოსნობით დაარსებულ სცენის მოყვარულთა წრის წარმოდგენებში“ (აკაკი 1940: 336).

80-იან წლებში, მრავალ სხვა საზოგადო და ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, აკაკი მონაწილეობს „ეეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. შედეგი ამ მუშაობისა გახლდათ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა რუსთაველის პოემისა. ქართველ მეცნიერს თითქოს საგანგებოდ ეწა-

და, რათა ამ წიგნის ნახვისას, აკაკის გახსენებოდა რამდენიმე წლის წინ მწარედ ნათქვამი: „აბა მიჩვენეთ ერთი მაგალითი, რომ მდიდარ ქართველს რაიმე სასახელო საქმე ექნასო?“

1904 წელს, როდესაც აკაკის პირველად დაეცა დამბლა, ქართველობამ თითქოს ერთბაშად აღმოაჩინა, რომ ეს ოლიმპიური გარეგნობის მოხუცი უკვდავი არ არის და რომ მის ღვაწლსა და ამაგს სათანადო დაფასება სჭირდება. მაგრამ ამასობაში 1905 წელიც დადგა და ქვეყანა აირია.

„თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ კავკასიაზე და აქაურ ამბებზე, – წერდა აკაკი ცოლ-შვილს, – რომ დღემდე თქვენთან ვერ ჩამოვსულვარ და რომ ასეთი ტერორის დროს წერილები თქვენამდე ვერ აღწევს, გასაკვირველი არაფერია. არ არის დღე, რომ სიკვდილს არ ველოდე. ჩვენი ნაცნობებიდან ნახევარი ამოხოცილია ბარბაროსულად. ხოცავს ყველა პარტია და გარდა ამისა პროფესიული ყაჩაღებიც – ისინი საშინლად მომრაყლდნენ და დაუსჯელად მოქმედებენ. ჯერჯერობით მე ღმერთი მწყალობს და ეს სასწაულია!“ (წერეთელი 1966: 126).

იმავე, 1905 წლის სექტემბერში ცოლ-შვილისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი დამამშვიდებელი ფრაზა: „მთავარი ის არის, რომ მე არავის საქმეში არ ვერევი და ვარ ჩემთვის“, – ნამდვილად არ შეეყერებოდა სინამდვილეს. გავიხსენოთ აკაკის ცნობილი „ძირს“ – აშკარა მოწოდება ბარიკადებისაკენ:

ძირს, მთავრობავ უსამართლო!
„ველარ ვიტანთ გასაჭირსო“, –
ყოველი მხრივ გეძახიან:
„ძირს მთავრობავ!.. აწ-კი ძირსო!“

(წერეთელი 1954: 164)

ეს მეამბოხური პათოსი რაღაც არ ესადაგება განწყობას იმ კაცისა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ესოდენ გონიერულად უხსნიდა ცოლ-შვილს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

როგორც მოგახსენეთ, აკაკის ცხოვრება და შემოქმედება ამგვარი ამოუხსნელი პარადოქსებითაა აღსავსე.

იმავე, 1905 წელს, აკაკიმ პირველად იმოგზაურა ევროპაში: შვეიცარია და საფრანგეთი მოინახულა. როდესაც 1909 წლის ზაფხულში იგი პარიზში მეორედ ჩამოვიდა, ფრანგი ჟურნალისტების ჯგუფმა კამპანია წამოიწყო აკაკისათვის ნობელის პრემიის მისანიჭებლად.

პარიზში აკაკი თავის ცოლ-შვილთან ცხოვრობდა. ალექსის, რომელსაც ინერციით, ბავშვობისას შერქმეულ მეტსახელს – „ლოლიას“ ეძახდნენ, აქ საგასტროლოდ საოპერო დასი ჰყავდა ჩამოყვანილი პეტერბურგიდან. საერთოდ, როგორც ეტყობა, ანტრეპრენიორობას იგი თავის მოწოდებად თელიდა (აქ, უთუოდ, პარიზში სერჟ დიაგილევის მიერ ორგანიზებული „რუსული სეზონების“ წარმატებამაც შეასრულა თავისი როლი) და ლიტერატურასთან (მით უმეტეს, ქართულ) ცოტა რამ აკავშირებდა...

თვით აკაკი ამ დროისათვის უკვე ჯანგატეხილი ჩანს, შთაგონებასაც უჩივის... „ის აღარა ვარ რაც ვიყავ, – შესჩივლებს მოგზაურობიდან გამოგზავნილ წერილში თავის ერთგულ მეგობარს იაკობ გოგებაშვილს, – გუშინ დავამთავრე პოემა „ვორონცოვი“ და შევატყვე თავს, რომ ძალიან შორს ჩამოვგორებულვარ თავდაღმართში...“

ეს უკმარისობის განცდა, ცხოვრებისაგან დაღლა და უიმედობა აკაკიმ ლექსადაც გამოთქვა:

გული გამიტყდა ამ სიბერის დროს,
რომ ვერ მოვესწარ, რასაც ველოდი.
მსოფლიურ ზრახვებს და ჩემს გულისთქმას
მალე დაფარავს საფლავის ლოდი.

(წერეთელი 1954: 280)

კიდევ ერთი მწარე იმდროინდელი გამონათქვამი აკაკისა, ცოლისათვის მიწერილი: „არ არის იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა სიბერის წლებში“.

ამ საერთო, დამთრგუნავ ფონზე, აკაკისათვის უთუოდ დიდი შვება უნდა ყოფილიყო 1908 წელს მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს აღნიშვნა – ჯერ თბილისში, სასეიმო პარაკლისით სიონში, შემდეგ - საოპერო თეატრში, სადაც სავანელმა გლეხებმა აკაკის მისივე აკვანი მიართვეს... ჯერი „საქართველოსა და სამაისო“ ქუთაისზე მიდგა, სადაც ყმაწვილკაცები ეტლში შეებნენ და ისე მიიყვანეს თეატრში მხცოვანი პოეტი.

XX საუკუნის ათიანი წლებიდან აკაკის სახელი საქართველოს ფარგლებს გასცდა: ერთნი მას ქართველ პუშკინს უწოდებენ, მეორენი – ქართველ შევჩენკოს, მესამენი – ქართველ ბერანჟეს... „სულიკოს“ უკვე შორეულ ქვეყნებშიც მღერიან. ეს სიმღერა ერთგვარი ჰიმნის მოვალეობას ასრულებს და

ბედნიერების გრძნობით აესებს გულს იმ ჭაღაროსანი პოეტისა, თავის დროზე რომ დაწერა:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა...

(წერეთელი 1950ა: 303)

აკაკის, უთუოდ, მაშინაც განსაკუთრებით გაუთბა გული, როდესაც იანვრის ერთ ყინვიან დღეს, პეტერბურგიდან მოსკოვში ჩასულმა, ნახა აქაური გაზეთი „Утро России“ მეტყველი სათაურით – „Некоронованный король Грузии в Москве“.

და მაინც, თანამედროვეთ რადაც განსაკუთრებულად ჩარჩენიათ მეხსიერებაში აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც საერთო-სახალხო ზეიმში გადაიზარდა. ყველგან, სადაც კი ჩადიოდა აკაკი, მას ყვაელილოვანი თაღები და ასობით თაყვანისმცემელი ხვდებოდა... (საბედნიეროდ, ეს მოგზაურობა, რომელიც 1912 წლის 21 იელისიდან 2 აგვისტომდე გაგრძელდა, ფირზე აღბეჭდა პირველმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა ვასილ ამაშუკელმა და ჩვენ დღესაც შეგვიძლია ეს უნიკალური კადრები ვიხილოთ).

სპოცარი, პაოეტიკური, მაგრამ გულის სიღრმიდან წამოსული სიტყვები ჩაესმოდა პოეტს: „ქართველი ერი, კერძოდ კი რაჭა, დღეს თქვენ გაჯილდოვებთ ღრმა და გულწრფელი სიყვარულით. ბუნება კი უკვდავებით. საუკუნები გაჰყვებიან საუკუნეებს, თქვენ კი ყველა თაობაში ახლად და ახლად აღმოცენდებით“.

ამაზე უფრო მრავალრიცხოვანი აუდიტორია აკაკიმ უკვე მხოლოდ თავის დაკრძალვაზე შეკრიბა 1915 წლის 9 თებერვალს: ასი ათასი კაცი მიაცილებდა თავის სათაყვანებელ პოეტს მთაწმინდისაკენ... გზად, ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, სახელდახელო სამგლოვიარო მიტინგზე გამოსათხოვარი სიტყვა მხცოვანმა ნიკო ნიკოლაძემ წარმოსთქვა.

ყოველივე დანარჩენი, მთაწმინდის კალთაზე სასოებით ატანილი, ერთადერთი გვირგვინის წარწერაში იყო ნათქვამი – „აკაკის – საქართველო“!

თავის უკანასკნელ ლექსში აკაკი განგებას მიმართავდა:

..... მაგრამ ეს შენთვის ერთია:
ცოცხალი ვიყო გინდ მკვდარი,

აღარ აენთვის აწ სხეისგან
ჩემი ჩამქრალი ლამპარი?!

(წერეთელი 1960: 255

ეს უმართებულო საყვედური იყო, რადგან სწორედ იმ ჩაუქმრალმა ლამპარმა მიიყვანა იგი მთაწმინდაზე და იმავე ლამპრის შუქზე ეკითხულობთ ჩვენ დღეს აკაკის უკვდავ სტრიქონებს.

დამოწმებანი:

წერეთელი 1950: წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმედ ტომად, ტომი I, თბ, სახელგამი, 1950
წერეთელი 1950ა: თხზულებანი..., ტომი II, თბ, სახელგამი, 1950
წერეთელი 1954: თხზულებანი..., ტომი III, თბ., სახელგამი, 1954
წერეთელი 1960: აკაკი წერეთელი, ასი ლექსი, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1960
აკაკი 1940: აკაკი წერეთელი (საიუბილეო კრებული), თსუ-ს გამოცემა, თბ., 1940
მოგონებები 1990: მოგონებები აკაკიზე, გამ-ბა „საქართველო“, 1990
აბზიანიძე 1960: აბზიანიძე გიორგი, აკაკი წერეთელი, თბ., გამ-ბა „საბჭოთა მწერალი“, 1960
წერეთელი,1966: წერეთელი, აკაკი, წერილები ცოლ-შვილთან, თბ., გამ-ბა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966

ლიბერალიზმის ეპოქის კიდევ ერთი დიდი წარმომადგენლის – ნიკო ნიკოლაძის სახელს საქართველოში განსკუთრებული მოწიწებით წარმოსთქვამენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სწორედ ნიკო ნიკოლაძესთან, – მის ნაწერებში, მის ნააზრევში, მის პრაქტიკულ საქმიანობაში ვპოულობთ ჩვენ პასუხს დღევანდელობის ყველაზე სასიცოცხლო კითხვებზე.

ნიკო ნიკოლაძის კრედოს საქართველისადმი მიმართული მისი ერთი პათეტიკური აღსარება წარმოგვისახავს: „...მე დამიყვარია მთელი ევროპა და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ყოფილვარ, ერთი საგანი მჭონია... შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“.

ნიკო ნიკოლაძემ (უნდა ითქვას, არანაკლებრივი პიროვნული ხიბლის წყალობითაც) ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ მისი „ერთი ნამცეცა ქვეყანა“ და „ყველასაგან უცნობი ხალხი“ (ეს მისივე გამოთქმებია) ღირსეულად წარედგინა რუსეთის იმპერიაშიც და იმდროინდელ ევროპაშიც. მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიწერ-მოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან და ემილ ზოლასთან, ლუი ბლანთან და ემილ ჟირარდენთან, ჟან ჟორესთან და პოლ ლაფარგთან. სხვათა შორის, ამ უკანასკნელის სიმამრმა – კარლ მარქსმა ნიკოლაძეს შესთავაზა პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო ამიერკავკასიაში, რასაც დელიკატური უარი მიიღო.

ნიკო ნიკოლაძის უშრეტი ენერგია არ ცნობდა არანაირ საზღვრებს: ჟენევაში, 1868 წელს გამოცემული მისი სადიპლომო ნაშრომი (მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ) – „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ დღესაც კი ინტერესს იწვევს; ჟენევაშივე, 1873 წელს, მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „ულელი“; პარიზში, 1875 წელს, ნიკოლაძემ ფრანგულსავე

ენაზე გამოსცა წიგნი – „დეკადენტური პრესა, უცხოელი ჟურნალისტის დაკვირვებანი“, რომელსაც ლუი ბლანი ასე გამოეხმაურა: „თქვენი წიგნი იმ წიგნთაგანია, ყოველმა ფრანგმა ჟურნალისტმა რომ უნდა წაიკითხოს და კარგს იზამს, თუ მას ჩაუფიქრდება“.

ევროპაში ნიკო ნიკოლაძე განაგრძობდა თანამშრომლობას რუს რადიკალებთან, რომელთა იდეებითაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობისას მოიხიბლა პეტერბურგში – როგორც იმდროინდელი რუსული რადიკალური ახალთაობის კერპის – ნიკოლოზ ჩერნიშევსკის უმცროსი მეგობარი და ჟურნალ „სოვრემენიკის“-ის ახალი ავტორი. სიმბოლურია, რომ სწორედ ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი გამოსცა ნიკოლაძემ 1868 წელს, ხოლო შემდგომ, უკვე 80-იან წლებში, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ დეენილი მოაზროვნის გადასახლებიდან დაბრუნებაში.

ნიკო ნიკოლაძის დამოუკიდებლობა იმდროინდელი ახალთაობის მეორე კერპთან – გერცენთან ემიგრანტულ „კოლოკოლ“-ში 22 წლის ქართველი პუბლიცისტის გასმაურებული გამოჩენით დაიწყო (ეს იყო 1865 წელს გამოქვეყნებული მისი სტატია – „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“) და ერთი წლის შემდეგ განხეთქილებით დამთავრდა, რადგან ნიკო ნიკოლაძემ გაბედა გაეკრიტიკებინა გერცენის ერთი, ფრიად საპოლიტიკური ნაბიჯი.

საზოგადოდ, ნიკო ნიკოლაძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, – „რომანი რუსეთთან“ საკმაოდ დრამატულად წარიმართა.

„ობზორ“-ის რედაქტორობისათვის სტავროპოლში არცთუ ხანგრძლივი გადასახლება 1880 წელს პიროვნული თვალსაზრისით, იღბლიანი აღმოჩნდა ნიკო ნიკოლაძისათვის: აქ ჩამოაკითხა მას ოლღა გურამიშვილმა, იმ წარმტაცმა ქალიშვილმა, რომელიც შვიდი წლის წინ ნიკომ მშობლებისაგან დაუკითხავად სასწაელებლად წაიყვანა შვეიცარიაში ოავის და-ძმასთან ერთად.

გარეშე თვალით ნიკო ნიკოლაძე ერთ მომხიბველელ ქალს ეთხოვებოდა და მეორეს თხოულობდა. სტავროპოლში ყოფნისას იგი ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად განქორწინებული თავის პირველ ცოლთან ბოგუშილა (ბოტია) ზემიანსკაიასთან – ქუთაისში ჩასახლებულ პოლონელთა ოჯახის ულამაზეს ასულთან (მოგეხსენებათ, იმ დროს ცოლ-ქმრის გაყრა ძნელი საქმე იყო და საეკლესიო სინოდის საგანგებო ნებართვას საჭიროებდა).

ნიკოლაძეთა ოჯახის მთელმა შემდგომმა ბიოგრაფიამ ცხადყო, რომ ოლღა გურამიშვილში ნიკომ არა მხოლოდ თაედადებული მეუღლე და შვილების დედა, არამედ ჭეშმარიტი მეგობარი და თანამოაზრე ჰპოვა.

ნიკოლაძეთა კერის მშენებლა მათივე შვილები იყვნენ: პირმშო – რუსუდანი, თვალსაჩინო მეცნიერი და პედაგოგი, ქართველ ქიმიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი, მამის მემკვიდრეობის მოპატრონე და შესანიშნავ მოგონებათა ავტორი; გიორგი ნიკოლაძე – სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, ქართული მათემატიკური სკოლის, მეტალურგიის, სპორტული მოძრაობის სულისჩამდგმელი, სულიერი და ფიზიკური სრულყოფის ანტიკურ იდეალს მიმსგავსებული, დაბოლოს – იშვიათი ქალური და ადამიანური ხიბლით დაჯილდოებული თამარი, – ჩინებული ფიზიოლოგი, უფროსი ძმის ერთგული თანამდგომი ყველა მის საზოგადოებრივსა თუ სპორტულ წამოწყებაში.

ნიკოლაძეთა ოჯახს რუსუდანმა მიხეილ პოლიევქტოვი დაუკავშირა, – შესანიშნავი ისტორიკოსი, არქეოგრაფი, ხოლო თამარი ცოლად გაჰყვა მაშინ ახალგაზრდა მათემატიკოსს, შემდგომ კი საყოველთაოდ ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს. გიორგის ცოლი პარიზელ ქართველთაგან ჰყავდა – ჟორჟეტა ღამბაშიძე, – კეთილშობილი ოჯახური და ადამიანური ტრადიციებისა და თვისებების გამაერთიანებელი...

ნიკოლაძეთა კერა, თავდაპირველად, ქუთაისში იყო, ნიკოს მამის – იაკობის სახლში, მდინარე რაიონის პირას; შემდგომში, 1887 წლიდან ამ კერამ სოფელ დიდ ჯიხაიშში გადაინაცვლა, მერე ქალაქ ფოთში და საბოლოოდ თბილისში – თბილისელთათვის კარგად ნაცნობ სახლში გაზაფხულის (აწ გალაკტიონ ტაბიძის) ქუჩაზე.

დიდ ჯიხაიშში, თავის დედულეთში, ლორთქიფანიძეთა ნასახლარზე, ნიკო ნიკოლაძემ ევროპული დონის, საჭვენებელი მეურნეობა გამართა: საქართველოში პირველად ჩამოტანილი კარაქის სადღეებს რძის სეპარატორითა და იმდროინდელი ტექნიკის სხვა სიახლეებით. აქვე გააშენა მან ეგზოტიკური მცენარეებით სავსე შესანიშნავი ბაღი... დღეს, იმერელი და გურული კაცი აივნიდან ტრიფოლიატით შემოსრბილ თაეის ეზოს რომ გადახედავს, შესაძლოა არც იცოდეს, რომ ეს ტროფოლიატი (რომელსაც თავის დროზე „ნიკოლაძის ეკალს“ ეძახდნენ), ბევრ სხვა ეგზოტიკურ მცენარესთან ერთად, საქართველოში სწორედ ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა.

მაგრამ ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობა დიდ ჯიხაიშში მხოლოდ მისი სანიმუშო მეურნეობის მოწყობა-დამშვენებით არ შემოფარგლულა: მისი დაჟინებით გაიხსნა რკინიგზის სადგური სოფელ იანეთში, რაც ასე უადვილებდა გადაადგილებას იქვე მცხოვრებ ჯიხაიშელებს; მისივე თაოსნობით სოფელში დაარსდა სკოლა, გაიხსნა საფოსტო განყოფილება, საექიმო ამბულატორია და აფთიაქი.

ნიკო ნიკოლაძის პრაქტიკულ საქმიანობაზე მონოგრაფიებია დაწერილი: მან ყველაფერი გააკეთა, რათა ჭაბუკური ოცნებებისა და უტოპიების სანაცვლოდ (თუ სახსოვრად) განეხორციელებინა ის კონკრეტული ჩანაფიქრები, რომელნიც მის მშობელ ქვეყანას გაუადვილებდა გზას ღირსეული და თავისუფალი არსებობისაკენ.

აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა უნდა ვახსენოთ ნიკო ნიკოლაძის ოცწლიანი ქალაქისთავეობა (ანუ მერობა) ფოთში.

ალექსანდრე დიუმამ (უფროსმა), კავკასიაში მოგზაურობის აღწერისას, ფოთი მოიხსენია, როგორც ერთი მიერუებული, დაჭაობებულ ადგილზე თავმოყრილი ქოხმახებისაგან შემდგარი დასახლება – ბნელი და ატალახებული ქუჩებით. დიუმას ჩანაწერი 1858 წლით თარიღდება. ერთი საინტერესო თანხვედრა: სწორედ ამ დროს ფოთში ნეგოციანტ იაკობ ნიკოლაძის (რომელსაც ამ ქალაქში თავისი საეჭვო სახელი აქვს გახსნილი) მალარიით გაწამებული 15 წლის ვაჟი, ნიკო ღმერთს ევედრება, რომ ახლა გადაარჩინოს და ცხოვრებაში აღარ გაეკარება ამ ავადგასასხენებელ ქალაქს.

მაგრამ განგებამ სხვანაირად ინება. 1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს. ამ დროისათვის ხაქართველოში მას უკვე ჰქონდა მოხვეჭილი სახელი, როგორც ევროპული ორიენტაციის პრაგმატულ მოღვაწეს და პრინციპულ პუბლიცისტს, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

ისე რომ, ქალაქის მერის თანამდებობაზე შედგომისას, ნიკო ნიკოლაძე უკვე გათვითცნობიერებული იყო იმ პრობლემათა უმეტესობაში, რომლებიც მას ფოთში დახვდა.

თანამშრომლებთან ურთიერთობისას ნიკოლაძეს თავისი კრედო ჰქონდა, რომელიც მან ასე ჩამოაყალიბა: „ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტაოდნავ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არც ერთს თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, სარწმუნებრივი თუ

ნაციონალური მიდრეკილება. ყველასაგან ეთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოდ“.

ოცი წლის განმავლობაში ნიკო ნიკოლაძემ მოახერხა, პატარა, დაჭაობებული დაბა თანამედროვე საპორტო ქალაქად გადაექცია: მისი თაოსნობით ფოთის გარშემო აშენდა დამცავი ჯებირი, რომელიც სათანადო სადრენაჟო სისტემასთან ერთად ქალაქს რიონის ადიდებისას მოვარდნილი წყლისაგან იცავდა; აშენდა რამდენიმე ხიდი; ქვით მოიკირწყლა ქალაქის ქუჩები, რომლებზეც ახლა უკვე „კონკა“ დადიოდა; გაიყვანეს ტელეფონის ქსელი, ხოლო ახლადაშენებული ელექტროსადგურის სიმძლავრე ქალაქსაც ყოფნიდა და პორტსაც. კიდევ რომელი ერთი სიახლე უნდა დავასახელოთ: დიდებული ეკლესია (აწ აღდგენილი); კაპიტალური შენობები სასწავლებლებისათვის; რკინიგზის სადგური; ელევატორი. ფოთშივე, ნიკოლაძის ინიციატივით, ქართულ სინამდვილეში პირველად დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები, რომელთა შემოსავალი ქალაქის კეთილმოწყობას ხმარდებოდა (არაა გასაკვირი, რომ ნიკოლაძის მერობისას ფოთის ბიუჯეტი ათმაგად გაიზარდა). დაბოლოს, უმთავრესი – თავად პორტის რეკონსტრუქცია, რომლის დროსაც პირველად საქართველოში გამოყენებული იყო ბეტონი და რომელმაც ფოთი შაიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზღვაო კარიბჭედ აქცია.

ნიკო ნიკოლაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ტყიბულის ქვანახშირის საბადოს (რომლის ერთი ნაწილის მფლობელიც გახდა 1873 წლიდან) განვითარებაში – ერთი მთავარი პრობლემა აქ უგზოობა იყო, რაც უპერსპექტივოს ხდიდა მთელ ამ წამოწყებას. მაგრამ, აი, 1881 წელს ქუთაისის ქალაქის საბჭო ტყიბულში გასაყვანი რკინიგზის რწმუნებულად (ახლა იტყოდნენ – ლობისტად) ნიკოლაძეს ირჩევს და 1887 წლის ბოლოს ეს რკინიგზა უკვე ამოქმედდა. ორი წლის შემდეგ დაარსდა საზოგადოება „ნახშირი“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნიკო ნიკოლაძე გახლდათ.

ნიკოლაძის პრაქტიკული ინტერესები დაუკავშირდნენ კიდევ ერთ საბადოს, ამჯერად – მარგანეცისას, ქალაქ ჭიათურაში (უნდა ითქვას, რომ ამ საბადოს აღმოჩენასა და ათვისებაში დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი – აკაკი წერეთელს).

აქაც, ჭიათურის შემთხვევაშიც, უმთავრეს პრობლემად რკინიგზის გაყვანა იქცა და კვლავ ნიკო ნიკოლაძის დაუოკებელმა ენერგიამ და ენთუზიაზმმა გაიტანა თავისი: 1891

წელს ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის მშენებლობის პროექტს იმპერატორმა ხელი მოაწერა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, რკინიგზის ეს შტო მწყობრში ჩადგა (რკინიგზასთან დაკავშირებით: თანამედროვე ქართულში ისეთი სიტყვები, მაგალითად, როგორიცაა „ლიანდაგი“ ან „ორთქმავალი“ სწორედ ნიკო ნიკოლაძემ შემოიტანა).

კიდევ ერთი პრაქტიკული ინიციატივა ნიკო ნიკოლაძისა ბაქოდან ბათუმში რეგულარულ ნავთობგადაზიდვებსა და ამისათვის აუცილებელი წიფის გვირაბის (რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფ სურამის ქედს ქვეშ უნდა გაევლებინათ) პრობლემებს უკავშირდებოდა: 1883 წელს პეტერბურგის გაზეთ „ნოვოე ვრემიაში“ გამოქვეყნდა ნიკო ნიკოლაძის მიერ ბაქოდან ბათუმში ნავთობგადაზიდვის დეტალურად დამუშავებული პროგრამა, რომელიც იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ საქმეში ჯერ როტშილდთა ფინანსური სახლი ჩაერთო, მერე თავად სახელმწიფოც დაინტერესდა ამ პროექტით და, შედეგად, 1886 წელს წიფის გვირაბი გაიხსნა კიდეც.

შესაძლოა იმიტომაც, რომ ქუთაისელი დიდვაჭრის შვილი იყო, ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ განვითარებულ მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის რეალური დამოუკიდებლებისათვის აუცილებელი იყო ცივილიზებული ვაჭრობა და იმდროინდელი ქართველობის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, სრულიად არ მიაჩნდა საქმიანობის ეს სფერო. მას სათაკილოდ და სამარცხვინოდ ესახებოდა მტაცებლური მეთოდები, რაც ქარდველ ვაჭართა ახალთაობას აღარ უნდა გამოეყენებინა. მიტომაც, აღვილი ასახსნელია ნიკო ნიკოლაძის შეკითხვის სარკასტული ტონი: „ეხლა მიბრძანეთ, რატომ არ იცის ჩვენმა ახალგაზრდობამ, რომ ეს ვაჭრობა კი არა, ღმერთმა იცის, რაა?“

სოციალური პროგრესი, ნოკო ნიკოლაძის რწმენით, მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ ევოლუციური გზით მიიღწევა. ჯერ კიდევ 1866 წელს უენევაში გამოცემული მისი ბროშურა – „მთავრობა და ახალი თაობა“ მკითხველს უსაბუთებდა, რომ რევოლუციის, ტერორისა და ძალდატანების გზით თუნდაც საძულველი ხელისუფლების ჩამოგდება ქვეყანას სისხლიან მორევში ჩაითრევდა. (რაც გამართლდა კიდეც). ამიტომაც ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის კრიტიკულად უყურებდა ანარქისტებისა თუ სოციალ-დემოკრატების საქმიანობას, (მიუხედავად იმისა, რომ რუსული სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი – აკაკი (კაკი) წერეთელი, მისი დისშვილი გახლდათ), ხოლო ქართველი სოც-

იალ-დემოკრატები „თავადაზნაურულ პროლეტარიატად“ მონათლა ამ პარტიის სოციალური წარმომავლობისადმი მიძღვნილ ერთ გონებამახვილურ წერილში.

ნიკო ნიკოლაძის სოციალური იმედების მეტი ნაწილი ერობის შემოღებასთან იყო დაკავშირებული. მას სურდა, ქართულ სინამდვილეში ისევე დანერგილიყო ეს სოციალური ინსტიტუტი, როგორც ქართულ ენაში დაინერგა მის მიერ შემოტანილი ტერმინი ერობა (რუსული „Земество“-ს ანალოგიით). მაგრამ ერობის ნაცვლად ჩვენში ჯერ 1905 წლის შფოთი შემოვიდა, მას მერე კი განუწყვეტელი მოლოდინი, მომავალი ისტორიული გარდატეხისა. ამ მოლოდინმა თავისებურად ნიკო ნიკოლაძეც აიტაცა და 1913 წელს გამოცემული მისი ნაშრომი „ჩემ პოლიტიკაზე“ არა მარტო თავის მართლებაა ფოთში შეძენილი მტრების მოსაგერიებლად, არამედ ერთგვარი შინაგანი შემზადებაც მოსალოდნელი განსაცდელის წინაშე.

ვინ იცოდა უკეთ თავის თვისტომთა ზეატაცებული ხასიათი, თუ არა ნიკო ნიკოლაძემ. ამიტომაც წინასწარ აფრთხილებდა: „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევაო“.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ პირველი პუბლიკაციიდან, ხელახალი აქტუალობა შეიძინა ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთმა ყველაზე მძაფრმა პუბლიცისტურმა წერილმა „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 22, 24 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნდა.

(შენიშვნა: „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ სრული სახით დღეს მხოლოდ დიდ ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში შეგიძლიათ იხილოთ. ბიბლიოთეკებში გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის კომპლექტებიდან ამოღებულია ან მთლიანად აღნიშნული ნომრები, ან სტატიის ყველაზე „ანტიბოლშევიკური“ ნაწილი (მაგალითად, ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში). თუ გავითვალისწინებთ, რა წყობა დამყარდა საქართველოში ნიკოლაძისეული სტატიის გამოქვეყნებიდან სამიოდე წლის შემდეგ, და რა საშიშ სამხილად აღიქმებოდა იქ წარმოდგენილი ტექსტი, დიდი ქართველი სამოციანელის გულშემატკივართაგან, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისინი ყველანაირად ეცადნენ, მალულად გაექროთ „გაზეთის ფურცლებში შეფუთული“ ეს „დამოკლეს მახვილი“).

გაზეთი „საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო გახლდათ და ნიკო ნიკოლაძის (როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის) იმჟამინდელი პუბლიცისტიკის

უმეტესი ნაწილი, რომელშიც დამოუკიდებელი საქართველოს და მის მეზობელ თუ შორეულ მტერ-მოყვარეთა პოლიტიკური გეზი იყო თვალმიდევნებული, სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა.

„საქართველოს“ რედაქციაში ნიკო ნიკოლაძის ვიზიტების შემსწრე გერონტი ქიქოძე იგონებდა, რომ „ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალიეით იჭრებოდა... რედაქციის ოთახში, რუკას მიეარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას“.

ამჯერად, სამშობლოს თავისუფლების წყურვილმა დიდ ქართველ „სამოციანელს“ სასურველი რეალობად წარმოუსახა და საქართველოს დამოუკიდებლობის მყისვე აღდგენა რუსეთის სახელმწიფოს, მისი რწმენით, გარდაუვალ კრახს დაუკავშირა.

პარადოქსია, რომ „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ ეკუთვნის კალამს იმ მწერლისა, რომლის მოღვაწეობაც დიდწილად რუსულ-ქართულ ლიტერატურულ სამყაროთა შემაერთებელ ხიდად აღიქმებოდა, რომელსაც არაერთი საყვედური მოუსმენია უცხოეთში (რუსეთის ჩათვლით) მრავალწლიანი მოღვაწეობის გამო და რომელსაც თავის მართლებაც კი დასჭირდა ამ „შეცოდებისათვის“: „მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, – რომელნიც ჰფიქრობენ, რომ შენთვის (აქ, ცხადია, საქართველოა ნაგულისხმევი – ზ.ა.) სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით...“ („სალამი“, 1876 წ.).

ის სიმწარე, ის გამეტება, რომლითაც ნიკო ნიკოლაძე „რუსულ ფენომენზე“ ლაპარაკობს, აპოკალიფსური მასშტაბის ტრაგედიით თვალახელილი ადამიანის შეძრწუნებაა. ეტერბურგის უნივერსიტეტის ზეატაცებულ სტუდენტს (მისი „60-იანი წლების მოგონებები“ გავიხსენოთ), რუსული მწერლებისა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალების მოტრფიალეს, ვერ წარმოედგინა, რომ ტოლსტოისა და დოსტოევსკის ქვეყანა გადაიქცეოდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი მასიური კატაკლიზმის ასპარეზად. მაგრამ ძველი ილუზიებისაგან თავისუფალ ნიკოლაძისეულ „პოლიტიკურ თვალსაწიერს“ ახალი ილუზია დაბინდავს – ილუზია იმისა, რომ რუსეთი უკვე დაიშალა, სულს ღაფავს და საქართველოს

ველარას აუნებს. ნიკო ნიკოლაძემ მალე იწვნია ამ „გაცოცხლებული გველეშაპის“ სუსხიანი სუნთქვა.

საქართველოს „გასაბჭოების“ შემდეგ, თავის შვიდწლიან ნებაყოფლობით „შინაპატიმრობაში“ იგი უთუოდ ფიქრობდა, რა ხშირად აღიქვამენ ადამიანები სასურველს – რეალობად და რა მწარე შედეგები მოაქვს „მხედველობის“ ამგვარ დეფექტს. ცხადია, ასევე მწარედ გამოეცდებოდა იგი იმ ილუზიასაც, რომ ოდესმე იარსებებს ქვეყანა, რომელსაც „გონიერი მწერლობა წინამძღვრობს“ და იმ მითსაც „ქართველთა უმარცხებლობის“ თაობაზე, რომლის სასწაულმოქმედ ძალაშიც ესოდენი პათოსით არწმუნებდა თავის თავსაც და თავის თანამემამულეებსაც.

არც კი მეგულება ერთი საუკუნის წინ დაწერილი პუბლიცისტური წერილი, ასეთი ინტერესით რომ იკითხებოდეს და ასეთი ჭკუის სასწაელებელი რომ იყოს დღეს, როგორც ნიკო ნიკოლაძის „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“. დიახ, ჭკუის სასწაელებელი – თავისი ისტორიზმის განცდითაც, თავისი ეროვნული ღირსების მამკვიდრებელი სულითაც, თავისი მწარე წვდომებითაც, თავისი აზროვნების მასშტაბითაც, მაგრამ, ვაი რომ – თავისი „უკვდავი“ ილუზიებითაც...

როდესაც დამოუკიდებლობის მიღწევება უკვე რეალური შეიქმნა, მაგრამ არანაკლებ რეალურად გამოიკვეთა ისიც, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, საქართველოს ბათუმ-ახალციხის ოლქების დაკარგვა ემუქრებოდა, ნიკო ნიკოლაძემ 1918 წლის აპრილ-მაისში თურქეთის მხარესთან საზავო მოლაპარაკებებში მიიღო მონაწილეობა. იქვე, ბათუმშივე შეადგინა მან ზ.ავალიშვილთან, ნ.ჟორდანიასთან, აკ. ჩხენკელთან და პ.სურგულაძესთან ერთად დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. მისმა „პიროვნულმა წვლილმა დიდად განაპირობა მოყვლენათა შემდგომი მსვლელობა: ისიც, რომ გერმანია საქართველოს იმუამინდელი საზღვრების გარანტი გახდა და ისიც, რომ ეროვნულმა საბჭომ იმავე წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადა.

დღეს ვერავინ გეტყვით, რომ დამთავრდებოდა ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია, ნიკო ნიკოლაძეს რომ არ მიეღო მასში მონაწილეობა, დარჩებოდა თუ არა ბათუმ-ახალციხე საქართველოს ფარგლებში, ან როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი, მის სათავეში ნოე ჟორდანიას ნაცვლად ნიკო ნიკოლაძე რომ მდგარიყო...

ნიკო ნიკოლაძის ისტორიული ღვაწლის სრულყოფილად წარმოსახვისათვის ერთი ციტატის მოხმობა მინდა 1913 წელს გაზეთ „კლდეში“ (ეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გახლდათ) გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მომრაელებული მტრების გამოხდომებისაგან იცავდა: „ნიკოლაძე და რუსეთში ნასწავლი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა ტიპები, ორი ანტიპოდია. ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტეხნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკი და საქმიანი. ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღსრდილია რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სხოლასტიკით გაჟღენთილი... აშკარაა, რომ ნიკოლაძე და ჩვენი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა პოლუსზე დგანან, ცხოვრებას სხვადასხვა პრიზმით უცქერენ და ერთმანეთის პოლიტიკას გმობენ. ამან გამოიწვია ანტაგონიზმი ნიკოლაძისადმი, მისი დევნა და ქირდევა“.

ეფიქრობ, ლიბერალიზმის ეპოქის დიდი ქართველი მოღვაწის თანამოაზრეთა ეს დახასიათება, ერთი უმთავრესი შტრიხით აგვირგვინებს მის პორტრეტს.

ვაჟა-ფშაველა

1922 წელს, შვიდი წლის შემდეგ ვაჟას გარდაცვალებიდან, პაოლო იაშვილი წერდა: „... გულშემზარავი იყო ბედი ვაჟა-ფშაველისი. ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი პოეტური სტიქია არ ახსოვს საქართველოს. ვაჟამ პირველმა მისცა იმედი ქართულ სიტყვას. მას ჰქონდა ღმერთების ენა და ჰომეროსის ნოყიერება. მაგრამ არწივად წოდებული საქართველოში დადიოდა, როგორც „ჩხიკვი ზაქარა“, თვალმოხუული, ყველის სუნით გაუღენთილი, დაკონკილ ჩოხით, ფრჩხილებში მიწა გამოგლესილი, ნარმის საცელებში, დასული სოფლის მეწარმლმანის ვაჭრობამდის, მიუღებელი, უგეირგეინო. ის ჭლექით დააკვდა სააყადმყოფოს ლოგინს, ისე, ვით უბინაო და ქუჩის მაოხოვარი“ (იაშვილი 2004: 255).

ჩვენ იშვიათად ვიხსენებთ ამ სიტყვებს - იმიტომაც, რომ მათში მწარე საყვედური ულერს, იმიტომაც, რომ სიმართლის მოსმენა არ გვიყვარს და კიდევ იმიტომ, რომ საკუთარი პრობლემებით დაღლილნი, ვცდილობთ არ ვიფიქროთ სხვის ტკივილსა და გაჭირვებაზე - არც ამდღევანდელზე და არც ასი წლის წინანდელზე...

და მაინც, ვაჟა შეგვახსენებს ხოლმე თავს, შეგვახსენებს, როდესაც ერთადერთი მწვანე ტოტით სიცოცხლეს ჩაჭიდებულ ხეს ან ქუჩაში მოძუგძუგე სამფეხა ძაღლს, ერთი წამით, მისი თვალით შევხედავთ და გაგვახსენდება მისგანვე შთანერგილი აზრი, რომ ჩვენგან დასახიჩრებული ბუნება იმ სულიერი სიმახინჯისა და იმ დაუნდობლობის ანარეკლია, რომელიც, თუ მიუშვით, გაუსაძლისს გახდის ცხოვრებას ამ ქვეყანაზე.

ბუნების პირისპირ ამპარტავნად მდგარ ადამიანს ვაჟამ მუხლი მოადრეკინა ამ მარადიული სასწაულის წინაშე და პირიქით, ცხოვრებისაგან თუ ხელისუფალთაგან დაჯაბნილსა და დაჩოქილ თვისტომს ხელი შეაშველა, ფეხზე წამოაყენა, ღირსების გრძნობა და მომავლის რწმენა შთაუნერგა.

იგი თვითონ იყო ამ ბუნების ღვიძლი შვილი, მის კალთაში გაზრდილი და რძესთან ერთად თავისუფლების გემოს ნაჩვევი...

ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც შემდგომში ვაჟა-ფშაველას სახელით გახდა ცნობილი, 1861 წლის 14 იულისს დაიბადა სოფელ ჩარგალში, ფშავში, პაულე და გულქან რაზიკაშვილების ოჯახში. „დედა ჩემი იყო ივერელი ქალი, სოფელ სხლოვანიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლობენ დღესაც მისი ნათესავნი, - წერს ვაჟა თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი წუთისოფელი“ და განაგრძობს, - სათემო გვარი ფხიკელაშვილებისა არის გაბიდაური. ღვიძლი ბიძა დედაჩემისა პარახკევა პირველი მოლექსე იყო ფშაველში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე „ლექსობს“. საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია... წერა-კითხვა არც დედა-ჩემმა იცოდა, თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი ხყო, შესანიშნაო მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედა-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩაეიდა საფლაჲში, რომ ერთს არაეის ახსოვს იმას გაეჯავრებინოს...“ (ვაჟა-ფშაველა 1961ე: 434).

ახლა ვაჟასავე თვალით დანახული პორტრეტი მამამისისა, პაულე რაზიკაშვილის: „მე როცა მამა-ჩემი ეიცანი მამად, მაშინ იგი მთაყარ დიაკვანად იყო სოფ. მაღაროსკარში, ს' ჩარგალზე რეა ვერსზე დაშორებით. როცა კი შინ იმყოფებოდა, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი საღმრთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწაელიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისთვის საკეპლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ეუგდებდი ყურს იმის ტკბილ საუბარს...“ (ვაჟა-ფშაველა 1961ე: 436).

პაულე და გულქან რაზიკაშვილები 1890 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალნენ. წესის ასაგებად შეკრებილმა შვილებმა გადაწყვიტეს, რომ უფროსი ძმა - გიორგი თიანეთში დაბრუნდებოდა, სადაც იგი ექექილობდა; მომდევნო - ვაჟა ჩარგალში რჩებოდა; ნიკო (შემდგომში ბაჩანას სახელით ცნობილი), ფშავიდან გაცლას ამჯობინებდა, რადგან თავისი წაწალი ჰყავდა ცოლად შერთული და თემის ადათის დამრღვევად ითვლებოდა; ამიტომაც, იმხანად ხევსურეთში, ბარისახოში მასწაელებლობდა; მასწაელებლობდა აგრეთვე თედოც - ხელთუბანში, გორის მახლობლად; ამათი უმცროსი ძმა - სანდრო, ჯერ კიდევ სწაელობდა და უფროსი ძმები ინაწილებდნენ სწაელის ხარჯებს.

რაზიკაშვილებს ჰყავდათ უფროსი დაც - მართა, ყვარელში გათხოვილი.

ნიკო და თედო რაზიკაშვილებმა, როგორც მოგეხსენებათ, მწერლობას მიჰყვეს ხელი და თავდაპირველად ვაჟას მეტოქეობას არა მარტო თიბეაში, ნიშანში სროლასა და ჭიდაობაში უწევდნენ. თერამეტი წლის ბაჩანამ ვაჟა‘ზე ადრე გაითქვა სახელი მშვენიერი ლექსით - „მუხას“, მაგრამ ამ ნაადრევმა პოპულარობამ მას დათეური სამსახური გაუწია - ბოლომდე მეტოქედ თვლიდა ვაჟას.

რაზიკაშვილთა ახლო მეგობრის, ივანე ბუქურაულის თქმით, ბაჩანა ლეარძლიანი და დამცინავი იყო, ამასთანავე ფხუკიანიც, ხუმრობას ვერ იტანდაო. ძმები ხშირად კამათობდნენ ლიტერატურის გარშემო. ეს არცაა გასაკვირი. გასაკვირი უფრო ისაა, მით უმეტეს, ქართული ტრადიციის გათვალისწინებით, რომ ლიტერატურულმა პაექრობამ ვაჟასა და ბაჩანას შორის პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა.

რაზიკაშვილთა ოჯახში ძმებს შორის ურთიერთობებს, როგორც ეტყობა, მაინც უფრო ვაჟა წარმართავდა. ვაჟას დისშვილი, მიხა რაზიკაშვილი იგონებდა, რომ როდესაც ბიძამისს „საზოგადოებაში“ ლექსის თქმას სთხოვდნენ, ჯერ ბაჩანას „მუხას“ იტყოდა და შემდეგ თავის „არწივსო“ (ცუბანეიშვილი 1937: 272).

მოდით, ერთი წამით თხრობა შევწყვიტოთ და ჩვენც გავიხსენოთ „არწივი“ - ჩვენი სიყმაწვილის უცილობელი თანამგზავრი: ასზე მეტი წელი გავიდა ამ ლექსის დაწერიდან. ღოდესაც მას სკოლაში ვსწავლობდით და ვიზეპირებდით (ჩემს თაობას ეგულისხმობ), უკვე დრო-ჟამით დანისლული და ისტორიის საკუთრებად ქცეული ქეყნის სიმბოლოდ აღვიქვამდით ვაჟას არწივს და მხოლოდ დღეს, მართლაც „ფრთამოტეხილი და გულისპირს სისხლმოცხებული“ ქეყანა რომ შეგვერჩა, თვალი აგვეხილა, - თ'ერმე როგორ ჰგავს ერთმანეთს ჩვენი და ვაჟას გულისწადილი:

არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ეელარა დგებოდა.

ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გ'ულისპირს სისხლი სცხებოდა.

ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდაეთ სელადა,
თორო ენახავდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა!

(ვაჟა-ფშაველა1961ა: 60)

ისე მგონია, ამ „ყვაე-ყორნების ველად გაფანტული ბუმბულის" ნახვის იმედი კაცს თუ არა აქვს, მის ქართველობას ის ერთი ფერმენტი აკლია, საუკუნეობით რომ განასხვაებდა ქართულ ეროვნულ ხასიათს.

„არწივი" 1887 წლითაა დათარიღებული. 26 წლის ვაჟა იმ დროს სოფელ დიდ თონეთში მასწავლებლობდა მანგლისის მახლობლად და ეს წარუმატებელი მასწავლებლობა მისი პირველი და უკანასკნელი სამსახური იყო. მთელი დანარჩენი ცხოვრება მან უბრალო ფშაველი გლეხკაცის ცხოვრებით იცხოვრა.

მასწავლებლობის უფლებას ვაჟას აძლევდა გორის საოსტატო სემინარიის დიპლომი. აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვაებით თელავის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის ორკლასიანი სამოქალაქო სასწავლებლისაგან, სადაც მანამდე მოუწია სწავლამ, გორის საოსტატო სემინარიას უჭირა განსაკუთრებული სითბოთი იგონებდა.

სწორედ გორში სწავლისას (ეს 1879-1882 წლებია) გამოიკვეთა ვაჟას პიროვნული იერიცა და მისი ლიტერატურული ინტერესებიც: აქ დაუმეგობრდა იგი შიო მღვიმელს, ნიკო ლეონიძეს (მამას გიორგი ლეონიძისა), ლადო აღნიაშვილს. გორში იმხანად ხალხოსნური წრე ყალიბდებოდა - სოფრომ მგალობლიშვილი, მიშო ყიფიანი - მფარველი და საყვარელი მასწავლებელი ვაჟასი.

ვაჟას განსაკუთრებით მფარველობდა აგრეთვე სემინარიის დირექტორი დიმიტრი სემიონოვი. სწორედ მან უთხრა ალექსანდრე ხახანაშვილს, შემდგომში ცნობილ ლიტერატორს, ყმაწვილი ვაჟას წარდგენისას: „Запомните! Это высшая поэтическая натура!" (ყუბანეიშვილი 1937: 111).

სემიონოვისსავე ხელშეწყობით გამოდიოდა სემინარიაში ხელნაწერი ჟურნალი - „რიყრაჟი". ბაჩანამ, რომელიც ამავე სემინარიაში სწავლობდა, საგულდაგულოდ გადაწერა „რიყრაჟის" ათი ეგზემპლიარი. ერთი ეგზემპლიარი აქედან მოწაფეებმა ილიას გაუგზავნეს, ერთი კიდევ - სერგი მესხს გაზეთ „დროებაში".

ვაჟას ყმაწვილური დებიუტი „რიყრაჟში" - ჯერ კიდევ გაუბედაო კალმით ნაწერი ლექსი „ყარსის ბრძოლა" მაინც არ დარჩ-

ესილა ყურადღების გარეშე - ჟურნალმა „იმედმა“ გამოაქვეყნა 1881 წელს. ამ დროისათვის ვაჟას ამაგე ურნალში კიდევ ორიოდე ლექსი აქვს გამოქვეყნებული, ხოლო გაზეთ „დროებაში“ - რამდენიმე კორესპონდენცია ფშავ-ხევსურეთიდან.

ვაჟასთან გორში დამეგობრებულ ალექსანდრე გარსევანიშვილს ასე დამახასოვრებია თავისი ფშაველი ამხანაგი: „რამდენადაც მე შევამჩნიე, ლუკა რაზიკაშვილი მეტად მგრძნობიარე პიროვნება იყო. სულიერი განცდა ხშირად ეცვლებოდა. ხან იყო მეტად მხიარული და საუბრის მოყვარე, ხან სულ ოცნებობდა და ასეთ დროს ლაპარაკიც ერიდებოდა, ხან ბრძოლას ნატრულობდა და ყველიერში კრივშიც მონაწილეობას იღებდა. ამხანაგებს ხან ღმობიერად ექცეოდა, ხან დაცინვაც იცოდა“ (ყუბანეიშვილი 1937: 128).

ლუკა რაზიკაშვილის სიყმაწვილისდროინდელი ლექსები იმყამინდელი ქართული პოეზიის ჩვეულ კალაპოტს მიჰყვებიან:

როდის იქნება, შეევიკრიბოთ, ძმანო, ერთადა
და დავაყვიროთ კიდით-კიდეს მკვნესი ნაღარა,
მის ტკბილსა სმაზედ მხიარულად, გიჟმაჟურადა,
თავისუფლადა ვთამაშობდეთ აღმარ-დაღმარა?!
(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 419)

ეს პირველი სტროფია ჟურნალ „იმედში“ 1882 წელს გამოქვეყნებული ვაჟას ლექსისა „როდის იქნება“.

გადის რამდენიმე წელი და რაღაც ნათელხილვის წამს ვაჟა მიხვდება: ის, რისი თქმაც მას უნდა, ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხული ლექსების ენით არ ითქმის, სხვაგვარად უნდა ითქვას, აკვანში რომ ჩაესმოდა ფანდურზე ნამღერი ლექსები, სწორედ იმ ენით, იმ ინტონაციით, იმ ხმოვანებით უნდა ამეტყველდეს... მაშინ მისი „ცვალებადი ხასიათიც“ უკეთ გამჟღავნდება და მისი ჩაგუბებული განცდებიც უფრო იოლად გამოითქმის:

თუ მამკლავ, ისევ შენ მამკლავ,
ქალავ, თავდახრით მცინარო,
დღეს ჩემის პირის მკოცნელო,
ხვალ სხვისთვის ძუძუს მწინარო.
წყეული იყოს ღვთისაგან
ის დღე, როდესაც ვნახეო

შენი ფოფინა თვალები
და მოელვარე სახეო!..

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 51)

„ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, - წერდა ვაჟა თავის დაუმთავრებელ ავტობიოგრაფიულ ნარკვევში, - მაგრამ რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად, გაუბედაობა, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ყველა ვინც მიყვარდა იმანაც არ იცოდა; მე კი თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავი იქ, საცა ჩემი „სატრფო“ მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დაემტკბარიყავი მისი ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი ჩემს სატრფოს,... ვიდრე არ დაევაჟკაცდი და იმისა, ვინც მიყვარდა, ცოლად შერთვა არ განეიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე...“ (ვაჟა-ფშაველა 1961ე: 439).

ის, ვისი ცოლად შერთვაც განიზრახა და სიყვარული გამოუცხადა 25 წლის ვაჟამ, ეკატერინე ნებიერიძე გახლდათ - უკანონო შვილი თავად ოთარ ამილახვარისა, ადრე გათხოვილი და ადრევე დაქვრივებული. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია კეკესათვის, როგორც მას შინაურები ეძახდნენ, ბავშვიყოთ ხალისიანი და გულღია დარჩენილიყო. ტანადაც პატარა ყოფილა და ვაჟას ძმები, რომლებასაც კეკე ძალზედ უყვარდათ, ხელში აყვანილს თოჯინასავით ათამაშებდნენ თურმე.

კეკე ვაჟამ ამილახვრების ოჯახში გაიცნო, ოთარაშენში, გორის მახლობლად. დაქვრივებული კეკე აქ მიბრუნდა, რადგან სხვა პატრონი არ ჰყავდა. კაცმა რომ თქვას, ვაჟაც უსახსრობამ მიიყვანა ამილახვრების ოჯახში შინამასწავლებლად. ახლადაბრუნებული იყო პეტერბურგიდან, სადაც უნივერსიტეტში სწავლის ხარჯებს ვერ გასწვდა და ეტყობა, სწორედ ამილახვრებთან ერთგვარი შესვენების დროს აპირებდა სამომავლო გზის არჩევას.

განგების ნებით, ერთი მთავარი არჩევანი მას სწორედ ამ ოჯახში ელოდა. მთელი შემდგომი თხუთმეტი წლის განმავლობაში კეკეს ხალისი და სითბო შეჰქონდა ჩარგალში გამომწყვდეული „რაზიკაანთ დევის“ არცთუ იოლ ცხოვრებაში.

ვაჟა არ მიეკუთვნებოდა მამაკაცის იმ ტიპს, რომელსაც გული არ შეეკუმშება ლამაზი ქალის დანახვისას. პირიქით, ადვილად ააღებადი და ეტყობა, ზოგჯერ ძნელი მოსათოკიც

ყოფილა. ისე რომ, კეკეს უთუოდ გაუქრებოდა ხოლმე მისთვის ჩვეული მხიარული გამომეტყველება, როდესაც ხატობაზე ან დღეობაში (წირვა-ლოცვაზე ვაჟა არ დადიოდა) ქმრის მრაელი-სმეტყველ მზერას გააყოლებდა თვალს, ანდა შუბლშეჭმუხვნილი კითხულობდა მის გრძნობამოძალებულ სტრიქონებს და ვერ დაედგინა, მისდამი იყო მიძღვნილი ეს ლექსი, თუ ფარული მოქიშპე ჰყავდა და მეტი სიფხიზლე მართებდა:

შენმა სურვილმა დამლია,
შენ'ხე ფიქრმა და სევდამა,
შორს წასელამ, ხ'შირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამა;
მაოცებს შენი გამზრდელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამა...

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 92)

ეს ლექსი, „სიყვარული" 1891 წელსაა დაწერილი. ვაჟა ამ დროს ოცდაათი წლისაა: სისხამ დილით, მხარზე ცელგადებული მიდის. იგი კურდღელაანო-სულის გორაზე – სათიბავად, ხოლო ღამ-ღამობით, ჭრაქის შუქზე პატარა საწერ მაგიდას უბრუნდება, სადაც განგების მადლიანი ხელი ატარებს მის კალამს.

სწორედ ამ კალმით გაკვალულ გზას მიყადეყნოთ თვალი.

როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა ქვეყანაში, რომელიც სიყალბეზე და ძალმომრეობაზეა აგებული; როგორ უნდა იცხოვროს, რომ სულში სიკეთისა და თანაგრძნობის ნაპერწკალი შეინარჩუნოს; როგორ უნდა იცხოვროს, რომ წაქცეულის მიშველიებისას თვითონაც არ წაიქცეს; რომ სისუსტის წამს, ძლიერთა ბანაკს არ მიეკედლოს მათ მიტაცებულ ნადაყლს დახარბებული; როგორ უნდა იცხოვროს, რომ შთამომავალთ არ რცხვენოდეთ მისი სახელის და შორიდან არ უვლიდნენ მის საფლავს? - ამ კითხვებითაა დასერილი ვაჟას „ჩემი ვედრება".

მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის თემებისა და პრობლემების პოლიფონიაში სულ უფრო და უფრო მკვეთრად გაისმოდა ეს მარადიული კითხვები. კითხვები, რომელთათვისაც პასუხის გაცემას თვით ცხოვრება მოითხოვდა ადამიანისაგან, ხოლო ეს ადამიანი, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო ხშირად ხელოვნებას, პოეტს აპყრობდა მზერას.

ამ კითხვებზე დაფიქრებისას, პოეტი უკვე ველარაფის მიმართავდა დასახმარებლად. მხოლოდ ღმერთი თუ იქნებოდა მისი შემწე. ეგების, სწორედ ამიტომ, ვაჟა-ფშაველას ეს ლექსი სწორედ ღმერთისადმი მიმართვის ფორმითაა დაწერილი.

„ჩემი ვედრება“ აერთიანებს ვაჟას პიროვნულ და შემოქმედებით იდეალს; მისი კონცეფცია აქ მნიშვნელოვანწილად იმეორებს ილიასა და აკაკის მოქალაქეობრივ მიმართებას, მაგრამ, ამასთანავე, არის ერთი, წმინდა ვაჟასეული შტრიხი „ჩემ ვედრებაში“, რომელიც ესოდენ განსხვავებულ ელფერს აძლევს მის პროგრამულ ლექსს: ეს გახლავთ საგანგებოდ ხაზგასმული (შესაძლოა, ილიასა და აკაკის კონცეფციასთან რამდენადმე შინაგანად დაპირისპირებულიც კი) პოზიცია „უჩინარი“ და „თავმოდრეკილი“ შემოქმედისა.

პროგრამულ ლექსში ვაჟამ არ ისურვა ერის მოძღვარის პიედესტალზე მდგარიყო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პიედესტალი უკვე დაკავებული იყო; სხვათა შორის, ვგონებ, არც იმიტომ, რომ არანაირი ამბიცია არ გააჩნდა (ასე რომ იყოს, უფრო მარტივი სურათი იქნებოდა). ვაჟამ თავისსავე შინაგან ბუნებასთან მისადაგებული გზა აირჩია: სწორედ აქედან მოდის „ჩემი ვედრების“ თავმოდრეკა, „ბალახად ყოფნის“ სურვილი. რელიგიის რანგში აყვანილი ეს უპრეტენზიო რწმენა, ხელოვნებისათვის (და მოყვასისათვის) უჩინრად მსახურების მოწოდება იშვიათ და სამუდამოდ დასამახსოვრებელ ელფერს აძლევს ამ უსევადო სატევარივით სადა, მაგრამ ჟანგმიუკარებელ სტრიქონებს:

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდამ
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ეფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,

ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი,
. . . . . .

(ვაჟა-ფშაველა 1961ა:110)

ეს, ერთი იმ ლექსთაგანი, ჭრაქის შუქზე რომ იწერებოდა ფშაური ღამის სიჩუმეში, რომელშიც მხოლოდ ვაჟას მძინარე ცოლ-შვილის მშვიდი სუნთქვა მოისმოდა და დროდადრო, შორიდან - ტოტია-მგლის გაბმული ყმუილი...

ეს ყმუილი თუ დაუფრთხობდა ძილს რომელიმე ბავშვთაგანს, გასუსული რომ იწვა და ჭრელი საბნის ქვეშიდან ცნობისმოყვარე თვალს არ აცილებდა პოეტ მამას.

ვაჟას უფროსი ქალიშვილი, თამარი იგონებდა: „ერთ ღამეს გვიანობამდე არ დამეძინა. ჩუმად ვადევნებდი თვალყურს მამაჩემის წერას. ცხედავდი: ადგებოდა, ხან ერთ კედელს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. მიმოდიოდა ოთახში: მიეიდოდა, დასწერდა, კვლავ გაიელ-გამოიელიდა. ხან ფანდურს ჩამოიღებდა კედლიდან, დაუკრავდა და დაამღერებდა:

თაეის პატრონი ენაცვალოს,
თაეის თვალყეითელ ციცასა...

(რაზიკაშვილი 1961: 69)

გვიან ღამით, როდესაც უკვე ცნობისმოყვარე თამარიც კარგა ხნის ჩაძინებული იყო, ხოლო თვალყვითელა ციცა-კატა ჩოჩხონია დამბალი საჭოთი გამასპინძლებული, ვაჟა საწოლს მიაშურებდა.

„მამას საწოლზე დათვის ტყავი იყო გადაფარებული, - იგონებდა თამარი, - დათვის ტყავზე ნაბდის ქუჩა უფინა. ქუჩაზე ვეფხვის ტყავი ეხატა. საწოლის თავთან კედელზე მიკრული იყო ირმის და ჯიხვის რქები. აგრეთვე არწივის მხრები, ბრჭყალები ეკიდა. იქვე, კედელზე ჩამოკიდებული იყო ფარ-ხმალი, ორი თოფი: ერთი ბერდანკა და ერთიც აინალი. კედელზე ეკიდა დიდი ფანდური“ (რაზიკაშვილი 1961: 68).

ქეკეს, ვაჟას ცოლის, პატარა ტახტი, ფშაური ადათის მიხედვით, ცალკე უნდა მდგარიყო და იყო კიდეც მოპირდაპირე კედელთან მიდგმული.

დილით, როცა მზის პირველი სხივი დაეცემოდა იქლიანთა გორას, ვაჟა პირზე წყალს შეისხამდა, თაფლისფერ წვერზე გადაისვამდა ხელს და გახედავდა ჩარგლულას ხეობას, სამების მთას და სარაყდრის გორს - რამდენჯერ ჩასძინებია მის კალთაზე ხევსურეთიდან მობრუნებულს... მერე, ჩაფიქრებული, თავისთვის ჩაიდუდუნებდა:

მთას ეუცქერ ყელ-მოღერებულს,
მთელის სმელეთის მფლობელსა,
თვის დღეში ცრემლ-დარდ უნახველს,
არვისთვის არრის მთხოვნელსა...

იმეორებს ვაჟა ამ ლექსს და „ამჟამინდელი სედვის სიამე“ მომავალზე ფიქრით ეწამლება - „რით დასრულდება სიტურფე სიცოცხლის, მთისა, ბარისა?“ - მერე, თითქოს გაურბის "ამ კითხვას, თავისსავე თავს უბრუნდება, თავის მრწამსსა და მიზანს:

ოღონდ მე ჩემი წადილი
და მღელვარება გულისა
ვასრულო, აზრს ვემსახურო,
ერთგული ვიყო რჯულისა:
ვაქებო, რაცა მწადიან,
რაც მიყვარს, რაცა მწყურისა...

(ვაჟა-ფშაველა 1961: 169-170)

ეს ლექსი - „მთას ეუცქერ ყელმოღერებულს“ XIX საუკუნის მიწურულსაა დაწერილი – 1899 წელს. ვაჟა უკვე აღიარებული პოეტია და ამ აღიარებაში დიდი წვლილია ილია ჭავჭავაძისა.

იაკობ მანსვეტაშვილს ჩაუწერია „ივერიის“ რედაქციაში ვაჟას სტიქიური „ლიტერატურული საღამოს“ (თავის „მოხუცის ნათქვამს“ კითხულობდა თურმე) ილიასეული შეფასება: „ - არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვათ! გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ!“ (მანსვეტაშვილი 1936: 107).

არტურ ლაისტიც იგივეს წერდა თავის „საქართველოს გულში“: „... ილიას ჩემთვის უთქვამს: „ვაჟა-ფშაველა არის გენიალური ფიგურა და ყველაფრით განირჩევა თანამედროვე პოეტებისაგანო.“ (ლაისტი 1963: 76).

ამ დროისათვის ვაჟას უკვე დაწერილი აქვს „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“...

„შელის ნუკრის ნაამბობის“ და „ქუჩის“ გამოქვეყნებისთანავე თავისი ერთგული მკითხველი გაუჩნდა ვაჟას მოთხრობებსაც. იმ მოთხრობებს, ლექსებთან და პოემებთან ერთად ხურჯინით რომ ჩამოჰქონდა ჩარგლიდან თბილისში. აქ ან პირდაპირ „ივერიის“ რედაქციას მიაღგებოდა, ან იოსებ იმედაშვილს ააკითხავდა მთაწმინდაზე. საღამოს კი მლეთის ქუჩისაკენ გასწევდა, სადაც ჩვეულებრივ ჩერდებოდა ხოლმე თავის უმცროს ძმასთან - სანდროსთან.

იოსებ იმედაშვილი ასე აღწერდა ვაჟას იერს: „შუა ტანისაზე უფრო მაღალი, წელში აშოლტილი, სახე გამხდარი, უფრო ხმელი, ბოლო ხანებში ციმბირის წყლულით ცალთვალატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი. ხანდახან იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ სულის სიმშვიდეს მუდამ ინარჩუნებდა, არ ვიცი რათა, მაგრამ ვაჟას მიხრა-მოხრასა და ლაპარაკს რომ ეუკვირდებოდი, უნებლიეთ ზეზვა, ლუხუმი და სხვა მსგავსნი გმირნი წარმომიდგებოდნენ ხოლმე.

მეტად სადად იცვამდა, უბრალო, სოფლელი ფშაველი გლეხისაგან ვერ გაარჩევდით. მუქი ფერის მოშავო ან მოყავისფრო ჩოხა, შალის საკანჭეები, უყელო ჩუსტები, ტყავის ქამარი, გალიბანდის ქუდი. მოყვითალო ყაბალახი, - აი, მისი მორთულობა, განუშორებელი ნაბდითა და ხანჯლით.

თბილისში ჩამოსულისას, ყველზე მოგდებულ შაუდის ყაბალახში განუშორებლად ელაგა ღორის ლურთი, ხმიადის ღორის ქონიანი ნატეხი, სარედაქციოდ დაწერილი ლექსები, პოემები, წერილები და ლესინგის „ლაოკოონი“. (იმედაშვილი 1978: 209).

თბილისში ვაჟა მეტწილად შობა-ახალწლებზე და საახლგომოდ ჩამოდიოდა. ზოგჯერ, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამა თუ იმ მწერლის, მსახიობის იუბილეზე ან დაკრძალვაზე. დედაქალაქში მას თავისი წრე ჰყავდა მეგობარ-ამხანაგებისა: ივანე ბუქურაული, ნიკო კურდღელაშვილი, შიო მღვიმელი, იროდიონ ევდოშვილი... თავშეყრა ისეთ სარდაფში უყვარდათ, რომელსაც უფრო უბრალო ხალხი ეტანებოდა - მირიანაშვილისა მაგალ-

ითად, ან „ქოსებთან“. აქ, კახური ღვინით შემთბარნი, ხან ქალაქის ამბებს უყვებოდნენ ვაჟას, ხან კი, თუ ძალიან ჩააჯინდებოდნენ, თავის რომელსამე ახალ ლექსსაც წააკითხებდნენ:

სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა, რა სიტყვა? - ეული,
ტანჯულის გულის ნაცრემლი,
ვარმით ნაკვები, სნეული,
გულ-გაგმირული, ბეჩავი,
თავს მანდილ-ჩამოხეული!
ასე წვა-დაგვით გაზრდილმა,
რას ვიფიქრებდი, იხარა...
წვერს მარგალიტი მოისხა,
ტანი ზურმუხტით იფარა...

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 128)

ვაჟა ლექსის კითხვას რომ ჩაამთავრებდა და პირველი აღტაცება ჩაცხრებოდა, ერთ-ერთი მის მეგობართაგან, უთუოდ, კითხავდა ეშმაკური ღიმილით: „კაცო, შენ ის ვაჟა- ფშაველა არა ხარ, ამ ორი წლის წინ „ივერიის“ რედაქციას რომ მისწერეს „ - რა გააჭირეთ საქმე თქვენი ვაჟა-ფშაველათი, არ აჯობებს არტემ ახნაზაროვის ლექსები ბეჭდოთო?“

ახლა თვითონ ვაჟასაც ელიმებოდა ამ ანონიმიურ წერილზე, მაგრამ უკანასკნელ ხანს „ივერიის“ თანამშრომლებს რაღაც გულგაცივებას აშკარად ატყობდა: რამდენიმე შეთავაზებული ნაწარმოები არ გამოუქვეყნეს, გამოქვეყნებულში - ფული არ მისცეს... და, ამასთან ერთად, კიდევ საჯაროდ ჭკუას ასწავლიდნენ - პეტერბურგში სტუდენტური სალაროს ვალი რომ გადეცს, რატომ არ უბრუნებო?

იცოდნენ კი, რომ რედაქციებიდან აღებული ათი თუ თხუთმეტი მანეთი ნავთსა და მარილზე ძლივს ყოფნიდა, ცოლ-შვილი ჩაუცმელ-დაუხურავი დაუდიოდა, თვითონ, რაც ეს წყეული ციმბირის წყლული შეეყარა - ჩამოხმა, გვერდს იტკიებდა და ძველებური ჯანი აღარ მოსდევდა...

არაა გასაკვირი, რომ ასეთ გუნებაგანწყობილებაზე დაწერილი ლექსი - „ნუგეში მგოსნისა“ ვაჟას „ივერიის“ რედაქციაში აღარ მიუტანია, უურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა:

ენუგეშობ სწორედ სანუგეშოცა:
გულზე მედება ცეცხლის გენია,
ქვეყნის სარგოდა ფიქრით გამსჭვალულს
ავი მე არა ჩამიდენია;
ვინ რას გაიგებს, ან ვინ რა იცის,
რამდენჯერ ცხარე ცრემლი მდენია?!

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 129)

წყენა და გულისტკივილი აწერინებდა ვაჟას ამ სტრიქონებს. რამდენიმე კაცს ამაგს როგორ დაუვიწყებდა - ილიას, იოსებ იმედაშვილს, მარიამ დემურიას... მაგრამ სხვანი?.. იმ ცალი, სალი თვალით შეუნიშნავს: - როგორ აწრიალდებოდნენ ხოლმე მასთან შეხვედრისას, როგორ ცდილობდნენ ჩქარა გასცლოდნენ .ეშინოდათ მათთვის გული არ დაემძიმებინა.

ისეც მეგობარ მწერალს თუ შესჩიოდებს: „ქართული ლიტერატურა აბა როგორ უნდა განვითარდეს, როცა მწერლებს ლუკმა-პურის ძებნაში სული ამოსდით, ჩემი დღენია ვწერ და რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები, მაგრამ რა გამოვიდა, სული კბილით მიჭირავს. ჩემს ნივთიერ გაჭირვებას და შეცივროებას ბოლო არ უჩანს, ნავთი და მარილი რაა, ოჯახში თავისუფლად და გაბედვით ვერ შემომიტანია. მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვხუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ. ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც გეძნელებოდეს, ასეთ პირობებში ვის სცალია ლიტერატურის განვითარებაზე იფიქროს. ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომეპოვება, მაგრამ განა შემიძლია გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერი უმწეო მდგომარეობა, ჩემი ცოლ-შვილის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ყოველდღიურად ტანჯვა და ვაება. განა ვაჟა ასეთ რამეებზე უნდა ფიქრობდეს, ასეთ წვრილმან საქმეებში უნდა აბანდებდეს თავის თავისუფალ დროსა და მოცალეობას!“ (ალექსანდრე მიქაბერიძის მოგონებიდან).

საკუთარი სულმოკლეობის შეგრცხვება კაცს, ვაჟას ამ სიტყვებს რომ უსმენ. ამასთანავე, როცა იცი, როგორ ახერხებს „რაზიკაანი დევი“ მაინც ჩაიმუხლოს ლექსის საწერად. სძლიოს დაღლას, შიმშილს, სიცივეს, სიბნელეს და კვარი აანთოს, რათა ხელმოგონებით სულეთიდან გამოხმობილმა გმირებმა ადვილად მიაგნონ მის განათებულ სარკმელს...

ხანდახან, ძალზედ იმედგადაწურული რომ უყურებდა თავის თანამედროვეთ, ვაჟა იმასაც ფიქრობდა, რომ ეერანაირი სასწაული, - ვერც მითოლოგიური წარსულიდან გამოხმობილი რაინდები, „პიროფლიანები", როგორც მათ ფშაურში უწოდებდნენ, ვერც საკუთრივ მისი ჭირთათმენის მაგალითი, ეერ უშველიდა თავთავიანთ ნიჟარებში ჩამალულ ამ პატარა ადამიანებს, ვერ გააერთიანებდა, ეერც კაცური და ვერც ეროვნული ღირსების გრძნობას ვერ შთაუნერგავდა.

აკი წამოიწყებს კიდეც თავის სიმღერა-მოთქმას:

ბედს მომლოდინე უბედო დავრჩი,
გამწარდა ჩემი სიცოცხლე-ყოფა.

და უნუგეშოდ ასკვნის:

რა მიეუტანო ამბავი გმირთა?
რით ვანუგეშო სამშობლოს მცველნი?
ნუთუ ის ეუთხრა: ძლეული ვიქმენით,
საქაროველოზე ხარობენ მტერნი?!
ვაი, რა ცუდ დროს ჯანღი დაგვეცა,
ვაი, რა ცუდ დროს გაგვიტყდა გემი;
ვაი, რა ფუჭად გული ვაძგერე,
უკეალოდ რჩება ნავალი ჩემი!

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 156)

ამ, ბოლო სიტყვების, მე მგონი, თვითონ ვაჟასაც არ სჯერდა: შეიძლება იმიტომაც არ შეიტანა ეს ლექსი - „ბედს მომლოდინე უბედო დავრჩი" თავის თხზულებათა პირველ კრებულში, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1899 წლის დეკემბერში გამოსცა.

კარს იყო მომდგარი ახალი, მეოცე საუკუნე, ახალი, მომავლის იმედით თვალანთებული თაობა მოდიოდა და ვაჟა, რაღა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ სწორედ ამ თაობას სჭირდებოდა ახლა სხვაზე მეტად მისი შაქარქაშიანი ხანჯლით გამოთლილი სიტყვაც და მისი ქედმოუხრელი ცხოვრების მაგალითიც.

ახალ, 1900 წელს და ახალ, მეოცე საუკუნეს თბილისი სასეიმო პარაკლისითა და მთავარმმართებლის სასახლეში

გამართული მეჯლისით შეეგება. ჩარგალში, ახალი წელი, ცხადია, გაცილებით უფრო მოკრძალებით აღინიშნებოდა: პატარა ტაბლაზე ეწყო ხინკალი, ფრინველი, თევზი, ქადა, თხილი, პანტა, თქდოს გამოგზავნილი თაფლი, დამბალი ხაჭო და ხაიწი - ვაჟას საყვარელი კერძები, ვაჟასსავე გამოხდილი პანტის არაყი...

ტაბლას ოთხნი უსხდნენ: ვაჟა, კეკე და მათი უფროსი ქალ-ვაჟი - თამარი და ლევანი. უმცროსს - მარიამს უკვე ეძინა. ლევანს და თამარს ეამაყებოდათ, რომ საახალწლო სუფრასთან დასვეს და ცდილობდნენ არ ჩაეთვლიმათ. კეკეს ლამაზ სახეს დაღლილობა ემჩნეოდა - მთელი დღის ნაჯაფი იყო და ამასთანავე მეოთხე ბავშვზე ორსული.

ადათის გათვალისწინებით, რამდენიმე სადღეგრძელო შეისვა. კეკეს და ბავშვებს ქუთუთოები დაუმძიმდათ, სტუმარი მეზობელთაგან ჯერ არ ჩანდა. და ვაჟა თავის საფიქრალს მიეცა: „ამ ახალ-წლის დამდეგს ეს ფიქრი მოდის ძალა-უნებურად, რომ ყველამ მოინანიოს წარსულის წლის შეცოდებანი და ახალს წელს მივეგებნეთ ახლის ძალით, მხნეობით, გულ-წრფელად და ჩავიჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება: საცა ვცხოვრობთ, და რომლის ქვეყნის შვილებიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდოობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენის ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს...“ (ვაჟა-ფშაველა 1961ე: 409).

ეს ნაწყვეტი თავისი საახალწლო წერილიდან ვაჟას ზეპირად ასსოვდა და ფიქრობდა, რომ მომავალში ლევანს აუცილებლად წააკითხებდა თავის ჩანაწერებს...

კიდევ კარგი, ვაჟა ისე წაიდა ამ ქვეყნიდან, რომ არ მოს-წრებია მისი ვაჟიშვილის დახვრეტას 1923 წელს, ქაქუცა ჩოლ-ოყაშვილისა და მისი რაზმელების ხელშეწყობის ბრალდებით.

ვაჟას უმცროსი ქალიშვილი გულქანი, სწორედ იმ 1900 წელს დაბადებული, შემდგომში, უკვე ხანდაზმულობისას მოთქმით ყვებოდა: „არც ერთ ქვეყანას არა ჰყავო, იციან, ეგეთი ბუნების მგოსანიო. ჰოდა, ერთი ვაჟიშვილი ჰგვანდა და ისიც თავის ქვეყ-ანამ მოუკლა ვაჟასა, ისიც ქართველებმა...“ (რაზიკაშვილი 1991: 62).

კეკე გულქანის შემდგომ ფეხმძიმობას გადაჰყვა, - 1901 წლის მიწურულს. თივის ძნა მოუკიდებია ზურგზე და მუცელი მოშლია...

ვაჟა ამ დროს ყვარელში იყო დასთან და სიძესთან: იმედი ჰქონდა, რომ სანოვაგესა და ღვინოს წამოიღებდა საშობაოდ და ნათლობისათვის, თან მოინადირებდა რასმე... სწორედ ნადირობის დროს შეატყობინეს კეკეს ამბავი.

ცოლის დასაფლავებას ვაჟამ ვერ მოუსწრო და ეს დანაშაულის გრძნობაც ზედ ერთვოდა მის ელდას და ტკივილს, რამდენიმე სნის შემდეგ ცრემლნარევ სტრიქონებად გამოთქმულს:

იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიაო,
მაგრე მოხდენით, ლამაზო,
თავი რომ აგიღიაო!
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო;
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,
მოსველაში არა ყრიაო.
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,
განა სულ მუდამ მზეაო!
მიწავ შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ხნეაო.

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 202)

იდგა თავჩაქინდრული ვაჟა კეკეს ობოლ საფლავთან და ათასი რამე აგონდებოდა: როგორ გაბმით კიოდა კეკე, ოთარაშენიდან ჩარგალში რომ მოჰყავდა მაყრიონს და გზად ვაჟას ჩხუბი რომ შეემთხვა (მაშინ იყო, ვიღაცამ უწმაწურად წამოიწყო - „უჩიტელს მოჰყავს ქალიო...“); ახსენებდა მისი ხალისიანი სიცილი და მრავალისმეტყველი ამოხედვა... რაღაც, ძალზედ სუფთა და კარგი, ძალზედ სათუთი სამუდამოდ წაეცა მისი ცხოვრებიდან. ორმოცდაორი წლისა არც იყო და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ცხოვრება დამთავრდა და ეს ოთხი, საცოდავი ბავშვი რომ არა, ამ პატარა ბორცვთან თვითონაც სამუდამოდ მიიძინებდა...

ცხოვრება კი თავისას მოითხოვდა - სულ უფრო ჭირდა უდიასახლისო ოჯახის გაძღოლა.. დროდადრო მაღაროსკარიდან ბაჩანა ამოაკითხავდა - აი, მაშინ გენახათ ბავშვების სიხარული

- ანებიერებდა ობლებს; ხან რომელიმე მეზობელი დატრიალ-დებოდა სახლში. მაგრამ ერთხელ, კეკეს გარდაცვა-ლებიდან ორი წელი რომ იყო გასული, ვაჟა, თითქოს იმ ქვეყნიდან უჩინარი დასტური მიიღოო, სასაფლაოდან რაღაც განსხვავებული ნაბიჯით მობრუნდა და თავისი ცხენის - ნიკორის შეკაზმვას შეუდგა.

გეზი გუდამაყრისაკენ ეჭირა, სოფელ ხორხისაკენ. ერთი იქაური ახალგაზრდა ქალი ეგულებოდა, ქმართან უბრალ მყოფი - თამარ დიდებაშვილი და ახლა უნდოდა მამამისს მოლაპა-რაკებოდა. ბაჩანაც თან ახლდა. „დიდებათ გიორგის“ - თამარის მამას, გუდამაყრული სიჯიუტით რომ გამოირჩეოდა, არც ამჯერად უღალატნია თავისი თავისათვის: ფშაველებს რამე არ შეეშალოთ, აქედან ქალს არავის არ ვატან, თან ასეთ მეოჯახესო! მაგრამ ცოტა ჟიპიტაურმა ქნა თავის საქმე, ცოტა ბაჩანას დიპლომატიამ და, მოლაპარაკებისამებრ, მეორე ჩამოსვლაზე ფშაველმა სასიძომ ქალი თან გაიყოლა.

თამარი კი მართლაც კარგი მეოჯახე გამოდგა. ოღონდ, კეკესაგან განსხვავებით, უტეხი ხასიათისა იყო, ვერაკინ დაჯაბნიდა და დროდადრო ვაჟას ისეთივე საყვედურების მოსმენა უწევდა, როგორც მისი პოემის – „გველის-მჭამელის“ გმირს - მინდიას, თავისი ცოლისაგან.

ახლა, ალბათ, მართლაც დროა გავიხსენოთ ეს პოემა – „ვაჟა-ფშაველას ქმნილებათაგან ყველაზე მეტად ღრმა და მშვენიერი“; - როგორც გრიგოლ რობაქიძე წერდა, გავიხსენოთ, რა დაგვიხატა ისეთი ამ „განმჭვრეტმა მწყემსმა“ და „მკვდრეთით აღმდგარმა ძემ მითოლოგიური წარსულისა“; XX საუკუნის ზღურბლ'ზე, რომ მთელი საუკუნეა, სულგანაბულნი ჩავცქერით მის სიღრმეს და ბოლომდე ვერ ამოგვიხსნია მის ფსკერზე გამოსახული იდუმალი ქარაგმა...

დღეს, როდესაც ადამიანმა გარ'შემო მიმოიხედა, უეცრად აღმოაჩინა, რა უქნა გარე სამყაროს: როგორ გაჩეხა და ამობუგა ტყეები, დაღარა და დასერა მთის კალთები; სიცოცხლე ჩაკლა იმ ტბებსა და მდინარეებში, რომელთა ამოშრობაც ვერ მოასწრო; გამოფიტა და მოწამლა ის მიწა, რომლის მადლითაც აქამდე არსებობდა; დაბოლოს - გაწყვეტის პირამდე მიიყვანა ყოველივე სულიერი, რაც კი დარბოდა, ცურაობდა თუ დაფრინავდა ამ მიწაზე, ამ წყალსა და ჰაერში.

კაცობრიობის დიდ მასწავლებელთაგან მხოლოდ რამდენიმემ იწინასწარმეტყველა, რომ ბუნება როდესმე სამაგიეროს გადაუ-

ხდის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტავნებულ ადამიანს და მარჩოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე...

ქართველი კაცისათვის ასეთი მასწავლებელი ვაჟა-ფშაველა იყო.

ვაჟამ „გველის-მჭამელში“ იქადაგა, რომ ბუნება - ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი - ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორიც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნეულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ იწამებს და მის ტკივილს არ გაიზიარებს.

ვაჟა არ მოითხოვდა მინდიასთან აბსოლუტურ მსგავსებას: სხვა რომ არაფერი იყოს, თვითონ უბადლო მონადირე იყო. მინდია - ესაა სახე-იდეა, მიუღწეველი ზნეობრივი მწვერვალი, რომლის წარმოსახულ არსებობასაც კი გარკვეული, ეთიკური განზომილება შემოაქვს გარემოსადმი ჩვენს მიმართებაში.

ასევე აღიქმება მთელი წყება ვაჟას ისტორიული და მითოლოგიური გმირებისა: - იმედი საზიკაული, გიგი, ხუსაური გოგოლაური, ხირჩლა ბაბურაული, სიმიკაური, ღაჭაური, სუმელჯი წოწკოლაური... - „კაი ყმის“ სახელით გაერთიანებული ძველი ყაიდის რაინდები, ხატობაში „საკარგყმო“ ლუდს პირველებს რომ მიართმევენ და ვაჟასათვის მთელი მისი ცხოვრების განუშორებელ იდეალს რომ წარმოადგენენ:

კარგ ყმად ვინა ესთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,
არაყის არა სწყენოდეს?

(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 282)

ვაჟამ „კაი ყმაში“ დასმულ ამ კითხვაზე მთელი თავისი ცხოვრებით გასცა პასუხი: ადვილია სამართლიანობაზე აბსტრაქტულად წერა, მაგრამ ვინ გაბედავდა, ვაჟას მეტი, სასამართლო დარბაზში მსაჯულის მიკერძოებით აღშფოთებულს, მისთვის სკამი გაექანებინა, ბოქაულისათვის სილა გაეწნა, გზირ-ნაცვალ-მამასახლისისათვის მედღლები აეყარა, მაზრის უფროსს არ შეპუებოდა... მაშინდელი უფროსები ეგენი იყვნენ და იქით ეშინოდათ, რამით არ გაეწყენებინათ ვაჟა. მათაც გაუგებს კაცი - აბა მიდით და გაანაწყენეთ ასეთი დეგმირი: „ცხე-

ნზე იჯდა წყლისფერ ჩოხაში გამოწყობილი მხარბეჭიანი ვაჟკაცი, თოფით და ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული. მკერდზე უბის მასრები ეკეთა და თავზე მაღალი ფაფახი ეხურა".

ახლა ხასიათს თუ იკითხავთ: „სოფელს მისი შიშით ვერავინ დაჩაგრავდა, მით უმეტეს ჩვენ, ახლო მეზობლებს, - იგონებდა ერთი მისი მეზობელთაგანი, - კატო ცქიფაშვილი, - ჩვენს ახლოს, ლუკას შიშით, ვერც ტყისმცველი გაივლიდა. ლუკა მთელი სოფლის იმედი იყო. ლუკას სათრით ვერც მომიჯნაეე სოფლები გეედავებოდნენ საპიბ-სახნავებს.

სამართლიანი იყო და უსამართლობას არავის მოუთმენდა, დაჩაგვრას არავის შეარჩენდა. (ყუბანეიშვილი 1937: 382).

ვაჟას ჯერ თვითონ რა ჰქონდა, მაგრამ თხოვნაზე უარის თქმა არ იცოდა და მომხდარა რომ გარდაცვლილი მეზობლის ქვრივისათვის თავისი ერთადერთი გამოსასცლელი ტალავერი - ჩოხა-ახალუხი მიუცია, ზედ პური, ფული, სასუდრო დაუმატებია და ისე გაუსტუმრებია - „აჰა, წაიღე, შე ბეჩავო. იმ კაცს ტიტველს ნუ დამარხავთო".

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორ დალოცავდა ვაჟას ის მეზობლის ქვრივი, წარმოვიდგინოთ ვაჟასსავე ეთნოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით: „შენამც შეგეწევა მამის სალოცავი, შენამც გიშველის ღმერთი. აგებ ღმერთმა გიცოცხლოს ცოლ-შვილი. ისრე გიცოცხლოს, როგორც შენს გულს უნდოდეს. საცა გაიარო, ყველგან გამარჯვება მოგცეს. შენი ამჯობინოს შენის მტრისასა, ნურავისი თვალი და გული მოგერიოს. ჩვენის შეელისადა ღმერთმა გიშველოს, ხელ-მხარი მშვიდობაში მოგახმაროს. ჩვენის დახედვისადა, მოხედვისადა, ღმერთმა კეთილად გადამახდევინოს. ღმერთიმც შაეწევა შენს ჯანსა. ღმერთიმც გიშველის - „აიქამც გაგემარჯვება, საცა ხმალნ იქმენ გელეასა, მოციქულობენ ისარნი, შუბნი იქნეედენ ენასა..." (ვაჟა-ფშაველა 1961ე: 61).

მაგრამ ვაჟას მისამართით სხვა სიტყვებიც გაისმოდა: ასე მაგალითად, 1907 წელს ვინმე კაპიტანი სამონოვი, ფშავ-ხევსურეთში პოლიტიკური სიტუაციის დასაზვერად მეფისნაცვლის კანცელარიიდან წარგზავნილი, წერდა, რომ „ვაჟა-ფშაველა, როგორც ჭკვიანი და მოქმედი კაცი, რომელიც განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობს მაღაროსკარელთა შორის, რევოლუციური სიტუაციის შექმნას უწყობს ხელს და როგორმე უნდა უვნებელვყოთო" (ყუბანეიშვილი 1937: 399).

თუ კარგად დავუფიქრდებით, რას ნიშნავს ეს „უვნებელყოფა", როდესაც ხელისუფლებას ვინმე ძვალიეით ჰყავს ყელში

გაჩხერილი, მაგრამ დაჭერაც არ უნდა, ხმაური რომ არ ატყდეს - 1907 წელს ვაჟა „შემთხვევით“ ტყვიას ან სხვა რამ ფათერაკ გადარჩენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ...

1905-1907 წლები - ის დროა, როდესაც ვაჟა, რომელიც არც მაინცდამაინც მალე მრწმენია და არც პოლიტიკურ ენებათაღლეღებს ჩაუთრევია ოდესმე, მომავალი გამარჯვების იმედით განიმსჭვალა და ბრძოლასმოწყურებული ინტონაციით კითხულობს ლექსს, რომელსაც „მხედართა ძველი სიმღერა“ ცენზურის თვალისასახვევად ჰქვია:

მიტომ გაგვზარდა დედამა,
მისთვის გვეტყოდა ნანასა -
ტანზე აბჯარი ავისხათ,
მუდამ ველესაედეთ დანასა,
რომ შიშს ეუგდებდეთ გულშია
მეზობელს მეტიჩარასა.
(ვაჟა-ფშაველა 1961ა: 224)

სულ ორი წელი დასჭირდა ვაჟასა და მისებრი რომანტიკოსების ილუზიების გაფანტვას: ცხოვრება თავის კალაპოტს დაუბრუნდა - ნასაკირალიდან მაღაროსკარამდე.

დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულ ნირს ვაჟაც - ოღონდ ახლა ცოტა მეტს მიმოდიოდა - ლიტერატურულ საღამოებზე - ფოთში, გორში, ჭიათურაში, ქუთაისში; ილიას, აკაკის, ლადო ალექსიმესხიშვილის იუბილეებზე... ილიას დაკრძალვაზე საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში და იშვიათი ტკივილითა და მღელვარებით გამსჭვალული სიტყვით დაემშვიდობა საქართველოს სულიერ მამას, თავის უფროს მეგობარსა და მფარველს.

თვითონ ვაჟასაც გადაუხადეს იუბილე სახალხო, დღევანდელ ოპერის თეატრში, 1915 წლის 23 მაისს, მაგრამ, ისედაც ფერდატკეპნული, სწორედ იმღამინდელ ვახშამზე გაციებდა და მას შემდეგ მხოლოდ ორი თვე იცოცხლა...

იწვა ვაჟა წმინდა ნინოს ლაზარეთში (იქ, სადაც ახლა თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსია), მარტოდმარტო დარჩენილი თავის მწარე ფიქრებთან: თავისუფლებისმამკვიდრებელი ილუზიები ხომ დაემსხვრა, თითქოს რაღაც მუხტი გამოეცალა მის ბოლოდროინდელ ნაწერებსაც და ამას თვითონაც გრძნობდა: „ალუდა ქეთელაური“ ოცდაექვსი წლისამ დაწერა; „გველის-მჭამელი“ - ორმოცისამ, მაგრამ ეს პოემა მის

უკანასკნელი ეპიური შედეური იყო. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დაწერილმა ლექსებმა კი გერონტი ქიქოძეს ათქმევინეს: „ნელნელა კომპოზიციის და რითმის გრძნობა დაჰკარგა. ლექსის ვირტუოზი არასოდეს არ ყოფილა: შალაშინი ყოველთვის აკლდა, არასოდეს არ ჰგვანებია ზოგიერთ თანამედროვე მგოსანს, პირწმინდათ გაპარსულს, თმადახუჭუჭებულს, პარფიუმერიით გამსჭვალულს, მაგრამ უკანასკნელ დროს უკიდურესობამდე მიიყვანა ტეხნიკური ხალვათობა“ (გერონტი ქიქოძე, „ვაჟა-ფშაველა“, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., 6 სექტ.).

1915 წელს დაწერილ ამ წერილში კიდევ უფრო მწარე სიტყვებიცაა ნათქვამი, მაგრამ აქ ციტირებას შევწყვეტ - როგორღაც ყურს გჭრით. და იმიტომ კი არა, რომ უსამართლოა - განელილმა საუკუნემ განსაკუთრებულ კვარცხლბეკზე აიყვანა ვაჟა და დღეს ჩვენ თითქმის ვეღარც ვამჩნევთ მისი ლექსების დიდი ნაწილის პოეტიკურ ხალვათობასა თუ გაუმართაობას. ის, რაც დარჩა ვაჟასი, იმდენად გეხიბლავს და გვაღელვებს, რომ სწორედ ამ მწვერვალებს შეეყურებთ და არა მათ ძირში განფენილ უსწორმასწორო ბორცვებს.

ჩაკვირვებით ვუცქერით ჩვენ ვაჟას შინაგანად გაუბზარაეი ცხოვრების იშვიათ მაგალითს, ჩავცქერით იმ ფოტოებს, რომლებმაც ახოვანი, იარაღასხმული „რაზიკაანთ დევი“ აღბეჭდეს. მაგრამ არის ერთი ფოტო, იშვიათად სულისშემძვრელი: ესაა სურათი სიცხით გათანგული, ფილტვებშეშუპებული ვაჟასი, წმინდა ნინოს ლაზარეთში გადაღებული 1915 წლის ივლისში: ფოტოკამერის ულმობელმა თვალმა ყველაფერი აღნუსხა - სასოწარკვეთაც, გადარჩენის იმედიც, მიუსაფრობაც. საბედისწერო ჟამს ცოლ-შვილს მოცილებული ადამიანისა, მეტწილად მოწყალების დის ხელს რომაა ჩაჭიდებული და სწორედ ამით უთქმელად ითხოვს შველასაც და თანალმობასაც...

ვაჟას სურვილი იყო ჩარგალში დაემარხათ, მაგრამ იგი ჯერ დიდუბეში დაკრძალეს, ხოლო ოცი წლის შემდეგ – მთაწმინდაზე. ჩარგალში მისი დაობლებული სახლი დარჩა. სადღაც იქვე, უსუოდ, ტრიალებს მისი სულიც, როგორც მფარველი და დარაჯი უკეთესი მერმისის მოლოდინით დაღლილი მისი ქვეყნისა...

ვაჟა-ფშაველა 1961ა: ვაჟა-ფშაველა, ხუთ ტომად, ტომი I, თბ., გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961

ვაჟა-ფშაველა 1961ბ: ტომი II;

ვაჟა-ფშაველა 1961გ: ტომი III;

ვაჟა-ფშაველა 1961დ: ტომი IV;

ვაჟა-ფშაველა 1961ე: ტომი V.

იაშვილი 2004: იაშვილი პაოლო, საიუბილეო-საარქივო გამოცემა ორ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 2004

ყუბანეიშვილი 1937: ყუბანეიშვილი სოლომონ, ვაჟა-ფშაველა (დოკუმენტები და მასალები), თბ., „სახელგამი“, 1937

რაზიკაშვილი 1991: გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი, ჩაწერილი ეთერ თათარაიძის მიერ, თბ., „გულანი“, 1991

ლაისტი 1963: ლაისტი არტურ, საქართველოს გული, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963

იმედაშვილი 1978: იმედაშვილი იოსებ, ჩემი ცხოვრების წიგნი: (მოგონებები), თბ., „ხელოვნება“, 1978

მანსვეტაშვილი 1937: მანსვეტაშველი იაკობ, მოგონებანი, თბ., „ფედერაცია“, 1936

ალექსანდრე ყაზბეგი

1848 წლის 8 იანვრის გამთენიისას, სტეფანწმინდაში, ხევის გამგებლის – მიხეილ ყაზბეგის საგვარეულო სასახლის აივნიდან თოფის გრიალმა მოხეევეთ ამცნო პირმშო-მემკვიდრის დაბადება. თოფის სმას რუს ოფიცერთაგან ნაჩუქარი მაშხალების ზალპი დაეროო – პირველი და უკანასკნელი ფოიერვერკი ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში...

თუკი არსებობს რაიმე სიტყვა, რომლითაც შეიძლება ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის სიმბოლური მახასიათებელი აღინიშნოს, ეს იქნება – „ფატალური უიღბლობა“: უმეტესობა მაიმედებელ ცხოვრებისეულ წამოწყებათაგან, როგორც წესი, საპირისპირო შედეგით მთავრდება და ნაბიჯ-ნაბიჯ, ულმობლად აახლოებს აღსასრულს.

ყაზბეგის ბიოგრაფიის ყველაზე გულმტკივანმა მოხრობელმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა მიანიშნა ამ უიღბლობის პირველმიზესზე: „იგი განწირული ადამიანი იყო და მას ვერავითარი საშუალება ვერ იხსნიდა. შეიძლება უკეთეს პირობებში გარდაცვლილიყო, ან ერთი თუ ორი წელი მეტი ეცოცხლა, მაგრამ განა ეს შეანელებდა მისი სიცოცხლის თუ სიკვდილის საშინელებას? რასაკვირველია ვერა.

პიროვნულად ალ. ყაზბეგი ისეთივე ფატალური თოკით იყო შეკრული, როგორითაც ითანგებოდნენ მისი ატეხილი გმირები. მასაც იგივე სცილა და ქარიბდა ჰღუპავდა, რომელთაც ჩანთქეს მისი ძმად-ნაფიცები. და ვინ იცის, იქნებ ალ. ყაზბეგს პიროვნული ხსნა არც კი უნდოდა...“ (კოტეტიშვილი 1925: 10). ეს „სეგარდმო სასჯელი“ (ყაზბეგისავე მტკიცებით, მამა-პაპათაგან ბაგრატოვანთა ტახტის ღალატისათეის) მისი ბავშვობიდან იწყება და საფლავამდე გასდევს.

დავიწყოთ ბავშვობიდან, რომლის შესახებაც ბევრ ყურადსაღებს შევიტყობთ სანდროს გამზრდელის, ნინო ფიცხელაურისათვის გაგზავნილი წერილიდან (საერთო რეულში თავმოყრილ მოთხრობებთან ერთად):

„ჩემო საყვარელო გამზდელო ნინო!

ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს ან სახსოვრათ და ან მოგიძღვნას?! ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდარა და ამის გამოისობით შენ გიძღვნი ემ რამთვენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღსრდაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი. აბა, მოიგონე ის დროება, როდესაც მე ბავშვობაში მიყლიდნენ ისე, როგორც მეფის შვილს. მანებიერებდნენ უკანასკნელ გარყვნილებამდინ. მასწავლიდნენ შურს, ამპარტავნობას და სიძულვილს! ხელის-ხელ ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები... რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსიც უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირებისა. გახსოვს რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში?... გახსოვს შენმა სიტყვებმა რამთვნჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული, ხალხის უსამართლობისაგან პირებისათვის.

შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთათ და აქ დაიმარხა ჩემს გულში... და ეხლა ამთვენი ხნის განმავლობის შემდეგ, როდესაც შემიძლიან ანგარიში მიეცე ჩემს მოძრაობას, შემიძლია სიამაყით გითხრა, შენს გაზდილში თუ იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდგანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისათვისაც გმადლობს წარმოუთქმელად

შენი ა კ ა კ ი ა მ ო ჩ ხ უ ბ ა რ ი ძ ე (ყაზბეგი 1950ა: 209).

ამ წერილით თუ ვიმსჯელებთ, ბავშვს დაბადებინაქე ორი მტერი ჰყავს – **დედა** და მამა. გავეცნოთ ამ „მტრებს“, მათ ყოფას და შეეცადოთ გავერკვეთ, რა არის სანდრო ყაზბეგის ეგზომ დაუნდობელ დასკვნაში სიმართლე და რა – არა.

დედა: თავად ესტატე თარხნიშვილის ქალი – ელისაბედ (შინაურთათვის – კეკე), „თაქადის თუმანიშვილის ნაქერიალი“ (პირველი ქორწინებიდან ელისაბედს სამი ქალიშვილი დარჩა). ვახტანგ კოტეტიშვილის თქმით, ელისაბედი: „საკმაოდ სიმპატიურ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმც თავისი წრის მედიდურობა მასაც საკმაოდ ჰქონია...“ – და დასძენს, – „ეს არც თუ გაუგებარია, თუ მამით ალექსანდრეს დედა ეკუთვნოდა დიდი მიურავის, გიორგი სააკაძის მოდგმას, დედით – ბატონიშვილ სოფიოს, გიორგი XII-ის ქალის შვილის-შვილი იყო, და მასში ჯერ კიდევ ცოცხლობდა სამეფო სახლის სიამპარტავნე“ (კოტეტიშვილი 1925: 15).

ალექსანდრეს ბიძაშვილისა (და მტერ-მოყვრის!) ელისაბედ (ლიზა) ყაზბეგის თვალით დანახული „კეკე-ბიცოლას“ პორტრეტი გაცილებით უფრო კონტრასტულია: „...ლამაზებში ჩაითვლებოდა. შინაურათ, ქართულათ გაზრდილი ქალი იყო, ბუნებით ჭკვიანი... ძალიან ბევრი ღირსება ჰქონდა. მაგრამ საშინელი ბოროტი და შურიანი იყო. მეტისმეტად მედიდური ხასიათი ჰქონდა... ბიძაჩემზე ბევრად უფრო ჭკვიანი იყო და განვითარებული. ბუნებრივი ნიჭი შესწევდა და კითხვაც ძალიან უყვარდა“ (ყაზბეგი 1924: 313).

მამა: მიხეილ ყაზბეგი – ხევის გამგებლის, გაბრიელ ყაზბეგის (წარმომავლობით ჩოფიკაშვილები იყვნენ) უფროსი ვაჟი, რომელსაც თანამდებობა მემკვიდრეობით ერგო, შემდგომ კი, დესპოტური ხასიათის მიუხედავად (ანდა – სწორედ ამიტომ), მამის კვალდაკვალ, აღვილად შეეწყო რუსთ მმართველობას და გყარდიაში დაწყებული სამსახური გენერალ-მაიორობით დაამთავრა. მიხეილის ეპოლეტები, როგორც ჩანს, არანაირად არ ხიბლავდა მის ვაჟს, რომელმაც სარკასტულად ჩახატა მამის პორტრეტი თავის ყველაზე უსიმპათიო პერსონაჟთა შორის („...დაბალი, ჩასუქებული, კისერჩაძერენილი, უშნო კაცი“). სამაგიეროდ, იმავე ლიზას სიტყვით, მიხეილ ყაზბეგს „...გაგიჟებით უყვარდა თავისი შვილი და მხოლოდ იმით ამტკიცებდა, რომ ანებიერებდა და მეტისმეტად რეენიდა“ (ყაზბეგი 1924: 206).

ამ „სიყვარულის“ გამჟღავნების ერთი ოდიოზური მაგალითი თავად ლიზასაც მოჰყავს და ზაქარია ჭიჭინაძესაც: ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც „ბედის ნებიერა“ გუყერნანტმა ქალმა ფრანგულის სამეცადინოდ ვერაფრით ვერ დაიყოლია, სანდრომ აიჩემა – ჩვენს სახლთან მექარავნეებმა რომ ჩაიარეს, იმათგან ერთ აქლემს თუ არ მიეყიდით, არ ეიმეცადინებო! უყიდეს! მამის გულმა ვერ გაუძლო პირმშოს ცრემლთა ღვრას... არა და, რა გაკაუებული გული იყო?! – არც შინაყმების დასჯა-დაწიოკებაზე შეტოკებულა, არც მოხევეთა სასოწარკვეთილ საჩივრებზე... არ უყვარდათ ხევში „მრისხანე ბატონი“...

ძნელია, რამე სანუგეშო თქვას კაცმა, ამ „ოჯახური პორტრეტის“ შემყურემ. და არც რა იყო სანუგეშო: ორი ზრდასრული ადამიანი ფანატიკური მონდომებით ცდილობდა თავისი პირმშოს „კეთილშობილ ბატონად“ გაზრდას იმ დროს, როცა მთელი მათი ანტიპედაგოგიკა კლასიკურ ეგოცენტრიკს და განსხვავებულ სოციუმში არსებობისათვის სრულიად მოუმზადებელ ადამიანს ძერწავდა. მთლად უშედეგოდ მათ „მოწადინებას“

ნამდვილად არ ჩაუვლია: ალექსანდრე ყაზბეგის ზემოთ მოყვანილი აღსარება – ისევე, როგორც მისი სუსხიანი წერილები დედისადმი, ან სრულიად გამაოგნებელი საქციელი (თან ხევში) – მამის საფლავზე ცხვრის საძოვრად წასხმისა, იმაზე მეტყველებს, რომ სხვაზე ადრე სწორედ მან გააცნობიერა თავის ხასიათში დედ-მამის ეს ავბედითი ნაძერწი და შემდგომ, ყველა თავისი მარცხი თუ წარუმატებლობა (შესაძლოა, უკვე გადამეტებითაც კი) სწორედ თავის საცოდაოდ ნეტარ მშობლებს გადააბრალა.

ყაზბეგთა სასახლეში: „სასახლე“ – მისი უმცროსი ბიძაშვილის აღწერით, ესაა: „დიდი, ორსართულიანი სახლი, უხერხულად და უშნოდ აშენებული, როგორც ყველა ძველი მებატონის სახლები“, – მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ხევის მოურავისაა და ჩვენც „სასახლედ“ მოვიხსენიოთ, როცა თვალს მივადევნებთ სანდრო ყაზბეგის პირველ ცხოვრებისეულ ნაბიჯებს. აქ ერთ-ერთ ყველაზე სანდო მეგზურად ალექსანდრე ყაზბეგის პირველი ბიოგრაფი დაგით კარიჭაშვილი გვევლინება: „სანდრო... ხშირად გაუსხლტებოდა გადია-გამზრდელებს ხელიდგან და სოფლის ბიჭებში, უფრო ცხვარში, ამოყოფდა თავს... მოუსვენარი იყო და ამასთანავე ჟინიანი. ხშირად ეჩხუბებოდა შინაურებს – მოსამსახურეებს, ჭირვეულობდა, ამისათვის დედა მეტ სახელად ალექსანდრეს „მოჩხუბარიძეს“ ეძახდა“ (ყაზბეგი 1904: VI).

თბილისიდან ჩამოყვანილი შინამასწავლებლების (ფრანგული და რუსული ენები, საღმრთო რჯული, მათემატიკა, მუსიკა, ცეკვა...) წვალება-მოწადინების შედეგად, 11 წლის სანდრო მეტნაკლებად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს. ყოველ შემთხვევაში იმ დონეზე, რომ თბილისის რომელიმე კერძო პანსიონში გაეგრძელებინა სწავლა. საოჯახო თათბირზე ცადაწყდა, ბაყშვი სასწავლებლად ჰაკეს ვაუთა კერძო პანსიონში მიებარებინათ.

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1859 წლის დასაწყისი – სანდრო მშობლებს ჩამოჰყვათ თბილისში და აბარებენ ჰაკეს ვაუთა კერძო პანსიონში.

„...პანსიონს მაშინ განაგებდა მხოლოდ ეროი ჰაკკე. ჰაკკე გერმანელი იყო, ყოველმხრივ განათლებული კაცი... ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა

მუსიკით და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა". ილია ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე 1957: 308-309).

ჰაკეს პანსიონი მართლაც საუკეთესო იყო თბილისში, მაგრამ ყაზბეგთა არჩევანი უფრო იმან განაპირობა, რომ ამ პანსიონში მასწავლებლობდა და იქვე, შორიახლოს, სახლობდა თავის ჰატარა ვაჟიშვილთან ერთად, სანდროს ყოფილი გუვერნიორი კორბო, რომელთანაც ბინა დაიდო მისმა შეგირდმა. სწორედ ეს კეთილისმყოფელი დამთხვევა აღმოჩნდება პირველი ყაზბეგის ბიოგრაფიის იმ ფატალურ უიღბლობათა მწკრივში, სადაც ნებისმიერ სასიკეთო ჩანაფიქრს საპირისპირო შედეგი მოაქვს: ერთ მშვენიერ დღეს, სანდრო მიეპარა სადილის შემდგომ ჩათვლემილ კორბოს, ბალიშზე მელოტ თავთან თოფის წამალი დაუყარა და ცეცხლი წაუკიდა...

როგორც მოსალოდნელი იყო, ყაზბეგთა ოჯახში არავის აღუქვამს ადამიანური ღირსების შეურაცხყოფად ეს ეპიზოდი; შემდეგაც სიცილით იხსენებდნენ და კორბოს ლანძღავდნენ – ბავშვის საცემად გაიწიაო... „უკონტროლო სიყვარულის" ამ ინერციით, ვახტანგ კოტეტიშვილიც კი გულაჩუყებით წერს, რომ „ალექსანდრეს მოუსვენარ ბუნებას მონდომებია ახალი სიცელქეო". არა და, ამ „სიცელქე"ში უკვე მკაფიოდ მოისმის რაღაც საგანგაშო ნოტა.... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ კორბოს შეურაცხყოფის საზღაურად, სანდრო ჰაკეს პანსიონს გამოეთხოვა, რითაც მთელ მის შემდგომ სწავლა-განათლებას მყარი საფუძველი გამოეცალა, ხოლო მის ხასიათს დააკლდა წრთობა, ესოდენ აუცილებელი სწორედ გარდამავალ ასაკში.

1862 წლის ოქტომბერში ალექსანდრე მშობლებს ქსენოფონტ კანონიჩის პანსიონში გადაჰყავთ, ხოლო ერთი წლის შემდეგ – თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში. 1865 წელს, როდესაც ოჯახს თბილისში გადაბარგება დაუგვიანდა, სანდრომ მეცადინეობის რამდენიმე თვე გააცდინა, გამოცდები ვეღარ ჩააბარა და გიმნაზიიდან გაირიცხა. ამჯერად საშინლად გამწარდა: შესაძლოა, გულის სიღრმეში კი უკავშირებდა ამ მარცხს „კორბოს ეპიზოდს", მაგრამ მთელი თავისი რისხვა ისევ და ისევ მშობლებისაკენ მიმართა: „ჩემი შიში, რომ არ დაგეგეიანებინეთ გიმნაზიაში, და წადილი ისეთი ძლიერი იყო, რომ შინიდგან ჩემოდანაკიდებული, ქვეითი გამოგექცით, ციეს ყინვაში. თქვენ გამოგზავნეთ კაცები, დამიჭირეთ, მომათრიეთ და, მკაცრის მოქცევის შემდეგ იანვრამდინ დამაგდეთ. რა გამოვიდა იქითგან?..

გამომრიცხეს გემნაზიიდგან და როდესაც ისევ მინდოდა შესვლა, მაშინ ეგზამენია მომთხოვეს იმაში, რაც გაქელოთ ჩემს ამხანაგებს ჩემს იქ უყოფელობაში. ეგ აშკარა იყო, რომ 8 თვე ნადირობაში და უსაქმო გატარების შემდეგ, ყოველათ შეუძლებელი იყო ეგზამენიის დაჭერა. ამ უბედურებას მიემატა მამიჩემის ავადმყოფობა, რომელსაც წადილი იმ სურვილათ გადაექცა, რომ გვერდიდგან აღარ მოეშორებოდი. ასე რომ, არამცთუ თქვენის მიზნით გემნაზიის სწავლა დაეკარგე, ისიც კი აღარ იფიქრეთ, რომ სხვა რომელსამე გზაზედ დაგეყენებინეთ" (ყაზბეგი 1950ა: 175).

კითხულობ ამ წერილს და სული რალაც „დეჟავიუს" განცდა გაქვს... ეს ხომ ადრეც ითქვა... რაღა თქმა უნდა, გაგახსენდება: დედ-მამის უგულისყურობას რომ შესჩივის ნიკოლოზ ბარათაშვილი ბიძამისს — გრიგოლ ორბელიანს: „ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე აღარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?" ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მაშა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჯაერით ვაპირებ მასთან შებმას..." (ბარათაშვილი 1945: 76).

მელიტონ ბარათაშვილისაგან განსხვავებით, დასნეულებული მიხეილ ყაზბეგი, ეტყობა, მართლაც გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს და გარდაიცვალა კიდეც წყალმანკით 1866 წლის 18 ივლისს.

მიხეილ ყაზბეგის პანაშვიდზე სანდრომ ერთი უცნაური მიზანსცენა გაითამაშა, რომელსაც ლიზა ყაზბეგი ასე აღწერს: „ბულგადაღეღილი, საყელოჩაკეცილი, მოკუზული სანდრო ცხედარს გარს უელიდა და მათრახს ძალზე იცემდა! ნინო თაკპირში ცემით წინ მიუძღოდა, ძალუაჩემი თმაგაწეწილი, წინანდელზე უფრო თავგამოდებული ხმითა ტიროდა და დიდის უნარით ცხედარს ჩასძახოდა სანდროს თავგანწირულებას და დიდს მწუხარებას. მაყურებლები ერთიანად ატირდნენ და საერთო ვაი-ვაგლახი გამართეს.

სანდრო ძლივს მოაშორეს კუბოს. დიდი მადლობით და ქებადიდებით შემოიყვანეს მეორე ოთახში კისერდასიებული, დასისხლიანებული. ჩვენ ჯერ გონს ვერ მოვსულიყავით, გაშტერებით ეუყურებდით და ასჯერ ვეკითხებოდით, რათა ქნა ეს საქმე?..

– მართალია, მათრახით ტყავის გაძრობა დიდი მხეცობა არის, მაგრამ მე ასე მოვიქეცი ხალხის გულისათვის: ასე რომ არ მოექცეულიყავ, იტყოდნენ, რომ მამის სიკვდილი უხარიანო!" – თავს იმართლებდა ეს უცნაური ჭირისუფალი (ცხოვრება 1988: 82).

რა ხდება სინამდვილეში ამ 18 წლის ჭაბუკის გულში, რომელსაც, ამიერიდან, „ოჯახის უფროსი" ერქმევა, მაგრამ დედა-ბატონის ბრძანებით, ღამღამობით ჭიშკარს უკეტავენ, – დილამდე რომ არ იჯდეს ლიტერატურულ საღამოებზე ლიზასთან, იმხანად, მის ეროადერთ მეგობართან და მესაიდუმლესთან (რაც ასე არ მოსწონს უფროს ელისაბედს!). და მაინც, რა ხდება?! რატომ არ შეუძლია დარბაისლური იერით იდგეს მგლოვიარეთა შორის და მისამძიმრებებს იღებდეს ყოველგვარი ექსცენტრულობის გარეშე, ისე, როგორც ამას ნებისმიერი სხვა ახალგაზრდა არისტოკრატი გააკეთებდა?!

დიახაც, რომ არ შეუძლია! არ შეუძლია ეგზომ „თეატრალიზებული" რიტუალის ჩვეულებრივი მონაწილე იყოს, რადგან გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ აიგივებს თავის თავს თავისივე გარემოცვასთან.

„ –აკი არ გიყვარდათ მამაჩემი?! თეატრს აწყობთ?! თეატრს მე განახებთ!" – იტყვის გულში და მართლაც გაითამაშებს პაროდიულ მიზანსცენას მათრახით, დასისხლიანებული ზურგითა და კისრით... კიდევ კარგი, განსვენებული ვერაფერს ამას ვერ ხედავს, წევს, ვალმოხდილი...

„მეფე მოკვდა. გაუმარჯოს მეფეს!" – და, აი, აქ გაიფიქრებთ, რომ არის ამ წარმართულ, დასისხლიანებულ როკვაში განსვენებული მამის გარშემო, რაღაც ქვეცნობიერი პლასტი, გაცილებით უფრო ღრმა, ვიდრე ის პირველი, სიტუაციური გაღიზიანება... გაიფიქრებთ, რომ მემკვიდრემ უნებლიედ დაუკაშირა სრულწლოვანების აღსანიშნავი სიმბოლური ინიციაცია (სისხლსა და თეითგვემას რომ მოითხოვს) „ბელადის" სიკვდილს და პრეისტორიული რიტუალი არქეტიპული სიზუსტით აღასრულა...

საქორწინო ხაფანგი: ელისაბედ ყაზბეგი საგონებელში იყო ჩავარდნილი: თან უნდოდა, სანდროს სათანადო განათლება მიეღო, რისთვისაც ის რუსეთს უნდა გამგზავრებულიყო; თან გუმანი კარნახობდა, რომ არაფერი კარგი ამ წამოწყებიდან არ გამოვა და ჯობდა, ვაჟიშვილი აქვე დაექორწინებინა. ამ მიზნით, ნათესავ-მეგობრებთან ერთად, 1867 წლის გაზაფხულზე, მოეწყო საიდუმლო გეგმა შეიმუშავეს: სანდრო უნდა ჩასულიყო მამა-

მისის გასესხებული ფულის ამოსაღებად გორში, სადაც მისი მასპინძელი და შემწე მისიეე ბიძა (ელისაბედის ძმა) უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში, „ვალები“ მიზეზი იყო და და-ძმას სანდროსათვის „საბედოს“ გაცნობა ეწადათ. მაგრამ მასპინძლებმა რაღაც ნამდვილად ვერ მოზომეს და ყაზბეგისავე თქმით, ყოველად უტიფრად ცდილობდნენ მის საქორწინო მახეში მომწყვდევას. ამ ეპიზოდზე იგი ძალიან სასაცილოდ ჰყვება: „ბიძაჩემის ცოლის დას ჰყვანდა ერთი ქალი, რომელიც უეჭველათ უნდოდათ ჩემთვის შეერთოთ და ამ აზრის აღსრულებისათვის ყველა წესიერს და უწესო მოქმედებას არა შურობდნენ. მატარებდნენ იმ ქალის საზოგადოებაში, სმაში ღვინოს მაძალებდნენ და იმ ქალს კი ამღერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ იმის მზითევზედ, სილამაზეზედ, სითეთრეზედ... და ერთის სიტყვით ცდილობდნენ, რომ როგორმე წაეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მამწონს ანუ მიყვარს“ (ყაზბეგი 1950ა: 177). ეს „მამწონს ანუ მიყვარს“ კალმის წაცდენა არ გეგონოთ – ძალიან მრავლისმეტყველია და ჩვენ აუცილებლად დაეუბრუნდებით ამ თემას. 19 წლის სანდრომ, მისდა სასახელოდ, ამჯერად გონივრულობა და სასიათის სიმტკიცე გამოიჩინა და დამშვიდობებისას, მასპინძლების ხმაში გაუღერებული მუქარის პასუხად, თანხმლებ მოხელესთან ერთად უკვე ცხენზე ამხედრებულმა, უკმეხად განუცხადა, რომ თავისი ნებით თუ არ გაუშვებს სახლიდან, ძალით გაიკაფავენ გზას: „...მაშინათვე თავი დაგვანებეს და, სწორე გითხრათ, კარგიცა ჰქნეს“, – იგონებს კმაყოფილი...

„საქორწინო ხაფანგს“ თავდაღწეული შვილის შინ მიბრუნებამ რამდენადმე გაანელა ელისაბედ ყაზბეგის „მატრიმონიალური პათოსი“ და ისევ „საგანმანათლებლო გეზს“ დაადგა: ბატონიშვილ დავით ბაგრატის ძესთან (ენათესაებოდნენ ერთმანეთს) გაგზავნილ წერილს სანდროსათვის მოსკოვში ხელშეწყობის თაობაზე, დელიკატური უარი მოჰყვა; ახლა უკვე თავად სანდრო ჩაერთო საქმეში და თავისი ერთადერთი(!) მეგობარი ალექსანდრე ბახუტაშვილი გაიხსენა: „მამიჩემის სიკვდილის შემდეგ, – იგონებდა ყაზბეგი, – მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი, ბ., რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მე მივსწერე მას ჩემს გამოურკვეველს მდგომარეობაზედ და ვთხოვდი რჩევას. ჩემს წიგნში ჩაუმატე, რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველათ სწავლა...“ (ყაზბეგი 1950ა: 177).

პასუხი, ამ „ბ“-სი, მომავალი „სტუდენტის“ ხასიათის გათვალისწინებით, ყოველად ადეკვატური იყო, მაგრამ პატივმოყვარე სანდროს მაინც საწყენად დარჩა და იქადნიდა: „...მე მიეცა ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დაეუბნკიცო როგორც ბ-ს, ისე მთელ ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა ნებიერათ აღზრდამ იმდენათ არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს“ (ყაზბეგი 1950ა: 177).

მოსკოვში, ეაი რომ, ყველაფერი დაასხლეტებით ისე წარიმართა, როგორც ბახუტაშვილმა იწინასწარმეტყველა (სხვათა შორის, ოთხი თვე სანდროს თავისთან აცხოვრებდა – თან თავის სტიპენდიას უყოფდა). შემდგომში, ამ პერიოდს ვახტანგ კოტეტიშვილი ასე აღწერს: „...როგორც სჩანს, ალ. ყაზბეგი მოსკოვში მადა-აწყვეტილია, არაფერს არ ჰხოგავს, და „დიდი ცხოვრების“ ვნებიან ზღვაში თავდაყირა ეშვება დიდი განცდების მაძიებელი“ (კოტეტიშვილი 1925: 30).

„ვნებიან ზღვას“ ალექსანდრე ყაზბეგი ერთ დაუმთავრებელ მოთხრობაში („კაცის წადილი“) იხსენებდა: „მოსკოვში განთქმულს „ტვერსკოი“ ბულვარზედ ჩვეულებისამებრ ურიცხვი ხალხი დასეირნობდა... აქ მოდიოდნენ გუნდ-გუნდათ ყმაწვილი მუშა ქალები... ყმაწვილობა გულღიაობა არის, მთვარე მომხიბლავად გამდყიმებელი გრძნობისა, გული დაუცხრომელი ტოლს ეძებდა, სული შფოთავდა და მიიბრძოლებოდა პატრონისაგან გაუგებარს საგნისკენ. ...ყველა ყმაწვილი კაცი დაეძებდა ტოლად ქალსა, ყველა მიდიოდა ღამაზ მუშა ქალებთან, მდაბლად, კოხტად. სიამოვნების ღიმილით ეუბნებოდა: საღამო მშვიდობისა, M-lle, ნებას მომცემთ თქვენთან ვიარო?“ და პასუხად ესმოდა: „დიდის სიამოვნებით!“ და ცოტა ტიტინის შემდეგ, ქალი, კაცითგან მიპატიჟებული, ხელგაყრილი კავალერის მკლავში, ჩაის დასალევად მიდიოდა. ჩაის მოსდევდა შტოფი არაყი და სელიოტკა, სიმღერა და შემდეგ... შემდეგ დამეგობრება, რომელშიაც ილეოდა ყმაწვილობის მილტოლვილება!..“ (ყაზბეგი 1950: 245-246).

ღმერთო, რამდენი წლის უნდა გახდეს კაცი, რომ მიაგნოს ამ „გაუგებარს საგანს“ და არ განიხიბლოს, „ყმაწვილურ გულღიაობას“ ცოტა გონიც დაატანოს და მართლაც „გაუგებრობის მსხვერპლი“ არ გახდეს, როგორც ეს რუსეთში ალექსანდრე ყაზბეგს დაემართა...

ახლა ჩაეხედოთ დავით კარიჭაშვილის ბმ წინასიტყვაობას 1904-1905 წლებში გამოცემული ყაზბეგის ერთტომეულისათვის, რომელიც ამ წიგნის ბიბლიოთეკებში შემონახული ეგზემპლა-

რების უმეტესობიდან საგულდაგულოდ ამოუხეიათ „მორალისტ“ მკითხველებს: „1870 წელს რუსეთში ყოფნის დროს ყაზბეგი ავად გახდა ავის სნეულობით და საქართველოში დაბრუნდა ავადმყოფი. დედა მისი აღნიშნავს, რომ სანდროს მორჩენაზე თხუთმეტი თუმანი დაიხარჯაო“ (ყაზბეგი 1904: XXIX).

ყაზბეგის სიკვდილის შემდგომ, ანტონ ფურცელაძე გაზეთ „ივერიაში“ იგონებდა: „მე ვიცნობდი ალ. ყაზბეგს პატარაობიდანვე, ვიცოდი რა აღზრდაცა ჰქონდა, რა გზაზედაც ჰყო დაყენებული. დედის-ერთა, ნებიერი, ხიჭიჭიდანვე ლამაზ გამზრდელებში გართული...“ და მერე უკვე მის დაბრუნებას რუსეთიდან, საიდანაც: „...გამოისტუმრეს მთლად მოშლილი, ჩაფუშული სახით, მოშვებული ტანით, მოღებული ჯანით, ჩამქრალი თვალებით. ასე რომ, დაბრუნებული თავის ქვეყანაში, ის ჩრდილიც არ იყო იმ მშვენიერი, ცოცხალი და მალხაზი ყაზბეგისა, რომელსაც ჩვენი ვიცნობდით წინად“ („ივერია“, 1898, № 52).

ეს ყოფითი დრამა ვახტანგ კოტეტიშვილმა შემოქმედებითი ფსიქოლოგიის იშვიათი წვდომით (განსწავლულობითაც, რაღა თქმა უნდა), დიამეტრალურად განსხვავებულ განზომილებაში დაინახა: „მე მგონია, რომ ალ. ყაზბეგის მზგავს ადამიანებს, შემოქმედებამდე და შემოქმედების პროცესშიც, თუ არ დაემტვრათ ცხოვრება, ისე შეუძლებელიც არის მათი შემოქმედება“ (კოტეტიშვილი 1925: 40). როგორი გაბედულებაა საჭირო ამ ეროი პარადოქსული ფრაზის წარმოსათქმელად! ცხადია, მრავალი მაგალითი მოჰყავს და ლომბროზოს „გენია და შეშლილობაც“ მაგიდაზე უდევს, მაგრამ მაინც, როგორ გინდა ამდენ „ტოტემსა“ და „ტაბუს“ შორის მომწყვდეული მკითხველი დააჯეროთ, რომ სევდნიერი და ამჩატებული ყმაწვილი სულისშემძვრელი ნაწარმოებების ავტორი გახდა მას შემდეგ, რაც მთელი თავისი ილუზიები თავს დაემხო და, გარეშემოთაგან, ზურგშექცეულმა, სულის სიღრმეში ტკივილისაგან გადახსნილ ნაპრალში დაინახა თავისნაირად უიღბლო, შმაგი, საკუთარი თუ თვისტომთა ბედით გულდათუთქული, განკიცხული არსებანი...

სტეფანწმინდაში მოგვიწევს შეყოვნება მოსკოვიდან დაბრუნებულ სანდროსთან ერთად, რომელიც დედამისს გამაოგნებელ სიურპრიზებს უწყობს და ისეთ დრამებს აყურებინებს, სცენაზე არაფრით რომ არ გამოუდიოდა...

ყაზბეგების სიძე, ივანე ფურმანი, რომელსაც 1870 წლის ნოემბერში სანდრო მოსკოვიდან სტეფანწმინდაში უნდა ჩამოეყვანა, გზიდანვე უგზავნიდა „ინსტრუქციას“ ცოლს: „...გააფრთ-

ხილე დედა, რომ მოერიდოს არამც თუ საყვედურს, არამედ მეტს კითხვებსაც. სთხოვე ჩემ მაგიერ, ასე მოიქცეს საერთო სარგებლობისათვის“ (ყაზბეგი 1904: XX-XXI).

მთავარი კითხვა, რომლის ამოთქმასაც ვერ ბედავდა ვერც ერთი შინაური, რაღა თქმა უნდა, სანდროს რუსეთში არშემდგარ დაქორწინებას ეხებოდა: მაინც რა მოხდა ისეთი ამ სოფელ ჩერვლენოეში (მოსკოვის სიახლოვეს), რომ უკვე დანიშნული ჯვარისწერა ჩაიშალა; ვინ იყო ის წარმატაცი ნინა ჩერნიშოვ-კრუგლიკოვა, სანდრო რომ მოაჯადოვა; და, საერთოდ, იყო კი? თუ მთელი ეს ლამაზი ზღაპარი სანდრომ შეთხზა, დედისათვის ფულისა და ძვირფასეულობის გამოსატყუებლად?! მერამდენედ ფურცლავდა ღამღამობით ცრემლმორეული ელისაბედ ყაზბეგი სანდროს რომანტიკული წიაღსვლებით სავსე წერილს და პასუხი ვერ გაეცა ამ კითხვებისათვის – ხან ერთს დაასკვნიდა, ხან იმის საპირისპიროს, და განა მარტო ელისაბედი?! ყაზბეგის ბიოგრაფთა დიდი ნაწილი დააბნია ამ კითხვამ... საბოლოო პასუხი კი 1949 წელს ივანე ლოლაშვილის პუბლიკაციიდან გახდა ცნობილი („ალ. ყაზბეგი სოფ. ჩერვლენოეში“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, 19 ივნ.), საიდანაც ჩანდა, რომ ჩერნიშოვ-კრუგლიკოვის ქალის ისტორია სრული სიმართლეა; ლოლაშვილი პასუხს სცემდა მეორე კითხვასაც – თუ რატომ ჩაიშალა ეს ქორწინება და აქ ყაზბეგის ავტობიოგრაფიულ ნარატივს („საქართველოს ბიმონდი“, 1870) ი'შველიებდა, რომელშიც ეროვნული თავმოყვარეობა მთავარ გმირს სიყვარულს დაათმობინებს. მართლაც ამ სცენარით წარიმართა რომანტიკული დრამა ჩერვლენოეში, თუ იყო კიდევ რაღაც, ჩვენთვის უცნობი მი'ზეზები, დღესაც ინტერესს იწვევს და პირდაპირ მიუყვართ იმ თემასთან, რომელსაც ჰქვია:

შეყვარებული ყაზბეგი. პუშკინისაგან განსხვავებით, სანდროს თავისი „დონ-ჟუანური სია“ არ დაუტოვებია. არც უან-უაკ რუსოსათვის მიუბაძავს და ნახევარი საუკუნის შემდეგ თავის „აღსარებაში“ არ გამოუმზეურებია „ბავშვური ეროტიზმის“ დაუჯერებლად დრამატული სამყარო... მისი პირველი ენებების ისტორიას ხევში ჩამოწოლილი ნისლი ფარავს; სიჭაბუკის წლებ'ზე კი ერთადერთი მონაყოლია შემორჩენილი და თან, ძალიან სევდიანი: 18 წლის სანდროს შეჰყვარებია ძიძი'შვილის მული – ძიძია, სოფელ გარბანიდან... აბა, რომელი 16-17 წლის სოფლელი გოგოს გული არ შეტოკებოდა, თვალებანთებული, მომხიბლავი ახალგაზრდა ბატონის დანახვაზე... ძიძიაც, რა

გასაკვირია, სანდროს ყოველსწამლეკავი ემოციურობის ტყეობაში მოექცა და მხოლოდღა ულმობელ ადათს დამორჩილებულმა, უფროსი ძმების დაუინებით (ეგ შენი მომყვანი არ არისო!), გამოესალმა თავის სატრფოს... მალევე დაჭლექდა... „სანდროს სახელის ხსენებით დალია სული ხევის ჯულიეტამ“. იმავე გადმოცემით, მის საფლავზე სანდრომ ფიცი დასდო, რომ სხვას არავის შეირთავდა ცოლად... აკი შეასრულა (თუმცა, ვგონებ, სხვა მიზეზის გამო... ამაზე ქვემოთ). ერთი კი ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ, ჩვენი პროზის „თავადიშვილ“ პერსონაჟთაგან განსხვავებით, ყაზბეგი მართლაც შესძრა ამ ტრაგედიამ, რაც იგრძნობა კიდეც მის ნაწარმოებებში.

ყაზბეგის ახლობელთა მოგონებებში ვერაფერს ამოიკითხავთ ძიძიას გარეგნობაზე, მაგრამ აქ ის თვითონ შეეშველა „ბიოგრაფოსებს“ და დაგვიტოვა ქეყანაზე ყველაზე სასურველი, ყველაზე მაცდური, ყველაზე მომხიბლავი ყმაწვილი ქალის პორტრეტი, რომელიც ჩვენ სკოლის მერხიდან გვახსოვს: „ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე ასაკზე მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში აღელვებული სისხლი ქაფდება, სდუღს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიიღტვის რაღაცა ჯერედ უცნობი ბედნიერებისაკენ და თროთოლვით შესთამაშებს ყვაყილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვრება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზის თხელის ტუნებით; რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ. თეთრს-ყირმიზის, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლედ არ გადადიოდა; მოყუჟუნე ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულის გამგმირავს ისართ ისროდა; შავი, გრძელი წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და წვერილ, ხავერდისებრივი წარბები გრძლად გადასჭიმოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა, — სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო...“ (ყაზბეგი 1948ა: 251).

ვახტანგ კოტეტიშვილის კვალში ჩამდგარს, ხანდახან გინდა ყაზბეგის ყოველ უიღბლობაში (ან დაუდევრობაში) რაღაც, საპირისპირო შედეგის მაუწყებელი ნიშანი დაინახო... აი, ახლაც, გაიფიქრებ კიდეც კარგი, ის მუყაითობა, სანდრომ მწერლობაში რომ გამოიჩინა, სტუდენტობისას არ ჰქონია, თორემ ხომ შეგეძრებოდა ხელთ მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-

სამეურნეო აკადემიის (ტიმირიაზევის სახელი რომ მიენიჭა შემდგომ) კურსდამთავრებული აგრონომი ბრწყინვალე განათლებითა და შესატყვისი საქმიანობით, მაგრამ... არაფერი გეცოდინებოდა ძიძიაზე...

„შეყვარებული ყაზბეგის“ ბიოგრაფიიდან მოსკოვური, „დარდიმანდული“ პერიოდი მეტ-ნაკლები მიახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ; ჩერელენოეზე მან თვითონ უამბო დედამისს რაღაც ინფანტილური გულგადახსნითა და აღტაცებით... აი, მთელი დანარჩენი მისი ინტიმური ბიოგრაფია ისეთი იდუმალია, ისეა ფრაგმენტებად მიმობნეული მისსავე პროზაში და თანამედროვეთა მოგონებებში, რომ მხოლოდ წარმოსახვას თუ შეუძლია შეავსოს ის ავის მომასწავებელი სურათი, სადაც სულიერი სიფაქიზე და აგზნებობა უცნაურად და ამოუხსნელად მეზობლობენ ერთმანეთთან.

როდესაც გახსენდებათ ონისეს პირველი რეაქცია ძიძიას დანახვაზე, რაღა თქმა უნდა, 18 წლის გრძნობადაუოკებელი სანდრო ყაზბეგი წარმოგიდგებათ თვალწინ და გაიფიქრებთ, რომ ბევრი რამ ალექსანდრე ყაზბეგის ჭაბუკ გმირთა იმპულსურ ხასიათში უთუოდ ავტობიოგრაფიული შტრიხებია: აქ „მომეწონა“ – „შემიყვარდა“-ს სინონიმია, ხოლო სიყვარული ისეთივე აბსოლუტური ცნებაა, როგორც მასთან დაწყვილებული სიკვდილი. სასიყვარულო არჩევანი, როგორც წესი, ფატალურია, რაღგან გამორიცხავს უკან დახევას ან გადაფიქრებას: როგორ წარმოგიდგენიათ ელბერდი, რომელიც განუცხადებს ენდის, რომ მისი შვრთვა გადაიფიქრა და ნიშნად მიცემული დამბაჩის დაბრუნებას ითხოვს... ერთმანეთით დაინტერესებული ქალ-ვაჟის ურთიერთობის ის, ჯერ კიდევ უწყინარი, ეროტიკანარევი თამაში, რომელსაც „ფლირტი“ ჰქვია და რომელშიც უკინყლიქტო უკან დახევა – ჩვეულებრივი რამაა, ყაზბეგის „კავკასიურ საგაში“ შეუძლებელია: ეს მთაა, რომელსაც არ უყვარს შეყოვნება და გადაფიქრება; ეს კავკასიაა და არა ვერსალი...

რამდენ კითხვას ბადებს ალექსანდრე ყაზბეგის ყოველად უჩვეულო ბიოგრაფია?! ძიძიას საფლავზე დადებული აღთქმა ვახსენეთ. ახლა იმ აღსარებას მოვუსმინოთ, ოცი წლის შემდეგ რომ გაანდობს ზაქარია ჭიჭინაძეს: „რომ იცოდე, ზაქარია, თუ რანაირად მინდოდა ცოლის შერთვა, თუ რანაირად მიყვარს ყმაწვილები და როგორ მსურდა, რომ მე ჩემი საკუთარი შვილი მყოლოდა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ამ ბედნიერებას მოვაკლდი. ახლა ბევრს ვდარდობ, ბევრს ვნანობ, მაგრამ რაღა

დროს? ესწყეველი მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩემს ასე დარჩენას ხელს უწყობდნენ, ღმერთმა ჰკითხოს იმათ, ისინი იყვნენ ჩემი პასუხისმგებელნი“ (ცხოვრება 1988: 41).

ვინ არიან ეს ანონიმი პერსონები? ეგებ მისი სიჭაბუკის დროის „ერთადერთი მეგობარი“ ალექსანდრე ბახუტაშვილი („ბ“), რომელმაც შეაგონა, რომ „...მდიდარი რუსის ქალი ქართველს ვერ შეეწყობა და მომავალი მოწამლული გექნება“-ო და ახლა ჩერელენოეს მთელი დრამა იმას ჰბრალდებოდა: თუ ლიზა ყაზბეგი („განკიცხულში“ „სოფიოდ“ მოხსენიებული), რომელიც ესოდენ უცერემონიოდ ერეოდა ბიძაშვილის ინტიმურ ცხოვრებაში; თუ ლიზას ძმა – დიმიტრი („მიტკა“), თავისიეე ცქრიალა ოსმა მოახლემ შეიდი შვილი რომ გაუჩინა და ახლა სისხლს უშრობდა „ჯვარდაუწერლობის“ გამო; თუ... ეს მწკრივი, დაუსრულებელია. ადამიანი მისი ფსიქიკის არაცნობიერ სიღრმეში დაბუდებულ ირაციონალურ შიშებს და ფობიებს რომ აცნობიერებდეს და ადეკვატურ ახსნას უძებნიდეს, მაშინ ხომ ფობიებიც არ იარსებებდა... ყაზბეგის შემთხვევაში, იმ ფობიასთან ხომ არ გვაქვს საქმე, ოჯახური ცხოვრების პანიკურ შიშს რომ იწვევს და „გამეტოფობია“ რომ ჰქვია?!

ამ კითხვას, გოგოლის, მოპასანის, კაფკას ანალოგიურ ფობიათა მაკალითების მოხმობით, დამაჯერებელი პასუხი გასცა როსტომ ჩხეიძემ თავის „ყაზბეგიანაში“: „ერთი წუთითაც არ შეიძლება დაეეჭვდეთ მისი სიტყვების გულწრფელობაში, – წერს ავტორი ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ, – ჩაშლილ ქორწილს ეთნიკურ შეუთავსებლობას რომ დააბრალებდა, გეარტომობის სხვადასხვაობას, მაგრამ დამაფიქრებელი ისაა, რომ ნინო ჩერნიშოვ-კრუგლიკოვას ნაცვლად სასძლო ქართველი ქალი რომ ყოფილიყო, ნიშნობა მაინც საკალალოდ დასრულდებოდა; მიტკუი სხვა გამოიძებნებოდა, ცნობიერება სხვა მიზეზს მოიძებდა, მაგრამ სინამდვილეში იდუმალი ინსტინქტი წარმართავდა ყოველივეს და ის ააღებინებდა ხელს დანიშნულზე.

რუსი არა ყოფილა ძიძია, ვისი ხატებაც „ხევისბერ გოჩაში“ გადაეიდოდა; რუსი არა ყოფილა მაკრო მაღალაშვილი; არც ის უცნობი ქალი ყოფილა რუსი, მარიდ რომ გარდაისახებოდა „განკიცხულში“ (ჩხეიძე 2005: 539).

სტეფანწმინდაში დავბრუნდეთ, სადაც ალექსანდრე ბაგრატიონიდან ნანატრი საქმიანობითაა გატაცებული. გავიხსენოთ მისი „ნამწყემსარის მოგონებები“: „მე 18[71] წელს გადაეწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო. მომეველო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და

გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით საესე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თან სდევს.

მე თვითონ, როგორც მთის კაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად, ყველამ მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ“ (ყაზბეგი 1948ა: 443).

ყაზბეგის ყველაზე ულმობელმა ბიოგრაფმა, დავით კარიჭაშვილმაც კი არ გაატრიალა ეს პათეტიკური მონოლოგი: „...1871-1878 წლებში ყაზბეგი ტრიალებდა და მოქმედებდა მარტო ხევში... ხევის ბუნება, მისი სტიქიონურის მოვლენებით, მოხევეთა ზნე-ჩვეულებანი, მათი ჭირი და ლხინი, სიძულვილი მოხევეთა გაჭირვების და შეწუხების მიზეზებისა, ღრმად ჩაიბეჭდენ ყაზბეგის გულსა და ვონებაში და წაუშლელნი დარჩნენ მის სიცოცხლის დასრულებამდე...“ (ყაზბეგი 1904: XXII). თუმცა, ულმობელი, რისი ულმობელია, თუ იქვე იმასაც არ დასძენს, რომ ალექსანდრეს „საქმიანი“ წამოწყებები სტეფანწმინდაში, ყაზბეგის „მედუქნეობა“ იქნებოდა ეს, თუ „ფოდრიადჩიკობა“ (როგორც მაშინ იტყოდნენ, ანუ იჯარა) – კატასტროფული შედეგებით დამთავრდა.

ეს სურათი ოდნავადაც არაა გამუქებული. სხვა მემუარისტებთან ისიც შეგიძლიათ ამოიკითხოთ, როგორ დარჩა 1877 წლის ერთ მშვენიერ საღამოს, ძაუგის სასტუმრო „ლონდონის“ ბანქოს მაგიდის მწვანე მაუდზე არმიის საინტენდანტო სამსახურიდან თივის შესაძენ ავანსად აღებული 800 მანეთი...

„ყაზბეგიანთ სასახლეში“ სიტუაცია აშკარად დაიძაბა: მამულების მეტი წილი გაყიდულია; ფოსტას ხან სასამართლოდან გამოგზავნილი უწყებები მოაქვს, ხან – მევალეების წერილები (აქედან, ყველაზე უსიამოვნო, ჩერელენოვედანაა – სანდროს ოდინდელი კეთილისმყოფლის, მამუკა ჭაჭავაძისაგან

— ათი წლის წინ ვალად აღებულ 2000 მანეთს ითხოვს); ლიზამ თავატკივებული და გესლად ქცეული „ბიცოლას“ შიშით, სტუმრობას უკლო; მოკლედ, „...ქალბატონო, სახლში სკურჩობაა!“ — როგორც ყაზბეგთა სახლიკაცი, ორდანე იმეორებს ხოლმე...

სანდრო, თავის ოთახში ჩაკეტილი, ერთსა და იმავე საფიქრალს უბრუნდება: როგორ მოახერხა, რამდენიმე წელიწადში ასე გაეპარტახებინა მამისეული დანატოვარი?! რითი აიხსნება ყოველივე ეს?! მასზე გადმოსული „შთამომაელობითი სასჯელით“, თავისივე არაპრაქტიკული ბუნებით, ქართულ ხასიათში ესიდენ ამოუძირკვავი დაუდევრობით, თუ ყოველივეთი ერთად?! მიდი და გაიგე...

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1878 წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ალექსანდრემ ჩემოდნის ჩალაგება დაიწყო, რათა მეორე დღეს თბილისისაკენ მიმავალ დილიჟანსს დამგზავრებოდა (წავიდა ის დრო, სამ-სამი ეტლი რომ ელოდებოდა სახლის კარებთან!) და სამუდამოდ ამ ქალაქში დამკვიდრებულიყო. თბილისში იქამდეც ჩადიოდა, ცხადია; უყვარდა ახალ ნაცნობებთან თავმოწონება – კეთილშობილი იერით, თეთრი ჩოხით, ხელგაშლილობით... მოსკოვიდან წამოყოლილი „ჩამოღვენთილობის“ აღარაფერი ემჩნეოდა; მისივე მოთმა მოასულიერა და დაუბრუნა ჩვეული ხიბლი; ისე რომ, ახლა „თბილისის დასაპყრობად“ მზად იყო...

თბილისში ჩამოსვლისას იგი ერო-ერთ მეორეხარისხოვან სასტუმროში დაბინავდა ჩუღურეთში. მას მერე კიდევ რამდენიმე სასტუმრო და ბინის მეპატრონე გამოიცვალა, ეიდრე საბოლოოდ, „დროების“ რედაქციაში, ზემო სართულზე არ დაიდო ბინა.

თეატრი: თბილისში იყო ერთი ადგილი, რომელიც ამ გამოუსწორებელ მეოცნებეს ანდამატივით იზიდავდა და ეს თეატრი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი „რომანი თეატრთან“ ნებისმიერ სხვას გამოაფხიზლებდა, ყაზბეგი მთვარეულივით მიუყვებოდა ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას და არ იყო ქვეყნად ძალა, რომელსაც თეატრისადმი მისი ფანატიკური სიყვარული გაენელებინა...

ყაზბეგის თანამედროვეთა მოგონებებიდან გვახსოვს, როგორ ახალისებს პროვინციული ყოფის ერთფეროვნებას სანდროს „მონოსპექტაკლები“, როგორ უყვარს ეს მომენტალური გარდასახვანი: უბრი მწყემსიდან ან მედუქნიდან – იმპროზანტურ არისტოკრატად, და როგორ ტკბება მოხდენილი ეფექტით... დაუოკებელი წარმოსახვის პატრონს, ეტყობა, ნეტარების წუთებს ჰგვ-

რიდა კოლოსალური ემოციური მუხტის სცენაზე გახარჯვა. როგორც ჩანს, რაღაც მსგავსი ექსტაზი წერის პროცესშიც ჰქონდა: გამალებით, რაღაც შემოქმედებით ტრანსში რომ ავსებდა თაეთისი მორიგი შედევრის ფურცლებს... ალბათ, მართლაც უფრო ბედნიერი იყო იმ, წარმოსახული რაინდების გარემოცვაში, ვისთანაც ძმობა და მეგობრობა ეწადა ამ მარტოსულ და ნატანჯ იდალგოს...

თეატრში მოხვედრამდე, ჯერ კიდევ 14 წლის ყმაწვილს (მშობლების წაქეზებით, ცხადია), ილიასათვის უჩვენებია თავისი პირველი პიესა – „აღმზრდელნი“. ნეტავ სცოდნოდათ ამ თავგადაკლულ აღმზრდელთ, რა დათვურ სამსახურს უწევდნენ მართლაც ზეგარდმო ნიჭით ცხებულ შვილს თავისი „პროტექტორობით“: ჯერ იყო და ივანე კერესელიძეს (ერთხანს ქართულში რომ ამეცადინებდა სანდროს) ჟურნალ „ცისკარში“ (1859 №11) დააბეჭდვინეს ბიძამისის სანდროსადმი მიძღვნილი ყოვლად უნიჭო ლექსი და ორი წლის შემდეგ, ასევე გაუწაფავი ლექსი თავად სანდროსი – „ნანა მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე“ („ცისკარი“, 1861, №12). ოჯახური პატიჟმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, ეფექტი, როგორც ყოველთვის – ჩანაფიქრის საპირისპირო! იმდროინდელი პატარა ტყილისის, კიდევ უფრო მცირერიცხოვანი ქართველი მკითხველი ხომ ყველაფერს იმახსოვრებს; ყველა ახალ სახელს თავისი პირველი წარმატება-წარუმატებლობის ელფერი ახლავს და, საფიქრებელია, „ჩვენი მწერლობის ალაყაფის კარების გაღებაში“ ალექსანდრე ყაზბეგს არც ეს უმწიფარი დებიუტი დახმარებია და არც ილიასთან მიტანილი „აღმზრდელნი“. პირიქით თუ იქნებოდა...

არანაკლებ წარუმატებელი იყო უკვე ზრდასრული დრამატურგის დებიუტი: აქ საცოდავ მშობლებს ეეღარაფერს გაღაბრალებდი – სანდრო, თავისივე ინიციატივით, საესე ხურჯინით მიადგა „დრამატულ კომიტეტს“ და სტეფანწმინდიდან წამოღებული „ნობათი“ – თერთმეტი „დრამაკომედია“ (ზაქარია ჭიჭინაძის ნეოლოგიზმია!) გადმოულაგა მაგიდაზე: „მათ განიხილეს პიესები, მაგრამ სასცენოდ არც ერთი არ მოიწონეს და ხელნაწერები უკან დაუბრუნეს, – იგონებდა ზაქარია, – ალ. ყაზბეგს დიდად ეწყინა, ამბობდა: აქ თუ მტრობა არ არის, ნუთუ თერთმეტ პიესაში ერთი პიესა მაინც არ აღმოჩნდა ღირებული: ეს მე არ მჯერაო!“ (ცხოერება 1988: 34).

წარმოდგენაც კი გიჭირს ამ სურათისა: ამპარტავანი ახალგაზრდა მოხეევე, დაზაფრული, როგორ დგას მაგიდასთან

და დასტა-დასტად როგორ ალაგებს იმ თავის ხურჯინში დაწუნებულ პიესებს...

ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი დაარწმუნებდა ალექსანდრე ყაზბეგს, რომ მისი ავტორიტეტული შემფასებელნი ტენდენციურნი არ იყვნენ, – ზუსტად ისევე, როგორც იმათ ვერ გადაარწმუნებდი, რომ კიდევ ერთ ახირებულ გრაფომანს გადააწყდჩენ. ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამგვარ აღსარებასაც ცრემლი არ მოადგეს: „დავდიოდი ჩემს დედაქალაქში, ჩემს მოძმეთ შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოდა, ისე განუსაზღვრელად ეახლოებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს ჩემთა შორის დავდიოდი მარტო, განცალკევებული, როგორც გზადაკარგული უდაბნოსა შინა!“ (ყაზბეგი 1950ა: 189).

საბედნიეროდ, მაინც გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი არსება, რომელსაც გული აუჩუყა ამ დიდი, გაბუტული ბავშვის ყურებამ... რაღა თქმა უნდა, ქალი იყო – მაკო საფაროვა-აბაშიძისა: „ტარეგნული შეხედულება ისეთი ჰქონდა სანდროს, რომ სილამაზით იმასთან ჩვენს დასში ვერავინ მოვიდოდა, – იგონებდა მაკო საფაროვა, – ტანადი, დიდრონი, მომცინარე, ჟუჟუნა თვალები, მშვენიერი ტუჩ-კბილი, ჩაცმული ხომ ისე იყო, რომ ჩვენს ღარიბ სცენას თავის დღეში არ ჰყოლია ისეთი მოროული არტისტი თვით წარმოდგენის დროსაც. ამასთანავე, წრეს გადასულიც ზრდილობიანი იყო. აი, ასეთი იყო გარეგნულად ახალგაზრდა სანდრო, როდესაც ერთხელ, ჩემი ავადმყოფობის დროს, ჩემმა ქმარმა, ვასო აბაშიძემ შემოიყვანა ჩემთან საწოლ ოთხში და თან დაუმატა: – ეს არის სანდრო ყაზბეგი, რომელსაც ჩვენთან ერთად უნდა მუშაობა ქართულ თეატრში და, აბა, შენ იცი, როგორ შეუწყობ ხელსო... მე, ცოტა არ იყოს, ავიმრიზე, რომ ლოგინში მწოლარეს თავს დამაყენა ასეთი ჟრანტი, მაგრამ შემდეგ, როცა შინაურულად გაეცანი, დილით საღამომდე ჩვენსა იყო ხოლმე, მიზიდავდა აუარებელ ხილს და ყოველის ღონით ცდილობდა ჩქარა მოვღონიერებულიყავ, რადგანაც უნდოდა, ჩემთვის წაეკითხა თავისი პიესა, არ მახსოვს „აღმსრდელები“ თუ „ცხოვრების თანამოგზაური“, ამ ორში ერთი. როდესაც წამიკითხა, არ ვიცი, პიესის შინაარსმა თუ ჩემი ორგანიზმის სისუსტემ, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ისტერიკა მომივიდა. სანდრო წამოხტა აღტაცებული, ცრემლები გადმოსცვიედა, თან ტიროდა და თან იძახოდა: – ღმერთო ჩემო, აი, როდის ვიგრძენ მე პირველი ბედნიერება, ჩემმა პიესამ ტირილი გამოიწვიაო“ (ცხოვრება 1988: 39).

მაკო საფაროვა მარტო ამ ეროი გულსაკლავი მიზანსცენისათვის სამუდამოდ ეყვარებოდათ ალექსანდრე ყაზბეგის თაყვანისმცემლებს; ეყვარებოდათ ქალური გუმანის გამო, რომელმაც უკარნახა, რომ ამ მოკრძალებულ, თეატრალთაგან განაწყენებულ ახალგაზრდა კაცს, მომხიბლაეს, მაგრამ რაღაც ტრაგიკული ნაჭდევით დათრგუნულს, სწორედ იმ წამს სჭირდებოდა თანაგრძნობა და გამხნევება, მოლად რომ არ დაეკარგა რწმენა – თაყის თაყისაც და ზოგადად – ადამიანებისაც; პიესა როგორი იყო და რა ერქვა – ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა. ცრემლისმომგვრელი კი, რაღა თქმა უნდა, იყო ეს ყველაფერი...

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1880 წ. მაისის 13 – თბილისის საზაფხულო თეატრის შენობაში იმართება მაკო საფაროვას ბენეფისი. ქართული დრამატიული დასი პირველად წარმოადგენს ა. მოჩხუბარიძის ოთხმოქმედებიან დრამას „ეროი უბედურთაგანი“ (ქრონიკა 1998: 38).

ახლა მოვუსმინოთ, როგორ იხსენებს მართლაც რომ ეროი უბედურთაგანი იმ საღამოს და ოთხმოქმედებიან დრამას, რომლის „სცენისშემდგომი გაგრძელება“ სულ უფრო და უფრო ემსგავსება ტრაგედიას: „...პიესის გათავების შემდეგ საზოგადოებამ კიდევ რამდენჯერმე გამომიწვია ტაშის ცემით. გამომიწვია და ამით გათავდა ჩემი სიამოვნება, რადგან ამ გვარის მიღებით ჩემი მოწინააღმდეგენი კიდევ უფრო გააბრაზა და განაზარახა ლიტერატურაში, გასეთების საშუალობით, გამოელაშქრათ ჩემზედ. მე ჯერ კიდევ კულისებს უკან ვიდეგ და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემის თაყისთვის, როდესაც ერთბაშად გამოვეფხიზლდი სცენის მოსამსახურეების ბრახა-ბრუხზედ... მარტოკა, სრულიად ობლად დარჩენილი ვიდექი მე.... გულს რაღაცამ მოუჭირა, ვიგრძენ სიმარტოვე და ამოიხვრასთან ერთად გავწიე შინისკენ“ (ყაზბეგი 1949: 621).

როგორ გვაგონებს ყაზბეგის ეს შინ დაბრუნება სახლისაკენ ეულად მიმავალ გალაკტიონს ელბაქიძის დაღმართზე, მისივე საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ (ოპერის თეატრში, 1958 წლის 29 დეკემბერს); როგორ ჰგავს ერთმანეთს ეს ორი უცნაური, მარტოსული და იჭვნეული პოეტი. რა გასაკვირია, რომ სწორედ გალაკტიონთან ამოვიკითხავთ ყაზბეგის სულიერი სამყაროს იშვიათად ფაქიზ ჩანახატს: „...არცერთს მის თანამედროვეთაგანს არ განუცდია ის შემაშფოთებელი სიცოცხლის დრამა, რომელიც წილად ხვდა ალექსანდრე ყაზბეგს, ნახევრად შეშლილს, ნახევრად წმინდანს. არავის უტარებია ისე, როგორც

შას, ეკლის გვირგვინი, რომლის წვეტები ჩხვლეტენ მის გაფითრებულს, მაღალ, გონიერ შუბლს“ (ტაბიძე 1975: 67).

საბაფხულო თეატრის „დრამებს“ დაეუბრუნდეთ: 13 მაისს როდ იწინასწარმეტყველა ყაზბეგმა თეატრალური რეცენზენტების „გამოლაშქრება“, 16-ში აუწყდა:

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1880 წ. მაისის 16 - გაზეთი „დროება“ (№103) ბეჭდავს მიმოხილვას „საფაროვას ქალის ბენეფისი“, სადაც „მიმოხილვის“ ავტორი წერს: „...ესრედ წოდებული დრამა მოჩხუბარიძისა, ესრედწოდებული-მეთქი, რადგან ნამდვილად მოჩხუბარიძის პიესაში არავითარი დრამა არ მოიპოვება. თუ იყო რაიმე დრამატიული ნინოს ცხოვრებაში, ავტორმა დამალა ანტრაქტებში“. და იქვე რეცენზენტი დასძენს: „აქტიორებმა როლები კარგად იცოდნენ უფ. მოხევის გარდა“ (ქრონიკა 1998: 38).

ამ შემოტევებით დაბნეულმა ავტორმა ხუთჯერ გადააკეთა თავისი დრამა და, საბოლოოდ 1881 წ. 1 თებერვალს წარმოადგინა უკვე როგორც ორ-მოქმედებინი კომედია. ამ დადგმას „დროება“ (1881 წ. №25) კიდევ უფრო სარკასტული რეცენზიით გამოეხმაურა, რასაც წყობიდან გამოსული ყაზბეგის გაღიზიანებული პასუხი მოჰყვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი „ნაცნობობის“ შემდეგ, სწორედ „დროება“ შეიფარებდა ამ აძაგრულ მოხევეს...

„დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი იყო მისი მწერლობის ნათლია, ლალაცა და წამქეზებელიც, — იგონებდა ყაზბეგთან იმ წლებში დაახლოებული ჟურნალისტი და მწერალი ილია ჭყონია, — პირველად სანდროს ნაწერებთაგან დაიბეჭდა „დროების“ ნომრებში მისი ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევისა, რაც მაშინვე გაღაითარგმნა რუსულად რაფიელ ერისთავის მიერ და გამოქვეყნდა „რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კაეკასიის განყოფილების ცნობებში“. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყო მისი ბელეტრისტული ნაწარმოებთა ბეჭდვა და 1885 წლამდე მან დაწერა და დაბეჭდა ყველაფერი, რაც კი შექმნა მისმა ნიჭმა...“ შემდგომ ილია ჭყონია იხსენებს, როგორ აიძულა „დროების“ რედაქციაში „შემობოდიალებული“ ყაზბეგი მორიგი ნომრისათვის სასწრაფოდ რაიმე დაეწერა... უცებ გამძელება თავში ახრმა — შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეტში, ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამიწერდა გაზეთისათვის. ასეც მოვიქეცი.

ორი საათის შემდეგ, მან გადმომცა სწორედ მაშინ დაწერილი ის პატარა, ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელად ჰქვია „ციცკა“ (ცხოვრება 1988: 222).

ჩავთვალოთ, რომ ის ორი საათი ყაზბეგი თავის „დაბადების მოწმობას“ ავსებდა, თავისი მწერლობის დასტურს, პირველ გაცხადებას იმ უბადლო ნიჭისა, რომლითაც, ბედის ყველა უკუღმართობის საზღაურად, დააჯილდოვა განგებამ.

ავტორზე არანაკლებ ბედნიერი, ეგონებ, სერგეი მესხი იყო: „უნდა შეგვეწიო, სანდრო! — პირველადმომჩენის პათოსით ამხნევებდა იგი „დროების“ დებიუტანტს, — უნდა შეეწიო მამულს, საქვარელ ხალხს, ლიტერატურას, პრესას. შენ ბეერი ისეთი რამე იცი, ან დაწერილი გაქვს, როგორიც „ციცკაა“! ღღეიდან ყველაფერი განზე უნდა გადასდო, ყოველივე პირადი დაიცწყო და წერო, წერო და მხოლოდ წერო!“ (ხუციშვილი 1967: 12).

ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული დებიუტის (ეთნოგრაფიული მიმოხილვის ჩათვლით) რამდენიმე აღწერა არსებობს, მაგრამ ყველაზე გაწონასწორებული, ეგონებ, დაეით კარიჭაშვილის მონათხრობია: „ციცკაში“, ...რა თქმა უნდა, ფრიად მცირე სამზღვრებში, მოთავსებულია პლანი, ხასიათი, მიმართულება და ღირსება მის საუკეთესო ნაწერებისა. ამ ორის თხზულებითაან შეიძლებოდა კაცს დაენახა, რა ღირსების და მიმართულების მწერალიც უნდა ყოფილიყო ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ ბევრმა, ან უკეთ ვთქვათ, ვერავინ დაინახა და ყაზბეგის შესახებ ისევ იმავე ასრისა იყვნენ, როგორც წინად, ე. ი. წარმოედგინათ როგორც ერთი ფუქსავატი და ქარაფშუტა კაცი, რომელსაც არაფრის რიგიანის დაწერის შნო არა აქვს და არც არაკითარი აზრი არ უტრიალებს თავში. მხოლოდ ს. მესხი თუ გრძნობდა, რომ ა. მოსხუბარიძეს შეეძლო „დროებისათვის“ სამსახური გაეწია თავის თანამშრომლობით და აკი ამიტომაც უყვავებდა და აქეზებდა საწერად. ამ წაქეზებამ გაჭრა და ყაზბეგმა 1881 წლის იანვრის 18-ითგან (უნდა იყოს: „ივნისის 18-ითგან“ — ს. ა.) „დროებაში“ იწყო ბეჭდვა დიდის მოთხრობისა, რომელსაც ჰქვია **ელგუჯა**. ამ მოთხრობის მკითხველნი აღტაცებაში მოვიდნენ. ასეთის მარჯვე კალმით, ასეთის მხატვრობით და ასეთის ოსტატობით ჯერ კიდევ არ დაწერილიყო მოთხრობა ქართულს ენაზე“ (ყაზბეგი 1904: XXVI).

ელგუჯას სახელი სამუდამოდ დაამახსოვრდათ გაზეთ „დროების“ იმ მკითხველთ, რომელნიც სუნთქვაშეკრულნი ადევ-

ნებდნენ თვალს მოხევე რაინდის საბედისწერო თაეგადასავალს და სულმოუთქმელად ელოდნენ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლას; ან მარტო ის ეპიზოდი რად ღირს, „დროების“ სტამბაში ასოთამწყობნი ელგუჯას სიკვდილს რომ ვერ შეეგუნენ და ავტორი აიძულეს, მოთხრობის გაგრძელება დაეწერა.

ლიტერატორთა გამოხმაურებათაგან ქველაზე ყურადსაღები გრიგოლ ორბელიანისა იყო. მისი აღტაცებული მინაწერები „დროების“ არშიებზე ასე მთავრდებოდა: „...ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძეე, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიცა მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ჯერ ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა რა“.

ერთი შეხედვით, ქართული მწერლობის პატრიარქის ესოდენ მაღალი შეფასება მაიმედებელი უნდა ყოფილიყო წახალისებას დანატრებული ყაზბეგისათვის, მაგრამ, არც ამგვარი აღტაცება იყო საყოველთაო: „ორბელიანს რა ჭკუა მოეთხოვება! დღეს ქართულ მწერლობას თვალი უნდა ეჭიროს ფსიხოლოგიურ სკოლაზე, დოდე, მოპასანი, ვუნდტი და ლომბრიზო უნდა გექონდეს მაგალითადო“, – „ინტელექტუალურობდა“ დავით კეზელი, ერთ-ერთი – „შეუბრალებელის უგულო ხალხისაგან“...

1882 წლის იანვრიდან „დროება“ იწყებს „მამის მკვლელის“ გამოქვეყნებას (კვლავ გრიგოლ ორბელიანი წააწერს საგაზეთო გვერდის არშიაზე – ქართველი ჰომეროსიაო!). იმავე წელს „დროებაში“ ერთიმეორის მიყოლებით ქვეყნდება „ფათერაკი“, „ელბერდ“, „ჩინოსანიკი ელურიძე“, ხოლო ჟურნალ „ივერიის“ მეათე ნომერში კი – „ელისო“, რომლის განწყობილება და გარემო ასე ეხმიანებოდა ყაზბეგის „კავკასიური საგის“ მეორე შედევრს – „ელბერდს“.

სწორედ ამ პუბლიკაციების შეფასება იტყვიროა ევროპიდნ ახალდაბრუნებულმა იონა მეუნარგიამ, რომელსაც ევროპეიზმის ადეპტად მიაჩნდა თავი და, თუმცა „ელგუჯას“ პუბლიკაციას კეთილგანწყობილი რეცენზიით გამოეხმაურა, ერთი წლის შემდეგ (თითქოს იმ, პირველი აღტაცების გატრიზაეება უნდაო), გამოაქვეყნა უსიამოვნოდ მენტორული ტონით დაწერილი სტატია ყაზბეგის ბოლოდროინდელი შემოქმედების შესახებ („ალექსანდრე ყაზბეგი“, „ივერია“, 1883 №1).

გავა წლები და, იონა მეუნარგიასაგან განსხვავებით (ირონიულად რომ წერდა ყაზბეგზე: „მისი ნაწერების ტერიტორია ლარსით იწყება და დუშეთში მთავრდებაო“), კიტა აბაშიძე „ელისოს“ ყაზბეგის საუკეთესო ნაწარმოებად ჩათვლის და

დაწერს, რომ მოხევე ვაჟიასი და ჩენი ელისოს სიყვარული „ეჩვენება მთელი კავკასიის ხალხის შეერთების სიმბოლოდ“.

ეს კავკასიური ერთიანობა ხომ საერთოდ იდეა-ფიქსი იყო ალექსანდრე ყაზბეგისა, მხოლოდღა მის „კავკასიურ საგაში“ განხორციელებული... მარტო ის რად ღირს, სახელი „ელბერდ“ როგორ გასდევს მთელ მის ცხოვრებას: „გახსოვს ჩეჩნელი ელბერდ, – წერდა თავისი მეცხვარეობის დროინდელ მეგობარს, სვიმონ ჩეკიაშვილს („ჩეკიენთ სიმონას“), – ჩვენი მასპინძელი, გახსოვს იმისი სახლობა? გახსოვს ყაზახების სტანიცები, ჩენთ სოფლები, გრო'ზნა, მინდორი, მთა, ტყე? გახსოვს, რამდენ მშვენიერ სურათებად ეხატებოდა ჩვენს თვალებს და ისე აკვირვებდა ბუნების სიმდიდრე? მე ყველა ეს ისე ცხოველად მეხატება თვალწინ, ისე ცოცხლად მაგონდება, თითქოს გუშინ იყოს მომხდარი!“ (ყაზბეგი 1950ა: 212-21).

„ციკოც“ „იეერიაში“ დაიბეჭდა, მომდევნო, 1883 წლის იანვარში. ამ მოთხრობის პროტოტიპების მოსაძებნად ყაზბეგს შორს წასვლა არ დასჭირვებია: გიორგი ნათაძის თქმით (რომელიც მასწავლებლობდა სტეფანწმინდაში ყაზბეგის გარდაცვალების შემდეგ), ციკოს ეტყობოდა, რომ „ახალგაზრდობაში საოცარი სილამაზისა უნდა ყოფილიყო... თავის რძალ სალომესთან ერთად ხშირად იყო ყაზბეგიანიასა, მიხეილის ოჯახში და არწვევდა სანდრიოს აკვანს...“ (ყაზბეგი 1948ა: 510). მრავალი თაყვანისმცემელიც ჰყოლია...

თაყვანისმცემლები არც ლიტერატურულ „ციკოს“ აკლდა და აქედან პირველი, „ბოსლეველის“ ფსევდონიმს ამოფარებული, გასვეთ „შრომის“ მიმომხილველი ესტატე ჭელიძე იყო. ბედის ირონიით, ცოტა ხანში, სწორედ ეს, ქუთაისში გამომავალი გაზეთი იქცევა მთავარ ტრიბუნად ილია ხონელისა და დავით კვესელისათვის ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურულ თუ თეატრალურ საქმიანობაზე საქილიკოდ. ამ დუეტს ავქსენტი ცაგარელიც „წაეშველა“: ქართული ბომონდის ნებიერი „ასიკო“, „ხანუმას“ ავტორი, ნატო გაბუნიას ქმარი, რომელიც ასე უქებდა არსაქებ ლექსებს მიამიტ მოჩხუბარიძეს და მერე თავს იმართლებდა: „სანდროს ერთი სპილოს ძვლის ხანჯალი აქვს, ოქროს ჩუქურთმიანი, მინდა ის დავცინცლოო...“ (სოსიკო მელიქი'შვილის მოგონება, ჟ. „დროშა“, 1924, №№15-17).

მოჩხუბარიძე კი, ამ დროის თან გზადაგზა იგერიებდა ოპონენტებს, თან ფანატიკური გატაცებით განაგრძობდა წერას და სცენაზე თამა'შს. აქ, სცენაზე იგი უკვე „ა. მოხეის“ ფსევდო-

ნიმით იყო ცნობილი და ისედაც მგრძნობიარე ნატურა, ავადმყოფურად განიცდიდა, როდესაც თეატრალური რეცენზენტები ყოველად უდიერად იხსენიებდნენ მის სახელს; ყოველი მსახიობისათვის ესოდენ ნანატრი აპლოდისმენტები და საქებარი სიტყვები პრესაში, როგორც წესი, „ქართული სცენის ტრფიალს“, მხოლოდ მოცეკვავის ამპლუაში ერგებოდა ხოლმე: „ალ. ყაზბეგს, როგორც ბაყშვს, ცოტა რამ სწყინდა და ცოტა რამ ახარებდა, – წერდა იოსებ გრიშაშვილი, – რეცენზენტებისაგან უარყოფილი, იგი ცეკვით იმხიარულებდა თავის ჟინიან არტისტობის ბუნებას. მოწმეთა ჩვენებით, მას ცეკვაში ბადალი არა ჰყოლია“ (გრიშაშვილი 1948: 73).

დროდადრო თეატრალი კოლეგები მაინც უწყობდნენ ხოლმე თავიანთ „გერს“ პატარა დღესასწაულებს: ასეთი იყო 1882 საახალწლოდ მოწყობილი საღამო, როდესაც სცენაზე მისი პიესა „არსენა“ წარმოადგინეს. სტეფანე ჭრელაშვილმა, ყაზბეგის ერთგულმა გულშემატკივარმა, თავის რეცენზიაში „არსენა“ დავით ერისთავის „სამშობლოს“ შეადარა და ამ გაბედული პარალელით ბედნიერების ერთი დღე ნამდვილად აჩუქა ნირწამხდარ ავტორს. სხვათა შორის, ამ პიესას (დანარჩენთაგან განსხვავებით) მართლაც ხანგრძლივი და საკმაოდ წარმატებული სცენური სიცოცხლე ჰქონდა.

1884 წლის საახალწლო დღეებში ალექსანდრე ყაზბეგს ერთი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: თეატრის მიერ უკვე დაანონსებული მისი ბენეფისი, რომელზედაც „წამება ქეთევან დედოფლისა“ უნდა წარმოდგენილიყო, გადაიდო, „რადგან სასულიერო მთავრობისაგან აკრძალული იქმნა“.

„განკიცხული“: სამაგიეროდ, მეორე სიახლე ყაზბეგისათვის მართლაც მნიშვნელოვანი გახლდათ (თუ რატომ; ცალკე მრსაყოლია): თებერვლის დასაწყისში გამოდის ჟურნალ „იკერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც იწყება მისი ავტობიოგრაფიული რომანის „განკიცხულის“ გამოქვეყნება. როგორც ჩანს, ამ ხერხით „საქართველოს ბომონდთან“ უნდოდა ანგარიშსწორება და, იმავდროულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თვითრეაბილიტაციაც“ იმ მკითხველის თვალში, რომელსაც (ყაზბეგის ეარაუდით, სწორედ „ბომონდის“ მცდელობით) ეგზომ შებღალულად წარმოესახა მისი ბიოგრაფია. ამიტომ იყო, რომ „განკიცხულში“ ავტორმა მინიმუმამდე დაიყვანა ლიტერატურული პირობითობები და პრაქტიკულად წაშალა ზღვარი რომანის პროტოტიპებსა და პერსონაჟებს შორის. ეს გარემოება საზგასმულია რომანის კომე-

ნტარებშიც: „პორფირუშკად ავტორის მიერ მონათლულია პორფირე ბარ-შვილი, სოფიოდ – ელისაბედ ყაზბეგი და ლევანად – თვითონ ავტორი... ალ. ყაზბეგს შეჰყვარებია თავისი ნათესავი ქალი, მაგრამ ნათესაველი ამხედრებიან მას და შერთვის ნება არ მიუციათ. ქალი კი გაუთხოვებიათ პორფირე ბარ-შვილზე“ (ყაზბეგი 1948ა: 514).

მთავარი ინტრიგა ამ „პროტოტიპების ხლართში“ – „სოფიოდ“ მონათლული ლიზა ყაზბეგია, რომელიც ანტიკური ერინიების უღმობლობით ანგრევს „განკიცხულის“ გმირის ბედნიერებას... „განკიცხული“ 1883 წელსაა დაწერილი. ახლა კი, ყურადღებით გადავიკითხოთ ლიზა ყაზბეგის სტეფანწმინდიდან გამოგზავნილი წერილი მისი ბიძაშვილისადმი: «Я недавно получила один очень хорошенький подарок, дорогой Сандро, чернильницу и подсвечники. Письма не было. Я не знаю, от кого, но догадываюсь. Никто не может быть так внимателен и так много думает обо мне даже в дали, как мой милый Сандро. Если это ты, то премного благодарю. Подарок мне очень понравился и еще больше понравилось и обрадовало твое внимание; хотя всему этому я была рада, но были и неприятности: это то, что ты должно быть думаешь, что ты и твои дела нисколько не интересуют меня, иначе ты написал бы и письмо с подарками. Впрочем, может быть ты хотел заинтересовать меня, а письмо напишешь отдельно. Я бы много хотела написать тебе, но торопят меня. Другой раз напишу подлинное письмо. Теперь напишу только то, что мы устраиваем спектакль, в котором я тоже участвую. Я была бы рада, чтобы и ты поспел к спектаклю... Целую тебя в лоб. Когда ждать тебя к нам. Наши целуют тебя. Твоя Лиза Казбек. » (აღწერილობა 1960: 165-166).

ეს წერილი, რომელიც 1877 წლის დეკემბრითაა დათარიღებული, საგანგებოდ მომყავს დედანში, რადგან თარგმანში, შესაძლოა, რაღაც ნიუანსი დაკარგულიყო. არადა, როგორი სითბოთი და ხალისიანი შეთამაშებით სავსე წერილია. რა შეიცვალა ბიძაშვილების ურთიერთობაში ისეთი ამ 5-6 წლის განმავლობაში, რომ ლიზა პირველი ახლობლიდან პირველ მტრად იქცა?! ეს არ უნდა იყოს დაკავშირებული მის უფროს ძმასთან – დიმიტრისთან და იმ ულამაზო ისტორიასთან, რომელიც ლიზამ სანდროს ცხოვრების დასალიერზე დიმიტრის სახელს დაუკავშირა (ამაზე – შემდგომ). დიმიტრი 1880 წელს გარდაიცვალა;

ორი წლის შემდეგ, ლიზა შეხვდება თბილისში თავის უმცროს ბიძაშვილს (ოთხი წელი იყო მათ შორის სხვაობა), რომელიც „...ძალიან მხიარული იყო, დიდი კმაყოფილებით იცინოდა და მახვილობდა“ და, თან თავის ბათუმელ მეგობარს, ყაკოს გააცნობს.

ყაკო – ცალკე თემაა. ახლა კი, თუ გავიხსენებთ, რომ ლიზა ყაზბეგი თბილისში 1882 წლის ბოლოს ჩამოვიდა, ანუ ზემოთ მოყვანილი წერილის დაწერიდან 5 წლის შემდეგ, ნამდვილად შევამჩნევთ ნაკლებ სითბოს და ოდნავ ირონიულ ტონს, ხოლო თავისი მოგონების მომდევნო ნაწილში ლიზა გაკვირვებულ წერს, რომ სანდრომ ხელნაწერებს არ გააკარა, მაგრამ იქვე ამაყობს „მოჩხუბარიძის“ წარმატებებით. რა მტრობაზეა ლაპარაკი?! აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიძაშვილთა ურთიერთობის რადიკალური ცვლილება მომდევნო, 1883 წელს უნდა მომხდარიყო, სწორედ იმ წელს, როდესაც იწერებოდა ყაზბეგის ავტობიოგრაფიული რომანი... კიდევ ერთი საიდუმლო ყაზბეგის ბიოგრაფიაში, რომელშიც, ეგონებ, იმალება უმთავრესი მიზეზი „განკიცხულის“ შექმნისა.

„განკიცხული“ ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდივითაა: ან ძალიან მოსწონდათ, ან ყოლად გულგრილნი იყვნენ და, ისე მგონია, რომ ეს „ლაკმუსის ქაღალდი“ ამჟღავნებდა ლატენტურ სიმპათია-ანტიპათიას ყაზბეგის ბელეტრისტიკის რომანტიკული პათოსის მიმართ. კიტა აბაშიძე, რომელიც საერთოდ თვლიდა ყაზბეგს ქართულ ლიტერატურაში ნეორომანტიზმის წამომწყებად, „განკიცხულს“ ევროპული ყაიდის „ბულვარულ რომანად“ მიიჩნევდა და არასოდეს არ შეჰქონდა მისი კერპის საუკეთესო ნაწარმოებთა ნუსხაში. აი, დავით კლდიაშვილი კი ისე აღფრთოვანდა, რომ, წაკითხვისთანავე, 1884 წლის 14 აპრილს, ბათუმიდან მისწერა ყაზბეგს: „თუ არ გეწყინებათ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ ვპოვებს „განკიცხულს“ (ხელნაწერები 1960: 170). კლდიაშვილი, ამასთანავე, სთხოვდა ადრესატს, – ცენზურის მიერ ამოღებული ორი თავის შინაარსი მაინტერესებს და როგორმე მომწერე, რა ხდებოდა იქო...

ვახტანგ კოტეტიშვილმა როგორღაც შენიშნა, რომ ყაზბეგის გმირები არ იცინიან (აქ დაეუმატებ – და, როგორც წესი, იუმორი არ ახასიათებთ). არ არის გასაკვირი, რომ ისეთი სევდანარევი იუმორის პატრონი, როგორიც დავით კლდიაშვილი იყო, ვერ ჰგუობდა ყაზბეგის ჰეროიკულ პათოსს და გულით

მოსწონდა მისთვის ესოდენ ჩვეულ „ევროპულ ჩარჩოებში“ ჩასმული სასიყვარულო დრამის ისტორია (ისე, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ „მოძღვარსაც“ შეაწია საქები სიტყვა). ყაზბეგი, რაღა თქმა უნდა, მაინც დიდად ემადლიერებოდა კლდიაშვილს, რაც მისი საპასუხო წერილიდანაც ჩანს. აი, „განკიცხულის“ გამოტოვებული თავების შინაარსი კი, რაღაც მიზეზების გამო, არ გაუგზავნა...

1884 წელს „განკიცხულის“ გამოქვეყნებას მოჰყვა **„ხევისბერი გოჩა“**, რომელსაც „დროების“ ერთგული მკითხველი აგვისტოდან ნოემბრამდე ეცნობოდა და, უკვე წლის ბოლოს – „ელეონორა“ – აქ ავტორი ცდილობდა, ერთგვარი ჟანრული სიმბიოზი შეექმნა ისტორიული მოთხრობის, მითისა და იგავისაგან (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „დროებას“ 1883 წლიდან, ჭლექისაგან გარდაცვლილი სერგეი მესხის ნაცვლად, უკვე ივანე მაჩაბელი რედაქტორობდა და ისიც, თავისი წინამორბედის მსგავსად, გამორჩეულად მეურვეობდა ყაზბეგს).

„ხევისბერი გოჩა“, შეიძლება ითქვას, საკულტო ნაწარმოებად იქცა, ხოლო ხევისბერის შეგონება, – გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო, – სამუდამოდ შთაინერგა ქართულ ცნობიერებაში. ყაზბეგის არც ერთ სხვა მოთხრობაში ასეთი ფატალური ულმობლობით არ წამოჩენილა დილემა, რომელიც მას ყველაზე უყვრო აწუხებდა: არჩევანი გრძნობასა და მოვალეობას შორის. როცა კი დამდგარა მის წინაშე ეს არჩევანი, ყაზბეგში, როგორც ჩანს, გრძნობა იმარჯვებდა და არაა გასაკვირი, რომ მისთვის გაუნელებლად მტკივნეული იყო მარადიული კითხვები გრძნობისა და მოვალეობის (შესაბამისად – დანაშაულისა და სასჯელის) შესახებ. ეს კითხვა მან უპასუხოდ დატოვა „ელგუჯაში“ (რაც არ გამორჩენია კიტა აბაშიძეს!), სამაგიეროდ, მკაფიოდ პასუხობს **„მოძღვარში“** – უკანასკნელ მოთხრობაში მის „დიდ ნაწარმოებთაგან“ და, ფაქტიურად, დასასრულში მისი განსაცვიფრებელი, ხუთწლიანი შემოქმედებითი ზეაღსვლისა.

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1885 წლის ივლისის ბოლო – გამოდის ჟურ. „ივერიის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ა. მოხსუბარიძის ხელმოწერით იწყება „მოძღვარის“ ბეჭდვა (ქრონიკა 1998: 68).

„მოძღვარზე“ გამოხმაურებათაგან ყველაზე მოულოდნელი ანტონ ფურცელაძისა იყო, რომელიც, „არც გულითა და არც გონებით არ იყო ყაზბეგზე კარგი აზრისა“ და პრინციპულად არ კითხულობდა მის ნაწარმოებებს (?!). შემდგომ ანტონ ფურცე-

ლაძე იგონებდა, როგორ შემოათენდა ამ მოთხრობის კითხვისას: „იმავე დილით გაეცანი ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე ალტაცებით ვეცი მას და დავუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი. იმას არა სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნაწერებით ასეთს ალტაცებაში შევიდოდი“ (ყაზბეგი 1948ა: 530).

თვითონ ყაზბეგსაც გამორჩეულად ჰყვარებია „მოძღვარი“. დაჟით კლდიაშვილის თქმით: „ეს მოთხრობა უცნაურად უყვარდა სანდროს და განსხვაებული აღფრთოვანებით ალაპარაკდებოდა ხოლმე, როცა მოთხრობის შესახებ სიტყვა ჩამოვარდებოდა“.

იონა მუუნარგიამ ამჯერადაც არ დააკლო თავისი „შხამის წვეთი“: „...უკანასკნელის მოჩხუბარიძის მოთხრობაზე „მოძღვარზე“ ბევრს ვერაფერს ვიტყვი კარგს. გარდა ორისა თუ სამისა პოეტური ფურცლისა... მე ვერაფერი ვიპოვე მოთხრობაში შესანიშნავი. ნაკლულოვანება კი ცოტა არ არის...“ – კატეგორიულად ასკვნიდა იგი („იერია“, 27 აპრილი, 1886).

ახლა მოვუსმინოთ კიტა აბაშიძეს, რომელიც ერთ სულმოუთქმელ მონოლოგში გვაუწყებს იმასაც, თუ რა იყო ამ მოთხრობაში „შესანიშნავი“ (ამ ომონიმის ორივე მნიშვნელობით). თავის საკრამენტულ კითხვებს კიტა აბაშიძე ონისეთი იწყებს: „...ნუთუ ეს კაცი არ იყო ღირსი მაყვალასი, ნუთუ მარტო და მხოლოდ ამ კაცს არ ეკუთვნოდა მაყვალა? მაშინ, როდესაც, თვით მაყვალაც ამ გრძნობას დამონებოდა მთლად და უშიშრად, თამამად გაიძახოდა: „მე მინდა ონისესთან შეერთება, იმიტომ, რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარსო“. ნუთუ ვისმე ჰქონდა ნება, მათ გრძნობაში გარეოდა? ნუთუ ან თემს, ან დედას, ან მამას, ან ქმარს ნება ჰქონდა, ხელი შეეშალა იმ უმწვერვალესი ნეტარებისათვის, რომლისკენაც მიისწრაფოდა მათი მშვენიერი სული და ხორცი? ან კი რა გამოვიდოდა ამ წინააღმდეგობიდან, თუ არ გაცამტვერება ამ ადამიანთა სიცოცხლისა, მათი ცხოვრების დასახიჩრება, მათი ბედნიერი არსებობის დამხობა და დაღუპვა? მაგრამ საზოგადოება, მახინჯ პრინციპებზე აგებული, დამპალი ზნეობის მოსარჩლე, თემია იგი თუ ინგლისის „პაილაიფი“, სულ ერთია, იგი იცავს ანტიბუნებრივ კანონს და უიმისოდაც ათასგვარად ბუნების ძალებისაგან განაწამებს ადამიანს სულს უხუთავს. ეს დარგი მოვლენათა – ქალ-ვაჟთა ურთიერთ შორის კავშირი – იმდენად ინტიმურია, იმდენად ინდივიდუალური, რომ ამაში გარევის ნება არავის არ

უნდა ჰქონდეს, მას უნდა აწესრიგებდეს ბუნება და ბუნებაც უნდა უდებდეს მას საზღვარსა და კანონს“ (აბაშიძე 1962: 325).

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: „1886 წლის თებერვლის 16 ქართული დრამატიული დასი მაყურებელს წარუდგენს შექსპირის „მეფე ლირს“. წარმოდგენაში მონაწილეობს ილია ჭავჭავაძე. იგი ასრულებს კენტის როლს. დანარჩენ როლებს ახორციელებენ: ლირს - კოტე ყიფიანი, სუმარას – კოტე მესხი, ედმუნდს – ა. მოხეევ (ყაზბეგი), კორდელიას – მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ედგარს – ვასო აბაშიძე“ (ქრონიკა 1998: 73).

როგორი საზოგადოებაა?! საინტერესოა, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ყაზბეგმა თუ დაურიგა სახსოვრად პრემიერის მონაწილეებს იმ დროისათვის უკვე გამოცემული თავისი წიგნები – ობზულებათა პირველი ტომი, ან „ელგუჯა“, ან „მოძღვარი“, ან „განკიცხული“, ან „ელისო“, ან „ციკო“?! ეჭვი მეპარება... ისე კი, თანამედროვეთა თქმით, მართლაც, რაღაც ბაეშვური მინდობით და მონდომებით ურიგებდა გარეშემოთ თავის წიგნებს, თითქოსდა ამით მათ თავისი სულიერი ზეობის თანამონაწილეებად იწვევდა...

ვაგლახ, რომ სწორედ ახლა ჰქონდა უფლება 38 წლის ყაზბეგს, გაემეორებინა 18 წლის წინ დედამისისათვის მოსკოვიდან მიწერილი წერილის პათეტიკური დასარული: „...და **შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით!**“ (ყაზბეგი 1950ა: 198).

ელისაბედ ყაზბეგის უკანასკნელი წერილი: „საყვარელო შვილო ალექსანდრე! შენს დიდხანს სიცოცხლეს ყოელის შემძლებელს ღმერთსა ესთხოვ, ყოელის ბედნიერებით. შვილო... როგორ არ გებრალები? სულ ავათ ვარ, მთელი ზაშთარი არის. რა სასოებით მოგელოდი და არ მოხველ! წიგნის მოუწერლობა რაღა არის. რომ არა მწერ? შე დალოცვილო, რა ექნა მე შენი სიყვარულით? და რა გიამება? აღარა ვარ და შენ უფრო რითაც დამშორდე, იმისი მოწადე ხარ. მეც დავბერდი ჯანითაც, სხეულითაც აღარა შეშიძლიან რა. თვალთაც დამაკლდა ამთენი მწუხარებით და შენი ასე მოშორებით. რათა შეები შეილო, რათ დადიხარ გარე-გარე? მოდი და ვიცხოვროთ ერთათ. რაც მამიშენის სისხლით ჩაშოვნი პენცია მაქვს, შენც იხმარე და მეც. არც ტანთ დაგაკლდება, არც ფეხთ. ბევრნი არიან და ყოფილან ღარიბნი. ჩვენ თუ ერთათ ვიცხოვრებთ და ერთმანეთს გაუგონებთ, ვიცხოვრებთ. განა აქ კი არ შეგიძლიან წერებათ... იცი, რომ მე შენთვის სიცოცხლეს არ დავიშურებ. ღმერთი არის მოწამე, და მე შენ არც ჩაცმას, არც დახურვას არ დაგაკლებ,

მაგრამ შენი ბრალია, არ მატყობინებ, არა მწერ. სად გამოგიგზავნო. რათა შეილო, რათ ამყარე აგრე გული? განა მე მაგისთანა უწყალო დედა ვარ შენი, რომ თუ ღონისძიება მექნება შენთვის დავიშურვო?.. სხვებრ იყავ ბედნიერათ [და კ]არგათ ჯანის სიმრთელით...

შენი დედა ე ლ ი ს ა ბ ე დ ყ ა ზ ბ ე გ ი ს ა ვ.

23 იანვარს, 1888 წელსა სტეფან წმინდით (ყაზბეგი 1950ა: 542).

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1888 წელი. ივნისის 23 - გაზ. „იერია" (№30) ბეჭდავს სამგლოვიარო განცხადებას - „ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგი აუწყებს გარდაცვალებასა დედისა თვისისა ელისაბედ ესტატეს ასულ ყაზბეგისას" (ქრონიკა 1998: 86).

წაიდა ამ ქვეყნიდან უკანასკნელი ადამიანი, რომელიც დღემუდამ ფიქრობდა თავის ერთადერთ ვაჟიშვილზე და, მუხლმოყრილი უფალს ევედრებოდა, როგორმე დაეცხო და არ გაეწირა მამისეულ კერას განრიდებული უძღები შვილი... დააკლდა ეს ლოცვები მის სანდროს, ნამდვილად დააკლდა და ჯერ კიდევ სიჭაბუკისას ნაგრძნობი „აწმყო დროის დედინაცვლობა", ახლა, სიჭარმაგისას, ულმობლად შემოუბრუნდა...

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1890 წ. თებერვლის 20 - ალ.ყაზბეგს მიხეილის საეპისკოპოსოს სულით ავადმყოფთა განყოფილებაში ათავსებენ.

ივნისის დასაწყისი – თითქოს გამოკეთებული და გამოჯანმრთელებული ალ.ყაზბეგი საეპისკოპოსოდან გამოჰყავთ (ქრონიკა 1998: 89).

ყაზბეგის ბიოგრაფიის სწორედ ამ მონაკვეთს (ფსიქიატრიულ კლინიკაში პირველად და მეორედ წაყვანას შორის) თქვდა სახიკია ასე იგონებდა: „...სრულებით უსახსროდ დარჩენილ ალ. ყაზბეგს, ღამე თაეშესაფარებელი ბინა რა არის, ბინაც კი არა ჰქონდა!.. მართალია, სიძე ჰყავდა, დის ქმარი, საინტენდანტოს მოხელე, ეინმე ფურმანი, მრავალოთახიანი ბინის პატრონი, მაგრამ იმ მრავალოთახიან ბინაში ერთი, თუნდაც სულ პატარა ოთახი არ აღმოჩნდა ისეთი, რომ დაავადებულ ყაზბეგს ღამე გაეთია. ყოფილა შემთხვევა, რომ სიძეს კარზე მისდგომია, იმას კიდევ შინ არ შეუშვია, და ყაზბეგს სამზარეულოში ან პირდაპირ დერეფანში უთენებია ღამე, თავის ნაბდის ამარა. ...დაავადებული მწერალი ყოველდღიური სტუმარი იყო სარძევესი, რომელიც მოთავსებული იყო მაშინდელ სასტუმრო „პეტერბურგის"

ნომრების ქვეშ. ამ სარედაქციის პატრონი იყო ვინმე ადამია... ალ. ყაზბეგი მოითხოვდა ჩაის ან მაწონს, შესატანებლად მისცემდნენ ფრანგულ ფუნთუშას... სულ ნახარჯი შეადგენდა სამ შაურს, მაგრამ არც ის სამი შაური გააჩნდა ყაზბეგს. ადამიას გაუგონია, რომ მისი ღარიბი მუშტარი ქართველი მწერალია, გაზეთში მისი ნაწერები იბეჭდებაო. ხან გადაახდევინებს, ხანაც სამადლოდ არაფერს გამოართმევს, ხან კიდევ „დააწერს“. ასეთი „დაწერილები“ 3 მანეთამდე მოგროვდა. ყაზბეგს თავისი ხელნაწერი ლექსების რვეული მოაქვს გირაოდ: როცა ფული მექნება, მოგიტან და დამიბრუნეო... ადამიას გუმანი გაუმართლდა: თავისებური გირაო გირაოდ დარჩა და 3 მანეთის ვალი მისმა მუშტარმა საიქიოში თან წაიტანა“ (სახოკია 1984: 57-58).

ცხოვრების დასალიერზე ყაზბეგს გაუჩნდა ერთი ბათუმელი მეგობარი, რომელიც თითქმის ათი წელი განუყრელად თან ახლდა და ბევრი წყენისა და შეურაცხყოფის გადატანა გაუადვილა. ყაზბეგის მკითხველთაგან ცოტაა ისეთი, ვინც არ იცოდეს ამ ერთგული არსების სახელი... უაკო.

უაკო ნამდვილად ღირსია, მასზე ცალკე შევჩერდეთ, რადგან ყაზბეგის ბიოგრაფიაში ამ არსებას სრულიად უნიკალური როლი ეკუთვნის. აკაკი წერეთლის თქმით, უაკო ყაზბეგმა ბათუმიდან იყითხონ ჩამოიყვანა, სხვათა აზრით კი, იგი ბათუმიდან საჩუქრად ჩამოუყვანეს. ასეა თუ ისე, 1880-იანი წლების დასაწყისში საგანგებოდ შეკერილ ჟილეტში გამოწყობილი უაკო თბილისში დასეირნობს ყაზბეგთან ერთად, დადის რეპეტიციებზე და რედაქციებში, უზომოდ თავსება „ყმაწვილია“ და, სასაცილოა, მაგრამ, მისდამი დამოკიდებულება საინტერესო რაკურსით დაგანახებთ პატრონის პორტრეტს: იაკობ მანსვეტაშვილი იგონებდა ყაზბეგის ნათქვამს: „რა ექნა, მე უმაგისოდ გაძლება არ შემიძლიან...“ ახლა, ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარსა და კოლეგას, პოლიევქტოს კარბელაშვილს (ცხვილოელს) მოვუსმინოთ: „...საწერი მაგიდა ცოცხმოსმული იყო; საწერელი, კალამი, ფანქარი, მელნის საშრობი ქაღალდები, წიგნები, რვეულები ერთნაირად აქეთ-იქით იყო ნატყორცნი და ნაღრღენი, — სანდროს არა თუ ეწყინა უაკოს ასეთი თავხედობა, პირიქით დაუწყო კოცნა და გულში მიიკრა“ (ცხოვრება 1988: 276).

როგორ გვაგონებს ეს ყველაფერი სტეფანწმინდის „სასახლეს“, პატარა სანდროს მორიგ, ჭირვეულ „სცენას“, აფორიაქებულ დედ-მამას და უკმაყოფილო დეიდების ერთმანეთში გადალაპარაკებულს: „Infant terrible!“...

შესაძლოა, ჟაკოს სრულიად ბუნებრივად დაკისრა ჰიპრადი ფსიქოთერაპევტის ფუნქცია, ისევ ცხვილოელს მოეუსმინოთ: „როდესაც გაჯავრებული იყო სანდრო, „ჟაკო“ გაქანდებოდა და აქეთ-იქიდან ახტებოდა ზედ, სან ტანისამოსს ეწეოდა, ხელსედ სწვდებოდა, სან წინ აემართებოდა ორ ფეხზედ და... უცინოდა, თუ ასე ვერ გააცინებდა სანდროს... თავის გრძელ, გალეშილ კუდს სან წინ, პირისახეზედ გადმოუკიდებდა და სან სხვა მხრივ. მხოლოდ მაშინ გაეცინებოდა სანდროს და დაუწყებდა ალერსს გონიერს ჟაკოს. როცა გაჯავრებული მოვიდოდა შინ და მე ვერ შევძლებდი მისს დამშვიდებას და გაჯავრებისაგან გამოყვანას, განგებ სადმე მძინარე ჟაკოს აკუტხაედი ხოლმე“ (ცხოვრება 1988: 276).

ისიც არაა გამორიცხული, რომ (თავდაპირველად, ყოველ შემთხვევაში) ეს ერთგვარად ეპატაჟური ჟესტი იყო: გროტესკული დეტალის შემოტანა აბსოლუტურად შეუსატყვის ატმოსფეროში; „მოწესრიგებულ საზოგადოებასთან“ თავისი განსხვავებულობის, არმსგავსების ხაზგასმა (თუ ასეა – ცეცხლთან თამაშია: სიტყვა „უმსგავსის“ სემანტიკას ჩავუკვირდეთ!).

დაბოლოს, არსებობს კიდევ ერთი, ჟაკოს „რეპუტაციის შემლახავი“ (და, ამიტომაც, ნაკლებ სიმპათიური) მოსაზრება ფსიქიატრისა (ტიტე ღლონტი), რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან საგანგებოდ იკვლევდა ქაზბეგის ავადმყოფობის ისტორიას და მისი „მანიების“ ჩამონათვალს საწყალი ჟაკოც მიუმატა: „ასეთივე მნიშვნელობის ფაქტია ქაზბეგის უცნაური დამოკიდებულება „ჟაკოს“ სახელით ცნობილ მაიმუნთან. მთელი წლების მანძილზე ალექსანდრე უბით დაატარებდა ამ არასიმპატიურ პირუტყვს და თავს მშვენივრად გრძნობდა იმ სიბინძურეში, რომელსაც ეს უშნო ცხოველი აერცქლებდა მის ირგვლივ“ (ღლონტი 1996: 173).

ახლა, დაეივიწყოთ ამ უდანაშაულო არსებისადმი გამოვლენილი ანტიპათია და ერთ სერიოზულ თემაზე გადავიდეთ, სადაც ექიმ ღლონტის სახელიც გაიუღერებს, ოღონდ, ამჯერად, პოზიტიურ კონტექსტში. „სიუჟეტს“, რომლის პროტაგონისტი გახლდათ ლიხა ქაზბეგი და რომელიც მისი ბიძაშვილის სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაიწყო, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, კიდევ გაგრძელდა, პირობითად ვუწოდოთ –

„ცრუ-დიმიტრი“: ერთი „ცრუ-დიმიტრი“ ხომ გვახსოვს რუსეთის ისტორიიდან, მეორე, ქ-ნი ელისაბედის ჩანაფიქრით, საქართველოს ისტორიაში უნდა დამკვიდრებულიყო – უპრეცე-

დენტო ლიტერატურული პლაგიატის ნიმუშად. ლიზა ყაზბეგის ვერსია ასეთი გახლდათ: მის „ძვირფას“ ბიძაშვილს 1880-იანი წლების დასაწყისშივე უკვე ისეთი ინტელექტუალური დეგრადაცია ემჩნეოდა, რომ ის ვერასგზით ვერ შექმნიდა იმ პერიოდში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს და ბელეტრისტიკის ეს შედევრები, სინამდვილეში მის განსვენებულ ძმას – დიმიტრი ყაზბეგს (1838-1880) ეკუთვნოდა. ამ სიუჟეტში იყო დიმიტრის გარდაცვალებისთანაც, მომენტალურად გატეხილი განჯინაც, საიდანაც სანდრომ ხელნაწერები გაიტაცა დიმიტრის მოურავის ალოშკა შადურის თვალწინ; დეტექტიური ჟანრის ყველა კანონის დაცვით, რაღა იქმა უნდა, იყო მკვლელობაც: შადური, როგორც არასასურველი მოწმე, უნდა გამქრალიყო და გაქრა კიდეც! სინამდვილეში მომხდარი მკვლელობა მართლაც შემაძრწუნებელი იყო – ალოშკა 1888 წელს, ივლისის 30-ში, ღამით; მისივე მანიაკმა შვილმა ეანიამ მოკლა. აი, ვისი დაკვეთით მოკლა, ეს უკვე ლიზა ყაზბეგის „მწერლური ტალანტის“ მიგნება იყო: „შესაძლებლად მიმაჩნია, ფსიქიკურად ძლიერის ხასიათის მქონე სანდროს დაემონაცებინა სუსტი ხასიათის პატრონი ახალგაზრდა ჭაბუკი ვანია“, – ამტკიცებდა იგი თავის მოგონებებში და იქვე განმარტავდა, რომ ყაზბეგმა ეს ამაზრზენი დანაშაული ჰიპნოზის საშუალებით განახორციელა... („მნათობი“, 1925, №11-12, გვ. 201).

აქვე, ალბათ, ისიც უნდა დაგუმატოთ, რომ ამ კრიმინალური დრამის ფინალში, როგორც ხდება ხოლმე, ლიზამ სენტიმენტალური ნიუანსი შეიტანა და ალექსანდრე ყაზბეგის „პროგრესირებადი დამბლის“ გამოელინებები „სინდისის ქენჯნით“ ახსნა...

როგორი წასაკითხია ეს ყველაფერი საღ გონებაზე?! დიახ, ეს სანდროსთან თანშესრდილი ლიზა ყაზბეგია, რომელსაც, დიმიტრის სიკვდილიდან 14 წლის შემდეგ, თვალი აეხილა და ირწმუნება, რომ მისი „მიტკას“ ხელნაწერთა მიმტაცებელი სანდრო – „ცრუ-დიმიტრია“! ნამდვილი დიმიტრი, ავტორი ამ შედევრებისა, უსამართლოდ დავიწყებული, განისვენებს სტეფანწმინდის სასაფლაოზე... პირდაპირ ცრემლის მომგვრელი ისტორიაა და, რაც მთავარია, გარემოებათა გამო, ფსიქოლოგიურად ზუსტად გათვლილი: დიმიტრიმ თავისი ბრწყინვალე სტუდენტობით პეტერბურგში, ისე დაამახსოვრებინა თავი იმდროინდელ მეგობრებს (ილია ამბობდა: „მთელი თავით მაღლა იდგა ჩვენში“-ო), რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მისგან რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ; ალექსანდრემ, როგორც ვნახეთ, პირიქით, ახალგაზრდობისას თავი ვერაფრით გამოიჩინა; სტეფანწმინდას

შეფარებული დიმიტრი იდუმალ ფიგურად აღიქმებოდა; ირაციონალური და ფეოქებადი ალექსანდრე – აშკარად გამაღიზიანებელი იყო: დასაწყისში – განებივრებული ბავშვის მანერებით და „თეთრი ხოხით“, ბოლოსაკენ კი – „უაკოთი“, ძველმანებით და წერილმანი კლეპტომანიით.

„ფიგურების“ ასეთი განლაგება ლი'სა ყაზბეგისგან ერთადერთ სვლას მოითხოვდა: „უსიმპათიო კლეპტომანს“, ხურდა ფულსა და ფერად ნაჭრებთან ერთად, „სიმპაითური სტუდენტის“ სელნაწერებისა და მწერლური სახელის მითვისება უნდა დაჰბრალებოდა! ლი'სამ გააკეთა ეს სვლა, მით უმეტეს, იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი (ყაზბეგის ტერმინალოგიით – „საქართველოს ბომონდი“) მზად იყო დაეჯერებინა მისთვის.

ამ მზაობის მექანიზმი კარგად ახსნა ვახტანგ კოტეტიშვილმა: „საქართველომ ყაზბეგის მოსვლა სხვანაირად მიიღო: შეიძლება ეს არ იყო შეგნებული, მაგრამ განცდილი კი იყო. ყველამ იგრძნო, რომ „ელგუჯას“ ავტორი დავიწყებული ქვეყნიდან მოდიოდა და როცა ნახეს ჩვეულებრივი ქართველი კაცი, ხოხაში გამოწყობილი, ხანჯლებით მოცეკვავე, დარდიმანდი, აღარაფის სჯეროდა მისი ავტორობა. ყველას უნდოდა, რომ ავტორი ვინმე სხვა ყოფილიყო, რომელიც არაფის უნახავს და რომელიც აღარ არის. ეს გამოძახილი დღესაც ისმის, მაგრამ ამას თავის ახსნა აქვს. ადამიანი, რომელმაც დაწერა „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“ და სხვა, თავის დროისათვის უცხო იყო და იქნებ ჩვენთვისაც ჯერაც არ იყოს დაახლოებული“ (კოტეტიშვილი 1925: 77).

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებიდან უკვე ოცდაათი წელი იყო გასული, როდესაც ჟურნალმა „მნათობმა“ წამოიწყო ლი'სა ყაზბეგის მემუარების ბეჭდვა (1924 წლის აპრილიდან – 1926 წლის იანვრამდე), ხოლო თბილისის „სახელმწიფო უნივერსიტეტის საპედაგოგიო ფაკულტეტის ნებართვით“. ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ ჯანდუკელმა 1924 წელს გამოაქვეყნა წიგნი, სათაურით: „ალ. ყაზბეგის (ა. მოსხუბარიძის) ორიგინალობა და დიმ. ყაზბეგი“. ალექსანდრე ყაზბეგთან „ჩაგვიანებული ბატალიის“ წამომწყებ ავტორს, „საიმარი არსენალი“, მემკვიდრეობით, ლი'სა ყაზბეგისაგან დარჩა; თავის მხრივ, „მეტი სოლიდურობისათვის“ მან წიგნის მეორე ნაწილი ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით შტუდიებს დაუთმო, რომლე-ბიც, მისი რწმენით, ამყარებდნენ ელისაბედის „ბიოგრაფიულ კომპრომატს“.

დღეს, თითქმის ასი წლის შემდეგ იმ პუბლიკაციებიდან, ეს „შტუდიებიცა“ და მთლიანად ეს წიგნიც, XIX სუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ღვაწლმოსილი მკვლევრის და „წითელი პროფესურისგან“ განსხვავებით, უზადო რეპუტაციის ადამიანის ერთგვარ „კაპრიზად“ აღიქმება. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ყველაფერი 1924 წელს ხდებოდა, აქ, საქართველოში, უკვე დაკარგული დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელი გაბრძოლების ჟამს.

ამიტომაც ალექსანდრე ყაზბეგის სახელის დაცვა ისეთივე პათოსს მოითხოვდა, როგორითაც ცავენ ხოლმე ეროვნულ სიმბოლოებსა და ინსიგნიებს. სწორედ ასეთი პათოსი აღმოაჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილს და ამის შესანიშნავი დასტურია მისი წიგნის რეფრენი, რომ ყაზბეგის ბელეტრისტიკა: „...იყო და არის ქართული გზნების, ფანტასტიკის და ტკივილების დაუშრეტელი აუზი, ეროვნული რომანტიკა, გმირობის აპოლოგია, და ადამიანურის, ნამდვილ ადამიანურის დაკარგვის გამო აგოდებული სული“ (კოტეტიშვილი 1925: 77).

ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნი „ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“ 1925 წელს გამოვიდა. საპასუხოდ, მიხეილ ზანდუკელმა იმავე წელს გამოსცა თავისი „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი“, რომელშიც არაფერი იყო ახალი, გარდა გულდასაწყვეტი „დამატებისა“, სადაც ნიკო ნიკოლაძე ავტორისადმი გამოგზავნილ წერილში (დათარიღებულია 1925 წლის 4 აგვისტოთი) სრულ სოლიდარობას უცხადებდა მას და მეტიც, საერთოდ იწუნებდა „ყაზბეგების“ პროზას (იმისდა მიუხედავად, ალექსანდრესი იყო ის თუ დიმიტრისა); ანაქრონიზმად, „გადაჭარბებით გაკოხტავებულად“ მიაჩნდა და, ეგონებ, მხოლოდღა „ზრდილობისათვის“ აღნიშნავდა, რომ ეს ნაწარმოებები „ენის სიმშვენითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა“.

ის, რომ ქართველ „თერგდალეულთა“ სახელოვანი წარმომადგენელი, „ულმობელი საქმის კაცი“ (როგორც არჩილ ჯორჯაძე ამბობდა) და თავად რაციონალიზმის განსახიერება – ალმაცერად უყურებდა „ირაციონალურ ნეორომანტიკოსს“ – გასაკვირი არაა. გასაკვირი ისაა, რომ გარეშემოთა განწყობა ნიკოლაძისათვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ვახტანგ კოტეტიშვილის კონტრარგუმენტები პროფ. ზანდუკელის „თეორიის“ საპასუხოდ. მოკლედ, უსაძირკვლო „განწყობის თეორიის“ კიდევ ერთი მტკიცება ილუსტრაცია... როგორ არ დააფასებ აქ სიბრძნეს, რომელსაც, მიზეზთა გამო, პიროვნულად არანაირი

სიახლოვე არ ჰქონია ყაზბეგთან (წერია კიდეც ამაზე იაკობ მანსვეტაშვილის მემუარებში), მაგრამ დიდად აფასებდა როგორც მწერალს, სათანამშრომლოდ მიიწვია „ივერიაში“ და ყველაფერს აკეთებდა, რაჟია შეემსუბუქებინა ყაზბეგის დუხჭირი ყოფა. რაც შეეხება „ცრუ-დიმიტრის სიუჟეტთან“ მის მიმართებას, როგორც ითქვა, ილია სტუდენტობის დროიდან იცნობდა დიმიტრის და, ნიკო ხიზანიშვილისა არ იყოს, გული სწყდებოდა, რომ ესოდენ იმედის მომცემი ახალგაზრდისგან არაფერი გამოდნა...

სხვათა შორის, სწორედ ნიკო ხიზანიშვილს უნდოდა ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგების „პარალელური ბიოგრაფიების“ მაგალითზე, ახალგაზრდა მკითხველისათვის განკუთვნილი, ერთგვარი „მორალიტე“ შეექმნა ქართული დაუდეგრობით მინაელებულ ნიჭზე (დიმიტრი) და თავდაყირაყენებული გზნებით მიღწეულ მოულოდნელ გამონათებაზე (ალექსანდრე). „აეტორობასთან“ დაკავშირებული კითხვები მას ნამდვილად არ აწუხებდა: ჯერ ერთი, კარგად იცნობდა და „გრძნობდა“ ალექსანდრეს და, სულაც, თვითმხილველი იყო, როგორ „აცხობდა“ თავის მოთხრობებს გაზეთის სარედაქციო ორომტრიალში „დროების“ ეს „მოუთვინიერებელი“ აეტორი.

სწორედ ამ „პარალელური ბიოგრაფიების“ შექმნაში დახმარებისთვის მიმართა მან 1894 წელს ლიზა ყაზბეგს, რომელმაც ამ თხოვნაში „განგების ხელი“ დაინახა და შეუდგა მემუარების წერას, რასაც 18 წელი მოანდომა. სანდროს სიჭაბუკის წლებიდან მას მართლაც ბევრი რამ საინტერესო ახსოვდა და აღწერა კიდეც. მაგრამ შემდგომ, ხიზანიშვილის დაკვეთა დიამეტრალურად საპირისპირო მიზნისაკენ მიმართა.

ახლა, „ცრუ-დიმიტრის“ ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი ძალიან რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვით, რომ ვახტანგ კოტეტიშვილის წიგნში მოხმობილი კონტრარგუმენტები ყოველგვარ საფუძველს აცლიდა ლიზა ყაზბეგისა და მას მინდობილი პროფ. სანდუკელის „ბრალდებებს“.

იმავე წლებში, გამოჩენილმა ქართველმა ფსიქიატრმა, მიხეილ ასათიანმა თავის ორ ახალგაზრდა ასისტენტს – ტიტე ღლონტსა და ლადო კოტეტიშვილს (ვახტანგის ძმას) დააკალა ფსიქიატრიულ ასპექტში შეესწავლათ „ყაზბეგთა აეტორობის“ სხვითხი, რომელმაც იმჟამად ეგზომ ააფორიაქა ქართული წიგნიერი საზოგადოება. ლადო საერთოდ ჩამოშორდა ამ თემას, ტიტემ კი კვლევა განაგრძო და გასული საუკუნის 40-იან წლებში დაასრულა ის გამოკვლევა, რომელიც მხოლოდ ნახევარი

საუკუნის შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (1996, №9-10). ტიტე ღლონტი თავის ნაგვიანევ პუბლიკაციაში ადასტურებდა ყაზბეგისათვის დასმულ დიაგნოზს – „პროგრესული დამბლისა“ (თანამედროვე ტერმინოლოგიით – „პროგრესირებადი დამბლის“) და ასახელებდა ერთადერთ მიზეზს ასეთი დიაგნოზისა: „აქ... თავის ბოროტ საქმეს შეუმჩნეველად აკეთებდა ტვინში ადრე ჩასახლებული მკრთალი სპიროქეტა. ჯანგატეხილ ორგანიზმს მან უფრო ადვილად დარია ხელი. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში დაიწყო საბედისწერო რღვევა, რომლის საგანგაშო ნიშნები შეერივნენ პიროვნების უკმარისობიდან გამომდინარე ქცევის უცნაურობებს. ამ მოვლენებში გაურკვევლობამ საბაბი მისცა და დიდხანს ასაზრდოა ის უმართებულო აზრი, რომ ა. ყაზბეგი 1880 წლიდან პროგრესული დამბლით გონებაშერყეულ ავადმყოფს წარმოადგენდა. სინამდვილეში, ამ ავადმყოფობამ გაცილებით უფრო გვიან, არაუადრეს 1888 წლისა, იჩინა თავი. ამდენად, მას არ შეეძლო ა. ყაზბეგისათვის ხელი შეეშალა მის შემოქმედებით მუშაობაში“ (ღლონტი 1996: 178).

დასალიერზე: სიტყვა სიტყვას მიჰყვა, მოვლენებს გაკუსწარით და ჩვენი თხრობის მთავარი გმირი, ისედაც მიუსაფარი, ტფილისის ქუჩაში დავტოვეთ: „ყაზბეგს ხშირად ვხედავთ ქუჩაში: დახეული ჩოხა-ახალუხი აცვია, თავზე ბუხრის ქუდი ჰხურავს, ისიც შებერტყილი, ზემოდანაც ხანგრძლივი ხმარებისაგან შელანძღული ნაბადი წამოუსხამს. ბევრ თავალებს, მორღვეულებს, უსიცოცხლოდ აცეცებს. ერთ დროს ლამაზ სახეზე ტანჯვის, განუსაზღვრელი ტანჯვის ბეჭედი აზის. ეტყობა, არც ხალისი აქვს და აღარც ღონე, რომ თავის გარეგნობისათვის იზრუნოს, და მით უფრო, არც სხვა ზრუნავს მისი არსებობისათვის“ (სახოკია 1984: 65).

ძნელია სიცოცხლეზე ხელჩაქნეული ადამიანის ყურება და კიდევ უფრო ძნელია, როდესაც ერთს რომელსამე უესტში ან ქმედებაში თვითმკვლელობის ნაირსახეობას ხედავ. ისე მგონია, ყაზბეგისათვის ეს უკაცს გაყიდვა იყო: „იმისთანა გაჭირვებაში ჩავარდა ა. ყაზბეგი, რომ ის თავისი საყვარელი უკაც თუმნად გაყიდა“, – წერდა აკაკი, რომელსაც მაინცადმაინც არც უკაც ეხატებოდა გულზე და არც მისი პატრონი... ისე, უკაცს „გასხვისების“ რიცხვიც რომ დახსომებოდა, ჩვენც გვეცოდინებოდა, როდის დამთავრდა ალექსანდრე ყაზბეგის გაცნობიერებული სიცოცხლე... დანარჩენი, ჩანს, უკვე მცენარეული არსებობა იყო „ჰოშპიტლის“ კედლებში...

ერთმა ლამაზმა მითმა წამით გაანათა ეს დამთრგუნველი ერთფეროვნება: თითქოს ყაზბეგმა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა პარიზში, მარიოს ფსიქიატრიულ კლინიკაში მწოლიარე მოპასანს, რომელიც იმავე დიაგნოზით 18 თვე ეთხოვებოდა სიცოცხლეს და ბოლოს, 43 წლისამ, განისვენა 1893 წლის 6 იულისს.

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1893 წ., დეკემბრის 10 — გარდაცვალება ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგისა, დაბადებიდან ორმოცდამეექვსე წელსა (ქრონიკა 1998: 96).

მოკვდა ყაზბეგი და ყველაფერი დალაგდა — მისი პირველი მტრები პირველ გულშემატკივრებად იქცნენ: ყაზბეგის გამამწარებელი დაეით კუსელი სომ გეახსოვს? როგორ მოთქვამს „Тифлисский листок"-ში, უყურადღებოდ მიტოვებულ და უდროოდ გარდაცვლილ ყაზბეგზე?! გამოსათხოვარ წერილებშიც და სახელდახელოდ დაწერილ მოგონებებშიც ბევრი იყო ბადაგი და ნაკლები — გულწრფელობა...

ზოგადქართული მიმართება კი „ივერიამ" გამოხატა: „ორჯელ დაბადებულს ეროი სიკვდილი ვერას უსამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირხეოდა, და ასეთს აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს" („ივერია", 1893, №269). სხვა, დანარჩენი, ყველაფერი წესითა და რიგით წარიმართა...

თუ როგორ წარიმართა, ამის შესახებ თედო სახოკია მოგვითხრობს: „დიმიტრი ყიფიანის შემდეგ საქართველოში ასეთი ამბით მარტო ალ. ყაზბეგს ულირსა დასაფლავება. ზღვა ხალხი, ქალი, კაცი, შეგირდობა, მწერლობის მსახურნი, საზოგადო მოღვაწენი. კუკიის ხიდთან რომ იყო სამგლოვიარო პროცესიის თავი, ბოლო ისევ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოსთან ჩანდა. დიდი მთავრის ქუჩაზე. გვირგვინები, გვირგვინები და კიდევ გვირგვინები, მანდილოსნების ხელით მოტანილ ცოცხალ ყვავილთა შორის კუბო არც კი ჩანდა. პროცესიამ გაიარა კუკიის ხიდი, აუხვია ბარიატინსკის (ამჟამად ჯორჯიაშვილის) ქუჩას, გაიარა გოლოვინის პროსპექტი, დასაკრძალავად თავის სამშობლო ყაზბეგში მიასვენებდნენ საქართველოს სამხედრო გზით.

ყვერაზე, ჯვართან კუბო დაასვენეს. პანაშვიდი გადაუხადა სამღვდელოებამ და მოსკდა სიტყვები... ქართველი ერი დაობლდა... გაფასებდით, გაფასებთ და კლავაც დაგაფასებთ. მოიგონეს ყველაფერი, ხოლო არავის მოუგონებია ფურმანი, ყველას

დააეწყდა ადამიას სარძეო... საჰ მანეთში ლექსთა კრებულის დაგირავება...“ (სახოკია 1984: 71).

ბიოგრაფიული ქრონიკიდან: 1893 წ., დეკემბრის 22 – დაკრძალვა სოფელ სტეფანწმინდაში, მამა-პაპის გვერდით, თავისივე სახლის ეზოში (ქრონიკა 1998: 97).

1886 წელს, „კრიტიკოსთაგან“ გაბეზრებული ალექსანდრე ყაზბეგი სასოწარკვეთით წერდა: „...რაღათ გზას მიღობავთ? გამიშვით სხვაგან, იქნება იქაც სადმე შეეხვედე ელგუჯას ან კიდევ მის პროტოტიპს, აწმყო საეგზლახ-სატირალს წარმომადგენელთ! გამიშვით დავიტირო ჩემი მკვდრები ამისთვის, რომ ჩემნი არიან და ჩემი გული მიიბრძვის მათკენ!..“ (ყაზბეგი 1950ა: 221).

ნეტა, თუ შეხვდა?! თუ შესვდა იმათ, ვისსედაც ამნაირი ექსპრესიით ჰყვებოდა; იმათაც, რომლებსაც კარგად იცნობდა და რომლებთანაც ცხოვრების ყველაზე წარმტაცი დღეები აკავშირებდა და იმათაც, ვინც თვალით არ ენახა, მაგრამ არანაკლებ უყვარდა?!

იმ სამყაროში, სადაც ასე გაშინაურდა მოჩხუბარიძის გვარით ცნობილი მისი ორეული, ალექსანდრე ყაზბეგს ეგულებოდა ოდენ იქ შემორჩენილი ქართულ-კავკასიური რაინდული პირველსაწყისი. სადღაც, სულის სიღრმეში სჯეროდა, რომ მთელ ცხოვრებას ამ საწყისის მსახურებას შესწირავდა, წმინდა გრაალის მაძიებელი რაინდის მსგავსად და საძულველ „საქართველოს ბომონდს“ სულიერი სრულყოფის შარაგანდედმოსილი წარუდგებოდა; ოდესღაც, ჭაბუკური ამპარტავნების წამს, გაუმჟღავნებია კიდეც თავისი ეს ფარული მიზანი... მაგრამ მერე, ფრთამოტეხილს, სწორედ იმ ბომონდისაგან განკიცხულს და განრიდებულს (როდესაც მზაღოსავით „სიცოცხლის ისევე ეშინოდა, როგორც სიკვდილის“), მხსნელ საყანედ ისევ და ისევ კავკასიის მთები ესახებოდა; ის მთები, სადაც თავის გმირებს მიუჩინა ბინა და სადაც მათთან მომავალ შეხვედრას ლამობდა...

ერთ თავის გაუგზავნელ წერილში განაწყენებული ყაზბეგი წერდა: „მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება, თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის სახელი არ დამრჩა...“ (ყაზბეგი 1950ა: 161). ყოველივე ამას წერდა 1886 წელს, როდესაც მისი ბელეტრისტიკის ყველა შედევრი უკვე შექმნილი იყო, თვითონ კი, დაღმასვლის ნიშნებით დამფრთხალი, თავგანწირვით ებღაუჭებოდა იმ წარმოსახულ ქიმს, სადაც თავისი წიგნები ეგულებოდა და სადამდე ასვლასაც მთელი ცხოვრება მოანდომა...

„ყოფნა-არყოფნის“ დილემა ალექსანდრე ყაზბეგს „აღწერება-არაღიარების“ კითხვად შემოუბრუნდა და არავინ უწყის, როგორი იყო თავად ყაზბეგის საბოლოო პასუხი... ეგების, იდუმალმა ხმამ მაინც ჩასჩურჩულა, რომ მისი სახელი – „თავისი დროის პირველი ბელეტრისტისა“ სამარადისოდ დარჩება და ქართული პროზის ოლიმპს ყაზბეგის მწვერვალზე გადაანაცვლებს.

დამოწმებანი:

აბაშიძე 1962: აბაშიძე კ. ეტიუდები. თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 1962.
აღწერილობა 1960: ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერები (აღწერილობა), შეადგინა შ. გოზალიშვილმა, თბ.: „მეცნიერება“, 1960.
ბარათაშვილი 1945: ბარათაშვილი ნ. თხზულებანი. თბ.: სახელმწიფო გამ-ბა, 1946.
გრიშაშვილი 1948: გრიშაშვილი ი. ძველ თეატრში. თბ.: „ხელოვნება“, 1948.
კოტეტიშვილი 1925: კოტეტიშვილი ვ. ალექსანდრე ყაზბეგი და მისი აეტორობის საკითხი. თბ.: 1925.
სახოკია 1984: სახოკია თ., ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984 (მეორე გამოცემა).
ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი 12 ტომად. ტ. XII. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.
ღლონტი 1996: ტიტე ღლონტი, ალექსანდრე ყაზბეგის ავადმყოფობა, პიროვნების ნაკლი და აეტორობის საკითხი, ჟურნ. „ცისკარი“, 1996, №9-10.
ქრონიკა 1998: ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა: ალ. ყაზბეგი – ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე (1848-1893). შემდგენელნი – ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე. თბ.: 1998
ყაზბეგი 1904: ყაზბეგი ა. თხზულებანი. წინასიტყვაობის აეტორი დ. კარიჭაშვილი. თბ.: 1904.
ყაზბეგი 1948: ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული (თსკ), ტ. 1. თბ.: „საბჭოთა მწერალი“, 1948.
ყაზბეგი 1948ა: ყაზბეგი ა. თსკ. ტ. 2. თბ.: 1948.
ყაზბეგი 1949: ყაზბეგი ა. თსკ. ტ. 3. თბ.: 1949.
ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ა. თსკ. ტ. 4. თბ.: 1950.

ყაზბეგი 1950ა: ყაზბეგი ა. თსკ. ტ. 5. თბ.: 1950.
ყაზბეგი 1924: ყაზბეგი ე. მოგონებანი. ჟ. მნათობი, 1924, №5.
ჩხეიძე 2005: ჩხეიძე რ. ყაზბეგიანა. თბ.: ალექსანდრე ორბელიანის სახ-ბა, 2005.
ცხოვრება 1988: ცხოერება ალექსანდრე ყაზბეგისა (მის თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით). შეადგინა ე. ავსაჯანიშვილმა. თბ.: „განათლება", 1988.
ჭავჭავაძე 1957: ჭავჭაძე ი. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად (პ.ინგოროყვას რედ.), ტ.IX, თბ.: „სახელგამი", 1957.
ხუციშვილი 1967: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის (ქრესტომათია). შეადგინა ს. ხუციშვილმა. ტ. II. თბ.: 1967

ილია ჭავჭავაძე

<წოდებათა თანასწორობა>

ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდძალტარაობის გაურჩეელად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰცდილობს ცხოვრების გზა გაიკელიოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თაეისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თაეის თაეის ხსოვნა და სხვისი დაეიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიეროო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან.

ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც კაცთა ურთიერთობაში შესაძლებელი იყოს რომელმამე წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ. ამისთანა წყობა და აგებულობა საზოგადოებისა, თუ ერისა, დიდხანს თავს ვერ დაიჭერს და, ვითარცა ქვიშაზედ აგებული სახლი, პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება. ამისი მაგალითი და საბუთი ისტორიაში ერთი და ორი არ არის. ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია.

ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ყერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო. ეს ტყუილი ქადილი იქნება და ამ ტყუილმა ქადილმა ბევრსაც ჩასცხო კიდეც თავში ყველგან, სადაც ამისთანა თავგასულს ტყუილს ადგილი ჰქონია. თუ უწინ ამისთანა ტყუილს ქადილს, ჩვენში თუ სხვაგან, გასავალი ჰქონდა ცოტა თუ ბევრი, ეხლა ამას მა'სანდა ძალიან წამხდარი აქვს და სიცილის მეტს კაცს არას მოჰგერის. ეხლა სულ სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრებაც მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ესლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო იმისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას იყიწყებს, ის იყიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს.

ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი თავადაზნაურობა ჯერ ამ მოძღვრებას ყერ მისწვდომია და, როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხ'შირად ცალკე იწევს და ცალკე იოლის. ჩვენ კი ვიტყვით, რომ მისი დღეგრძელობა, კეთილდღეობა, ბედნიერება, სახელი და დიდება სწორედ და მთლად იმაშია, რომ ეს მოძღვრება გულში ჩაიჭდიოს და ერთს წუთსაც გონებიდამ არ მოიშოროს, რომ თუ სხვანი კარგად იქნებიან, მარტო მა'შინ იგიც კარგად იქნება. ჭეშმარიტსა და საბოლოო წარმატებას საითაც აქა აქვს და თუ ჩვენი თავადაზნაურობა ყოველს თავის მეცადინეობას და მოქმედებას ამ მოძღვრებას შეუფერებს და ქვეშ დაუყენებს, სასახელო მი'ხე'ხს თავის არსებობისასაც აქ იპოვის. ეხლანდელს დრო'ში მხოლოობითი გზა წარმატებისა თავადაზნაურობისათვის ის არის, რომ ყველას ერთად, გამოურჩევლად, გამო'კლებლად, მოზიარე ექმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნიერობდეო. ეს ცალკე ყოფნა და ცალკე ბედნიერება შეუძლებელია და ამიტომაც ამაოა ამისათვის ცდაცა. არც ერთს თავადა'ზნაურობას საბოლოოდ თავი არ დაუჭერია არსად, საცა კი ამ ცალკე ყოფნასა და ცალკე ბედნიერებას გაჰყოლია. ყველამ ერთად და თითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობა'ში და არა ცალკე არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველ'ზე დაამყაროს.

ილია ჭავჭავაძე

<სამართალი და ზღვევა>

24-ს ნოემბერს ტფილისის სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო ყოფილს მოწაფეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისას ვასილ იეანეს ძეს კაკაბაძეს, ჩამოართვა ყოველიეე ღირსება და უნდა გაიგზავნოს კატორგაში ოთხის წლით.
რა თქმა უნდა, რომ ყოველიეე დანაშაული კაცისა წინააღმე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი ყოველიეე ბოროტად მოქმედი კაცი უნდა დაეუნებულ იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა, თუ მოურჯულებელია, და თუ მოსარჯულებელია – ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისეე პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას. ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც, ჩვენის ფიქრით, აუპატიურებს იმ უწმინდესსა და უმაღლეს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით და ურომლისოდაც კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან. მართლიერება, სამართალი, მთელის ერის გაწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართაცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება.
ერთი უდიდესი მოვალეობა ადამიანისა მსაჯულობაა. მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელის ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმე-

ნდილი და კუთვნილ სიმაღლესედ დაყენებული. ეს მთელის ერის ნამუსი, მთელის ერის სინდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღერევა, როცა შემცოდველს უყურებენ, როგორც მსხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით ასე თუ ისე შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინდისი, ეგ ნამუსი, სიყვარულით, გულისტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზედ და არა ჰხარობს კი, რომ აი, მომეცა შემთხვევა, ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მიეცეო. ამით არის ეგ საყოველთაო სინდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბლველი და სატრფიალო.

1889 წ.

ნიკო ნიკოლაძე

ეკლესია და სახელმწიფო

ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში ყველაზე უფრო შესანიშნავი მოვლენა ის ბრძოლაა, რომელიც ეხლაა ატყდილი, სახელმწიფოს, ესე იგი, სამოქალაქო გაწყობილებას და საეკლესიო წესს შუა. რაკი 1864 წლის პაპის „მსოფლიო ეპისტოლემ“ (ენციკლიკამ) და 1870 წლის მსოფლიო კრებამ თითქმის ყველა ის აზრები შეაჩვენა, რომელზედაც დამყარებულია ეხლანდელი სამოქალაქო და სახელმწიფო წესი (მაგალითად, დეპუტატების ამორჩევა, სახელმწიფო საქმეების კონტროლი, სამოქალაქო ქორწინება, რწმუნებების თავისუფლება და სხვ. და სხვ.) - დაიწყეს სახელმწიფო კანონების უარყოფა და თავიანთი საკუთარი წესების შემოღება. სხვა და სხვა სახელმწიფოებში განხეთქილების მიზეზი სხვა და სხვა იყო, მაგრამ საქმე კი ყოველგან ისე რიგათ წარიმართა, რომ სამოქალაქო მთავრობამ ღვდლებს შენიშვნა მისცა (თქვენი მოქმედება კანონს და კანკორდატს არ ეთანხმებაო). ამ შენიშვნაზე ღვდლებმა ყოველგან პასუხად გამოაცხადეს, რომ „კანონი კაცების ხელითაა შედგენილი და ჩვენ კი ხეთის მემკვიდრის, შეუცდომელი პაპის ბრძანებას ვემორჩილებით და ნებას ვასრულებთო. ჩვენ ყოველ იმ კანონს უარვყოფთ, რომელიც პაპის ნებას არ ეთანხმებაო“.

უეჭველია, რომ ამნაირ მდგომარეობაში სახელმწიფოს ან თავის კანონების ძალა უნდა დაეკარგა და სამღვდელოების ყურმოჭრილი ყმა უნდა გამხდარიყო (ასე მოიქცა საფრანგეთში ტიერის მმართველობა), ანა და კანონების ძალა უნდა დაეცვა და სამღვდელოება უწინდელ მდგომარეობაში უნდა დაეტოვებინა, კანონებისთვის უნდა დაემორჩილებია. ასე მოიქცა გერმანია და შეიცარია.

ეს საქმე ძლიერ ძნელი და გაელენიანია ხალხის მომავალი ბედისა და მდგომარეობისათვის, და ამის გამო ამ საგანზე ორიოდე სიტყვის თქმა ღირს.

უწინდელ დროში სამღვდელოებას თავისი საკუთარი შემოსავალი და მამულები ჰქონდა. ამ მამულების და შეძლების უმეტესი ნაწილი სამღვდელოებამ იმითი შეიძინა, რომ დაბერებულ უმეცრების, მომაკვდავების, გამოწერწეტებული ქალების და დაბრმავებული კაცების შეშინებულ გონებას საიქიოს და ჯოჯოხეთის სურათებს უხატავდა და ეუბნებოდა: თუ საიქიოს ნეტარება და ჯოჯოხეთის გადარჩენა გინდათ დიდ ძალი ფული და მამული შესწირეთ ეკლესიასო. დაშინებული, აყალმყოფი, გამოტეინებული გონება (თავისი) ცოდვების გამოსაყიდველად, გლეხებს, (შამულებს...) სწირავდა რომის პაპის სასარგებლოდ. სამღვდელოება იმდენად გაძლიერდა და გამდიდრდა, რომ სახელმწიფოს ტოლი და მტერი შეიქნა. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ამ უმსგავსობას ბოლო იმით მოუღო, რომ საეკლესიო მამულები სახელმწიფოდ ჩარიცხა და სამღვდელოებას სამაგიეროდ ჯამაგირი გაუჩინა. ეს გადაწყვეტა იმნაირად (საზეიმო) გამოდგა, რომ მთელმა ევროპამ ამ მაგალითს მისდია და თითქმის ყოველგან, სამღვდელოებას მამულები ჩამოერთვა და ჯამაგირი დაენიშნა, ისე რომ თვით რუსეთშიაც და კავკასიაშიც მოაწია ამ განწყობილებამ.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროებში ეს განწყობილება ბევრს აღარ მოსწონს. ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტია ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ როდი უნდა აძლიოს ჯამაგირი სამღვდელოებასაო: ვისაც სწამს მღვდელის ქადაგება, ვისაც მისი ლოცვა სჭირია და საჭიროდ მიაჩნია, იმან თვითონ აძლიოს ხარჯი მღვდელსაო. თორემ მღვდლები ფულს კი სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ და თან სახელმწიფო კანონების წინააღმდეგ ქადაგებენ, თანამედროვე საზოგადოების დამხობას ცდილობენ და სახელმწიფო ფულით სახელმწიფოს სამი საუკუნით უკან დახევას ეძებენო. ამასთანავე ის ნაწილი სამღვდელოების, რომელსაც თავისი სარგებლობა გამჭრიახათ ესმის, ამბობს: „ჩვენ ჯამაგირს როდი ვთხოულობთ, თავისუფლება მოგვეცით რაც გვინდა ის ვიქადაგოთო, როგორც გვსურს ისე ვმართოთ ჩვენი სასწავლებლები და (....) ეკლესიას დაუბრუნეთ მამულების შეძენის უფლება, რომელიც იმას რევოლუციის დროს გამოცემულმა კანონმა მოუსპოო და ჩვენ კმაყოფილი ვიქნებითო“. აი, ეს ორი მიმართულება თხოულობს ეკლესიის და სახელმწიფოს განცალკავებას. - მეორე მიმართულება კი ეხლანდელ წესს იცავს და ამტკიცებს, ერთის მხრით (ზოგიერთი რესპუბლიკელები), რომ მამულების შეძენის უფლება რომ მიეცეთ სამღვდელოებას, ის ისევ ისე გაძლიერდა

როგორც 1789-მდე იყო; უფრო სჯობია სამღვდელოება ჯამაგირით აელაგმოთ და კანონების მორჩილებას ვაიძულოთო. და, მეორეს მხრით, სამღვდელოების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ჯამაგირი ჩვენ გვერგება როგორც იმ მამულების (სანაცვლო), რომელიც 1790-ში წაგვართვეს. თუ ჯამაგირების (მოცემა არ გსურთ) ის მამულები დაგვიბრუნეთო.
აი, ესაა ეხლანდელი ბრძოლის ასპარეზი.
თვითონ ბრძოლა კი თანდათან უფრო და უფრო ცხარდება და შიგ ბევრი ახალი საფუძველი და იარაღნი გამოაქვთ მებრძოლებს. შესანიშნავია იმათში ის წესი, რომელიც ეკლესიის მართებლობამ გამოძებნა, სამღვდელოების ამორჩევა მრევლისაგან. დღეს, ღვდელის ამორჩევის დროს თითოეულ კანდიდატს მისი შეხედულების და რწმუნებების გამოთქმა და დამტკიცება დასჭირდება, მაშინ რწმუნების საქმეებში უფრო დიდი ეჭვიანობა და ანალიზი ჟეხს შეადგამს, და უეჭველია, ეს ბევრ დაბრმავებულს თვალს აუხელს, ბევრ ამაოთ მორწმუნეობას მოსპობს, ბევრ უსაფუძვლო გაელვნას ბოლოს მოუღებს. მაგრამ ამ (ცხელებაზე) და საზოგადოთ ეკლესიების განხეთქილებაზე სხდომის მოვილაპარაკოთ.

რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიუღლნთა არა მარტო ადამიანთა ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენის ქვეყნის დაარსების შემდეგ, არა გეგონია ასე მძლავრად და საყოველთაოდ როდისმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-5 წლებში და დღეს-აც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, გეესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ჰქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ბანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხერის ფარა, საცა ნავარდობენ მგლები... საცა მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?... თუ შეუძლებელია, მოუთავსებელი და მოუხერხებელი მგლებისა და ცხვრების შაერთება, რადღა ეყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ, მაგრამ მგლებს ხომ არ ვეძახით, არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს, რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდენ, მოიფიქრონ როგორ მოუარონ თავისთავს, რაითა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ, უნდა გამოძებნონ საფარი და გზა საკალი... მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოელენ, ხოლო თავისიანებს, გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობა-ერთობას უქადაგებენ. თუ ასე არ მოიქცნენ, ხომ დაეკარგათ ძალა და ცხვრებმა სათითაოდ, თუმც ამ უკანასკნელთ არა აქვთ გაალმასებული კბილები, გააითავეს რქებით და ჩლიქებით?! ძმობა ხომ იმას მოასწავებს, როცა ერთს მგელს გაუჭირდება, მეორე უნდა მიეშველოს. ეგრეთვე თუ ცხ-

ვარი-ცხვარს. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მგლებს ისე არ ესაჭიროებათ ერთობა, როგორც ცხვრებს, რადგან თვითეულს მგელს საკმაო ძალა აქვს ცხვრებთან საბრძოლველად, - ძალა, რასაკვირველია, ფიზიკური, რომელსაც ისინი ხმარობენ ცხვრებზე. ცხვრების ძლიერება კი ერთადერთი ზნეობრივი ძალაა...
დღესნამდის ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც, ხოლო ვინც მგლები არიან, ეს თქვენც კარგად იცით. ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის, ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შაგვეძინა ძალა... ჩვენ მოვისურვეთ თავისუფლება: განუკითხავად არ ეჭამა და ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს... ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თაეისუფალი სიცოცხლისა, რომ ძალმომრეობას გზა მოეტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოესპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თაეისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.
იქ რა უნდა თავისუფლებას, საცა ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთეელად სხვა ისაკუთრებს? მე ვტირი, ის იცინის და ჩემში მტაცებლის მიმართ მხოლოდ ზიზღი და გრძნობა შური-სძიებისა სდუღს და გადმოდის. მინდა ეისწაელო და ნება არ მეძლეეა; მინდა ჩემი საკუთარის ხარჯით დაეაარსო უნიეერსიტეტი და უარს მეუბნებიან; და სხვ. და სხვ...
არ მინდა ვილოცო ის მშვენიერად მორთულ-მოკაზმული კერპი, რომელსაც შენ ჰლოცულობ.
იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მამღერებენ, არც მაგალობებენ?! რა გული უნდა მქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! - სხეას არაფერს, გარდა ზიზღისა, მძულეარებისა. მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე, ეგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილს და ეწეეული იმ ძალებს, იმ მგლებს, რომელნიც ყეელა სემორე აღნიშნულ საქმეში ხელს მიშლიან,

წინ მელობებიან და ეუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი... როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად, მაშინვე იწყება ჩემი თავისუფალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავისუფლებისა. და უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ ვარ მონა, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ემალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა. არა, მძულვარება როცა უკიდურესობამდეს მიდის, მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა, მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები, ან ვძლევ ჩემს მტანჯველთ!.. არ იძლევა, არ დამარცხდება მჩაგვრელი ძალა, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა. იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-გამოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (ე.ი. თავისუფლება)?! - იტყვის და ამბობს კიდეც, ამას ჩვენის თვალით ვხედავთ. აშკარად ვგრძნობთ ყველანი... მაშასადამე, სჩანს მისმა მძულვარებამ მგლებისადმი უკიდურესობამდე მიაღწია. თუ ეს ფაქტია, ნამდვილი მოვლენა, მაშინ იცოდეთ, სიკვდილი აღარ შეგვაშინებს, მაშინ ყველა მზად იქნება თავი დასდოს თავისუფლებისათვის და გამარჯვებაც უსათუოა. ამიტომ, ვიმეორებ. ვისაც თავისუფლება უყვარს და უნდა მისი დამყარება ქვეყნად, ჯერ უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიძულოს მთელის თავის არსებით, გულით და გონებით მტარვალნი და მტარვალობა. ეს არის მხოლოდ საშუალება, რომლის წყალობით ადამიანს შეუძლიან მედგრად იბრძოლოს და არ დაზოგოს სიცოცხლე თავისუფლების მოსაპოვებლად.. და რა არის ეს თავისუფლება, რატომ არ იკითხავთ? უკაცრავად ნუ ვიქნები, რომ მე ჩემებურად განვმარტო ეს სიტყვა: თავისუფლება ხალხისთვის მტარვალთაგან წართმეული ბედნიერებაა. ბედნიერებაწართმეულს რა ჰრქვია უბედურების მეტი? - არაფერი. კიდეც იმიტომ არის, რომ უბედურად ჰგრძნობს თავის თავს ყველა დამონებული, თავისუფლებას მოკლებული ერი და პიროვნება. წამრთმეველნი სარგებლობენ ამ ნაყაჩაღარის ბედნიერებით მხოლოდ ცრუტახანს, რადგან ცხოვრების ლოღიკის წყალობით ეს ნადაელი, მოპარული ბედნიერება მტაცებელთათვის უბედურებად ხდება. გაბრაზებულთ თვალი მთელს რუსეთს და ჩვენს ქვეყანას, აშკარად დარწმუნდით, რომ ეს ასეა. დღეს ხალხი იბრუნებს იმას, რაც წაართვეს და წართმეული გახლავთ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბედნიერება წამრთმეველი დღეს ტირის; ხოლო გაცარცული მღერის, მხიარულობს, რადგან დანაკარგს პოულობს. წართმე-

ულს იბრუნებს. თავისუფლების ქურდები ბოლო ჟამს მუდამ დასჯილან. როდისა დგება ეს ბოლო ჟამი? - სწორედ მაშინ, როცა ხალხი თვალებს ახელს, როცა თავის ყოფა-მდგომარეობის აუტანლობასა ჰგრძნობს და ჰხედავს, გაიცნობს იმ შავ ძალებს, რომელთაც წაართვეს ბედნიერება, - ძულს ისინი უსასყიდლოდ; სწორედ მაშინ ცდილობს შემუსროს თავის დამმონებელნი...

რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? - თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მაშასადამე, მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, - არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამაენებლო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში როდია თავისუფლება, იგი იქცევა მტარვალობად. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაჰებს, თაგში სცემენ კვერებს და საღრჩობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლებისაგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, საწამლავს უმზადებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მოწამლულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ საწამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მიწაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებ'ზეა სწორედ 'ხედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ეირმა პალო მოაძრო და იმდენი სხვას არა ჰკრა, რამდენიც თითონ იკრაო". ხალხის მმართველნი, რომელნიც ამ უაღრესს უგუნურებას ჰშვებიან და ხალხის მონებად გადაქცევას ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან სნეობრივად და ფიზიკურად, ხალხსაც აფუჭებენ. დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად.

ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაუტაკა და რქები შემოიმტვრია. მაშასადამე, თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი, ყველა წოდება იქნება თავისუფალი, ე.ი. ბედნიერი... თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია.

ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც ცხოვრებას ისევ საფუძვლად წოდებრივი განსხვავება აქვს დადებული, საცა ყველას განურჩეველად წოდებისა და გვარიშვილობისა, არ ეძლევა საშუალება პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსებობისა, საცა შრომა ღირსეულად არ ფასდება, საცა არ არის თანასწორად განაწილებული ცოდნა, ქონება.

მარტო ქონებრივი უსრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა.

მიხეილ ჯავახიშვილი

შვიდი თავისუფლება

იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს თვით ხალხი განაგებს თავის არჩეულ სანდო კაცების შემწეობით, ყოველს მცხოვრებს აქვს უფლებები, რომელთა წართმევა ან შელახვა არავის შეუძლიან. ამ უფლებებით ყველა სარგებლობს, რა ტომისა, რა ჩამომავლობისა, ან რა რჯულისაც არ უნდა იყოს, სარგებლობს მდიდარიც და ღარიბ-ღატაკიც. ამ უფლებათა თავისუფალ სარგებლობას უწოდებენ თავისუფლებას. ამისთანა თავისუფლება შვიდია. აქ ჩამოვთვლით მათ და თან განვმარტავთ, თუ რაში მდგომარეობს თვითოეული მათგანი:

I. პიროვნების ხელშეუხებლობა

ე.ი. არავის, არც მთავრობის კაცს, არც სხვას არ შეუძლია ტყუილუბრალოდ ვინმე შეურაცხყოს ან აწყინოს რამე. არავის შეუძლიან დააპატიმროს ადამიანი, თუ ხელთ სასამართლოს დადგენილება არა აქვს. მოსამართლეს კი თავად ხალხი ირჩევს და ხელი არა აქვს სასამართლოს მოქმედებაში. მაგალითად, ინგლისში ამისთანა წესია: ვთქვათ, ვისმე ხედ ეჭვი მიიტანეს, რომ მან ბოროტმოქმედება რამე ჩაიდინა ან დანაშაულობა რამე მიუძღვის და დააპატიმრეს. დაპატიმრებული 24 საათის (ხოლო იმ ადგილებში, საცა მსაჯული არ არის და იგი დაშორებულია), 3 დღის განმავლობაში უნდა წარუდგინონ მსაჯულს. მსაჯული გამოუცხადებს, თუ რა ბრალსა სდებენ და დაუყოვნებლივ გამოიძიებენ საქმეს. თუ აღმოჩნდა, რომ დაპატიმრებული დამნაშავეა, მაშინ მსაჯული წერილობით ბრძანებას გასცემს, რომ დამნაშავეს დაპატიმრება გაუგრძელონ, და სასამართლოში აძლევს. მსაჯულმა თავის ბრძანებაში უნდა აღნიშნოს დაპატიმრების მიზეზიც.

ხოლო თუ მსაჯულმა სცნო, რომ კაცი უსაფუძვლოდაა დაპატიმრებული, და გაათავისუფლა, პატიმარს უფლება აქვს

სისხლის სამართალში მისცეს ის, ვინც მის დაპატიმრების ბრძანება გასცა, გინდ ეს დიდი მოხელეც იყოს, და აგრეთვე ისინიც, რომელთაც ეს ბრძანება აასრულეს. ნაპატიმარს შეუძლიან, აგრეთვე, მოსთხოვოს მათ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მას უსაფუძვლო დაპატიმრებამ მიაყენა. ხალხის მოხელე ან ის პოლიციელი, რომელმაც დააპატიმრა, თავს ვერ გაიმართლებს მით რომ, მე "უფროსმა მიბრძანაო". უმცროსი მოხელე მოვალე არ არის, აასრულოს უფროსის ბრძანება, რომელიც უსაფუძვლოდ ან უკანონოდ მიაჩნია, და თუ ამისთანა ბრძანება აასრულა, იგი პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

არცთუ ვინმეს ბინაში შესვლა, იქაურობის გაჩხრეკა და გადაქოთება შეუძლიან პოლიციას, ხელთ სასამართლოს წერილობითი ბრძანება არა აქვს, და ისიც მხოლოდ მზის ჩასვლამდის შეუძლიან. არავის შეუძლია წერილების გახსნა ფოსტაში, თუნდ უმაღლესი მოხელისაგან ჰქონდეს ნაბრძანები. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ აქვთ სასამართლოს წერილობითი ბრძანება. ამის დამრღვეები პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე.

ყველას, იქნება ეს ქართველი, სომეხი, თათარი, რუსი, ფრანგი ან სხვა რაიმე ტომის ან რჯულის კაცი, თავისუფლად შეუძლია, საცა უნდა იქ წავიდეს ან დასახლდეს, რა ხელობასაც უნდა იმას მოჰკიდოს ხელი, ან სხვადასხვა ქონება შეიძინოს. ქაღალდები კი, რომელშიც კაცის გვარი, სახელი, წლოვანება და სხვაა აღნიშნული (ეგრეთ წოდებული პასპორტები), და ურომლისოდაც ჩვენში კაცი ფეხს ვერ გაადგამს, განათლებულ ქვეყნებში უცხო ხილია. ამერიკაში ყველას იარაღის ტარების უფლებაც კი აქვს.

იმ ქვეყნებში, საცა პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობაა, შეუძლებელია, რაც ჩვენში ეხლა ხდება: იქ ვერ იფარფაშებს უბრალო ჩაფარი, ყაზახი, პოლიციელი ან აფიცერი, რომელთაგან თვითეული ჩვენში ნამდვილი მეფეა და მთელ ხალხს თავის ქეიფზე ათამაშებს. გუბერნატორი იქ ვერ გამოსცემს საგანგებო წესებს, რომლის ძალითაც უბრალო დანაშაულობისათვის კაცს სიცოცხლეს უსპობენ. შეუძლებელია იქ ტყუილუბრალოდ საომარ დროის წესების გამოცხადება, ხალხის დახოცვა და ქუჩაში ხალხის უდიერი ჩხრეკა, ცემა-ტყეპა და ყველა ის, რაც ჩვენებურს კაცს კარგა აქვს გაცნობილი.

II. სინდისის და რწმენის თავისუფლება

ე.ი. ყველას თავისუფლად შეუძლიან თავის რწმენა, აზრი იქონიოს, თავის რჯულს მისდიოს. შეუძლია სწამდეს ღმერთი, უარ-ჰყოს იგი, ერთი სიტყვით თავის აზრის, რწმენისა და რჯულის საქმეში არავის არ უნდა დაეკითხოს, არავის შეუძლია ძალით მოახვიოს ესა თუ ის აზრი, რწმენა და რჯული. მით უმეტეს არავის შეუძლია ამა თუ იმ აზრის, ან რჯულის გულისათვის შეაწუხოს, ან სდევნოს ვინმე. ყველა ეს სინდისის საქმეა და მისი შეზღუდვა, შევიწროება არავის შეუძლია.

III. და IV. თავისუფლება სიტყვისა და წერა-კითხვისა

ე. ი. ყველას თავისუფლად შეუძლია თავისი აზრი, რწმენა გამოსთქვას, დაწეროს ან დაბეჭდოს. ამისათვის ყველას თავისუფლად შეუძლია სტამბა იქონიოს და ჰბეჭდოს ყოველგვარი წიგნები, წიგნაკები, ჟურნალ-გაზეთები, ფურცლები და სხვა. და ყველა ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო მთავრობის რაიმე ნებართვა. ამ წიგნაკებში, ჟურნალ-გაზეთებში, ფურცლებში ყველას თავისუფლად შეუძლია ანგარიში გაუწიოს ან გაჰკიცხოს მთავრობისა და მოხელეთა მოქმედება, ძალიან წარჩინებულნიც რომ იყვნენ ეს მოხელენი. დაბეჭდილ წიგნაკების, ჟურნალ-გაზეთების და ფურცლების გავრცელება და ვაჭრობა ყველას თავისუფლად შეუძლია.

აგრეთვე ყველას შეუძლია თავისუფლად ლაპარაკი კრებებზე, ყრილობებზედ. ყველას თავისუფლად შეუძლია გაჰკიცხოს და ანგარიში გაუწიოს მთავრობისა და მოხელეთა მოქმედებას და არავის შეუძლია ეს დაუშალოს.

ხოლო თუ ვინმემ ბოროტად გამოიყენა ეს თავისუფლება და ლაპარაკში ცილი დასწამა ვისმე, ჭორი გააერცელა ან ტყუილი ცნობა მიაწოდა ხალხს, მაშინვე დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წინაშე.

სიტყვის და წერის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და იმიტომ არის საჭირო, რომ მოხელეთა ძალმომრეობა შეიზღუდოს; თუ მსაჯული უკანონობას ჩაიდენს, მოხელე ქრთამს აიღებს ან დასჩაგრავს ვისმე, ვინ გამოესარჩლება უძლურს? თავისუფალი სიტყვა. რაკი თავისუფალი სიტყვის შემწეობით უკანონობას გაიგებენ, ხალხი ეცდება თავიდან აიშოროს და დასაჯოს ამისთანა უკანონობის ჩამდენი.

V. თავისუფლება კრებისა

ე.ი. ყოველ ადამიანს სრული უფლება აქვს, საცა უნდა და რამდენიც უნდა შეიკრიბნენ, რათა თავიანთ საქმეებზე და სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მოილაპარაკონ. ამისთვის სრულიადაც საჭირო არ არის მთავრობის რაიმე ნებართვა ან განცხადება. ხალხს შეუძლია მრავლად შეიკრიბოს და ქუჩა-ქუჩა იაროს სიმღერით, დროშებით და სხვა. არც თუ ამის დაშლა შეუძლია ვისმე, ამ კრებებზე თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი სხვა და სხვა საგნებზე, მთავრობის, მოხელეთა მოქმედებაზე და სხვა

კრების თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, რადგან ხალხს თვითმოქმედებას აჩვევს.

VI. კავშირგაბმულობის თავისუფლება

ე.ი. თუ რაიმე მიზნის მისაღწევად რამდენიმე კაცს შეერთება, შეკავშირება სურს, არავის შეუძლია ამის დაშლა. კავშირების შედგენა ერთობ ესაჭიროებათ მუშებს და გლეხებს. და საზოგადოდ მათ, ვინც სხვა და სხვა მეპატრონეთაგან არის დაჩაგრული და შეცდომებული. მეპატრონენი და მემამულენი ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სისხლი გამოსწოვონ მუშებს და გლეხებს. ამიტომ მეპატრონეს ან მემამულეს სრულიად არ აწუხებს მუშისა და გლეხის გაჭირვება. ღარიბმა და მშრომელმა ხალხმა კარგად იცის, რომ მეპატრონენი და მემამულენი მათ გაჭირვებას არ უშველიან: მუშა და გლეხი შეიძლება წელებზე ფეხს იდგამდეს, სნეულდებოდეს, სიბნელით იყოს მოცული, შიმშილ-ტიტველი და მშიერი დაიარებოდეს, ყველა ეს არ აწუხებს მეპატრონეთ და მემამულეთ. მუშებმა შეიგნეს, რომ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თვითონვე უნდა იზრუნონ. და აი ამისთვის ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან, შეთანხმებულ მოქმედების პირობას სდებენ და კავშირს აარსებენ. ყოველი მუშა ცალცალკე მეპატრონესთან ბრძოლაში სუსტია. იგი ვერაფერს გააწყობს მასთან. მეპატრონე ადგილიდან დაითხოვს და მის მაგიერ მისცე ამხანაგს მიიღებს. ხოლო თუ მუშები პირობას დასდებენ, რომ ერთი პირი იქონიონ, ერთად იმოქმედონ, მაშინ ისინი უკვე ძალას წარმოადგენენ, იმისთანა ძალას, რომელსაც მეპატრონემ ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაუწიოს. მაშინ იგი ისე უდიერად ვეღარ მოეპყრობა მუშებს,

რაღგან იცის, რომ ერთს რომ აწყენინოს, ან ტყუილუბრალოდ დასაჯოს, მას ამხანაგები გამოესარჩლებიან. ძალაუნებურად უთმობს მუშებს და თანდათან მუშები აუმჯობესებენ თავიანთ მდგომარეობას.

გლეხებსაც სჭირიათ შეკავშირება: მემამულეებთან საბრძოლველად და მეურნეობის გასაძღოლად. მემამულეებთან საბრძოლველად გლეხები კავშირს აარსებენ და საიჯარო ქირის შემცირებას მოითხოვენ. თუ მემამულემ არ დაუთმო, მაშინ ისინი მოსამსახურეთ ჩამოართმევენ, მუშებს არ მისცემენ მიწებს დასამუშავებლად და სხვა. შეკავშირებულ გლეხებს შეუძლიათ მთლად ჩამოართვან მიწები მემამულეებს. როდესაც შეერთებულის ძალით ებრძვიან მემამულეებს, გლეხები ყოველთვის თავისას გაიყვანენ, იმიტომ, რომ ერთი პირი აქვთ, თორემ წინად ერთი რომ უარს ეტყოდა უზომო იჯარის ფასის გადახდაზე, მისსიევე მეზობელი იღებდა მიწას.

გაუმჯობესებულ იარაღის, კარგი თესლის შესაძენად და ნაწარმოებ საქონლის, პურის, კვერცხების, ერბოს და სხვა გასაყიდად გლეხებს კავშირები ესაჭიროებათ. გაუმჯობესებული იარაღის და საუკეთესო თესლის შესაძენად საჭიროა დიდი ფული. ერთი გლეხი ვერ შესძლებს ყველა ამის შეძენას. საერთო ძალ-ღონით კი, საერთო ფულით, გლეხები შესძლებენ როგორც გაუმჯობესებულ იარაღის, ისე საუკეთესო თესლის შეძენას. საქონლის გასაყიდად გლეხმა საჭიროა იცოდეს, საით წაიღოს საქონელი, რამდენი დაამზადოს, – ამასაც იგი მარტოკა ვერ მოახერხებს. ამასაც ხარჯი უნდა! საზოგადო ძალ-ღონით კი მათ შეუძლიანთ გაიჩინონ საზოგადო საწყობი, საზოგადო დუქანი, იქონიონ მიწერ-მოწერა ვაჭრებთან და მყველეფელ ჩარჩებსაც თავს დაახწევენ. ამრიგად, კავშირებს გლეხებთაოის დიდი მნიშვნელობა აქვს.

VII. გაფიცვის თავისუფლება

ე.ი. ქარხანა-ფაბრიკის, სოფლის მუშებს საზოგადო საეჭრო, საზოგადოებრივ და საქალაქო დაწესებულებაში მოსამსახურეებს, თუ მათი გაჭირვება აუტანელი გახდა, შეუძლიანთ გაფიცვა გამოაცხადონ, ე. ი. მუშაობაზე ხელი აიღონ და ამისათვის პასუხს არ აგებენ.

თუ გაფიცვის თავისუფლება არ არის, კავშირების თავისუფლება მაშინ ფუჭი სიტყვა იქნება, და ხალხს არ მოუტანს იმ სარგე-

ბლობას, რომლის მოტანაც შეეძლო. ერთმა მუშამ მუშაობა აღკვეთოს, მეპატრონე მაშინვე დაითხოვს, მაგრამ თუ მრავალი მუშა, მთელი კავშირი სწყვეტს მუშაობას, მაშინ მეპატრონე იძულებულია დაუთმოს, რადგან თვითეული მოცდენილი დღე მას დიდ ზარალს აყენებს. ხოლო მუშების დათხოვნა არ შეუძლიან, რადგან დათხოვნილ ამხანაგების ადგილის დაჭერას არავინ იკისრებს. ამრიგად, რათა კავშირის მოქმედებას რამე ნაყოფი ჰქონდეს, საჭიროა კავშირების თავისუფლებასთანაყვე გაფიცვის თავისუფლებაც არსებობდეს; ხოლო თუ გაფიცვის თავისუფლება არ იქნება, მაშინ ყოველ გაფიცვაში მთავრობა ჩაერევა თავის ჯარით და პოლიციელებით და მუშებს გაფიცვას შეაწყვეტინებს, რადგან მუშები გაცილებით სუსტნი არიან, ვიდრე მეპატრონეთა და ჯარის კავშირი.

ამრიგად, ყოველ მშრომელს გაფიცვის თავისუფლება ისევე ესაჭიროება, როგორც დანარჩენი თავისუფლება.

ამრიგად, პიროვნების ხელშეუხებლობა, თავისუფლება სინდისისა და რწმენისა, სიტყვა-წერისა, კრებისა, თავისუფლება კავშირებისა და გაფიცვისა, აი, ის შეიღი უმთავრესი თავისუფლება, რომელიც უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რჯულისა და ეროვნებისა.

გაზეთი „გლეხი“ – 1906, 28 იენისი

The Epoch of Liberalism in Georgian Literature

The collection of articles titled *The Epoch of Liberalism in Georgian Literature* covering the period from the second half of the 19th century to the beginning of the 20th century, is the third monograph issued within the framework of the Shota Rustaveli Institute of Georgian Literature publishing programme "Georgian Literature: Periods and Tendencies". This collection was developed by the group of academics representing three generations of literature scholars: Tamaz Vasadze, Maia Jaliashvili, Ketevan Elashvili, Ketevan Ninidze, under the supervision of Prof. Zaza Abzianidze and in cooperation with Prof. Otar Janelidze. Authors would like to mention with special gratitude the contribution of the project consultant Prof. Irma Ratiani who initiatied the abvoe-mentiond research programme of the Intstitute of Georgian Literature.

The goal of the monograph is to familiarize the readers, from the perspective of 21st century, with the process of creating and consolidating the Georgian public opinion oriented on liberal values that has continued in modern day Georgia after a 70-year long pause and revealed itself in the form of the confrontation between the trends of neo-liberalism and neo-conservatism. Therefore, studying this confrontation, with emphasizing its literary and historical aspects and reflecting on the advancement or failures of the Georgian liberal thinking is the sphere of not only academic but the vital interest to us.

To this end, it's important as well to have a more profound look at the term 'liberalism': In the Soviet era this term had an obviously negative

connotation and, in the best-case scenario, was used to describe the merciful attitude of intellectual aristocrats towards oppressed social groups. For the first time in the history of Georgian literary studies, the work presented here will feature not only traditional social and national context but also cover the fundamental principles such as human rights, individual freedom, civil responsibility, gender equality, etc., being inseparable from classical liberalism.

The above-mentioned issues are analyzed in a socio-historical retrospective of the epoch of liberalism (Otar Janelidze); in the literary discourse of this epoch (Zaza Abzianidze, Tamaz Vasadze, Maia Jaliashvili), and in the analytical study of gender equality issues (Ketevan Ninidze). An entirely novel nature of this monograph is manifested as well in Ketevan Elashvili's study "Symbolic Figures of the Epoch of Liberalism" that will give readers a clear idea of 'geography' and those remarkable names of the of the epoch of liberalism.

Bringing to life these ambitious ideas of the 'perfectionist' team of Georgian academics would not be possible without the continuous support of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature and Shota Rustaveli National Scientific Foundation.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ზაზა აბზიანიძე - ლიბერალიზმის ეპოქა და მისი მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის----------5

თამაზ ვასაძე - ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები----------11

ოთარ ჯანელიძე - XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული და სოციალური სინამდვილე----------17

ქეთევან ელაშვილი – ლიბერალიზმის ეპოქის სიმბოლური პიროვნებანი----------29

ჯუზეპე გარიბალდი----------35

ჯუზეპე მაძინი----------48

ლაიოშ კოშუტი----------58

ხოსე მარტი----------67

რუსული აქცენტები----------76

ზნეობრივი დისკურსი----------98

ოთარ ჯანელიძე - ლიბერალური შეხედულებანი თერგდალეულთა ნააზრევში----------114

ოთარ ჯანელიძე - ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ძირითადი მიმდინარეობები XIX საუკუნის მეორე ნახევარში------124

ოთარ ჯანელიძე - ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე----------142

ქეთევან ნინიძე ქალთა ლიტერატურული საქმიანობა საქართველოში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)----------165

ოთარ ჯანელიძე - XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა მსოფლმხედველობის საკითხისათვის----------173

პოლიტიკური ორგანიზაციები საქართველოში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე----------185
მაია ჯალიაშვილი პიროვნული თავისუფლება და პასუხისმგებლობა ქართულ პროზაში----------203
მაია ჯალიაშვილი - პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი----------212
თამაზ ვასაძე - თავისუფალი პიროვნების სახე ქართულ ეპიკურ პოეზიაში ----------221
ქეთევან ნინიძე „დედათა საკითხის“ რეფლექსია ქართულ პრესაში----------233
ზაზა აბზიანიძე - „ლიბერალიზმის ეპოქის პირმშონი“ (ლიტერატურული პორტრეტები)----------252
ილია ჭავჭავაძე----------252
აკაკი წერეთელი----------278
ნიკო ნიკოლაძე----------298
ვაჟა-ფშაველა ----------308
ალექსანდრე ყაზბეგი----------330
ლიბერალიზმის ეპოქის ტექსტები----------371
ილია ჭავჭავაძე - წოდებათა თანასწორობა----------371
ილია ჭავჭავაძე - სამართალი და სღეება----------373
ნიკო ნიკოლაძე - ეკლესია და სახელმწიფო----------375
ვაჟა-ფშაველა - რა არის თავისუფლება?----------378
მიხეილ ჯავახიშვილი - შვიდი თავისუფლება----------383
The Epoch of Liberalism in Georgian Literature (რეზიუმე)----------389

დიზაინი – ლაშა ხვიჩია

შპს „ლაშა ხვიჩიას სტამბა”
მის: ქინძმარაულის 17
ელ-ფოსტა: khvichia7@yahoo.com
ტელ: 599653962